4

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ანბანი

ფრიდონ ფალავანდიშვილი

მაცნიერება

ᲨᲘᲠᲐᲖᲘ ᲯᲘᲠᲭᲘᲫᲔ

ᲨᲠᲝᲛᲔᲑᲘ
ᲬᲧᲝᲗ ᲪᲝᲛᲐᲜᲓ



ᲭᲘᲠᲮᲣᲚᲘ ᲯᲐᲠᲢᲘᲐ

IV ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲑᲠᲐᲤᲘᲐᲨᲘ

„ᲡᲢᲣᲓᲘᲐ“

ტომი გამოსაცემად მოამზადეს ზურაბ წერეთელმა
და თამილა ცაგარეიშვილმა

„ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ“
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
2001

63.5(2r)
39(479.22)
ჰ 671
63.5(2r)
39(479.22)
ჰ 671

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ჩიტაიას "შრომების" IV ტომში წარმოდგენილია საუნივერსიტეტო ლექციების კურსები ზოგად და საქართველოს ეთნოგრაფიაში. მასში პირველად ეთნოლოგიურ ლიტერატურაში თავმოყრილია და განზოგადებული ეთნოგრაფიული აზრის განვითარების თეორიული საფუძვლები უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე და წარმოჩენილია ქართველი ხალხის სამეურნეო, მატერიალური და სულიერი კულტურის უძველესი ფესვები, მისი განვითარების ისტორია, ეთნოსპეციფიკა და კულტურულ-ისტორიული ღირებულება.

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო თ. ცაგარეიშვილმა.

ეთნოგრაფიული ილუსტრაციები და საველე ჩანახატები შეარჩია და ტექსტებს შეუფარდა ზ. წერეთელმა.

მონოგრაფია განკუთვნილია ეთნოლოგების, საქართველოს ისტორიის სპეციალისტების, სტუდენტებისა და კულტურის ისტორიით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

რედაქტორი	რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
შემდგენელი რედაქტორი	თ. ც ა გ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი,	პროფ., ისტ. მეც. დოქტორი
რეცენზენტები:	ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე,	პროფ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
	ს. ჭ ა ნ ტ უ რ ი ა შ ვ ი ლ ი,	პროფ., ისტ. მეც. დოქტორი

ISBN 99928-963-7-X

ჩ 055000000
M607(06)-2001

© ქართული ეთნოგრაფიული ენციკლოპედიების დაცვის ფონდი „ენციკლოპედია"

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



ეთნოგრაფია ეროვნული თვითშეგნების დედაბოძი, ქართველი ხალხის უთვალავ თაობათა მიერ შემუშავებული სიბრძნის, ზნეობრივი სიმდიდრის, მუხლჩაუხრელი შრომისა და გარჯის ცოცხალი მატიანეა, რომელიც ახალგაზრდებს უფაქიზებს ზნეობას, უღვიძებს წინაპართა მემკვიდრეობის დაფასების უნარს.

გიორგი ჩიტაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა

ქართული ეთნოგრაფიის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების გზაზე გიორგი ჩიტაიას ხელმძღვანელობით მრავალმხრივ გაშლილი მუშაობის ერთ-ერთ ძირითად და ყველაზე მნიშვნელოვან უბნად იქცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც იგი 50 წლის მანძილზე დაუღალავად ემსახურებოდა ახალგაზრდა კადრების აღზრდის მამულიშვილურ საქმეს.

ეთნოგრაფია, ეთნოლოგიის სახელწოდებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1921 წლიდან წარმოდგენილი იყო ბიოლოგიის, ანთროპოლოგიისა და ეთნოლოგიის კათედრაზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფ. გიორგი ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი. 1926 წლიდან ივ. ჯავახიშვილის რეკომენდაციით, ეთნოლოგიის განხრით კათედრის პირველ ასპირანტად ჩაირიცხა გ. ჩიტაია, რომელიც ამ დროისათვის საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების თანამშრომელი იყო და დაბეჭდილი ჰქონდა რიგი ეთნოგრაფიული ხასიათის ნაშრომი (სვანური საკურცხილი, სმმ, ტ. II, 1925; გლეხის სახლი ქვაბლიანში, მიმომხილველი, ტ. I, 1926; ქართული ეთნოლოგია, მიმომხილველი, ტ. I, 1926).

1929 წელს ასპირანტურის კურსის გავლის შემდეგ იგი დაინიშნა ისტორიის ფაკულტეტთან ახლად დაარსებული არქეოლოგია-ეთნოლოგიის კათედრის (1930 წლიდან იცვლება კათედრის სახელწოდება არქეოლოგია-ეთნოგრაფიით) ასისტენტად და ამავე წლიდან იწყებს ისტორიის ფაკულტეტზე ზოგადი ეთნოლოგიისა და კავკასიის ეთნოლოგიის კურსების კითხვას.

1932 წელს უნივერსიტეტის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით კათედრამ შეწყვიტა არსებობა. ამ წლებში გ. ჩიტაია განაგრძობს მუშაობას პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე, სადაც მან 1933 წელს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის რესპუბლიკური საკვალიფიკაციო კომისიისაგან მიიღო დოცენტის წოდება.*

1934 წლიდან უნივერსიტეტის მუშაობის განახლებისთანავე ფუნქციონირებას იწყებს არქეოლოგია-ეთნოგრაფიის კათედრა და მოწვეულ იქნა გიორგი ჩიტაია. ეთნოგრაფიული მუშაობის გაფართოებისათვის, მისი ინიციატივით, 1935 წლიდან კათედრაზე მოწვეულ იქნა ვერა ბარდაველიძე და 1936 წლიდან რუსუდან ხარაძე.

გ. ჩიტაიას ენერგიული მუშაობის შედეგად 1939 წ. დეკემბერში, უმაღლესი სკოლების საკავშირო კომიტეტის განკარგულებით, არქეოლოგია-ეთნოგრაფიის კათედრას გამოეყო და ცალკე დაარსდა ეთნოგრაფიის კათედრა, რიგით მეორე ყოფილ საბჭოთა კავშირში, მოსკოვის უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრის შემდეგ. კათედრის გამგედ ინიშნება გ. ჩიტაია. ახლადდაარსებული კათედრის პირველი წევრები არიან: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ბარდაველიძე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი რ. ხარაძე და ორი ასპირანტი – მიხეილ გეგეშიძე და მიხეილ ჩართოლანი. 1940 წლიდან – აკაკი სოხაძე, ილია ჭყონია, იოსებ ნანობაშვილი, მარგარიტა ადამია.

გ. ჩიტაიას პირად არქივში დაცულია ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი: 1939–1940 სასწავლო წლების კათედრის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის

*შენიშვნა: 1944 წ. გ. ჩიტაია არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. 1958 წელს დაუცველად მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის წოდება, 1960 წ. – პროფესორის წოდება, 1969 წ. არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიოსად [თ.ც.].

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემატიკა და მუშაობის ანგარიში – კათედრის პირველი ოქმი, რომელიც საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ ეთნოგრაფიის სწავლების საწყისი პერიოდი საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიაში.

1940 წლიდან კათედრის წევრები კითხულობენ სტუდენტთა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ შემდეგ დისციპლინებს: 1. ზოგადი ეთნოგრაფია (გ. ჩიტაია), 2. წინა აზიის ეთნოგრაფია (გ. ჩიტაია), 3. კავკასიის ეთნოგრაფია (გ. ჩიტაია), 4. რელიგიის ისტორია (ვ. ბარდაველიძე), 5. სოციალური გადმონაშთების ისტორია (რ. ხარაძე); სპეკკურსები და სპეცსემინარები ზოგადი და საქართველოს ეთნოგრაფიიდან (გ. ჩიტაია).

კათედრის სამეცნიერო-კვლევითი თემატიკის გეგმით შესრულდა შემდეგი თემები: ქართული ურემი – გ. ჩიტაია; სვანური დულარი – ვ. ბარდაველიძე; ხევსურული თიკუნი – რ. ხარაძე; ასპირანტები: ვაზის ძველი კულტურა ქიზიყში – ი. ნანობაშვილი, ლუდის ძველი კულტურა ხევსურეთში – მ. გეგეშიძე; გველის კულტი საქართველოში – ა. სოხაძე; მიცვალებულის კულტი სამეგრელოში – მ. ადამია.

სხდომამ მოისმინა ორი მოხსენება: "ქართული ხალხური მკურნალობა" და "რელიგიის წარმოშობის თეორიები"– გ. ჩიტაია.

სასწავლო-პედაგოგიური მუშაობის გაუმჯობესების ხაზით კათედრამ მიიღო ვალდებულებები:

1. მუზეუმის კოლექციებზე სტუდენტთა პრაქტიკული მუშაობის დაწყება
2. საველე-საწარმოო მეთოდების გაცნობა
3. სტაციონარის მოწყობა ბარისახოში (წინასწარი საორგანიზაციო მუშაობა)
4. ეთნოგრაფიის კაბინეტის მოწყობა (წინასწარი საორგანიზაციო მუშაობა კოლექციების შეგროვების მიზნით)
5. დამატებითი ლექციების ჩატარება ეთნოგრაფიის პროფილით მომუშავე სტუდენტებთან (გ. ჩიტაია, ვ. ბარდაველიძე)
6. უცხო ენების სწავლება ეთნოგრაფიაში მომუშავე სტუდენტებთან და ასპირანტებთან.

დაევალათ ასპირანტებს მ. გეგეშიძეს და აკ. სოხაძეს დახმარება გაუწიონ სტუდენტებს რუსული ენის სწავლებაში.

დაევალა მ. გეგეშიძეს გერმანული და ერთი კავკასიური ენის შესწავლა.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხაზით შესრულებულ თემებად ჩაითვალა:

1. აჭარული მარხილი, 1 1/2 ნაბეჭდი თაბახი – გ. ჩიტაია
2. ნადირობის ღვთაება ძველ საქართველოში, 1 1/2 ნაბეჭდი თაბახი – ვ. ბარდაველიძე
3. ნათესაობის ძველი წესი ძველ ხევსურეთში, 1 1/2 ნაბეჭდი თაბახი – რ. ხარაძე
4. პრიმიტიულ საფეხურზე მყოფ ხალხების ეთნოგრაფიული რუკა – ხელმძღვანელი გ. ჩიტაია
5. ზოგადი ეთნოგრაფიის ქრესტომათია, 12 ნაბეჭდი თაბახი – ხელმძღვანელი გ. ჩიტაია
6. ნ. მარის შრომის "კავკასიის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის" ქართული თარგმანის რედაქტირება – გ. ჩიტაია

1940 წ. 1 თებერვალი

1941 წლიდან სასწავლო დისციპლინების კურსს ემატება მახლობელი აღმოსავლეთის ეთნოგრაფია (გ. ჩიტაია), სსრკ ხალხთა ეთნოგრაფია (გ. ჩიტაია); სპეცკურსები: ეთნოგრაფიის საგანი, მეთოდიკა (გ. ჩიტაია), ეთნოგრაფიული ცნობები საქართველოს მოსახლეობის შესახებ (გ. ჩიტაია). ფართოვდება ეთნოგრაფიის სწავლების არეალიც. ისტორიის ფაკულტეტის გარდა გ. ჩიტაია ლექციებს კითხულობს ფილოლოგიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტებზეც.

კათედრის დაარსებიდანვე გ. ჩიტაიას მთავარ საზრუნავ საგნად იქცა ისტორიის ფაკულტეტზე ეთნოგრაფიის განხრით სტუდენტთა დასპეციალება. 1941 წლის სასწავლო წლიდან უმაღლესი სკოლების საკავშირო კომიტეტის განკარგულებით ისტორიის ფაკულტეტის უფროს კურსებზე, კერძოდ მე-3 კურსიდან, არსდება ეთნოგრაფიის სექცია. ამავე დროიდან იგი იბრძვის კათედრის სასწავლო პროცესში საველე მუშაობის ჩასართველად. ჯერ კიდევ 1935 წ., ხევსურეთში გზის გაყვანისთანავე (1934 წ.), პირველმა დასვა საკითხი ხევსურეთში სტუდენტთა საველე პრაქტიკის ჩატარების შესახებ.

"საქართველოს ეთნოგრაფიის კურსის გავლისას, – წერდა იგი ისტორიის ფაკულტეტის დეკანს – სათანადო თეორიული მომზადების შემდეგ, სტუდენტებში წარმოიშვება რეალური ეთნიკური ერთეულის ცოცხალ სინამდვილეში გაცნობის მოთხოვნილება, რაც ეთნოგრაფიის კურსის შემადგენელ ნაწილად უნდა იქცეს. ეთნოგრაფიის სპეციფიკის გამო მისი მხოლოდ თეორიული მეთოდით სწავლება ნაკლებ შედეგიანია. სტუდენტს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა თეორიულად შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გაცნობის და კვლევის მეთოდის დაუფლებისა. ამიტომ ეთნოგრაფ-სპეციალისტის აღზრდისათვის საჭიროდ მიმაჩნია თეორიისა და პრაქტიკის შეთანხმება. წელს ჩვენი არჩევანი ხევსურეთზე შეჩერდა, რადგანაც ხევსურეთი ცოცხალი ეთნოგრაფიული მუზეუმია, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია წარსული ყოფის ნაშთები.. ამიტომ ხევსურეთის ეთნოგრაფიული სინამდვილის გამოყენება სასწავლო მიზნით მეტისმეტად სასურველია.. ეს იქნება პირველი ექსკურსია, რომელიც სასწავლო მიზნით შევა ხევსურეთში. წარსულში ამგვარ ექსკურსიას ადგილი არ ჰქონია. როგორც ვიცით ხევსურეთის შარაგზა პირველად 1934 წ. შემოდგომაზე გაიხსნა და მასზე ჯერ არც ერთ ექსკურსიას არ გაუვლია. ჩვენი ექსკურსია პირველი იქნება, რომელიც სწავლულებისა და მეცნიერების სახელით შევა ხევსურეთში".

1935 წ. 4 აპრილი

1940 წლის ივლისში გ. ჩიტაიას ინიციატივით, ხევსურეთში, ბარისახოში გაიხსნა ეთნოგრაფიული სტაციონარი, (პირველი სტაციონარი ყოფილ საბჭოთა კავშირში) რომელიც 1950 წლამდე წარმოადგენდა სტუდენტთა საველე ეთნოგრაფიული მუშაობის ბაზას.

1945 წლიდან კათედრასთან იქმნება ეთნოგრაფიის კაბინეტი–მუზეუმი, სადაც წარმოდგენილი იყო ეთნოგრაფიული კოლექციები, მოდელები, მაკეტები და მულაჟები. სამუზეუმო ექსპონატები თავდაპირველად შემოწირულობით იქნა მიღებული საქართველოს სახელმწიფო მუზეუმიდან, შემდეგ კათედრის წევრებმა შემოწირულობით შემოიტანეს საკუთარი ნაშრომები, პირადი ბიბლიოთეკიდან ლიტერატურა და საფუძველი ჩაუყარეს კაბინეტის ბიბლიოთეკას. ამავე დროს მუზეუმი სისტემატიურად მდიდრდებოდა სტუდენტთა საველე სამუშაოების დროს მოპოვებული ექსპონატებით.

ეთნოგრაფიული კაბინეტი დიდ დახმარებას უწევდა სტუდენტებს სასწავლო პროცესში და ამავე დროს ხელს უწყობდა სამეცნიერო მუშაობის წარმოებას. "სამეცნიერო და სასწავლო პროცესის წარმოებით ეთნოგრაფიის კაბინეტი მოწინავეა უნივერსიტეტში" – წერდა ვ. კუპრაძე 1953 წ.

ეთნოგრაფ-სტუდენტთა მომზადების პროცესში გ. ჩიტაია მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდა სტუდენტთა დაინტერესებას სწავლების სხვადასხვა მეთოდებით, როგორიცაა, ლექციების ჩატარება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, გასვლითი საველე ლექციები – თბილისის მახლობელ სოფლებში. 50-იანი წლებიდან გეგმიანი ხასიათი მიეცა საველე-საწარმოო მუშაობას. სტუდენტთა საველე მუშაობაში მნიშვნელოვანი ეტაპი იყო მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის კამერალური დამუშავება, რომელიც სათანადო ლიტერატურის გამოყენების შემდეგ საკურსო და სადიპლომო შრომების უმთავრესი წყარო ხდებოდა. ხშირად სტუდენტთა მერხიდან შერჩეული სამუშაო თემები საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების საფუძველიც ხდებოდა. (ი. ნანობაშვილი, ი. ჭყონია, ს. ჭანტურიშვილი, ს. კვიციანი, ნ. მინდაძე, თ ცაგარეიშვილი და სხვ.)

1951 წ. ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრესთან იქმნება ეთნოგრაფიის სექცია. სამეცნიერო წრის მუშაობა მრავალმხრივი იყო. მას სისტემატიური კავშირი ჰქონდა სხვა უნივერსიტეტებში არსებულ მონათესავე დარგების სტუდენტთა სამეცნიერო წრეებთან, ატარებდა გამსვლელ სამეცნიერო სესიებს საქართველოს სხვა ინსტიტუტებში, აქტიურად მონაწილეობდა საკავშირო კონფერენციებზე მოსკოვში და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში. გ. ჩიტაიას ინიციატივით სტუდენტთა III საკავშირო კონფერენცია ჩატარდა თბილისში (1964 წ. მარტი). კათედრას საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული სხვა ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებთან (მოსკოვი, ლენინგრადი, პრაღა, ბუდაპეშტი, დებრეცენი, იენა, ბერლინი).

ეთნოგრაფიის კათედრის შენარჩუნება დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. 1951 წ. კათედრა უქმდება. ეთნოგრაფიის სპეციალობა შეუერთდა არქეოლოგიის კათედრას, 1953 წლიდან – ხელოვნებათმცოდნეობას. 1966 წლიდან ეთნოგრაფიის კათედრის ბინის შეცვლასთან დაკავშირებით კაბინეტ-მუზეუმიც დაიშალა. გ. ჩიტაია ამას სიცოცხლის ბოლომდე ძალიან განიცდიდა და თვლიდა უკანდახევად კათედრის მუშაობაში. 1968 წლიდან ეთნოგრაფია ცალკე კათედრად ჩამოყალიბდა. 1973 წლიდან გ. ჩიტაია ეთნოგრაფიის კათედრის პროფესორ-კონსულტანტია.

განუსაზღვრელია გ. ჩიტაიას დამსახურება ეთნოგრაფიული კადრების აღზრდის საქმეში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ეთნოგრაფთა კადრები იზრდებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში და ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, ასევე ასპირანტები არა მარტო კავკასიის, არამედ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან და საზღვარგარეთიდან.

ორმოცდაათი წლის მანძილზე გ. ჩიტაია თავისი ლექციებით ფართოდ ნერგავდა უნივერსიტეტის კედლებში საქართველოს, ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი შემოქმედებისადმი სიყვარულს და პოპულარობას უწევდა ახალგაზრდა მეცნიერებას. სწორედ უნივერსიტეტში მოღვაწეობამ გახადა შესაძლებელი კადრების მოზიდვა და საქართველოს ეთნოგრაფიის ცალკე დისციპლინად ჩამოყალიბება.

ღვაწლმოსილ მეცნიერს პატრიოტული და წმინდა მოქალაქეობრივი სიყვარულით უყვარდა ის საპატიო საქმიანობა, რომელსაც ქართული კულტურის წმინდა ტაძარი ემსახურება და აქ თვლიდა საჭიროდ ქართველი ხალხის ეროვნული დედობჯენის ჩაკირვას, როგორც ერის სიცოცხლისუნარიანობისა და თავისთავადობის შენარჩუნების საწინდარის.

ამ დედობჯენის ერთ-ერთ სასიცოცხლო სვეტად კი ქართულ ეთნოგრაფიას, ქართველი ხალხის ტრადიციული კულტურის საგანძურს თვლიდა. ამიტომაც თავის პირველ სალექციო კურსებს "სვეტები" უწოდა, რომელიც საძირკვლად უნდა შედგომოდა ახალგაზრდა მეცნიერებას და კადრების შექმნას.

გ. ჩიტაიას "სვეტები" (ზოგადი ეთნოგრაფიის შესავალი) თავისი მნიშვნელობით აღემატება ჩვეულებრივ სალექციო კურსს. მასში, პირველად ეთნოლოგიურ ლიტერატურაში, დარგის ისტორიის აღსადგენად, თავმოყრილია და განზოგადებული ეთნოგრაფიული აზრის განვითარების თეორიული საფუძვლები უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე და კლასიფიცირებულია ცალკეული ისტორიული პერიოდების მიხედვით. ავტორმა გააფართოვა ეთნოგრაფიული გამოკვლევების სფერო და ევროპელი მეცნიერების საპირისპიროდ, რომლებიც ეთნოგრაფიის ისტორიას საბერძნეთიდან იწყებდნენ, მეცნიერების სათავეები ძველი აღმოსავლეთის (შუმერების, ხეთების, ეგვიპტელების, ურარტუელების და სხვ.) კულტურულ სფეროს დაუკავშირა.

ავტორის ამ დამოკიდებულებას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება ზოგად ეთნოგრაფიაში.

გ. ჩიტაიას "შრომების" ხუთტომეულის მეოთხე ტომში შევიდა საუნივერსიტეტო ლექციების კურსები, რომელსაც იგი კითხულობდა 1930–1970 წლებში. აღნიშნული ტომი მთლიანად ეყრდნობა საარქივო მონაცემებს. ნაშრომში დაცულია ავტორისეული სტილი. საარქივო მასალა (ნაწილი მანქანაზე ნაბეჭდი, ნაწილი ხელნაწერი) გადმობეჭდილ იქნა დედნიდან. საკორექტორო მასალა ბეჭდვის პროცესში შედარდა ავტორისეულ ტექსტებს. ტექსტში მოყვანილი მასალის კლასიფიკაციისას:

1. პირველ თავში, „ზოგადი ეთნოგრაფიის კურსი" (სვეტები) მთლიანად შევიდა ავტორისეული ვარიანტი (მანქანაზე ნაბეჭდი), გარდა ერთი თავისა "ქართული ეთნოგრაფიის ისტორია", რომელიც გადავიტანეთ "საქართველოს ეთნოგრაფიის სალექციო კურსში" (II თავი), საქართველოს ეთნოგრაფიის ერთ მთლიანობაში წარმოდგენისათვის.

2. მეორე თავი "სალექციო კურსი საქართველოს ეთნოგრაფიაში" მთლიანად აღსდგა ავტორისეული სალექციო მასალებიდან. გამოყენებულ იქნა ის ნაშრომებიც, რომლებიც გ. ჩიტაიას გამიზნული ჰქონდა "საქართველოს ეთნოგრაფიის სახელმძღვანელოსათვის", კერძოდ, სამიწათმოქმედო კულტურა, მევენახეობა-მეღვინეობა, კვება და საკვები, ქართული ტრანსპორტი, ჩაცმულობა, ხელოსნობა, მიცვალებულის კულტი, მითოლოგიური წარმოდგენები (მანქანაზე ნაბეჭდი ვარიანტები).

"საქართველოს ეთნოგრაფიის კურსის" აღდგენაში დახმარება გაგვიწია: 1. არქივში დაცულმა ჩიტაიასეულმა "ქართული ეთნოგრაფიის სალექციო კურსის" პროგრამამ და გეგმამ. 2. გ. ჩიტაიას და მისი ლექციების მსმენელი სტუდენტების სალექციო ჩანაწერებმა:

1. საქართველოს და კავკასიის ეთნოგრაფია, გ. ჩიტაია, 1950 (ხელნაწერი).

2. ლექციების კურსი ეთნოგრაფიაში, ლექტორი გ. ჩიტაია, – ე. სურგულაძე, 1941 (ხელნაწერი).

3. საქართველოს ეთნოგრაფიის რვეული, დოც. გ. ჩიტაია, – ე. არჯევანიძე, 1945 (ხელნაწერი).

4. საქართველოს ეთნოგრაფია, დოც. გ. ჩიტაია, სტუდენტის გვარი მითითებული არ არის, 1946 (ხელნაწერი).

5. საქართველოს ეთნოგრაფია, პროფ. გ. ჩიტაია, – თ. ცაგარეიშვილი, 1962 (ხელნაწერი).

3. ტომს ცალკე თავად დავურთეთ გ. ჩიტაიას მიერ სხვადასხვა დროს დამუშავებული საკითხები „საქართველოს ცალკეული კუთხეების მოსახლეობის შესახებ", სადაც ნაჩვენებია საქართველოს ცალკეული ეთნიკური ერთეულების ეთნოგრაფიული თავისებურებები, რომელიც მონაწილეობდა ქართველი ხალხის ერთიანი კულტურის ჩამოყალიბებაში და ემსახურება ზოგადქართული კულტურის შესწავლის საქმეს.

4. ტომს დამატების სახით დავურთეთ გ. ჩიტაიას პასუხები სტუდენტთა და სხვა დაინტერესებულ პირთა შეკითხვებზე, რომელიც დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას.

5. ცალკეული ნაშრომების სათაურები და ქვესათაურები დატოვებულია ისე, როგორც ორიგინალშია.

6. ტომს დავურთეთ დამატებითი ლიტერატურის სია (ძირითადი), რომელიც დაინტერესებულ პირს საშუალებას მისცემს თვალი გაადევნოს საქართველოს ეთნოგრაფიის ცალკეული პრობლემების განვითარების ისტორიას.

7. ტექსტში ჩართულ იქნა მხატვრების ნ. ფიროსმანაშვილის, გ. გაბაშვილის, შ. ცინცაძის, ნ. ბრაილაშვილის, არქ. ვლ. წილოსანის, გ. ოჩიაურის და სხვათა ეთნოგრაფიული ჩანახატები. საილუსტრაციო მასალა შეივსო ქართველი ეთნოგრაფების მონოგრაფიებში გამოქვეყნებული ილუსტრაციებით.

ტექსტის გამოსაცემად მომზადება და ტომის შედგენა (წინასიტყვაობის, ლექსიკონის, საძიებლების დართვა, შრომების შინაარსობრივად დალაგება, ძირითადი თავების დასათაურება) ეკუთვნის შემდგენელ-რედაქტორს, პროფ. **თამილა ცაგარეიშვილს**.

ნაშრომის ფორზაცი და ტექსტთან შეფარდებული ეთნოგრაფიული ილუსტრაციები შეადგინა სახალხო მხატვარმა **ზურაბ წერეთელმა**.

გ. ჩიტაიას "შრომების" IV ტომი, რომელსაც ზოგადად, ავტორისეული ჩანაფიქრით, "სვეტები" ვუწოდეთ, მნიშვნელოვანია არა მარტო ავტორის შემოქმედებითი პროცესის გასათვალისწინებლად, უფრო მეტი, გ. ჩიტაიას საუნივერსიტეტო სალექციო კურსები მყარი საფუძველია XX ს. ქართული ეთნოგრაფიული სკოლის შექმნისა და მისი წარმატებების.

გ. ჩიტაიას "სვეტებმა" შესანიშნავად შეასრულა თავისი მოვალეობა ახლადფეხადგმული მეცნიერების განვითარებაში და 30–70-იან წლებში სიყვარულით მონაცვლეობდა სტუდენტ-ახალგაზრდობაში ხელნაწერის სახით.

იმედი გვაქვს თანადროულ "სვეტებს" ასევე სიყვარულით მიიღებს ახალი თაობა და ეზიარება იმ ეროვნულ სულისკვეთებას, რომლითაც მაგიურად ზემოქმედებდა გიორგი ჩიტაია თავის თანამედროვეებზე.

თამილა ცაგარეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი I

ზოგადი ეთნოგრაფიის კურსი

შესავალი

ეთნოგრაფია (ბერძნული ethnos – ტომი, ხალხი და grapho – ვწერ, სიტყვასიტყვით – ხალხის აღწერა) ჰუმანიტარული მეცნიერებაა. თავისი საგნისა და ობიექტის მიხედვით იგი იკვლევს ხალხს, ეთნოსს, ხალხის ყოფასა და კულტურას, ხალხის ცხოვრების იერს, კულტურის განვითარების დონეს, ხალხთა განსახლებას დედამიწაზე, მათ სიმჭიდროვეს, დასახლების ფორმებს (მომთაბარე, ბინადარი, სოფლური, ქალაქური), ხალხთა წარმომავლობას (ეთნოგენეზს), წარსულსა და თანამედროვეობაში მიმდინარე ეთნიკურ პროცესებს. ეთნოგრაფია, ხალხის ყოფისა და კულტურის აღწერასთან ერთად, აწარმოებს შედარებას სხვა ხალხებთან, გამოავლენს საერთოსა და განსხვავებულს, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონზომიერებასა და თითოეული ხალხის კულტურულ მიღწევებს, იმას თუ რა წვლილი შეუტანია მას კაცობრიობის კულტურის საგანძურში. **ეთნოლოგია** კი მიზნად ისახავს გაარკვიოს თუ რა აპირობებს და ასაზრდოებს ხალხში დამკვიდრებულ ქცევას, ჩვევას, ჩვეულებას, ყოფას, ყოფა-ქცევას.

ეთნოგრაფია ტერიტორიული მოცემულობის მიხედვით არის ზოგადი, გლობალური და კერძოობითი, რეგიონალური.

მეცნიერება ეთნოგრაფიის სახელწოდებით იხმარება სოციალისტურ სამყაროში, საზღვარგარეთის ქვეყნებში უპირატესად გამოიყენება ტერმინები – სოციალური ანთროპოლოგია, კულტურული ანთროპოლოგია. გერმანიაში და ავსტრიაში მიღებულია სახელწოდება „ვიოლკერკუნდე" და „ვოლკსკუნდე". პირველი აღნიშნავს თეორიულ ეთნოგრაფიას, ხოლო მეორე – აღწერილობითს. ეთნოგრაფიის მთავარი წყაროა უშუალოდ ცოცხალ სინამდვილეში მოპოვებული მასალა, რომლის ფიქსირების დროს ეთნოგრაფია ემყარება საველე კვლევა-ძიების მეცნიერულ მეთოდს (ინფორმატორთა გამოკითხვით ან შესასწავლ ობიექტზე უშუალო დაკვირვების გზით). საველე მონაცემებთან ერთად იგი ფართოდ იყენებს მომიჯნავე დისციპლინებს (ისტორია, ენათმეცნიერება, არქეოლოგია, გეოგრაფია, ფოლკლორი, ანთროპოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა და სხვ.).

ეთნოგრაფია, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, XIX საუკუნის შუა წლებში ჩამოყალიბდა. ეთნოგრაფიული ცოდნის საწყისები კი შორეულ წარსულში აღინიშნება და ძველი ეგვიპტის, სუმერეთის, ბაბილონის, ასურეთის, პალესტინის, ხეთის, ურარტუს, ძველი სპარსეთის, ჩინეთის, ინდოეთის და სხვათა წერილობით წყაროებსა და მატერიალური კულტურის ძეგლებს უკავშირდება და წარმოდგენილია მეცნიერების სხვადასხვა დარგებთან (ისტორია, გეოგრაფია, ბუნებისმეტყველება და სხვ.) ერთად.

ადამიანებს ძველთაგანვე აინტერესებდათ მახლობელი თუ შორეული ხალხების თავისებურებანი, მათი ზნე-ჩვეულებები და რწმენა-წარმოდგენები. ადამიანის დასახლება დედამიწაზე ერთბაშად არ მომხდარა. ადამიანთა ოიკუ-

მენა თანდათან გაფართოვდა ისევე, როგორც თანდათან გაფართოვდა იმდროინდელი ადამიანების თვალსაწიერი. ჰესიოდეს (ძვ.წ. VIII-VII სს.) დროინდელი სამყარო ვიწრო გეოგრაფიულ არესა და ხალხთა მცირე რიცხვს შეიცავდა, პტოლემაიოსის (ძვ. წ. 140 წ.) უფრო ფართო იყო, ხოლო ჩვენს დროში ხომ არქტიკა და ანტარქტიკაცაა ჩართული. ამასთან ერთად სწრაფად იზრდება მიმოსვლის საშუალებანი. გაიზარდა მოსახლეობის რაოდენობა. თუ ნეოლითის ხანაში, როდესაც ადგილი ჰქონდა დიდ სამეურნეო რევოლუციას (მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ჩასახვა-განვითარება) დედამიწის მოსახლეობის რაოდენობას ვარაუდობენ დაახლოებით ერთ მილიონ კაცს. ამ ხანაში ადამიანი მხოლოდ აზიაში, ევროპასა და აფრიკაში ცხოვრობდა. დღეს* მსოფლიოში მოსახლეობის რაოდენობა 4 მილიარდ 114 მილიონს აღწევს, ხოლო ხალხთა ეთნოსთა რიცხვი არაზუსტი მონაცემებით 4000-ზე მეტია.

*

* *

ეთნოგრაფიის განვითარების პირველი პერიოდი

ეთნოგრაფია ისტორიულ მეცნიერებათა სისტემაში შემავალი მეცნიერებაა. ამ მეცნიერების სახელწოდება „ეთნოგრაფია" ორი ბერძნული სიტყვისაგან შედგება: ეთნოს – ხ ა ლ ხ ი, ტომი და გ რ ა ფ ი ო – ვწერ სიტყვა-სიტყვით კი ხალხის აღწერა.

მაგრამ ეთნოგრაფიის ამგვარი პირდაპირი თარგმანი აღნიშნული მეცნიერების საგანს ზუსტად ვერ განსაზღვრავს; ამისათვის ამ სიტყვის ორივე შემადგენელი ნაწილის შინაარსის მეცნიერული დაზუსტება არის საჭირო.

ეთნოგრაფიაში ტერმინი ხ ა ლ ხ ი ეთნიკური ერთობის ყველა ტიპის (ტომი, ხალხი, ნაცია) აღსანიშნავად იხმარება.

ცნება ხალხი მეტად ფართოა, ამიტომ გასარკვევია: ეთნოსში კულტურის განვითარების რომელ საფეხურზე მდგომი ხალხი უნდა ვიგულისხმოთ. ამიტომ პირველ რიგში ნათელი უნდა გავხადოთ ეთნოგრაფიის შესწავლის ეს ობიექტი.

ეთნოგრაფიის მეორე ნაწილი გ რ ა ფ ი ო -ც ახსნას თხოულობს, სახელდობრ, ხალხი რა ნიშნების მიხედვით უნდა აღვწეროთ და შევისწავლოთ.

ამდენად ეთნოგრაფია პირობითი ტერმინია. ეთნოგრაფიის მეცნიერების საგნის გარკვევა კი მოითხოვს მსჯელობის ორი ძირითადი მიმართებით წარმართვას: უნდა გავითვალისწინოთ ეთნოგრაფიის ისტორია და კულტურის არსებული კლასიფიკაციები.

ეთნოგრაფიის ისტორია შეიძლება რამდენიმე პერიოდად დაიყოს: *პირველი პერიოდი ძვ.წ. 2000 წ. – ახ.წ. 500 წ.* მოიცავს.

ამერიკისა და დასავლეთ ევროპის მეცნიერები ეთნოგრაფიის ისტორიას საბერძნეთის ცივილიზაციით (ე.ი. ძვ.წ. VIII ს.) იწყებდნენ. ბერძნული კულტურას, კი როგორც ცნობილია, წინ უსწრებდა სუმერეთის, ბაბილონის, ეგვიპტის, ხეთებისა და ურარტუს უძველესი კულტურები. ამიტომ ეთნოგრაფიის ისტორიის დაწყება ძვ.წ. 2000 წ. უფრო გამართლებულია.

---

* იგულისხმება 1938 წლის მონაცემები [თ.ც.].

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ არ შევეხოთ ამ პერიოდის ეთნოგრაფიულად მდიდარ ისეთ ძეგლებს, როგორიცაა „*წარღვნისა*“ და „*გილგამეშის*“ ლეგენდები, შევჩერდებით **კოკუ ლი მითანელის** „ტრაქტატი ცხენების მოშენებისა და გაწვრთნის შესახებ“ ძვ.წ. მე-XIV საუკუნეში შექმნილ ნაშრომზე, რომლის საგანი ცხენის მოშენება და წვრთნა არის. ძეგლში მოცემულია ამ სახის მეურნეობასთან დაკავშირებული უხვი ეთნოგრაფიული მასალა. თუ გავითვალისწინებთ, ერთი მხრივ, იმ როლს, რომელსაც ცხენი უძველეს ეპოქებში ასრულებდა და, მეორე მხრივ, იმ გადმონაშთებს, რომელიც კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიულ სინამდვილეშია შემონახული, ჩვენ **კოკული მითანელის** მიერ შექმნილ ნაშრომში უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტიურ მონაცემებს მივაგნებთ.

ამ პერიოდში არსებული იეროგლიფური, ლურსმული (ასურეთი, ბაბილონი, ხეთა, ვანის სამეფო), ფინიკიური, ებრაული, ბერძნული და რომაული დამწერლობის წყალობით შესანიშნავი ეთნოგრაფიული მასალა შემოგვენახა. ძვირფას ეთნოგრაფიულ ცნობებს გვაწვდის ამ ხანის მატერიალური კულტურის ძეგლებიც (მაგალითად, ეგვიპტის ფარაონები მათ მიერ დაპყრობილ ხალხებთან ურთიერთობის ამსახველ მოვლენებს, ქანდაკებასა და მხატვრობაში გამოხატავდნენ. ეს საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ მათი ჩაცმულობა, შეიარაღება, ანთროპოლოგია).

ძვ.წ. IX საუკუნის ებრაულ ენაზე დაწერილი ძეგლი „დ ა ბ ა დ ე ბ ა“ უხვ ეთნოგრაფიულ მონაცემებთან ერთად, ხალხთა ჩამომავლობას, გენიალოგიასაც შეიცავს, რომელიც პირველი წიგნის მე-10 თავშია მოცემული. გენიალოგია ერთი შეხედვით უცნაურად გამოიყურება: ხალხები დასახელებულია წინაპრის სახელის მიხედვით. ამჟამად გარკვეულია, რომ ბიბლიაში ხალხების წინაპრის სახელების მიხედვით დასახელება მათ ჩამომავლობას გულისხმობს. ამგვარად, ჩვენ ხელთ არის ერთ-ერთი უძველესი გენიალოგიათაგანი. ძეგლის მიხედვით ნოეს ჰყავდა სამი შვილი: **სემი**, **ქამი** და **იაფეტი**, რომელთაგან თვითეულს თავისი ჩამომავლები გააჩნდა. ნოეს თვითეული შვილის სახელწოდების ქვეშ გარკვეული ჩამომავლობის ხალხი არის დასახელებული: *სემიტები* – სემისაგან მომდინარეობენ, *ქამიტები* – ქამისაგან, *იაფეტები* – იაფეტისაგან.

ქართველი ტომების გენიალოგიის თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია იაფეტიდების ქვეშ ნაგულისხმევი მოდგმა. იაფეტს სხვა შვილებთან ერთად ჰყავდა: **თობალი, მეშეხი, თირსენი** და **ითვანი**. ირკვევა, რომ ქართველების ადრინდელი წინაპრები **თობალები** არიან. ეს ლინგვისტიკურადაც მტკიცდება (თობალ–ი და იბერ–ი ერთი და იგივე ძირისაა) და საამისოდ ისტორიული ცნობაც მოგვეპოვება: ძვ.წ.ა. მე–II საუკუნის რომაელი ისტორიკოსი **ითსებ ფლაბიუსი** ერთ-ერთ თხზულებაში წერდა, რომ თობალების სახელწოდებით უწონ ცნობილი ხალხი ამჟამად იბერებად იწოდებაო.

იაფეტის შვილი **მეშეხი** ასურულ ლურსმულ დამწერლობაში მოხსენებული **შუსკი**–ა და ქართველთა ერთ-ერთ უძველეს და დღემდე ცოცხალ ტომს **მესხებს** გულისხმობს. ამ შემთხვევაშიც სიტყვათა ლინგვისტიკური დამთხვევის გვერდით ისტორიული დოკუმენტიც გვემოწმება: იოსებ ფლაბიუსი გადმოგვცემს, რომ მეშეხები იგივე მუსკები არიან, რომლებიც წინათ კაპადოკიაში ცხოვრობდნენ: მაშასადამე, ცხადი ხდება, რომ იაფეტიდების ორი შთამომავლობა ქართველთა წინაპრებია.

ჩვენ შეგვიძლია გენიალოგიის ამ ნაწილის სხვა დასახელებაც გავარკვიოთ. იაფეტის შვილად, აგრეთვე, დასახელებულია **თირსენი**. თირსენები უძველესი ხალხია, რომელთაც დღევანდელი იტალიის ტერიტორიაზე ცხოვრების ხანაში **ეტრუსკები** ეწოდებოდათ. ეტრუსკები მცირე აზიიდან აპენინის ნახევარკუნძულზე წასული ხალხია; მაშასადამე ნათელია, რომ იაფეტიდების მესამე წარმომადგენელი თობალებისა და მეშეხების მესამე ძმად თირსენები უნდა ვიგულისხმოდ.

იაფეტის შვილს **იოანეს – იოანელების** ქვეშ დღევანდელ მეცნიერებაში გულისხმობენ ბერძნების ერთ-ერთ ტომს *იონელებს*. „დაბადების" გარდა *ჰეროდოტეც* გვაწვდის საამისო ცნობებს. ჰეროდოტე წერს, რომ ათენიდან ბერძნების ერთ-ერთი ტომი მცირე აზიაში გადმოსახლდა და შემდეგ – იონელების ადგილსამყოფელზე დასახლდა და დასძენს: საბერძნეთიდან გადმოსახლებული ბერძენთა ტომი ადგილობრივ მოსახლეობას შეერია და საკუთარი კულტურა შექმნა. იონელები ადგილობრივი, მცირე აზიური სახელწოდება უნდა იყოსო. თუ ზემოაღნიშნულ გარემოებებს გავითვალისწინებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბერძენთა ტომად მიჩნეული იონელები ადგილობრივ, იაფეტიდთა ჩამომავალ ფენას შეიცავდა.

ამგვარად, იაფეტიანთა ჩამომავლობის ხალხის სახით, ჩვენ საქმე გვაქვს სემიტებისა და ქამიტებისაგან განსხვავებულ მოდგმასთან. მართლაც კვლევაძიება ადასტურებს, რომ სემიტების, ქამიტებისა და იაფეტიდების კულტურა და წარმომავლობა სხვადასხვაგვარია.

პრომეთეს ბერძნული მითიდანაც კარგად ჩანს, რომ იაფეტი სხვა მოდგმის ხალხთა სახელწოდებას წარმოადგენდა. აქ პრომეთეს მამად **იაფეტი** არის დასახელებული. ე.ი. პრომეთე იაფეტის შთამომავალია. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებასაც, რომ პრომეთეს მითს თავისი წარმოშობით კავკასიას უკავშირებენ, მაშინ ჩვენთვის გასაგები იქნება თუ რატომ არის პრომეთეს მამად იაფეტი დასახელებული. ამირანის ქართულ ლეგენდაში *ამირანის* მამამძუძედ იოვანე არის მოხსენებული. აქაც საქმე უნდა გვქონდეს წინაპრის იმ სახელწოდებასთან, რომელიც დაბადების გენიალოგიაში გვხვდება იოანეს სახით. პრომეთეს მამისა და ამირანის მამამძუძეს სახელწოდებათა დამთხვევა შემთხვევითი არ უნდა იყოს.

ამრიგად ძვ.წ.ა. მე-IX საუკუნის ძეგლში შემოგვენახა ერთი შესანიშნავი გენიალოგია, რომელიც გვეხმარება სხვა ხალხის ჩამომავლობასთან ერთად, კავკასიის ხალხის ჩამომავლობის საკითხიც გავარკვიოთ.

ეთნოგრაფიის განვითარების პირველი პერიოდის შემდეგი მონაკვეთი გულისხმობს კულტურის ცენტრების გადატანას დასავლეთით, ჯერ საბერძნეთში, შემდეგ რომში. ამ ხანის ძეგლები უხვ ეთნოგრაფიულ აღწერილობებს გვაწვდის იმდროინდელი კაცობრიობის შესახებ. შევეხებით ზოგიერთ მათგანს:

ისტორიის მამა – **ჰეროდოტეს** (ცხოვრების მიღებული თარიღი ძვ.წ. 484–425 წწ.) ნაშრომი *„ისტორია"* 9 კარისაგან, ანუ 9 წიგნისაგან შედგება. ნაშრომი საყურადღებოა აღწერილობითი ხასიათის ეთნოგრაფიული მასალით და ხალხთა ჩამომავლობისა და ეთნოგრაფიულ მოვლენებთან დაკავშირებული სხვა მოვლენების შესახებ საკითხების დასმითაც.

ჰეროდოტე, აღწერილობით ნაწილში, მისთვის ცნობილი კაცობრიობის აღწერას იძლევა (მაშინ ადამიანებით დასახლებული ტერიტორია განსაზღვრუ-

ლი იყო). მის მიერ აღწერილი მოსახლეობა სახლობდა საბერძნეთის დასავლეთით და აღმოსავლეთით – ესპანეთიდან ინდოეთამდე. მისი ცოდნა ჩრდილოეთით, სამხრეთ რუსეთის ფარგლებს, ხოლო სამხრეთით – ეგვიპტის სამხრეთ ნაწილს არა სცილდებოდა. ამ საზღვრებს იქით მისთვის გაურკვეველი ქვეყანა იყო, სადაც მას ფანტასტიკური არსებანი ეგულებოდა.

ჰეროდოტე

თეორიული საკითხების დასმის თვალსაზრისით, ჩვენთვის საყურადღებოა ჰეროდოტეს მიერ წამოყენებული პრობლემა კოლხების წარმოშობის შესახებ. მისი აზრით, *კოლხები ეგვიპტელებს უნდა ენათესავებოდნენ*. იგი ამ დებულებას შემდეგ საბუთებზე ამყარებს:

1. **ანთროპოლოგიური**. კოლხები ისევე, როგორც ეგვიპტელები, ხუჭუჭთმიანები არიან; 2. **კულტურულ-ეკონომიური**; კოლხეთში მზადდება საუკეთესო სელის ქსოვილი, რომელიც მსოფლიო ბაზარზე ეგვიპტური სელის დარად ფასობდა. მისი აზრით ეს გარემოება, ამ ორი ხალხის კულტურულ-ტექნიკური მიღწევების ერთი და იგივე პირობებიდან უნდა მომდინარეობდეს; 3. **ზნე-ჩვეულებითი**. კოლხეთში მიღებული არის წინადაცვეთის ისეთივე ჩვეულება, როგორც ეგვიპტეში; 4. **ენობრივი**. ჰეროდოტე ამ მხრივაც ხედავს ნათესაობას; 5. **მითოლოგიური**. ეგვიპტელების ფარაონმა, რომელიც სკვითების წინააღმდეგ ომს აწარმოებდა, სკვითებიდან გამობრუნების შემდეგ თავისი ჯარის ერთი ნაწილი კოლხეთში დასტოვა. თანამედროვე კოლხები მათი შთამომავლები არიან. ეგვიპტელთა ფარაონი *სეზოსტრისი* როცა მოვიდა ფაზის მდინარეზე, ერთი ნაწილი მისი ჯარისა იქ დარჩაო. ნამდვილად კი არ ვიცი, როგორ მოხდა ეს ამბავი, შენიშნავს ჰეროდოტე, თვითონ სეზოსტრისმა გაჰყო თავისი ჯარი და დასტოვა ერთი ნაწილი ამ ქვეყნის დასასახლებლად, თუ თავის ნებით ჩამორჩნენ ჯარს, დაღლილობის გამოო.

ისტორიოსი განაგრძობს: კოლხიდის მცხოვრებლები მგონია ეგვიპტელები არიან. აქ საკუთარ ჩემს აზრს ვამბობ და არა სხვისაგან გაგონილს, რადგან ეს აზრი ფიქრად მომივიდა ცნობები შევკრიბე ამის თაობაზე, როგორც ეგვიპტელების, ისე კოლხებისაგან. კოლხებს უფრო მეტი ახსოვთ ეგვიპტელების შესახებ, ვიდრე ეგვიპტელებს – კოლხებისა. ეგვიპტელები იმასაც კი ამბობენ, რომ კოლხები, სეზოსტრისის ჯარის ნარჩენიაო. მეც ასე მეჩვენებოდა, რადგან კოლხები შავგვრემანები და თმახუჭუჭები არიან, თუმცა ამ გარემოებას ცოტა მნიშვნელობა აქვს, რადგან სხვა ხალხებიც ემსგავსებიან ერთმანეთს ამ ნიშნებით. მაგრამ ჩემს აზრს ამტკიცებს უფრო თვალსაჩინო გარემოება. კოლხები, ეგვიპტელები და ეთიოპელები ერთადერთი ხალხია, რომელთაც მუდამ ჰქონდათ ჩვეულებად წინადაცვეთა. ფინიკიელები და პალესტინის სირიელები თვითონ ამბობენ, რომ ეს ჩვეულება ეგვიპტელებისგან მივიღეთო. მდ. თერმიდონტის და პართენიოს ნაპირებზე მცხოვრები სირიელები და მათი მეზობლები *მაკრონები* კი ამტკიცებენ, რომ დიდი ხანი არ არის რაც ეს ჩვეულება კოლხებისაგან მივიღეთო. აი, მარტო ამ ხალხებს აქვთ ჩვეულებად წინადაცვეთა... აი, კიდევ ერთი შენიშვნა, რომელიც ამტკიცებს კოლხებისა და ეგვიპტელების მსგავსებას: მხოლოდ ეგვიპტელები და კოლხები აკეთებენ ერთნაირად სელს, ყოფა-ცხოვრება და ენაც ერთმანეთისას უგავთ. კოლხურ სელს ელინები **სარდონულს** უწოდებენ, ხოლო რომელიც ეგვიპტიდან შემოდის, იმას **ეგვიპტურ სელსო**.

ჰეროდოტე თავისი დებულების დამტკიცებას აღნიშნული ხუთი მოსაზრების საფუძველზე ცდილობს. რასაკვირველია, ხალხთა გენიალოგიის რთული საკითხის დასაბუთება ამ სახის მონაცემებით არ შეიძლება, მაგრამ ჰეროდოტეს მსჯელობაში ჩვენთვის მნიშვნელოვანია საკითხის დასმა. საყურადღებოა, რომ ძვ.წ.ა. მე-V საუკუნის ისტორიოგრაფიაში კოლხებისა და ეგვიპტელების ნათესაობა ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენდა და მისი ახსნის ცდაც არსებობდა.

ჰეროდოტეს აღნიშნულ მტკიცებას სხვა მხრივაც აქვს მნიშვნელობა. ეგვიპტელებისა და ამიერკავკასიის უძველესი მოსახლეობის კულტურული ნათესაობის საკითხი ზოგიერთ თანამედროვე მეცნიერსაც აფიქრებს. მაგალითად ინგლისელი მკვლევარი **ფლინდერს პეტრი** ცდილობს დაამტკიცოს, რომ ძველი ეგვიპტელები ეგვიპტეში ამიერკავკასიიდან მოსული ხალხია. ამის დასასაბუთებლად, მისი აზრით, ეგვიპტეში შემონახული ერთი შესანიშნავი წყარო ე.წ. **მიცვალებულთა წიგნი** არსებობს. ეგვიპტეში მიცვალებულისათვის ლოცვა-ვედრების ტექსტის გატანება ჰქონდათ ჩვეულებად ისევე, როგორც ქრისტიანული დამარხვის წესში იყო მიღებული. მიცვალებულთა წიგნები არქაული დროიდან მომდინარეობს და უძველეს ცნობებს შეიცავს, აღნიშნული ტექსტების საფუძველზე პეტრი ადგენს, რომ ეგვიპტის უძველესი სამშობლო მთაგორიანი ადგილი უნდა ყოფილიყო და გეოგრაფიულ სახელწოდებათა ანალიზის შედეგად ეგვიპტელთა სამშობლოდ ამიერკავკასიას აზუსტებს (მან ეგვიპტურ მიცვალებულთა წიგნებში გამოავლინა გეოგრაფიული სახელწოდებანი: *იორი, თიანეთი* და სხვა).

ეგვიპტისა და ამიერკავკასიის უძველეს კულტურათა ურთიერთობის შესახებ არსებობს **ვაიდნერის** მიერ გერმანულ ენაზე დაწერილი ნაშრომი, რომელიც ერთ კერძო საკითხს არკვევს ეგვიპტისა და ამიერკავკასიის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. იგი ამტკიცებს, რომ ეგვიპტელებში აღმოჩენილი **სამარულო ეტლი** თავისი ფორმის მიხედვით ამიერკავკასიაში არსებულ განათხარ მასალებში დადასტურებული სამარულო ეტლის მსგავსია. ეგვიპტური სამარულო ეტლისათვის გამოყენებული ხის მასალა ამიერკავკასიიდან უნდა ყოფილიყო შეტანილი, რადგან მასალად ხის ისეთი ჯიში არის გამოყენებული, რომელიც სომხეთის ზეგნის სამხრეთით არ იზრდებაო.

როგორც ჩანს, ჰეროდოტეს მიერ დასმული საკითხი დღესაც აქტუალურია. ამიტომ ჰეროდოტეს მონაცემებისადმი ჩვენი ინტერესი განსაკუთრებით დიდია. საყურადღებოა ძველი ტრადიციებისადმი დამოკიდებულების საკითხიც. მას მოჰყავს მაგალითი იმის დასამტკიცებლად, რომ ხალხთა მიერ გამომუშავებული ტრადიცია ხანგრძლივად ცხოვრობს და გვიან ისპობა: „სპარსეთის მეფემ დაიბარა ბერძენთა და ინდოეთის ერთ-ერთი ტომის წარმომადგენლები. ინდოელები, იმხანად მათში არსებული წესის თანახმად, მიცვალებულებს სჭამდნენ, ხოლო ბერძნები – სწვავდნენ. სპარსეთის მეფე ორივე მხარეს დიდძალი ოქროს მიცემას დაპპირდა იმ შემთხვევაში, თუ ისინი თავიანთ ჩვეულებებს ერთმანეთში გასცვლიდნენ; მეფემ ორივე წარმომადგენლისაგან მტკიცე უარი მიიღო“. ჰეროდოტე, ამასთან დაკავშირებით, დასძენს: „ხალხი ურყევად და მტკიცედ იცავს თავის ძველ წესებსო“.

ჰიპოკრატეს (ძვ. წ. 460–377 წ.წ.), ჰეროდოტეს უმცროს თანამედროვეს, ექიმს, ხალხის ზნე-ჩვეულებათა ასახსნელად გარკვეული შეხედულებები

ვედრება
(მხატვარი ზ.წერეთელი)

ხამდგომთ-ხაწირავი
(მხატვარი ზ.წერეთელი)

ჰქონდა შემუშავებული. ჰიპოკრატე, როგორც ბუნებისმეტყველი, გეოგრაფიულ გარემოს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა: ხალხის ზნე-ჩვეულებებსა და ფიზიკურ თავისებურებას გეოგრაფიული მონაცემების მიხედვით ხსნიდა. ჰიპოკრატე აგვიწერს კოლხეთს და აღნიშნავს, რომ კოლხეთი ჭაობიანია, იქაური სახლები სვეტებზე დგას, მიმოსვლა სოფელსა და სოფელს შორის ნავებით წარმოებს. კოლხეთში მალარიაა გაბატონებული, ამიტომ ხალხი ყვითელი ფერისაა, ზანტი და შრომისუნარს მოკლებულია. ჰიპოკრატეს ცნობებში ჩვენ ფაქტები გვაინტერესებს. არ შეიძლება გავიზიაროთ ცნობა იმის შესახებ, რომ კოლხეთი თითქოს და მთლიანად ჭაობს წარმოადგენდა. სინამდვილეში კოლხეთის ჭაობიანი ზოლი შედარებით ვიწრო ფარგლებში იყო მოქცეული. ცნობილია, რომ კოლხეთი თავის დროზე ერთ-ერთი შესანიშნავი კულტურული ცენტრთაგანი იყო და მისი კულტურა იმდროინდელი ბერძნებისთვისაც იყო ცნობილი. ამას მოწმობს მაგალითად ლეგენდები პრომეთეს, არგონავტებისა და სხვ. შესახებ. ბერძნული ლეგენდები მიუთითებენ ლითონის დამუშავების, რკინის სახნავი იარაღებისა და ოქროს მოპოვების წესების გავრცელებაზე კოლხეთში. ცხადია, ამგვარი დაწინაურებული კულტურა არ შეიძლებოდა შექმნილიყო ჭაობიან ქვეყანაში. უნდა ვიფიქროთ, რომ ჭაობის დიდი ნაწილი ამოშრობილი და მდინარეების რეჟიმი მოწესრიგებული იყო. ამჟამად ცნობილია, რომ მდინარე რიონში სამჯერ მეტი ნალექია, ვიდრე მდინარე ნილოსში. თუ კი მდინარე ნილოსი მიჩნეულია ეგვიპტის ძველი კულტურის შექმნის ერთ-ერთ ფაქტორად, მდ. რიონი ამ აზრით, უფრო მეტად არის საყურადღებო.



ჰიპოკრატე

ჰიპოკრატეს დაკვირვება მალარიით დაავადებული ადამიანების მიმართ უთუოდ სწორია. თანამედროვე მედიცინის მტკიცების თანახმად, მალარიის პარაზიტები, სისხლში სპობენ წითელ ბურთულაკებს, რომლებიც ადამიანის ენერგიის აქტიურ აგენტს წარმოადგენენ.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა პერიოდში მიერ კოლხეთის ჭაობების ამოსაშრობად და ახალი მიწების ასათვისებლად გატარებული ღონისძიებები, კოლხეთს საქართველოს უმდიდრეს კუთხედ გადააქცევს.

ქსენოფონტი (ძვ. წ. 444–354 წ.წ.) ფილოსოფოსი, ისტორიკოსი და სამხედრო პირი. მის მრავალ ნაშრომთაგან ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა *„ანაბაზისი“*, რომელშიც მოთხრობილია ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ გაემართა ბერძენთა ჯარი სპარსეთის მეფის ტახტიდან ჩამოსაგდებად და ერთ-ერთი სამეფო დინასტიის წევრის გასამეფებლად. ბერძენთა ჯარი სპარსეთის საზღვარზე დამარცხდა და უკან გამობრუნდა, მაგრამ სხვა გზით. ახალი მარშრუტი გადიოდა იმ დროს ცნობილი ქართველი ტომების ტერიტორიაზე. ქსენოფონტე დაკვირვებული, თავის დროისთვის განათლებული პიროვნება იყო. ჯარის მოძრაობის დროს იგი ამ მარშრუტზე დასახლებულ ხალხებს აკვირდებოდა და მათ ზნე-ჩვეულებებსა და მატერიალურ კულტურას აღწერდა. მის ნაშრომში მოცემულია ცნობები სათანადო ტომების საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, ჩაცმულობის, ზნე-ჩვეულებებისა და რელიგიური წესების შესახებ. აღნიშნულია აგრეთვე არა მარტო ქართველ ტომებში არსებული სახლის სახეები, არამედ ნაგებობათა განლაგების წესიც. ამ მონაცემების

K 21272
4

საქართველო
პარლამენტ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხედვით ირკვევა ქართველი ტომების სამეურნეო ვითარებაც. ქსენოფონტეს ცნობით, სახლებში მათ შემონახული ჰქონიათ დიდი რაოდენობის პურეული. **მოსინიკებს** კი, ქართველების ერთ-ერთ ტომს – ზღვის ღორის ზეთი. საკვებად წაბლსაც იყენებდნენ. ქსენოფონტე აღნიშნავს, რომ მოსინიკების ბავშვები ჯანსაღად და მსუქნად გამოიყურებიან (აქვთ თეთრი კანი, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ მშობლები მათ გამოსაკვებად რაღაც განსაკუთრებულ საკვებს იყენებენო).

ქსენოფონტე

ქსენოფონტეს ნაშრომიდან ვგებულობთ, რომ ქართველ ტომებში ფართოდ იყო გავრცელებული **ხის კოშკების კულტურა**. მისივე ცნობით, ქართველთა ერთ-ერთი ტომის ჩვეულების თანახმად მათ მეფეს, ვიდრე მეფობდა, კოშკიდან ჩამოსვლის უფლება არ ჰქონდა. მას სანოვაგეს კოშკში აწვდიდნენ. იგი ტომის საქმეებს კოშკიდან მართავდა. თუ მეფე კარგად ვერ წარმართავდა ტომის საქმეებს, ტომის ყრილობა მეფეს გადააყენებდა და კოშკში სხვა მეფეს დასვამდა. ასევე იქცეოდნენ იმ შემთხვევაშიც, როცა მეფე მოხუცდებოდა და ხალხის საქმეების გარიგების უნარს ჰკარგავდა.

ქსენოფონტე კარგად აგვიწერს ქართველთა ეროვნულ სულისკვეთებას: „როცა ბერძნების ჯარმა მათი ციხე-სიმაგრე აიღო, დამარცხებულები ტყვედ ჩავარდნას კლდიდან გადავარდნასა და სიკვდილს ამჯობინებდნენ. ასე იქცეოდნენ არა მარტო მეომრები, არამედ ქალები, დედები, რომლებიც ბავშვებიანად კლდეზე იჩეხებოდნენ, ოღონდ მტერს არ ჩავარდნოდნენო“.

ამგვარად ქსენოფონტეს თხზულება შესანიშნავ წყაროს წარმოადგენს, რომელშიც ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებისთვის გამოსადეგი მასალები უხვადაა თავმოყრილი.

სტრაბონი (დაიბ. ძვ.წ. 64 წ. მიახლ. – გარდ. ახ.წ. 24 წ. მიახლ.) არის საყურადღებო თხზულების *„გეოგრაფია“*-ს ავტორი. ამ ნაშრომში თავმოყრილია ძველი კაცობრიობის შესახებ სტრაბონამდე არსებული ცნობები და ამასთან ავტორის პირადი დაკვირვებები. უნდა აღნიშნოს, რომ სტრაბონი ერთ-ერთი სანდო ავტორთაგანია, რომელიც ფაქტიურ მონაცემებს შემოწმებისა და კრიტიკული განხილვის შემდეგ იძლევა. განსაკუთრებით საყურადღებოა უტყუარი ცნობები საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიის შესახებ. ამას ხელს უწყობდა ალბათ ისიც, რომ სტრაბონი წარმოშობით ქართველ ტომთან იყო დაკავშირებული. იგი ქალაქ ამასიის მცხოვრები იყო. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მის ბიძას ქართული ტომების წარმომადგენლებთან ჰქონდა ურთიერთობა, მაშინ საფიქრებელია, რომ ამ გზითაც მოეპოვება მას საჭირო ცნობები.

სტრაბონი აგვიწერს **კოლხეთს, იბერიასა** და **ალბანეთს**, რომლებიც მაშინდელი ამიერკავკასიის სამ სახელმწიფოებრივ ერთეულს წარმოადგენდნენ. იგი განსაკუთრებული ყურადღებით გადმოგვცემს იბერიის ამბებს. აღსანიშნავია აღსაწერი მასალისადმი მისი მიდგომა. იგი ანსხვავებს იბერიის ბარის მოსახლეობას იბერიის მთის მოსახლეობისაგან. იბერიის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც მთაში ცხოვრობს ზნე-ჩვეულებითა და სამეურნეო ცხოვრებით გამოირჩევა ბარის მოსახლეობისგან.

სტრაბონის აზრით, იბერიის მთის ზნე-ჩვეულებანი *სარმატულს* ემსგავსება, ბარისა კი *ირანულს*. იბერიის მოსახლეობის ამგვარ დაყოფას ჩვენთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც აქ მოცემულია საქართველოს შემდგომ ისტორიაში მკვეთრად მოცემული ნიშანი. თანამედროვე ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც მთის ზოლში მცხოვრები ქართველები ზნე-ჩვეულების მიხედვით მკვეთრად განსხვავდებიან საქართველოს ბარის მოსახლეობისგან.

სტრაბონს აღწერილი აქვს იბერიის კ უ ლ ტ უ რ უ ლ ი ვ ი თ ა რ ე ბ ა. იგი წერს იბერიის მიწა-წყლის ბარაქიანობაზე, რომელსაც მრავალრიცხოვანი მოსახლეობის გამოკვება შეუძლია. ქალაქებში აქვთ ბაზრები, კრამიტით გადახურული არქიტექტურული შენობები, საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობები: აბანოები, საფუნდუკოები და სხვ. აქვე უნდა დავძინოთ, რომ სტრაბონის მიერ იბერიის აღწერის მონაცემები ბოლო ხანებში საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებულმა გათხრებმა დაადასტურა (მცხეთის მიდამოების გათხრები: სამთავრო, არმაზი, ბაგინეთი, არმაზისა და ბაგინეთის აბანო, კერამიკული ნაწარმი).

სტრაბონი იბერიის ს ო ც ი ა ლ უ რ შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა ს ა ც აღწერს. მას იბერიაში ოთხი გენე, ოთხი გვარი ეგულება, რაც კლასიკურ საზოგადოებას, კერძოდ, მონათმფლობელურ საზოგადოებას გულისხმობს. სტრაბონის ნაშრომში იბერების სარწმუნოების შესახებაც უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობები არის მოცემული. ირკვევა, რომ იმდროინდელ იბერიაში მოსახლეობის რელიგიის ძირითადი დამახასიათებელი რწმენა მნათობთა თაყვანისცემა იყო. კერძოდ, დიდად გავრცელებული ყოფილა *მთვარის*, როგორც ღვთაებისადმი მსახურება. სტრაბონის მონაცემები ანალოგიას პოულობს ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ქართლისა და კახეთის კერამიკული წარმოების ცენტრების სახით. თანამედროვე ეთნოგრაფიული მონაცემების შეხვედრა სტრაბონის ცნობებთან საყურადღებო მეცნიერული ღირებულების მქონე ფაქტია.

ეთნოგრაფიის განვითარების პირველ პერიოდში სხვა მნიშვნელოვან ავტორთა შორის, აგრეთვე, შეიძლება დასახელებულ იქნეს მწერალი და ისტორიკოსი **ტაციტუსი**. ტაციტუსი ახ. წელთაღრიცხვით მეორე საუკუნის ავტორია (დაახლ. ახ. წ. 55–117 წწ). მის კალამს ეკუთვნის მრავალი თხზულება, რომლებიც შეეხება იმდროინდელ ჩრდილოეთ ევროპის მოსახლეობას, კერძოდ გერმანელებს, აგრეთვე აღმოსავლეთის მოსახლეობას და სხვათა შორის კავკასიისა და მცირე აზიის ხალხებსაც.

ტაციტუსის შრომა გერმანელების შესახებ ეთნოგრაფიულად იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ამ ნაშრომის მიხედვით შეიძლება გაირკვეს გერმანელების იმდროინდელი საზოგადოებრივი წეს-წყობილება. ტაციტუსის მონაცემების საფუძველზე მტკიცდება, რომ გერმანია მატრიარქალური გვაროვნული წყობილების საფეხურზე იდგა. გარდა ამ ძირითადი ნიშნისა, მას, აგრეთვე, პატრიარქალური ხანის ელემენტებიც ჰქონდა შემონახული.

ტაციტუსის მონაცემების საფუძველზე დადგენილი ეს ორი დებულება შემდეგში ურყევად იყო მიჩნეული. მხოლოდ ნაცისტ ისტორიკოსების ტენდენციური მიდგომის შედეგად იყო იმის ცდა, რომ ტაციტუსის მონაცემები მიეჩნიათ არასწორად და ყალბად. მათ აკვიატებული ჰქონდათ ის აზრი, რომ გერმანელ ტომებს არასოდეს არ გაუვლიათ ისეთი საზოგადოებრივი განვითარების საფეხური, რომელიც მატრიარქალური საზოგადოების საკუთრებით ხასიათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება, ე.ი. მატრიარქალური გვაროვნული წყობილების საფეხური და თითქოს გერმანელ ტომებს ისევე, როგორც მთლიანად ნორდულ რასას, ახასიათებდა პატრიარქალური წყობილების არსებობა. ამიტომ მატრიარქალური ელემენტების მონაცემები ტაციტუსის შრომაში მათი შეხედულებით უნდა ყოფილიყო ფაქტების გაყალბება. ამ შეხედულების ტენდენციურობა იმთავითვე ჩანს, რამდენადაც ტაციტუსის მონაცემები საერთოდ, სხვა შემთხვევებშიაც, ზუსტ მონაცემებს წარმოადგენს და ამდენად გერმანელი ტომების შესახებ ტაციტუსის ცნობების გაყალბებასთან გვაქვს საქმე.

სხვა მასალებიდან, რომლებიც ტაციტუსის შრომებშია, შეიძლება მაგალითისათვის დასახელებულ იქნეს ერთი ცნობა, რომელიც იბერიასა და სომხეთის ყოფაცხოვრებისათვის დამახასიათებელ ფაქტს წარმოადგენს. ტაციტუსი ამოწმებს, რომ იმ დროს, როდესაც ბრძოლა წარმოებდა იბერიასა და არმენიას (სომხეთს) შორის, ომის დამთავრების შემდეგ იბერიისა და სომხეთის მეფეები დაზავდნენ. საზავო ხელშეკრულების ხელმოწერისას მეფეებმა მარჯვენა ცერები ურთიერთს მიადვეს, ცერებზე ღვედი შემოაკრეს, ცერების წვერში დაგროვილ სისხლს უჩხვლიტეს და რიგრიგობით ჯერ ერთმა, შემდეგ მეორემ ამოწუწნა ცერებიდან სისხლი. ეს წესი ხელშეკრულების სიმტკიცის მიზნით იყო შესრულებული, ვინაიდან ამგვარი წესის შესრულების შემდეგ ხელშეკრულება ურყევად უნდა ყოფილიყო შესრულებული და სამარადისოდ შენახული ორივე მხარის მიერ.

ეს წესი, ერთი შეხედვით, თითქოს უბრალო ცერემონიას წარმოადგენს. მაგრამ, თუ მას მეცნიერულ ანალიზს გაუკეთებთ, აღმოჩნდება რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს მეტად საყურადღებო ეთნოგრაფიულ მონაცემებთან. საქმე იმაშია, რომ ამგვარი და ამის მსგავსი წესი ხელშეკრულებისა და ფიცის დადების დროს, სხვა ისტორიულ და თანამედროვე ხალხებშიაც არსებობდა. მაგალითად, მცირე აზიის ხალხებში, ერთის მხრივ, და ჩრდილოეთ სკვითებში, მეორეს მხრივ. ამგვარი სიმტკიცის წესის არსებობა ძველთაგანვე დადასტურებულია ქართველებშიც. სკვითებში, მაგალითად ამგვარი წესი სრულდებოდა შემდეგი სახით: თასში ჩასხმულ რძეში ხელშეკრულების დამდები მოფიცარები ჩააწვეთებდნენ თავიანთ სისხლს და ამის შემდეგ ორივე მხარე თასიდან დალევდა რძეს. აქ, როგორც ხედავთ სისხლთან ერთად რძეც არის წარმოდგენილი, მაგრამ საქმის არსებითი ვითარება იმაში მდგომარეობს, რომ სისხლით ფიცი თავისი წარმოშობით ემთხვევა იმ დროსა და ხანას, როდესაც სისხლი საზოგადოებრივი წყობილების ერთ-ერთ მაკავშირებელ ფერმენტად იყო წარმოდგენილი. ამგვარი საზოგადოება ცნობილია გვაროვნული წყობილების სახით. ენგელსის მტკიცების მიხედვით, ის რაც გვაროვნულ საზოგადოებას კრავს, ის რაც გვარებს აკავშირებს ერთმანეთთან, არის სისხლით ნათესაობა და ამდენად სისხლის როლი და დაფიცებაში სისხლის მონაწილეობა განეკუთვნება გვაროვნული საზოგადოების ხანას და მისგან მომდინარეობს. რაც შეეხება იბერიისა და არმენიის მეფეების დაფიცებას, ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ გადმონაშთთან, რომელიც ძველი ხანიდან მომდინარეობს და ახალ ვითარებაში შემონახულ ფაქტს წარმოადგენს.

ამგვარად, ტაციტუსის მიერ დამოწმებული ფაქტი, თავისი წარმოშობით მომდინარეობს იბერიაში გვაროვნული საზოგადოების არსებობის ხანიდან. ასე, რომ ტაციტუსის დროს ეს ფაქტი გადმონაშთს წარმოადგენდა, რომელსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი შემოუნახია საზოგადოების განვითარების შემდგომ საფეხურზე. მაგრამ ეს ცოტაა, საქმე ის არის, რომ ამგვარი წესი დაფიცებისა არამცთუ იბერიის მე–II საუკუნის სინამდვილეში დასტურდება, არამედ გადმონაშთის სახით ეს წესი თითქმის ჩვენ დრომდე იყო მოღწეული. ჩვენ ვიცით, რომ კავკასიის მთის მოსახლეობაში რევოლუციამდე შემონახული იყო დაფიცების შემდეგი წესი: ლუდში ან არაყში დამფიცებლები ჩათლიდნენ ტყვიას ან კიდევ ჩააწვეთებდნენ სისხლს და მოფიცარები ასეთ შერეულ სასმელს დალევდნენ ფიცის სიმტკიცისათვის. როგორც ვხედავთ, დაფიცების წესი, რომელიც ჩვენს მთას შემოუნახავს შეცვლილი სახით, წარმოადგენს გადმონაშთს, რომელიც უკავშირდება თავისი წარმოშობით გვაროვნულ საზოგადოებას და, რომელიც იბერიის საზოგადოებას მეორე საუკუნეშიც გადმონაშთის სახით ჰქონდა შემონახული.

ამგვარი მნიშვნელობა და ახსნა აქვს იმ ფაქტიურ მონაცემებს, რომელსაც ჩვენ ტაციტუსი გვაძლევს.

როგორც ვხედავთ, ტაციტუსის შრომაში ჩვენ მრავლად მოგვეპოვება ეთნოგრაფიული მონაცემები, რომლებიც შეეხება სხვადასხვა ხალხთა ზნე-ჩვეულებებს და წარმოადგენენ ისეთ მასალას, რომელზედაც დაყრდნობით შეიძლება ეთნოგრაფიული სამეცნიერო კვლევა-ძიების წარმოება.

ამგვარად, ეთნოგრაფიის განვითარების პირველი პერიოდი ხასიათდება ორი ძირითადი მონაცემით. ამ ხანაში მოცემულია აღწერილობითი ხასიათის ეთნოგრაფიული მასალა, ისეთი მასალა, რომელიც ასახავს ხალხების ზნე-ჩვეულებებს, მათ მატერიალურ კულტურას, სოციალურ წყობას, სულიერ კულტურას და როგორც მასალა, ის გამოსაყენებელია მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის პირველ რიგში. მეორე ის, რომ ჩვენ აქ მოცემული გვაქვს რიგი ეთნოგრაფიული საკითხების დასმისა და მათი ჯეროვანი გადაწყვეტის ცდაც. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დასაწყისი ეთნოგრაფიის განვითარებისა ძველ აღმოსავლეთშია ჩაქსოვილი და ამდენად მისი ისტორიაც უძველესი აღმოსავლეთის ისტორიის საწყისებთან არის გადაჯაჭვული.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეთნოგრაფია თავისი განვითარების პირველ პერიოდში არ წარმოადგენს დამოუკიდებელ, ცალკე არსებულ სამეცნიერო დისციპლინას, არამედ იგი შერწყმულია სხვა დისციპლინებთან. ამგვარი დისციპლინები არიან: ისტორია, გეოგრაფია, რასათმცოდნეობა ანუ ანთროპოლოგია. ამ სამ დისციპლინასთან ერთად წარმოდგენილია ეთნოგრაფიაც.

*

* *

ეთნოგრაფიის განვითარების მეორე პერიოდი

იწყება მე-V საუკუნიდან და გრძელდება მე–XVIII საუკუნემდე, ე.ი. მოიცავს საშუალო საუკუნეებს ახალი ქვეყნების აღმოჩენიდან და შემდგომ პერიოდს. იმ ხანად მსოფლიო ისტორიულ სარბიელზე შემდეგი ღირსშესანიშნავი მომენტებია აღსანიშნავი. მე–V საუკუნე ცნობილია, **ხალხთა დიდი გადასახლების ხანად**. მოხდა ხალხთა გადაჯგუფებები, რომლებსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისტორიის განვითარებაში. ამავე დროს ეს საუკუნე საშუალო საუკუნეების დასაწყისის ხანაა. მეორე ღირშესანიშნავი

მომენტი ამ პერიოდისთვის არის **ქრისტიანობის გაბატონება**. ქრისტიანობა, თავისი ძირითადი მცნების მიხედვით ღაღადებდა: – წადით, იქადაგეთ და სიტყვიერი ქადაგების შემწეობით დაიპყარით ახალ-ახალი სულები. ეს მცნება, რომელიც თავისი შინაარსის მიხედვით სათნოების შემცველია, პრაქტიკაში ყოველთვის ხორციელდებოდა იარაღის გამოყენების გზით. ქრისტიანული რელიგიის გავრცელებას ერთ ხელში თუ სახარება ახლდა, მეორე ხელში იარაღი ეპყრა. მაგრამ ამ ექსპანსიას, ახალი ხალხების დაპყრობას ეთნოგრაფიისათვის ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მისიონერების შემწეობით იმდროინდელი კაცობრიობა ეცნობოდა ახალ ხალხებს, აფიქსირებდა მათ ზნე-ჩვეულებებს და ამგვარად გროვდებოდა მეტად საყურადღებო და დიდად მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული ფაქტები.

მესამე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ პერიოდში იყო **მუსლიმანობის გავრცელება**. ამავე საუკუნეებში მუსლიმანობამ მეტად დიდი ადგილი დაიჭირა. ის გავრცელდა უზარმაზარ ტერიტორიაზე, მან დაიპყრო მრავალი ხალხი და გაბატონდა თუ მეტი არა, ნახევარ სივრცეზე, რომელიც ქრისტიანებს იმხანად ეჭირათ. საყურადღებოა, რომ მუსლიმანური რელიგიის ძირითადი მცნება შეიცავდა მტკიცებას – ცეცხლითა და მახვილით დაიპყარით ახალ-ახალი სულებიო. ამ მცნებაში აშკარად იყო გამოსახული მებრძოლი მუსლიმანური რელიგიის არსი. უნდა ისიც აღინიშნოს, რომ მუსლიმანობის სწრაფ გავრცელებას ხელი შეუწყო შემდეგმა ვითარებამ: მუსლიმანური სახელმწიფოს ხელმძღვანელები უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ ორ გარემოებას. ერთი მხრივ, ყურადღება იქნა მიქცეული კომუნიკაციებზე, გზებზე, გზების გაჭრასა და გაყვანაზე. ვინაიდან მუსლიმანური სახელმწიფოს ხელმძღვანელებს გამომუშავებული ჰქონდათ შეხედულება იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს გაფართოებისათვის კარგი გზების არსებობას. ცნობილია, რომ მუსლიმანურ სახელმწიფოებს სამიმოსვლო გზა საუცხოოდ ჰქონდათ მოწესრიგებული. მანძილიდან მანძილამდე ცხენების შეცვლის წესი ამ საკომუნიკაციო ვითარებას ხელს უწყობდა. მეორე მხრივ, მუსლიმანურ სახელმწიფოებს კარგად ჰქონდათ დაყენებული ფინანსების საქმე, ხარკის აკრეფის წესი. აი, ამ ორმა გარემოებამ – კომუნიკაციების შემწეობით ყოველგვარი ახალი ცნობების მიღება, გზებისა და ტრანსპორტის მოწესრიგება, დროზე ჯარის გაყვანა და საფინანსო წესის ჯეროვნად მოგვარება – სხვა ვითარებასთან ერთად ხელი შეუწყო მუსლიმანურ სახელმწიფოს მუსლიმანური რელიგიის გავრცელებაში. აქაც, როგორც ქრისტიანულ რელიგიაში, ახალი მიმდევრების, მუსლიმანური სარწმუნოების გამზიარებლის გამრავლების ცდა იყო წამოწეული პირველ პლანზე და ამის საფუძველზე ხდებოდა ეთნოგრაფიული მასალების დაგროვებაც.

სხვათა შორის საკომუნიკაციო საკითხების მოგვარების საფუძველზე წარმოიშვა შესანიშნავი სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც ცნობილია **არაბული გეოგრაფიის** სახელწოდებით. არაბი გეოგრაფების თხზულებანი უაღრესად მნიშვნელოვანია ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებისათვის. მაგრამ ჯერ საქრისტიანო მსოფლიოში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის შესახებ.

იმ დროის გამოჩენილ მოღვაწეთა შორის აღსანიშნავია მე-VI საუკუნის მისიონერი-მოღვაწე, ალექსანდრიელი ბერძენი – **კოზმა ინდიკოპლევსი**, რომელმაც რამდენიმე ნაშრომი დაგვიტოვა. მის კალამს ეკუთვნის ორი წიგნი:

„ქრისტიანული ტოპოგრაფია“ და *„კოსმოგრაფია“*. ჩვენამდე მოაღწია პირველმა ნაშრომმა, ხოლო მისი მეორე ნაშრომის შესახებ შემონახულია ცნობები და ზოგიერთი ამონაწერები. მან იმოგზაურა ბიზანტიიდან დაწყებული ეგვიპტეზე გავლით აბაშეთში, ანუ აბისინიაში, რომელიც ქრისტიანულ სახელმწიფოს წარმოადგენდა (ქრისტიანობა აბაშელებს მიღებული აქვთ დაახლოებით იმავე წლებში, როდესაც გაქრისტიანდა იბერია) და აბაშეთიდან ის გაემგზავრა ინდოეთში. კოზმა ინდიკოპლევსის ნაშრომი სხვა მნიშვნელოვან ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია შემდეგი მონაცემების მიხედვით. იგი ადასტურებს, რომ ინდოეთში (ეს იყო წინა ინდოეთში) მოსახლეობის ორი ძირითადი ეთნიკური ფენაა მოცემული. ერთის მხრივ – *დრავიდები*, რომლებიც განეკუთვნებიან ინდოეთის ავტოხტონურ მოსახლეობას, აბორიგენ მოსახლეობას შეადგენენ, ხოლო, მეორე ფენა ინდოეთის მცხოვრებლებისა *ინდუსები* არიან, რომლებიც ინდოეთის ავტოხტონურ მოსახლეობას არ ეკუთვნიან, არამედ მოსულები არიან ამ ქვეყანაში. ეს მონაცემი კოზმა ინდიკოპლევსის შრომისა მისაღებია თანამედროვე მეცნიერების მიერ, რამდენადაც მართლაც გარკვეულია, რომ ინდოეთში მცხოვრები ინდოელები ინდოევროპული ჩამომავლობის ხალხია, რომლებიც დრავიდებთან შედარებით უფრო გვიან არიან მოსული ინდოეთის ტერიტორიაზე. მაგრამ კოზმა ინდიკოპლევსის ნაშრომს ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს არამარტო ამ მონაცემის მიხედვით, ამას მნიშვნელობა აქვს იმის გამოც, რომ ჩვენ მეექვსე საუკუნისათვის *კოზმა ინდიკოპლევსის* თხზულებაში ფიქსირებული გვაქვს ინდოეთში მცხოვრები ხალხების ზნე-ჩვეულებანი. რადგან მასალა დათარიღებულია (ისინი ეკუთვნიან მეექვსე საუკუნეს ჩვენი წელთაღრიცხვის შემდეგ) ამდენად, მეცნიერებას საშუალება ეძლევა ისტორიულ ხანაში წარმოადგინოს ეთნოგრაფიული მოვლენების მოძრაობა, მათი განვითარება.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ეთნოგრაფიაში წამოყენებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ დაღისტნელები თავიანთი კულტურის მონაცემების მიხედვით თითქოს ენათესავებიან დრავიდებს – ინდოეთის უძველეს მოსახლეობას. ამ თეორიის ავტორი არის **ჰანს პოლიგი**. იმისთვის, რომ დამტკიცდეს ამგვარი ნათესაობა კავკასიის ერთ-ერთ ძირითად განტოტებისა დრავიდებთან არ არის საკმარისი მარტოდმარტო შედარებულ იქნეს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მოცემული ფაქტები, ვინაიდან დამთხვევა შესაძლებელია იყოს შემთხვევითი. თუკი გამართლდებოდა შეხედულება დრავიდებისა და დაღესტნელების ნათესაობის შესახებ, ამისთვის უნდა იყოს გარკვეული ეთნოგრაფიული მოვლენების დამთხვევა ისტორიულ ჭრილშიაც, ე.ი. ეთნოგრაფიული მოვლენები დადასტურებული თანამედროვე ვითარებაში, უნდა შეედაროს იმ ვითარებასთან, რომელიც წინა საუკუნეებში არსებობდა; ვთქვათ VI და X საუკუნეში როგორი მსგავსება არის კულტურის ელემენტებისა ორ შესადარებელ ხალხში. ამ მხრივ დაუფასებელ მასალას წარმოადგენს კოზმა ინდიკოპლევსის მონაცემები. მკითხველს საშუალება ეძლევა მე-VI საუკუნის ეთნოგრაფიული ვითარება შეადაროს იმ ხალხს, რომელთანაც ნათესაობა არის პრობლემად დასმული. თუ ამგვარი მუშაობა არ იქნება შესრულებული, ამის გარეშე გენეზისის საკითხის, ჩამომავლობის საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელი იქნება. ამიტომ ჰანს პოლიგის შეხედულებას ეს ძირითადი ნაკლი ახასიათებს და მისი თეორია დაუსაბუთებულ მოსაზრებად ჩანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა ავტორებიდან, რომლებიც ამხანად ჩვენი ყურადღების ორბიტაშია არიან მოქცეული, ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ ისეთი ავტორები როგორებიც არიან **პლანო კარპინი, რუბრუკი, მარკო პოლო,** XIII საუკ. და XIV საუკუნის მიჯნაზე მცხოვრები მოღვაწეები. ყველა ამათ ახასიათებთ ის, რომ ისინი მისიონერობდნენ, მოგზაურობდნენ თუ ვაჭრობდნენ შუა და შორეულ აღმოსავლეთში, ევროპიდან იქნენ გაგზავნილი, ერთი შეხედვით მისიონერული და სავაჭრო მიზნით, სინამდვილეში კი წარმოადგენდნენ იმდროინდელი ევროპული სახელმწიფოების აგენტებს, რომლებსაც უნდა მოეპოვებიათ ცნობები ისტორიულ სარბიელზე გამოსული ხალხების შესახებ, თუ რას წარმოადგენენ ისინი, რა ზნე-ჩვეულებების პატრონი იყვნენ, რა ძალის მქონე, როგორი საზოგადოებრივი წყობილება ჰქონდათ და სხვა.

ეს ავტორები ჩვენთვის საყურადღებონი არიან იმიტომაც, რომ მონღოლეთში წასვლისას ისინი ზზად გაივლიდნენ კავკასიასაც, კერძოდ, საქართველოს და ამდენად, ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ვითარებაც აქვთ მოცემული. მათ თხზულებებში ჩვენ ვპოულობთ ცნობებს კახეთის შესახებ, კერძოდ, კახეთში საუკეთესო ჯიშის ცხენები ყოლიათ, ამზადებდნენ საუკეთესო ქსოვილს აბრეშუმისას. ვიგებთ აგრეთვე თუ რა საქონელი გაჰქონდათ საქართველოდან და სხვა.

მაგრამ ყველაზე უფრო მეტად მათ ნაშრომებში აღწერილია ის ზნე-ჩვეულებები, რომელიც შუა აზიის ხალხებს ახასიათებდა, ხოლო *მარკო პოლოს* ნაშრომში შორეული აღმოსავლეთის და სამხრეთ აღმოსავლეთის ხალხების ზნე-ჩვეულებებიც არის ფიქსირებული.

მარკო პოლო

მონღოლეთის შესახებ, ამ სამი ავტორის თხზულებაში, ჩვენ მრავალ ეთნოგრაფიულ მასალას ვპოულობთ. პლანო კარპინის აქვს აღნიშნული ერთი ჩვეულება, არსებული მონღოლების ხანების კარზე. კარპინი ამბობს რომ ელჩების მიღების წინ მონგოლები სწვავდნენ ძვლებს და ძვლისგან დარჩენილი ფერფლის მიხედვით არკვევდნენ თუ რა შეხედულებისა უნდა ყოფილიყვნენ ელჩები და რა გადაწყვეტილებების მიღება იყო სავარაუდებელი. ამგვარი ჩვეულება ძვლებით მკითხაობისა შემონახული არის ქართველ-კავკასიელ ხალხებშიც იმ განსხვავებით, რომ აქ სამკითხაო ძვალს *ბეჭის ძვალი* წარმოადგენს. ბეჭზე მკითხაობის გავრცელებული სახე საქართველოს მთიელებშიც არის დამოწმებული და შეიცავს საყურადღებო დეტალებს, რომლებიც ამ ხალხის ძირითად მეურნეობასთან არის დაკავშირებული, მესაქონლეობასთან, ვინაიდან ბეჭზე მკითხავი ამოიკითხავს *დაწერილს*, როგორც ადამიანთა ბედის, ისევე საქონლის ბედის შესახებაც; ბერწიანობა-გამრავლების მაჩვენებლების ამოკითხვაც ბეჭის მიხედვით ხდებოდა. კარპინის მიერ დამოწმებული ჩვეულება ანალოგს პოულობს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახულ წესებში და ამდენად საყურადღებოა მისი მონაცემები.

საინტერესოა მარკო პოლოს თავგადასავალიც. იგი გაემგზავრა ვენეციიდან მონგოლეთში. მონგოლებთან კარგად იყო მიღებული და დიდი სახელიც მოიპოვა. ხანგრძლივი ცხოვრების შედეგად მსახურთა ყოფის მრავალი მხარე შეისწავლა. მონგოლებიდან მარკო პოლო გაემგზავრა ჩინეთს. ხოლო ჩინეთიდან

ინდოეთზე გამოვლით და ხმელთაშუა ზღვის მეშვეობით დაბრუნდა თავის ქვეყანაში. იმ ხანად სწარმოებდა ომი ვენეციასა და გენუას შორის. მარკო პოლო ტყვედ მოხვდა გენუელებთან და ციხეში ჩასვეს. ციხეში ის ციხის ამხანაგებს მოუთხრობდა მის მიერ ნახულის შესახებ შუა და შორეულ აღმოსავლეთში. მისი მონათხრობის მიხედვით ამხანაგებმა ჩანაწერები გამოაქვეყნეს. ეს ჩანაწერები წარმოადგენენ ერთადერთ დედანს მარკო პოლოს მოგზაურობისას. ერთ ხანს მარკო პოლოს მონათხრობი მიჩნეული იყო გამოგონებად, ფანტაზიად. ამბობდნენ, რომ ყველაფერი, რაც მარკო პოლოს მოგზაურებაში არის მოთხრობილი არ შეეფერება სინამდვილეს. მაგრამ რაც დრო გადიოდა, თანდათან რწმუნდებოდნენ, რომ მარკო პოლოს მოგზაურობის შთაბეჭდილებანი შეიცავდნენ მრავალ ღირშესანიშნავ ეთნოგრაფიულ მასალას, შუა და შორეულ აღმოსავლეთის ხალხების სინამდვილის შესახებ. ამჟამადაც მარკო პოლოს მონაცემები ერთადერთი წყაროა, რომელიც XIV საუკუნისათვის იძლევა იმ ვითარების ფიქსაციას, რომელიც ზნე-ჩვეულების სახით, შუა აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ხალხებს ახასიათებდა.

ეს საქრისტიანო ქვეყნებისა და სამისიონერო მოღვაწეობის ხაზით. რაც შეეხება მუსლიმანურ ქვეყნებს, როგორც წინ ავღნიშნეთ, ამ ქვეყნებში გამომუშავდა მეცნიერების შესანიშნავი დარგი – **გეოგრაფია**, რომლის წარმომადგენლები სწერდნენ შრომებს იმ დროს მათვის ცნობილი ქვეყნების შესახებ. ამ ნაშრომებში გეოგრაფიულ ცნობებთან ერთად, მოცემულია უხვი ეთნოგრაფიული ხასიათის მასალაც. ამათგან ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ ისეთი ავტორები, როგორიცაა X საუკუნის მწერალი, გეოგრაფი **ისთახრი, ჰედრიზი** და სხვა.

ისთახრის თხზულებაში აღწერილია საქართველოს, ჩრდილოეთ კავკასიისა და ვოლგისპირეთის მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებები. იმ ტერიტორიაზე, რომელიც დღეს ხევსურს უჭირავთ ისთახრის დასახლებული ჰყავს მკვიდრი ხალხი, რომლებსაც **ყარა-ყალღანებს** ეძახის. ეს ცნობა ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია, რამდენადაც ყარა-ყალღანი ქართულად შეიძლება ითარგმნოს, **შავ-ფარიან ხალხად**. თუ ჩვენ გავითვალისწინებთ ხევსურების თანამედროვე სინამდვილეში მოცემულ შეიარაღებას და იმ როლს, რომელიც შეიარაღებაში ფარს უჭირავს (რკინიდან დამზადებულ შავ ფერად გამომზირალი ფარი ხევსურისა), მაშინ ჩვენთვის ისთახრის ცნობა ნიშანდობლივი იქნება და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყარა-ყალღანების ქვეშ ხევსურები არიან სავარაუდებელი. ამდენად თუ ეს მოსაზრება გამართლდებოდა, მაშინ ჩვენ გვექნებოდა გარკვეული ერთი თარიღი X საუკუნე და ხევსურების არსებობა ამ დროიდან მოცემულ ფაქტად შეიძლება ყოფილიყო აღიარებული. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ხევსურები ქართული წყაროების მიხედვით მხოლოდ XVI საუკუნიდან იხსენებიან, ისთახრის ცნობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

მეორე შესანიშნავი არაბი გეოგრაფი ჰედრიზი არის ავტორი „მსოფლიო გეოგრაფიისა", რომელიც იძლევა იმდროინდელი კაცობრიობის განსაკუთრებულ ეთნოგრაფიულ აღწერილობას გიბრალტარის სრუტიდან დაწყებული ჩინეთამდე. ესა და სხვა ავტორები, არაბი და სპარსი გეოგრაფები, IX საუკუნიდან დაწყებული XV საუკუნის ჩათვლით, გვაწვდიან მეტად საყურადღებო ეთნოგრაფიულ ცნობებს სხვადასხვა კუთხისა და ხალხების შესახებ.

ამგვარი იყო ის ვითარება, რომელსაც ეთნოგრაფიის განვითარების მეორე პერიოდში ჰქონდა ადგილი.

*
* *

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთნოგრაფიის განვითარების მე-3 პერიოდი

ამ პერიოდში შესანიშნავ მოვლენებს ჰქონდა ადგილი. როგორიცაა: **ახალი ქვეყნების აღმოჩენა, ყიბლანის ანუ კომპასის** და **სტამბის გამოგონება**. ამ ახალმა აღმოჩენებმა, ერთის მხრივ, შეჰქმნეს ისეთი პირობები ყიბლანთან დაკავშირებით, რომ გეოგრაფია ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ცალკე დამოუკიდებელ დისციპლინად, მეორე მხრივ, ახალი ქვეყნების აღმოჩენა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო ეთნოგრაფიის ისტორიისათვის. ამერიკის აღმოჩენამ სრულიად ახალი მასალა შესძინა ეთნოგრაფიას უცნობი ხალხების შესახებ. ახალი ხალხების ზნე-ჩვეულებათა შესასწავლად დაიწყო მასალების შეგროვება.

როგორც ვიცით, ახალი ქვეყნების აღმოჩენა დაკავშირებული იყო ევროპაში სავაჭრო კაპიტალის განვითარებასთან, XV საუკუნის დასასრულს. პირველი ინტერესი, რომელსაც ევროპელები იჩენდნენ ახლად აღმოჩენილი ქვეყნების მიმართ, ეს იყო დაინტერესება არა იმ ადამიანებით, რომლებიც ამ ახლად აღმოჩენილ ქვეყნებში ცხოვრობდნენ, არამედ იმ სიმდიდრით, რომლებიც ამ ქვეყნებში იყო. პირველად სავაჭრო კაპიტალს აინტერესებდა ოქროს, ვერცხლის, ძვირფასი საგნების გამოზიდვა ამერიკიდან თუ სხვა ახლად აღმოჩენილი ქვეყნებიდან. იქ მცხოვრები ადამიანი კი მათთვის წარმოადგენდა კურიოზულ მოვლენას, მათთვის იშვიათ ცხოველს, რომელიც ტყეში ცხოვრობდა და სრულიად დაცილებული იყო იმ ცხოვრების წესისგან, რომელიც იყო ევროპაში. დაინტერესება ამერიკელ „წითელკანიანი" ადამიანით იყო დაინტერესება კურიოზით, როგორც იშვიათი მოვლენით. უნდა ითქვას, რომ ამ ინტერესის საფუძველზედაც კი, XVI–XVII საუკუნეებში, შეიქმნა მდიდარი ლიტერატურა, რომელშიაც მრავლად არის დაგროვილი ეთნოგრაფიული მასალა და ამ ლიტერატურას ეწოდება სახელად *კურიოზული ლიტერატურა*.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტამბის გამოგონების მეშვეობით, ასეთი ლიტერატურა ფართოდ გავრცელდა და წამოიჭრა მეტად მნიშვნელოვანი პრინციპული ხასიათის საკითხებიც.

ევროპის იმდროინდელი სამეცნიერო წრეები ადამიანის წარმოშობის შესახებ ამოდიოდნენ იმ შეხედულებიდან, რომელიც ბიბლიაში იყო მოცემული და რომელსაც ქრისტიანული რელიგია სავსებით იზიარებდა. ამ შეხედულების მიხედვით, ადამიანი გააჩინა ღმერთმა პირველი წყვილის სახით, და ადამისა და ევასაგან მომდინარეობს კაცობრიობა. ამერიკელი ადამიანის აღმოჩენის შემდეგ დაიბადა საკითხი: „წითელკანიანი" ამერიკელი რა ურთიერთობაში უნდა იყოს იმ ადამიანთან, რომელიც ადამისა და ევასაგან მომდინარეობს. დაისვა საკითხი, თანამედროვე სამეცნიერო ენით რომ ვთქვათ, ადამიანის მონოგენური და პოლიგენური წარმოშობის შესახებ.

თეოლოგიური, საღვთისმეტყველო მოღვაწეების მიხედვით, ამერიკელი ადამიანი, რომლის არსებობა არ ეთანხმებოდა ბიბლიიდან მომდინარე შეხედულებას, არც ითვლებოდა ადამიანად. ამერიკელი ადამიანი თავისთავად არ არის ღვთის ნასახი, ადამისა და ევასაგან მომდინარე ადამიანი. ის არის ცხოველთა საფეხურზე მდგომი არსება. აი ასეთ შეხედულებას ავითარებდნენ

და ასეთი შეხედულების საფუძველზე, ამერიკაში, ევროპელი კოლონიზატორები ნადირობდნენ „წითელკანიანებზე“ ისევე, როგორც ადამიანი ინადირებს მხეცებზე და ცხოველებზე. კიდევ მეტი, ამ ნადირობასთან ერთად, ნანადირევი ადამიანის ყურებს წნილად დებდნენ და ქილებით გზავნიდნენ ევროპაში, იმის საჩვენებლად, რომ ამდენი და ამდენი „მხეცი“ მოვკალიო.

ასეთი ვითარება იყო შექმნილი ასი წლის მანძილზე. ამერიკის აღმოჩენიდან 150 წლის გასვლის შემდეგ, საგანგებო დადგენილებით, რომის პაპი გრეგორ მე-3 ბულით იქნა აღიარებული, რომ ამერიკელი ადამიანიც ადამიანია, ისიც ღვთის ნასახია და იმათი დახოცვა ისეთივე ცოდვა არის, როგორც ევროპელი ადამიანისა. ასეთი შეხედულება გვიან დამკვიდრდა იმდროინდელ საზოგადოებაში. მაგრამ მიუხედავად ამისა მეცნიერი მოგზაურები, ვაჭრები პირველ რიგში, შემდეგ მისიონერები რომლებიც ცდილობდნენ გაევრცელებინათ ქრისტიანობა ახლად დაპყრობილ ქვეყნებში, მრავალ ეთნოგრაფიულ მასალას აგროვებდნენ ამერიკაში და არა მარტო ამერიკაში, არამედ სხვა ქვეყნებშიც, რომლებიც აღმოჩენილ იქნა XV საუკუნიდან XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე. ასეთ ქვეყნებს შეადგენდნენ ავსტრალია, ოკეანეთი და სხვა. და არა მარტო ამ ახლად აღმოჩენილი ქვეყნების შესახებ შეგროვდა ეთნოგრაფიული მასალა, არამედ კიდევ უფრო მეტი ეთნოგრაფიული მასალა დაგროვდა ისეთი ხალხების შესახებ, როგორც იყვნენ ჩინელები და შუა აზიის, არქტიკის ხალხები. ყველა ასეთი მასალის დაგროვების შედეგად წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, თუ კულტურული ვითარება, განვითარების ის დონე, რომელზედაც ეს ხალხი იმყოფება, როგორ ურთიერთობაში უნდა იქნეს განხილული ევროპის ხალხთა კულტურასთან შედარებით.

მაშინდელი ფილოსოფოსები უაღრესად დაინტერესებული იყვნენ ამ საკითხით. **ჰობსი**, შემდეგ **რუსო, მონტესკიე** და სხვები, ამ საკითხს თავს დასტრიალებდნენ და თავიანთი აზრი არა ერთხელ გამოუთქვამთ. კერძოდ, ჰობსის შეხედულება პრიმიტიული განვითარების საფეხურზე მყოფი ხალხების შესახებ შემდეგგვარი იყო: ადამიანის განვითარების ადრინდელ საფეხურზე ადამიანს ახასიათებს ურთიერთისადმი მტრობა, უნდობლობა, ომი. ეს დებულება მას გამოხატული ჰქონდა ლათინური დებულებით: „Homo homini lupus est“. ეს არის ძველი ლათინების გამოთქმა, რაც ნიშნავს „ადამიანი ადამიანისათვის მგელია“ ე.ი. ადამიანი ადამიანის მტერია. ჰობსის შეხედულებით განვითარების ამ ადრინდელ საფეხურზე ადამიანი მუდმივი ომისა და მტრობის საფუძველზე ავითარებს თავის კულტურას. და რომ ეს საფეხური წარმოადგენს მეტისმეტად არასასიამოვნო საფეხურს კაცობრიობის განვითარების ისტორიაში.

სულ სხვა, ამის საწინააღმდეგო შეხედულებას ანვითარებდა **რუსო**. *ჰობსი* ცხოვრობდა XVII საუკუნეში, ხოლო რუსო ერთი საუკუნის შემდეგ, XVIII საუკუნეში. რუსო ანვითარებდა იმ შეხედულებას, რომ ადამიანის განვითარების ადრინდელი, პირველი საფეხური წარმოადგენდა სამოთხეს, რადგან ადამიანის მდგომარეობა მაშინ ბუნებრივ პირობებზე იყო დამოკიდებული და ამდენად მოკლებული ხელოვნურობას. ეს ისეთი მდგომარეობაა, რომლისკენაც ჩვენ განვითარების მაღალ საფეხურზე მყოფი ხალხები უნდა მივისწრაფოდეთ. კიდევ მეტი, რუსო იმასაც



ჟ. რუსო

ამბობდა, რომ თანამედროვე ევროპის კულტურა გადახვევაა ბუნებრივი განვითარებისაგან, იგი ხელოვნურ მონაცემებში, ხელოვნურად შექმნილი ვითარება არისო. რუსო მოუწოდებდა თავისი დროის მოწინავე კაცობრიობის ნაწილს, – უნდა მივისწრაფოდეთ ბუნებრიობისაკენ.

აი, ამგვარი ორი სხვადასხვა შეხედულება არსებობდა იმ მასალების მიმართ, რომლებიც ეთნოგრაფიამ დააგროვა განვითარების ამ პერიოდში. ერთი იყო ის ვითარება, რომელიც შეიქმნა ადამიანის წარმოშობის საკითხში ახალი ქვეყნების აღმოჩენასთან დაკავშირებით, მეორე კი, თუ როგორ უნდა შეეხედოთ ჩვენ პირველყოფილ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს.

ამის გვერდით წარმოებდა ზუსტი შედარებითი, მეცნიერული კვლევა-ძიება მოპოვებული მასალის გარშემო. ამ პერიოდში შეიქმნა შესანიშნავი ნაშრომები, რომლებიც ააზრიანებდნენ ახლად მოპოვებულ მასალას და ცდილობდნენ, რომ ამ მასალისათვის ზოგად საკაცობრიო განვითარების პროცესში თავისი ადგილი მიეჩინათ. მართლაც XVIII საუკუნის პირველ ნახევარში შესანიშნავი ფრანგი მეცნიერი **იოსებ (ჟოზეფ) ლაფიტო**, მისიონერი პროფესიით, ამერიკაში საგანგებოდ სწავლობს ამერიკელი „წითელკანიანების" ყოფა-ცხოვრებას. 5 წლის მანძილზე ის ცხოვრობდა იროკეზებში (რომლებიც მორგანმაც შეისწავლა 100 წლის შემდეგ) და სწავლობს მათს ენას. აგრეთვე ახერხებს კორესპოდენტების ქსელის შექმნას ამ ტომების ტერიტორიაზე და ამგვარად, მეტად საყურადღებო, მეცნიერულად შემოწმებულ ეთნოგრაფიულ მასალას უყრის თავს. შეგროვებული მასალის ანალიზის საფუძველზე, ის მიდის მეტად შესანიშნავ დებულებამდე. ადგენს, რომ განვითარების ის საფეხური, რომელზედაც ამერიკელი წითელკანიანები იმყოფებოდნენ მაშინ (XVIII საუკუნის პირველ ნახევარში), არის განვითარების ის საფეხური, რომელიც განვლეს საბერძნეთისა და რომის ხალხებმა ადრინდელ ძველ ეპოქაში. აი, ეს შესანიშნავი დებულება, XVIII საუკუნეში მოპოვებული წარმოადგენს იმ დასაყრდენს, ქვაკუთხედს ეთნოგრაფიული მეცნიერებისათვის, რომელიც შემდეგში გაიშლება, გაფართოვდება და ამ დებულების საფუძველზე 100 წლის შემდეგ, ეთნოგრაფია ჩამოყალიბდება, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა.

მართლაც ეს დებულება უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. თუ მივიღეთ ის დებულება, რომ განვითარების ადრინდელ საფეხურზე მყოფი ხალხი, ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მოცემული, წარმოადგენს ძველად განვლილი საფეხურის ნიმუშს, ამის საფუძველზე მკვლევარს ეძლევა საშუალება კაცობრიობის ადრინდელი კულტურის შესწავლა მოახდინოს, დღევანდელი განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი ხალხების მონაცემების მიხედვით. ამით მეორე შესანიშნავი მიღწევაც იქნა მოპოვებული. საქმე ისაა, რომ ჩამორჩენილი კულტურის საფეხურზე მყოფი ხალხების შესწავლა ზოგადი საკაცობრიო კულტურის დასადგენად აუცილებელი ხდება. მაშასადამე, კაცობრიობის კულტურის ისტორიის შესწავლა შეუძლებელია თუ არ იქნა შესწავლილი კულტურის დაბალ საფეხურზე მყოფი ხალხები. ეს კი XVIII საუკუნის პირველი ნახევრის მონაპოვარია, ლაფიტოს შრომის შედეგად მიღებული და ამდენად ამ საფეხურისათვის ერთადერთი შესანიშნავი მიღწევა, რომელიც ეთნოგრაფიას აქვს.

მაგრამ ამასთან ერთად უნდა ითქვას შემდეგიც. ლაფიტოს შრომაში არამარტო ეს დებულება არის შესანიშნავი. საყურადღებო არის ისიც, რომ ლაფიტოს შრომაში უკვე ჩასახულია **შედარებითი მეთოდის** სისტემაც,

რომელიც აშკარავდება იმის საფუძველზე, რომ ეროკეზების ეთნოგრაფიულ-სინამდვილეს ლაფიტო ადარებს ძველი ბერძნებისა და რომაელების ეთნოგრაფიულ სინამდვილეს და შედარებითი მეთოდის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. მაშასადამე, ეს მეორე მონაპოვარიც ლაფიტოს შრომისა მნიშვნელოვანია, რამდენადაც დღესაც თანამედროვე ეთნოგრაფია შედარებითი მეთოდის გამოყენებაზე არის დამყარებული და შედარებითი მეთოდის გარეშე კვლევა-ძიება დღესაც წარმოუდგენელია.

XVIII საუკუნის მანძილზე ლაფიტოს გარდა იყვნენ სხვა მეცნიერებიც, რომლებიც ამგვარ წმინდა მეცნიერულ კვლევა-ძიებას აწარმოებდნენ. კერძოდ, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა, აგრეთვე, ფრანგი მეცნიერი *ბროსე**, *პაპა მარი ბროსესი*, რომელიც საქართველოს ისტორიის მკვლევარი იყო და შესანიშნავი შრომები დასტოვა საქართველოს ისტორიოგრაფიაში. ამ ბროსეს (პაპამ) დაწერა ნაშრომი შემდეგი სათაურით: „*ფეტიშები, განხილული ძველი ეგვიპტის რელიგიური მონაცემებისა და აფრიკის ზანგების რელიგიური მონაცემების საფუძველზე*". ამ ნაშრომის სათაურიდან უკვე ჩანს, რომ აქ უკვე შედარებითი მეთოდია გამოყენებული. ფეტიშების შესახებ არსებულ მასალას, იმ დროს ზანგების რელიგიაში დამოწმებულს, ის ადარებს ძველი ეგვიპტის რელიგიაში მოცემულ მასალას და ამის საფუძველზე გამოყავს დასკვნა. ეს უკვე შედარებითი მეთოდის გამოყენების დამადასტურებელია და ამდენად მისი ნაშრომი ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების დარგში.

ამგვარად, ეთნოგრაფიის განვითარების მესამე პერიოდში ჩვენ უაღრესად მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული მონაცემები გვაქვს, რომლებიც მიუთითებენ ეთნოგრაფიის განვითარების ახალ საფეხურზე და მისი წინსვლის ახალ ეტაპებს იძლევიან.

ეთნოგრაფიის განვითარების მესამე პერიოდი გრძელდება 1859 წლამდე. XIX საუკუნის პირველი ნახევარი ღირსშესანიშნავია მრავალი ფაქტორით. ეს ფაქტორები ძირითადად შემდეგი ხასიათისაა; საფრანგეთის რევოლუციის დამარცხების შემდეგ გაბატონდა რეაქცია. ამ პერიოდში აღინიშნება ნაპოლეონის ექსპანსიური ომები ევროპასა და აფრიკის ტერიტორიაზე. ამასთან დაკავშირებით წინათ პოლიტიკური ცხოვრებით დაინტერესებული ინტელიგენცია მეცნიერების სფეროში ეძებს თავისი მუშაობის ძირითად საყრდენს. სწორედ ამის შემდეგ იწყება შესანიშნავი მოვლენები XIX საუკუნის პირველ ნახევარში. იქმნება ახალი სამეცნიერო დისციპლინა, რომელსაც ეწოდება სახელად **ორიენტალისტიკა** ანუ **აღმოსავლეთმცოდნეობა**. ამ მეცნიერების შესანიშნავი წარმომადგენლები არიან **სენ-შარტენი, დიუბუა, ლენორმანი,** რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს აღმოსავლეთის ძველი კულტურის კვლევა-ძიებას (ძველი ეგვიპტე, ბაბილონი, ასურეთი, მესოპოტამია, კოლხეთი). ამ კვლევა-ძიებასაც თავისი მნიშვნელობა ჰქონდა ეთნოგრაფიის განვითარებისათვის. მეორე მხრივ, იმავე პერიოდში წარმოებდა არქეოლოგიური გათხრები და აღმოჩნდა, რომ ევროპის მიწის წიაღში არის შემონახული კულტურის ისეთი მაჩვენებლები, იარაღები, რომლებიც ეკუთვნიან კაცობრიობის განვითა-

---

* იგულისხმება ნ. მარის წინამორბედი, ფრანგი ისტორიკოსი შარლ დე-ბროსეს (1709-1777). აღნიშნული ნაშრომი დაიწერა 1760 წ. "Du culte des dieux fetiches", იხ. Энциклопедический словарь Д.А.Брокгауз, И.А.Ефрон. с. Петербург, 1801, გვ. 730 [ოც.].

რების ადრინდელ საფეხურს – ქვის ხანას. ამით ლაფიტოს შეხედულება კიდევ ერთხელ გამართლდა. მიწის წიაღიდან ამოღებულმა იარაღებმა დაადასტურეს, რომ ევროპასაც ისეთი საფეხური გაუვლია, რომელზედაც ამჟამად ზოგიერთი ხალხი იმყოფება.

მესამე, ღირშესანიშნავი მომენტი გახლდათ ის, რომ ნაპოლეონის ომებთან დაკავშირებით, რომლებსაც იგი აწარმოებდა აფრიკაში, გამოზიდულ იქნა დიდძალი სამეცნიერო ღირებულების კოლექცია და ის შესანიშნავი მსოფლიო მნიშვნელობის მუზეუმი, რომელსაც *ლუვრი* ეწოდება, სწორედ იმ დროს არის შექმნილი. როგორც ცნობილია, აფრიკის კომპანიაში ნაპოლეონს თან ახლდა მეცნიერებიც (ასეთი გამოთქმაც კი არის დარჩენილი თითქოს ერთ-ერთი შეტევის დროს ნაპოლეონს ბრძანება გაუცია: „ჯარისკაცებო! მეცნიერები და სახედრები უკან", – რომ არ დახოცილიყვნენ). ფრანგი მეცნიერები იყვნენ აფრიკაში, ეგვიპტეში და აფრიკის სიძველეებით დიდად იყვნენ დაინტერესებულნი. ამ ეპოქაში მოხდა ის დიდმნიშვნელოვანი ფაქტი, როცა იეროგლიფური დამწერლობა, რომელიც ძველ ეგვიპტეში იყო ხმარებაში, ამოშიფრულ და წაკითხულ იქნა **შამპალიონის** მიერ. კიდევ მეტი, იმავე ხანებში იქნა ამოშიფრული ლურსმული დამწერლობა **გროტეფენდის** და **რაულინსონის** მიერ. ეს ორი მოვლენა დიდად საყურადღებო მნიშვნელობისა იყო კულტურის ისტორიის კვლევისათვის.

ვიდრე ამოშიფრებოდა ეს ორი დამწერლობა, კულტურის ისტორიას იწყებდნენ საბერძნეთისა და ფინიკიელთა დამწერლობით ცნობილი ისტორიიდან. ეს დამწერლობა კი ცნობილია VIII საუკუნიდან ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მაშასადამე, წერილობითი ისტორია იწყებოდა VIII საუკუნიდან ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მაგრამ, როდესაც ამოიშიფრა იეროგლიფური და ლურსმული დამწერლობა და აღმოჩნდა, რომ იეროგლიფური და ლურსმული დამწერლობა შექმნილია სულ მცირე 4 ათასი წლის წინ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მაშინ წერილობითი ისტორიის ფარგლებიც გაიზარდა და გაფართოვდა. აი, ეს შესანიშნავი მოვლენები: *ორიენტალისტიკის* ჩამოყალიბება, *არქეოლოგიური* გათხრები, *იეროგლიფური* და *ლურსმული* დამწერლობის ამოშიფრვა, ისეთი წინაპირობები იყო, რომლებიც ეთნოგრაფიული მასალების ახსნისათვის ახალ შესაძლებლობებს ქმნიდნენ. ამავე დროს არ შეწყვეტილა ეთნოგრაფიული მასალების შეგროვების ხაზით მუშაობა. ამ პერიოდში ჩვენ გვაქვს რიგი მკვლევრების მიერ დაფიქსირებული ეთნოგრაფიული მასალები, რომლის მონაცემების საფუძველზე შეიქმნა ახალი სიტუაცია ეთნოგრაფიის განვითარებაში. ახლა დაისვა საკითხი რა ურთიერთობაში არის „შავკანიანი" და „თეთრკანიანი" ადამიანის კულტურა. ამ ეპოქაში წარმოიშვა პირველად **რასიული თეორია**.

რასიული თეორიის ავტორი არის **გობინო**, შვეიცარიელი ფრანგი, რომელსაც გარდა სამეცნიერო-კვლევითი შრომებისა აქვს აგრეთვე სხვა ხასიათის ბელეტრისტული და დიპლომატიური შინაარსის შრომები. მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა ის თეორია, რომელსაც რასიული თეორია ეწოდება.

იმდროინდელი ეთნოგრაფიული მეცნიერების წინაშე დაისვა საკითხი იმ ურთიერთობის თაობაზე, რომელიც უნდა არსებულიყო „შავკანიანების", „წითელკანიანების", „ყვითელკანიანებისა" და „თეთრკანიანების" კულტურებს შორის და ასე დასმულ საკითხზე გობინოს პასუხი ჩამოყალიბდა რასიული თეორიის სახით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას ამტკიცებს გობინო? იგი ამტკიცებდა, რომ კაცობრიობა განიყოფება ორ რასად: ერთია რასა შემოქმედი, აქტიური, კულტურის წინ წამწევი და მეორე – რასა პასიური, უმოქმედო, მაჩანჩალა და ამდენად ჩამორჩენილი კულტურული განვითარების სარბიელს. ამ დაყოფის საფუძველზე გობინო შემდეგ პასუხს აძლევდა კითხვაზე, რომ კულტურულად ჩამორჩენილი ხალხები იმიტომ არიან დაბალი განვითარების საფეხურზე, რომ მათ გონებრივად არ შესწევთ უნარი კულტურული მოღვაწეობისათვის. კიდევ მეტი, გობინო ამტკიცებდა, რომ ეს ვითარება შექმნილი არის სისხლის შემადგენლობის საფუძველზე, რომ ორგვარი სისხლი არსებობს, წმინდა სისხლი და შერეული, ნარევი სისხლი. წმინდა სისხლის მქონე რასა არის აქტიური, შემოქმედი, ხოლო შერეული სისხლის ხალხი არის ჩამორჩენილი რასა. შემდგომ ასკვნიდა, რომ ამგვარი წმინდა სისხლის რასა არის გერმანელი ხალხი, რომლის მიერაც არის შექმნილი კულტურული მიღწევები და ეს ის ხალხია ისტორიის სარბიელზე, რომელიც უნდა იყოს გაბატონებული. კიდევ მეტი, ამ რასას, გერმანულ რასას, არასოდეს არ განუცდია მონობა, იყო ყოველთვის გაბატონებულ მდგომარეობაში. აი ძირითადი შეხედულება, რომელსაც გობინო ავითარებდა.

ცხადია, რომ ეს თეორია არამეცნიერული თეორიაა. ამ თეორიას აკრიტიკებდნენ მეცნიერულ საფუძველზე ჯერ კიდევ მისივე თანადროული მეცნიერები და სრულიად საფუძვლიანადაც.

საქმე ისაა, რომ ამ პერიოდში, საფრანგეთში პირველად ჩამოყალიბდა სამეცნიერო **ანთროპოლოგიური საზოგადოება**, დიდი მეცნიერის **ბროკას** მეთაურობით. ბროკა პირველყოვლისა აკრიტიკებდა გობინოს შეხედულებას. ის ამბობდა (სავსებით სამართლიანად), რომ ანთროპოლოგიურ მეცნიერებას, რომელიც მაშინ ახლად დაარსებული მეცნიერება იყო, არ გააჩნია მეთოდოლოგიური საშუალებანი იმისთვის, რომ გაერკვია ესა თუ ის სისხლი ნარევია თუ წმინდა. სისხლის კოეფიციენტის დადგენის შესაძლებლობა იმ ხანად ანთროპოლოგიურ მეცნიერებას არ გააჩნდა, მაშასადამე გობინოს თეორია დამყარებული სწორედ იმ მონაცემზე, რომ არსებობს სისხლი ნარევი და წმინდა, თავისთავად ყალბ საფუძველზე იყო დამყარებული. ამიტომ ყალბ საფუძველზე აგებული თეორიაც ყალბი იყო.

ანთროპოლოგიურ მეცნიერებას დღესაც არა აქვს შესაძლებლობა რაიმეს დადგენისა, სისხლის კოეფიციენტის მიხედვით... როდესაც თანამედროვე ანთროპოლოგიურ საზოგადოებაში დაადგინეს კოეფიციენტი ქართველების სისხლისა, აღმოჩნდა, რომ ქართველების სისხლი ახლოს დგას ჰოტენტოტების სისხლთან. ხოლო სომხების სისხლი კი ამერიკის „წითელკანიანების“ სისხლთან. მაგრამ ეს ისეთი მონაცემებია, რომლის მიხედვით არაფრის გადაწყვეტა არ შეიძლება. მით უფრო ასი წლის წინათ, როცა ანთროპოლოგიურ მეცნიერებას არავითარი საშუალება არ ჰქონდა სისხლის მიხედვით გაერკვია რასა. გობინოს აკრიტიკებდნენ სხვა მხრივაც. გობინოს შეხედულება, რომ გერმანელთა რასა არის ის რასა, რომელმაც კაცობრიობის კულტურა შექმნა, თავის თავად ისტორიულად არ არის მართალი. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ ვიცით ისეთი ხალხები, რომლებმაც უდიდესი კულტურები შექმნეს, უდიდესი მონაპოვრები აქვთ კულტურის ისტორიაში, მაგრამ კავშირი გერმანელებთან რასიულად მათ არა აქვთ. მაგალითად ეგვიპტელები, როდესაც კულტურას ჰქმნიდნენ, მაშინ

გერმანელები არც იყვნენ ისტორიის სარბიელზე. ასევე სუმერებიც, რომელთა შესანიშნავმა კულტურამ გარდატეხა მოახდინა კულტურის განვითარების ისტორიაში, რასიულად არავითარ კავშირში არ არიან არც ეგვიპტელებთან და მით უფრო გერმანელებთან. ასევე ის მტკიცება, რომ არასოდეს გერმანელებს არ გაუვლიათ მონათმფლობელური ფორმაცია არ არის მართებული, ვინაიდან თვით გერმანელთა მასა ბატონყმობის მდგომარეობაში იყო და ამის წინააღმდეგ მტკიცება იქნებოდა არამეცნიერული.

ამგვარად, გობინოს მიერ შექმნილი რასიული თეორია არამეცნიერული თეორიაა. თუ ჩვენ რასიულ სხვაობას ვპოულობთ ადამიანთა შორის, რასიული სხვაობა მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკური მონაცემების საფუძველზე არის მოცემული. ეს არის ის მონაცემები, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის კანის ფერს, თვალის ფერს, თავის მოყვანილობას; აღნაგობის გარეგნული ნიშნების მიხედვით ვარკვევთ რასიულ სხვაობას – „შავკანიანებს", „თეთრკანიანებსა" და „წითელკანიანებს" შორის. მაგრამ გარეგნული ნიშნების მიხედვით მოცემული დაყოფა არავითარ კავშირში არ იმყოფება კულტურის განვითარებასთან, ვინაიდან ადამიანის გონებრივი უნარიანობა არ არის დაკავშირებული რასასთან. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ზანგმა „შავკანიანმა", რომელიც პარიზში ჩამოიყვანეს და სკოლაში მიაბარეს, საშუალო სკოლა და უნივერსიტეტი დაამთავრა. უმაღლესი მათემატიკის თეორიასაც დაეუფლა, მიუხედავად იმისა, რომ ის „შავკანიანი" იყო. ამის საფუძველზე მსჯელობა მისი გონებრივი უნარიანობისა და კულტურული ვითარების შესახებ უმართებულო და არამეცნიერულია.

მაშასადამე, ერთი არის რასიული დაყოფა, დამყარებული სომატიკურ და ფიზიკურ მონაცემებზე და მეორე კულტურული ვითარების გარკვევა, რომელიც სხვადასხვა პირობებში სხვადასხვა გარემოებასთან დაკავშირებით სხვადასხვანაირად არის მოცემული.

გობინოს თეორიას მიმდევრებიც გაუჩნდნენ. კერძოდ, ინგლისში XIX საუკუნის მეორე ნახევარში **ჩემბერლენის**, ხოლო შემდეგ, ფაშისტური გერმანიის იდეოლოგების სახით. თუ რა შედეგს მიაღწიეს ამ თეორიაზე დამყარებით ყველასათვის აშკარაა.

ამრიგად, ეთნოგრაფიის განვითარების მესამე პერიოდში, ყველა იმ მონაცემებთან დაკავშირებით, რასაც ჰქონდა ადგილი მის სინამდვილეში, წამოიჭრა ეს საკითხიც და ამ საკითხის გაღრმავებულ კვლევასთან დაკავშირებით ეთნოგრაფიული მასალების დაგროვების ერთ-ერთი საინტერესო ფორმაც იქნა გამომუშავებული. თუ ადრე, XV, XVI და მომდევნო საუკუნეებში მოგზაურები უმთავრესად წერილობით შეგროვებული მასალებით კმაყოფილდებოდნენ, ამ პერიოდში მკვლევრები აგროვებდნენ არა მარტო წერილობითს მონაცემებს, არამედ ხალხის ყოფის დამახასიათებელ საგნებს, კოლექციებს და თავს უყრიდნენ ახლად დაარსებულ ეთნოგრაფიულ მუზეუმებში. იმ ხანად ყალიბდება პირველი ეთნოგრაფიული მუზეუმები დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში, სადაც თავს უყრიან ამერიკის „წითელკანიანების", ავსტრალიელ-აბორიგენებისა და ჩინელებისათვის დამახასიათებელ ეთნოგრაფიულ მასალას, რომლის მსგავსს საქართველოს მუზეუმშიც ვნახავთ.

ამ ფაქტს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეთნოგრაფიის ისტორიაში. საქმე ის არის, რომ ამ სამუზეუმო კოლექციაზე დაყრდნობით მეცნიე-



მხატვარი ზ. წერეთელი

მხატვარი ზ. წერეთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებას ეძლეოდა საშუალება სამუზეუმო კაბინეტურ პირობებში, შეესწავლა საგნები, ნაცვლად იმისა, რომ გამგზავრებულიყო შორეულ ამერიკაში ან ავსტრალიაში. ამგვარი კაბინეტური მუშაობისა და ანალიზის შედეგად კიდევ უფრო მეტად შესაძლებელი გახდა ეთნოგრაფიული მასალების გაანრება და მათი მნიშვნელობის გარკვევა. სწორედ ამგვარი კვლევა-ძიების საფუძველზე დაიბეჭდა ერთი შესანიშნავი ნაშრომი, რომლის ავტორი არის **ა.ბასტიანი**. ბასტიანის სამ ტომიან ნაშრომს ეწოდება „*ადამიანი ისტორიაში*". ეს ნაშრომი დაიბეჭდა 1859 წელს, სწორედ იმ წელს, როდესაც მთავრდება მესამე პერიოდი.

რა დებულებები არის წამოყენებული ამ ნაშრომში? – **პირველი**: კაცობრიობის კულტურის განვითარების პირველ საფეხურს ასახავს განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი ხალხების კულტურული ვითარება. **მეორე**: კაცობრიობის ზოგადი ისტორიის დაწერა შეუძლებელია, თუ არ იქნა შესწავლილი განვითარების ადრინდელ საფეხურზე მყოფი ხალხის კულტურული ვითარება. ეს დებულება გულისხმობდა იმას, რომ ზოგადი საკაცობრიო ისტორიის ფარგლებში უნდა იყოს შეყვანილი თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაში მოცემული ხალხები და ამდენად ისტორიის ეს მონაკვეთი წარმოადგენს ისტორიის ერთ-ერთ ნაწილს. **მესამე**: კაცობრიობის კულტურის განვითარება ევოლუციური გზით მიიმართება. ეს დებულება შემდეგი აზრიდან გამომდინარეობდა. სწორედ 1859 წელს დაიბეჭდა **დარვინის** ნაშრომი „*სახეთა წარმოშობა*", სადაც დასაბუთებული იყო ევოლუციური განვითარება ცხოველთა სამყაროში. ევოლუციური განვითარების ეს იდეა ბასტიანმა გადმოიტანა საზოგადოებაში და ამდენად ევოლუციური განვითარების გზა საკაცობრიო ისტორიის მთავარ მამოძრავებელ ძალად დასახა. **მეოთხე**: კულტურის განვითარებაში ბასტიანი ამჩნევდა რიგ მოვლენებს, რომლებიც კულტურის სხვადასხვა ელემენტის მსგავსებას ადასტურებდნენ. მაგალითად კავკასიაში, ამბობდა ბასტიანი, არის სახნავი იარაღი კავის სახით და ამგვარი სახნავი იარაღი დამოწმებულია ჩინეთშიც. და აი, მის წინაშე ისმოდა საკითხი, ეს დამსგავსება, როგორი უნდა იყოს და რა საფუძველზე უნდა იქნეს ახსნილი.

ბასტიანს ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგი პასუხი ჰქონდა მოცემული: ეს მოვლენა შეიძლება ახსნილ იქნეს **დიფუზიის** ან **სპონტანობის** გზით. რას გულისხმობს პირველი ან მეორე. დიფუზია გულისხმობს იმას, რომ კავკასიაში დადასტურებული კავი არის წარმოშობილი ერთ ცენტრში, ერთ არეში და აი, ამ ცენტრიდან შემდეგში გავრცელებული, გადატანილი, შერეული, შერწყმული სხვა კულტურებში. ე.ი. ამ შემთხვევაში ჩინეთში არის გადატანილი. ასეთი იქნებოდა დიფუზიის ახსნა. მაგრამ მეორე ახსნა იქნებოდა სხვაგვარი. კავკასიაში მოცემული კავი და ჩინეთში მოცემული კავი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი არიან, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმოიშვნენ. ერთი წარმოიშვა ერთ არეში, ერთ ცენტრში, მეორე წარმოიშვა მეორე არეში, მერე ცენტრში. ამ შემთხვევაში საკითხის გადაწყვეტა არის სპონტანური. სპონტანოს – ნიშნავს ადგილობრივს. მაშასადამე, მოვლენას ორგვარი ახსნა აქვს, სპონტანური და დიფუზიური.

ბასტიანის მიხედვით, კულტურის ელემენტების სპონტანური თუ დიფუზიური წარმოშობა, ამ შემთხვევაში კავისა, დამყარებული არის ადამიანის გონებრივი უნარიანობის ერთიდაიგივეობაზე, რომ ადამიანის უნარიანობა ერთნაირი არის და ამიტომ ერთსა და იმავე მიღწევებს აკეთებს, რა სახის გეოგ-

რაფიული არეც არ უნდა ჰქონდეს მოცემული, იქნება ეს სამხრეთის ზოლი, თუ არქტიკის ზოლი, ადამიანის უნარი უცვლელი რჩება და ამის მიხედვით ჩვენ, ჩვენი მხრივ, ამ შესაძლებლობის შესახებ ვამბობთ, რომ ადამიანის გონების უნარიანობა ერთი და იგივე არის სხვადასხვა გეოგრაფიული ზოლისაგან დამოუკიდებლად.

ჩვენი ძირითადი შენიშვნა ბასტიანის შეხედულებაზე ის არის, რომ ყოველგვარ აღმოჩენას მიაწერს ადამიანის გონების უნარიანობას. ის ამოდის იდეალისტური პოზიციებიდან, რომელიც ჩვენთვის მიუღებელია. თუმცა მისი აზრი ადამიანის გონების ერთგვარობაზე მისაღებია.

ამგვარია ის ოთხი ძირითადი დებულება, რომლებიც ბასტიანის შრომაშია ჩამოყალიბებული. რომ კიდევ უფრო გასაგები იყოს მისი მეოთხე დებულება დიფუზიისა და სპონტანობის შესახებ, დავასახელოთ ერთი-ორი მაგალითი.

1. „*დაბადებაში*" არის მოთხრობილი ლეგენდა *წარღვნის* შესახებ. მოთხრობილია, რომ წყალდიდობისას ყველა დაიღუპა. ღმერთმა მხოლოდ ერთი ოჯახი გადაარჩინა და მისგან შემდეგ წარმოიშვა კაცობრიობა. ბიბლია თავის ძირითად ნაწილში IX საუკუნის ძეგლია ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაწერილი. ამავე დროს, ამავე სახის ლეგენდა, ასეთივე წარღვნის ფაქტის აღნიშვნით არის შემონახული ფორმოზის კუნძულზე, რომელიც იაპონიის სამხრეთით და ჩინეთის აღმოსავლეთით მდებარეობს. იქ, ერთ-ერთი ტომის *ნოუელების* გადმოცემებში დადასტურებულია ლეგენდა წარღვნის შესახებ.

იბადება საკითხი, რა ურთიერთობაში უნდა იყოს ძველი აღმოსავლეთის კულტურულ არეში და, მეორე მხრივ, შორეულ აღმოსავლეთში მოცემული ლეგენდა. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ შეგვიძლია დამატებითი მასალის მოტანაც. საქმე იმაშია, რომ თანამედროვე მეცნიერული აღმოჩენის საფუძველზე გაირკვა, რომ წარღვნის შესახებ ბიბლიაში დადასტურებული ლეგენდა უფრო ძველია, ვიდრე თვითონ ბიბლიის წიგნი. სუმერეთისა და მესოპოტამიის კულტურაში ეს ლეგენდა აღმოჩნდა ლურსმულ ენაზე დაწერილი 3500 წლით ადრე ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მაშასადამე ამ ლეგენდას მეტი ხნოვანება აქვს, ვიდრე ბიბლიის ლეგენდას. საკითხი ამით მაინც არ წყდება, თუ რა ურთიერთობაში არის ეს ლეგენდა იმ ლეგენდასთან, რომელიც შორეულ აღმოსავლეთშია დადასტურებული. საკითხი დიფუზიის ან სპონტანობის მიხედვით რომ გადაწყდეს, უნდა იყოს გარკვეული საკითხი, ძველ აღმოსავლეთსა და შორეულ აღმოსავლეთს შორის არსებობდა თუ არა კულტურული ურთიერთობა ძველ ხანაში. დღეს, თანამედროვე მეცნიერების მონაპოვრების მიხედვით დამტკიცებულია რომ, მაგალითად, სუმერეთში წარმოშობილი სახნავი იარაღი გავრცელდა შორეულ აღმოსავლეთში ძველადვე და ამგვარად თუ ეს გარემოება ფაქტია, არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ სუმერეთში წარმოშობილი წარღვნის ლეგენდა გადატანილიყო შორეულ აღმოსავლეთში, ე.ი. ის არის დიფუზიური წარმოშობისა.

2. ქართლში არის შემონახული ერთი შესანიშნავი თხრობა „გულმავიწყი ცოლის შესახებ". თხრობაში მოცემულია შემდეგი გარემოება. სამი სოფელი მონადირე წავა სანადიროდ. ისინი აღმოაჩენენ დათვის ბუნაგს და დაისმება საკითხი იმათ წინაშე, როგორ მოახერხონ დათვის მოკვლა. გადაწყვიტეს, ერთ-ერთი ამხანაგი ბუნაგში ჩაძვრეს, რომ დათვი გამორეკოს ბუნაგიდან, სხვები კიდევ დაუხვდებიან და მოკლავენ დათვს. დრო გადის. ბუნაგში ჩასული

ამხანაგი არ ჩანს. არც დათვი ჩანს. შეეცდებიან გაიგონ ამხანაგის მდგომარეობა და აღმოჩნდება, რომ დათვს თუ რაღაცას მისთვის თავი მოუჭამია. მათ წინაშე დაისმება საკითხი: ამხანაგს თავი ჭქონდა თუ არა. შეიქმნება კამათი მათ შორის და როდესაც ვერ მივლენ გარკვეულ დასკვნამდე გადაწყვიტავენ, რომ მიმართონ მის ცოლს – იმას მაინც ეცოდინება თავი ჭქონდა თუ არაო. ისიც დაფიქრდება და უპასუხებს: თავი ჭქონდა თუ არა არ ვიცი, მაგრამ როდესაც საშელს ჭამდა წვერს, რომ აცანცარებდა, ეს კი ვიციო. აი, ასეთი სიუჟეტი გახლავთ გულმავიწყი ცოლის შესახებ. ეს სიუჟეტი ქართლის გარდა გავრცელებულია კავკასიის სხვადასხვა ხალხებში, დაღესტანშიც არის, საჩაჩნოშიც, და აი ეს სიუჟეტი ამავე სახით გვხვდება ჩრდილოეთის, ფინეთის ხალხში. იბადება საკითხი, ამავე დიფუზიისა და სპონტანობის შესახებ. ეს სიუჟეტი სად არის წარმოშობილი? რა თქმა უნდა, აქ საკითხის ასე იოლად გადაწყვეტა არ შეიძლება. იმისთვის, რომ ჯეროვანი პასუხი გავცეთ ამ კითხვას, საჭირო არის კულტურული ვითარების გათვალისწინება. გათვალისწინება კულტურულ-ისტორიული ვითარებისა და გზებისა, კულტურული ურთიერთობისა და კავშირისა, რომელიც არსებობდა ან არსებულა ამ შემთხვევაში კავკასიასა და ფინეთს შორის.

თითქოს ის გარემოება, რომ კულტურის ეს ელემენტი, ერთი მხრივ კავკასიაში არის და მეორე მხრივ ფინეთში და მათ შორის მოკავშირე რგოლი გაწყვეტილია, გამორიცხავს კავშირს, ურთიერთობას და ამდენად საკითხი სპონტანობის საფუძველზე უნდა გადაწყდეს, მაგრამ ერთი გარემოება არის აქ გასათვალისწინებელი.

საქმე ისაა, რომ ფინელები ფინურ-უნგრული ენოვანი ხალხია. ჩვენ ვიცით, რომ ფინურენოვანი ხალხები (პერმიაკულ და ვოლგისპირი ქვეჯგუფები) თურქულენოვან ხალხებთან ერთად ვოლგის აუზში ისტორიულად ცნობილი არიან. აგრეთვე ცნობილია, რომ ფინელები თავდაპირველად უფრო სამხრეთით ცხოვრობდნენ, ვიდრე დღეს და თუ ამ ვითარებას გავითვალისწინებთ და იმ გარემოებას, რომ კავკასიაში თურქულ-მონგოლური ტომების არსებობა, აგრეთვე, ფაქტია გარკვეულ ისტორიულ სინამდვილეში, მაშასადამე იბადება საკითხი, რომ შუალედ რგოლად ფინეთისა და კავკასიის ხალხთა შორის თურქულ-მონღოლური ტომები შეიძლება ვივარაუდოთ, რომლებიც ვოლგის აუზში მოსახლეობდნენ. მაგრამ აქ ერთი დაბრკოლება კიდევ არსებობს, სახელდობრ ის, რომ ვოლგის სანაპიროებზე მცხოვრები თურქულ-მონღოლური ჩამომავლობის ხალხებში დღესდღეობით ეს სიუჟეტი ცნობილი არ არის, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ეს სიუჟეტი მანდ არ არსებობს ან არ არსებულა. ეს საკითხი დაკავშირებულია ამ სიუჟეტის შესწავლილობისა და შეუსწავლებლობის საკითხთან. ამდენად ისტორიულ-კულტურული ვითარების გათვალისწინების პირობებში შესაძლებელია ამ სიუჟეტის ე.ი. „გულმავიწყი ცოლის“ სიუჟეტის საკითხი დიფუზიურობის შესაძლებლობის ფარგლებში გადაწყდეს. ყოველ შემთხვევაში ამ საფეხურზე, რომელზედაც ჩვენ ამჟამად ვიმყოფებით, არ არის გამორიცხული, რომ ეს სიუჟეტი კავკასიიდან დიფუზიის გზით, თურქულ-მონღოლური ხალხების მეშვეობით, შორეულ ჩრდილოეთის ფინეთის ხალხში იყოს გადასული.

საერთოდ კი დიფუზიისა და სპონტანობის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: კულტურის ელემენტები, რამდენად უფრო პრიმიტიული სახით არიან წარმო-

დგენილნი, რამდენადაც უფრო სადა და უბრალონი არიან, იმდენად მათი სპონტანური წარმოშობა დასაშვებია, ხოლო კულტურული მოვლენა, კულტურული ელემენტი ან ესა თუ ის სიუჟეტი, რამდენად რთულ ელემენტს შეიცავს, იმდენად ის უფრო მეტად ერთ ადგილზე, ერთ ცენტრშია წარმოშობილი და შემდეგ დიფუზიური გზით გადასულია სხვა კულტურის არეში.

მაგალითად, პალეოლითური ხანის ე.ი. ქვის ხანის იარაღები სპონტანური წარმოშობისანი არიან. ამათ სწორედ ადამიანი იმუშავებდა ადგილებზე დამოუკიდებლად სხვა ხალხებისა. მაგრამ ისეთი რთული იარაღი, როგორიც არის სახვნელი იარაღი, ის ერთგან, ერთ ცენტრში არის წარმოშობილი და შემდეგ ამ ცენტრიდან არის გადასული სხვა ხალხში. რატომ? იმიტომ, რომ ასეთი რთული იარაღის წარმოშობა, როგორიც არის სახნავი იარაღი, კავი, გულისხმობს მთელ რიგ წინაპირობას, რომ ის წარმოიშვას. საჭიროა ამ იარაღთან ერთად არსებობდეს მოშინაურებული საქონელი, მიწის დამუშავების გარკვეული სისტემა, გარკვეული გეოგრაფიული გარემო ამასთან დაკავშირებული და კიდევ მთელი რიგი სხვა მომენტებისა, რომლებიც ამ გამოგონებას ხელს უწყობენ. და რადგან ასეთი პირობები ყველგან და ყოველთვის არ არის მოცემული ერთად, ამდენად რთული კომპლექსური კულტურული ელემენტის წარმოშობა უფრო მეტად დიფუზიური წარმოშობისაა, ვიდრე სადა და მარტივი კულტურის ელემენტები. აი, ამგვარი ვითარება გახლავთ ბასტიანის მონაცემების მიხედვით და ის მეოთხე ძირითადი დებულება, რომელიც ბასტიანმა წამოაყენა სპონტანობის და დიფუზიის შესახებ, მის შრომებში ამგვარად არის გაშუქებული. მაგრამ მეოთხე დებულებასთან დაკავშირებით ჩვენ კიდევ მეტი შეგვიძლია ვთქვათ. საქმე ისაა, რომ ბასტიანის შეხედულებით მოვლენები, რომლებიც სპონტანურად წარმოიშვებიან, ე.ი. ყველგან, სადაც ხალხს მეურნეობისა და კულტურის გარკვეული დონე აქვთ – აი, ეს ელემენტები არიან დაკავშირებული ადამიანის გონების გარკვეულ თვისებებთან და ამ თვისებებს ბასტიანი უწოდებდა **ელემენტარულ აზროვნებას**. ელემენტარულ აზროვნებასთან არის დაკავშირებული სპონტანური კულტურის წარმოშობა, ხოლო დიფუზიასთან დაკავშირებულია ის ელემენტები, რომლებიც გარკვეულ გეოგრაფიულ არეებს ახასიათებს და რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის გარკვეულ თვისებასთან. ამ თვისებებს უწოდებდა ბასტიანი **ხალხურ აზროვნებას**. ტერმინები თითქოს არ არის ზუსტი გამომხატველი იმისა, რის გამოთქმაც უნდოდა ბასტიანს, მაგრამ მის შრომებში ასე არის ფიქსირებული და ამიტომ ჩვენც ასე გადმოგცემთ.

ასეთია ბასტიანის მიერ წამოყენებული დებულებები. ერთი, რომ კაცობრიობის ისტორია წარმოადგენს ერთ მთლიან პროცესს, მეორე, რომ ეს პროცესი ევოლუციურ გზას ემორჩილება. მესამე, ის რომ ხალხები, რომლებიც დღეს იმყოფებიან პრიმიტიული განვითარების საფეხურზე, აუცილებელი შესწავლის საფუძველს წარმოადგენენ, რომ შევძლოთ ზოგადი კულტურის პირველი პერიოდის აღდგენა და მეოთხე ის, რაც ითქვა სპონტანობისა და დიფუზიის შესახებ. აი ეს ძირითადი დებულებები ჰქონდა ბასტიანს წამოყენებული თავის შრომაში. თუ ამას დავუმატებთ იმ გარემოებას, რომ ამ ძირითად დებულებებთან ერთად მოცემული იყო აგრეთვე გარკვეული მეთოდი მუშაობისა, რომ ეთნოგრაფიული მასალების შეგროვების ხაზით გარკვეული მიდგომა იყო წამოყენებული ბასტიანის მიერ, სწორედ ეს მონაცემები

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძლეოდნენ იმის შესაძლებლობას, რომ ეთნოგრაფია ცალკე დამოუკიდებელ დისციპლინად ჩამოყალიბებულიყო. და მართლაც ამ ხანიდან ეთნოგრაფია არის დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა, რომელსაც აქვს გარკვეული პოზიციები, აქვს გარკვეული ობიექტი თავისი კვლევა-ძიებისა და აქვს გარკვეული მეთოდი თავისი მუშაობისა, ე.ი. პრინციპული პოზიციები, საგანი კვლევისა და მეთოდი მუშაობისა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბასტიანი ამოდიოდა იდეალისტური შეხედულებიდან, მისი პოზიციები იყო იდეალისტური. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ იმავე პერიოდში გამოვიდა თხზულებები, რომლებიც მატერიალისტურ მსოფლგაგებას იძლეოდნენ და ეთნოგრაფიის საგანს, ასე თუ ისე შეეხებოდნენ. ეს თხზულებები იყო **მარქსის** კლასიკური ნაშრომი „*პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის*“, რომელიც 1859 წელს დაიბეჭდა. ამ ნაშრომს ახლავს შესავალი, რომელშიაც პირველად მოცემულია ისტორიის განვითარების მარქსისტული კლასიფიკაცია. კაცობრიობის ისტორიის განვითარება დაყოფილია რამდენიმე საფეხურად. მათ შორის პირველი საფეხურია – პირველყოფილი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაცია, რომლის პარალელურად მარქსი ხმარობდა მეორე ტერმინს – არქაული ფორმაცია, ანუ არქაული საზოგადოება. ამ კლასიფიკაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ამ დასაფეხურების წყალობით, პირველად განისაზღვრა კაცობრიობის განვითარების პირველი საფეხური.

მეორე შრომა, რომელიც მესამე პერიოდში დაიბეჭდა ეს იყო „*კომუნისტური პარტიის მანიფესტი*“, რომელიც 1848 წელს გამოვიდა. შემდგომ გამოცემებში ამ თხზულების პირველ წინადადებას აქვს შენიშვნა გაკეთებული. შენიშვნა ეკუთვნის ენგელსს, რომელშიც აღნიშნულია, რომ მას შემდეგ რაც აღმოჩენილ იქნა გერმანიაში მარკა (ეს არის თემური წყობილების გადმონაშთები), კავკასიაში გვაროვნული წყობილების გადმონაშთები, რუსეთში „ობშჩინა“ და ინდოეთში თემური წყობილების გადმონაშთები, ჩვენ გვაქვს უფლება ვილაპარაკოთ კლასთაუწინარეს საზოგადოებაზე, რომელიც მარქსმა განსაზღვრა თავის შრომაში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“.

ეთნოგრაფიის განვითარების მესამე პერიოდის და როგორც ითქვა ძირითადი მონაპოვარი, მთავარი მიღწევა ამ ხანაში არის ის, რომ ეთნოგრაფია დამოუკიდებელი ცალკე დისციპლინა გახდა.

*

* *

ეთნოგრაფიის განვითარების მეოთხე პერიოდი

ეს პერიოდი იწყება დაახლოებით 1859 წელს და გრძელდება 1917 წლამდე. ეს ეპოქა დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში აღინიშნება კოლონიალური პოლიტიკის განვითარებით და მის პარალელურად დაწინაურდა კულტურულად ჩამორჩენილი ხალხების ეთნოგრაფიული შესწავლა. ამ პერიოდში შეიქმნა მიმართულებები, სკოლები, რომლებიც ეთნოგრაფიული მასალების კვლევა-ძიების საფუძველზე ახალ თეორიებს ჰქმნიდნენ და ახალ პრობლემებს აყალიბებდნენ. იმ სკოლიდან, რომელიც ბასტიანმა შექმნა, წარმოიშვა ორი მიმართულება. ერთი მხრივ წარმოიშვა **კლასიკური** ანუ **ევოლუციური**

სკოლა ეთნოგრაფიაში, ხოლო, მეორე მხრივ – **ანტიევოლუციური**, მათ შორის **კულტურულ-ისტორიული** სკოლაც. პირველი შეიქმნა ინგლისში, მეორე – გერმანიაში.

ევოლუციური სკოლა ჩამოყალიბდა XIX ს. 70-იან 80-იან წლებში. მისი მამამთავარი იყო **ედუარდ ბერნეტ ტეილორი** (1832-1917). რა ძირითადი დებულებები აქვს წამოყენებული ტეილორს?

პირველი: ედუარდ ტეილორის შეხედულების მიხედვით კაცობრიობის ისტორიის განვითარება **ევოლუციური გზით** წარიმართება. ე.ი. მარტივიდან რთულისაკენ, დაბალი საფეხურიდან მაღალ საფეხურისაკენ თანდათან გადასვლით, უნდა აღინიშნოს, რომ ეს დებულება ბასტიანსაც ჰქონდა წამოყენებული, მაგრამ ბასტიანმა ევოლუციური შეხედულება ეთნოგრაფიულ მოვლენებში გადმოიტანა დარვინიზმიდან, ე.ი. ბუნებისმეტყველური მეცნიერებიდან. ტეილორი კი ცდილობდა, რომ ევოლუციური მიმართულება, რომლის მამამთავარი ის იყო, დაემყარებინა საზოგადოებაში მოცემული მოვლენები კონკრეტულ მაგალითებზე. კონკრეტიზაცია ევოლუციური მოვლენებისა მისი მოძღვრების ერთ-ერთი არსებითი მხარე იყო.

მეორე: თეორია **გადმონაშთების** შესახებ. რას ვეძახით ჩვენ გადმონაშთს? *გადმონაშთი* არის ისეთი მოვლენა, ისეთი საგანი, ობიექტი, რომელიც წარმოშობილია განვითარების ადრინდელ საფეხურზე და შემდეგ თავი შემოუნახავს, შემორჩენილია ახალ ეპოქაშიაც. მაგალითად, იმერული კავი, ან ქართული აჩაჩი თავისი ძირითადი კონსტრუქციული მონაცემებისა და ძირითადი შემადგენელი ნაწილების მიხედვით წარმოშობილია მიწათმოქმედების გარკვეულ ხანაში, გვაროვნული წყობილების დაშლის ხანაში. ის დღემდე არის შემონახული მიუხედავად იმისა, რომ კაცობრიობამ და ქართველმა ხალხმა განვლო სხვადასხვა საზოგადოებრივი ეკონომიური ფორმაციები. მაგრამ კულტურის ეს ელემენტი, წარმოშობილი შორეულ წარსულში, თავს ინახავს და დღემდე არის მოღწეული. აი ასეთ მოვლენას – ადრინდელ ვითარებაში წარმოშობილს და დღემდე შემორჩენილს, ვუწოდებთ ჩვენ გადმონაშთს. ტეილორმა მიაქცია რა გადმონაშთებს ყურადღება, გამოაცხადა, რომ გადმონაშთების შესწავლის საფუძველზე ეთნოგრაფიულ მეცნიერებას შეუძლია აღადგინოს, რეკონსტრუქცია უყოს კაცობრიობის მიერ განვლილ ადრინდელ საფეხურს და მაშასადამე ამაზე დაყრდნობით ძველი ვითარება ისტორიისა წარმოვიდგინოთ. უკანასკნელი მდგომარეობს მასში, რომ ტეილორის შეხედულებით, გადმონაშთების კვლევა-ძიების საფუძველზე მკვლევარს შეუძლია ამ მოვლენასთან დაკავშირებული კულტურული ვითარება აღადგინოს და ამით რეკონსტრუქცია უყოს ძველ ვითარებას, კაცობრიობის კულტურის ისტორიის განვლილ საფეხურებს. ამის მაგალითი მოჰყავდა მას და სხვებს.

უნდა ითქვას, რომ გადმონაშთები არსებობენ როგორც ადამიანთა საზოგადოებაში, ისევე ბუნებაშიც, შესანიშნავი ბუნებისმეტყველი **კუვიე** ამბობდა: თუ ჩვენ ვიპოვით რომელიმე ცხოველის გაქვავებულ ძვალს, ამ გადმონაშთის მიხედვით შეგვიძლია აღვადგინოთ მთლიანად ცხოველიო (აღვადგინოთ მისი ჩონჩხი, შინაგანი ორგანოები, კანი და მთლიანად წარმოვიდგინოთ ერთი ბარძაყის ძვლის მიხედვითო). მაგრამ ტეილორის გადმონაშთების თეორია საჭიროებს კრიტიკულ მიდგომას. ჩვენ ამ მხრივ შესწორება შეგვაქვს

ტეილორის შეხედულებაში და შესწორებული სახით ვიყენებთ გადმონაშთების თეორიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაში მდგომარეობს ეს შესწორება? შესწორება მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოებაში, ხალხში შემონახული გადმონაშთი არ არის გაქვავებული სახით მოცემული მოვლენა, სავსებით ისეთივე სახისა, როგორც ეს ბუნებაში მოცემული მოვლენა არის. არამედ საზოგადოებაში შემონახული გადმონაშთი არის ვირულენტური. ასეა თუ ისე, ცოცხალი, ამა თუ იმ სიცოცხლის მატარებელი მოვლენა, რომელსაც თავის წარმოშობის დროიდან სხვადასხვა ეპოქაში მრავალი დანალექი, მრავალი დანამატი შეიძლება ჰქონდეს, მისი წარმოშობის დღიდან შემონახვის მომენტამდე. ამ ვითარების გაუთვალისწინებლად გადმონაშთის გამოყენება სამეცნერო კვლევისათვის არ იქნებოდა სავსებით მართებული. ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ ტეილორის თეორიაში გადმონაშთი უნდა იქნეს გაგებული, როგორც ერთგვარად ვირულენტური, ცოცხალი მოვლენა, რომელსაც უნდა ჩამოსცილდეს დროთა ვითარებაში დამატებული ელემენტები და ამის შემდეგ ხალასად უნდა იყოს წარმოდგენილი მისი თავდაპირველი ბუნება, წარმოშობის ეპოქა.

ეს შეგვიძლია ჩვენი მაგალითის მიხედვითაც ცხადვყოთ. ერთი ასეთი მაგალითია გურიაში დამოწმებული *მიწის გაჯერების* ჩვეულება (მიწისადმი სამაგიეროს მიკუთვნება). ეს წესი დამოწმებულია XIX საუკუნის ბოლო წლებში და XX საუკუნის დასაწყისში. ჩვენ ის ჩავიწერეთ 1926 წელსაც სოფელ ასკანაში. ეს წესი მდგომარეობს შემდეგში: მშობიარობის შემდგომ (ჩვეულების მიხედვით ქალი მშობიარობდა მიწაზე, იმ ადგილზე, სადაც ჩალა იყო დაგებული), ამ ადგილის მახლობლად ოჯახის უფროსი მამაკაცი გათხრიდა პატარა ორმოს, შიგ ჩაყრიდა გოჭის ძვლებს, შემდეგ ჩადებდა ყველის ბურთს, ზედ ღვინოს დაასხამდა და იტყოდა შემდეგ მაგიურ სიტყვებს: „მიწავ გამიჯერებიხარ კარგი ფერი და ხორცი მიეც ბალანასო“. ამ, ამგვარ წეს-ჩვეულებას ჰქონდა ადგილი გურიაში XIX საუკუნის უკანასკნელ წლებამდე. თავისთავად იბადება კითხვა, რომ ეს მოვლენა XIX საუკუნის წარმონაქმნია თუ არა? კაპიტალისტურ საზოგადოებაში ამგვარი წესი არამც და რამც არ შეიძლება წარმოშობილიყო, ამიტომ ის წარმოადგენს ძველ გადმონაშთს. მაგრამ იბადება კითხვა რა დროის და რა სახის გადმონაშთი არის ის? ამის შესახებ მონაცემს იძლევა თვითონ ჩვეულება. „მიწის გაჯერიება“ მიუთითებს იმ ეპოქაზე, იმ ხანასა და იმ დროზე, როდესაც მიწა წარმოდგენილი იყო ნაყოფიერების ძალის მქონე, ნაყოფის მომცემ ობიექტად, არა მარტო მცენარისა, არამედ ადამიანისთვისაც. ამასთანაა დაკავშირებული ქართული სიტყვა **დედამიწა**. ჩვენ ვიცით, აგრეთვე, სხვა მონაცემებიდან, რომ მრავალ ხალხში დედამიწა წარმოდგენილია ღვთაებად. მაგალითად, საბერძნეთში დედამიწა ნაყოფიერების ღვთაებად არის განსახიერებული. რა დროს ეკუთვნის? ის ეკუთვნის იმ ეპოქას, როცა მიწის მოქმედების ელემენტი არის მოცემული საზოგადოებაში, როდესაც ეს მეურნეობა ახლად ფეხს იკიდებს და ადამიანთა საზრდოს ძირითად წყაროდ ხდება. ეს არის გვაროვნული წყობილების გვიანდელ ხანაში. ამგვარი ვითარებაა ამ გადმონაშთის წარმოშობის შესახებ. მაშასადამე გვაროვნულ წყობილებიდან კაპიტალისტურ საზოგადოების განვითარების საფეხურამდე ამ გადმონაშთს აქვს შემონახული თავი. მაგრამ ჩვენ ვამბობთ, რომ ეს გადმონაშთი ხალასად, სავსებით იმ სახით, როგორიც იყო შექმნილი გვაროვნული წყობილების

საფეხურზე, კი არ არის მოღწეული ჩვენამდე, არამედ მას აქვს რიგი დამატებები-გზადაგზა. ერთს ასეთ მომენტს წარმოადგენს სწორედ ის, როდესაც ის მაგიურ სიტყვებს ამბობს: „მიწავ გამიჯერებიხარ", იმ დროს ის პირჯვარს დაიწერს და ეს პირჯვარის დაწერა იმ დროინდელი მოვლენა კი არ არის, არამედ ის დანალექი მომენტი არის ქრისტიანობის ხანიდან მომდინარე, მაშასადამე სულ სხვა ეპოქაში შექმნილი. განსხვავებით ტეილორისგან გადმონაშთის კვლევა-ძიების დროს უნდა ჩამოვაშოროთ დანალექი ელემენტები და ამის შემდეგ ვცადოთ ხალასი მოვლენის აღდგენა.

ეს არის კრიტიკული მიდგომა, რომლის საფუძველზე ჩვენ კვლევა-ძიებას ვაწარმოებთ.

ამ გადმონაშთში ნიშანდობლივად ბევრი რამ არის მოცემული: გოჭის ძვლები ნიშნავს ახლად შობილის ჩონჩხს, ყველისაგან გაკეთებული ბურთი ნიშნავს თავს. მაშასადამე გადმონაშთი წარმოადგენს ცოცხალ ელემენტს უძველეს დროიდან მომდინარეს.

მესამე დებულება, რომელიც მოცემულია ტეილორის შრომებში არის ანიმისტური მსოფლმხედველობა, ანუ **ანიმიზმი**.

რა არის ანიმიზმი? ტეილორის შეხედულების მიხედვით ეს არის პირველ-ყოფილი ადამიანის მიერ გასულიერება ბუნების ყოველგვარი საგნისა და მოვლენისა (წყალი, ხე, მთა, ქვა თუ სხვა), – ყველაფერი ეს გასულიერებულია, სულები კი ცოცხალი არსების სახითაა წარმოდგენილი. მაგრამ მერე რა, რომ ყველაფერი ცოცხალია? საქმე ის არის რომ ტეილორმა სწორედ ის გაარკვია რელიგიის ისტორიაში, რომ კაცობრიობას განვლილი აქვს ისეთი საფეხური, როდესაც მას ყველაფერი გასულიერებული სახით ჰქონდა წარმოდგენილი. მაშასადამე რელიგიის ერთ-ერთ საფეხურად, რელიგიის განვითარების პირველ საფეხურად ტეილორმა აღმოაჩინა ადამიანის მიერ ბუნების გასულიერების ფაქტი, ე.ი. ანიმისტური განვითარების საფეხური. და უნდა ითქვას, რომ თავისი დროისათვის ეს იყო შესანიშნავი აღმოჩენა; ის კარგად ასახავს რელიგიის განვითარების ადრინდელ ეტაპს და დღესაც რელიგიის ისტორიაში ურყევ დებულებად ითვლება. მხოლოდ რიგ მეცნიერებს შესწორება შეაქვთ ამ შეხედულებაში იმ მხრივ, რომ რელიგიის ისტორიაში ანიმისტური რწმენა-წარმოდგენები არ არის პირველი საფეხური რელიგიის განვითარებისა, არამედ მას წინ უსწრებდა პრეანიმისტური საფეხური, როდესაც არსებობდა რელიგიის სხვა მარტივი ფორმები (ტოტემიზმი, მაგია და სხვა.). მიუხედავად ტეილორის იდეალიზმისა ის სკოლა, რომელიც მან შეჰქმნა (ევოლუციური სკოლა) რიგი დადებითი თვისებებით ხასიათდება.

ევოლუციურ სკოლას ჰყავდა თავისი მიმდევრები არა მარტო ინგლისში, არამედ საფრანგეთში, რუსეთსა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, ამერიკაში და ამგვარად ის ერთი-ერთი წამყვანი მიმართულებათაგანი იყო საზღვარგარეთულ ეთნოგრაფიაში მეოთხე პერიოდის გარკვეულ ხანებში.

ლ. მორგანი

ამავე სკოლიდან არის გამოსული შესანიშნავი ამერიკელი მკვლევარი **ლუის ჰენრი მორგანი** (1818-1881წ.წ.), რომელმაც ეთნოგრაფიის განვითარების მე-4 პერიოდში ახალი გზები დასახა. მორგანი მოღვაწეობდა XIX საუ-

კუნის მეორე ნახევარში. იმ პერიოდში, როდესაც ტეილორი მოღვაწეობდა და, როდესაც კლასიკური ეთნოგრაფია ყალიბდებოდა. მაგრამ კლასიკური ეთნოგრაფიის მონაპოვართა გვერდით მორგანის მიღწევები კოლოსალურია. მისი დამსახურება ეთნოგრაფიის დარგში დაუფასებელია. საქმე ის არის, რომ მორგანი იყო არა მარტო თეორეტიკოსი მეცნიერი, არამედ საველე მუშაკიც, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ეთნოგრაფიულ მასალებს აგროვებდა ცოცხალ ყოფაში, ცოცხალ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. ისევე როგორც ლაფიტო, მორგანიც ხანგრძლივად ცხოვრობდა ამერიკელ ინდიელებთან, კერძოდ, იროკეზების ტომში, გახდა იმათი საზოგადოების წევრი, ღებულობდა მონაწილეობას იმათ ცხოვრებასა და საქმიანობაში და ამით მან შესძლო იროკეზების სინამდვილის ზუსტი შესწავლა. 25 წლის მანძილზე ის აგროვებდა ეთნოგრაფიულ მასალას. შექმნა ქსელი კორესპოდენტებისა დედამიწის სხვადასხვა კუთხეში, დაგზავნა კითხვარები მისთვის საინტერესო საკითხების შესახებ და კორესპოდენტები სხვადასხვა ქვეყნებიდან აწვდიდა მას პასუხებს ხალხში შეგროვილი მასალების საფუძველზე, იმ კითხვებზე, რომლებიც მას აინტერესებდა. ამის შედეგად, მის მიერ შეგროვებული და კორესპოდენტების მიერ მიწოდებული მასალების სახით მას დაუგროვდა დიდძალი ეთნოგრაფიული მასალა, რომლის ანალიზის შედეგად იგი მივიდა შესანიშნავ დებულებებამდე.

მორგანის კალამს ეკუთვნის სამი ძირითადი თხზულება – პირველი – „*ნათესაობის სისტემა*“, მეორე – „*ძველი საზოგადოება*“ და მესამე – „*საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები ამერიკის ინდიელებში*“.

მარქსმა მორგანის ეს ნაშრომი საგანგებოდ შეისწავლა. შეადგინა დაწვრილებითი კონსპექტი და განზრახული ჰქონდა ამ წიგნში წარმოდგენილი მასალების საფუძველზე დაეწერა შრომა კაცობრიობის განვითარების პირველი საფეხურის – პირველყოფილი საზოგადოების კანონზომიერებათა შესახებ. მაგრამ ეს მას არ დასცალდა. დასახული ამოცანა შეასრულა ფრ. *ენგელსმა* თავის ნაშრომში: „*ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა*“, სადაც მან დააგვირგვინა მარქსის მიერ განზრახული საქმე. მარქსის კონსპექტი მორგანის *ძველი საზოგადოებისა* პირველად დაბეჭდილია მოსკოვში 1946 წელს. ენგელსის შრომა, როგორც ყველასათვის ცნობილია, რიგ ნაწილებში ძირითადად დამყარებული არის მორგანის მონაცემებზე.

მორგანის დამსახურება მდგომარეობს შემდეგში:

პირველი – ნათესაობის სისტემის ხაზით მორგანმა პირველმა ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში გაარკვია, რომ კაცობრიობის ისტორიაში არსებობს არაერთი სახის ნათესაობრივი სისტემა, არამედ სულ მცირე ორი სახის. პირველი ეს არის ჯგუფური **ნათესაობა**, როდესაც ნათესაობა ჯერ კიდევ გაპიროვნებული არ არის. მეორე სახის ნათესაობა არის უკვე **პერსონალური**, გაპიროვნებული, როდესაც შვილი, დედა, მამა, ბიძა და ბიძაშვილები კონკრეტიზებული არიან და ჯგუფური ნათესაობის სახით კი არ არიან წარმოდგენილი როგორც პირველ სისტემაში, არამედ პერსონალური სახით.

მეორე – მისი კონცეპცია ეხებოდა **ოჯახის განვითარების** საფეხურებს. მანამდე გაბატონებული შეხედულებით ოჯახის ერთადერთი ურყევი მარადიული ფორმა იყო მონოგამური ოჯახი (ამავე აზრს იცავდა ფაქტიურად ე. ტეილორიც). მაგრამ მორგანმა სწორედ ამ საკითხში სრული გადატრიალება მოახდინა. მან დაამტკიცა, რომ პირველყოფილ ჯოგში არსებობდა მოუწესრი-

გებელი სქესობრივი ურთიერთობა, რომ ოჯახი არ შეიძლება იყოს უცვლელი კატეგორია. ისევე, როგორც სხვა მოვლენები კაცობრიობის განვითარებაში, ოჯახიც ცვალებადია, ჯგუფობრივი ქორწინებიდან მონოგამიისაკენ ოჯახი იცვლის სახეს და სხვადასხვა ეპოქებთან შედარებით სხვადასხვა სახით არის წარმოდგენილი. მან ოჯახის განვითარება ხუთ საფეხურად დაჰყო: პირველი – **სისხლით მონათესავე ოჯახი**, როდესაც ცოლქმრული ჯგუფები დაყოფილი იყო თაობათა მიხედვით, ცოლქმრობა გამორიცხულია წინაპართა და შთამომავლებს შორის, მშობლებსა და შვილებს შორის. მეორეა **პუნალუა** ოჯახი, როცა ცოლქმრული ურთიერთობიდან გამორიცხულია დები და ძმები, მაგრამ ქორწინება ჯგუფობრივ ხასიათს ატარებს. მესამე ფორმა ოჯახის განვითარების მას ჰქონდა წარმოდგენილი – **წყვილადი ოჯახის** სახით, რომელიც მას ოჯახის გარდამავალ ფორმად მიაჩნია. წყვილად ოჯახში უპირატესად მამაკაცი ერთ ცოლთან ცხოვრობს, მაგრამ მას დამატებითი ცოლებიც შეიძლება ჰყავდეს. აქ ოჯახი ჯერ კიდევ არ წარმოადგენს სამეურნეო უჯრედს. ოჯახის მეოთხე (ასევე გარდამავალ ფორმად) მას მიაჩნდა **პატრიარქალური ოჯახი**, რომლის დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა გამოიხატებოდა მამის უფლებაში და რომელიც არ იყო საყოველთაოდ გავრცელებული. მორგანის მიხედვით ოჯახის ამ ფორმაში ჩაეყარა საფუძველი **მონოგამურ ოჯახს**, როცა ერთი ცოლი და ერთი ქმარი ცხოვრობდა. ცნობილია, რომ ასეთი ოჯახი დამყარებულია ქმრის ბატონობაზე, კერძო საკუთრებაზე და წარმოადგენს საზოგადოების ეკონომიურ უჯრედს. მონოგამიური ოჯახი დაკავშირებულია ცივილიზაციის პერიოდთან, როდესაც ყალიბდება კერძო საკუთრებაზე აგებული ფორმაცია – *კლასიკური საზოგადოება.*

მორგანის მონაპოვართაგან აღსანიშნავია, აგრეთვე, მისი კონცეფცია **გვაროვნული წყობილების განვითარების საფეხურების** შესახებ. მორგანმა გაარკვია, რომ კაცობრიობის განვითარების ისტორიაში იყო ისეთი პერიოდი, ისეთი ხანა, როდესაც საზოგადოებრივ სტრუქტურაში, საზოგადოების განვითარებაში წამყვანი როლი და მნიშვნელობა ჰქონდა მიკუთვნებული სისხლით მონათესავე ისეთ გაერთიანებას, რომელსაც **გვარი** ეწოდებოდა და რომელშიც გაბატონებული იყო **ეგზოგამიის** კანონი. აქედან ამ ძირითადი ცნების დადგენის საფუძველზე მორგანმა დაადასტურა, აგრეთვე, რომ გვარის წარმოშობასთან ერთად ჩამოყალიბდა გვაროვნული საზოგადოება. მორგანმა გაარკვია ძირითადი ნიშნები რაც ახასიათებს გვარს, როგორც საზოგადოებრივ მოვლენას. კიდევ მეტი მან გაარკვია და დაადგინა რომ გვაროვნული საზოგადოება არის უნივერსალური მოვლენა კაცობრიობის ისტორიის გარკვეულ ეტაპზე ყველა ხალხისთვის. რომ არ არის არცერთი ცივილიზებული ხალხი, რომელსაც გვაროვნული საზოგადოების საფეხური არ გაევლო. ამდენად ეს მოვლენა მსოფლიო ისტორიული ხასიათისაა. ეს იყო ერთი შესანიშნავი მოღწევათაგანი თავისი დროისთვის და დღეს, როდესაც გვაროვნული საზოგადოების შესახებ ეს შესანიშნავი დებულება გვაქვს, ამის საფუძველზე ვარკვევთ რიგ საყურადღებო მომენტებს კაცობრიობის კულტურის ადრინდელ საფეხურზე წარმოდგენილს.

ამის გარდა მორგანმა მოგვცა **ჩვენ კულტურის განვითარების პერიოდიზაცია**. მან კაცობრიობის კულტურის ისტორია დაჰყო სამ პერიოდად: **ველურობა, ბარბაროსობა** და **ცივილიზაცია**. ამ კლასიფიკაციას მან დაურთო შესანიშნავი განსაზღვრებები. მისი შეხედულებით, რომ პირველი ორი საფე-

ხური, ე.ი. ველურობა და ბარბაროსობა დიამეტრიულად, სავსებით განსხვავდება მესამე საფეხურისგან, ვინაიდან მესამე საფეხურის არსებობის დროს საზოგადოებას ახასიათებს უკვე კერძო საკუთრების პრინციპის გაბატონება, – კლასებად განაწილება და სახელმწიფოს ჩამოყალიბება. ამგვარად მან სწორად მიაგნო და განმარტა საზოგადოების განვითარების ის საფეხური, რომელიც უკვე კლასებად ჩამოყალიბებულ საზოგადოებას გულისხმობს. ამდენად ეს მეოთხე მონაპოვარი ერთი შესანიშნავი მომენტთაგანი არის მის კვლევაძიებაში და საერთოდ, ეთნოგრაფიის განვითარების ისტორიაში. კულტურის ეს კლასიფიკაცია გამოიყენა პირობითად, სამუშაო ჰიპოთეზის სახით ენგელსმა თავის შრომაში: „*ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა*“.

მორგანის **შეხედულება** ის არის, რომ მან განჭვრიტა საზოგადოების განვითარების შემდეგი ეტაპიც. მორგანი ამბობდა, რომ კერძო საკუთრების პრინციპზე აღმოცენებული საზოგადოება არ არის მარადიული საფეხური, უცვლელი და ურყევი, რომ მომავალი საზოგადოებრივი ვითარება ისეთი ხასიათის უნდა იყოს, რომ მისი ძირითადი პრინციპი საზოგადო საკუთრება იქნებაო, როგორც ეს იყო კაცობრიობის განვითარების პირველ საფეხურზე. ეს დებულებაც თავისთავად ღირსშესანიშნავი არის, რამდენადაც სრულიად განსხვავდება იმ დროის ეთნოგრაფიის მეცნიერებაში არსებული და მიღებული შეხედულებებისაგან, რომ კერძო საკუთრება არის ისეთი პრინციპი, რომლის შერყევა არ შეიძლება და აი ჩვენ მორგანის თხზულებაში ასეთ შესანიშნავ პროგნოზს ვღებულობთ. ამგვარი დამსახურება მიუძღვის მორგანს ეთნოგრაფიის განვითარების ამ ეტაპზე.

უნდა ითქვას, რომ მორგანის შეხედულებანი ეთნოგრაფიაში იმ დროს გაბატონებული სკოლების მიერ არ იყო მიღებული. მის ძირითად შრომებს და დებულებებს დუმილით ხვდებოდნენ. მხოლოდ მარქსი და ენგელსი იყვნენ ევროპაში პირველები რომლებმაც შეაფასეს მორგანის მონაპოვარი. ეს დებულებანი მათ მიიჩნიეს შესანიშნავ მიღწევად და მოპოვებული დებულების საფუძველზე მათ უნდოდათ მარქსისტული მეთოდოლოგიით დამეშუშავებინათ პირველყოფილი საზოგადოების ისტორია, რომელიც ასე ჩინებულად ჰქონდა წარმოდგენილი მორგანს თავის შრომაში.

ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა ითქვას, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში და განსაკუთრებით ამ ბოლო ხანების ლიტერატურაში, როდესაც გაფართოვდა ინტერესი მორგანის შრომების მიმართ, დაისვა საკითხი: მარქსისტია თუ არა მორგანი, რომელმაც ასე ჩინებულად გაარკვია ძირითადი საზოგადოებრივი გაერთიანება გვარის სახით წარმოდგენილი, გაარკვია ოჯახის განვითარების ფორმები, ნათესაობის სისტემა, გამოყო ცივილიზაცია ბარბაროსობისა და ველურობისაგან და ამის საფუძველზე დასახა შემდგომი განვითარების ეტაპიც. სხვადასხვა ავტორი ამ კითხვაზე სხვადასხვაგვარ პასუხს იძლეოდა, ვინაიდან მორგანს თავისი კვლევის დროს ერთ-ერთ ამოსავალ ვითარებად ხალხის ეკონომიური მდგომარეობაც აქვს ხოლმე მომარჯვებული. აი ამის საფუძველზე ადგენენ, რომ ის მარქსისტია. მაგრამ მარქსისტს უნდა ჰქონდეს მარქსისტული მეთოდოლოგია, დიალექტიკური მიდგომა საკითხის გადაჭრის დროს. რასაც საკითხის გადაჭრას მორგანის თხზულებებში ჩვენ ვერ ვპოულობთ. რამდენადაც მორგანთან მხოლოდ ევოლუციური განვითარების იდეა გვაქვს ამდენად ის მარქსისტად ვერ ჩაითვლება. ამას ერთვის კიდევ ის

გარემოება, რომ დიალექტიკურ მეთოდს, რომელიც მარქსისტული მსოფლმხედველობისათვის არის დამახასიათებელი, არ იყენებს. ამდენად საკითხი იმის შესახებ მარქსისტი არის თუ არა მორგანი წყდება უარყოფითად. მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს პასუხი ამ კითხვაზე, ერთი აშკარა და ცხადია, რომ მორგანის შრომები ეთნოგრაფიის დარგში წარმოადგენს ახალ ეტაპს დარგის განვითარებაში.

ევოლუციური სკოლის მიღწევებს დასავლეთ ევროპაში დაუპირისპირდა მთელი რიგი ფსევდომეცნიერული მიმართულებანი, რომლებიც უარყოფდნენ კულტურის პროგრესული განვითარების იდეას. ერთ-ერთი ასეთი მიმართულება იყო **კულტურულ-ისტორიული სკოლა**, რომლის ჩამოყალიბებას წინ უსწრებდა გერმანელი მეცნიერის **ფრიდრიხ რატცელის** მოღვაწეობა. ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების დროს რატცელის ძირითადი დებულება დამყარებული იყო შემდეგზე: კულტურის ელემენტების წარმოშობა ხდება გარკვეულ ცენტრებში, საიდანაც ის ვრცელდება მიგრაციის გზით სხვა გეოგრაფიულ არეში. სწორედ ამგვარ გადასვლას, გადატანას, არსებულ ცენტრიდან კულტურის ელემენტებისა რატცელი უწოდებდა **მიგრაციას**, აქედან მიგრაციის თეორიაც. ამ თეორიის პირველი ავტორი არის სწორედ რატცელი. მიგრაცია შეიძლება მოხდეს უშუალოდ რომელიმე საგნის, მოვლენის ან ნივთის გავრცელებით ერთი ხალხიდან მეორეში. (ესეც მიგრაცია იქნება). მერე შემთხვევაში – კულტურის ელემენტების გადაცემა მოხდეს თვით ხალხის მიგრაციასთან ერთად, მისივე მეშვეობით. მაშასადამე მიგრაციის ორი შესაძლებლობა შეიძლება წარმოვიდგინოთ: ერთი საგნის გავრცელება სესხებით, ხოლო მეორე შემთხვევაში კულტურის ელემენტი მის შემქმნელ ხალხს გადააქვს მიგრაციის პროცესში. რატცელი კულტურის ელემენტების შექმნისათვის და ჩამოყალიბებისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა გეოგრაფიულ გარემოს. ამდენად მის მსოფლმხედველობას ახასიათებს გეოგრაფიზმი. რატცელის მიერ ჩამოყალიბებული დებულებების საფუძველზე ჩამოყალიბდა XX საუკუნის დასაწყისში ახალი სკოლა და მიმართულება, რომელსაც *კულტურულ-ისტორიული* სკოლა ეწოდება. მაგრამ ვიდრე ამ სკოლას შევეხებოდეთ საჭირო არის რატცელის უშუალო მიმდევრებზეც რამდენიმე სიტყვა ვთქვათ.

რატცელის გეოგრაფიზმისა და მიგრაციის თეორიის ახლო გამზიარებლები იყვნენ **ლეო ფრობენიუსი** და **კარლ ვოიგლე**. ფრობენიუსმა რატცელის თეორიაზე დაყრდნობით შექმნა ერთი საყურადღებო მეთოდი ეთნოგრაფიული მასალების დამუშავებისა, ამ მეთოდს ეწოდება **ეთნოგრაფიული მუშაობის კარტოგრაფიული მეთოდი**. იგი მდგომარეობს შემდეგში: როდესაც მკვლევარი იკვლევს ეთნოგრაფიულ სინამდვილეს, ცოცხალ სინამდვილეში ამოწმებს ამა თუ იმ ელემენტს და მოპოვებული ფაქტები გადააქვს რუკაზე, ამით ის ადგენს მისი გავრცელების არეალს. ეს იმდენად თვალსაჩინო სურათს იძლევა კულტურის ელემენტის გავრცელებისა და მისი კავშირისა სხვა კულტურის ელემენტებთან, რომ მეცნიერული კვლევისათვის აადვილებს მოვლენების ანალიზს. ფრობენიუსის ამ მეთოდზე დამყარებით შეიქმნა საგანგებო ინსტიტუტი, რომელსაც უწოდეს **კულტურის მორფოლოგიის ინსტიტუტი**. ეს ინსტიტუტი საგანგებოდ სწავლობდა აფრიკის ეთნოგრაფიულ სინამდვილეს. კარტოგრაფიული მეთოდის საშუალებით ფრობენიუსს დამუშავებული აქვს აფრიკის სინამდვილეში მოცემული კულტურის ყველა ელემენტი და გამოქვეყ-

ნებული აქვს ატლასის სახით. მაგალითად, მას მჭედლობის გავრცელების არეები აფრიკის სინამდვილეში ერთ რუკაზე აქვს დატანილი, საიდანაც თვალსაჩინათლივ ჩანს სად, რომელ გეოგრაფიულ არეში მისდევდნენ ამ ხელობას აფრიკაში და რა რწმენა – წარმოდგენებია მჭედლობასთან დაკავშირებით. მჭედლობისადმი დამოკიდებულება აფრიკის სხვადასხვა ხალხში სხვადასხვაგვარია. ზოგიერთ ხალხში მჭედელი აღიარებულია ზებუნებრივ პიროვნებად, რომელსაც შეუძლია ლითონი გადააადნოს და სხვადასხვა სასარგებლო ნივთები გააკეთოს. ზოგჯერ ხალხში მჭედელი აღიარებულია ბოროტ ძალად, რომელსაც კავშირი აქვს ავ ძალებთან, ამის შესაბამისად კარტოგრამაზე ნაჩვენებია, არა მარტო ის, თუ აფრიკის რომელ ხალხებში იყო გავრცელებული, არამედ ის დამოკიდებულებაც მჭედლებისადმი, რომელიც დამახასიათებელია ამა თუ იმ ხალხისათვის.

აი, ამიტომ ვამბობთ, რომ მეთოდური მიდგომა, რომელიც ფრობენიუსს მიეწერება, დღეს ეთნოგრაფებიც ვიყენებთ ჩვენი მუშაობის დროს, ვინაიდან ის გვიადვილებს მოვლენებისა და საგნების ანალიზს და ამით ხელს ვუწყობთ ამა თუ იმ მოვლენის მეცნიერულ გააზრებას.

კიდევ უფრო შესანიშნავი არის რატცელის მეორე მოწაფის ვოილეს ნაშრომები. მის კალამს ეკუთვნის შესანიშნავი შრომები, რომლებშიაც საგანგებოდ არის განხილული კულტურის ელემენტების გენეზისი, მათი ჩასახვა და განვითარება როგორც მატერიალური კულტურის, ისე სოციალური ურთიერთობა და სულიერი კულტურის სფეროში. რამდენადაც ვოილე იყო დირექტორი მსოფლიოში ყველაზე უდიდესი ეთნოგრაფიული მუზეუმისა (ლაიპციგის), მას შესაძლებლობა ჰქონდა კულტურის ელემენტები განეხილა მსოფლიო მასშტაბით, ვინაიდან კოლექციები, რომლებიც თავმოყრილია ლაიპციგის მუზეუმში, შემოსული იყო დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან.

კულტურულ-ისტორიული სკოლა ამოდიოდა იმ ძირითადი დებულებიდან, რომ ეთნოგრაფიული მოვლენების შესწავლა ისტორიული პერსპექტივების გათვალისწინების საფუძველზე უნდა წარმოებულიყო. ამდენად ამ სკოლის მესვეურებს ეთნოგრაფია სავსებით და მთლიანად ისტორიულ დისციპლინათა რიგებში გადმოყავთ. ეს იმდროისთვის არამცირედი მონაპოვარი იყო, ვინაიდან, მანამდე არაერთი მეცნიერი ეთნოგრაფიას, საბუნებისმეტყველო და ბიოლოგიურ დისციპლინებს არ ანსხვავებენ ერთიმეორისაგან. დღესაც კი არის ევროპაში ეთნოგრაფიის კადრები, რომლებიც საბუნებისმეტყველო ფაკულტეტში შედიან და ამდენად ბუნებისმეტყველურ ხასიათს ატარებენ. კულტურულ-ისტორიული სკოლა კი ეთნოგრაფიას ისტორიულ დისციპლინად თვლიდა.

ეს სკოლა აყენებდა მეორე შესანიშნავ საკითხს იმის შესახებ, რომ ეთნოგრაფიული მოვლენა, **ეთნოგრაფიული ფაქტი უნდა იქნეს ისევე აწონილ-დაწონილი, კრიტიკულად ათვისებული, როგორც სხვა ისტორიული ფაქტი**. ყველაფერი ის, რაც ეთნოგრაფის მიერ ხალხში იქნება შეგროვებული არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ხალას სინამდვილედ. საჭიროა გაცხრილვა ფაქტისა და ნაყალბევის გამოთიშვა სინამდვილისგან. ამასთან დაკავშირებით გამომუშავდა ამ სკოლის მესვეურების მიერ ეთნოგრაფიული ფაქტის დადგენის სინამდვილე. ეს ორივე მხარე ამ სკოლის მოძღვრების, ანგარიშგასაწევია.

მაგრამ კულტურულ-ისტორიული სკოლის მესვეურებს სწორედ არ ესმოდათ ისტორიული განვითარების პროცესი და უარყოფდნენ საზოგადოების

ევოლუციურ განვითარებას. ამ სკოლის შეხედულებით კაცობრიობის განვითარება არ წარმოადგენს სწორხაზოვან განვითარებას, მთლიან ისტორიულ პროცესს, არამედ ის დანაწევრებულია, დაყოფილია ცალ-ცალკე ციკლებად, რომლებსაც თავისი დამოუკიდებელი ცხოვრება აქვთ. აქედან წარმოიშვა შეხედულება **ციკლიური განვითარების** შესახებ ისტორიაში. ამ სკოლის მამამთავრების დებულების მიხედვით არსებობს რამდენიმე ციკლი, კულტურის რამდენიმე წრე. თვითოეული მათგანი ჩაისახება, აღწევს განვითარების მაღალ წერტილს და შემდეგ ისპობა, ანუ დაიხურება. ახლა მის ნაცვლად დაიწყებს განვითარებას ახალი წრე, რომელიც ასევე დაიხურება. ეს არის განვითარების ციკლიური თეორია, რომელიც ძირითად დებულებად გადაიქცა კულტურულ-ისტორიული სკოლისთვის. ამას ერთვის ის გარემოება, რომ ეს წრეები ურთიერთის მიმართ ისე კი არ ლაგდებიან, რომ ერთი წრე მეორეს მოჰყვეს და ზეაღმავალი წრე განლაგდეს, არამედ ეს წრეები დამოუკიდებლად არიან, ბევრ შემთხვევაში ისინი ერთი მეორეს არ ემთხვევიან და ამის გამო სწორხაზოვანი და ევოლუციური განვითარება არ ხდება. მათ მიერ საზოგადოების მთელი ისტორია დაყვანილი იყო რამდენიმე კულტურულ წრემდე (მაგალითად, მელანეზიის კულტურული წრე, აფრიკის კულტურული წრე, ამერიკის კულტურული წრე, ჩინეთის, იაპონიის და სხვ.). ამით ისინი უპირისპირდებოდნენ კლასიკოს ევოლუციურ სკოლას ეთნოგრაფიაში. უნდა აღინიშნოს, რომ თავის დასაწყის პერიოდში ამ სკოლას და მიმართულებას საკმაოდ ბევრი მიმდევარი ჰყავდა იმდროინდელ მეცნიერებაში. ფილოსოფიაშიც გაუჩნდნენ მას მიმდევრები. სწორედ იმ პერიოდშია დაწერილი ფილოსოფოს **შპენგლერის** შრომა „*ევროპის დამბობა*“.

ისევე, როგორც კულტურულ-ისტორიული სკოლა ანსხვავებდა კულტურის წრეებს – (მელანეზიის, აფრიკის, აზიის და სხვ.) შპენგლერი თვლიდა რომ ევროპისათვის დამახასიათებელია ცალკე, დამოუკიდებელი კულტურის წრე. შპენგლერის მტიცების მიხედვით ევროპის კულტურას, ე.ი. იმ წრეს, რომელსაც ევროპა წარმოადგენს, უკვე მიაღწია თავისი განვითარების უმაღლესი წერტილს და ამჟამად (XX საუკუნის დასაწყისში) ამ კულტურის დაქვეითება იწყება და მალე მოსალოდნელი არის ევროპული ცივილიზაციისა და კულტურის მოსპობა. ამგვარი ნაშრომებიც კი გამოდიოდა ეთნოგრაფიული სკოლის ამ მიმართულებასთან დაკავშირებით, მაგრამ კულტურულ-ისტორიული სკოლა ამაზე არ შეჩერებულა.

შემდეგში ეს მიმართულება გადაიქცა რეაქციონურ მიმართულებად ეთნოგრაფიის დარგში. საქმე ის არის, რომ ევოლუციური განვითარების უარყოფით და კულტურის განვითარების ციკლური თეორიით ამ სკოლამ ისეთი დებულებები წამოაყენა, რომელიც მორგანისა და ტეილორის მიერ წამოყენებულ დებულებებს და მთელი კლასიკური ევოლუციური სკოლის დებულებებს თავდაყირა აყენებდნენ. მაგალითად, ეს სკოლა ბოლო ხანებში, XX საუკუნის ოციან წლებში ამტკიცებდა, რომ არ ყოფილა ისტორიაში ისეთი ხანა, კერძო საკუთრება რომ არ ყოფილიყო გაბატონებული, რომ კერძო საკუთრება ადამიანის თანდაყოლილი თვისება არის და ამიტომ ეს სკოლა უარყოფდა პირველყოფილი საზოგადოების არსებობას. ამის საფუძველზე იმასაც ამტკიცებდა, რომ არც შეიძლება მომავალში იყოს ისეთი ცხოვრება, რომელიც არ იქნება დამყარებული კერძო საკუთრების პრინციპზე. კიდევ მეტი. იგივე

მიმართულება აყენებდა იმ შეხედულებას, რომ პირველყოფილი ადამიანისთვის დამახასიათებელი იყო მონოთეისტური შეხედულება. ე.ი. შეხედულება ერთი ღვთაების შესახებ. ეს დებულებაც, როგორც ვიცით არ არის მართებული. ისინი ჯგუფური ქორწინების პრინციპსაც უარყოფდნენ და მონოგამური ოჯახის დასაბამითვე არსებობას ამტკიცებდნენ.

*

* *

ეთნოგრაფიის განვითარების მეხუთე პერიოდი

იწყება 1917 წლიდან. გარდატეხის მომენტს ქმნის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია. სსრ კავშირში ეთნოგრაფია მთლიანად და სავსებით დამყარებულია მარქსისტულ მსოფლმხედველობაზე და მეთოდოლოგიაზე. ამდენად ეს პერიოდი განვლილ პერიოდთან შედარებით სრულიად ახალი განსხვავებული საფეხურია.

ამ მიმართულებით სახელმძღვანელო გეზის მომცემ ნაშრომებად ეთნოგრაფიის დარგში გვევლინებიან **პირველ რიგში ენგელსის** წიგნი *„ოჯახის, კერძო საკუთრების, სახელმწიფოს წარმოშობა“*, **მარქსის** *„გერმანული იდეოლოგია“, ლენინის* ნაშრომი *„სახელმწიფოს შესახებ“* და სხვ.

დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში ამ მეხუთე პერიოდში სხვადასხვა ეთნოგრაფიული სკოლაა წარმოდგენილი, ამერიკაში პირველ რიგში აღსანიშნავია ე.წ. **ფრანც ბოასის სკოლა** (1859-1942წ.წ.). ეს სკოლა ამტკიცებს, რომ პირველყოვლისა ეთნოგრაფიულ მეცნიერებას უნდა ჰქონდეს ზუსტად დადგენილი და კრიტიკულად შემოწმებული ფაქტი, ე.ი. ეთნოგრაფიული მოვლენა ზუსტად უნდა იყოს გარკვეული. ეს კი ამ სკოლის შეხედულებით გულისხმობს ეთნოგრაფიული საველე მუშაობის მეთოდიკას გარკვეული სახით წარმოდგენილს. ამ მიმართულებით, ბოასის სკოლამ გამოიმუშავა ერთი ახალი მეთოდი, რომელსაც მეცნიერებაში ეწოდება **ინტენსიური შეთოდი** საველე კვლევა-ძიებისა. ეს მეთოდი მდგომარეობს მასში, რომ მკვლევარი, ეთნოგრაფი, ვალდებულია ეთნოგრაფიული მასალები ხალხში შეაგროვოს არა ერთ რომელიმე სოფელში, ერთ რომელიმე ოჯახში, არამედ ეთნოგრაფიული ფაქტი, ერთი და იგივე მოვლენა, უნდა იქნეს მრავალგზის შემოწმებული და მრავალგზის ჩაწერილი. სად? სხვადასხვა პირობებში და სხვადასხვა გარემოებაში – ოჯახში, გვარში, შემდეგ უბანში, სოფელში, მთლიანად ხეობაში. მხოლოდ ამგვარი დეტალური მიდგომით შეგროვებული ეთნოგრაფიული ფაქტი, ამ სკოლის შეხედულებით იქნება ზუსტი, უტყუარი და ამაზე დამყარებული მეცნიერებაც იქნება ჭეშმარიტი მეცნიერება. ამ მიმართულებით ამგვარი მეთოდოლოგიური მიდგომა ჩვენ მისაღებ მეთოდოლოგიურ მიდგომად მიგვაჩნია. ჩვენ ვთვლით, რომ ინტენსიური მეთოდი საველე სამეცნიერო ეთნოგრაფიული მუშაობისა სასარგებლო და ამავე დროს სწორი მეთოდი არის. ადრე მაგალითად, ეთნოგრაფიაში გაბატონებული იყო ე.წ. **რარიტეტული შეთოდი** ეთნოგრაფიული მასალის შეგროვებისა აქა-იქ, შემთხვევიდან შემთხვევამდე. იყვნენ ისეთი „ეთნოგრაფებიც“, რომლებიც ეტლიდანაც კი არ ჩამოდიოდნენ ისე აგროვებდნენ მასალას. მაგალითად, თუ რომელიმე მოხელე ბათუმიდან მიდიოდა ახალციხეში და გზად აჭარაში უნდა გაევლო, ეტლთან დაიბარებდა პრისტავის მეშვეობით

მოხუცებულებს, დაჰკითხავდა ერთ-ორ საკითხზე და ჩაიწერდა. რასაკვირველია, ეს იყო არამეცნიერული და მიუღებელი მიდგომა საველე ეთნოგრაფიულ მუშაობაში. ცხადია, ამასთან შედარებით ინტენსიური მეთოდი, რომელიც ამერიკაში ბოასის სკოლამ შეიმუშავა უაღრესად მეცნიერული მნიშვნელობისაა. ჩვენც ვიყენებთ მას. გარკვეული მნიშვნელობით ქართველი ეთნოგრაფების სკოლამ ინტენსიური მეთოდის გამოყენებით საველე მუშაობაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. მაგრამ ბოასის სკოლას აქვს უარყოფითი მხარეც. ეს სკოლა თვლის, რომ სანამ ინტენსიური მეთოდის გამოყენებით ამომწურავად არ იქნება შესწავლილი კაკობრიობის დღევანდელ სინამდვილეში მოცემული ეთნოგრაფიული მასალები, მანამდე თეორიული საკითხების დასმა, პრინციპული საკითხების გარკვევა შეუძლებელია. ეს მიდგომა სრულიად მიუღებელად მიგვაჩნია. ჩვენ ვამბობთ, რომ ამგვარი დასმა საკითხისა არ არის სწორი. რატომ? იმიტომ, რომ **მასალის შეგროვებას ცოცხალ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ჩვენ არ გამოვყობთ მეცნიერული კვლევა-ძიების პროცესიდან. ჩვენთვის საველე მუშაობა ეთნოგრაფიული მასალის შეგროვება არის ამავე დროს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და თუ პრობლემები არ არის დასმული მასალების შეგროვების პროცესში, ამის გარეშე თვითონ მასალის შეგროვება გადაიქცევა მხოლოდ და მხოლოდ მასალის დაგროვების ფაქტად და არამეცნიერულ მუშაობად**. ამიტომ ინტენსიური მეთოდის გამოყენების დროს აუცილებელია არა მარტო ეთნოგრაფიული მასალის მოპოვება, არამედ მათ საფუძველზე პრინციპული საკითხის დასმა და მეცნიერული გააზრება.

მეორე მიმართულება, რომელიც იმავე მეხუთე პერიოდში აღმოცენდა დასავლეთ ევროპაში არის **ფუნქციონალური სკოლა**. მისი მამამთავარია ინგლისელი **ბრონისლავ კასპარ მალინოვსკი** (1884-1942 წ.წ.). რაში მდგომარეობს ამ სკოლის ძირითადი მიღწევები? მას ეთნოლოგიის შესწავლის უმთავრეს საგნად მიაჩნია კულტურა, როგორც თავისებური ბიოლოგიური მოვლენა, რომელიც დამყარებულია ბიოლოგიურ ბაზაზე. „ადამიანი არის ცხოველი და ამიტომ უპირველესი ამოცანა, რომელიც მან უნდა გადაჭრას, ესაა მარტივი ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რომლის მოპოვების პროცესში ადამიანი ქმნის თავის გარშემო ახალ, მეორად გარემოს რომელიც წარმოადგენს კულტურას".

ვიდრე კულტურის გაგებას შევეხებოდეთ, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი – ეთნოგრაფიული სინამდვილის შესწავლა მეტად რთულია, ვინაიდან რაგინდ მცირე ერთეულიც არ უნდა ავიღოთ, მას ახასიათებს მრავალი შემავალი კულტურის ელემენტი. საქართველოს ეთნოგრაფები ამა თუ იმ რეგიონის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის შესწავლას აწარმოებენ კომპლექსურად, სამი ძირითადი მონაცემის მიხედვით. ერთი არის **მატერიალური კულტურა** და **მეურნეობა**. მეორე – **სოციალური ურთიერთობა** და მესამე – **იდეოლოგია**, ანუ **სულიერი კულტურა**. ეს სამი ძირითადი კომპლექსი საკითხებისა, რომლებიც უნდა იქნეს გარკვეული ყოველგვარი ეთნიკური ერთეულის შესწავლის დროს, დაკავშირებული, ტლანქად რომ ვთქვათ იმ სამ ძირითად მოთხოვნილებასთან, რომლებიც ადამიანს ახასიათებს მისი განვითარების ყველა საფეხურზე. ეს სამი ძირითადი მოთხოვნილება შემდეგი ხასიათისაა: მატერიალურ კულტურასთან და მეურნეობასთან დაკავშირებული საკითხები მომდინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეობენ იმ ძირითადი მოთხოვნილების დაკმაყოფილებიდან, რომელსაც ეწოდება ბრძოლა ლუკმა-პურისათვის. ამ მოთხოვნილებას იკმაყოფილებს ის, შინ განვითარების ყველა საფეხურზე, მაგრამ სხვადასხვაგვარად, განვითარების სხვადასხვა საფეხურის მიხედვით. მაგალითად ავსტრალიელმა, რომ დაიკმაყოფილოს ეს მოთხოვნილება, ამისათვის ის მშვენივრად შეექცევა ხვლიკს, ბაყაყს, გველს. მაგრამ სხვაგვარი არის ფორმა ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა, ვთქვათ ჩვენს სინამდვილეში.

რაც შეეხება მეორე კომპლექსს საკითხებისა, სოციალურ საკითხებს, გამომდინარეობს იმ ძირითადი მოთხოვნილებიდან, რომელიც ადამიანს ახასიათებს, მაგრამ სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვაგვარ გამოხატულებას პოულობს. ეს არის გამრავლების მოთხოვნილება და ამის საფუძველზე ყოველგვარი სოციალური გაერთიანება, ოჯახი პირველ რიგში, შემდეგ გვარი, გვართა გაერთიანება და სხვა. აქაც განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება სხვადასხვა ფორმაში ვლინდება.

რაც შეეხება მესამეს – სულიერ კულტურას, აქაც, როცა ადამიანმა შრომას მიჰყო ხელი, მას თან ახლავს აზროვნებაც. ადრე მას აკმაყოფილებდა მარტივი მაგიური აზროვნება, შემდეგ უფრო განვითარებული რელიგიური შეხედულებანი, ახლა კი მეცნიერული შეხედულებანი და სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილების ისეთი სხვა ფორმები, რომლებიც ჩვენი ცივილიზაციისათვისაა დამახასიათებელი.

მაშასადამე, ყოველგვარი ეთნიკური სინამდვილის შესწავლა ჩვენი მიდგომით ამ ძირითად საკითხებს ეხება. მაგრამ ამ სინამდვილის შიგნით მოცემული კულტურის ელემენტების წარმოშობისა და განვითარების გარკვევა საჭიროებს გარკვეულ მიდგომას.

ზემოთმოყვანილის საფუძველზე შეიძლება ერთი დასკვნის გამოტანა, რომ ეთნოგრაფია თავისი არსებობის მანძილზე ხალხთა ზნე-ჩვეულებებს, ხალხის თავისებურებებს, ხალხის შემოქმედებითს მონაპოვარს სწავლობდა, ამის შესახებ მასალებს აგროვებდა და ხალხის შემოქმედების მეცნიერული გააზრება მისი შემოქმედების სფეროს წარმოადგენდა. მაგრამ, რომ გავარკვიოთ, თუ ეთნოგრაფიის საგანს რა წარმოადგენს და შესაფერისი პასუხი გავცეთ, საჭიროა გათვალისწინება კულტურის კლასიფიკაციისა. ჩვენ ვხმარობთ სიტყვებს კულტურა, კულტურის ელემენტი, მაგრამ არ არის კულტურა? თუ არ გვაქვს წარმოდგენა მის შინაარსზე, ისე ძნელი გახდება ეთნოგრაფიული მუშაობის წარმოება და მისი საგნის დაზუსტებაც, რადგან ეთნოგრაფია, ფართო გაგებით, იგივე კულტურის ისტორიაა.

კულტურის კლასიფიკაციები. კულტურა მეტად დიდი მოვლენა არის. მას შემდეგ რაც ადამიანი ჩნდება და შრომას იწყებს, ამ მომენტიდან მას კულტურა ახასიათებს და ეს კულტუროსნობა მომდინარეობს დღემდე. ჩვენ ყველას გვახასიათებს გარკვეული კულტურა. აი, ამ დიდ მოვლენაში, ადამიანი რომ გაერკვეს, საჭიროა მისი დანაწევრება, მისი კლასიფიკაცია, შემადგენელ ნაწილებად დაყოფა და რამდენადაც ეს მოვლენა, კულტურის მოვლენა, დიდი დროის მანძილზე არის მოცემული, პირველი რაზედაც მეცნიერები ზრუნავენ, ის არის, რომ კულტურის კლასიფიკაცია გაარკვიონ.

მაგრამ რას გულისხმობს კლასიფიკაცია? მეცნიერული კლასიფიკაცია გულისხმობს ამოსავალ წერტილს, ან საფუძველს, რომლის მიხედვით უნდა

მოხდეს დაყოფა. ამ საფუძველს მეცნიერებაში ეწოდება *პრინციპუმ დივიზიონის*, ე.ი. განაწილების პრინციპი. კულტურის კლასიფიკაცია არის სხვადასხვაგვარი, სხვადასხვა დანაწილების საფუძველზე აგებული. მოვიყვანოთ მაგალითი, რა სახის კლასიფიკაციები ვიცით ჩვენ და ამათგან რომელი არის მეცნიერულად მისაღები და ჩვენთვის გამოსაყენებელი. მაგალითად **მეჩნიკოვის კლასიფიკაცია** დამყარებული იყო შემდეგ საფუძველზე: კულტურის განვითარება გეოგრაფიული გარემოს მიხედვით იყო დადგენილი, ე.ი. დანაწილების პრინციპად აღებული იყო გეოგრაფიული გარემო და ამის საფუძველზე ის ამბობდა, რომ არსებობს კულტურის განვითარების შემდეგი საფეხურები: I–*მდინარეების კულტურა*, II– *ზღვების კულტურა*, III–*ოკეანეების კულტურა*, VI–*პლანეტარული კულტურა*. პირველ შემთხვევაში ნავარაუდებელია ისეთი კულტურების არსებობა, რომლებიც არ სცილდებოდნენ ჯერ კიდევ მდინარეების აუზებს. ამგვარი კულტურა არის ტიგროსისა და ევფრატის კულტურა, ნილოსის კულტურა, ფაზისის (კოლხიდის) კულტურა, შემდეგ ინდუსის კულტურა; მეორე საფეხური უკვე არის ზღვების კულტურა. ამის მაგალითად მას მოჰყავდა ხმელთაშუა ზღვის კულტურები, როგორებიც არის საბერძნეთი–რომის კულტურა, ფინიკიელების კულტურა. ამ საფეხურს მეჩნიკოვი უწოდებდა *ტალასურ კულტურას* (ტალასა – ბერძნული სიტყვაა, ნიშნავს ზღვას). მესამე საფეხურად მეჩნიკოვს წარმოდგენილი ჰქონდა ოკეანეების კულტურა, ე.ი. იმ დროისა და ხანის კულტურა, როდესაც ადამიანმა ზღვებიც გადალახა და ოკეანეების გეოგრაფიული არეც დაიპყრო. ეს ხანა მოდის უკვე აღმოჩენების ეპოქაზე (ამერიკის, ავსტრალიის აღმოჩენებზე) და ისინი წარმოადგენენ მესამე საფეხურს კულტურის განვითარებაში. ეს საფეხური ვარაუდობდა, აგრეთვე, მომავალი განვითარების შემდგომ საფეხურსაც, როცა კაცობრიობა პლანეტებსაც დაუკავშირდებოდა (იგულისხმება დაკავშირება მარსთან, მთვარესთან) და ეს იქნება მეოთხე პერიოდი, როდესაც ადამიანი დაიპყრობს არეს პლანეტათა შორის. ეს კლასიფიკაცია გამოქვეყნდა 1902 წელს.

მეჩნიკოვის კლასიფიკაცია, როგორც ვხედავთ, დამყარებულია გეოგრაფიულ გარემოს საფუძველზე, მაგრამ ეს საფუძველი თავისთავად არ წარმოადგენს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომლის მიხედვით შეიძლებოდეს მეცნიერულად გამართული კლასიფიკაციის დადგენა. გეოგრაფიული ფაქტორი ჩვენი შეხედულებით არის მხოლოდ ერთ-ერთი და არაგადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ფაქტორთაგანი და ამდენად თვით კლასიფიკაცია, დამყარებული ასეთ ნაკლოვან საფუძველზე არის ნაკლოვანი და საბოლოოდ მეცნიერულ კლასიფიკაციად არ მიგვაჩნია.

ფრანგმა მეცნიერმა **გაბრიელ მორტილიემ** წარმოადგინა მნიშვნელოვანი კლასიფიკაცია. მან კლასიფიკაციის პრინციპად აიღო იარაღისათვის გამოყენებული მასალა, რომელსაც იყენებდა ადამიანი და ამის მიხედვით კულტურა დაყო **ქვის ხანად** და **ლითონის ხანად**. რომელთა შიგნით გამოჰყო საფეხურები: ქვის ხანაში ორი საფეხური – ძველი ქვის ხანა პალეოლითი და ახალი ქვის ხანა ნეოლითი; ლითონის ხანაში: *სპილენძის ხანა, ბრინჯაოს ხანა* და *რკინის ხანა*. შიგადაშიგ ამ ძირითად პრინციპს გაბრიელ მორტილიე უკავშირებს იარაღის დამუშავების ტექნიკასაც და ამის საფუძველზე ის ადგენს პალეოლითში ქვესაფეხურებს – *შელი, აშელი* და სხვა. ამ კლასიფიკაციას მეცნიერებაში ეწოდება *ტექნიკური კლასიფიკაცია*. როგორც ტექნიკური და დამხმარე კლასიფიკაცია, ჩვენ ის მისაღებ კლასიფიკაციად მიგვაჩნია და ჩვენი მუშაობის

პროცესში ვიყენებთ, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ეს კლასიფიკაცია საბოლოოა, იმ მხრივ, რომ ის არის დამყარებული ისეთ ძირითად მახასიათებელ საფუძველზე, რომელიც მართლაც კულტურის შემქმნელი არის. ამ კლასიფიკაციის გვერდით არსებობს ისეთი კლასიფიკაცია, რომელიც სხვა მონაცემებიდან გამომდინარეობს. ჩვენ ვიცნობთ **შმიდტის კლასიფიკაციას**, რომელიც არის ერთ-ერთი მესვეურთაგანი კულტურულ-ისტორიული სკოლისა. ამ ავტორის კლასიფიკაციაში დაყოფის პრინციპად აღებულია ოჯახის განვითარების ფორმა ე.ი. სოციალური არე. ამის საფუძველზე ის ადგენს შემდეგ სქემას: **პატრიარქალურ-ევზოვამური ოჯახი, მატრიარქალურ-ევზოვამური ოჯახი, პატრიარქალურ თავისუფალი ოჯახი, მატრიარქალურ-თავისუფალი ოჯახი** და ბოლოს, **მაღალი კულტურა**.

ოჯახის ფორმა არ წარმოადგენს ისეთ წამყვან მაჩვენებელს, რომელიც კულტურას განსაზღვრავს, არამედ თვით ოჯახი არის დამყარებული საწარმოო წესზე. მეორე მხრივ, ოჯახის ფორმების განვითარება იმ სახით, როგორც შმიდტს აქვს წარმოდგენილი, ჩვენთვის სრულიად მიუღებელია, ვინაიდან ეს შეხედულება სრულიად არ ითვალისწინებს მორგანის მიერ მოცემულ მონაპოვარს და ამ ნაკლოვან სქემას იძლევა ოჯახის განვითარებისას.

შემდეგი კლასიფიკაციის ავტორი არის **გრებნერი**. ისიც წმინდა წყლის ეთნოგრაფი, მეთაური კულტურულ-ისტორიული სკოლისა, მაგრამ მას თავისებური სქემა აქვს კულტურის კლასიფიკაციის წარმოდგენილი. ის ამბობს, რომ პირველი საფეხური ეს არის **პრიმიტიული კულტურა**, მეორე – **ბუმერანგის კულტურა**, მესამე – **მელანეზიური კულტურა**, მეოთხე – **მაღალი კულტურა**. თუ დავაკვირდებით, ამ კლასიფიკაციაში ერთი ძირითადი შეცდომაა, რომელიც კლასიფიკაციას მიუღებლად ხდის. საქმე იმაშია რომ აქ დაყოფის პრინციპად ერთი საფუძველი არ არის აღებული. ერთ შემთხვევაში დასახელებულია იარიღი (ბუმერანგის კულტურა), მეორე შემთხვევაში – გეოგრაფიული არე (მელანეზიური კულტურა), ხოლო პირველი საფეხურისათვის არის მოცემული ისეთი გაურკვეველი ტერმინი, როგორც არის პრიმიტიული კულტურა, ვინაიდან ცნება პრიმიტიული სხვადასხვა ავტორს სხვადასხვანაირად მიაჩნია. ამდენად, ვინაიდან ამ კლასიფიკაციაში ჩვენ არ გვაქვს ერთ საფუძველზე აგებული დაყოფის პრინციპი, ე.ი. დარღვეულია კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპი.

შემდეგი კლასიფიკაცია არის **მორგანის კლასიფიკაცია**, რომელიც პირობითად გაიზიარა *ენგელსმა* თავის შრომაში: „*ოჯახის, კერძო საკუთრების, სახელმწიფოს წარმოშობა*". ამასთან მან ისიც დასძინა, რომ ვიდრე ეთნოგრაფიაში ახალი მასალები არ იქნება მოპოვებული, მანამდე მორგანის კლასიფიკაცია შეიძლება დამხმარე კლასიფიკაციად გვქონდესო. მორგანს კაცობრიობის კულტურის კლასიფიკაცია სამ საფეხურად აქვს წარმოდგენილი. პირველი – **ველურობა**, მეორე – **ბარბაროსობა**, მესამე – **ცივილიზაცია**. შიგნით თვითეულ საფეხურს აქვს ქვესაფეხურები. მაგალითად, ველურობას ახასიათებს *ქვემო, საშუალო* და *ზემო საფეხურები*, ამათგან თვითეულს ცალ-ცალკე ნიშნები აქვს. ქვემო საფეხური არის *ადამიანის ბავშვობის ხანა*, მეორე საფეხურზე უკვე ადამიანი იყენებს *ცეცხლს*, ამასთან დაკავშირებით ცეცხლის შემწეობით თევზის ჭამაც შეუძლია. მესამე საფეხურის მაჩვენებლად არის *მშვილდისარი*. ბარბაროსობის ეპოქაში ასევე სამი საფეხურია – *ქვემო, საშუალო* და *ზემო*.

ქვემო საფეხურისათვის დამახასიათებელია *კერამიკული წარმოება* ანუ თიხის ჭურჭლის დამზადება, საშუალო საფეხურზე – *მიწათმოქმედება* და *მესაქონლეობა*. ბარბაროსობის მესამე საფეხურზე არის მოცემული *ლითონის* (ძვირფასი ლითონები, სპილენძი, ბრინჯაო, რკინა) *დამუშავება* და ამით მორგანის კლასიფიკაციის მიხედვით გადავდივართ კლასობრივ საზოგადოებაში ანუ ცივილიზაციაში. აქ უკვე ვხვდებით ისეთ ტერმინებს, როგორიცაა კულტურა და ცივილიზაცია. ცივილიზაციის ეპოქა მორგანისა და ენგელსის შეხედულებით, ძირითადად განსხვავდება პირველი ორი საფეხურისგან. პირველი ორი საფეხური თავსდება კლასთაწინარე საზოგადოების ფარგლებში, ხოლო მესამე ეპოქა, ამ შემთხვევაში ცივილიზაცია, უკვე განეკუთვნება კლასობრივ საზოგადოებას. კლასობრივ საზოგადოებაში ივარაუდება კლასებთან ერთად სახელმწიფოს არსებობაც. ამგვარი ვითარება გვაქვს ჩვენ მოცემული მორგანის კლასიფიკაციაში.

მორგანის კლასიფიკაციაც დამხმარე კლასიფიკაციას წარმოადგენს, ვინაიდან ამ კლასიფიკაციაში ძირითადი დაყოფის პრინციპი არ არის წარმოდგენილი ისეთი წმყვანი მაჩვენებლების სახით, როგორც ამას მეცნიერება მოითხოვს. ჯერ ერთი, ისიც შეიძლება ითქვას, რომ ველურობის ქვედა საფეხურისათვის ამ კლასიფიკაციაში დასახელებულია ადამიანის ბავშვობის ხანა, ვინაიდან თანამედროვე არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე არც ერთი ასეთი აღმოჩენა არ არის რაგინდ ადრეულ საფეხურს არ ეკუთვნოდეს კაცობრიობის განვითარებისა, სადაც ცეცხლი არ იყოს წარმოდგენილი. უძველესი სინანტროპი (ჩინეთში აღმოჩენილი) არის წარმოდგენილი ცეცხლითურთ, გამურულ გამოქვაბულში და სხვა. მეორე მხრივ, აქ ჩვენ ვხედავთ ისეთ მონაცემებს, რომლებიც ამ კლასიფიკაციაში დაზუსტებული სახით არ არის მოცემული.

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას ველურობა–ბარბაროსობის შესახებაც: ტერმინი ველურობა პირველად შემოიღო *ჰობსმა*, რომელიც XVII საუკუნეში სწავლობდა ეთნოგრაფიის საკითხებს და ამტკიცებდა, რომ „*ადამიანი ადამიანის მტერია*". იმ ხანიდან მომდინარეობს ეს ტერმინი მეცნიერებაში. მაგრამ იმ საფეხურის დასახასიათებლად, რომლის დროსაც ადამიანი განვითარების დაბალ საფეხურზე იმყოფება სხვა სახელწოდებაც არის მიღებული, მაგალითად განვითარების ამ საფეხურზე მყოფ ხალხებს უწოდებდნენ ველურებს, უკულტუროებს, ნატურალურ ხალხებს (ეს ტერმინი მომდინარეობს რუსოსაგან). ჩვენც გვმართებს გარკვეული ტერმინი გვქონდეს იმ ხალხთა ვითარების დასახასიათებლად, რომლებიც განვითარების დაბალ საფეხურზე იმყოფებიან. ასეთ ხალხებს უკულტუროებს ვერ ვუწოდებთ, იმიტომ, რომ განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფთაც კულტურის ესა თუ ის ელემენტი აქვთ. ველურობა მართლაც ველური ტერმინია და მიუღებელია, ხოლო ნატურალური იქნებოდა თუ სხვა ესეც გასარკვევია.

განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი ხალხის აღსანიშნავად მიზანშეწონილი იქნება ველურობის ან უკულტურო ხალხის ნაცვლად ერთი ტერმინი გვქონდეს მიღებული და ეს ტერმინი იქნება – განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი ხალხი. ეს სავსებით ასახავს იმ მდგომარეობას, რომელშიაც ისინი იმყოფებიან. განვითარების ეს დაბალი დონე რა ხარისხის არის, ამას ჩვენ გავარკვევთ შემდგომში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი კლასიფიკაცია არის კულტურისა და ისტორიის **მარქსისტული კლასიფიკაცია**. ეს კლასიფიკაცია დაყოფის პრინციპად, საფუძვლად იღებს საწარმოო წესს და იმის მიხედვით, თუ რა ხასიათის საწარმოო წესი არსებობს ამა თუ იმ საზოგადოებაში ადგენს განვითარების სხვადასხვაგვარ საფეხურებს.

წარმოების წესი შედგება ორი ძირითადი ელემენტისაგან – საწარმოო ძალებისა და საწარმოო საშუალებებისაგან და ამ ორი ძალის ურთიერთდაკავშირება ქმნის წარმოების წესს. ამ საფუძველზე მარქსისტული კლასიფიკაცია შეიცავს საზოგადოების განვითარების შემდეგ საფეხურებს:

1. **პირველყოფილი თემური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია** განვითარების ამავე საფეხურზე მეორე სახელწოდებაც აქვს – წინაკლასობრივი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია და მეორეგვარადაც არქაული საზოგადოება. დასახელებულ სახელწოდებათაგან პირველი, ამჟამად ყველაზე უფრო მეტად მიღებული სახელწოდება არის, 2. საფეხური ამ კლასიფიკაციის მიხედვით არის **მონათმფლობელური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია**, 3. **ფეოდალური**, 4. **კაპიტალისტური** და 5. **სოციალისტური**.

ამგვარად ჩვენ განვიხილეთ რიგი კლასიფიკაციებისა – მეჩნიკოვის, მორტილიეს, შმიდტის, გრებნერის, მორგანის და მარქსის.

*

* *

ეთნოგრაფიის საგანი და მეთოდი

ჩვენს ქვეყანაში ის მეცნიერება, რომლის ისტორიაც ჩვენ განვიხილეთ **ეთნოგრაფიის** სახელწოდებით არის ცნობილი.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ამ მეცნიერებას სხვა სახელწოდებით მოიხსენებენ. ერთ-ერთი ასეთი ტერმინია **ეთნოლოგია**. ამ ტერმინის მეორე ნაწილი – „ლოგია“ ნიშნავს სიტყვას, მეტყველებას, გრძნობას. მაშასადამე, მისი მნიშვნელობა იქნება „*ხალხის მეტყველება*“, ანუ „*ხალხთმეტყველება*“, ხოლო მისი მეცნიერული შესატყვისი – „*ხალხთა შესწავლა*“. საზღვარგარეთელი მეცნიერები განასხვავებენ ერთმანეთისაგან ამ ორ სახელწოდებას – *ეთნოგრაფიასა* და *ეთნოლოგიას*. მათი შეხედულებით *ეთნოგრაფია* არის მეცნიერება, რომელიც მხოლოდ ხალხთა აღწერას აწარმოებს. ხოლო *ეთნოლოგია* კი ისეთი მეცნიერებაა, რომელიც მეცნიერულ კვლევა-ძიებას ახდენს. უნდა ითქვას, რომ ჩვენი შეხედულება განსხვავდება როგორც შინაარსობრივად, ისე მეთოდოლოგიურად, ვინაიდან აღწერილობა თავისთავად, უკეთუ ის მეცნიერული აღწერილობაა, მეცნიერული კვლევის განუყოფელი ნაწილია. ამდენად აღწერილობა თვითმიზნად არ შეიძლება წარმოვიდგინოთ და ცალკე სამეცნიერო დისციპლინას არ შეიძლება შეადგენდეს.

ამავე მეცნიერებას ინგლისსა და ამერიკაში **ანთროპოლოგიას** უწოდებენ, რომელშიც ვარაუდობენ ადამიანთან დაკავშირებულ რიგ დისციპლინებს: საკუთრივ ანთროპოლოგიას (სომატური), ეთნოგრაფიას, არქეოლოგიას, ეთნოლოგიას, რელიგიის ისტორიას, სოციოლოგიას და ა.შ. ანთროპოლოგია დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინაა, რომელსაც თავისი განსაზღვრული სამუშაო ობიექტი და მეთოდი აქვს. გარდა ამისა დასავლეთ გერმანიაში ამ

დისციპლინას ორგვარი სახელით ნათლავენ: „Völkerkunde“ და „Volkskunde“. სიტყვასიტყვით ეს ტერმინები პირველ შემთხვევაში ხალხის მცოდნეობას, ხოლო მეორე შემთხვევაში ხალხთმცოდნეობას აღნიშნავენ. ამასთან, ამ ტერმინზე დიფერენცირებულად იყენებენ – ევროპელ ხალხთა შესწავლას – „ვოლკსკუნდეს“ უწოდებენ, ხოლო არა ევროპელ ხალხებისას – „ვიოლკერკუნდეს“.

საბჭოთა მეცნიერებაში ამ დისციპლინას ტრადიციულად ეთნოგრაფიის სახელი დაუმკვიდრდა და ამ სახელწოდებას უფრო რთული და ღრმა შინაარსი ენიჭება, ვიდრე მის სიტყვასიტყვით მნიშვნელობას. ეთნოსები, რომლებიც ეთნოგრაფიის შესწავლის ობიექტია, ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც სოციალური სტრუქტურით, ისე ეთნიკური კონსოლიდაციით, საზოგადოებრივი განვითარების დონით. საბჭოთა ეთნოგრაფია თვლის რომ ეთნოგრაფია სწავლობს ყველა ხალხს, განვითარების რომელ საფეხურზეც არ უნდა იყოს ის, მისი ცხოვრების ყველა სპეციფიკურ მხარეს, მის ყოფასა და კულტურას. საკუთრივ ტერმინ ეთნოსს ძველ ბერძნულში ათამდე სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა, მათ შორის ხალხი, ტომი, ბრბო, ადამიანთა ჯგუფი, უცხო ტომი, ჯოგი, გვარი და სხვა. ამათგან ეს ტერმინი უპირატესად ხალხის, ტომის მნიშვნელობით ძვ.წ. V–IV სს. ბატონდება ლიტერატურაში. დღესაც ამ ტერმინით აღნიშნავენ ეთნიკური ერთობის ყველა ისტორიულ ტიპს (ტომი, ეროვნება, ნაცია).

ასევე აღწერაც შეიძლება იყოს საგნის გარეგანი და შინაგანი ნიშნების მიხედვით. ერთია, ვთქვათ ადამიანის აღწერა კანის ფერის, თვალის გუგის ფერის, თმისფერისა და მოყვანილობის და სხვა გარეგანი ნიშნების მიხედვით, ხოლო მეორეა ჩონჩხის, შინაგანი ორგანოების, კუნთების ძარღვების, ნერვული სისტემის, ტვინისა და სხვათა მიხედვით, საბჭოთა ეთნოგრაფია უპირატესად ამ მეორე ხასიათის აღწერილობაზე ამახვილებს ყურადღებას, რაც ვარაუდობს საგნისა და მოვლენის შინაარსის გახსნის, მათი აღნაგობის (სტრუქტურის), დამზადების (ტექნიკის) და გამოყენების (ფუნქციის) მიხედვით.

საზღვარგარეთის მეცნიერებს ეთნოგრაფიის საგნის სხვადასხვა განსაზღვრება აქვს მოცემული. ერთნი ამტკიცებენ, რომ ეთნოგრაფია სწავლობს პრიმიტიულ და უკულტურო ხალხებს, სხვების მტკიცებით ეთნოგრაფია აღწერს და სწავლობს ყოფის ტრადიციულ ფორმებს და გადმონაშთურ მოვლენებს ისეთი ჩამორჩენილი ხალხებისას, რომელთაც „პროფესიული“ კულტურა არ გააჩნიათ. ამასთან ერთად ქადაგებენ, რომ კულტურას ქმნიან საზოგადოების ზედაფენები, რომელთაგან შემდეგში ხალხის ფართო ფენები კულტურის მონაპოვრებს ითვისებენ. ეთნოგრაფიის საგნის ასეთი განსაზღვრებები ემყარებიან იდეალისტურ მსოფლმხედველობას და რასიული თეორიიდან გამომდინარეობენ. ამის ერთ-ერთი საუკეთესო დამადასტურებელია ყბადაღებული ბურჟუაზიული თეორია „კულტურული“ ევროპელებისა და „უკულტურო“ არა ევროპელების შესახებ, რომლის მიხედვითაც არსებობენ აქტიური, შემოქმედებითი უნარის მქონე რასები, რომლებიც კულტურის ყველა სიკეთეს ქმნიან და პასიური არაშემომქმედი, ე.ი. ისეთი რასები, რომლებსაც თითქოს არც წარსულში რამე შეუქმნიათ და არც მომავალში რაიმეს შექმნა არ შეუძლიათ. ეს „შეხედულება“ გაბატონებული კლასების ინტერესებს ემსახურებოდა, ქადაგებდა რასობრივ დისკრიმინაციას და კოლონიალური ჩაგვრის „ფილოსოფიურ“ დასაყრდენს წარმოადგენდა.

ამგვარად **ეთნოგრაფია არის ისტორიული მეცნიერება, რომელიც სწავლობს, ეთნიკურ ერთობლიობას, მის ყოფასა და კულტურას, მის თავისებურებებს ცოცხალ სინამდვილეში, უშუალო დაკვირვების გზით.**

ამ განსაზღვრებაში ოთხი ელემენტია მოცემული. ამათგან სამი პირველი ეთნოგრაფიის შესწავლის საგანია, ხოლო მეორე – საგნის შესწავლის მეთოდი.

პირველი ელემენტი საგანგებო განმარტებას არ საჭიროებს – იმასთან დაკავშირებით რაც ითქვა ზემოთ ამ ცნების შესახებ. მხოლოდ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ზოგადი ეთნოგრაფიის შესწავლის ობიექტია ეთნიკური ერთობლიობა განვითარების რა საფეხურზეც არ უნდა იდგეს ის და სადაც არ უნდა იყოს. ხოლო, რაც შეეხება **ყოფას**, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ცნებაში შედის არა მარტო ცხოვრების პირობები (ადამიანთა ყოფაქცევის სტაბილური ფორმები ყოველდღიურ ცხოვრებაში მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად), არამედ ფსიქიკური წყობა და ეთნიკური თავისებურებები, რომლებიც იქმნებიან საუკუნეების მანძილზე და თაობიდან თაობებს გადაეცემიან ხოლმე. რაც შეეხება ცნება **კულტურას**, ზოგად ფილოსოფიური განმარტებით, ის მოიცავს ყველაფერს შექმნილს ადამიანის მიერ, იმისაგან განსხვავებით, რაც ბუნების მიერაა შექმნილი. ეთნოგრაფიაში ასხვავებენ **ნიკოიერ** ანუ **მატერიალურ კულტურას** (შრომის იარაღები, საცხოვრებელი, საჭმელ-სასმელი, ტანსაცმელი, სამკაული, ტრანსპორტი და სხვა) და **სულიერ კულტურას** (ზნე-ჩვეულებანი, ტრადიციები, ხალხური შემოქმედება, რელიგიური წარმოდგენები და სხვა). სულიერ კულტურაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საუკუნეთა განმავლობაში გამომუშავებელ ადამიანთა კოლექტიურ საწარმოო გამოცდილებას და შრომის ჩვევებს. ეს სწორედ ის მონაპოვარია, რომელიც მშრომელი ხალხის მიერ არის მიკვლეული ემპირულად, პრაქტიკულად.

მართლაც, ხალხი ყოველდღიურ შრომასა და ყოფაში, თუმც არა ყოველთვის შეგნებულად, იყენებს ბუნების ობიექტურ კანონებს. ჩვენ ვიცით, რომ ადამიანმა ცეცხლის გამოყენება უძველესი ხანიდან მოახერხა. მან ცეცხლის „გაჩენის“ რამდენიმე ხერხი გამოიმუშავა და მით დაიმორჩილა ბუნების ეს სტიქიონი. მაგრამ თუ დავაკვირდებით ცეცხლის მოპოვების ხალხური ყველა ხერხს, აღმოჩნდება, რომ ყველა ისინი ერთ ძირითად, ფიზიკაში კარგად ცნობილ კანონს ემყარებიან და მის გამოყენებაზე არიან დაფუძნებული. ეს ბუნებრივი კანონია: ფიზიკური ენერგიის ერთი სახეობიდან მეორე სახეობაში გადასვლა ხახუნით. ცეცხლის „გაჩენა“ ამ კანონის გამოყენებიდან გამომდინარეობს.

მაგრამ ეს კანონი აღმოჩენილია ფიზიკაში მეცნიერული ექსპერიმენტის გზით გარკვეული ხანიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ თავისთავად, ეს კანონი მოქმედებას იწყებს მხოლოდ იმ დროიდან, როდესაც ის ფიზიკოსებმა აღმოაჩინეს. სრულიად არა. ეს კანონი ბუნებაში არსებობს ოდიდან. მაგრამ სანამ მას ფიზიკოსები აღმოაჩენდნენ, კულტურის განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი ადამიანი იყენებს შეუცნობლად, პრაქტიკული საჭიროების დაკმაყოფილების საფუძველზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კულტურის დაბალ საფეხურზე მყოფი ადამიანის მიერ შეუცნობლად „აღმოჩენილი“ კანონი, ენერგიის ერთი სახეობის მერე სახეობაში გადასვლისა, დღესაც გამოიყენება ადამიანის მიერ, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი გამოყენება ხდება ახალ, მეცნიერულ ბაზაზე, რაციონალური ცოდნის საფუძველზე.

ზემოთქმულს დავძენთ, რომ ხალხური ემპირიული ცოდნა ყველა როდი ისპობა მათი წარმომშობი ბაზის ლიკვიდაციასთან ერთად, არამედ ზოგიერთი მათგანი ხალხის ყოფაში აგრძელებს არსებობას. უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანი ჰპოულობს დასაბუთებას სამეცნიერო ექსპერიმენტის მეშვეობით და დგება ახალი საზოგადოების სამსახურში. ასე, მაგალითად, მრგვალი სხეულის, ბორბლის ბრუნვის პრინციპი, რომელიც უხსოვარ დროს ემპირიული გზით ადამიანმა მარტივ წარმოდგენათა საფუძველზე „აღმოაჩინა", დღესაც გამოიყენება, როგორც მეცნიერულად, ექსპერიმენტულად დასაბუთებული.

აი, ამ ცხოვრების პირობებს, სოციალურ მხარეს და ფსიქიკურ წყობას, მატერიალური დოვლათის უშუალო მწარმოებლის შრომით ჩვევებს, საწარმოო გამოცდილებას ვარაუდობს ეთნოგრაფიის განსაზღვრის მეორე ელემენტი.

რაც შეეხება განსაზღვრების მესამე ელემენტს – **ყოფისა და კულტურის თავისებურებებს** – ეს ის წვლილია, რომელიც ამა თუ იმ ხალხს, დიდსა თუ მცირეს, შეაქვს კაცობრიობის კულტურის საგანძურში.

თუ ეთნოგრაფია სწავლობს ხალხის ყოფასა და კულტურას, მათ თავისებურებებს საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, ბუნებრივად ისმება კითხვა, რა გზით, რა საშუალებით, რა მეთოდით აწარმოებს ეს მეცნიერება ამ პრობლემების შესწავლას, როგორ ახორციელებს ის უშუალო დაკვირვებას ცოცხალ ეთნოგრაფიულ სინამდვილეზე.

ქართულ ეთნოგრაფიას, როგორც ყველა მეცნიერებას, საკუთარი კვლევის ობიექტთან ერთად აქვს თავისი დამოკიდებული მეთოდი, რომელიც ცნობილია **კომპლექსურ-ინტერსიური მეთოდის** სახელწოდებით. ეს მეთოდი ჩამოყალიბდა საქართველოს ეთნოგრაფიული სინამდვილის შესწავლის ნიადაგზე, ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად და მრავალგზის არის შემოწმებული.

ცნობილია, რომ საველე ეთნოგრაფიული მუშაობა მეტად რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. ცოცხალ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მოპოვებული მასალა განსაკუთრებული რიგისაა. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ შიშველი ფაქტი გამოუსადეგარია, თუ არ ხერხდება მისი გაშუქება წარმოშობილობის მიხედვით, გენეტიკურად. ამიტომ ეთნოგრაფს პირველ რიგში მოეთხოვება, რომ ეთნოგრაფიული მასალების შეგროვება აწარმოოს სამეცნიერო-კვლევით პრობლემასთან კავშირში, მისგან მოუწყვეტლად. ეთნოგრაფ–მკვლევარს საველე მუშაობის დროს აქვს შესაძლებლობა შეისწავლოს ხალხის საწარმოო გამოცდილება და შრომითი ჩვევები მათს კონკრეტულ გამოვლინებაში, შეისწავლოს ცხოვრების ძველი და ახალი ფორმები, მზარდი განწირული მოვლენები და მათი მოძრაობა.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ხალხის კულტურისა და ყოფის თვითმყოფი ნიშნებისა და თავისებურებების გეგმაზომიერი და სისტემატური შესწავლის გარეშე შეუძლებელია სისრულით წარმოვიდგინოთ ნივთიერი დოვლათის უშუალო მწარმოებელთა ისტორია, ხალხის მასების ისტორია. ამ თვალსაზრისით ისტორიულ დისციპლინათა შორის არცერთი არა დგას ისე ახლოს უშუალო მწარმოებელთან, როგორც ეთნოგრაფია, რომელიც ეთნოგრაფიულ ფაქტებსა და მოვლენებს უშუალოდ ხალხის ყოფაში, ცოცხალ სინამდვილეში სწავლობს. ეთნოგრაფიული მეცნიერების საკვლევი წყაროს ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისებურება ამავე დროს წარმოადგენს იმ სპეციფიკას, რითაც იგი ისტორიის სხვა დისციპლინებისაგან განსხვავდება.

ამასთანავე საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული ის გარემობა, რომ ეთნოგრაფიული სინამდვილე, ჩვეულებრივად, ორმაგად რთული, მრავალგზის გადაჯვარედინებული კულტურულ-ისტორიული და კულტურულ-ეთნიკური მოვლენაა, რომელთა ზოგიერთი ელემენტი ძლივსღა შეიმჩნევა და ძნელად ხელშესახებია. ეთნოგრაფიული სინამდვილე ხშირად ინახავს ძველ მოვლენებსა და საგნებს არა მხოლოდ ცალკეული დაჭუცმაცებული ფაქტების სახით, არამედ მეტნაკლებად მთლიანი კომპლექსების სახითაც, რაც მათ ფიქსაციას ართულებს და აძნელებს.

ამიტომ ეთნოგრაფიული ფაქტები, დიდნი და მცირედნი, რომ არ დარჩნენ ეთნოგრაფის თვალთახედვის გარეშე ველზე მუშაობის დროს, რომ ადექვატურად აისახოს ეთნოგრაფიული სინამდვილე და აღწერილი ფაქტები უტყუარი იყოს, საჭიროა მასალების შესაგროვებლად წარმოებული საველე მუშაობა წარიმართოს კომპლექსურ–ინტენსიური მეთოდით.

თავისთავად ცხადია, რომ ეს მეთოდი მკვეთრად ეწინააღმდეგება საზღვარგარეთის ეთნოგრაფიაში მიღებულ მეთოდებს: რარიტეტულ-ანტიკვარულს, ძველად მიღებულს, და ახლა ხმარებაში მყოფს – *კულტურულ – ისტორიულს* (ვ. შმიდტისა და კოპერსისა), *ბიოლოგიურს* – (კ. მიულმანისა), *კორელატივურ* – სტატისტიკურს (კლიმეკისა), *ფუნქციონალურს* (ბ. მალინოვსკისა, ტურნვალდისა), ამერიკული ფსიქოლოგიური სკოლისას (ა. კარდინერი, რ. ბენედიქტი და სხვა), ფრანგული სოციოლოგიური (დიურკჰეიმისა და მოსსისა)*.

ცნობილია, რომ ბუნებაში არც ერთი მოვლენა არ შეიძლება იქნეს გაგებული, თუ მას განვიხილავთ იზოლირებულად, გარეშე მოვლენებთან დაკავშირების გარეშე, ვინაიდან ყოველგვარი მოვლენა რა სფეროშიც არ უნდა იყოს მოცემული შეიძლება უაზროდ გადაიქცეს, თუ მას განვიხილავთ გარემო პირობებთან კავშირის გარეშე, მათგან მოწყვეტით, და, პირიქით, ყოველგვარი მოვლენა შეიძლება გაგებული და დასაბუთებული იქნეს, თუ მას განვიხილავთ გარემო მოვლენებთან მის განპირობებაში.

დასახელებულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება საველე ეთნოგრაფიულ მუშაობაში შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც საგანი და მოვლენა შეისწავლება კომპლექსურად, მაშინ, როდესაც ერთი მხრით, კომპლექსში ივარაუდება ბაზისური და ზედნაშენური მოვლენები და, მეორე მხრით, როცა ყოველი საგანი აღიწერება „როგორც ადამიანის შრომის ჯამი" (კ. მარქსი), ე.ი. აღნაგობის (სტრუქტურის), დამზადების (ტექნიკის) და დანიშნულების (ფუნქციის) მიხედვით.

ამ მეთოდის მიხედვით ეთნოგრაფიული დაკვირვების სიღრმე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიფართოვე. მნიშვნელოვანია მცირე მიკროარაინონის ღრმა შესწავლა, ვიდრე ეთნოგრაფიული მოვლენების გავლით და ზერელედ ფიქსაცია ვრცელ ტერიტორიაზე. ადგილზე კარგად შედგენილი ბიოგრაფია ერთი კონკრეტული საგნისა, მაგალითად, სახვნელი იარაღისა მეტს იძლევა, ვიდრე მრავალი ათეული ამგვარი იარაღის ზერელე აღწერილობა.

---

* ამავე დროს გ. ჩიტაია იზიარებს და იყენებს **ლეო ფრობენიუსის** ეთნოგრაფიული მუშაობის კარტოგრაფიულ მეთოდს (გვ. 44-45), **კულტურულ-ისტორიული სკოლის**, ეთნოგრაფიული ფაქტების კრიტიკულად ათვისების, ეთნოგრაფიის ისტორიულ დისციპლინად აღიარების (გვ. 45და **ფრანც ბოასის** ინტენსიურ მეთოდის (გვ. 47) გარკვეულ პრინციპებს [თ.ც.].

ამგვარად გაგებულ კომპლექსურობასთან ერთად, ველზე მუშაობის დროს შეგროვებული მასალა რომ კიდევ უფრო დამაჯერებელი და სარწმუნო იყოს, საჭიროა ეთნოგრაფიული საგანი თუ მოვლენა აღიწეროს არა ერთგან, არამედ ჯვარედინად და მრავალგზის ცალკეულ პატარა თუ დიდ სოციალურ ერთეულებში: – ოჯახში, გვარში, თემში, უბანში, სოფელში, ხევში და ა.შ. ამ მეთოდის ეს მხარე მის ინტერესიურობაზე მიუთითებს. ამასთან ერთად საჭიროა, რომ ტექსტუალური მასალა გროვდებოდეს პირველწყაროების მიხედვით, ხოლო, ნივთები – ორიგინალების სახით. საველე ეთნოგრაფიული მეთოდი ერთნაირად გამოიყენება როგორც ძველი, ისე ახალი ყოფისა და კულტურის შესასწავლად.

პრინციპულ მხარეებთან ერთად საველე ეთნოგრაფიულ მეთოდს თავისი ტექნიკური ხერხებიც გააჩნია. მათ პირველ რიგში განეკუთვნება „ველზე" ხანგრძლივი ყოფნა და სტაციონარული მუშაობა, შრომის პროცესებისა და კულტურული კომპლექსების („ეთნოგრაფიული წელი") ციკლურობის გათვალისწინება, შესასწავლი ხალხის ენის ცოდნა (ჩაწერილ ცნობას, რომ საბუთის მაგვარი ღირსება ჰქონდეს), ამასთანავე აუცილებლად საჭიროა მთხრობლის ცნობა და სხვა ყოველნაირი მასალა სიტყვასიტყვით იყოს აღბეჭდილი. ჩანაწერებს უნდა ახლდეს ცნობები: მთხრობელის გვარი, ხელობა, ადგილობრივია თუ მოსული, ფოტო-კინოგადაღება, მაგნიტოფონზე ჩაწერა, აეროფოტო გადაღება და სხვ.

ახლა გავარკვიოთ ეთნოგრაფიის მნიშვნელობა, როგორც მეცნიერებისა. **ეთნოგრაფიას აქვს ორმხრივი მნიშვნელობა, ერთი მხრივ, პრაქტიკული და, მეორე მხრივ, თეორიულ-სამეცნიერო**. პრაქტიკული დანიშნულების ხაზით უნდა აღინიშნოს, რომ, რამდენადაც ეთნოგრაფია სწავლობს ხალხის ყოფას, ხოლო ყოველი სინამდვილის შესწავლა გამოსაყენებელი არის შემდგომი წინსვლისათვის, პროგრესისათვის, ამდენად მისი პრაქტიკული დანიშნულებაც ნათელი და ცხადია. გასაგები რომ იყოს თუ რა მნიშვნელობა აქვს ეთნოგრაფიულ ცოდნას მე ერთ მაგალითს მოვიყვან: 1928 თუ 1929 წელს თბილისიდან გაგზავნილ იქნა აგიტატორი ანტირელიგიური აგიტაციის საწარმოებლად ხევსურეთში. აგიტაციას დიდი გამოხმაურება ჰქონდა. ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა და ის აგიტატორი დაბრუნდა თბილისში იმ შთაბეჭდილებით, რომ ხევსურები ანტირელიგიური შეხედულებისა არიან, რომ ისინი ქრისტიანობას უარყოფენ და გმობენ. მაგრამ ამგვარი შეხედულება სავსებით ყალბ საფუძველზე იყო დაფუძნებული. საქმე ის არის, რომ აგიტატორმა არ იცოდა, რომ ხევსურეთში ქრისტიანობა მეტად მცირე დოზით იყო წარმოდგენილი, მთავარი რელიგია იქ იყო წინაქრისტიანული, კიდევ მეტიც შეიძლება ითქვას. ცარიზმის დროს ხევსურეთში ააშენეს ქრისტიანული ეკლესია, რომლებშიაც ხევსურები საერთოდ არ შედიოდნენ. სამღვდელოებასთან, რომელიც სწირავდა ეკლესიებში მათ კავშირი არ ჰქონდათ და უპირატესობას აძლევდნენ თავიანთ წარმართულ რელიგიას. რევოლუციის შემდეგ ხევსურებმა მღვდლები გამორეკეს, ეკლესიებს კარები და ჩარჩოები ჩამოხსნეს. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ ხევსურები რელიგიის მიმდევრები არ იყვნენ. როდესაც ადამიანს სურს პროპაგანდა-აგიტაცია აწარმოოს ძველი ზნე-ჩვეულებების წინააღმდეგ, პირველყოვლისა საჭირო არის იმ სინამდვილის ცოდნა თუ რის წინააღმდეგ უნდა იქადაგოს. თუ ეს ცოდნა არ გაქვს, ყოველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი მოქმედება ფუჭი და უნაყოფო იქნება. და აი, სწორედ ეთნოგრაფია სწავლობს იმ სინამდვილეს და იმ ყოფას, რომელიც ხალხში არის შემონახული მატერიალური და სულიერი კულტურის სახით. ყველა ვისაც საამისოდ მიუწვდება ხელი გამოიყენებს ხალხის საკეთილდღეოდ, იმას, რაც გამოსადეგია, ხოლო სხვა შემთხვევაში გასწევს პროპაგანდა-აგიტაციას უარყოფითი მოვლენის წინააღმდეგ.

გარდა ამისა, მეტად მნიშვნელოვანი არის ეთნოგრაფიის თეორიული დანიშნულება. რამდენადაც ეთნოგრაფია სხვა პრობლემებთან ერთად სწავლობს ჩამორჩენილი ხალხების მაგალითზე კაცობრიობის განვითარების პირველ საფეხურსაც, მისთვის დამახასიათებელ კანონზომიერებებს და ამ საზოგადოებაში ჩასახულ კულტურის ელემენტების გენეზისის საკითხებს (მატერიალური კულტურის დარგიდან – ტანსაცმლის, საცხოვრებელის, შრომის იარაღების, გადასაზიდი და გადასაყვანი საშუალებების წარმოშობა-განვითარების და სხვა), სოციალურ (ოჯახის, გვარის, თემის წარმოშობა), სულიერი კულტურის და რელიგიის წარმოშობა-განვითარების საკითხებს და სხვ.

ცნობილია, რომ კაცობრიობის განვითარების პირველი საფეხური არსებითად წარმოადგენს იმ საფუძველს, რომელზედაც აღმოცენდა ადამიანთა მთელი კულტურა. ამიტომ კულტურის ამ საწყისების შესწავლა ეთნოგრაფიის ერთ-ერთი საპატიო ამოცანაა. მაგალითად ავიღოთ ისეთი საკითხი, როგორიც არის ტანსაცმლის წარმოშობა, განვითარების ადრინდელ საფეხურზე მყოფ ისეთი ხალხებისათვის, რომლებიც ტროპიკულ სარტყელში ცხოვრობდნენ დამახასიათებელი იყო – ტანსაცმლის ისეთი უმარტივესი ფორმები როგორიცაა სარტყელი და წინსაფარი. მეორე მხრივ განვითარების იმავე საფეხურზე მყოფ, მაგრამ მკაცრ გეოგრაფიულ ზოლში მცხოვრებ ხალხებს წარმოდგენილი ჰქონდათ მეტად რთული სახის ჩაცმულობა.

ავსტრალიელები

იბადება კითხვა, საიდან მომდინარეობს ჩაცმულობის წარმოშობა, რას

უკავშირდება ის. ამაზე მეცნიერებაში ორგვარი შეხედულება არსებობს. ერთი შეხედულების მიხედვით, ტანსაცმლის გენეზისი საძიებელი არის ადამიანის იმ მოთხოვნილებასთან დაკავშირებით, რომელსაც ჩვენ სქესობრივი შერჩევის სახით წარმოვიდგენთ. მეორე – კოსტუმის წარმოშობა დაკავშირებული არის ორგანიზმის დაცვისთვის ბუნების მოვლენის გავლენისაგან. ერთი სიტყვით, პირველი თეორიის მიხედვით კოსტუმის საწყისები საძიებელი არის ესთეტიკურ გემოვნებაში, მეორეს მტკიცებით კი, ეს არის უტილიტარულ მოთხოვნილებასთან დაკავშირებული.

ახლა თუ ეთნოგრაფია გაიზიარებს იმ მასალებს, რომლებიც კოსტუმის სახით გააჩნიათ ჩამორჩენილ ხალხებს, ირკვევა, რომ ავსტრალიელთა ყოფაში კოსტუმის შემცველი ელემენტები მეტად მცირე ერთეულების სახით არის წარმოდგენილი (სარტყელი, წინსაფარი), რასაც პირობითად უნდა დაემატოს შემკულობა და ტანის მოხატვა-ტატუირება. ამ ელემენტებიდან უტილიტარულ მიზნებს ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ სარტყელი და წინსაფარი. შემკულობა კი ისეთი ელემენტის შემცველია, რომელიც უტილიტარულ მოთხოვნილებას კი არ ემსახურება, არამედ სხვადასხვა რიტუალების შესრულებას. იმ სარტყელს, რომელსაც ავსტრალიელი ატარებს, შ ი მ შ ი ლ ი ს ს ა რ ტ ყ ე ლ ი ც ეწოდება, ვინაიდან ავსტრალიელის ცხოვრებაში წლის მანძილზე არის ისეთი პერიოდი, როდესაც ის შიმშილობს. მაშინ ამ სარტყელს უფრო მაგრად მოუჭერს, რომ შიმშილის გრძნობა მოიკლას. რაც შეეხება წ ი ნ ს ა ფ ა რ ს, მეცნიერებაში გამოთქმული აზრით, ის გამოწვეულია სირცხვილის გრძნობით და ემსახურება ადამიანის ესთეტიკურ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. მაგრამ შეიძლება თამამად ითქვას, რომ სირცხვილის გრძნობა მეორადი მოვლენაა შედარებით სქესობრივ შერჩევასთან.

იგივე ითქმის თავის შემკულობაზეც. ცნობილია, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ავსტრალიელები თ ა ვ ი ს მ ო რ თ ვ ა ს და ტ ა ტ უ ი რ ე ბ ა ს, ანუ ტანის მოხატვას. მართალია მასში არის ერთგვარად ჩაქსოვილი რელიგიური ელემენტები, ვინაიდან ტატუირებული ადამიანი ტატუაჟის სახით სიმბოლურად გამოხატავს იმ ცხოველსა თუ ფრინველს, რომლის ტოტემსაც ის ეკუთვნის. მაგრამ იბადება კითხვა, განა მართლაც ესთეტიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილებიდან მომდინარეობს კოსტუმი?

ვიდრე ამაზე პასუხს გავცემდეთ, ისიც უნდა ითქვას, რომ ავსტრალიელი მოხუცები ავდარში ნადირის ტყავსაც წამოიფარებენ ხოლმე ბეჭების დასაფარავად. ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კოსტუმის წარმოშობის მიზეზები ერთი ფაქტორში კი არ არის საძიებელი, არამედ სულ ცოტა ორი ძირითადი მოთხოვნილების დაკმაყოფილების სფეროში.

ამგვარი პასუხი ჩვენი შეხედულებით იქნებოდა სავსებით მისაღები და ჯეროვანი. ასეთი საკითხები ეთნოგრაფიის წინაშე კიდევ მრავალი სხვა ისმება მატერიალური, სოციალური და სულიერი კულტურის ხაზით და ყველა ისინი უაღრესად საინტერესო არიან.

მაგრამ ეთნოგრაფს მუშაობა უხდება არა მარტო განვითარების ამ საფეხურზე მყოფ ხალხებში, არამედ გადმონაშთებზედაც. გადმონაშთების სახით კი ყოფაში წარმოდგენილი არის სხვადასხვა მნიშვნელობისა და ფორმის ეთნოგრაფიული საგნები, მოვლენები, რომელთა წარმოშობის გარკვევის დროს არ კმარა მარტო იმ კულტურული ვითარების გათვალისწინება, რომელიც

არსებობს განვითარების პირვანდელ საფეხურზე. განსაკუთრებით ეთნოგრაფებს, რომლებსაც უხდებათ მუშაობა უძველესი კულტურის მქონე ხალხებში (დამწერლობის მქონე ხალხებში), მათ შორის ქართველებში, სომხებში და სხვა. იმათი მუშაობა კიდევ უნდა იქნეს გაძნელებული იმ მხრივ, რომ გადმონაშთის კვლევა-ძიების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს განვითარების საფეხურებიც. ჩვენი ეთნოგრაფების მიერ კვლევა-ძიების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს, აგრეთვე, ძველი აღმოსავლეთის კულტურული ვითარება. ის ხანა, რომელიც მოსაბრუნებელ პუნქტს წარმოადგენს კაცობრიობის განვითარებაში, როცა უკვე ჩამოყალიბებული იყო მიწისმოქმედება, საქონლის მოშინაურება და ლითონის დამუშავება.

ოთხი ათასი წლისათვის ჩვენ წელთაღრიცხვამდე რამდენიმე კულტურული კერა არსებობდა ძველს აღმოსავლეთში. მათ შორის ერთი იყო *სუმერეთის კულტურული კერა*, ეფრატისა და ტიგროსის ორმდინარეთზე, დედაქალაქით ურში. მეორე კულტურული კერა იყო *ეგვიპტეში*, ნილოსზე დედაქალაქით ონი. მესამე კულტურული კერა *ინდოეთში* მდ. ინდის აუზში, რომლის სახელწოდება ჩვენთვის ცნობილი არ არის, მხოლოდ იმ ადგილს, სადაც ქალაქი არსებობდა, ეწოდება მოხენჯოდარო.

ამ კულტურულ ცენტრებში მოცემული იყო კულტურის განვითარების მაღალი დონის მაჩვენებლები. დასახელებულ სამ ცენტრში უკვე ჩანს ქალაქური დასახლების ტიპი, ე.ი.ადამიანთა შეჯგუფება დიდი რაოდენობით ერთ სამოსახლო პუნქტში, მოშინაურებელი საქონელი და მოშინაურებული პურეული მცენარეები, ე.ი. განვითარებული ჩანს მიწისმოქმედება და მესაქონლეობა, მიწათმოქმედებაში, იმ ხანად აღნიშნულ კულტურულ ცენტრებში, გავრცელებულია სახნავი იარაღი, რომლის გამწევ ძალად გამოყენებულია მუშა საქონელი.

ამ ეპოქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული მონაპოვარია ბორბლიანი ურემი. ეს ერთი შესანიშავი მიღწევათაგანი ჩვენი კულტურისა. ამ სამივე კულტურულ ცენტრში ცნობილი და გავრცელებული დამწერლობა. როგორც სუმერეთში, ასევე ეგვიპტეში, ინდის ხეობაში დამწერლობა ქონდათ და ამის წყალობით გავეცანით ჩვენ ძველი აღმოსავლეთის კულტურასა და ცივილიზაციას. ამ მონაპოვრების საფუძველზე შემდეგში ვითარდება ბერძნებისა და რომაელების კულტურა, და ბოლოს – ევროპის კულტურა.

მაგრამ იბადება კითხვა. ამ სამი ცენტრის კულტურა ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად არის თუ არა შექმნილი. უნდა ითქვას, რომ სუმერების კულტურა აღმოჩენილია 1925–1926 წლებში (ურის გათხრები სწორედ ამ წლებში მოხდა), მოხენჯოდაროს კულტურაც ცოტა გვიან (1928–1929 წლებში) იქნა აღმოჩენილი. რაც შეეხება ეგვიპტის კულტურას, ის ადრევე იყო ცნობილი. ვიდრე აღმოჩნდებოდა სუმერებისა და ინდუსზე მყოფი ხალხის კულტურა, მანამდე კაცობრიობის კულტურის აკვნად მიჩნეული იყო ეგვიპტე, მაგრამ შემდეგში ეგვიპტელთა კულტურა დაჩრდილეს სუმერებისა და ინდის ხეობაში მცხოვრები ხალხების კულტურამ.

ამჟამად უფრო მეტად დასაბუთებული ჩანს ის შეხედულება, რომლის მიხედვით კულტურის ცენტრად, პიონერად, გამძღოლის როლში უნდა წარმოვიდგინოთ სუმერების კულტურა (მესოპოტამიაში არსებული). ამაზე მიუთითებენ მთელი რიგი მასალები. ამჟამად დამტკიცებულია, რომ

მოშინაურებული ხორბალი დადასტურებულია ოთხი ათას წელს ჩვენს წინ, ხოლო ინგლისის კუნძულებზე სუმერების მიერ მოშინაურებული ხორბალი ჩნდება მხოლოდ პირველად 1505 წელს. მაშასადამე, რამდენი დრო დასჭირვებია კულტურის მონაპოვარს, რომლის ცენტრი არის სუმერეთი, ანუ მესოპოტამია, ვიდრე მიაღწევდა შორეულ აღმოსავლეთს და შორეულ დასავლეთს.

კიდევ მეტის თქმა შეიძლება. სუმერეთის კულტურაში არის წარმოდგენილი როგორც სახვნელის კულტურა,ისევე თოხის იარაღის კულტურაც და ირკვევა, რომ სუმერულად თოხს ეწოდება „არიყ მაარ". ეს ტერმინი შეთვისებული აქვს მრავალ ხალხს – სემიტებს, ბაბილონისა და ასურეთის მოსახლეობას „მარულის" სახით, ბერძნებს – „მაროსის" სახით. ასევე ფრანგებს და სხვა. ამგვარად ერთი ცენტრიდან, სუმერეთიდან მომდინარე ტერმინი გავრცელებული არის მრავალ ხალხში. ჩვენში მისი შესატყვისი უნდა იყოს „ბარი".

კიდევ უფრო საინტერესოა მონაცემები სახვნელი იარაღის შესახებ. ირკვევა, რომ სუმერეთში უნდა გვქონდეს ჩვენ სახვნელი იარაღის წარმოშობის კერა, ვინაიდან იქ იყო მოცემული წინაპირობა, რომელიც სახნავი იარაღის აღმოჩენას უწყობდა ხელს. დღეს რიგი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ მესოპოტამიიდან, სუმერეთიდან სახნავი იარაღი გავრცელდა შორეულ აღმოსავლეთში და სხვა ქვეყნებში. სუმერულად სახნავ იარაღს ეწოდება „აპინ" და ეს ტერმინი გადასულია ჩინურში და ქართულში. ჩვენი ვვარაუდობთ, რომ ეს ტერმინი უნდა იყოს მოცემული ხვნის თვის სახელწოდებაში – „აპნისი". ესეც მაჩვენებელი არის რომ ამგვარი კულტურული ვითარება სუმერეთიდან მომდინარე გავრცელებული არის სხვა ქვეყნებში.

ამ ცენტრებისა და იქ შექმნილი კულტურული ვითარების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების წარმოება კულტურის ელემენტების გენეზისის საკითხებზე. თუ ეს საწყისები, რომლებიც ქმნიან ახალ საფეხურს კაცობრიობის კულტურის ისტორიაში, არ იქნა გათვალისწინებული, ამის გარეშე კულტურის ელემენტის წარმოშობის შესახებ ჩვენ არ გვექნება სრული შესაძლებლობა წარმატებით მუშაობა ჩავატაროთ.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სუმერების მიერ შექმნილი კულტურა თავის თავად მომდინარეობს განვითარების კიდევ უფრო ძველი საფეხურიდან პალეოლითისა და ნეოლითის ეპოქებიდან, რომლებსაც მნიშვნელოვანი მიღწევები ახასიათებს. ის რაც შექმნილი იყო პალეოლითისა და ნეოლითის ხანაში, წარმოადგენს იმ საფუძველს, რომლიდანაც იწყება სუმერების კულტურის განვითარება. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ პალეოლითის ხანაში ადამიანს ჰქონდა ისეთი შესანიშნავი აღმოჩენები როგორიცაა ხელცული (ქვის ცული, შემდგომში ტარზე დაგებული), იმ ეპოქაში უკვე იცოდა ბაწრის, თოკის გრეხვა, ქანდაკების დამზადება თიხისაგან, გრავირება, ე.ი. ამოკაწვრით სურათის დახატვა. ამ და სხვა მონაპოვრების საფუძველზე ჩვენ უკვე შემდეგში გვაქვს განვითარების ის საფეხური, რომელზეც სუმერები იმყოფებოდნენ. ჩვენ ზემოთ ხაზი გაუსვით იმ გარემოებას, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბორბლიანი ურმის გამოგონებას. ბორბლის პრინციპის აღმოჩენა ერთი შესანიშნავი მიღწევათაგანი არის ამ ხანაში. არსებობს ორგვარი თეორია ბორბლის გამოგონებისა. ერთი თეორიის მიხედვით ბორბალი წარმოსდგა საგორავისაგან.

ადამიანი დიდ სიმძიმეებს უდებდა მრგვალ მორს, რომლსაც კეტს ამოდებდა და აგორავებდა. მეორე თეორიის მიხედვით ბორბალი წარმოდგება კვირის-თავისაგან. თითისტარს აქვს სიმძიმისათვის ნაჩვრეტიანი რგოლი და აი თითქოს ამისგან არის წარმომდგარი ბორბალი.

სუმერების ეპოქაში უკვე წარმოდგენილია ფეიქრობა, ისევე როგორც აქ არის წარმოდგენილი ბორბლიანი, ოთხთვლიანი ურემი და ამდენად ესეც შესანიშნავი მონაპოვარია კულტურის ამ საფეხურზე.

დასახლების ტიპის მხრივაც სუმერების კულტურა დიდათ იყო დაწინაურებული წინარე საფეხურებიდან. კულტურის ნულოვანი წერტილიდან დღემდე კაცობრიობამ დიდი მანძილი განვლო. ერთმა ამერიკელმა ეთნოგრაფმა უილკინ გამოიანგარიშა, რომ განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფ ხალხებში ერთი ადამიანის გამოსაკვებად საჭიროა 10 კვადრატული მილი ტერიტორიისა. ამის საფუძველზე ის ვარაუდობს, რომ პალეოლითის ხანაში დედამიწა რომ მთლიანად ყოფილიყო დასახლებული, მაშინ დედამიწას მხოლოდ 7000000 სულის გამოკვება შეეძლო. დღეს კი ვიცით, რომ დედამიწაზე 4 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს, რომ ზოგიერთი ქალაქის მოსახლეობა შვიდ მილიონზე მეტს უდრის. აქედან კარგად ჩანს თუ რა დიდი მანძილი განვლო კაცობრიობამ მარტოოდენ საკვების წარმოების სფეროში, იმ მარაგის გაზრდის მხრივ, რომელიც კაცობრიობას სჭირდება.

1940

ლაზური ორნამენტი, ხეზე კვეთილობის ნიმუში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალექციო კურსი საქართველოს ეთნოგრაფიაში

ეთნოგრაფია ზოგადი ცოდნისა და განვითარების სამეცნიერო დისციპლინაა, იგი სწავლობს ხალხების ცხოვრების იერს, მის ფსიქიკურ წყობას. ეს ცოდნა ყოვლად აუცილებელია ჩვენს გლობალურ ეპოქაში თითოეული შეგნებული ადამიანისათვის. მას აქვს არა მარტო შემეცნებითი, არამედ მორალურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ბევრ ქვეყანაში ეთნოგრაფიას საშუალო სკოლებშიც ასწავლიან. ეთნოგრაფიის მნიშვნელობა აღზრდის საქმეში კარგად ჰქონდა შეფასებული ჩვენს დიდ პედაგოგს იაკობ გოგებაშვილს, რომელმაც „ბუნების კარში" შეიტანა ნარკვევები საქართველოს ეთნოგრაფიიდან.

ეთნოგრაფია იკვლევს თითოეული ხალხის, დიდ თუ პატარა ყოფას და კულტურას, მათ ეთნიკურ თავისებურებებს, ეთნიკურ ისტორიას. ის იკვლევს ხალხთა დასახლებას, დასახლების ფორმებსა და ტიპებს (დამჯდარი, მომთაბარე, სოფლური, ქალაქური დასახლება), მოსახლეობის სიმჭიდროვეს, ბუნებრივი ფაქტორების გავლენას ხალხის სამეურნეო და მატერიალურ კულტურაზე და ამასთან დაკავშირებულ სოციალური და იდეოლოგიური ხასიათის თავისებურებებს. იგი იკვლევს და ადგენს ხალხების წარმოშობის საკითხებს, მსოფლიო მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას, ეძიებს და გამოავლენს დღემდე უცნობ ხალხებს და სხვა. საქართველოს ეთნოგრაფია ზოგადთან შედარებით კერძობითი ხასიათისაა. მისი შესწავლის საგანია საქართველოს და მისი მეზობელი ქვეყნების ეთნოგრაფია.

ქართულ ეთნოგრაფიას ხანგრძლივი ტრადიციები აქვს, უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობთ იმას, რომ ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობები ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის თავისებურებების შესახებ დიდი ხანია გროვდება. ეს ცნობები თვითონ ქართველების კალამს ეკუთვნის, უფრო მეტი, უცხო მოგზაურთა თვალით ნახულისა და განცდის ასახვაა. უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა ამ ცნობას ერთნაირი ღირებულება არა აქვს.

ქართული ეთნოგრაფიის ისტორია
საგანი და მეთოდი

მე-XX საუკუნის პირველ ნახევარში ქართული ეთნოგრაფია დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბდა, მაგრამ ცნობებს ქართველი ტომების წეს-ჩვეულებების შესახებ ჩვენ ვპოულობთ უძველესი დროიდან ხეთურ, ასურულ და ურარტულ წერილობით წყაროებში და მატერიალური კულტურის სხვა ძეგლებშიც.

ქართული ეთნოგრაფიის ისტორია საუკუნეების სიღრმეში არის საგულვებელი. საკმარისია დავიმოწმოთ *კიკული მითანელის* „ტრაქტატი *ცხენების მოშენებისა და გაწვრთვნის შესახებ*" (XIV საუკ. ჩვ. ერამდე), რათა ჩვენთვის

მხვნელ-მთესველნი

(მხატვარი ზ.წერეთელი)

შრომის მადლი

(მხატვარი ზ.წერეთელი)

ცხადი გახდეს, თუ როგორი მდიდარი და მრავალმხრივი მასალა არსებობს ლურსმული დამწერლობის ძეგლებში. არა ნაკლებ ძვირფასი მასალა შემოინახა არამეულმა, ბერძნულმა და რომაულმა ლიტერატურამ.

ცნობილია, რომ უძველესი ბერძნული ლეგენდები **პრომეთეს**, **არგონავტებისა** და **ამაზონების** შესახებ თავისი გმირების მოქმედების ადგილად მიიჩნევენ კოლხეთის ტერიტორიას.

ებრაელთა „დაბადების" პირველ წიგნში, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნეს ეკუთვნის, მოცემულია ხალხთა გენეალოგიის ცხრილა, რომელიც ერთი პირველთაგანია ამგვარ ძეგლთა შორის. აქ სამი ჩამომავლობის ტომებია დასახელებული. მათ შორის, იაფეტის ჩამომავლებად დასახელებული არიან *თუბალი, მეშეხი, თირსენი* და *იოვანი*. ესენი ბიბლიის სხვა წიგნებშიც გვხვდებიან. მაგრამ მნიშვნელოვანი ის არის, რომ თუბალებისა და მეშეხებს ჩვენ სხვა წყაროებითაც ვიცნობთ. ეს წყაროებია: ასურული (ტაბალ და მუშკუ) დამწერლობა, *ჰეკატეუსი, ჰეროდოტე, პლინიუსი, ქსენოფონტე* და *სტრაბონი*. გარდა იმისა, რომ ლინგვისტურადაც დამტკიცებულია, რომ იბერი და თუბალი ერთი და იმავე ძირისანი არიან, ისტორიკოსი **იოსებ ფლავიოსი** განმარტავს, რომ თობალებად ადრე ცნობილი ხალხი დღეს *იბერებად* იწოდებაო. ასეთივე მდგომარეობაა *მეშეხის* მიმართ. ამ შემთხვევაშიც სიტყვების ლინგვისტურ დამთხვევას აქვს ადგილი, თვით ისტორიული წყაროც გვიმოწმებს (იგივე იოსებ ფლავიოსი), რომ კაპადოკიის ადრინდელი მოსახლეობის მეშეხ–ს ახლა *მოსხოდ* ეწოდებაო. ჩვენ მოგვეპოვება საკმაო საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ ტაბულაში მოხსენებული იაფეტის ჩამომავალთა ორი სხვა დასახელება (თირსენი – ეტრუსკები და .იოვანი) იბერიულ-კავკასიური მოდგმისანი არიან, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს. გაკვრით აღვნიშნავთ, რომ შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ პრომეთე იაფეტის შვილია, ხოლო ამირანის მამამძძუედ იოვანი არის მოხსენიებული. უთუოდ ჯეროვანი ახსნა უნდა მოეძებნოს პრომეთეს მამისა და ამირანის მამამძუის სახელების ამგვარ თანხვედრას. საჭიროა აგრეთვე მხედველობაში გვქონდეს, რომ უძველესი ავტორები ყოველთვის არ კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ ეთნოგრაფიული მოვლენების მშრალი აღწერით, არამედ აყენებდნენ და თავისებურად წყვეტდნენ თეორიულ საკითხებსაც. კერძოდ ხალხთა წარმოშობის, ეთნოგენეზის პრობლემა: ჰეროდოტე ცდილობს დაასაბუთოს კოლხებისა და ეგვიპტელების ნათესაობა და სტრაბონი ქართველ მთიელებსა და სარმატებს შორის არსებულ ყოფითი მოვლენების მსგავსებას ხალხების ნათესაობით ხსნის.

ამ პრობლემაზე მსჯელობდა XI საუკუნის ისტორიკოსი **ლეონტი მროველი**, „ცხოვრებასა ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა"-ს ავტორი. ამ თხზულებაში, რომელიც ძირითადად ისტორიული ხასიათისაა, მოცემულია ეთნოგრაფიისათვის ერთი ფრიად მნიშვნელოვანი და საყურადღებო საკითხი. ეს არის საკითხი ქართველთა წარმოშობისა, ხალხის ჩამომავლობის შესახებ. ლეონტი მროველს თავის დროისათვის მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანი კონცეფცია აქვს შემუშავებული. იგი თავის შრომაში ამტკიცებს, რომ ქართველები და კავკასიის ზოგიერთი ხალხი ერთი ჩამომავლობისანი არიან. ამის დასასაბუთებლად ის იშველიებს ბიბლიაში მოცემულ ხალხთა გენეალოგიას და ამის საფუძველზე ასკვნის, რომ ქართველებისა და კავკასიის ხალხების წინაპარი არის თარგამოსი და რომ თარგამოსის რვა შვილისგან წარმოიშვა კავკასიაში მცხოვრები მრავალი ხალხიო.

ვინ არის ეს რვა შვილი, ანუ რვა ტომი? ლეონტი მროველის კონცეფციის მიხედვით ესენი არიან: *ჰაოსი, ქართლოსი, ჰეროსი, მოვაკანი, ბარდოსი, ლეკოსი, კავკაზოსი* და *ეგროსი*. ამ სახელწოდებების ქვეშ იგულისხმებიან გარკვეული ხალხები. ჰაოსის ქვეშ სომხები ივარაუდებიან. ქართლოსი არის სახელი ქართველების წინაპრისა, ჰეროსის სახით იგულისხმება ის ხალხი და ქვეყანა, რომელიც კახეთს ემიჯნებოდა და მე–XVII საუკუნემდე ჰერეთის სახელწოდებით იყო ცნობილი (ზაქათალის მხარე კახეთამდე, ალაზნამდე). მოვაკანი არის ასევე ძველი ხალხის სახელწოდება, რომელიც ჰერეთის სამხრეთით ცხოვრობდა, მტკვრის მარჯვენა მხარეზე. ბარდოსის სახით იგულისხმება აზერბაიჯანის უძველესი მოსახლეობა. ლეკოსი დაღესტნის ხალხების აღმნიშვნელი სახელია. კავკაზოსი – ჩერქეზი და ადიღეური ტომების. ლეონტი მროველს ამათი საზღვრებიც ნაშანდობლივად აქვს მოცემული. იგი აღნიშნავს, რომ მდ. ლომეკის (თერგის) დასავლეთით კავკასოსის მოსახლეობაა, ე.ი. საჩერქეზო, ხოლო საჩერქეზოს აღმოსავლეთით ივარაუდებიან ის ხალხები, რომლებიც ლეკოსის სახელწოდებით არიან ცნობილნი. ამათ მოსდევთ უკანასკნელი მერვე ძმა, მერვე ტომი, ეგროსი. ეგროსის სახელწოდების ქვეშ იგულისხმებიან დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ხალხები.

აი ამგვარი დიდად საყურადღებო, პრინციპული მნიშვნელობის მქონე კონცეპცია აქვს მოცემული ლეონტი მროველს ჯერ კიდევ შე–XI საუკუნეში კავკასიური მოდგმის ხალხების ერთი ჩამომავლობის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით აქ მხოლოდ ერთი საკითხი დგება, რომ ამ კონცეპციაში წარმოდგენილია ის ხალხი, რომელსაც ლეონტი მროველი ჰაოსის სახელწოდებით იხსენიებს, ე.ი. სომხები. თანამედროვე მეცნიერული მონაცემების მიხედვით სომხები ნარევი ხალხია, რომელთაც, ქართული და კავკასიური მოდგმის ელემენტები მოეპოვება. მისი ძირითადი სუბსტრატი ქართული, კავკასიურია და ამ სუბსტრატთან ერთად მასში მოცემულია აგრეთვე ინდოევროპული ჩამომავლობის ელემენტებიც. მაგრამ რამდენადაც ეს ნარევი ხალხია, ამდენად იგი შესაძლოა პირობითად იყოს შეყვანილი ამ ჯგუფში.

ლეონტი მროველის შემდეგ ქართულ მწერლობაში ეთნოგრაფიული მონაცემები მრავლად მოიპოვება. დავასახელოთ, **თამარ მეფის ისტორიკოსი**, რომელსაც აქვს დაწერილი ისტორია „თხრობანი და აზმანი შარავანდედათანი მეფეთანი". ამ თხზულებაში მრავალ ეთნოგრაფიულ მასალას ვპოულობთ. კერძოდ ამ ავტორს დიდოელების, ე.ი. დაღესტნის ერთ-ერთი ტომის შესახებ ფრიად მნიშვნელოვანი მონაცემები მოეპოვება. ასევე **ჟამთა აღმწერელი**, XIV საუკუნის ავტორი, რომელიც მონღოლთა ბატონობის პერიოდს ეხება და გზადაგზა მნიშვნელოვან ეთნოგრაფიულ დაკვირვებასაც იძლევა მონღოლთა ყოფა-ცხოვრების შესახებ. ფაქტიურ მონაცემებთან ერთად ალაგ-ალაგ ავტორს მონღოლური ფრაზებიც მოჰყავს, რომ ესა და ეს ჩვეულება ჯაღატაურად ასე და ასე გამოითქმისო.

ვახუშტი ბაგრატიონი

მაგრამ ლეონტი მროველის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენთვის არის **ვახუშტი ბაგრატიონი** (1696–1756). ვახუშტი მე–XVIII საუკუნის მოღვაწეა. იგი ვახტანგ VI-სთან ერთად გადაიხვეწა რუსეთში და ხანგრძლივად ცხოვრობდა პრესნაში – მოსკოვის ერთ-ერთ უბან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში. იქ მან მრავალი შრომა დაწერა და ბევრი თარგმნა. ვახუშტის დაწერილი აქვს დიდტანიანი თხზულება – *„აღწერა სამეფოსა საქართველოსა"* (პირველი ხელნაწერი გამოიცა 1745 წ., მეორე ნაბეჭდი – ქართული ტექსტი ფრანგული თარგმანითურთ 1842 წ. გამოსცა *მ. ბროსემ*). ვახუშტის ისტორიის შესახებ საკუთარი შეხედულება აქვს გამომუშავებული. მისი აზრით ქვეყნის ისტორია ოთხი ნაწილისაგან შედგება: პირველ ნაწილში უნდა განიხილებოდეს **ჩამომავლობა ხალხისა**, რომლის შესახებ ისტორია იწერება; მეორე ნაწილში უნდა იყოს განმარტებული და განსაზღვრული **ქრონოლოგია**, *წელთაღრიცხვა*; მესამე ნაწილში – **ქვეყნის აღწერილობა**, ე.ი. გეოგრაფია და მეოთხეში– **საკუთრივ ისტორია**, რომელიც უნდა გაიყოს ორ ქვანაწილად. პირველი ნაწილი იქნება *სამოქალაქო ისტორია*, მეორე ნაწილი – *სასულიერო ისტორია* (რელიგიის, ეკლესიის ისტორია). ასეთი გააზრებით დაწერა მან თავისი ნაშრომი საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიაზე.

ისტორიის მესამე კარში **ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი** ვახუშტის გადმოცემული აქვს ხალხის ზნე-ჩვეულებანი, ტიპები, ჩაცმულობა, რელიგიური მონაცემები, ოჯახი და გვარი. ვახუშტი ბაგრატიონის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ეს სამუშაო თავის დროისათვის ჩინებულად აქვს შესრულებული.

ვახუშტი ბაგრატიონის ისტორიის მესამე ნაწილს განსაკუთრებით ყურადღება მიაქციეს მეცნიერებმა. ამ შრომის შესახებ მ. ბროსე ამბობდა, რომ ის არის ქვეყნის სანიმუშო, სამაგალითო აღწერა. ამგვარი აღწერილობა ქვეყნის, გეოგრაფიის არც ერთ ხალხს არ მოეპოვება, გარდა ჩინელებისაო.

მ. ბროსე

მაგრამ ვიკითხოთ, მაინც რას გვაძლევს ვახუშტის შრომა ეთნოგრაფიის თვალსაზრისით? პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ვახუშტის ეთნოგრაფიული მონაცემები ბევრ შემთხვევაში საკუთარი დაკვირვების შედეგად მოპოვებულ მასალას შეიცავს. ამავე დროს ის საქართველოს ცალკეული ტომების ეთნოგრაფიულ აღწერილობასაც გვაძლევს, მაგალითად: კახელების, ქართლელების, იმერლების, მეგრელების, სვანებისა და სხვათა. ეს აღწერილობანი გარკვეული, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით არის გაკეთებული.

ღირსშესანიშნავი არის ისიც, რომ ვახუშტის მიერ მოცემული ხალხთა ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი ფაქტები არა მარტო თავისი დროიდან აქვს შეკრებილი, არამედ იგი გადმოგვცემს ძველ ზნე-ჩვეულებათა დამახასიათებელ ფაქტებსაც, საზღვრავს მათ და უდარებს მის თანამედროვე მონაცემებს. შედარების გამოყენებისას იგი უფრო შორს მიდის. ვახუშტი არ კმაყოფილდება ისტორიულ ჭრილში შედარებით და ყურადღებას აქცევს გეოგრაფიულ გარემოს, მას ერთმანეთთან შედარებული აქვს მთისა და ბარის მოსახლეობაში არსებული წეს-ჩვეულებები.

იბადება კითხვა: რა ურთიერთობაშია ასე მაღალ დონეზე შესრულებული შრომის ავტორი თავისი დროისა და ეპოქის ეთნოგრაფიასთან?

ჩვენ ვიცით, რომ იმ დროს დასავლეთ ევროპაში მოღვაწეობდა ფრანგი მეცნიერი ჟოზეფ ფრანსუა **ლაფიტო**, რომელმაც თავისი დროისათვის შესანიშნავი მიდგომით შეისწავლა ამერიკელი „წითელკანიანები" და პირველად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიყენა შედარებითი მეთოდი. როგორც ჩვენ აღვნიშნეთ, შედარებითი მეთოდი გამოყენებულია ვახუშტი ბაგრატიონის შრომაშიც.

ამ მხრივ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ვახუშტის შრომა არ ჩამოუვარდება იმ დროის მოწინავე მეცნიერულ ნაშრომს.

მეორე მხრივ, ეთნოგრაფიული აღწერილობისათვის საჭიროა გარკვეული პროგრამა, გარკვეული გეგმა. ამ მხრივაც ჩვენს ავტორს მოეპოვება მეტად საყურადღებო გეგმა, რომლის მიხედვითაც ის აწარმოებს ქართველთა ცალკე ტომების აღწერას და ამდენად თავისი დროის მეცნიერულ მონაპოვართა დონეზე იმყოფება.

ცნობილია რომ ვახუშტი ბაგრატიონი თბილისში იზრდებოდა ფრანგ მისიონერთა წრეში, მაგრამ ის არ ვიცით რამდენად იყო დაკავშირებული მისიონერთა ეს წრე ევროპის მეცნიერების მაშინდელ მიღწევებთან. ამდენად იმის გარკვევა და ზუსტად დადგენა, ჰქონდა თუ არა ეთნოგრაფიული აღწერილობის მეთოდიკა, გეგმა და სქემა ვახუშტის უშუალოდ ევროპიდან მიღებული, ამის დადგენა ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით შეუძლებელია.

აღსანიშნავია ისიც, რომ თავის ქვეყნის აღწერილობის ტექსტთან ერთად, ვახუშტის მოცემული აქვს საქართველოს რუკაც, შედგენილი ცალკე ნაწილების მიხედვით. კარტოგრაფიის მცოდნეთა აზრით, ვახუშტი ბაგრატიონის მიერ გამოყენებული რუკის დახაზვის წესი ჯერ კიდევ არ იყო ევროპაში ცნობილი (ნიშნების დაცვით). ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შედარებითი მეთოდის გამოყენება და აღწერილობის გარკვეული გეგმის მიხედვით შედგენა დამოუკიდებლად ვახუშტის ნიჭის მონაპოვარი იყო და არა უცხო გავლენით შეძენილი.

უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, 1725 წელს რუსეთში პირველად დაარსდა მეცნიერებათა აკადემია. პირველი აკადემიკოსები, რომლებიც ამ აკადემიაში მოღვაწეობდნენ, სხვათა შორის ეთნოგრაფიაშიც მუშაობდნენ და დღეს ჩვენთვის ცნობილია, რომ აკადემიკოსების პირველი თაობის მიერ გამომუშავებული იყო ხალხის ეთნოგრაფიული აღწერის გეგმა, რომელიც შეადგინა 1739 წელს აკადემიკოსმა **მილერმა**. ეს კითხვარი ამჟამად გამოცემულია, ის საკმაოდ დეტალურად არის შედგენილი და მის მიხედვით აწარმოებდნენ ეთნოგრაფიულ მუშაობას რუსეთის ფარგლებში, დაწყებული ჩრდილოეთიდან, დამთავრებული კავკასიის ხალხებით. რამდენადაც ვახუშტი ბატონიშვილი სწორედ ამ ხანებში ცხოვრობდა მოსკოვში, შეიძლება გვევარაუდა, რომ იგი იცნობდა ამ გეგმას, რომელიც რუსეთის აკადემიამ შეიმუშავა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ვახუშტი მოსკოვში ცხოვრობდა, აკადემია კი პეტერბურგში იყო. მართალია კითხვარი 1739 წ. დაიწერა, მაგრამ დაიბეჭდა 150 წლის შემდეგ. ამდენად საეჭვოა, რომ ასეთ მოკლე ხანში მას (ვახუშტიმ თავისი შრომა დაამთავრა 1742 წ) შეძლებოდა ამ გეგმის გამოყენება. ყოველ შემთხვევაში უდაოა ის გარემოება, რომ მართალია თავისი შრომისათვის ვახუშტის საქართველოში ყოფნის დროს ჰქონდა შეგროვილი მასალა, და არა სტიქიურად, არამედ გარკვეული, წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით. ყოველივე ეს გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ ვახუშტი ბატონიშვილმა ისარგებლა იმ აღწერილობის გეგმით, რომელიც 1739 წელს შეადგინა აკადემიკოსმა მილერმა. ამ გარემოებას არ ადასტურებს არც ვახუშტისა და მილერის პროგრამების შედარება.

ამრიგად, ვახუშტი ბატონიშვილის სახით ჩვენ გვყავს შესანიშნავი მეცნიერი, რომელიც XVIII საუკუნის პირველ ნახევრისათვის იძლევა მეტად საინტერესო და დიდმნიშვნელოვან მონაცემებს ქართველი და კავკასიის ზოგიერთ ხალხის შესახებ, რომელშიც მოცემული არის იმდროინდელი ყოფის დამახასიათებელი მატერიალური კულტურის, სოციალური წყობისა და რელიგიის შესახებ ფაქტიური მასალა. ამის გვერდით მოცემულია შედარებითი მასალა ადრე არსებული ადათებისა და წესებისა. ავტორს გამოყენებული აქვს შედარებითი მეთოდი თავისი შრომის დაწერისას და ამდენად ეთნოგრაფიის ისტორიაში მას საპატიო ადგილი აქვს მინიჭებული.

შემდეგში, ვახუშტი ბაგრატიონის მონაცემების საფუძველზე ზოგი რამ გაკეთდა, მაგრამ არა ისეთი ფართო მასშტაბით, როგორც ეს იყო მოსალოდნელი. ვახუშტი ბაგრატიონის მიერ მიღწეული ეთნოგრაფიის განვითარების მაღალი საფეხური გულისხმობდა ახალ ეტაპს ეთნოგრაფიის განვითარებაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში, მიუხედავად იმისა, რომ დიდი მუშაობა წარმოებდა როგორც საქართველოში, ისე საქართველოს გარეთ ქართული მეცნიერების ხაზით, ძველი მონაპოვრის ახალი ეტაპი ჯერ კიდევ არ იყო სავსებით და ნათლად ჩამოყალიბებული და ამიტომ ვახუშტი ბატონიშვილს გამგრძელებელი ეთნოგრაფიის დარგში მაინც და მაინც არ ყოლია.

იოანე ბატონიშვილი

XIX საუკუნის პირველი ნახევრისათვის შეგვიძლია დავასახელოთ ერთი საყურადღებო ავტორი, რომელიც მეტად საინტერესო ეთნოგრაფიულ მასალას იძლევა. ეს არის **იოანე ბატონიშვილი**, რომელსაც ეკუთვნის თხზულება „*კალმასობა*". ეს მეტად ორიგინალური ნაშრომია, რომელიც თავისი ფორმით და შინაარსითაც მეტად მიმზიდველია. ნაშრომი ისე არის მოფიქრებული, რომ იმდროინდელი, XIX საუკუნის პირველი ნახევრის, ცოდნის ერთგვარ ენციკლოპედიას წარმოადგენს. ამ თხზულების სიუჟეტი მეტად ორიგინალურია. ავტორი თავის გმირს ატარებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში საკალმასოდ. კალმასობა ნიშნავს პურის, ხორბლის შეგროვებას მონასტრის სასარგებლოდ. ამ მიზნით, ქვათახევის ბერი იოანე დადის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: ქართლში, კახეთში, იმერეთში და ა.შ. იმის მიხედვით, სადაც მოხდება ნაწარმოების გმირი, გვაწვდის იმ კუთხისადმი ნაშანდობლივ ეთნოგრაფიულ მასალას: ქვის, ლითონის დამუშავებაზე, წეს-ჩვეულებაზე, ჩამომავლობაზე და სხვ. „კალმასობაში" მოცემულია XIX ს. I ნახევრის ყოფა და ამდენად ის მეტად ფასეულია.

„კალმასობის" შემდეგ საქართველოს ეთნოგრაფიის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს XIX საუკუნის ორმოციან წლებს. ამ პერიოდში ზოგადი ეთნოგრფია აღმავლობის ახალ ეტაპზე ავიდა. 1837 წ. პარიზში დაარსდა პირველი ეთნოგრაფიული სამეცნიერო საზოგადოება, 1842 წ. – ლონდონსა და ვაშინგტონში, 1846 წ. პეტერბურგში გაიხსნა გეოგრაფიული სამეცნიერო საზოგადოება, რომელთანაც ჩამოყალიბდა ეთნოგრაფიული განყოფილება. ამავე პერიოდში ფრანგმა და გერმანელმა ეთნოლოგებმა (დიბუა მომპერე, სენმარტენი, ჰაქსტჰაუზენი და სხვ.) პირველად ჩამოაყალიბეს და კვლევაში შეი-

ყვანეს პრობლემები: კავკასიის ხალხთა ეთნიკური ჩამომავლობისა და კულტურის შესახებ.

ამ მოძრაობას ეთნოგრაფიის დარგში არ შეიძლება გამოძახილი არ ჰქონოდა საქართველოშიც. საეთნოგრაფიო მუშაობა დაწყებული სოლ. დოდაშვილისაგან თანდათან ფეხს იდგამს და ორმოციან წლებში, ამ დარგში, უკვე ძლიერ ძალებს ვხედავთ (პლ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, მ. ბროსე, რ. ერისთავი, დ. ციციშვილი-ფანასკერტელი და სხვ.). ამ ხანად ორი თუ სამი მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა. ერთი მხრივ, 1843 წელს დაიბეჭდა ვახუშტი ბაგრატიონის „ქვეყნების აღწერილობა", ანუ როგორც მისი გამომცემელი მ. ბროსე უწოდებდა – „საქართველოს ეფოღრაფია". ამ გამოცემით არ ამოიწურება ის ღვაწლი, რომელიც მ.ბროსემ საქართველოს ეთნოგრაფიას დასდო. ერთ-ერთ თავის წერილში, რომელიც მ.ბროსემ დაბეჭდა გაზ. „კავკაზში" 1847 წ. მან ყურადღება გაამახვილა ეთნოგრაფიული მასალის შეგროვების საჭიროებაზე და დასახა ის გზები, რომლითაც უნდა მოხდეს ეთნოგრაფიული მასალის შეკრება. 1852 წელს თბილისში გაიხსნა მუზეუში, რომელშიც ეთნოგრაფია წარმოდგენილი იყო ცალკე განყოფილების სახით. მესაძე მხრივ, იმავე წლებში, ზუსტად 1849 წელს, დაიწერა ერთი საყურადღებო თხზულება, რომლის ავტორია **დავით ციციშვილი– ფანასკერტელი** *„ქცევანი და ჩვევანი საქართველოსანი"*. აქ მოცემულია ერთი მხრივ ის მასალა, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი თავის შრომაში იძლევა, ხოლო მეორეს მხრივ ახალი, ჩვენთვის სრულიად უცნობი, ახლად ფიქსირებული ეთნოგრაფიული მასალა. ამ შრომაში მეტად მდიდრად არის წარმოდგენილი საქორწინო წეს-ჩვეულებანი.

ნაშრომში ავტორი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ქართველთა ზნენი და ჩვეულებანი იკარგება და მწერლობაშიც არ „აღირიცხება". „თუმცა დასწერნეს მოთხრობანი ქართველთა ერისანი, გარნა ზნენი, ჩვეულებანი წელილად გამოუჩინებენ ჰყვეს და დუმილით თანაწარხვდნენ" (გვ. 1); ავტორი იქვე განაგრძობს, რომ „მე თუმცა წერილის გაუცდელობით ვერ ვკადრებდი აღწერა ძველთა ქართველთა ქცევათა და ჩუეულებათა გარნა ნამეტნავმან სურვილმა, რათამცა არა დაკარგულიყო ესეცა ხსოვათაგან საქართველოს ისტორიის მწერლობას, არღარა ვერიდე თავი არცა სიტყვათ შეუწყობელობასა და არცა საყვედურსა უგამოცდილესობასა და აღვსწერე ვდ შემოკლებით, ერთითა ამით ოდენ იმედითა, რათამცა მშრომელის სახელის აღუკოცელად თკთ მწერალთა საქართველოს ისტორიისათა, ყოველი ნაკლები აღავსონ და განაშვენონ უაღრეს და ესეცა ჩემთკს საკმაო იქნებინ".

ავტორის აზრით, მანამდე არსებული ქართველი ხალხის ქცევათა და ჩვეულებათა აღწერილობანი ვერ ასახავენ „წვლილად" და „დუმილს ამჯობინებენ". ავტორს ამოქმედებს სურვილი, რათა „არა დაკარგულიყო ესეცა ხსოვათაგან" საჭიროა აღიწეროს ძველი ქართველების ქცევანი და ჩვეულებანი და ქართველის ზნეობრივი სახე; „სულგრძელნი, პირმტკიცენი, მტერთა მიმართ ერთპირნი, თავისუფლებისათვის მებრძოლნი, უშიშარნი, გონებამახვილნი, ერთგულნი მეპატრონეთა თვისთანი, უშურველნი, უანგარონი, მოწყალენი ყოველთა, პირუთვნელნი, მაშენებელნი – ციხეთა, ქალაქთა და დაბნებთა, ერთისა ცოლის მექონნი, თაყვანისმცემელნი ერთისაჲ, ტკბილმომღერალნი, რაჲცა უფრო მდგომარეობდა საბრძოლველთა ლექსთა და ძალთა განმამხნობელთა სიტყვათაგან". ავტორის მიზანია, მოაგონოს საზოგადოებას

თავისი მისია და წეს-ჩვეულებების შენარჩუნებით. თავისის მეობის შენარჩუ-
ნებაც. იგი თავის ნაშრომში ამხელს იმ ახალ მწერლებს, რომელთაც არ იცან
საკუთარი ხალხის ბიოგრაფია და „რომელთა განჰრყუნეს ენაჲ ქართული სხუა
და სხვთა შერყვნილებითა, დამკარგუალთა გუართა".

დავით ციციშვილ–ფანასკერტელის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში
გამოთქმულია მოსაზრება, რომ ის თავისი პოლიტიკური და რელიგიური
მრწამსით ვოლტერიანელი* იყო.

რაფიელ ერისთავი

უნდა ითქვას, რომ ამ ხანად, ერთი მხრივ ვახუშტი
ბატონიშვილის, მეორეს მხრივ დავით ციციშვილის შრო-
მები და სამზადისი მუზეუმის გახსნისათვის თბილისში,
ქმნიდა ეთნოგრაფიის დაწინაურების პირობებს. და მართ-
ლაც იმ დროს ეთნოგრაფიის დარგში მუშაობას იწყებენ
ისეთი პიროვნებები, რომლებიც შემდეგში სახელმოხვე-
ჭილი მოღვაწეები ხდებიან. ცნობილი პოეტი და ეთნოგრა-
ფი **რაფიელ ერისთავი**, რომელსაც თავის მხატვრულ ნა-
წარმოებებში ხალხის ყოფიდან შრომის პროცესის მრავა-
ლი, მეტად საყურადღებო დეტალი აქვს აღწერილი და სა-
კუთრივ ეთნოგრაფიული ხასიათის ნაშრომებიც – დაწე-
რილი. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბროსეს საექს-
პედიციო მუშაობაში. რაფიელ ერისთავის, დავით ციცი-
შვილისა და სხვათა წრეში შემზადდა მუზეუმის დაარსების იდეა, რომელსაც
ხორცი შეესხა 1852 წელს. მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების გამგე
და ხელმძღვანელი თვით რაფიელ ერისთავი იყო.

სამუზეუმო საქმის ტრადიცია საქართველოში შორეული წარსულიდან
მომდინარეობს. ჯერ კიდევ კოლხეთის ისტორიიდან ცნობილია, რომ ქ. ფაზისში
მზის სახელობის ტაძრის გალავანში უჩვენებდნენ არგონავტების ღუზას. რომა-
ელი მოღვაწე *არიანე*, რომელმაც ქ. ფაზისი ინახულა 137 წელს და იქ დაცული
სიძველეები დაათვალიერა, თავის მოხსენებაში იმპერატორ ადრიანეს სახელზე
წერს: „აქ მე ვნახე არგონავტების ღუზა, რომელიც ძველი არ მეჩვენა, მიუ-
ხედავად იმისა, რომ იგი ზომით დიდია და თავის სახეობით განსხვავდება ახ-
ლანდელი ღუზებისაგან. უფრო მეტიც, ვიდრე ეს ღუზა, არგონავტებისეულად
შეიძლება მივიჩნიოთ აქვე დაცული ქვის ღუზის ნაწილები".

არიანეს მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ ფაზისში დაცული ყოფილა
ისტორიული მნიშვნელობის საგნები: არგონავტების მოგზაურობის დროიდან
არიანემდე. ზოგადი ვარაუდის მიხედვით სულ მცირე ათი საუკუნე მაინც იყო
გასული, თუ მეტი არა და მიუხედავად ასეთი ხანდაზმულობისა კოლხებს
შემონახული ჰქონდათ იმდროინდელი კოლექციები.

არიანეს ცნობაში ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ
მზის (რეას) ტაძარში დაცული იყო არა მარტო ის ღუზა, რომელსაც მიიჩნევ-
დნენ არგონავტებისეულად, არამედ სხვა რელიქვიებიც. ყოველ შემთხვევაში
მეორე, ეს უკვე ქვის ღუზის ნაწილები ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული,

---

* ამ ტერმინით ისტორიოგრაფია გამოხატავდა პოლიტიკურ და რელიგიურ თავისუფალ აზროვნებას, მოწინავე საზოგადოებრივ და ფილოსოფიურ შეხედულებებს, რომელსაც XVIII ს. II ნახევარსა და XIX ს. დასაწყისში (რუსეთში), ვოლტერისა და სხვ. ფრანგი განმანათლებლების იდეების გამოძახილად მიიჩნევენ. ვოლტერიანელთა იდეები საქართველოში შემოვიდა რუსეთის გზით [თ.ც.].

თუ კი გავიხსენებთ, რომ სამეგრელოს სხვადასხვა კუთხეში, თვით კოლხეთის მთიან ზოლშიც დღემდე დარჩენილია მოგონება ღუზის ძველთაგანვე არსებობის შესახებ. არიანეს ცნობასთან დაკავშირებით, უნდა ისიც აღინიშნოს, რომ ძველ საბერძნეთში ამა თუ იმ ღვთაების სახელზე შეწირული იშვიათი ნივთების შესანახ ადგილს ტაძრებში **მუზეიონი** ეწოდებოდა.

იშვიათი ისტორიული მნიშვნელობის მქონე ნივთების დაცვის და შენახვის ტრადიცია, რომელიც ადრეულ ხანაში წარმოშობილია, საქართველოს ისტორიის შემდეგ პერიოდშიაც გაგრძელებულა და კიდევ უფრო მეტად ცხოველი ხასიათი მიუღია, ოღონდ ეხლა წარმართულ ტაძრებსა და ქრისტიანულ ეკლესიებთან ერთად ამგვარი ნივთები სამეფოს სალაროებში ინახებოდა და სახელმწიფოს საკუთრება იყო. ასე მაგალითად, ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ ხვამლის სამალავში დაცული იყო სამეფო სალაროდან გატანილი ძველი დროიდან მომდინარე კოლექციები. სხვათა შორის აქ ინახებოდა ვახტანგ გორგასლის ჩაფხუტი და ჯაჭვის პერანგი, თამარ მეფის პირადი ნივთები და სხვა. მეორე ამგვარი სამალავი იყო „მონასტერი სამეფისა", სადაც ინახებოდა მცხეთის ტაძრის განძი.

ასევე ვატიკანის მუზეუმის დათვალიერებისას **სულხან-საბა ორბელიანს** აგონდებოდა, თუ რა სახის ნივთებია დაცული საქართველოს მეფის სალაროში. ის ჩამოთვლის: „ბატონის სალაროში ღორის კბილსავით რომ კბილია, ორი მისთანა, მაგრამ იმტოლი ვერ იყო. კაცის თავი გაქვავებული, სოკო გაქვავებული. ეს ქართლშიც მინახავს. მეც ვუთხარი ბატონის სალაროში რომ ღორის თავია გაქვავებული, მისი ამბავი".

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია **თეიმურაზ ბაგრატიონის** ცნობა. თავის შრომაში *„ისტორია ივერიისა ანუ გიორგიისა"* ის წერს: „სხვათა და სხვათა ჟამთა შინა იპოვეს მკვდარნი ეს სახედ დაფლული სხვათა და სხვათა ადგილთა შინა ივერიისთა, რომელითაცა ჩვეულებანი ძველთა ქართლოსიანთანი უწყებულ არიან და არათუ მხოლოდ ძველთა ჟამთა. ახალთაცა ამათ საუკუნეთა იპოვნეს რაოდენიმე მეფობასა შინა ირაკლი მეორისასა კერპთმსახურებასა შინა დაფლულნი მევდარნი და ფულნი პირთა შინა დებულნი მათნი, და რომელნიმე რკინისა საჭურველთაგანნი დაშთომილნი განუბრრწნელად იცვეიბოდეს სალარასა შინა მეფისა ირაკლისასა ტფილისს და მოსვლასა შინა აღა მაჰმადხან ყაჯრისსა, წარწყმედილ იქმნეს."

ზემოთ მოტანილი მასალების მიხედვით მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ **იოვანე ბაგრატიონი** (ბატონიშვილი) თავის მოხსენებით ბარაში სახელმწიფო რეფორმის შესახებ 1799 წელს თავის მამას, გიორგი XII-ს რომ წარუდგინა, სხვა კულტურულ-საგანმანათლებო დაწესებულებების დაარსებასთან ერთად მოითხოვს მუზეუმის დაარსებას.

სამუზეუმო საქმისადმი ამგვარი ინტერესი არ შენელებულა XIX ს-ის საუკუნის პირველ ნახევარშიც, ხოლო განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება ეთნოგრაფიული მონაცემების შეკრების მხრივაც. ეს კარგად ჩანს იმდროინდელი „Тифлисские ведомости"-ის ფურცლებიდან, *სოლომონ დოდაშვილისა* და სხვათა წერილებიდან, იმ სულისკვეთებიდან, რომელიც იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში იყო. ასე მაგალითად, **ნ. ბარათაშვილი** თავის მეგობარს თხოვს შეაგროვოს მისთვის დაღესტანში ეთნოგრაფიული საგნები, ხოლო **გრ. ორბელიანი** ავალებს თავის კორესპოდენტს აფხაზეთში ყურადღება მი-

აქციოს და აღწეროს ეთნოგრაფიული მოვლენები. სხვათა შორის გრ. ორბელიანი წერს მას, რომ ამაზე უკუთესს სხვას ვერაფერს გააკეთებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ განწყობილებამ მკვეთრად იჩინა თავი 40–იან წლებში, როდესაც ქართველ მოწინავე საზოგადოებაში მომწიფდა მოთხოვნილება ერის თავისებურებების ამსახველი საგნების შეგროვება-დაცვისა და სათანადო დაწესებულებების, მუზეუმის დაარსების შესახებ.

რუსეთში ეს ხანა ემთხვევა იმ დროს, როდესაც გერცენი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი ხალხური ეთნოგრაფიული ყოფის შესწავლას მოითხოვდნენ და ამ სახის მასალას რუსი ხალხის ისტორიის შესწავლაში უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

სათანადო წყაროებიდან ჩანს, თუ როგორი მხურვალე მონაწილეობა მიუღია ქართველთა საზოგადოების მოწინავე წრეს „კავკაზსკი მუზეუმის" დაარსებასა და მის მუშაობაში (დ. ყიფიანი, რ. ერისთავი, მ. თუმანიშვილი და სხვა).

მაგრამ, როგორც გაირკვა, კარგად დაწყებული საქმე ხუთი წლის შემდეგ დაქვეითების გზას დაადგა. მეფის ხელისუფლებამ ამ საქმიანობაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელისშემწყობი ვითარება დაინახა და ბართოლომეის ხელით ეს წამოწყება თანდათან დაასუსტა და ბოლოს მუზეუმსაც გამოუკეტა კარები. ასე, რომ ახლად დაარსებულ (1865 წ) „კავკაზსკი მუზეის"– „კავკაზსკი მუზეუმიდან" წლების განმავლობაში ყუთებში ჩაკეტილი ექსპონატები გადაეცა. ბართოლომეი კადნიერდებოდა ემტკიცებინა, რომ ადგილობრივი მუზეუმის მოვალეობას არ შეადგენს შეაგროვოს ხალხური ყოფის ამსახველი ეთნოგრაფიული კოლექციები. ეს საქმე, მისი აზრით, საზღვარგარეთისა და ცენტრის მუზეუმების მოვალეობაა.

არც „კავკაზსკი მუზეის" მუშაობა წარიმართა სათანადო მიმართულებით. ამ დაწესებულების დირექტორის თანამდებობაზე მეფის ნაცვალის მიერ დანიშნულმა *გ. რადემ*, წარმოშობით გერმანელმა, საქმე ისე წაიყვანა, რომ მუზეუმი სრულიად მოსწყვიტა ადგილობრივ მოწინავე საზოგადოებას და მარტო უცხოელების შემწეობით მუშაობდა. ამ მუზეუმის მუშაობის 25 წლისთავზე რადე ღაღადებდა, რომ „მომავალში მუზეუმს არ შეუძლია დიდი სურვილი ჰქონდეს (მე ამას ვამბობ, როგორც ამ დაწესებულების დირექტორი) შემდეგ გაფართოებაზე. ფიქრი უნაყოფოა... არა მგონია, რომ მუშაობის ასეთი გაფართოება აუცილებელი იყოს ადგილობრივი მუზეუმისათვის."

ამ მხრივ მდგომარეობა არც მაშინ შეცვლილა, როცა რადეს სიკვდილის შემდეგ ეს მუზეუმი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას გადაეცა. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ახლად დანიშნული დირექტორი *ნ. კახნაკოვი* ისევე არ იკარებდა ადგილობრივი ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებს, როგორც მისი წინამორბედი.

აკად. *ნ. მარი* თავის კერძო წერილში კავკასიის მუზეუმის დირექტორის სახელზე ნ. კახნაკოვს ეფიცებოდა, რომ მავანი მეცნიერი მუშაკი, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელი, გამოსადეგი იქნებოდა კავკასიის მუზეუმის მუშაკად, ვინაიდან ეს პიროვნება დენაციონალიზებულია, მორჩილია, გამგონი და უწყინარი, მაგრამ, როგორც ირკვევა, ნ. კახნაკოვმა არ შეიწყნარა ნ. მარის ვედრება და ასეთი „უწყინარი მუშაკის" მიღებაზეც უარი უთხრა.

ქართველი მოწინავე საზოგადოება არ ურიგდებოდა სამუზეუმო მუშაობის ფრონტზე შექმნილ ვითარებას და გულმოდგინედ იბრძოდა ეროვნული მუზეუმის დაარსებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძე

ილია ჭავჭავაძე, აღზრდილი გერცენის, ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის მოწინავე რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებზე, თავისი მოღვაწეობის პირველი წლებიდანვე ქადაგებდა, რომ ქართველი ხალხის ისტორიის დაწერა შეუძლებელია, თუ არ იქნა შეკრებილი ხალხური წეს-ჩვეულებები და ადათები. მისი მეთაურობით ჩამოყალიბდა ქართველ ეთნოგრაფთა ჯგუფი, რომელმაც ამ მხრივ დიდად ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ჟურნალ-გაზეთებში მრავალი წერილია მოთავსებული ქართული ეროვნული მუზეუმის დაარსებისათვის თბილისში. მოეწყო საეკლესიო და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმები. ილია ჭავჭავაძე, დიდი აღფრთოვანებით შეხვდა საეკლესიო მუზეუმის დაარსებას: „ამ მუზეუმის დაარსებას ყველა ჩვენი ქვეყნის მოყვარე კაცი დიდის სიხარულით უნდა მიეგებოს და დიდი მადლობა ჩაინერგოს გულში იმათ მიმართ, ვინც ეს ფრიად სასარგებლო საქმე ითავეს და შესრულებამდე მიიყვანეს".

სამოციან წლებში ეთნოგრაფიის დარგში ახალი წამოწყების წინაშე ვდგევართ. 1852 წელს დაარსებული მუზეუმის მუშაობა თანდათანობით შენელდა. ასე რომ სამოციანი წლებისათვის ის მხოლოდ კოლექციების საწყობს წარმოადგენდა. მაგრამ ეთნოგრაფიის დარგში ახალი გზის მომცემ პიროვნებად ჩნდება ილია ჭავჭავაძე. მას, ისევე როგორც სხვა დარგებში, ამ დარგშიც განსაკუთრებული შრომა აქვს გაწეული. საქმე ის არის, რომ ილია ჭავჭავაძის შეხედულებით საქართველოს ისტორიის დაწერა ეთნოგრაფიული მონაცემების გარეშე შეუძლებელია. ვინაიდან, როგორც იგი ამტკიცებდა, „ქართლის ცხოვრებაში" მოცემული საქართველოს ისტორია არის მეფეთა ისტორია და არა ხალხის ისტორია და თუ გვინდა ხალხის ისტორია დაიწეროს, უნდა გვქონდეს ხალხის ზნე-ჩვეულებების, მისი ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი ფაქტები, ე.ი. უნდა გქონდეს ხალხის ყოფის ეთნოგრაფიული აღწერილობა. ილია წერდა: „სადაც ხალხის ცხოვრება ნამდვილ გზაზედ არის დაყენებული, სადაც შეგნებული აქვთ თუ რა საუნჯეა დარჩენილი სხვადასხვა ჩვეულებებში, იქ მდაბიო ხალხის ყოველგვარ ჩვეულებას, ცხოვრების ყოველგვარ საგანს ჯეროვან ყურადღებას აქცევენ და გამოურკვევლად არაფერს ტოვებენ. სწორედ ამგვარ შესწავლას და გამოკვლევას მოაქვს სასარგებლო და კეთილი ნაყოფი. მხოლოდ ამგვარი შესწავლით და გამოკვლევით შეიძლება ყოველმხრივ შევიგნოთ ხალხის წარსული და აწმყო, იმისი ავი და კარგი, იმისი წადილი, საჭიროება".

ბეს. ნიჟარაძე

დაახლოებით ამავე აზრს გამოსთქვამდა შემდეგში **ივანე ჯავახიშვილი**: „ქართველი ხალხის ყოფაში უხვადაა შემონახული მრავალი საუკუნის გადანაცხოვრები. დიდი სამეცნიერო ღირებულების მქონე ნაშთები. ხალხში წარსული კულტურის მრავალი მარგალიტია გაბნეული, რომელთა შემწეობით კულტურულ-ისტორიული პრობლემის გადაჭრა და ისტორიული წარსულის მრავალი საკითხების გარკვევა შეიძლება".

ილია ჭავჭავაძემ სწორედ ამ საფუძველზე გაშალა ფართო მუშაობა იმდროინდელ საქართველოს პირობებში. უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ ილია ჭავჭავაძე კრეფდა ხალხის ზნე-ჩვეულებების დამახასიათებელ ფაქტებს. ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ თუნდაც მისი პირვანდელი ნაშრომი, მოგზაურობა კავკავიდან, „მგზავრის წერილები", სადაც ილია ცდილობს მოხვევის კილო გადმოსცეს ისე, როგორც სინამდვილეში არის და ამგვარად ხალხური ყოფის ერთ-ერთი დამახასიათებელი ელემენტი შემოიტანოს თავის თხზულებაში. მაგრამ, ამას გარდა, მის დღიურებში არის აღბეჭდილი საკუთრივ ეთნოგრაფიული მასალები. კერძოდ 1864–1865 წლებში მას ხევსურეთში ჩაუწერია სადიდებლის ტექსტი, ის ტექსტი, რომელსაც ხევსური ხუცი წარმოთქვამს ლოცვის დროს. შემდეგში, ილიას მიერ ჩაწერილი ტექსტი დაბეჭდილი იყო გაზეთ „ივერიაში". სხვა მისი თხზულებიდანაც ჩანს, რომ ის დიდ ყურადღებას აქცევს ხალხის ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელ მასალას, მაგრამ მისი ღვაწლის ყველაზე უფრო საყურადღებო მომენტია ის, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შექმნა ეთნოგრაფების შესანიშნავი კადრები, რომლებიც კრებდნენ ეთნოგრაფიულ მასალას და თავისი დროისათვის მეტად საყურადღებო და ჩვენთვის დიდად მნიშვნელოვანი ფაქტები იქნა დაგროვილი.



თ. სახოკია

ეთნოგრაფიული მასალის ასეთი შემგროვებლები მას საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეში ჰყავდა. მაგალითად სვანეთის შესახებ მასალებს კრებდა თავის დროის შესანიშნავი მოღვაწე **ბესარიონ ნიჟარაძე**, რომლის ფსევდონიმი იყო *„თავისუფალი სვანი"*. ბესარიონ ნიჟარაძის მიერ შეკრებილი მასალები იბეჭდებოდა „ივერიაში", რომლის რედაქტორიც თვით ილია იყო. გურია-აჭარა-სამეგრელოში მასალებს აგროვებდა **თედო სახოკია** – ერთ-ერთი შესანიშნავი ეთნოგრაფი. მის მიერ შეგროვილი მასალები იბეჭდებოდა იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში. აფხაზეთში (სამურზაყანოში) მასალებს აგროვებდა **ნიკო ჯანაშია**, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას მამა, რომელსაც გურიის შესახებაც აქვს მასალა შეგროვილი. **პეტრე ჭარაია** აფხაზეთის შესახებ აგროვებდა მასალებს. აღმოსავლეთ საქართველოში, საინგილოს შესახებ ეთნოგრაფიულ მასალებს აგროვებდნენ **დიმიტრი** და **მოსე ჯანაშვილები**, ხევსურეთში და ფშავში – **ნიკო ხიზანიშვილი**, რომლის ფსევდონიმი იყო *ურბნელი*. ამასთან ერთად მასალებს ფშავსა და ხევსურეთში აგროვებდა **ვაჟა-ფშაველა**, ხევში – **ალ. ყაზბეგი** (*მოჩხუბარიძე*) და სხვები.

ნ. ჯანაშია

ასეთი მუშაობის შედეგად XIX საუკუნის მეორე ნახევრში დიდად მნიშვნელოვანი მასალა დაგროვდა, რომლის საფუძველზეც თანამედროვე ეთნოგრაფებს გვიხდება მეცნიერული კვლევა-ძიების წარმოება. მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძის დროს წარმოებული ეთნოგრაფიული მუშაობა ძირითადად ეთნოგრაფიული მასალების შეგროვებით ხასიათდება, რომელიც გრძელდებოდა XX საუკუნის დასაწყისშიაც. თუმც არაშვიათად თეორიული

საკითხების დასმას და მეცნიერული პრობლემების გადაწყვეტასაც ჰქონდა ადგილი. მაგალითად, ნ. ხიზანიშვილის მუშაობასთან დაკავშირებით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მან პირველმა მიაკვლია ფშავ-ხევსურეთში გვაროვნული წყობილების გადმონაშთებს. თავისი აღმოჩენა მან გაზეთ „ივერიაში" გამოაქვეყნა. ასე, რომ 1884 წელს ეს ფაქტი მის მიერ ფიქსირებული იყო ბეჭდური სახითაც, მაგრამ სამეცნიერო ზოგად ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში მისი ეს მონაპოვარი არ არის ცნობილი ხიზანიშვილის სახელთან დაკავშირებით. ეს აღმოჩენა მიეწერება რუს მეცნიერს მაქსიმ კოვალევსკის.

ნ. ხიზანიშვილი

მაქსიმ კოვალევსკი ოთხმოციან წლებში მოგზაურობდა საქართველოში და კავკასიაში ეთნოგრაფიული მიზნებით. ის აგროვებდა მასალებს ხალხური ადათების შესახებ. მას გადაუთარგმნეს სწორედ ის მასალა, რომელიც ხიზანიშვილს ჰქონდა გამოქვეყნებული. მან ამ მასალით ისარგებლა და გამოაქვეყნა შემდეგ ნაშრომი რუსულ და ფრანგულ ენებზე. რამდენადაც ქართულად დაბეჭდილი აზრი ისეთი გავრცელებისა ვერ იყო როგორც ფრანგულად და რუსულად დაბეჭდილი ნაშრომი, ამდენად ეს აღმოჩენა მიეწერება კოვალევსკის.

1907 წ. თბილისში დაარსდა მეორე მუზეუმი. ამ მუზეუმს სახელად ეწოდებოდა *„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმი"*. მუზეუმი ქართველი საზოგადოების ინიციატივით იყო შექმნილი და არსებობდა ნებაყოფილობით შეგროვილი თანხის ხარჯზე. მთავრობა მას არავითარ დახმარებას არ უწევდა. მიუხედავად ამისა, მუზეუმში მაინც დაგროვდა მეტად ძვირფასი ეთნოგრაფიული მასალა. მაგრამ სამუზეუმო მშენებლობის დაწინაურების ხანა XX საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება, როცა მუზეუმებისა და სახლ-მუზეუმების რიცხვმა ოცდაათს გადააჭარბა, ხოლო კოლექციების რაოდენობა ასიათასობით აღირიცხება. მარტო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ერთ მილიონზე მეტი საკოლექციო ერთეულია დაცული. მუზეუმის კოლექციებს შორის დაცულია თიხის ჭურჭლის ისეთი კოლექცია, რომელიც აღა-მაჰმად ხანის მიერ თბილისის აოხრებისას (1795 წ.) გაუტაცნიათ ერეკლე მეფის სასახლიდან. გამტაცებელი გზაში იძულებული გამხდარა გატაცებული ნივთები მიწაში ჩაეფლა. ეს ნივთები შემთხვევით იქნა აღმოჩენილი და დაბრუნდა თბილისში, მუზეუმში.

რევოლუციის შემდგომ, ეთნოგრაფიას სრულიად ახალი შესაძლებლობა შეექმნა. ამ ხანიდან უკვე საქართველოს ეთნოგრაფია ყალიბდება დამოუკიდებელ, საკუთარი მეთოდის მქონე დისციპლინად. პირველ ხანებში მისი მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო ყველა იმ კოლექციათა კონცენტრაცია, რომლებიც გაბნეული იყო სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებში. ამის შედეგად ყოველგვარი ეთნოგრაფიული მასალა ამჟამად თავმოყრილია საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში. მასში შევიდა საქართველოს კავკასიის ეთნოგრაფიული მუზეუმის კოლექციები, საქართველოს საისტორიო და ეთნოგრაფიული მუზეუმის კოლექცია, შემდეგ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ შეგროვილი და საეკლესიო მუზეუმის

პ. ჭარაია

ფონდებში დაცული კოლექციები და ამგვარად საქართველოს მუზეუმის ფარგლებში შეიქმნა შესანიშნავი ბაზა სამეცნიერო კვლევისათვის.

ვაჟა-ფშაველა

ამ სამუშაოს გვერდით საბჭოურ პერიოდში საქართველოს ეთნოგრაფიის მეორე მნიშვნელოვანი საკითხი წამოიჭრა. ეს იყო ხალხის ყოფაში სისტემატური მუშაობის წარმოება საკოლექციო და სხვა მასალების შეგროვების მიზნით. გარკვეული გეგმისა და მეთოდიკის საფუძველზე გაიშალა მუშაობა და სრულიად ახალ საფუძველზე აიგო საველე სამუშაოები ეთნოგრაფიის დარგში. ადრე არსებული რარიტეტულ-ანტიკვარული მეთოდი კოლექციათა შეგროვებისა, რომელსაც რადე იყენებდა და იშვიათი, ეკზოტიკური ხასიათის ექსპონატების დაგროვებას ვარაუდობდა შეიცვალა ინტენსიური მეთოდით, რომლის თანახმად კოლექციები კომპლექსურად გროვდებოდა შრომის ყველა მომენტთან დაკავშირებით. 35 წლის მანძილზე ფრიად მნიშვნელოვანი და საყურადღებო ეთნოგრაფიული მასალა დაგროვდა, რომელიც უმთავრესად მოპოვებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ექსპედიციების ჩატარების გზით (ოცდაათი წლის მანძილზე საბჭოურ ხანაში 13-ჯერ მეტი ექსპედიცია არის ჩატარებული, ვიდრე რევოლუციამდე 75 წლის მანძილზე იყო ჩატარებული ამ ხაზით).

ამგვარად, კოლოსალური მუშაობის შედეგად სამეცნიერო კვლევისათვის მეტად დიდი მასალა დაგროვდა და ამის პარალელურად ფართო სამეცნიერო კვლევა-ძიება გაიშალა. ამავე პერიოდში ქართველი ხალხის ყოფის დამახასიათებელი მეტად საყურადღებო პრინციპული ხასიათის პრობლემებიც იქნა დასმული.

ამჟამად საქართველოს ეთნოგრაფიას აღარ შეუძლია კვლევა აწარმოოს მარტოდმარტო საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიული მასალების ფარგლებში, არამედ ყოველი სამეცნიერო საკითხის დასმის დროს საჭიროა იმ მასალების გათვალისწინება, რომლებსაც წინა აღმოსავლეთი გვაწვდის და კიდევ უფრო მეტად აუცილებელია ძველ აღმოსავლური კულტურის მონაცემებთან შეჯერება. ე.ი. შედარებითი მეთოდის გამოყენება. საქართველოს ეთნოგრაფია ამ ეტაპზე სცილდება საქართველოსა და კავკასიის ფარგლებს და თავის არეში იქცევს წინა აღმოსავლეთისა და ძველი აღმოსავლეთის კულტურის მონაცემებს. ასეთი მუშაობის საფუძველზე სრულიად ახლებური დასკვნებია გამოტანილი.

ა. ყაზბეგი

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ საქართველოს ეთნოგრაფიის განვითარების ზოგადი მიმართულება უძველესი დროიდან მოყოლებული თანამედროვეობამდე, მაგრამ ეს განხილვა სრული არ იქნება, თუ არ შევეხებით იმ წყაროებსა და ლიტერატურას, რომელიც უცხოურ ენებზეა დაწერილი. როგორც ზემოთაც ითქვა, ეს მასალა ძველი ხანისათვის მოიპოვება ასურულ, ურარტულ, ხურიტულ, ებრაულ, ბერძნულ და ლათინურ ენებზე. მომდევნო ხანაში არაბულ, სპარსულ, სომხურ, რუსულ და სხვა ევროპულ ენებზე. არსებობს რამდენიმე კომპენდიუმი, რომელშიაც თავმოყრილია ამ წყაროებიდან ამოკრებილი ცნობები, რომლებიც საქართ-

ველოს ეთნოგრაფიას შეეხება (ლუკინოლი, ლატიშევი, კარაულოვი და სხვანი).

მ. ჯანაშვილი

კერძოდ, ძვირფასი მასალა მოიპოვება XVII საუკუნისთვის, რომელიც შეგროვილია იტალიელი, ფრანგი და რუსი ავტორების მიერ. განსაკუთრებით აღსანიშნავია კათოლიკე მისიონერების **არქანჯელო ლამბერტის, ქრისტეფორე კასტელის, შარდენის** და სხვათა მიერ შეგროვებული ეთნოგრაფიული მასალა. იტალიელმა მისიონერმა კასტელმა ხანგრძლივად იცხოვრა საქართველოში. აქ მან დახატა იმდროინდელი ყოფისა და კულტურის დამახასიათებელი მრავალი სურათი. ამ სურათებიდან სამეცნიერო ხმარებაში მხოლოდ რამდენიმე ათეული ცალია მოქცეული. ორიგინალები სამამულო ომამდე ინახებოდა სიცილიაში პალერმოს საქალაქო ბიბლიოთეკაში. ჩვენთვის მნიშვნელოვანი მასალა მოცემულია XVII–XVIII საუკუნეებში საქართველოში ჩამოსული რუსი ელჩების ჩანაწერებში. რამდენადაც რუსეთი დაინტერესებული იყო საქართველოს გაცნობით, იგი ელჩებს საგანგებო დავალებით აგზავნიდა კახეთში, იმერეთსა და სამეგრელოში. ისინი სპეციალური კითხვარის მეშვეობით მოიპოვებდნენ ცნობებს ბუნებრივი სიმდიდრის, ზნე-ჩვეულების, მოსახლეობის რაოდენობის შესახებ და სხვ. ამათგან განსაკუთრებით საინტერესოა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრის **ი. გიულდენშტედტის** ჩანაწერები. მომდევნო საუკუნეში საქართველოში იმოგზაურეს და თავიანთი მოგზაურობის შედეგები გამოაქვეყნეს: **გამბამ, დიუბუა დე მონპერიემ, ჰაქსტჰაუზენმა, ვაგნერმა, კოხმა, პეტცოლდმა, მერცბახერმა, დეშიმ, ზიჩმა** და სხვ. ბევრი ეთნოგრაფიული მასალაა დაგროვილი XIX ს. რუსულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში. კერძოდ გამოცემებში: „Записки Кавказского отделения Русского Географического Общества"; „Сборник Кавказского отделения Русского Географического общества"; „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа"; „Статистический сборник"; „Вестник Кавказского медицинского общества"; „Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказья"; „Свод материалов для изучения экономического быта государственных крестьян Закавказья" და ა.შ. XX საუკუნეში საქართველოს ეთნოგრაფიის დარგში მუშაობდნენ: **ა. ბიჰანი**, *კოდე* (გერმანია), **ბლაიხშტაინერი** (ავსტრია), **მონტანდონი** (საფრანგეთი), **მაიერსი** (ინგლისი), **ბრატანიჩი** (იუგოსლავია), **ბელა გუნდა** (უნგრეთი), **ბალაშა** (უნგრეთი) და სხვა.

აღსანიშნავია აგრეთვე ამავე საუკუნის რუსი მეცნიერების დაინტერესება საქართველოს ეთნოგრაფიით. ამათგან ყველაზე უფრო მეტად მნიშვნელოვანია **კოვალევსკის, ზაგორსკის, ჩურსინის,** ხოლო საბჭოური პერიოდის პირველ ნახევარში კი – **დაგენ-კოვალევსკის, შილინგის, პანეკისა** და სხვათა შრომები.

საველე ეთნოგრაფიული მუშაობის მეთოდი. ეთნოგრაფიას, როგორც ყველა მეცნიერებას, საკუთარი კვლევის ობიექტთან ერთად აქვს თავისი დამოუკიდებელი მეთოდი. ეს მეთოდი ჩამოყალიბდა საქართველოს ეთნოგრაფიული სინამდვილის შესწავლის ნიადაგზე, ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად და მრავალგზის არის შემოწმებული.

ეთნოგრაფიული მეცნიერების საფუძველი მეცნიერულად სწორად ფიქსირებული საველე მასალებია, რომელიც ისტორიული პირველწყაროს მნიშვნელობისაა და მეცნიერებისათვის ფასდაუდებელი, ვინაიდან იგი ამყღავნებს ქართველი ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე გაწეულ კულტურულ მუშაობას და აჩვენებს ამ კულტურის განვითარების საფეხურებს.

ეთნოგრაფია ფაქტებს ცოცხალი ყოფიდან კრებს. რაც უფრო მეტია უტყუარი, სრულფასოვანი, ამომწურავი და ყოველმხრივი ფაქტები, მით უფრო ადვილია მათი გაგება, გააზრება, განზოგადება და მოვლენათა კანონზომიერებათა დადგენა საზოგადოების და მისი განვითარების კანონების შესახებ. ამ რთულ სამეცნიერო-კვლევით პროცესში უმთავრესი მომენტია ფიქსირებული ფაქტებისა და მოვლენების ობიექტურობისა და უტყუარობის დადგენა.

როგორც ცნობილია, ეთნოგრაფია, არქეოლოგიისგან განსხვავებით, კონკრეტულ მასალებს, ფაქტებს კრეფს ცოცხალი ყოფიდან, ველზე, კონკრეტულ ეთნიკურ წარმონაქმთა ცოცხალ სინამდვილეზე უშუალო დაკვირვებათა გზით. ეთნოგრაფიული მეცნიერების ეს დამახასიათებელი თვისებები წარმოადგენს ამავე დროს იმ სპეციფიკას, რითაც იგი ისტორიის სხვა დისციპლინათაგან განსხვავდება. ეთნოგრაფია ხომ ისტორიის დისციპლინაა, რომელიც ეთნიკურ გაერთიანებებში (ერთიანობას), მათ ზოგად და თვითმყოფად ნიშნებს სწავლობს, ცოცხალ ყოფაზე უშუალო დაკვირვების გზით.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ გეგმაზომიერი და სისტემატური შესწავლისა და თვითმყოფი ნიშნების, ხალხის კულტურისა და ყოფის თავისებურებათა გამოვლინების გარეშე შეუძლებელია მეტ-ნაკლები სიზუსტით ნებისმიერი ხალხის მატერიალური დოვლათის მწარმოებელთა ისტორიის წარმოდგენა. ისტორიულ დისციპლინათაგან არც ერთი არ დგას ისე ახლოს ხალხთან როგორც ეთნოგრაფია.

ცოცხალი ეთნოგრაფიული სინამდვილე, ეს უპირველესად მშრომელთა ემპირიული ცოდნა, შრომითი და საწარმოო ჩვევაა, რომელიც ხალხური კულტურის ძირითად ფონდს შეადგენს. კულტურის ეს ნიშნები თავისი ფესვებით შორეულ წარსულამდე მიდის. ხალხური ემპირიული ცოდნიდან ყველა არ ისპობა მათი წარმომშობი ბაზისის ლიკვიდაციასთან ერთად. ზოგიერთი მათგანი განიცდის სრულყოფას და ხალხში აგრძელებს არსებობას. უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანი სამეცნიერო კვლევით ექსპერიმენტშიც პოულობს დადასტურებას. მაგალითად, მრგვალი სხეულის, ბორბლის ბრუნვის პრინციპი, უხსოვარ დროში ემპირიული გზით, მარტივ წარმოდგენათა საფუძველზე აღმოჩენილი, დღემდე გამოიყენება, როგორც მეცნიერულად და ექსპერიმენტულად დასაბუთებული.

მაგრამ მარტოოდენ მარტივი წარმოდგენები თუ შეგრძნებები, რომლებიც ახორციელებენ უშუალო კავშირს გარემოსთან, ვერ შეძლებდა ბუნების კანონების აღმოჩენას. ამ ამოცანას პრაქტიკა წყვეტს. პირველყოფილ ადამიანს წარმოდგენაც არ ჰქონდა ენერგიის ერთი სახის მეორე სახედ გარდაქმნაზე, მაშინ როცა ხის ორი ნაფოტის ურთიერთხახუნის გზით ცეცხლს იღებდა. ბუნების ეს კანონი აღმოჩნდა და დაფუძნდა ადამიანის პრაქტიკული მოღვაწეობის შედეგად.

კაცობრიობის ისტორიის მრავალსაუკუნოვან მანძილზე მარტივ წარმოდგენათა საფუძველზე შექმნილი კულტურული ღირებულებანი მრავალრიცხოვანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათი კვლევა ეთნოგრაფის ვალია. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით საველე მუშაობას არსებითი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ იგი არ წარმოადგენს ეთნოგრაფიული ფაქტებისა და მოვლენების უბრალო თავმოყრას. იგი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოა, რომელიც მეტად რთულ პირობებში ტარდება. სირთულეს აღრმავებს ისიც, რომ მეველე ეთნოგრაფის საგანს წარმოადგენს ცოცხალი ადამიანი, მისი მეტერიალური და სულიერი კულტურის გარკვეულ ასპექტში განხილვა. მეორე მხრივ, რამდენადაც მეველე ეთნოგრაფი ერთსა და იმავე დროს ეთნოგრაფიული ფაქტების მკვლევარიცაა და შემკრებიც. ეს უკანასკნელნი საჭიროებენ ობიექტურ მიდგომას, რათა ფაქტები არ დამახინჯდეს და მოხდეს მათი ყოველმხრივი და ზუსტი ფიქსირება.

საველე ეთნოგრაფიული მუშაობა მეტად რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. ამ გზით მოპოვებული მასალა განსაკუთრებულია. ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ შიშველი ფაქტი გამოუყენებელია, თუ მისი გენეტიკური გაშუქება არ ხერხდება. ამიტომ ეთნოგრაფს პირველ რიგში მოეთხოვება, რომ ეთნოგრაფიული მასალების შეგროვება არ მოწყვიტოს სამეცნიერო-კვლევით პრობლემებს. მკვლევარს საველე მუშაობის დროს მიცემული აქვს შესაძლებლობა შეისწავლოს საწარმოო გამოცდილება და შრომითი ჩვევები ხალხისა მათ კონკრეტულ გამოვლენაში, შეისწავლოს ცხოვრების ძველი და ახალი ფორმები, მზარდი და განწირული მოვლენები, მათი მოძრაობა.

საჭიროა აგრეთვე მხედველობაში იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ ეთნოგრაფიული სინამდვილე, მრავალგზის გადაჯვარედინებული კულტურულ-ისტორიული და კულტურულ-ეთნიკური მოვლენაა, რომლის ზოგიერთი ელემენტი მკვლევარისათვის ადვილმისაწვდომია, ხოლო ზოგიერთი ელემენტი ძვლივსღა შეიმჩნევა და ძნელად ხელშესახებია.

ამასთან ერთად, მხედველობაში უნდა გვქონდეს ისიც, რომ ეთნოგრაფიული სინამდვილე ინახავს ძველ მოვლენებსა და საგნებს არა მხოლოდ ცალკეული დაქუცმაცებული ფაქტების სახით, არამედ მეტნაკლებად მთლიანი კომპლექსების სახითაც, რაც მათ ფიქსაციას ართულებს.

ცნობილია, რომ ბუნებაში არც ერთი მოვლენა არ შეიძლება იქნას გაგებული, თუ მას ავიღებთ იზოლირებული სახით გარემო მოვლენებთან დაკავშირების გარეშე.

ამ მოთხოვნილების შესრულება საველე ეთნოგრაფიულ მუშაობაში შესაძლებელია მხოლოდ მოვლენის კომპლექსური შესწავლით, მაშინ როცა, ერთი მხრით, კომპლექსში ივარაუდება ბაზისური და ზედნაშენი მოვლენები და, მეორე მხრით, როცა ყოველი საგანი აღიწერება სტრუქტურის, ტექნიკისა და ფუნქციის მიხედვით. ამასთან ერთად, საჭიროა ტექსტუალური მასალა გროვდებოდეს პირველწყაროების მიხედვით და ნივთიერი – ორიგინალის სახით.

ამ მეთოდის თვალსაზრისით ეთნოგრაფიული დაკვირვების სიღრმე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიფართოვე. მნიშვნელოვანია მცირე რაიონის ღრმა შესწავლა, ვიდრე ეთნოგრაფიული მოვლენების გავლით ფიქსირება ვრცელ ტერიტორიაზე. მასალის გადაჯვარებული ფიქსაცია და ადგილზე კარგად შედგენილი ბიოგრაფია ერთი კონკრეტული სახვნელი იარაღისა იძლევა მეტს, ვიდრე მრავალი ათეული ამგვარი იარაღის ზერელე აღწერილობა. ამასთან ერთად, მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს ცალკეული პატარა და დიდ სოციალურ ერთეულებში: ოჯახი, გვარი, გვაროვნული გაერთიანებები, უბანი, სოფელი, დაბა, ხევი და სხვა.

ეუთანასდეკა

(მხატვარი ზ.წერეთელი)

ქართული ორნამენტი
(მხატვარი ზ.წერეთელი)

ამ მიდგომამ შესაძლებლობა მოგვცა ამოგვეხსნა ეთნოგრაფიული ფაქტები და მოვლენები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ: რაჭული სახვნელი იარაღი, ლამარიას ორბუნებოვანი ღვთაება, ხევსურული ხატმსახურების წმინდა საიდუმლო ენა, სვანურ წეს-ჩვეულებათა გრაფიკული ხელოვნება და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საველე მუშაობის სწორად წარმოებაზე არსებითად დამოკიდებულია ეთნოგრაფის მთელი შემდგომი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. უფრო მეტიც, სწორედ დაყენებული საველე მუშაობა უკვე სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოა, რომელიც ზოგადთეორიული მნიშვნელობის პრობლემათა წამოყენებისა და გადაჭრის ფართო შესაძლებლობებს იძლევა.

ამ მეთოდის საფუძველზე გაიშალა მუშაობა და სრულიად ახალ საფუძველზე აიგო საველე სამუშაოები საქართველოს ეთნოგრაფიის დარგში. ადრე არსებული რარიტეტული მეთოდის ნაცვლად ინტენსიური მეთოდის საფუძველზე საბჭოურ ხანაში 25 წლის მანძილზე ფრიად მნიშვნელოვანი და საყურადღებო ეთნოგრაფიული მასალა დაგროვდა, რომელიც უმთავრესად მოპოვებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ექსპედიციების ჩატარების გზით. ოცი წლის მანძილზე საბჭოურ ხანაში 13-ჯერ მეტი ექსპედიცია არის შესრულებული ვიდრე რევოლუციამდე სამოცდათხუთმეტი წლის მანძილზე იყო ჩატარებული ამ ხაზით.

ამ კოლოსალური მუშაობის შედეგად სამეცნიერო კვლევისათვის მეტად დიდი მასალა დაგროვდა, მაგრამ ამის გვერდით, როგორც ვიცით, სამეცნიერო კვლევის მასალებს არ გამოვთიშავთ სამეცნიერო კვლევა-ძიებისაგან. მეცნიერების წინაშე ქართველი ხალხის ყოფის მახასიათებელი მეტად საყურადღებო პრინციპული ხასიათის პრობლემები იქნა დასმული. საქართველოს ეთნოგრაფიას სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა უკვე აღარ შეუძლია მარტოდმარტო აწარმოოს საქართველოს და კავკასიის ეთნოგრაფიული მასალების ფარგლებში, არამედ ყოველი სამეცნიერო საკითხის დასმის დროს საჭიროა იმ მასალების გათვალისწინებაც, რომლებსაც წინა აღმოსავლეთი გვაწვდის და კიდევ უფრო მეტად ძველი აღმოსავლეთის კულტურები. ე.ი. შედარებითი მეთოდის გამოყენება საქართველოს ეთნოგრაფიის ამ ეტაპზე სცილდება საქართველოსა და კავკასიის ფარგლებს და მის არეში მოაქცევს აგრეთვე წინა აღმოსავლეთისა და ძველი აღმოსავლეთის კულტურის მონაცემებს.

ჭვინტიანი ფეხსაცმელი

სამაგალითოდ შევჩერდებით ერთ საკითხზე, რომელიც შესწავლილი და გამოქვეყნებულია. საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში XIX საუკუნის მეორე ნახევარში და XX საუკუნის პირველ ათეულ წლებშიაც, გარკვეულ წრეებში გავრცელებული იყო ფეხსამოსი, რომელსაც ერთი თავისებურება აქვს. ის არის **ჭვინტიანი**, რაც იმას ნიშნავს, რომ ცხვირი მოკაუჭებული აქვს. ამგვარი ჭვინტიანი ფეხსამოსი მიღებული იყო თავადაზნაურობაში და განსაკუთრებით ხელოსნებში. როდესაც მეცნიერი-მკვლევარი დგას ასეთი ემპირული მონაპოვრის წინაშე საჭიროა წინასწარ ჩაატაროს სამეცნიერო ხასიათის კვლევითი სამუშაო სხვადასხვა

ხაზით და მიმართულებით. პირველ რიგში მკვლევარს ევალება ეს მოვლენა განიხილოს ჰორიზონტალურ ჭრილში, ე.ი. გაარკვიოს სად არის გავრცელებული ეს მოვლენა, ამ შემთხვევაში საქართველოს გარეთ, დასტურდება, რომ ამგვარი ფეხსაცმელი, ასევე ჭვინტიანი სახით წარმოდგენილია საქართველოს გარეთ – დაღესტნის ხალხებში, არა მარტო ტყავისაგან დამზადებული, არამედ ქსოვილისაგანაც გაკეთებულიც. კიდევ მეტი, ეს ფეხსაცმელი არის სატარებელი, როგორც მამაკაცისათვის, ასევე დედაკაცისათვის და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ასეთი სახის ფეხსამოსს დაღესტნის ზოგიერთ ტომებში მიკუთვნებული აქვს რიტუალურ-რელიგიური ფუნქცია. იგი საქორწინო წესების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. დედოფალი ასეთ ფეხსამოსში უნდა თხოვდებოდეს და კიდევ მეტი, იგივე ფეხსამოსი, რომელიც გათხოვების დროს ეცვა, მას უნდა ჩაყვეს სამარეში. მაშასადამე, დაღისტანში ასეთი ფეხსამოსის არსებობა ფაქტის დადასტურებაა და ამის საფუძველზე ჰორიზონტალურ ჭრილში ანალოგის მოპოვებაა.

მაგრამ ამაზე არ შეიძლება შეწყდეს კვლევა-ძიება. გამოსარკვევია, ასეთი ფეხსამოსის წარმოშობა, გენეზისი. მუშაობა ამ საკითხის კვლევისას უნდა გაგრძელდეს ვერტიკალურ ჭრილში, ე.ი. დროის ჭრილში. კერძოდ, საქართველოსა და დაღისტანში ეს თავისებური ფეხსამოსი რა დროიდან მომდინარეობს. ვთქვათ ის XIX საუკუნეში დასტურდება, ახლა ვიცით თუ არა ასეთი ფეხსამოსის არსებობის შესახებ XVIII, XVII, XVI საუკუნეებში? აღნიშნულ საუკუნეებში ჭვინტიანი ფეხსამოსი საქართველოში რომ დამოწმებული ფაქტია, ამაზე მიგვითითებს სხვადასხვა ხასიათის მასალები, წერილობითი ძეგლები და აგრეთვე ნახატებიც. რაც შეეხება იმას, არსებობდა თუ არა უფრო წინა დროში, გუმანი გვაქვს და შეიძლება ვიფიქროთ, რომ ლაშა გიორგის ფრესკოვან სურათზე ამგვარი ჭვინტიანი ფეხსამოსი უნდა იყოს მოცემული XIII საუკუნეშიც.

ეთნოგრაფიული მასალის დიდი მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ კონსტრუქციისა და მასალის გარდა, იგი გვაწვდის ისეთ დამატებით მასალას, რომელიც რიტუალურ მხარეს შეეხება. თავისთავად ის გარემოება, რომ ჭვინტიანი ფეხსამოსი მოცემულია დაღესტნის საქორწინო სინამდვილეში მიგვანიშნებს, რომ ეს მოვლენა ეკუთვნის შორეულ წარსულს და დაკავშირებულია ძველი რელიგიის, ძველი მსოფლმხედველობის ფაქტებთან. ამდენად გვიკარნახებს იმის თაობაზე, რომ ეს მოვლენა შორეულ წარსულში წარმოშობილად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ ასეთი არაპირდაპირი მონაცემის გარდა, საჭიროა კიდევ პირდაპირი მონაცემი. როდესაც ჩვენ ძველ კულტურაში ასეთ მონაცემებს ვიხილავთ ირკვევა, რომ ჭვინტიანი ფეხსამოსი იყო ხეთების, ხურიტების ეპოქაშიც მეორეათასეულ წლებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. და მართლაც ამგვარ ძეგლებს ვადასტურებთ ხურიტების სამეფოში, რომელიც დათარიღებულია და განეკუთვნება XIII საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ასეთი ფეხსამოსით არიან წარმოდგენილი ხეთური ღვთაებები, ხეთელი მეომრები და აგრეთვე ხურიტების ძეგლზედაც ამგვარი ფეხსაცმელი არის მოცემული.

ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა, ჭვინტიანი ფეხსაცმელის გენეზისის საკითხი როგორ შეიძლება დაისვას ახლებური მიდგომით. რამდენადაც ჩვენ ამგვარი ფაქტის არსებობა დავადასტურეთ ისეთ ხალხებში, როგორებიც არიან ხეთები და ხურიტები, თავისთავად იბადება კითხვა: ხომ არ არის ეს

ჭვინტიანი ფეხსამოსი წარმოშობილი ქართულ სინამდვილეში, რომელიც მომ-
დინარეობს იმ ეპოქიდან, რომელსაც ეწოდება ხეთებისა და ხურიტების სამ-
ყარო. საკითხის ასე დასმას აპირობებს ის, რომ სხვა მონაცემებით, ხურიტები
ქართველი ტომების უძველესი წინაპრები არიან.

აი, ასეთი მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებო დასკვნის მიღება შეიძ-
ლება ეთნოგრაფიული კვლევით, რომელიც ხელს უწყობს იმ ძირითადი პრობ-
ლემის გადაჭრას, რომელიც შეადგენს ქართველი ერის წარმოშობის პრობლე-
მას. ეს ერთი მაგალითი გვიჩვენებს, როგორ აწარმოებს ახალი მიდგომით
თანამედროვე ეთნოგრაფია ეთნოგრაფიული მოვლენების კვლევა-ძიებას
კომპლექსურ-ინტენსური მეთოდით.

მეორე გარემოება ასეთივე დეტალს ეხება. ჩვეულებრივ ადამიანი არც კი
მიაქცევს ყურადღებას ასეთ მოვლენას, მაგრამ თუ საკითხი მეცნიერულად
იქნება განხილული, აღმოჩნდება, რომ წარსულის ყოველი დეტალი კულტურის
მონაპოვარია და უაღრესად დიდი მნიშვნელობის საკითხებს მოიცავს. ერთი
ასეთი დეტალი არის **ბოქლომი//საკეტი**. საქართველოს ეთნოგრაფიულ
სინამდვილეში დადასტურებულია ხისაგან გაკეთებული ერთი სახის ბოქლომი.
ასეთი ბოქლომები შენარჩუნებულია წისქვილებზე, ხოლო ქართლში ვაზის
ბაღებს ამგვარი საკეტი აქვთ. ასეთი საკეტი პირველად იქნა დადასტურებული
აჭარაში, სადაც მას სახელად ეწოდება **დათვა-ბოყვა**. შემდეგ დადასტურდა
გურიაში, სამეგრელოში, სვანეთში და ქართლის სხვა კუთხეებშიც. ეს საკეტი
წარმოადგენს ხალხური კულტურის ორიგინალურ მონაპოვარს. მისი კონსტ-
რუქციის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მას აქვს 2-4 კბილი, რომ-
ლებიც ჩადიან ბუდეში. კბილები თუ ბუდეში არიან ჩადგმული, მაშინ დაკე-
ტილია, ხოლო როდესაც კლიტის შემწეობით კბილებს ასწევენ ზევით საკეტი
იხსნება.

ირკვევა, რომ საქართველოს ტერიტორიის გარეთ დათვა-ბოყვა გავრცე-
ლებულია მეტად დიდ ტერიტორიაზე, კერძოდ საქართველოს ჩრდილოეთით
ის აყვება სამხედრო გზას, გადადის პირიქითს კავკასიაში, შემდეგ მიყვება ვოლ-
გის სანაპიროს. მისი გავრცელების არე დადასტურებულია ყაზანამდე. საქართ-
ველოს სამხრეთით იგივე კულტურის ელემენტი დადასტურებულია მცირე
აზიაში სირია-პალესტინაში, აფრიკაში და არა მარტო აფრიკის ჩრდილო
ზოლში, არამედ გადადის სუდანში და აფრიკის შუა ზოლსაც მოიცავს. დასავ-
ლეთით მცირე აზიიდან გადადის ხმელთაშუაზღვის აუზში და დადასტურებული
არის იტალიაში, ბალკანეთში, აქედან ჩრდილოეთის გერმანიასაც აღწევს. ასეთი
დიდი გავრცელების ტერიტორიის
ზოლი აქვს ამ კულტურის ელემენტს.

დათვა ბოყვა

იბადება კითხვა რა მნიშვნელო-
ბისა უნდა იყოს ეს ბოქლომი? აღმო-
ჩნდა, რომ როდესაც არკვევენ გენე-
ზისს, კვლევა-ძიებასთან ერთად ის-
მება კულტურულ-ისტორიული მნი-
შვნელობის საკითხიც უპირველესად,
დათვა-ბოყვას წარმოშობის საკითხი.
იგი დროის ჭრილში უნდა განვიხი-
ლოთ, ყველაზე ადრე სად არის წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდგენილი და აი მეტად საყურადღებო გარემოება – მეცნიერები ძველ აღმოსავლეთში პოულობენ ისეთი გასაღებების ნახატებს, რომლებიც გაუგებარი იყო მათთვის. სწორედ ისეთი სახის გასაღებების სურათებია, როგორიც დათვა-ბოყვაა. ამგვარ სურათებს მეცნიერები ხანგრძლივი დროის მანძილზე თვლიდნენ ელვის ღვთაების სიმბოლოდ, ხოლო, როდესაც გაირკვა, რომ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ამგვარი გასაღები სხვაგვარ დანიშნულებას იძენს, ამ გარემოებამ ახსნა მეტად საყურადღებო საკითხები. გაირკვა, რომ იმ სურათებზე, რომლებზედაც ამგვარი გასაღები არის მოცემული იგულისხმება სულ სხვა ღვთაება და არა ელვა-ქუხილის ღვთაება. კერძოდ, ამჟამად ცნობილი ამბავი არის, რომ 3500 წლის წინანდელ ბაბილონურ ცილინდრულ საბეჭდავებზე მოცემულია სურათი, რომელზედაც გამოსახულია მთები. მთებს შორის მდებარე ღია კარში დგას ღვთაება, რომელსაც ხელში უჭირავს სწორედ, ის გასაღები, რომელიც ჩვენს სინამდვილეში არის დადასტურებული. სურათის სიუჟეტი მკაფიოდ აჩვენებს, რომ ჩვენს წინაშეა მნათობი-ღვთაების მთის იქით გახსნილ კარებში „გამობრძანების", ამოსვლის მომენტი. ამ სიუჟეტის მიხედვით, სავსებით გასაგებია, რომ მნათობ-ღვთაებას ხელი უპყრია „გასაღები", რომლის შემწეობით ის დაკეტილ კარებს აღებს ხოლმე, ვიდრე ცის კაბადონზე გამოვა – „მზის ამოსვლა". გარდა ამისა ბაბილონურ ბეჭედ-ცილინდრზე გამოსახული გასაღები დათვა-ბოყვას გასაღების ანალოგიურია.

ბაბილონურ ბეჭედ-ცილინდრებზე გამოსახულების საგანი რომ მზის ღვთაებაა, ამას უძველესი გადმოცემები ადასტურებს. თანახმად ძველი აღმოსავლეთის ხალხთა შეხედულებისა მზის ღვთაება მთის იქით მდგარი სასახლიდან გამოდიოდა. ამასვე ესადაგება ძველი ქართული ლექსი: „მზეო ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა". ქართული მონაცემების მიხედვით, მზის ამოსვლა „ცისკრის გაღებასთან" (ცის კარი) იყო დაკავშირებული. როგორც ცნობილია, კარებს, საერთოდ და ცის კარებს კერძოდ, ძველ აღმოსავლეთში სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. იგი წარმოადგენდა „past pro toto"–C, „სახლის დარაბას", შინასა და გარეშეს კავშირს და სხვას. ამის მიხედვით სურათის სიუჟეტში მოცემული „მთის იქითა კარები" მზის ღვთაების სახლის სიმბოლურ გამოსახულებას წარმოადგენს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბას მიხედვით ცისკარი, განთიადი, რიჟრაჟი, ალიონი, დილა ცისკრის ვარსკლავითურთ (ვენერა-აფროდიტე) მზის ამოსვლის კომპლექსს ეკუთვნის. ცისკრის ვარსკლავის სუმერული და ძველ აღმოსავლური ღვთაება **დილბად**, **დილბატ** შეესიტყვება. ივ. ჯავახიშვილმა დამაჯერებლად გამოარკვია, რომ დილბატის პირველ ნაწილში ქართული **დილა-ა** მოცემული. თუ ამავე დროს იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ ურარტულში მნათობი-ღვთაების აღსანიშნავად სახელი **ბარტუ-აა** მოცემული, რომელიც სუმერულ-ქართულ მზის სახელს **ბაბბარ-ბარბალ-ბაბალეს** უკავშირდება, შეიძლება ვიფიქროთ, რომ დილ-ბატის მეორე ნაწილი მნათობს, მზეს აღნიშნავს, ხოლო მთლიანად ტერმინი დილბატი – მზის მნათობს, დილის მზეს გულისხმობს.

ამგვარად, მზის ამოსვლასთან დაკავშირებული კონცეფცია, ძველ აღმოსავლეთში არსებული და ქართველ ხალხში შემონახული, სავსებით ადასტურებს იმას, რომ ბაბილონურ ბეჭედ-ცილინდრებზე მოცემულ მნათობს ხელში უჭირავს გასაღები, დათვა-ბოყვას ტიპის.

ეს დამთხვევა, რასაკვირველია, შემთხვევითი არ არის. ესეც დათვა-ბოყვას ტიპის საკეტის უძველეს წარმოშობაზე მიგვითითებს.

ამგვარად, აჭარული დათვა-ბოყვას სახით ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში უძველესი ტიპის საკეტია შემონახული, რომელიც თავისი წარმოშობით 2000 წლის წინანდელია ჩვ. წელთაღრიცხვაზე და რომლის წარმოშობის ცენტრი სუმერეთ-ბაბილონია.

როგორც ამ მაგალითებიდან ვხედავთ, საველე მუშაობის კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი შეიძლება ნაყოფიერი აღმოჩნდეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვეულებრივ ეს ფაქტები არაფერს იძლევა, თუ მკვლევარი მათ არ განიხილავს შეგროვების მომენტში, როგორც თანაარსებულ მოვლენებს, როგორც მოცემული ხალხის ისტორიის ძეგლებს, რომლებიც ცხოვრების დინამიკას ასახავს.

საველე მეთოდს ტექნიკური ხერხებიც აქვს. მათ პირველ რიგში განეკუთვნება ველზე ხანგრძლივად ყოფნა, შრომითი პროცესებისა და კულტურული კომპლექსების (ეთნოგრაფიული წელი) ციკლურობის გათვალისწინება, შესასწავლი ხალხის ენის ცოდნა, ფოტო-კინო გადაღება, მაგნიტოფონზე ჩაწერა და ა.შ. ამას ემატება მეცნიერის ცოდნის დონე, პირადი თვისებები, კვლევის ფორმა, მასალის ჩაწერის ტექნიკა და სხვ.



ხევსურეთი, სოფ. ღული. XIX ს. ფოტო.

ზოგადი ცნობები საქართველოს გეოგრაფიული და ბუნებრივ-სამეურნეო ზონების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო მდებარეობს ევროპასა და აზიას შორის მდებარე უძველეს სატრანსპორტო გზაჯვარედინზე, რომელიც ცნობილია კავკასიის ყელის სახელწოდებით. პალეონტოლოგიური აღმოჩენებით, სამხრეთ საქართველოში (სოფ. ბენარა, ადიგენის რ-ნი) მიკვლეული ოლიგოცენის ძეძემწოვართა ნაშთები, რომელთაც მსგავსება აქვს ევროპულ და შუაზიურ სახეებთან და რომ ხმელეთი, რომელიც ოლიგოცენის პერიოდში მოიცავდა სამხრეთ საქართველოსა და მის მომიჯნავე სამხრეთ ოლქების ტერიტორიას, დაკავშირებული იყო როგორც აზიასთან, ისე ევროპასთან. ამავე აღმოჩენის მიხედვით ირკვევა, რომ აზიიდან ევროპაში ცხოველთა და მცენარეთა მიგრაციის ერთადერთი ხელმისაწვდომი გზა მაშინ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიის გავლით მიემართებოდა მანამდე, სანამ არ შეიქმნებოდა კარპატებთან შორეული აღმოსავლეთის დამაკავშირებელი სახელგანთქმული „ტრამალების კორიდორი". შემდგომ ისტორიულ ეპოქებში ამ კორიდორის მეშვეობით მოხდა ცხოველებისა და მცენარეების გადანაცვლება. ბენარა იმ ხანად წარმოადგენდა ევროპისა და აზიის მაკავშირებელ რგოლს. ამ ეპოქასთანაა დაკავშირებული მესამეული ეპოქის ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლები, რომლებიც რელიქტების სახითაა მოღწეული (ურთხელი, ძელქვა, ბიჭვინთის ფიჭვი და სხ.).

რელიეფის მიხედვით საქართველო შეიძლება დაიყოს შემდეგ ზოლებად:

1. მაღალმთიანი – ამ ზოლში შედის კავკასიონის მთავარი ქედის გვერდითი განტოტებანი: გაგრის, კოდორის, სვანეთის, სურამის, ქართლის, ცივ-გომბორის. საქართველოს მაღალმთიანი ზოლის წყალგამყოფ ქედებზე და ქედებს იქით, ჩრდილოეთით, მოსახლეობენ ქართველები: მოხევეები, თუშები, ხევსურები, სვანები. უმაღლესი მწვერვალებია: უშბა – 4710მ, თეთნულდი – 4852მ, შხარა – 5201მ, ყაზბეგი – 5043მ. კავკასიონის ქედზე გადადის უხსოვარი დროიდან არსებული ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხარეების დამაკავშირებელი გზები: საქართველოს სამხედრო გზა, ქუთაის-ალაგირის გზა, ჭვიბერის, კოდორის, მარუხის, ქლუხორისა და სხ.

2. **ველობის ზოლს** უკავია კავკასიონის მთავარ ქედსა და სამხრეთ ზეგის შორის მდებარე ტერიტორია, სადაც შედის კოლხეთის დაბლობი ზღ.დ 300 მ. ქართლის ველები მტკვრის შუა დინებაზეა გაშლილი, ზღ.დ 500-700 მ. აქ არის ნოყიერი ველები მუხრანის, გორის. მის სამხრეთით, მდ. იორისა და ალაზნის დაბლობზე კახეთის ველები, ზღ.დ 200-400მ. ველები წარმოქმნილია მთის მდინარეების მოქმედების შედეგად, რომელთაც ათასი წლის მანძილზე ჩამოჰქონდათ ქვიშა და შლამი.

3. **სამხრეთ ზეგანის ზოლი**. მდებარეობს ველების ზოლის სამხრეთით. კახაბერისა და ქობულეთის დაბლობი, ახალციხის ტაფობი ზღ.დ. 1000 მ; ჯავახეთის ზეგანი – 1800 მ ზღ.დ. და ბოლოს აღმოსავლეთისკენ მაღალმთიანი უტყეო ველები თრიალეთის, გომარეთის, ბაშკიჩეთის 1200-1600ზღ.დ.

სამეურნეო თვალსაზრისით ეს ზოლები გარკვეულ მაჩვენებლებს იძლევიან: მთიანეთში – მესაქონლეობას მისდევენ, ველობის ზოლში – მიწათმოქმედების რაიონია. სამხრეთში შერეულია – მიწათმოქმედება-მესაქონლეობა.

საქართველოს სამდინარო სისტემას ძირითადად ქმნის მტკვრის და რიონის აუზები თავისი შენაკადებით. მესამე სამდინარო სისტემას ქმნის მდ. ჭო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როხი (ბოასი), რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ 25 კმ მოედინება.

მტკვრის მნიშვნელოვანი შენაკადებია: ლიახვი, ქსანი, არაგვი, იორი, ალაზანი და სხვა. რიონის – ყვირილა, ცხენისწყალი და სხვა. კავკასიონის მთავარი ქედიდან იღებენ სათავეს მდინარეები ბზიფი, კოდორი, ენგური, ხობი. აჭარა-ახალციხის ქედიდან – სუფსა, ნატანები, ჩოლოქი და სხვა. საქართველოს მდინარეებსა და ტბებში თევზის მრავალგვარი სახეობაა.

საქართველო ხასიათდება კლიმატის სხვადასხვაობით: ველობის ზოლში – ნოტიო სუბტროპიკული; სამხრეთ ზეგანზე _ ზომიერად ცივი და მაღალმთიან ოლქში – ალპური კლიმატით. დადგენილი კლასიფიკაციის თანახმად ნიადაგის ძირითადი ზოლებია: დაბლობში კირნაცარა აღმ. და დას. საქართველოში; შავმიწა – წაბლისფერი – აღმოსავლეთ საქართველოში; მთის შავმიწა – სამხრეთ საქართველოში და მთა – მინდვრის ნიადაგი – მაღალმთიან ზოლში.

საქართველოს ფლორა ისევე მრავაფეროვანია როგორც მისი რელიეფი, კლიმატი და ნიადაგები. წარმოშობის მიხედვით საქართველოს მცენარეული ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: 1. წინაყინულოვანი ფლორა, კავკასიის ქედის წარმოქმნამდე; 2. ყინულოვანი პერიოდის ფლორა.

წინაყინულოვან ფლორას ეკუთვნის დასავლეთ საქართველოს ძველი, სუბტროპიკული მცენარეული: ელდარის ფიჭვი, ძელქვა, ბიჭვინთის ფიჭვი, კოლხიდის ბზა, ურთხელი და სხ.

ვერტიკალური ზონალობის მიხედვით ზღ.დ. 1050მ. სიმაღლემდე მუხის ტყეები, ზღ.დ 1050-1650 მეტრის სიმაღლემდე ფოთლოვანი ტყეებია. ზღ.დ. 1650-2100 მეტრის სიმაღლემდე _ წიწვიანი ტყეების ზონა; ზღ.დ. 2100 მ. ზევით გარდამავალი ზონა, სადაც ჭარბობს მთის ნეკერჩხალი, არყი. ზღ.დ 2500 მ. წევით – მუდმივყინულოვან საზღვრამდე – ალპიური ზონა.

ერთმანეთისაგან განსხვავდება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ფლორა. დასავლეთ საქართველოს ფლორა ბევრად უფრო მდიდარია და ხშირი, რაც ნოტიო კლიმატით აიხსნება.

საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეს ავსებს სასარგებლო წიაღისეულის სიუხვე: ქვანახშირი, ნავთი, სპილენძი, რკინა, დარიშხანი, თუთია, ოქრო, მარმარილო და ა.შ.

ხალხური კულტურის ზოგიერთი თვითმყოფი ხაზი. იმისათვის, რომ ადამიანმა გამოიყენოს საქართველოს ბუნებაში არსებული სიმდიდრე – იგი უნდა ფლობდეს შეუპოვარი შრომის უნარს და საერთო მიზნისათვის თავისი პიროვნული ღონისძიების სხვა მის მსგავს მრავალ ათას ღონისძიებასთან შეერთების ცოდნას.

ადამიანის შემოქმედებითი შრომა, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს (ქართლი, თრიალეთი, მესხეთი) შერეული სოფლის მეურნეობის პროფილი, განსაკუთრებული და მაღალი ღირსების ბუნებრივი პირობები დასავლეთ საქართველოსი – იყო ის ფაქტორი, რომელთაც უზრუნველყვეს საზოგადოების უძველესი ტიპის ჩასახვა და მისი კულტურის განვითარება, მკაფიოდ გამოსახული თავისებურებებით.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, (ჰაქსტჰაუზენი, ბრაუნჰარდტი, ლეზერი და ა.შ.) საქართველო და კავკასია წარმოადგენდა მხოლოდ მრავალრიცხოვან

ხალხთა ნაშთების თავშესაფარს, უკეთეს შემთხვევაში, ის შარაგზაა რომელზედაც დიდი ხალხები თავის მოძარობის დროს ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ ან პირუკუ მიმართულებით, სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ გადიოდნენ და ამ დროს საქართველოს და კავკასიის კულტურულ ღირებულებას მოკლებულ ხალხებს გადასცემდნენ თავიან კულტურულ მონაპოვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ამისა, საქართველოსა და კავკასიის შესწავლის საკითხებში ერთ დროს ბატონობდა თეორია, რომლის თანახმად, კულტურის თითქმის ყველა არსებითი მოვლენა განიხილებოდა როგორც ძველი ირანული გავლენის ნაყოფი (ა. ვესელოვსკი, ვს. მილერი, მ. კოვალევსკი, კ. ინოსტრანცევი და სხვა).

ქართული ეთნოგრაფიის მონაცემები დამაჯერებლად მიუთითებენ ქართული ხალხური კულტურის თვითმყოფადობაზე. ამ კულტურის ცალკეული ელემენტები მუშავდებოდა და ფორმდებოდა მთელი რიგი საუკუნეების მანძილზე ხანგრძლივი და დაძაბული ძიებისა და გამოცდილების გზით.

მაგრამ ქართული კულტურა იზოლირებული კი არ არის, მისი თვითმყოფადობა იქმნებოდა სხვა კულტურულ ცენტრებთან მოქმედი ურთიერთობის პირობებში. თანამედროვე მეცნიერული მონაცემების შუქზე მსგავსების ეს ხაზები თავის საფუძველს პოვებენ ეთნო-კულტურული ერთობის პროცესში, რომელსაც ადგილი ჰქონდა კავკასიისა და წინა აზიის ფართე ტერიტორიაზე.

საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო ზონები. ათასწლეულების მანძილზე ადამიანი ცდილობდა არა მარტო დაემორჩილებინა ბუნება, არამედ კიდევაც შეგუებოდა მას. ბუნების ძალებთან ბრძოლისას იქმნებოდა სხვადასხვა ბუნებრივ-სამეურნეო ზონები. თითოეულ მათგანში თანდათანობით ყალიბდებოდა ადგილობრივ ბუნებრივ პირობებთან შეგუებული, საკუთარი სამეურნეო სისტემა, სპეციფიკური ნიშნების მქონე მემინდვრეობის კულტურებით.

საქართველოს მდებარეობა, გარშემორტყმული სხვადასხვა ბუნებრივი რაიონებით, განაპირობებდა მისი ბუნებრივი პირობების დიდ მრავალფეროვნებას, ხოლო ფიზიკურ-გეოგრაფიული მონაცემების სირთულე – სამეურნეო საქმიანობის მრავალსახეობას.

საქართველოს ოროგრაფია, პირობების მრავალფეროვნება, (დაწყებული სუბტროპიკული ჰავიდან ალპური ზონის ცივი ჰავით დამთავრებული) დიდ გავლენას ახდენდა სამეურნეო დარგების განაწილებაზე ბუნებრივი ზონების მიხედვით. მაგრამ ამა თუ იმ ბუნებრივ ზონაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების განვითარებაზე მთავარი ადამიანის ზემოქმედებაა, მისი უნარი გააუმჯობესოს არახელსაყრელი ბუნებრივი პირობები.

მაგალითისათვის შორს წასვლა არ დაგჭირდება. კოლხეთის დაბლობზე ჭაობების ამოშრობამ სუბტროპიკული კულტურების დანერგვა გახადა შესაძლებელი. ქართული მძიმე გუთნით ღრმად ხვნის ხერხი ხელს უწყობდა ტენის დაგროვებას და შეკავებას, რაც გავლენას ახდენდა ნიადაგის ფიზიკურ თვისებებსა და მის შემადგენლობაზე და ა.შ.

საქართველო მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობების მქონე მთიანი ქვეყანაა. მისი ბუნებრივ-სამეურნეო რაიონების ძირითადი ინდიკატორია ვერტიკალური ზონალობა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში დასახლებული პუნქტების სიმაღლის ამპლიტუდა მერყეობს 10 მეტრიდან 2250 მეტრამდე ზღვის

დონიდან. ესაა, მაღალმთიანი დასახლება უშგულის თემი ზემო სვანეთში, რომელიც ოთხი სოფლისაგან შედგება. იგი მეტად საინტერესოა თავისი სამეურნეო მონაცემებითა და ყოფით (კავკასიაში ამ სოფლებს შეიძლება შევადაროთ სოფ. ყურუში ახტინის რ-ნი, დაღესტანში, იგი ასევე 2000 მ-ზე მაღლაა განლაგებული ზღვის დონიდან ან სოფ. ყვავლო თუშეთში - 2100 მ. ზღ.დონიდან).

როგორც ცნობილია, საქართველოს მთელი ფართობის 53,6% უკავია მთებს, 33,4% მთისპირა ხოლს, ხოლო დაბლობს 13 %.

საქართველოს ვერტიკალური ზონალობა აღნიშნული აქვს ჯერ კიდევ სტრაბონს (ძვ. წ. 60 წ. - ახ. წ. 30წ.). სტრაბონის მიხედვით იბერია იყოფა მთიან და დაბლობ ზონებად. იბერიის დაბლობზე მცხოვრებ ხალხში უფრო განვითარებულია მიწათმოქმედება. მთიანი მხარეში, მესაქონლეობა, მაგრამ მიწათმოქმედებასაც ეწევიან. დახასიათება მეტად მკაფიოა. საგულისხმოა რომ სტრაბონი ხაზს უსვამს მთიულებში მიწათმოქმედების არსებობას.

არა ნაკლებად მკაფიოდ და კონკრეტულად წერს ვერტიკალური ზონალობის შესახებ XVIII საუკუნის ქართველი გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი თავის „საქართველოს გეოგრაფიაში". კერძოდ, ლიგანის ხეობის აღწერისას აღნიშნავს: „ფრიად ნაყოფიერი ნარინჯით, თურინჯით, ლიმონით, ზეთის ხილით, ბროწეულითა, ვენახით, ხილით, შემკობილი და ქებულნი მუნებურნი ყოველნივე. მარცვალნი ყოველნი ნაყოფიერებს, გარნა სივიწროვითვე ვერ სთესვენ ბრინჯ-ბამბას. ჰავით არს ზაფხულს ცხელი, ზამთარს ფრიად თბილი, აახლოებენ მთანი თოვლიანნი და აგარაკნი, შუენიერებით აღმკულნი, ყამისა და ნახევარ ყამის სავალთა, წყაროებითა. პირუტყუნი, ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი და ყოველითა ნაყოფიერებით აღვსილი".

ცალკეული ხეობების ასეთი კონკრეტული აღწერა ვახუშტისთან განზოგადებულია საქართველოს ლანშაფტების ვერტიკალურ ზონალობასთან.

ვ.დოკუჩაევი, ბუნებრივი ზონების შესახებ მოძღვრების ფუძემდებელი, მიუთითებს კლიმატის, ნიადაგის, მცენარეული და ცხოველური სამყაროს ურთიერკავშირს კავკასიის ზონალურ დაყოფასთან. იგი აღნიშნავს: „ნიადაგის ზოლები განლაგებულია აქ (კავკასიაში) არა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, როგორც ევროპული რუსეთის დაბლობში, არამედ კავკასიის ყელის მნიშვნელოვანი სიმაღლის (18 ათას ფუტამდე) წყალობით, რომელთაც აქვთ განსაკუთრებული კლიმატური, მცენარეული და სხვა ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებანი ქვემოდან ზემოთ, შავი და კასპიის ზღვების სანაპიროებიდან იალბუზის, ყაზბეგის, ალაგეზის, არარატისა და სხვათა ალპიური სიმაღლეებისაკენ, ამასთან შავმიწანიადაგიან ზონას ვულკანურ ამიერკავკასიაში უკავია, დაახლოებით 5-დან 7-ზე მეტი ათასი ფუტის სიმაღლე".

თავისთავად ცხადია, როდესაც ვსაუბრობთ ბუნებრივ ზონალობაზე, უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა მაჩვენებელი არ არის პირვანდელი წარმოშობის და ამ მაჩვენებლებს შორის არის მეორადი წარმოშობის ელემენტები, რომლებიც წარმოქმნილია ბუნებაზე ადამიანის ზემოქმედების გზით. ამ მხრივ მხედველობაშია მისაღები ადამიანის შეგუება ბუნებრივ პირობებთან. მისი „გარდაქმნის" მიზნით, საკუთარი სამეურნეო ინტერესების შესაბამისად.

ვერტიკალური ზონალობის გათვალისწინებით ვახუშტი ბაგრატიონი საქართველოს შემდეგ ბოტანიკურ-აგრარულ რაიონებად ყოფს: თურინჯ-ნარინჯის, ბრინჯისა და ბამბის, მევენახეობა-მეხილეობის, ბალახეულ-ყვავილოვან და ზამთრის საძოვრებად.

ამასთან ერთად საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეპოქაში ისტორიულად დამოწმებულია ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული რაიონები.

ლეონტი მროველის (XIს.) მიხედვით იბერიის სამეფო ფარნავაზ მეფის (IV–III ს.ძვ.წ.) დროს იყოფოდა 9 ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულად: შიდა ქართლი, კახეთი, ხუნანი, სამშვილდე, წუნდა, ოძრხე, კლარჯეთი, მარგვისი და ეგრისი. ასეთი დაყოფა შენარჩუნებულია მეხუთე საუკუნეში ვახტანგ გორგასალის დროსაც, ოდნავ უფრო დანაწევრებულად: შიდა ქართლი, კახეთი (კუხეთის ნაცვლად), ხუნანი, სამშვილდე, წუნდა, ოძრხე, კლარჯეთი, მარგვისი (თაკვერთან ერთად), ეგრისი და სვანეთი. თითქმის იგივე ვითარებას ვხედავთ XII საუკუნის საქართველოშიც, თამარ მეფის დროს: შიდა ქართლი, კახეთი (ჰერეთი), ხუნანი, სამშვილდე (ალგეთი), (ხრამი), ჯავახეთი (სამცხე), კლარჯეთი, (არტაანი), არგვეთი (თაკვერი), ცხუში, ოდიში, სვანეთი, რაჭა, გურია.

აკად. ივ. ჯავახიშვილმა გამოარკვია, რომ ამ მსხვილ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ დანაყოფებს თავის მხრივ ჰქონდათ ქვედანაყოფები, რომლებიც წარმოადგენდნენ მიკრო და მაკრორაიონებს ხეობების მიხედვით, როგორც დიდ ისე პატარა ე.წ. ხეობებს. ისტორიულად ცნობილია, რომ ჩვეულებრივ მიკრორაიონის აღმნიშნველ ტერმინად გამოიყენებოდა სიტყვა – ხ ე ო ბ ა . ქვეყნის დაყოფა ხეობებად დამოკიდებული იყო მათ გეოგრაფიულ თავისებურებებზე და ამიტომ ჩვეულებრივი იყო საქართველოს უმეტესი ნაწილისათვის დიდად საგულისხმოა, რომ ლექსიკოგრაფი საბა სულხან ორბელიანი. სიტყვა – ხეობას ხსნის, როგორც ადგილს მდინარის გასწვრივ (აუზი,) დასახლებულს მრავალი მცხოვრებით.

ვახუშტი ბაგრატიონიც საქართველოს აღწერდა მიკრო და მაკრო რაიონების დიდ და პატარა ხეობების მიხედვით, მიუთითებდა მათ ბუნებრივ რესურსებს, წყლის ხარისხს, ჰავას, ნაყოფიერებას, რწყვას და ა.შ. თითოეულ ხეობას იგი ორ ნაწილად ყოფს ქვედა და ზედა. ამასთან ვახუშტის მიხედვით, იქ სადაც მოდის ვაზი და ხილი დაბლობია, ხოლო იქ სადაც ისინი არ არის მთიანი ზოლია. ვახუშტის დაკვირვებით, თითოეულ ხეობას აქვს თავისი „დაბლობი“ და თავისი „მთა“.

ზუსტად ასევე სტრაბონი, ახასიათებდა იბერიას, როგორც მთებისა და დაბლობების ქვეყანას. იგი ალბანეთის, სომხეთისა და იბერიის აღწერისას გარდა მთებისა და დაბლობებისა გამოჰყოფს მთისწინა ზონას..

ხეობასთან ერთად ქვეყნის ბუნებრივ სამეურნეო ზონების დახასიათებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა **ჭალას**, რომელიც თან სდევს მდინარის ხეობას. ტერმინი ჭალა ფართოდ არის გავრცელებული მდ. რიონის ხეობიდან მდ. მტკვრის ხეობამდე.

ამრიგად, ბუნებრივი პირობების, პირველადი და მეორადი წარმოშობის ლანდშაფტების, ბუნებრივ-ვერტიკალური ზონალობისა და სამეურნეო-ისტორიული ფაქტორების გათვალისწინებით საქართველო იყოფა შემდეგ ბუნებრივ-სამეურნეო ზონებად: **დაბლობის რაიონი, სამხრეთი მთიანეთის რაიონი, მთისწინა და მაღალმთიანი რაიონები.**

მაღალმთიანი ბუნებრივ-სამეურნეო რაიონი იწყება დასავლეთით დალის რაიონში, იგი მდებარეობს კავკასიის ქედის სამხრეთით და მთავრდება მთიან

თუშეთთან. ეს ზონა თავის მხრივ იყოფა დასავლეთ და აღმოსავლეთ ქვეზონებად. დასავლეთ ქვეზონა აღმოსავლეთ ქვეზონიდან გამოყოფილია სურამის ქედით, დასახლებულია სვანებით, მაშინ როდესაც აღმოსავლეთ ქვეზონაში ცხოვრობენ ძველი ფხოველები (მთიულები, გუდამაყრელები, ფშავები ხევსურები, თუშები და მოხევეები). ეს ორი ქვეზონა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განლაგებულნი არიან ერთნაირ სიმაღლეზე ზღვის დონიდან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან რიგი მნიშვნელოვანი მაჩვენებლებით.

საქართველო კავკასიის ქედით ემიჯნება ჩრდილოეთის ცივ მხარეს. შავი ზღვის მეზობლობა დასავლეთ ნაწილს ანიჭებს თავისებურ ნიშნებს: თბილი, ნოტიო სუბტროპიკული ქვეყნისა. ეს აისახება მის მაღალმთიან ნაწილშიც.

ამ თვალსაზრისით, საკმარისია მივუთითოთ, რომ, ზემო სვანეთში მარცვლეული კარგად მწიფდება სიცივის დადგომამდე. მას ლეწავენ კვრით, როგორც ამას აკეთებენ საქართველოს დაბლობ ზონაში, მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიან ქვეზონაში მარცვლეული ცუდად მწიფდება და საჭირო ხდება მისი გამობერტყვა მხოლოდ საქონლის დახმარებით.

სამხრეთი მთიანეთის ზონა განლაგებულია მცირე კავკასიონის მთებში და მოიცავს მესხეთსა და ჯავახეთს, აგრეთვე საქართველოს ისტორიულ პროვინციებს ტაო-კლარჯეთს, შავშეთ-იმერხევს, ლაზეთს.

ამ ორ მთიან ზონას შორის განლაგებულია **დაბლობის ზონა**, რომელიც იწყება შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე და მთავრდება იქ, სადაც მდინარეები ალაზანი და იორი ჩაედინება მდ. მტკვარში.

სტრაბონი თავის „გეოგრაფიაში" მკაფიოდ გამოყოფს საქართველოს დაბლობ რაიონს. მის აღწერაში მითითებულია, რომ იგი განლაგებულია მთებს შორის და რომ იგი ფართო ზოლად არის გადაჭიმული მტკვრის აუზის გასწვრივ, ამასთან ერთად სტრაბონი აღნიშნავს, რომ დაბლობი სულაც არ არის ვიწრო, როგორც ამას აღნიშნავენ უცოდინარი ადამიანები, არამედ სწორედ ფართო ზოლია.

სურამის მთები ამ ზონას ორ ნაწილად ყოფენ: დასავლეთ და აღმოსავლეთ; დასავლეთ ქვეზონას ქმნიან აფხაზეთი, სამეგრელო, გურია, იმერეთი; აღმოსავლეთს – ქართლი (ქვემო და შიდა), კახეთი ქიზიყსა და საინგილოსთან ერთად.

მთისწინა ზოლი ყველაზე მჭიდროდ არის დასახლებული. იგი არის ყველაზე ნაყოფიერი ხეობების ზოლი. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ეს ზონა საშუამავლო როლსაც ასრულებდა საქართველოს დაბლობსა და მთის ზონას შორის. ისტორიულად აქ იყო დამოწმებული ნახევრად ქალაქური ტიპის მსხვილი დასახლებები, რომლის ბაზრობებზე იყიდებოდა მთიანეთისა და დაბლობის მეურნეობების პროდუქცია.

საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო პრინციპით ასეთ მსხვილ დაყოფასთან ერთად ზონებად და ქვეზონებად, დიდი მნიშვნელობა აქვს ამ თვალსაზრისით უფრო მცირე მიკრო და მაკრო რაიონებად დაყოფასაც, რომელიც უხვადაა წარმოდგენილი ყველა ზონასა და ქვეზონაში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთი ხეობა მდებარეობს მთისწინა, სხვები კი ვერტიკალური მიმართულებით მთავარი ქედისაკენ, რაც მათ აძლევს თავისებურებას ჰავის, ნალექების და ბუნების სხვა მოვლენების მიხედვით. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ თითოეულ ზონას, ქვეზონას და ხეობას თავის მხრივ აქვს ვერტი-

კალური დაყოფა დაბლობად, მთისწინად და მთად. ისე რომ მთავარი დანაყოფების ძირითადი მაჩვენებლები მჟღავნდება მიკრო და მაკრო რაიონების საზღვრებშიც. ასეთი მეორე და დიდი რაიონები საქართველოში ბევრია. მოვიყვანოთ მაგალითები.

მაღალმთიან ხევსურეთში არხოტის თემს, რომელიც მდებარეობს მდინარე ასას ზემო წელზე, აქვს თავისი დაბლობი, სადაც მოჰყავთ ქერი ე.წ. **საქერეები**, მთის წინებში სადაც მოჰყავთ ჭვავი – **სასვილეები**, უფრო მაღლა, შვრიას – **საფანტელები**, შემდეგ განლაგებულია საძოვრები მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლისათვის **საქარავნე**. სხვა მაგალითი ბუნებრივი ზონიდან არის მიკრორაიონი ოკრიბა დასავლეთ საქართველოში. ვახუშტი ბაგრატიონი ასე აგვიწერს მას: ტყეებით, ბალახითა და ყვავილებით დაფარულია მთები, მდიდარია წყაროებით, მათ შორის არის ტერიტორია, სადაც იზრდება ბრინჯი და ბამბა, ფრიად ნაყოფიერი სხვადასხვა მარცვლეულისათვის, ხილისა და ვენახისათვის. ამასთან ვაზი მაღლარია, მაღალ ხეებზეა შემოხვეული, ღვინო მსუბუქი, მოტკბილო-მომჟავო გემოსი, ფრინველი და ნადირი ბევრი. ჩვენ მხრივ დავუმატებთ, რომ ოკრიბაში უძველესი დროიდან იყო რკინის მოპოვებისა და რკინის დამუშავების წარმოება, ასევე მოიპოვებდნენ და დღესაც მოიპოვებენ და ამუშავებენ ძვირფას მინერალს – გიშერს.

როგორც აღწერიდან ჩანს, ამ მიკრო რაიონში არსებობდა მეურნეობის სხვადასხვა ტიპები: ბამბა და ბრინჯი – დაბლობისათვის დამახასიათებელი, მევენახეობა – ვაკის ზონის, ტყეები და საძოვრები მესაქონლეობისა – მთაში და აგრეთვე მაღაროები.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვახუშტი ბაგრატიონის ყურადღებიან თვალს არ გამოეპარა ისიც, რომ ზოგიერთი მიკრორაიონი, თუმცა ვერტიკალური ზონალობის მიხედვით, ეკუთვნის მთიან მხარეს, სამეურნეო მაჩვენებლებით – დაბლობ ზონას, ის წერს: „თუმცა ლეჩხუმი ეკუთვნის მთიან ზონას, აქ არის ვენახებიც, ხილიც, ყველანაირი მარცვლეული გარდა ბრინჯისა და ბამბისა, რომლებიც აქ ცოტაა კლდოვანების გამო.“

როგორც მითითებული იყო, ხეობები საქართველოში მიკრო და მაკრო რაიონებადაა დანაწილებული. ერთის მხრივ, აქ არის ისეთი დიდი ხეობები, როგორიცაა ზემო, შუა და ქვემო ქართლი მდ. მტკვრის აუზში, იწყება მისი სათავიდან და მოიცავს მცირე მდინარეებსაც. აღნიშნულს უნდა დავუმატოთ, რომ ყველა ამ რაიონში დიდსა და მცირეში არის დასახლებული პუნქტები. მათგან უძველესებს აღნიშნავდნენ სიტყვით **დაბა**, სვანურად. – **დაბ**, ზანურ– **დობ-ერა**, წარმომავალი ქართველურ-ზანურ-სვანური ერთობიდან და თავდაპირველად ნიშნავდა დამუშავებულ ადგილს, სახნავს.

ზემოთ აღნიშნულ ზონებსა და ქვეზონებს შეესაბამებიან მეურნეობისა და მატერიალური კულტურის გარკვეული მონაცემები. როგორც აღვნიშნეთ ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონი მიიჩნევდა, რომ იქ, სადაც იზრდებოდა ვაზი – არის ვაკე საქართველო, ხოლო, სადაც ის არ არის – მთიანი ზონაა. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მაჩვენებელსაც აქვს თავისი სპეციფიკა. მაგალითად ცნობილია, რომ მთისწინა რაიონებში სადაც არ არის ვაზი, ამ ზონის მცხოვრებლებს აქვთ ვენახები დაბლობ ზონაში, საიდანაც ამოაქვთ ყურძნის ტკბილი, მისგან იღებენ ღვინოს და აქვთ შესაბამისი ინვენტარი. რაც შეეხება მაღალმთიან ზონას, იმის გამო, რომ იქ არ არის ვაზი და ტკბილისგანაც შეუძლებელია

ღვინის მიღება ბუნებრივი პირობების გამო, ამ ზონის მცხოვრებლებს ბარიდან ააქვთ მზა ღვინო. ეს კარგად ჩანს ღვინის დადუღებისა და შენახვისათვის განკუთვნილი ჭურჭლის მიხედვით, რომლებიც გვხვდება სამივე ზონაში: დიდი ზომის ღვინის ჭურჭელი (ქვევრი, ჭური მიწაში ჩაფლული) დაბლობში, ასეთივე ჭურჭელი, მაგრამ უფრო მცირე ზომის მთისწინა ზონაში, და კიდევ პატარა მარანი, მცირე ზომის დოქები ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების (არაყი) შესანახად მთაში.

უფრო დამახასიათებელია სახნავი იარაღები, რომლებიც ამ სამ ზონაში იყო გავრცელებული, დაბლობში **გუთანი**, ოთხი-ექვსი წყვილი ხარით ან კამეჩით და დიდი შესაბმელით (მიბმული), მთისწინეთში კვალის გამყვანი სახნავი იარაღი (**აჩაჩი**), 2-4 წყვილი ხარით და საშუალო შესაბმელით, ხოლო მაღალ მთიანეთში მხოლოდ 1 წყვილი ხარით (**ოქოქა, კავწერა**). ნათქვამს უნდა დავუმატოთ, რომ ამ სახნავ იარაღს თან ახლავს რიგი სხვა მაჩვენებლებიც, მაგალითად, გარკვეული ნამგლები პურეულისათვის, ხნულის სხვადასხვა სახეობები და სხვა. მძიმე გუთანს შეესაბამება – **დოლის პური**, აჩაჩს – **დიკა**, ხოლო ოქოქას – **ფეტვი**. როგორც გაირკვა, კავის კულტურას უკავშირდება მიწათმოქმედების გაკაფვის სისტემა, რომელიც დამახასიათებელი იყო დასავლეთ საქართველოსათვის. მაგრამ გაკაფვის სისტემას აქვს გარკვეული თავისებურებანი, რაც ახსნას მოითხოვს.

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მიწათმოქმედების გაკაფვის სისტემა დამახასიათებელია მოსახლეობის მოძრაობასთან, მათ ნომადურობასთან. დასავლეთ საქართველოში (კოლხეთი) მიწათმოქმედების გაკაფვის სისტემა უძველესი დროიდან არსებობდა, მაგრამ ნომადურ დასახლებებს, რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი ადგილი არ ჰქონია. კოლხეთში არ ხდებოდა მოსახლეობის გადაადგილება, რაც შეიძლება აიხსნას აქ არსებული ბუნებრივი პირობებით.

ასეთივე ზონალობას შეესაბამება ხალხური სახმელეთო ტრანსპორტი, რაც შესანიშნავად ცხადყო ისტ. მეცნ. დოქტორმა მ. გეგეშიძემ. დაბლობში გავრცელებულია **ბორბლიანი ტრანსპორტი** (გადაადგილება ქანაობით), მაღალმთიანეთში – **უბორბლებო** (გადაადგილება სრიალით), ხოლო მთისწინეთში ტრანსპორტი – **შერეული სახისაა**, რომლის კონფიგურაცია დამყარებულია ქანაობისა და სრიალის პრინციპების კომბინირებულ გამოყენებაზე. ასეთი ტრანსპორტი – **აჩაჩა ურემი** წარმოდგენილია დასავლეთ საქართველოში, ხოლო **ბოლოთრია** – აღმოსავლეთში.

საცხოვრებლისა და სამეურნეო ნაგებობების შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ მთიანი ზონისათვის დამახასიათებელია ვერტიკალური კვეთის ნაგებობანი, როდესაც ერთი სახურავის ქვეშ მოქცეული შენობა შედგება ორი ან სამი სართულისაგან, საცხოვრებლით, ადამიანებისათვის და საქონლისთვის, აგრეთვე, სურსათისა და საკვების შესანახად ადამიანისა და საქონლისათვის.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი ქვეზონის ტიპური ნაგებობა არის **ხევსურული კალოთიანი** სახლი, მეორე სართულის ბრტყელ სახურავზე ლეწავენ პურს, ხოლო დასავლეთ საქართველოს მთიანი ქვეზონისათვის – **სვანური ქორ**, ორსართულიანი სახლი ორფერდა სახურავით.

საქართველოში საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი გაფანტულია. მაგალითად დასავლეთ საქართველოს დაბლობის ქვეზონისათვის დამახასია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებელია ერთსართულიანი ქვის სახლი საბიჯგებზე, ორი ან ოთხფერდიანი სახურავით. საცხოვრებელი სახლის გარდა ეზოში არის **სამზარეულო** (სამ-ზადი), **ბოხელი** (ჯიბური), **ღვინის შესანახი (მარანი)**, **ფარეხი** – თხების დასამწყვდევი, **წყარო** (წყურგილი), აგრეთვე ვენახის, ხილის ბაღი, სიმინდი და ა.შ. ასეთი დაყოფა კარგად ჩანს დასახლების მიმართაც.

ამრიგად, ბუნებრივ სამეურნეო თვალსაზრისით საქართველოში არის შემდეგი ძირითადი ზონები: **დაბლობის**, **მთისწინეთისა** და **მაღალმთიანეთის**, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული მდინარეების აუზებთან; ამათ შიგნით არსებობს დიდი და პატარა (მაკრო და მიკრო) რაიონები.

ამ მაჩვენებლებთან ერთად, ცალკეული ზონებისა და მათი ქვედანაყოფების დახასიათებისათვის, სხვადასხვა რაიონების სპეციფიკის გამოსავლინებლად, ყურადსაღებია ცალკეული რეგიონალური სამეურნეო მიღწევები როგორიცაა, თუშეთისათვის – თუშური ყველი, ხევსურეთისათვის – ერბო, ფშავისათვის – კარაქი. დაბლობზე – სელის ზეთი და ა.შ.

აღნიშნულს უნდა დავუმატოთ, რომ საქართველოს მითითებულ დაყოფას ბუნებრივ-სამეურნეო ზონებად კარგად შეესაბამება ქართველი ხალხის ეთნიკური ისტორიის პროცესები. ქართველი ხალხის ჩამოყალიბების პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ მთიანი რაიონების ტომები – სვანები და ფხოველები, საქართველოს დაბლობში მცხოვრები კოლხები და იბერები, და აგრეთვე მცირე კავკასიონის მოსახლეობა – მესხები.

ქართველი ხალხის ერთიანობაზე მონათმფლობელობის პერიოდში თვალნათლივ მიუთითებს არქეოლოგიური მასალები. ეს უკანასკნელი ავლენს საოცარ მსგავსებას და მონოგენურობას (ვანი და ორხევი, ახალგორი და ყაზბეგი ძვ.წ. VI-Vს. გორი, კლდეთი, ქობულეთი, არმაზი I-II ახ.წ.). საერთო კულტურის შექმნისას ცალკეული რაიონები ინარჩუნებდნენ ლოკალურ თავისებურებებს, ადგილობრივ დიალექტებს, რაც არ უარყოფს ერთიანი კულტურის არსებობას, ლოკალური თავისებურებანი კი ავლენენ მრავალფეროვნებას ერთიანობაში, ხოლო დიალექტები და ენები თავისი ფუნქციით მხოლოდ ადგილობრივი ყოფითი მოვლენაა.

კულტურულ ერთიანობას და ერთობას ხელს უწყობდა მოსახლეობის გადაადგილება ქვეყნის შიგნით. ასე მაგ, დადგენილია, რომ მთიანი ზონის მოსახლეობის ნამატი ჩადიოდა ბარში და იკავებდა მთისწინეთსა და ვაკეს. უნდა აღინიშნოს, რომ გადაადგილება მთებიდან დაბლობისაკენ ერთბაშად არ ხდებოდა, არამედ თანდათანობით ანუ სტადიებით: მთიულები ჯერ სახლდებოდნენ მთის წინა ზონაში, ხოლო აქედან – დაბლობში. ასე მაგალითად, მაღალმთიანი სოფლის, ჟამურის მცხოვრებლები თავდაპირველად სახლდებოდნენ ახალგორში და მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ გადასახლდნენ უფრო დაბლა – მდინარე ქსანის ხეობაში, სოფ. ყანდაში. სოფელ ლომისის მცხოვრებნი დასახლდნენ სოფელ ინევში, იქიდან – სოფელ ცირკოლში. მთიულების დაბლობში ჩამოსახლების ეს პროცესი ასახულია XVIII ს-ის ისტორიულ ლიტერატურაში.

არსებული მონაცემებით, ხევსურეთის მოსახლეობა 150 წლის განმავლობაში (1770-1920) სტაბილური იყო. იგი მერყეობდა 5000 სულის ფარგლებში. მოსახლეობის ნამატი ამ მონაცემის ზევით გადასახლდა XIX საუკუნის განმავლობაში საქართველოს ვაკის რაიონებში – ერწო, შირაქი, თეთრიწყარო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სხვა. XIX საუკუნის ბოლოს გადასახლებულ ხევსურთა რაოდენობა შეადგენდა 3500-4000 სულს.

ხევსურეთს თავისი პური არ ყოფნიდა, მას შეეძლო მოსახლეობის მხოლოდ გარკვეული, სტაბილური რაოდენობის გამოკვება, ამასთან ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ დამატებითი პურის შემოზიდვა საქართველოს დაბლობიდან უგზოობისა და საჭირო რაოდენობის გადასაზიდი ტრანსპორტის უქონლობის გამო შეუძლებელი იყო. ალბათ ამასთან არის დაკავშირებული მთიელების მომთაბარე მესაქონლეობა, საშოვარზე წასვლა და მთის ტიპის დასახლების ჩამოყალიბება. ფაქტები მოწმობენ, მოსახლეობის უკუმოძრაობას დაბლობიდან მთებისაკენ, განსაკუთრებით, აგრესორების გამაჩანაგებელი ომების მძიმე წლებში.

საქართველოს ვერტიკალურმა ზონალობამ განაპირობა სამეურნეო ყოფისა და მატერიალური კულტურის თვითმყოფი და მრავალფეროვანი ელემენტების ჩამოყალიბება, რაც თვალნათლივ არის წარმოჩენილი მემინდვრეობაში, ტრანსპორტში, დასახლების ტიპში, საცხოვრებელ ნაგებობებში და ა.შ.



ფოტო ვ. თიკანაძის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინა აზიასთან ერთად ამიერკავკასია წარმოადგენს უძველეს სამეწყალთმოქმედო ავტონომიურ ერთეულს, სადაც ახალი არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე დადგენილია, რომ მიწათმოქმედებას ნეოლითის ხანაში ჩაეყარა საფუძველი (თეთრამიწა, საკაჟია). მიწათმოქმედების კერები მრავლადაა ენეოლითის ხანაშიც, რომელთა უდიდესი ნაწილი დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე იყრის თავს. უძველეს სამიწათმოქმედო კერებში (არუხლო, ამირანის გორა, შულავერი, ხოვლე, ურბნისი) ნახულია როგორც ხორბლის სახეობანი, ისე მისი დამასარევლიანებელი მცენარეულის თესლეული, დადგენილია მარტივი მორწყვის სისტემა. საქართველოს ტერიტორიაზე წარმოშობილმა სამიწათმოქმედო კერებმა, როგორც ჩანს, დიდი გავლენა იქონია მიწათმოქმედების შემდგომ წინსვლა-განვითარებაზე. მეურნეობის ამ დარგის ხანგრძლივმა მიყოლამ საქართველოში მიწათმოქმედების რამდენიმე ფორმას დაუდო საფუძველი. პირველყოფილისა აღსანიშნავია მისი ორი განსხვავებული სახე: სათესავი მიწათმოქმედება და ურწყავი მიწათმოქმედება.

კლიმატურ-გეოგრაფული პირობების შესაბამისად მემინდვრეობა ზონალობის მიხედვით დაიხვეწა (ბარის, გარდამავალი ანუ ზეგანის და მთის ზოლის). ზონალობის მიხედვითვე ჩამოყალიბდა და სრულყოფა მიიღო სამიწათმოქმედო იარაღებმა, გამომუშავდა ხორბლეულის ჯიშები, რომელთა შემდგომი განვითარება ქართველთა წინაპრების ხანგრძლივი ემპირიული სელექციური მუშაობის შედეგია. მეურნეობის მაღალი დონის მაჩვენებელია ისიც, რომ საქართველოს თავისებური სამიწათმოქმედო სისტემების შესაბამისად იგი მიკროერთეულებად ნაწილდება, რომელთათვისაც კლიმატურ-გეოგრაფიულ თავისებურებასთან ერთად დამახასიათებელია ორთოგრაფიული გარემო, წყალმომარაგება, ნალექების რაოდენობა, ნიადაგების თავისებურება, ტყის საფარველი, საშენი მასალების ხასიათი და სიახლოვე მეზობლებთან, ვზები და სატრანსპორტო საშუალებანი. ყოველივე ეს განაპირობებდა თვითეულ მიკროარეალში მეურნეობის თავისებურ განვითარებას,

ყოველი მიკროარეალი ვერტიკალურ ზონალობის მიხედვით იყო წარმოდგენილი, შესაბამისი მინდვრის კულტურებითა და სამეწყალთმოქმედო იარაღებით.

ქართველთა წინაპრებმა საუკუნეების მანძილზე გამოიმუშავეს მემინდვრეობის თანმიმდევრული პროცესები – ნიადაგის სახნავ-სათესად გამოყენება, ნიადაგის მოსწორება-მოშანდაკება და დამაგრება ბაქნებისა და ოროკების სახით, მოხვნა, განოყიერება, მორწყვა, დაჩერკვნა და სხვა.

მემინდვრეობის წარმოება გულისხმობს ამა თუ იმ კუთხისათვის აკლიმატიზებულ სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანას, შესაბამისი სამეურნეო იარაღების გამოყენებით.

ქართველმა მეურნემ სრულყოფილად იცოდა ნიადაგის მოსავლის უნარიანობა, მისი ხარისხი და რაობა, იგი ასხვავებდა ნიადაგებს მისი თვისებებით.

ვერტიკალობის მიხედვით ასხვავებენ ნიადაგს: დაბლობების (ტ უ ბ ე), მთის ძირის (დ ო ბ ი რ ა) და მაღალმთიანის (ლ ა კ ა დ ა), ხელოვნურ ნიადაგებს, რომლებიც ტერასების მსგავსად იქმნებიან მთის ფერდობებზე და ნიადაგებს, ორი მოსავლით წელიწადში.

ხალხი ხვნა-თესვას უკავშირებდა მეტეოროლოგიურ მოვლენებს: ბურუ-სიანობა, სასარგებლო და საზიანო წვიმას ნათელ, მზიან ამინდს, ქარებს ბუნ-ობას, მთვარის კალენდარს, პლანეტების ადგილმდებარეობას, ფრინველთა მოფრენას – მ ე ხ ა ნ ი ე და სხვ.

არჩევდა მარცვლეულის ხარისხებს იმის მიხედვით, თუ რომელი ადრე მწიფდება, რომელი გვიან, რომელ მათგანს აქვს მაღალი ან დაბალი ღერო. როგორი გემოსია; მარცვლის ხარისხს არჩევდნენ მათი დათესვის ადგილის მიხედვით: ხორბალი ჩრდილოეთის (ჩ ი რ დ ი ლ ი) და სამხრეთის (მ ზ ვ ა რ ე, პ ი რ ზ ი თ ი, მ ზ ი ს გ უ ლ ი). ხორბალი, რომელიც შეგუებულია გარკვეულ ლანდშაფტურ ზონებთან: დაბლობის ბარი ფერდობის (ფ ე რ დ ა) და მაღლობის (მ თ ა). ასხვავებდნენ პურეული მცენარეების სახეებს, რომლებიც ადვილად იტანენ გვალვას და არ ცვივიან ქარისაგან. იცოდნენ შერეული კულტურების თესვა კარგი მოსავლის მისაღებად. ფლობდნენ ნათესების სარეველებისაგან გაწმენდის ეფექტურ მეთოდებს და მეორე მხრივ, იყენებდნენ სასარგებლო სარეველებს.

საუკუნეთა მანძილზე გამომუშავდა სახნავ-სათესი მიწის მოპოვების სხვადასხვა წესები ა ხ ო ს ა ღ ე ბ ი ს სახელწოდებით (ტყის გაჩეხვა, შემოყვერვა, დაწვა, და ა.შ.).

მოპოვებულია მიწის მოვლის, მისთვის ნაყოფიერების შენარჩუნების სხვადასხვა საშუალებები: თესლმონაცვლეობით, დასვენებით, დაჭაობებით, მორწყვით, მოლაბვით, მოტკილვით, გაპატივებით.

რთულია სარწყავი სისტემაც. მორწყვისათვის იყენებდნენ მთის ნაკადულებს, წყაროებს და მდინარეებს. აკეთებდნენ ჯებირებს, გაჰყავდათ დიდი, საშუალო და მცირე ზომის არხები, (ა რ ხ ი, რ უ, ნ ა კ ა დ უ ლ ი, კ ა წ ა რ ი, ე ტ ი) აწყობდნენ წყალმიღეებს, ფართოდ გამოიყენებოდა კოლექტიური შრომა და ამორჩეულ მერუეთა ინსტიტუტი, აგრეთვე მზის საათი.

განსაკუთრებით ოსტატურად ხდებოდა **ა ხ ო ს ა ღ ე ბ ა** და ამ გზით მოპოვებული სახნავის დამუშავება. ერთმანეთისაგან ასხვავებდნენ შესაბამისი ხერხების მიხედვით დაბლობის, მთის ძირა ფერდობებისა და მაღლობის დახვნას, იცოდნენ საზაფხულო, საშემოდგომო და საგაზაფხულო ხვნა (შემოდგომაზე ხნავდნენ ადრე, გაზაფხულზე გვიან), აოშვა, ორმაგად ხვნა, ნაჩხატი, თესლბრუნვა, ღრმა კვალი, განიერი და ვიწრო კვალი.

ამის გარდა, არსებობდა სახვნელი იარაღების სხვადასხვა სახეობანი თავიანთი კონსტრუქციული და ფუნქციონალური თავისებურებებით. სხვათა შორის, გამოყენებული იყო ის ხერხიც. რომლითაც სახვნელი იარაღი თავისუფლად ეგუებოდა სხვადასხვა ნიადაგსა და ხვნის სხვადასხვა ამოცანებს, სახვნელი იარაღის სამართავად გამოიყენებოდა პატარა ჩხირიც კი.

ამასთან ერთად დამოწმებული იქნა შრომის ორგანიზაციის ფორმები: **მონდაკი**, **ამბაზი**, **ულამი**, **ნადი**, **მოდგამობის ინსტიტუტი** იმ ფორმით, რომელიც გაპირობებული იყო დიდი მასშტაბის მემინდვრეობის გრძელი ველების ლატიფუნდიების არსებობით. ჩვეულებისამებრ მოდგამის მუშაობა წარმოებდა დიდი ზომის სახვნელი იარაღით, რომელსაც ჰქონდა დიდი სახნისი და საკვეთელი. ასეთი ზომის სახვნელ იარაღში აბამდნენ 6–12 უღელ ხარსა და კამეჩს, ხოლო მუშაობის პროცესში სახნის-საკვეთელი ჭრიდა 50-60სმ სიღრმის კვალს. ცალკეულ უღელ ხარებსა და კამეჩებს თავიანთი მეხრეები-

თურთ ერთმანეთისაგან ასხვავებდნენ დანიშნულების მიხედვით. ასხვავებდნენ აგრეთვე ზომითა და ფუნქციით უღლებს. ზოგიერთი მათგანის უღელი აღჭურვილი იყო სპეციალური ტაბიკებით (თ ა ვ ტ ა ბ ი კ ი), რომელთა მეშვეობით აწონასწორებდნენ გამწევ ცხოველთა ძალებს.

განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს როგორც სახვნელი იარაღის ცალკეული ნაწილების, ისე საერთოდ სახვნელის გულდასმით დამუშავების ხერხები. ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს, რომ მოსახლეობას აქვს ღრმა ემპირიული ცოდნა სახვნელი იარაღის უბრალო დეტალებზეც კი, ფლობს სახვნელი იარაღის მდიდარ და მრავალფეროვან ტერმინოლოგიას და განსაკუთრებულად უყვარს იგი. ეს ვითარება ცხადადაა აღბეჭდილი ხალხურ პოეზიაში. ზოგ ლექსში ფიქსირებულია სახვნელ იარაღთან ადამიანის ახლო ურთიერთობა, მეორეში – თვით ამ იარაღის დამზადების პროცესი, მესამეში – სახვნელი იარაღის ცალკეულ ნაწილებს შორისაა კამათი, რის გამოც როგორც თვით სახვნელი იარაღი, ისე მისი ნაწილები ცოცხალ არსებად წარმოგვიდგებიან.

ასეთივე სიყვარულითაა გამსჭვალული ადამიანის დამოკიდებულება სახვნელი იარაღის გამწევ ძალასთან. ეს კარგად ჩანს ხალხური პოეზიიდან. "ორშაბათობით აშენდა".

„ორშაბათობით აშენდა
ციხე-ქალაქი მთაზედა,
ქვა შემოვლო გალავნად,
ცა დაიხურა თავზედა,
ადამიანის შენახვა ვერავინ იდო თავზედა.
ხვნა-თესვა, ფარცხვა და ზიდვა გაჭირდა მეტად ძალზედა,
ხარმა თქვა ჰირ-ნათლიერმა, მე დამაწერეთ რქაზედა,
მოცვივდნენ ანგელოზები, დაჰკოცნეს ორსავ თვალზედა
ჩამოჰქნეს წყვილი სანთელი, მიაკრეს ორსავ რქაზედა,
შვიდიც უბოძეს სარტყელი, გაგზავნეს ქვეყანაზედა,
წადი ხარო, იმუშავე ერთგულად მთა და ბარზედა
შეგაბას შენმა პატრონმა, გამუშავებდეს ძალზედა,
ექვსი დღე უღელში ები, და სხვ".

ეს ლექსები უმთავრესად იმღერება ყანის ხვნის დროს და ცნობილია **გუთნურისა** და **ოროველას** სახელწოდებით.

ქართულ ხალხური პოეზიაში, გარდა სახვნელი იარაღისა და გამწევი ძალისა უმღერიან თვით სამიწათმოქმედო კულტურის უშუალო შემქმნელს **მხვნელს**. ცხადად ჩანს ისიც, რომ ხალხური ლეგენდების, გადმოცემებისა თუ ზღაპრების გმირი-ბუმბერაზები მხვნელი მიწისმოქმედნი არიან ან ამ გმირებთან ახლო ურთიერთობაში იმყოფებიან.

ამავე დროს ქართულ ლეგენდებში სახვნელი იარაღის წარმოშობის შესახებ აღნიშნულია, რომ იგი თითქოს ციდან მოვლენილი საჩუქარია, გამოგონებულია ღმერთის თუ ადამიანის მიერ, რომ თითქოს პირველი სახვნელი იარაღი მთლიანად რკინისა იყო.

არა ერთ ხალხურ ლეგენდაში ვხვდებით მასალებს ხარის ერთგულებაზე. ამ მიმართებით საინტერესოა მესხური ლეგენდა ხარისა და ირმის შეჯიბრის შესახებ. შეჯიბრის მიზანია გაარკვიონ, თუ ვინ უნდა ემსახუროს მშრომელ გლეხობას. შეჯიბრის ადგილი ცის თაღია. ირემმა ვერ განსაზღვრა თავისი

ძალა, ჩამოვარდა ციდან და დაიღუპა. ხარმა კი დინჯი, ზომიერი ნაბიჯით მიაღწია ცის თაღის ბოლოს, გამარჯვებას მიაღწია და შეუდგა თავის წინდადებულების შესრულებას. ლეგენდის თანახმად, ამ შეჯიბრებამ ცის თაღზე დატოვა გარკვეული კვალი: ირმის ნახტომის და გუთნეულის თანავარსკვლავედის სახით.

აღსანიშნავია ისიც, რომ, მეზობელი ხალხების ლეგენდებში იარაღის გამოგონება მიეწერება ქართველებს – ქართლელებს (ოსური ლეგენდა) ან სხვა ქართველ ტომებს (სკვითური ლეგენდით – კოლხებს), ხოლო ბერძნულ მითში არგონავტების შესახებ აღნიშნულია კოლხური სახვნელი იარაღის მაღალი თვისებები. ლეგენდის მონაცემი სინამდვილეს უახლოვდება, რადგან საქართველოში ცნობილია ინტენსიურის სამიწათმოქმედო კულტურის შექმნა და არც ის არის შემთხვევითი, რომ კოლხების ქვეყნისა და ქალაქის სახელწოდება **აია**, არის მიწათმოქმედების ღვთაების სახელი.

სპეციალურ ლიტერატურაში არა ერთხელ იყო მითითებული ქართული სამიწათმოქმედო კულტურის თვითმყოფი ნიშნების შესახებ. ი. კლინგენი, ავტორი ცნობილი კაპიტალური შრომისა – „მიწათმოქმედების პატრიარქთა შორის", სხვადასხვა ხალხთა სამიწათმოქმედო კულტურების შედარების საფუძველზე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ქართველები ისე ძლიერები არიან მიწაზე, როგორც (არავინ) არსად სხვა ქვეყანაში". XIX საუკუნის შუა წლებში, ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე დ. ყიფიანი კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების კრებაზე ამბობდა: „აქ (ე.ი. საქართველოში) მკვიდრი მოსახლეობა თავს თვლის უძველესი, წინა ისტორიული ეპოქიდანვე უფრო მეტად მიწისმოქმედ ხალხად, რომელსაც დიდი გამოცდილება გააჩნია. ამიტომაა, რომ ყველა ახალ რჩევას იღებს, ისე როგორც ჩვეულებრივად მოხუცი ყმაწვილისას: უსმენს მას, მაგრამ არ უჯერებს".

ეთნოგრაფიული მონაცემების გვერდით. სამიწათმოქმედო კულტურის სიძველესა და თვითმყოფადობაზე მიუთითებს ძველი ქართული და უცხოური წყაროები (ასურული, ხალდური, ებრაული, ბერძნული, სომხური და სხვა), აგრეთვე არქეოლოგიური გათხრების მასალები.

დოლის პური

ქართველი გლეხობის მიერ სამიწათმოქმედო მეურნეობის ღრმა ცოდნისა და ეფექტური ხერხების საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე შედარებით თვალსაჩინო მაგალითს.

საგაზაფხულო და საშემოდგომო ხორბალი. იმ შემთხვევაში, როცა სოფელში ხვნის დაგვიანების ან სხვა რაიმე მიზეზით კარგავდნენ თესლს, **საანეულო პურს** (სხვა სახელწოდებით დოლის პური), გლეხი თესლით იღებდა საგაზაფხულო პურს, ე.წ. **დიკას** და შემოდგომაზე მას თესდა. უმეტეს შემთხვევაში ეს ნათესი უნაყოფოდ იკარგებოდა. მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი თუ უძლებდა ზამთრის ყინვას. მომკილ მარცვალს ხელახლა თესდნენ.

მეორედ დათესილი დიკა ადვილად იტანდა ყინვებს, იწყებდა თავთავის გაკეთებას, იქცეოდა ყანად, ხოლო შემდეგ შეიძლებოდა მისი აღება. მომკილი თავთავი უკვე საანეულო პური იყო და არა დიკა.

სწავლული სპეციალისტები ასეთ გარდაქმნას ლეგენდად თვლიდნენ. ისინი პრინციპულად უარყოფდნენ ამგვარ შესაძლებლობას – პურეულის ერთი სახეობის მეორე სახეობად გარდაქმნას. ისინი ვარაუდობდნენ რომ აქ ადგილი ჰქონდა თესლის მექანიკურ შერევას მეორე ჯიშის თესლთან ანდა სხვა ნიადაგიდან სხვა თესლის შემოტანას მორწყვის დროს, ქარისაგან, ან ფრინველის მიერ, ანდა კიდევ თითქოს მიწაში ადრე ჩარჩენილი სხვა თესლის შერევას.

დიკა საქართველოში წარმოადგენს პურეულის უძველეს სახეობას. იგი საქართველოს მთიან რაიონებში მრავალი სახესხვაობითაა წარმოდგენილი, როგორც საგაზაფხულო თესლი. არა ნაკლებ ძველია, დოლის პური, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს ბარში, ასევე მრავალი სახეობით, ოღონდ საშემოდგომო თესლად იხმარება. არაა გასაკვირი, რომ ქართველმა გლეხობამ საუკუნეობრივი დაკვირვების შედეგად შეიმუშავა მრავალი პრაქტიკული და ეფექტური ხერხი. აღსანიშნავია, რომ დიკას გავრცელების არეში მიწის დასამუშავებლად გამოყენებულია მსუბუქი გუთანი (აჩაჩა გუთანი), ხოლო ბარში, სადაც გავრცელებულია დოლის პური მძიმე გუთანი (საანეულო გუთანი). ეს უკანასკნელი ამავე დროს დაკავშირებული იყო შრომის ორგანიზაციის თავისებურ ფორმასთან („მოდგამი", „მონდავი," „ულამი", „ამბაზი"). ასევე კომპაქტურ მოსახლეობასთან, რომელიც შედგებოდა 2000 კომლისაგან.

შერეული თესლი. ქართლის მოსახლეობაში ფართოდ გამოიყენებოდა შერეული თესლი. ასეთი ნარევი ხალხში ცნობილია **ქერ-დიკას ან ქერ-ჭრელის** სახელწოდებით. გლეხები გვარწმუნებენ, რომ ასეთი შერეული თესლით ნათესი უკეთ უძლებს გვალვას: დიკა, უფრო მაღალი იზრდება ვიდრე ქერი, რის შედეგად დიკა იფარავს მზის სხივებისაგან ქერს და შველის გვალვის წინააღმდეგ. ამ გზით გლეხი მოსავლის ნაწილს მაინც იღებდა ქერის სახით, მაშინ როდესაც დიკა მოსავალს არ იძლეოდა. თავისთავად ცხადია, რამდენად დიდ სარგებელს აძლევდა ეს ხერხი გლეხს, მოურწყავსა და გვალვიან რაიონებში.

პროფ. ბ. პიოტროვსკიმ არქეოლოგიური გათხრების დროს ურარტუს ციხე-ქალაქ ერიანში (კარმირ-ბლურში) აღმოაჩინა თიხის ქვევრში შერეული თესლის ქერისა და პარკოსნების მარაგი. ეს მარაგი შერეული კულტურის გარკვევის მიზნით შეისწავლა ბოტანიკოსმა ვ. პეტროვმა, რომელიც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შესაძლებელია, შერეულ კულტურებს ჰქონდათ განსაზღვრული სამეურნეო ინტერესი მკაცრ (ამ შემთხვევაში გვალვიანობის მიხედვით) კლიმატურ პირობებში, გავრცელებულნი იყვნენ შედარებით ფართოდ და შეგნებულად უწყობდნენ მათ ხელს.

პეტროვის ექსკურსია სავსებით დამაჯერებლად მოწმობს შერეული კულტურის არსებობას ურარტუს ეპოქის დროინდელ ამიერკავკასიაში (ძვ.წ. III-IV სს.) მაგრამ, ჩვენი აზრით, ავტორს არ უნდა დასჭირებოდა შორეული პარალელების ძიება (ინდოეთის ტომები) როდესაც საქართველოს გლეხობის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში არსებული ფაქტები სავსებით დამაკმაყოფილებლად ხსნიან ღრმა წარსულის მოვლენებს. ამას გარდა, ამ ფაქტებს შეუძლიათ

ახსნან ისიც, თუ რაში გამოიხატება პურეული კულტურების მეურნეობრივი ინტერესი, რომლის შესახებაც პროფ. ვ. პეტროვი მხოლოდ მიხვედრით ლაპარაკობს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეთნოგრაფიის მონაცემები არაერთხელ განმარტავდნენ ჩვენი ხალხის შორეული წარსულის რთულ მოვლენებს. აქვე აღვნიშნავთ, რომ კარმირ-ბლურის ტიპის მარცვლის შესანახი ქვევრები საქართველოში უკანასკნელ წლებამდეა შემონახული.

შერეული კულტურების არსებობა და თესლად მათი გამოყენება მცირე აზიის ქართველ ტომებში, ძველად, დასტურდება გალენიუსის ცნობებით. ამ კულტურას ბერძენი ავტორი აღნიშნავს ტერმინით ძ ე ო პ ი უ რ ო ს, რაც ნიშნავს ხორბალს. თუ ადრე გალენიუსის ცნობაზე შეიძლება დაბადებულიყო ეჭვი ასეთ შერეულ კულტურათა მნიშვნელობის შესახებ, ახლა, როდესაც ფაქტები სახეზეა (ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალები), დაეჭვება უსაფუძვლოა, თუმცა ბ. ჰროზნი გალენიუსის ძეოპიუროსს თვლის ასლის გარკვეულ სახესხვაობად, მაგრამ თავის შეხედულებას ავტორი არაფრით არ ამაგრებს.

საუკუნეობრივი დაკვირვების საფუძველზე ხალხმა პურეული კულტურების განვითარებისათვის გამოიმუშავა რიგი ღონისძიებები.

ეს გარემოება სავსებით გასაგებია ისეთი ძველი კულტურის მიმართ, როგორიცაა პური. კოლხეთის კულტურამ შეიმუშავა პურეულის უძველესი სახეები: ფეტვი, მთის ხორბალი – ზანდური, ჩელტა ზანდური, მახა და სხვ.

სპეციალისტები საქართველოს ტერიტორიას მიიჩნევენ ხორბლის კულტურის ერთ-ერთ პირველ კერათაგანად. დღემდე ცნობილი ხორბლის 16 სახეობიდან საქართველოს ტერიტორიაზე წარმოდგენილია 11, აქედან 6 ენდემურია.

საყოველთაო აღიარება მოიპოვა მსოფლიოში მთის ხორბალმა **ზანდურმა**, როგორც ყველაზე მეტად გამძლე სახეობამ. იგი მხოლოდ დასავლეთ საქართველოშია (რაჭა-ლეჩხუმი) შემონახული. ზანდურის აღება მეტად თავისებურად წარმოებს. თავთავებს **შნაკვით** კრეფენ და კალათებში აწყობენ. მკის ეს წესი უძველესია და წინ უსწრებდა კაჟიანი ნამგლით მკას. დასავლეთ საქართველოს გარდა შნაკვი გვხვდება ასტურიაში. ზანდურს პურეულის მსგავსად კი არ ლეწავენ, არამედ ფეტვსავით ბერტყავენ.

ასევე ენდემური მცენარეა მახა, რომელიც ცნობილია ლეჩხუმიდან. მას გარეული ხორბლიდან – კულტურულისაკენ გარდამავალ საფეხურად მიიჩნევენ. კოლხეთის ენდემური კულტურაა **კოლხური ასლი**.

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს სიმინდის მიმართაც, მაშინ როდესაც ის შედარებით ახალი კულტურაა საქართველოში. შედარებით მოკლე ხნის მანძილზე (ორი-სამი საუკუნე) ქართველმა ხალხმა შეიმუშავა 13 ჯიშის სიმინდი, რომლებიც შესანიშნავად შეეგუენ ბარის, მთის ძირა თუ მთიან სასოფლო-სამეურნეო ზოლს, უფრო მეტიც, 1935 წლიდან სვანებმა იწყეს წვიტას ჯიშის სიმინდის მოყვანა ალიშის თოვლიანი ზვავისაგან 300 ნაბიჯის დაშორებით.

ნიადაგის დამუშავება ხორბლეულის დასათესად ქართულ ენაში სხვადასხვა სახელწოდებით აღინიშნება, დაკავშირებულია განსაზღვრული სახის შრომის იარაღებთან და შრომის პროცესებთან. ამასთან ერთად, იარაღთა ერთი სახეობა განკუთვნილია ადამიანის ხელით თუ ფეხით სამუშაოებისათვის, ხოლო მეორე გამწევი ძალით მუშაობასთანაა დაკავშირებული.

ქართული სამიწათმოქმედო კულტურის აქ ნახსენები და კიდევ მრავალი სხვა თავისებურება, სამიწათმოქმედო კულტურის სიძველესა და თვითმყოფადობაზე მიუთითებს. კახეთისა და მესხეთის მეურნეობის პროფილების შერეულმა ტიპებმა და კოლხეთის განსაკუთრებულმა ბუნებრივმა გარემომ განაპირობეს მდ. მტკვრის (ძველი კირი), რიონის (ძვ. ფაზისი) და ჭოროხის (ბოასის) აუზში სამიწათმოქმედო სისტემების შექმნა.

ქართველი ხალხის სამიწათმოქმედო კულტურის სისტემის, ცალკეული ელემენტების გამომუშავება და ჩამოყალიბება მიმდინარეობდა ათასწლეულთა მანძილზე, ხანგრძლივი გამოცდილებისა და ძიების საფუძველზე. ეს მიღწევები, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში გროვდებოდა და თაობიდან თაობებს გადაეცემოდა, ქმნის ხალხური კულტურის ფონდის ძირითად შემადგენელ ელემენტებს.

მემინდვრეობა. ერთ გარკვეულ კლიმატურ-გეოგრაფიულ პირობებში ხანგრძლივი ცხოვრება ადამიანთა ამა თუ იმ ჯგუფს აჩვევს ბუნების ამ გარემოს თავისებურად ათვისების ხერხებს, მის გარდაქმნის წესებს. კ. მარქსი მოხდენილად გამოხატავდა ამ მომენტს, „... დედამიწა, – წერდა იგი – ადამიანის საზრდოს თავდაპირველი საკუჭნაოც არის და შრომის საშუალებათა თავდაპირველი არსენალიც“. ამა თუ იმ ხალხის სამეურნეო საქმიანობის დონე ამ არსენალის თავისებურებაზე ბევრად იყო დამოკიდებული. საქართველოს გეოგრაფიული გარემო მიწათმოქმედებისათვის ფართო გასაქანს იძლეოდა. ჯერ კიდევ ენეოლითის ხანაში ქართველთა წინაპრებისათვის ხორბლეულის რამდენიმე სახეობა იყო ცნობილი. ამ ხორბლეულთაგან ნაწილმა ათეული საუკუნეების ქარტეხილებს გაუძლო, და თავისი პირველსახეობა ბოლომდე შემოინახა (ძახა, ზანდური). უძველესი ხანიდან მოკიდებული ბოლო დრომდე ქართველი ხალხისათვის მიწათმოქმედება ეკონომიკის წამყვან დარგს შეადგენდა.

მიწათმოქმედებაში მემინდვრეობის ქვეშ ხორბლეულის თესვა-მოყვანა იგულისხმება. ასე რომ მემინდვრეობა მიწათმოქმედების ერთი წამყვანი და შემადგენელი დარგი. მემინდვრეობა თავისი მხრით რამდენიმე რთული პროცესებისაგან შედგება. ეს პროცესები თანამიმდევრობით ასეთი სახით წარმოგვიდგება: ახოს აღება, მოკარვება მოქვავება, გაპატივება, აოშვა, თესვა, ფარცხვა, მორწყვა, მარგვლა, მოსავლის დაცვა, მოსავლის აღება, (მკა, თიბვა) ლეწვა, მოსავლის დაბინავება და ბოლოს დაფქვა-გამოცხობა. თითოეული ამ პროცესთაგანი კიდევ ცალკეულ ეტაპებად იყოფოდა.

მემინდვრეობა რომ ქართველი ხალხის მეურნეობის უძველესი დარგია, და როგორც ბარის ისე მთის პირობებში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი, ამაზე მეტყველებს მრავალი მონაცემი, დაწყებული არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებული სამეურნეო იარაღებით და დამთავრებული ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი მდიდარი ტერმინოლოგიით, სამეურნეო გამოცდილებით და თვით სამიწათმოქმედო იარაღების ნაირსახეობით.

ქართველი მეურნე საუკუნეთა მანძილზე ახდენდა რა მიწის დამუშავებას, იგი სწავლობდა, გამოცდილებას იძენდა და ამ გამოცდილებაზე ზრდიდა მის შემცველ თაობას. თუ რა სრულყოფილობით იცოდა მიწისმოქმედმა გლეხმა,

ნიადაგის მოსავლის უნარიანობა, მისი ხარისხი და რაობა, ამაზე მიუთითებს ნიადაგების თვისებათა გამოსახატავად ხალხში ხმარებული ზოგიერთი სახელწოდება – აყალო, ალიზი მიწა, ალქატი, გოხი, ბალყუმი, გვერდიძირი, კორდი, თიხნარი, ლამიანი, ლამური, მბილი, ნარბილი, რცხალი, ხირხატი, მძიმე მიწა, მჩალტე, მსუბუქი მიწა, ფერდა, ყამირი, ყორუღი, ნაჭაობარი, სერი მიწა, ეწერი, ნაცარა, ქვიანა, და სხვა. თვითეული მათგანი გვიჩვენებს თუ რა ხასიათის ნიადაგია, რა თვისების მქონე, რისთვის შეიძლება მისი გამოყენება.

ასევე მდიდარია ის სამეურნეო იარაღების გამომხატველი ტერმინოლოგია, რომელსაც მიწის დამუშავებისას იყენებდნენ.

ახოს აღება. ძველ საქართველოში სახნავ-სათესი მინდვრის მოპოვებას ახოს აღებას უწოდებენ. ახოს მნიშვნელობის ქვეშ დაუმუშავებელი მიწის ან ტყის გაჩეხვის შედეგად მოპოვებული მიწის დამუშავება იგულისხმება. ახო როგორც სახნავ-სათესი მიწის სახელწოდება სახნავი მიწების განვითარების გარკვეულ სტადიას წარმოადგენს, შეიძლება ითქვას პირველ სტადიას. ეს საფეხური სახნავ-სათესი მიწის ყველა ნაკვეთს აქვს გავლილი – ზოგს ადრე, ზოგს გვიან. ახო, როგორც სახნავი მიწის სახელწოდება თითქმის ყველა სოფლის ტოპონიმიკაში მოწმდება. ხშირად ახოს თან ერთვის იმ პირების ვინაობის აღნიშვნაც ვინც ახოსათვის ტყე გატეხა, მაგ. ტოპონიმიკაში გვხვდება მიტოს ახო, ვასას ახო და სხვა. ახოს აღების ე.ი. ნიადაგის მოპოვების სხვადასხვა წესი არსებობდა. მთის ტყიანი ზოლის პირობებში ტყის გაჩეხვის შედეგად აღწევდნენ სახნავი მიწის მოპოვებას. ამასთან დაკავშირებით, ტოპონიმიკაში გვხვდება გიგას ნაჩეხი, ე.ი. ვინმე გიგამ ტყე გაჩეხა ნიადაგი მოაშანდაკა – მოასწორა და სახნავ-სათესად გამოიყენა. მეორე შემთხვევაში ბარის პირობებში ბუჩქოვანი ჭალა. ამას ჭალის გატეხვას უწოდებდნენ. ესეც ახოს აღების გარკვეული სახეობაა. ახოს აღების მეთოდში ვხვდებით: ცეცხლის გამოყენებას და ახოს აღებას უცეცხლოდ.

ქართული ცული, ფასანაური

გვიანი ხანისათვის ახოს აღება ძირითადად მთის ზოლში იყო ფართოდ გამოყენებული, სადაც სახნავ-სათესი ნიადაგების სიმცირე ტყის შევიწროვების ხარჯზე იზრდებოდა. ამას უბიძგებდა მთის მოსახლეობის ზრდა.

ახოს აღების პროცესი შემდეგი სახით წარმოგვიდგება. საახოვედ მეურნე არჩევდა ტყის მზვარე // მზიან ადგილს, ითვალისწინებდა ამ ადგილის მისადგომებს, ტრანსპორტის მიყენების თვალსაზრისით. სამუშაო იარაღებად გამოიყენებოდა: ცული, ბარი, შემოსაკოდი, წერაქვი, ქარჩი, ნიჩაბი, ხერხი და ლომი; თუ დიდი ხეები იყო გასაჩეხი ტყის გაჩეხვას იწყებდნენ გაზაფხულზე. მეურნეთა აზრით, ამ დროს ხეს ლოპო აქვს, (ქერქში წყალი აქვს ბლომად ჩამდგარი) რბილია და ცულს ადვილად ემორჩილება. ცულით გაჩეხილი ტყე

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც ძირს ვარდებოდა, დაიწყებდნენ წაქცეული ხეების აჩეხვა-ასხეპვას და დამორვას, რომ საშეშე და საშენი მასალისათვის გამოსადეგი ხის ტოტების გამოტანა გაადვილებოდათ. დამორილ // გამოცხვირულ ხეს წნელებით ხარებს ჩაუბამდნენ და სახლში მიჰქონდათ. ადგილზე კი რჩებოდა ფიჩხი და ხის ფესვები. მეურნეთა აზრით ამ დროს გაჩეხილი ტყე შეფოთლილია და შეფოთლილი ფიჩხი, როდესაც ხის ჩირგვებზე რჩება, ზედვე გახმება. შემოდგომის პირზე მას დაწვავდნენ. აღნიშნული გარემოება იმითაა ხელსაყრელი, რომ ფოთლოვანი ტოტები მიწის ნაკვეთში დარჩენილი ხის ჩირგვების ამოწვაში ხელს უწყობდა და ამავე ნაკვეთში ნაცარს ბევრს ტოვებდა, რასაც ნიადაგის გაფხვიერება-განაყოიერებისათვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. თუ მეურნე დაინტერესებული იყო ახოდ ასაღებ ნაკვეთში მოპოვებული ხის მასალა მშენებლობისათვის გამოეყენებინა, მაშინ ხის ძირებს გაზაფხულის მიწურულში შემოკოდავდა, ხოლო ზაფხულში ან შემოდგომაზე მოჭრიდა. ხის შემოკოდვა ნიშნავს ხის ძირზე ირგვლივ 6-8 სმ სიფართით ქერქის შემოთლას, რისთვისაც იყენებდნენ სპეციალურ იარაღს, რომელსაც ხის საკოდი // საყვერი ეწოდებოდა ტყის გაჩეხვასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი გარემოება, თუ საახოე ნაკვეთში მოჭრილი ხის მასალა სამშენებლო საქმისათვის არ უნდოდათ, მაშინ ხის მოჭრა ახალ მთვარეზე უნდა ეწარმოებინათ. მეურნეთა აზრით „ამ დროს მოჭრილ ხეს ჭია უჩნდება, და ჭიანაჭამი ჩირგვები და ფესვები მიწიდან იოლი ამოსაყრელი ხდებოდა.“

როცა აღებული ნაკვეთიდან ხის ტოტებს გაიტანდნენ ფიჩხსაც დაწვავდნენ, შემდეგ იწყებოდა ფესვების ამოყრა. ფესვების ამოყრა ხდებოდა ნიადაგის დამუშავებასთან ერთად; ფესვების ამოსაყრელად იყენებდნენ ბართოხას ან ბარს, წერაქვს, რკინის კეტს, ცულს და სხვა.

თუ ახოს აღება ბარის პირობებში წარმოებდა მაშინ ბუჩქოვანი ჭალის გატეხვა ადრე გაზაფხულის პირზე ხდებოდა, ვიდრე ბუჩქები შეიფოთლებოდნენ. აქ გადაწვის წესი არ იცოდნენ. სამუშაოდ გამოყენებული იყო იგივე იარაღები მერულის//ორთითის დამატებით, რომელსაც ბუჩქების გადატანისათვის იყენებდნენ. ახოს აღების ამ უკანასკნელ ეტაპს მოკარვება ეწოდებოდა. ე.ი. საახოე მიწის მოსწორება, წესრიგში მოყვანა ისე, რომ შესაძლებელი გამხდარიყო მისი დამუშავება.

ახოს აღების საქმე საკმაოდ შრომატევადი სამუშაოა თუ გავითვალისწინებთ, რომ საკმაოდ მოზრდილი ხეების მოჭრა მხოლოდ ცულით წარმოებდა. ამიტომ ამ სამუშაოს შესრულებაზე ახოს რიგრიგა ეწყობოდა. მეზობლები, მოგვარეები ერთმანეთს ეხმარებოდნენ ხოლმე და ამით ამ მძიმე სამუშაოს კოლექტიური შრომით წარმართავდნენ.

ქარჩი, ხევსურეთი

საინტერესოა თვით ის იარაღები, რომელიც ახოს აღების საქმეში გამოიყენებოდა. აქ საჭირო იყო მთური ტყის ცული, რომელსაც სქელი ყუა გააჩნდა და მახვილი სოლის ფორმა. ასევე საგულისხმოა ისიც, რომ ბარელი მჭედლები მთიულებისათვის სპეცია-

ლურად აკეთებდნენ ბართოხას ტიპს მიწის სათხრელ იარაღებს, რომლებსაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელითა და ფორმით ამოწმებენ: ბ ა რ თ ო ხ ა (900 მოხრილი ტარით), ქ ა რ ჩ ი (900 მოხრილი ტარით), ქარჩი ბარის ფორმის პირითა და სახნისისებური გახსნილი სატარით, რომელსაც აგრეთვე 900 მოხრილი ტარი ეგებოდა და ქარჩი ხელეჩოსმაგვარი პირითა და სოლისებური ყუით (თრიალეთური ქარჩი). აღნიშნული გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ მიუხედავად იმისა, რომ ახოს აღება თავისთავად მემინდვრეობის სისტემის ერთი გარკვეული საფეხურია, იგი რთული სამეურნეო პროცესია და შეხამებულია საქართველოს თვითეული ხეობის თუ კუთხის ნიადაგების ნაირგვარობას.

ახოდ აღებულ ნაკვეთში პირველად კარგი მოსავალი მოდიოდა, 4–5 წლის შემდეგ კი მას ესაჭიროებოდა დასვენება ან გაპატივება.

ზოგჯერ სახნავ-სათეს მიწის თუნდაც ის ახალი ყოფილიყო ქვები მოერეოდა ხოლმე... ქვები ხელს უშლიდა, როგორც ნიადაგის დამუშავებას ისე ნათესის აღმოცენებას. ყოველი მეურნე ცდილობდა სახნავ-სათესი ნიადაგის გასუფთავებას. ამ მიზნით ოჯახის წევრები კალათებით, ნაწილი კი წინსაფრების სამუალებით მიწის ნაკვეთში ქვებს აგ როვებდნენ ხოლმე. ნიადაგის გაწმენდას ქვებისაგან ეწოდებოდა მ ო ქ ვ ა ვ ე ბ ა. მოქვავებას აწარმოებდნენ როგორც ხვნის წინ ისე დაფარცხვის შემდეგ. ამ გზით მოსუფთავებულ სახნავ მიწას მ ო ქ ვ ა ვ ე ბ უ ლ ი ეწოდებოდა.

ნიადაგის გაპატივება. მაღალი მოსავლიანობის მოწევის მიზნით იცოდნენ ნიადაგის გაპატივება ან დასვენება. იმასთან დაკავშირებით, თუ მოსავლის აღების შემდეგ ნიადაგი რამდენხანს ისვენებდა, შემუშავებული იყო შესატყვისი ტერმინები: ნ ა რ ბ ი ლ ი, რ ც ხ ა ლ ი, ყ ა მ ი რ ი, კ ო რ დ ი, ნ ა ს ვ ე ნ ე ბ ი და სხვა. იცოდნენ აგრეთვე სამმინდვრიანი სისტემის გამოყენება – ხვნა-თესვა მონაცვლებით, რასაც ძველად მიწის **სამტრედათ დამუშავებას** უწოდებდნენ. ნიადაგის სამტრედად დამუშავების სისტემის გამოყენების დროს მიწა სამ წელიწადში ერთხელ იხვნოდა. პირველ წელს რომ მოსავალს აიღებდნენ, მეორე წელს მიწა საძოვრად გამოიყენებოდა, მესამე წელს სათიბად მეოთხე წელს კვლავ მოიხვნოდა და დაითესებოდა.; ამ რიგით დასვენებულ მიწას ყოველთვის კარგი მოსავალი მოჰყავდა. გერმანელი ორიენტალისტის დაკვირვებით (XIX საუკუნის დასაწყისი) აღმოსავლეთ საქართველოში მიწას 4 ან 5, ზოგ რაიონებში კი 6 წელიწადში ერთხელ ასვენებდნენ. გლეხების დაკვირვებით „სახნისმა 7 წელიწადში ერთხელ ოქროს უნდა წამოკრას წვერი, რომ კაი ნამუშევარი მოვიდეს“ ე.ი. 5 წელიწადს ნიადაგ ნამუშევარი მიწა მეექვსე წელიწადს დაისვენებდა და მე-7 წელიწადს კვლავ კარგ მოსავალს მოგცემდა. უძველესი ხანისათვის ამ რიგით მიწის დასვენების წესზე მითითებულია დაბადების ტექსტშიც „ექუს წელი სთესო ქვეყანა შენი და შეკრიბო ნაყოფი მისგან, ხოლო მეშკდესა წელსა მიტევება ჰყო და დაეტევო იგიო“. სახნავის დასვენების წელიწადს „წელიწადი განსუენებისა“ ან „მიტევება ქვეყნისა“ ეწოდებოდა.

დასვენებული მიწის პირველ კატეგორიაში შედიოდა ერთი წლით ნასვენი მიწა, რომელსაც **ნარბილს** // **ნაცვარალს** უწოდებდნენ. ორი წლით ნასვენ მიწას **რცხალს**, სამი წლით დასვენებულს **ნაჩხატს**, ოთხი წლით ნასვენს **ყამირს**, უფრო დიდი ხნით დასვენებულს – **კორდს**.

ნიადაგის მოღონიერების საუკეთესო საშუალებას მიწის საქონლის ნაკელით გაპატივება წარმოადგენდა.

საქონლის ნაკელის გამოყენება მოსავლიანობის გადიდების საქმეში ძირითადად ორი განსხვავებით წარმოგვიდგება: მთის პირობებში ნაკელი სახნავ-სათეს მინდორზე გაჰქონდათ, ბარის პირობებში კი – ძირითადად ბაღ-ბოსტნებსა და ვენახებში.

საქონლის ნაკელის ღირსებას მისი ხნოვანების მიხედვით განსაზღვრავდნენ: ერთ წელზე მეტი ხნის ნაკელი „ძველ ანუ დამწვარ პატივად ითვლებოდა". ძველი პატივი ახალთან შედარებით უპირატესობით სარგებლობდა.

ნაკელის გატანა მინდორში ზამთრის პერიოდში წარმოებდა, მარხილების საშუალებით. ხოლო ზაფხულში დასასვენებლად დაგდებულ მიწაში იცოდნენ (ძირითადად ფშავში) ნახირის ადგილმონაცვლეობით გაჩერება ღამის საათევ ბაკებში. ქართლში მწირი ნიადაგის პატრონი მენახირეს შეუთანხმებდა ხოლმე, რომ მისი მწირი მიწა ს ა ყ ა რ ა დ გამოეყენებინა, ე.ი. ნახირი შუადღისას იქ შემოეკრიბა. ნახირის ასეთ შემოსაკრებ ადგილს **საყარა** ერქვა, ხოლო ნახირის აქ გაჩერებას ნახირის დაყრა, თუ ცხვრის ფარის გაჩერებით ხდებოდა ნიადაგის გაპატივება, ამ გზით ნაპატივარს **არხაჯს** უწოდებდნენ. ტოპონიმიკაში ამასთან დაკავშირებით შემოგვენახა სახელები ნამსუქნები, ნაძროხები, ნამცხვრები, სანახირო და სხვა.

რაჭული თოხი

გურული თოხი

იცოდნენ აგრეთვე საქონლის ნაკელის შეტანა მამულში წყლის საშუალებით, რასაც **მონეხვწყლას** უწოდებდნენ. საპატივეზე მიუშვებდნენ წყალს, შემდეგ დამბალ ნაკელს ფეხით გათქვეფავდნენ და ამის შემდეგ ხსნარად ქცეულ ნაკელს სახნავი მიწის ნაკვეთისაკენ უნაკადებდნენ. განსაკუთრებით დიდ ღირსებას ანიჭებდნენ ნაკელს მთის მიწათმოქმედებაში. ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ სახნავ-სათესი ადგილების სიმცირე და მათი ფერდა ადგილებზე განლაგება იწვევდა მიწის ნაკვეთის ყოველწიურ ექსპლოატაციაში ჩაბმას და ამ ნაკვეთის ეროზიის სწრაფი ტემპით წარმართვას. ნაკელის მოყრა ნაკვეთზე კი იყო ერთადერთი კარგი და აუცილებელი საშუალება, როგორც ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის, ისე მაღალი მოსავლის მიღებისათვის. ამიტომ „უღონო მიწის" პატრონი და „ნაკელის მქონე გლეხი" შეამხანაგდებოდნენ, რომ ერთის მამულში მეორეს ნაკელი დაეყარა და სანახევროდ მოეყვანათ ხორბლეული. ამგვარი მხარე შეამხანაგებისა, სადაც ნაკელი მიწის ტოლძალოვანი ფასით გამოდის იშვიათი მოვლენაა და მიუთითებს მეურნე გლეხების მიერ ეკონომიური

პირობების გაუმჯობესების მცდელობაზე და ამ მიზნით თავისი ცოდნა-გამოცდილების გამოყენებაზე.

ამერული თოხი

გლეხობა ნაკელს საკმაო მნიშვნელობას ანიჭებდა მიწათმოქმედებაში, ამასთან დაკავშირებით საინტერესო მომენტია მოცემული ქართლურ ზღაპარში. სადაც, ზღაპრის მიხედვით, საწყალი გლეხის ვაჟი მოჯამაგირედ დაუდგება მღვდელს. მათ მოჯამაგირეობის პირობა უცნაური დადეს. მოჯამაგირე გასამრჯელოს მხოლოდ მაშინ მიიღებდა თუ მღვდელს თავისი საქციელით გააკვირვებდა, მოთმინებიდან გამოიყვანდა და გააბრაზებდა. მოჯამაგირე მღვდლის გასაბრაზებლად შემდეგ ხერხს იყენებს. ის შენიშნავს, რომ მღვდლის ბოსლის საპატივეზე მრავალი წლის ნაგროვი პატივია დაყრილი. იღებს გოდორს და ნაკელს, მღვდლის ვენახში გაიტანს და მოფენს. მისი აზრით ნაკელით მღვდლის ვენახი აყროლდება და გაბრაზდება. მღვდელს კი პირიქით გაუხარდება. მოჯამაგირე სახლში ბრუნდება დაღონებული და ამ ამბავს მამას მოახსენებს. მამა გაუწყრება და ეტყვის „შენ მღვდელი სამუდამოდ აგიშენებია და აბა რა გააბრაზებდაო“.

ამას გარდა ნაკელი ძველად საქორწილო მისალოცში შედიოდა როგორც საჩუქრის გარკვეული სახე. ნაკელის გატანება სცოდნიათ მზითვებშიც. ცნობილია რომ გუთანი და ზოგჯერ გუთნეულიც ძველად მზითვის საპატიო საჩუქარს შეადგენდა.

ნიადაგის დამუშავება ხელით სამუშაო იარაღებით. მას შემდეგ, რაც სახნავ-სათესი ნიადაგი მოპოვებულად ითვლებოდა, იწყებოდა მისი დამუშავება დანიშნულებისამებრ.

ნიადაგის დამუშავებისათვის უძველესი ხანიდან უკვე ხმარებაში ყოფილა ქვის, რქის, ძვლის (ენეოლითის ხანა), სპილენძ-ბრინჯაოს (ბრინჯაოს ხანა), რკინის იარაღები (რკინის ხანისათვის). ამ იარაღებიდან საქართველოს ტერიტორიაზე მრავლად მოწმდება თოხის სხვადასხვა სახეობა.

თოხი როგორც სამეურნეო იარაღი საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მრავალნაირობით ხასიათდება. ჯერ-ჯერობით მას მნიშვნელობა არ დაუკარგავს და თანამედროვე მეურნეობის პირობებშიც წარმატებით გამოიყენება. მითუმეტეს, ისტორიული ხანისათვის თოხის საშუალებით სრულდებოდა არამარტო მარგვლითი ხასიათის სამუშაოები, არამედ ხნულში თესლის მიბარება, ხნულის დაფშვნა და სხვა.

ახოს თოხი

თოხის ტიპის იარაღებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ახოს აღების სისტემაში გამოყენებული ხელეჩოსმაგვარი თოხი, რომელიც **ქარჩის** სახელით შემოგვენახა. ქარჩის აღნიშნული ტიპის მეორე სხვაობა **ბართოხას** სახელს ატარებს და ბარისაგან განსხვავდება 900 მოხრილი ტარით.

ხელის სამუშაო იარაღის მეორე სახეობა **ბარია**, რომელიც ძირითადად სწორ ვაკე ადგილებში სამუშაოდ გამოიყენებოდა. ბარის საშუალებით ნიადაგის დამუშავება ღრმად შეიძლებოდა. ამიერკავკასიაში, როგორც საქართველოში ისე სომხეთში ბარის გამოყენებას ადრიდანვე ჰქონია ადგილი. სახელდობრ VII საუკუნეში, ბარი, როგორც სამეურნეო იარაღი უკვე იმ სახით ყოფილა ჩამოყალიბებული, როგორც მას დღეს იყენებენ. ბარი წარმატებით გამოიყენებოდა მებაღეობა-მევენახეობაში და აგრეთვე მემინდვრეობის სამუშაოებზე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბარს ხისგანაც ამზადებდნენ. რაჭაში და იმერეთში ხის ბარს **ჭელბარას** უწოდებდნენ. ასე რომ, ბარს თოხზე ნაკლები ისტორია არ გააჩნია. ოღონდ თოხი უფრო ფართოდ გამოიყენებოდა თითქმის მიწის ყველა სამუშაოზე, ბარი ნაკლებად. თოხი თუ მხოლოდ ხელით სამუშაო იარაღი იყო, ბარით მუშაობისას ფეხის ძალის გამოყენებაც ხდებოდა, რის შედეგადაც ადამიანის შრომის პროცესში ახალი ელემენტია შეტანილი.

ტერმინი ბარი, ქიზიყსა და თუშეთში სახნისის გამოსახატავად უხმარიათ. ამავე ტერმინს კავშირი აქვს თოხის მეგრულ სახელწოდება ბარგ-ბერგთან. ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ სუმერულში ერთი ტერმინის მარ, mar-ის ქვეშ ივარაუდებოდა ორი სხვადასხვა იარაღი ბარი და თოხი.

როგორც თოხი, ისე ბარი, აგრეთვე ხელით სამუშაო სხვა იარაღები, ინდივიდუალური იარაღებია. აღნიშნული იარაღით მხოლოდ ერთი ადამიანი მუშაობს, მაგრამ ამ იარაღებით მუშაობა კოლექტიურ შრომას როდი გამორიცხავდა. სათოხნი, თუ საბარი სამუშაოების შესრულებისას იმართებოდა შრომითი გაერთიანება, რომელშიც 10, ზოგჯერ 15-მდე მომუშავე შედიოდა მათ გაერთიანებას **რიგრიგას** ზოგან კი **ნაცვალვარდას** უწოდებდნენ და მორიგეობით თითო დღეს ერთი მეორეს შველოდნენ, საბარ თუ სათოხნ სამუშაოთა შესრულების საქმეში. ძირითადად ბარვას ვენახებში წარმართავდნენ, თოხნის რიგრიგა კი სიმინდის თოხნის დროს იქმნებოდა ან ბალახმორეული ვენახის საჩერკნად.

ნიადაგის დამუშავება გამწევი ძალით მომუშავე იარაღებით. კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მოვლენა იყო პირუტყვის ჯერ მოშინაურება, ხოლო შემდეგ მისი სამეურნეო საქმიანობაში გამწევ ძალად გამოყენება. სადღეისოდ მკვლევართა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ პირუტყვის მოშინაურება პირველად წინა აზიის ქვეყნებში მობინადრე ხალხებს უნდა დაეწ-

დიდი გუთანი, ქართლი

ყოთ. მათვე მიაწერენ პირუტყვის გამწევ ძალად გამოყენებას. წინა აზიის უძველესი ქვეყნები მიწათმოქმედებასაც ადრე ეცნობიან და სხვა ქვეყნის მოსახლეობ-ტომებთან შედარებით უფრო ადრე იწყებენ სახვნელ იარაღში გამწევ ძალად პირუტყვის გამოყენებას. მიუხედავად იმისა, რომ პირუტყვით მომუშავე სახვნელი ახლად დანერგილი იარაღი იყო, იგი მემინდვრეობაში სწრაფად იკიდებს ფეხს და მემინდვრეობა, მესაქონლეობასთან შედარებით ხდება ქვეყნის ეკონომიკის ძირითადი წყარო. ამავე დროს იგივე მიწათმოქმედება უფრო მტკიცე საფუძველს უყრიდა ცალკეული ტომების ერთ რომელიმე გეოგრაფიულ გარემოში დაბინადრება-დამკვიდრებას.

აჩარა

უძველესი სახვნელი იარაღი მეტად მარტივი აგებულებისა იყო. ფორმით კავის მქონე ჯოხს წაგავდა. მასში მხოლოდ ერთი უღელი ხარი იყო შებმული. ამგვარი მსუბუქი სახვნელები თავის დროზე მარტივ მიწათმოქმედებას კიდევაც აკმაყოფილებდა. შემდეგ ხანებში კი სახვნელი იარაღი გარკვეულ განვითარებას განიცდის, სახელდობრ მას უჩნდება რკინის სახნისი და შემდეგ საკვეთელიც, რის შემწეობითაც სახვნელი იარაღი უფრო სიამედო სამუშაო იარაღად იქცევა. ნაკლებ განიცდიდა ცვეთას და მაგარ ნიადაგებსაც უმკლავდებოდა. ამგვარი სახვნელი იარაღით მიწის ზედაპირული დამუშავება შეიძლებოდა. მოგვიანო ხანებისათვის სახვნელი ნაირსახოვანი ხდება. მარტივ სახვნელთა ნაირობა შეპირობებული იყო იმ გეოგრაფიულ-კლიმატური პირობებით, სადაც ამა თუ იმ ტომს თავისი მეურნეობის გაშლა უხდებოდა. მთის პირობებში მიწის დასამუშავებლად გამოყენებული სახვნელი იარაღი ბარული სახვნელისაგან განსხვავდებოდა. თვით ბარის პირობებშიც ერთ კუთხეში გავრცელებული სახვნელი მეორე კუთხის სახვნელს არ წაგავდა. ბარის სარწყავი რაიონებისათვის ძლიერი სახვნელი იარაღი იყო საჭირო მით უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო ბარის ურწყავ რაიონებში გამოყენებული სახვნელი.

სახვნელი იარაღების ნაირგვარობას იწვევდა პურეული კულტურებისადმი მიყენებული თავისებური დამუშავების აუცილებლობა. მაგ. ქართველთა მემინდვრეობაში ძველთაგანვე გამოყენებული იყო საანეულო სისტემა, რაც თავის მხრივ მოითხოვდა საზაფხულო ხვნის შესრულებას. საზაფხულო ხვნა ძველად ანეულის დღევანდელი გაგებით არ უნდა ეწარმოებინათ, არამედ ცოტა მოგვიანებით ე.ი. ყანების აღების შემდეგ ზაფხულ-შემოდგომის მიჯნაზე. ამ დროისათვის ნიადაგი იმდენად გამაგრებული იყო, რომ მისი დამუშავება ერთუღლიანი ან ორუღლიანი სახვნელით ძნელ საქმეს წარმოადგენდა. ე.ი. საჭირო იყო მძიმე გუთანი მრავალმხარბმული სახვნელით. ამ ტიპის სახვნელს ძველად ერ ქ ვ ა ნ ს უწოდებდნენ, რომელშიც 4–5 უღელი ხარი უბიათ.

ძველად ხვნის ქვეშ გამწევი ძალით მომქმედი იარაღების საშუალებით მიწის აქექვა–აჩეჩვა–დაშლა – გადაბრუნება იგულისხმებოდა. უფრო გვიან ხვნის განვითარებული სახეობად მიჩნეული იყო სახვნელი იარაღის საშუალებით ერთ გარკვეულ დონეზე ორ სიბრტყეში ჰორიზონტალურში (სახნისის საშუალებით) და ვერტიკალურში (საკვეთელის საშუალებით) ბელტის აჭრა და ფრთის დახმარებით მისი გადაბრუნება – დაშლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე აგრონომიამ ბელტის გადაბრუნებით ხვნა ძირითადად უკუაგდო და უპირატესობა მიანიჭა უფრთო სახვნელებით ხვნას.

საქართველო ყველა სხვა ქვეყნისაგან გამოირჩეოდა სახვნელთა მრავალსახეობით, რის გამო მას „სახვნელი იარაღების ცოცხალ მუზეუმსაც" უწოდებენ. საქართველოში გავრცელებულ სახვნელ იარაღებიდან ყველაზე მარტივი **თუშური კავწერაა**, რომელსაც იყენებდნენ ნიადაგის უბრალოდ გაწერვის მიზნით, თუშური კავწერა შედგება: ხელნის, მხრის და საკვეთელისაგან. კავის მხარი ოდნავ გახრილი გრძელი ხეა (სიგრძით 2.5 მეტრი), რომელსაც წინ უღელზე მოსაბმელად გაყრილი აქვს ჩხირი, უკან ორი ვერტიკალური ნაჩვრეტია, ერთში ხის საკვეთელი, ხოლო მეორეში ხელნა თავსდებოდა. ამ იარაღით მუშაობის რეგულირებას მგუთნავი წარმართავდა მისი სურვილის მიხედვით. ამ ტიპის კავით ნიადაგის გაწერვა ერთ დონეზე არ ხერხდებოდა.

თუშური კავწერა

აღსანიშნავია, რომ კავის ტიპის სახვნელს დასავლეთ ევროპაშიაც ჰქონია გამოყენება.

თუშური კავწერა დამოუკიდებელი სახვნელი იარაღის მნიშვნელობით მაინც ვერ გამოიყენებოდა. კავწერით გაწერილ სახნავ იარაღს თუშური სახვნელი მოსდევდა და იგი ხნავდა. ასე რომ კავი დამხმარე იარაღის ფუნქციის შემსრულებელი ყოფილა, რაც შეხამებული იყო მთის ზოლის მეურნეობასთან და მის ბუნებრივ პირობებთან: ხრიოკი, მწირი და ფიცხი ნიადაგი პლუს მთაგორიანი რელიეფი, ამ ორი იარაღის კომპლექსური მუშაობით დაიძლეოდა.

სახვნელი იარაღის ამ ტიპის განვითარებული სახეები მოცემულია გურული და მეგრული სახვნელების სახით, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მეგრული სახვნელი, რომლის კონსტრუქციაში გამოყენებულია მხარისათვის დაყრდნობა. ფრჩხილზე, რომელიც ჩოჩიალა ურემშია გამოყენებული. ამ ტიპის სახვნელი დამოწმებულია სუმერეთსა და ეგვიპტეში, სადაც მისი არსებობა ენეოლითის ხანაზე მოდის.

თუშური კავის შემდეგ თავისი მარტივი კონსტრუქციით გამოირჩეოდა **სამმხრიანი კავი**. იგი შედგება: ერთიანი მხარ-კბილასა და სახელურისაგან. მას კბილაზე წამოეცმოდა რკინის სახნისი. კავში უღელი ხარი იბმოდა. ამგვარ სახვნელს ჩვეულებრივ ერთი კაცი უძღვებოდა, მას ცალი ხელით სახვნელი ეჭირა, მეორე ხელით კი ხარებს ერეკებოდა. კავით მუშაობას ნატეხ-ნამუშევარ ნიადაგებში მიმართავდნენ, ნასიმინდარის, მძრალის, ანეულის, და ზოგჯერ ნაწვერალსაც კავით ააკავებდნენ ხოლმე. აღნიშნულ იარაღს ძირითადად ხნულის ხელმეორედ მოხვნის მიზნით იყენებდნენ რასაც **ათშვა** ეწოდებოდა. ამგვარი კავი გვიანი პერიოდისათვის ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ ზოლში იყო გავრცელებულ-გამოყენებული. სამმხრიანი კავისმაგვარ სახვნელთა ტიპს განეკუთვნება აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული სახვნელები (მოხევური და ხევსურული).

სამმხრიანი კავის შემდგომს განვითარებულ სახეობას **ოთხმხრიანი კავი** წარმოადგენს. იგი შეიცავს განსხვავებულ ნაწილს ხმალას, რომელიც კბილებს და მხარს აერთებს. ამ იარაღს სხვადასხვა სახელით იცნობენ. პატარა ლიახვის ხეობაში და საერთოდ შიდა ქართლში **ჩუთს**, **ოქოქას** და **ოშსაც** უწოდებდნენ.

საქართველოში გავრცელებული ოთხმხრიანი კავის საკითხით არაერთი უცხოელი ქვეყნის მკვლევარი დაინტერესებულა. მათ იგი მიაჩნდათ საქართველოში ევროპიდან შემოტანილად (ბრაუნგარტი, ნოპშა, ლეზერი).

ორხელა გუთანი.
მხატვ. ს. ქობულაძე

თუ როგორ ვითარდებოდა ქართულ მარტივ სამმხრიან სახვნელ იარაღში ხმალას აუცილებლობა ამის შესახებ ევროპელი მკვლევრები სდუმან. ეს დუმილი კი იმითაა გამოწვეული, რომ ისინი კარგად არ იცნობდნენ საქართველოში გავრცელებულ ყველა ტიპის, მათ შორის, მარტივ სახვნელ იარაღებს. სამმხრიან სახვნელებიდან მესხურ, მოხევურ და თრიალეთურ სახვნელებზე დაკვირვება საკმაო ნათელ სურათს იძლევა იმის შესახებ, თუ როგორ თანდათანობითი ჩნდება სახვნელ კავში ოთხმხრიანი კავის ელემენტი, კერძოდ ხმალა, რომელიც ჯერ მხარის მოხრილობის კუთხეშია, ხოლო შემდეგ კუთხეს შორდება და წინ ინაცვლებს და ბოლოს სრულყოფილი სახით გვევლინება შიდა ქართლურ კავში და ფშაურ სახვნელში. საქართველოში გავრცელებულ სახვნელთა შორის განვითარების უწყვეტი კავშირია. ზოგიერთ სახვნელში წარმოდგენილი დაწინაურების მაჩვენებელი ელემენტი თუ ერთ რომელიმე სახის სახვნელმა მიიღო, მეორე კუთხეში მისი წინაპარი კვლავ ძველებური სახით არსებობს. ზოგიერთი სახის სახვნელი იარაღის ამგვარი კონსერვატიზმი იმითაც იყო გამოწვეული, რომ ადგილობრივი გარემო პირობებისათვის იგი მიწათმოქმედების მოთხოვნილებას კარგად პასუხობდა. ხევსურული სახვნელი ვერ განვითარდა ფრთიანი სახვნელის დონემდე, იმიტომ კი არა, რომ ხევსურები საქართველოს ბარის სამყაროს მოწყვეტილნი იყვნენ და იქაურ სახვნელებს არ იცნობდნენ, იმიტომ რომ ხევსურეთის პირობებში ხევსურული საკვნიელით ნიადაგი ზედაპირულად მუშავდებოდა, ისე, როგორც ამას ადგილობრივი პირობები მოითხოვდა, ნაკლები ჭირდებოდა გამწევი ძალა და ხელმარჯვე სამართავი იყო. ჩამოთვლილი გარემოება ხელს უწყობდა ამა თუ იმ კუთხეში გავრცელებულ სახვნელს შემოენახა პატრიარქალური ხანის მარტივი ფორმებიც.

საქართველოში გავრცელებულ სახვნელთა მომდევნო სახეობას **ორხელას** ტიპის სახვნელები შეადგენენ. ორხელა შედგებოდა: მხრის, ქუსლის, ორხლის, კოკოშის, სახნისის და საკვეთლისაგან. გამწევი ძალა ორხელაში ჩაბმული იყო ღვედის (ბარში) და კვანტების (მთაში) საშუალებით, იბმოდა 4–5 უღელი ხარი.



რაჭული სახვნელი.
მხატვ. უ. ჯაფარიძე

ორხელას ტიპის სახვნელი იარაღის შემდგომ განვითარებად სახეობა რაჭული სახვნელი წარმოგვიდგება, რომელიც ორხელასაგან განსხვავებუ-

ლია მეტად ორიგინალური ფორმის ფარფლიანი ქუსლით. რაჭული სახვნელის ფარფლიანი ქუსლი რამდენადმე არის წინ წასული სხვა სახვნელი იარაღების ქუსლების ფორმისაგან. სახელდობრ ოვალური ფორმის ქუსლი საშუალებას ქმნიდა, რომ ამ მარტივ სახვნელს არა მარტო მიწა აექექა, არამედ ნახევრად ცილინდრული ფორმის ფრთის მოვალეობაც შეესრულებინა და სახნისით აჭრილი ნიადაგი ფარფლზე აცურების შემდეგ გადმობრუნებით დაემსხვრია. მსოფლიოში გავრცელებულ სახვნელთაგან რაჭულს ანალოგი არ მოეპოვება და იგი თავისი ორიგინალობით უნიკალურ სახვნელად გვევლინება.

სახვნელი იარაღების განვითარების მომდევნო ეტაპია **ფამფალაკის** გაჩენა. ფამფალაკის ადრეული სახეობა ხასიათდება ტოლი გოგორებით. ფამფალაკი წარმოადგენს გუთნის ტიპის იარაღების დამხმარე შემადგენლობას, რომელზედაც დაყრდნობილია სახვნელი იარაღის მხარი – რვილა. იგი ხელს უწყობს სახვნელი იარაღის რეგულირებას, მის მუშაობას. ფამფალაკი შედგება: ორი გოგორის, ღერძისა, და შოლტასაგან. ქართულ დიდ გუთანს ახასიათებს არათანატოლგოგორებიანი ფამფალაკი, მესხურ ჯილღას კი ტოლგოგორებიანი ფამფალაკი ჰქონდა.

მესხური ჯილღა

ჯილღა სახვნელი თავისი აგებულებით უფრთო გუთანია და შედგება: რვილის, ხმალას, სახელურის (მანჭი), კბილას (ქუსლი), და სახნისისაგან. ჯილღას რვილი ვერტიკალურ ჭრილში გახრილია და ცხვირაწეული. რვილზე მოთავსებულია ღვედის გამოსადები კორა. ჯილღა გავრცელებული იყო მესხეთ-ჯავახეთში. თვით ტერმინი კი გარვცელებულა დასავლეთით აჭარაში, აღმოსავლეთით – სომხეთის ჩრდილო-დასავლეთის პროვინციებში.

ჯილღა, როგორც ფამფალაკიანი სახვნელი, ამავე დროს ისეთ ელემენტებს შეიცავს, რაც მას ფრთიანი გუთნისკენ გარდამავალ სახეობად გამოყოფს.

ქართული სახვნელი იარაღების განვითარების უმაღლესი ტიპია **ფრთიანი გუთანი**. გუთანი შედგებოდა: რვილის, მანჭების, ფრთის, ხმალას, კბილას, სახნისის, საკვეთელის, კაკაბის, საჯამბრე კორის და ფამფალაკის მოწყობილობისაგან.

ქართულ გუთნებს ნახევრადცილინდრული ფრთა ახასიათებს, ეს გარემოება ხელს უწყობდა აჭრილი ბელტის გადაბრუნებას მისი ნახევრად ჩამსხვრევით. უმეტეს შემთხვევაში აჭრილი ბელტი უწყვეტი ლენტის ზოლად რჩებოდა განსაკუთრებით სარწყავ რაიონებში.

გუთანს საქართველოში გავრცელებულ სახვნელთაგან განსხვავებული ფორმის სახნისი გააჩნდა, ეგრეთწოდებული ასიმეტრიული სახნისი, რასაც ცალფრთიან სახნისსაც უწოდებენ. ამ ტიპის სახნისები მხოლოდ ფრთიანი სახვნელებისათვისაა დამახასიათებელი.

აჭარული ჯილღა

დიდი გუთნის ერთ მნიშვნელოვან ელემენტს შეადგენდა ტყავის ღვედი. ღვედის საშუალებით გამწევი ძალა უღლებით გუთანს უკავშირდებოდა. ტყავის ღვედის ნაცვლად ზოგან გამოყენებული ჰქონიათ უსურვაზის ხის წნე-

ლები, ხის კვანტები და რკინის ჯაჭვი. ღვედის დამზადების კარგ მოხელეებად ითვლებოდნენ ხევსურები, რომლებიც თითქმის მთელ ქართლში და გარე კახეთში ჩამოდიოდნენ და ადგილზე აწარმოებდნენ ღვედების დაწვნას. ხევსურები შრომის საფასურად ხორბლეულს ღებულობდნენ. დიდ გუთანში ჩვეულებრივ 7–12 უღლამდე ხარი და კამეჩი იბმოდა, 8 უღელი მომუშავე გუთანს ორი ღვედი ესაჭიროებოდა. თითოეული ღვედისათვის კი 3 ხარის ტყავი იყო საჭირო.

დიდი გუთნით მუშაობა წარიმართებოდა მიწის ნაკვეთში ორი წესით. მიწა ერთ წელიწადს **ნაზურგით** იხვნოდა, მეორე წელიწადს **ნაღარით**. ნაზურგით ხვნისას ხვნა იწყებოდა სახნავი მიწის შუაგულიდან, ხოლო ნაღარით ხვნისას – სახნავი მიწის გვერდებიდან. მიწის ნაკვეთის მოხვნის ბოლოს იცოდნენ მოხნული მიწის თავისა და ბოლოს გადახვნა და ერთი ღრმა კვალის თავთაკვალის გავლება. თავთაკვალის დანიშნულება იყო ნიაღვრის ან წვიმის წყლისაგან ხნულის დაცვა.

სახვნელი იარაღის კლასიფიკაცია. სახვნელი იარაღი ეწოდება ისეთ იარაღს, რომლის დანიშნულებაა საქონლის ძალის შემწეობით შეამზადოს მიწა თესლის მისაბარებლად. ნიადაგის დამუშავება ნაირი სახისა შეიძლება იყოს ნიადაგის თვისებების, რელიეფის, ტენიანობისა და სხვათა მიხედვით.

უძველესი სახვნელის რკინის სახნისის არსებობა არქეოლოგიური მონაცემებით დასტურდება ძვ. წ. აღ. IV–IIს. (სოხუმი, უფლისციხე) და უფრო გვიან ძვ. წ.აღ. V-საუკუნეში. (დმანისი)

იმის შესაბამისად, თუ რა ფუნქციას ასრულებს სახვნელი იარაღი ნიადაგის დამუშავების პროცესში, ხერხდება მათი კლასიფიკაცია, როგორც ტიპოლოგიური, ასევე გენეტიკური.

სახვნელი იარაღის **პირველი სახეობა** მარტივი კონსტრუქციის ის იარაღებია, რომელთაც შეუძლია ნიადაგის მხოლოდ გაწერა. მასში შეიბმის ერთი ხარი, სახედარი, ცხენი, ან უღელი ხარი. ამ სახვნელ იარაღს აქვს მხარი, ხელნა და ეშვი, მიწის გასაწერად. უპირატესად ის ერთი მთლიანი ხეა, სათანადოდ შერჩეული და სათანადოდ გამოყენებული. დროთა ვითარებაში ამ სახვნელი იარაღის მრავალი ქვესახეები წარმოიშვა. ამ სახვნელ იარაღს ყველაზე უკეთ მიგვანიშნებს ის, რომ მას არ აქვს ქუსლი, აგრეთვე სახნისი და საკვეთელი. ამ ტიპს განეკუთვნებიან სუმერული, ევროპული უძველესი სახვნელი იარაღები. ამის დერივაციაა რუსული – სოხა. საქართველოში წარმოდგენილია **კავწერა || საწერას** სახით.

მეორე ტიპის სახვნელ იარაღს განეკუთვნებიან ის იარაღები რომლებიც ნიადაგის ასაჩეჩავად, ასაქექად არის განკუთვნილი. ამ იარაღს აქვს გრძელი მხარი, ხელნა და ქუსლი. მასში ერთი წყვილი ხარი ებმის. მისი ქუსლი მაგარი ხისაა, რომელიც ძველ აღმოსავლეთში „შავი ხისაგან" მზადდებოდა, ვინაიდან სახვნელ იარაღებს ჯერ კიდევ ლითონის სახნისი და საკვეთელი არ გააჩნდათ. იმის მიხედვით თუ სად რა სახის ნიადაგია, ამ იარაღს უკეთდება ქუსლში ჩამჯდარი მხარი, ან კიდევ ხელნაში გაყრილი სწორი მხარი. დროთა ვითარებაში ეს სახვნელი იარაღი შედარებით მძიმე მიწების მოსახნავად იძენს ხმალას. ამ იარაღის უკეთ გამოყენების მიზნით, მისი მხარი უღელს მოძრავად უკავშირდება, რაც ხელს უწყობს მას მუშაობის პროცესში გვერდი აუქციოს ძირკვებს



ქართული სახვნელი იარაღების გენეალოგიური ცხრილი

I ნიადაგის გასაწერად განკუთვნილი მარტივი კონსტრუქციის სახვნელები

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართული სახვნელი იარაღების ეენეალოგიური ცხრილი

II ნიადაგის ასაჩეჩად განკუთვნილი სახვნელი სახვნელი იარაღები
III ფამფალაკიანი სახვნელი იარაღები
IV ფამფალაკიანი უფრთო სახვნელი იარაღები
V მუხრანული გუთანი

და ქვებს. ამავე იარაღის მართვა პირად და ღრმად აჩეჩვის მიზნით შეიძლება სოლების შემწეობით, რომლებითაც რეგულირდება ქუსლისა და მხარის ურთიერთშიმართება. ამას გარდა, იმის მიხედვით, თუ რა დახრილობითაა ხელნა ქუსლში დამაგრებული, სახვნელი იარაღი უკეთეს ან ნაკლებ ეფექტს იძლევა ხვნის დროს. სახვნელი იარაღის ეს ტიპი ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანის ფარგლებში იწყებს არსებობას და ხმელთაშუაზღვის აუზში ფართოდ ვრცელდება. ის ხანგრძლივად არსებობს მომდევნო ხანაშიც, როცა მას რკინის სახნისი და საკვეთელი უჩნდება. ამ ხანაში დაწინაურებულია მშრომელი მოსახლეობის აგროტექნიკური ცოდნა, შექმნილია სასოფლო სამეურნეო კალენდარი, რეგლამენტირებულია მიწის დამუშავების ვადები, შექმნილია სარწყავი სისტემები და ამის შესაბამისად, სამიწათმოქმედო კულტი მისტერიებითა და ღვთაებებით. რიგ ქვეყნებში ფართოდაა გავრცელებული ხარის თაყვანისცემა.

მესამე სახის სახვნელი იარაღი, რომელიც ბელტს ჭრის და კვალს ავლებს, მოკლე მხრიანი, წეწენიანი ან ფამფალაკიანი სახვნელი იარაღია. წეწენასი და ფამფალაკის სახით მის მხარს უჩნდება საყრდენი, რაც სახვნელი იარაღის მუშაობას აადვილებს, გამწევ ძალას შრომას უმსუბუქებს, ხოლო გუთნისდედას სახვნელი იარაღის მართვას. ამ სახვნელ იარაღში რამდენიმე უღელი ხარ-კამეჩი შეიბმის (2–4 უღელი). თუ ამასთან ერთად გავითვალისწინებთ, რომ ამ ტიპის სახვნელ იარაღს რკინის სახნისი და საკვეთელი აქვს, ცხადია, ამ გარემოებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა სოფლის მეურნეობის აღმავლობაში. უკვე შესაძლებელი შეიქმნა გრძელი ველების მოხვნა, ფართო კვალის გატანა და ამის შედეგად მოსავლის მატება. მოსავლის გადიდების გამო საჭირო გახდა ისეთი სალეწი იარაღის დამზადება, რომლის შემწეობით ადვილად მოევლებოდა მოწეული მარცვეულის თავთავებს. გაჩნდა იმ დროისათვის დაწინაურებული სალეწი იარაღები – კ ე ვ რ ი და ჯ ა რ ჯ ა რ ი, რომლებიც ცხოველის გამწევი ძალით მუშაობდნენ. ზემოთქმულს დავძენთ, რომ ამ ხანად, მოსავლის გადიდების მიზნით, ადგილი აქვს მიწის დასვენებას, თესლბრუნვას და შერეული თესლის გამოყენებას. ფეხს იკიდებს და თანდათან ვითარდება ხალხური სელექცია, თანდათან ცალკეული მხარეების მეურნეობაში მკვიდრდება სპეციალიზაცია.

ისევე როგორც სახვნელი იარაღების პირველ და მეორე ტიპს, ამასაც უჩნდება მრავალი ქვესახე და ვარიანტი, რომლებიც მეტნაკლებად შეგუებული იყვნენ ცალკეულ მიკროარაიონებთან, ამ ტიპის გავრცელების არე მეტწილად სამხრეთ ევროპის სამხრეთის ნაწილი და დას. აზიის დასავლეთის ქვეყნებია.

მეოთხე სახის სახვნელი (ერქვანი|| ჯილღა, გოგორა) იარაღი არის ფამფალაკიანი უფრთო სახვნელი იარაღი, რომელსაც თანაბარი ზომის ბორბლები აქვს. მისი არსებობა ივარაუდება V საუკუნიდან. ამ სახვნელმა იარაღმა გადამწყვეტი როლი ითამაშა სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

ამ ტიპს მოჰყვა შუა საუკუნეებში ფამფალაკიანი სახვნელი იარაღის ახალი საფეხური, როდესაც ფამფალაკის ბორბლები სხვადასხვა დიამეტრის მზადდება, ხოლო მისი ფრთა ოვალური ფორმის კეთდება. ეს იძლევა ღრმა ხვნის შესაძლებლობას და ხელს უწყობს აჭრილი ბელტის გადაბრუნებას და მის დაფშვნას. ამ სახვნელ იარაღს სახნისი ასიმეტრიული ფორმისა უკეთდება, მასში 8–10 უღელ ხარ-კამეჩს შეუბამენ ხოლმე. მისი გავრცელების ძირითადი არე ირანი და კავკასიაა. საქართველოში ცნობილია **მუხრანული გუთნის** სახელწოდებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახვნელ იარაღს ყველგან არ გაუვლია ჩვენ მიერ ზემოთ ნაჩვენები გზა, მარტივიდან რთულ იარაღამდე, საწერადან ფამფალიკიან გუთნამდე. ზოგ ქვეყანაში მისი განვითარება შედგა სახვნელი იარაღების განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე. მაგრამ იმ ქვეყნებში, სადაც ასეთ მოვლენას ადგილი ჰქონდა, არსებული სახვნელი იარაღის ძირითადი ტიპის საფუძველზე გამომუშავდა ამ ტიპის ქვეტიპები და ვარიანტები, რომლებიც მიწის ნიადაგის უკეთ დამუშავებას ემსახურებოდნენ.

სვანური სახვნელი

სახვნელი იარაღების განვითარების ჩვენ მიერ დასახული გზა მიღწეული იქნა უშუალო მწარმოებლის ემპირიული ცოდნის, პრაქტიკული დაკვირვების საფუძველზე, ხოლო მას შემდეგ, რაც ნიუტონის მიერ მექანიკის კანონი იქნა აღმოჩენილი, მისი გამოყენების საფუძველზე გაჩნდა ფაბრიკული სახვნელი იარაღები, დამყარებული სამეცნიერო ცდებზე. ძველი სახვნელი იარაღები შეცვალა ამ ახალმა იარაღებმა.

სახვნელი იარაღების განვითარების გზა ნათლად შეიძლება წარმოვიდგინოთ საქართველოს მაგალითზე.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ საუკუნეთა განმავლობაში სახვნელი იარაღის თანდათანმა გაუმჯობესებამ და ახალ-ახალმა სახეობამ წინამორბედი სახეობა მთლიანად ვერ მოსპო, რადგანაც თითოეული სახის სახვნელ იარაღს გამოიყენების საკუთარი არე ჰქონდა. ამიტომ ცხოვრების სინამდვილემ ქართველ ხალხს სახვნელის განვითარებისა და გაუმჯობესების სხვადასხვა საფეხურის გამომხატველი და სხვადასხვა სირთულის მქონებელი სახეობა დღევანდლამდისაც კი შეუნარჩუნა. ამ გარემოებამ საქართველო სახნავი იარაღების ცოცხალ მუზეუმად აქცია.

ისიც სათქმელია, რომ თუ ერთხელ მიგნებულია ამა თუ იმ საგნისა თუ იარაღის ისეთი ფორმა, რომელიც სავსებით აკმაყოფილებს თავის დანიშნულებას, იგი საგანი თუ იარაღი, დიდხანს ინარჩუნებს არსებობას და საუკუნეების მანძილზე ემსახურება საზოგადოების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

მართლაც, დღემდე საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მრავალი სახის სახვნელი იარაღია გამოვლენილი. როგორც ამას მოწმობს სახვნელი იარაღების შესწავლის შედეგები. ამაზე მჭევრმეტყველურად მიგვანიშნებს თუნდაც სახვნელი იარაღების უხვი სახელწოდებები: **კავ-წერა, საწერა, ანანა, ოქმა, ნუთი, აჯილდა, ჯილდა, ოვაფა, საკვნიელი, ღენწუაში, ერქვანი, ხარწარაღი, ბალალი კავი, დაბალი კავი, გუთანი, დიდი გუთანი, არონა** და სხვა. ამ სახელწოდებებიდან ერქვანი უნდა ეკუთვნოდეს ქართველი ტომების ერთობის ხანას, სანამ საერთო ქართულს გამოეყოფოდა სახელები: **სვანური – ღენწუაშ** და **მეგრული – ოვაფა**.

სახვნელი იარაღების თითოეული სახეობა შეგუებული იყო ჰავის, ნიადაგების, ტენიანობის, რელიეფის თავისებურებებთან, ქვეყნის ამა თუ იმ მიკრორაიონის სპეციფიკასთან და საზოგადოებრივი განვითარების დონესთან. იმის გამო, რომ საქართველოს ბუნებრივი პირობები და ადამიანის მიერ მასში შეტანილი ცვლილებები ნაირსახისაა, წარმოდგენილია მრავალი მიკრორაიონი

ვერტიკალური და ჰორიზონტალური ზონალობის მიხედვით, ასევე სახვნელი იარაღების ნაირსახეები და მათი ვარიანტებია გამომუშავებული.

საილუსტრაციოდ შეიძლება ერთი-ორი მაგალითი დავასახელოთ.

ქუთაისის მიკრორაიონში (იმერეთში) მაგარი ქვიანი მიწის მოსახნავად **იმერული კავი** იხმარება, რომლის სახნისს ფრთები არ აქვს და არც მჭრელი გვერდები. ხოლო ამავე მიკრორაიონის რბილი მიწების მოსახნავად გამოყენებული იყო იგივე კავი, ოღონდ მისი სახნისი იყო მჭრელი და ფრთებიანი, ეგრეთ წოდებული **საბალარი სახნისი**. ამავე ნიადაგების მოსახნავად გამოყენებული კავი ერთ შემთხვევაში „მაღალი" იყო, ე.ი. დიდი გაბარიტით ქუსლსა და სახვნელის მხარს შორის, მეორე შემთხვევაში „დაბალი" სათანადო გაბარიტით იმავე ქუსლსა და მხარს შორის.

მეორე მაგალითი. ცხავატურას ხეობაში სახნავი მიწის მეტისმეტად დიდი სიმცირის გამო მოსახლეობა საუკუნეების მანძილზე იძულებული იყო ბუნებისაგან გამოეგლიჯა საყანედ გამოსადეგი მიწის თითეული ნაკუწი – წინდაწინ ქვები აეკრიფა (მოკარება), მოეზიდა მიწა, საქონლის პატივი და ყორით შეემაგრებინა დასამუშავებელი ნაკვეთი. ასე ხელოვნურად შექმნილი ნიადაგის მოხვნას აჩაჩით შეეძლო გამოეწვია ნიადაგის ჩამოწოლა, დედამიწის გაშიშვლება; ამ შემთხვევაში, კლდის ასეთი ნიადაგის გაწერა კავწერათი საკმარისი იყო თესლის მისაბარებლად.

ასევე, ნიადაგის დამუშავების სხვადასხვა ხერხების გამოყენებას ადგილი აქვს სხვა შემთხვევებში. საკმარისია მოვიგონოთ, რომ საქართველოში არის ნიადაგები: ფხვიერი, მშრალი, ურწყავი, სარწყავი, ღონიერი, მშირი, ზვარე, ჩირდილი ან კიდევ მთის, ბარის, დაბლობის, ფერდასი, ვაკის, ტერმინებით – **რზენი, დოვბერი, ლაკადა, ვოლა**.

კიდევ ერთი მაგალითი. მდინარე ალაზნის მარცხენა ნაპირზე, სადაც ნიადაგი მსუბუქია და ნაწილობრივ ქვიშიანი, მიწას ხნავენ მძიმე გუთნით, ამავე გუთნით ხნავენ მიწებს ამავე მდინარის მარჯვენა სანაპიროზე, სადაც მძიმე, თიხიანი ნიადაგია. უკანასკნელი გარემოება იმით არის გამოწვეული, რომ აქ სარწყავი წყლის ნაკლებობაა და მიწას მეტი სინესტე რომ შეუნარჩუნონ, ხნავენ ღრმად – მძიმე გუთნით.

სხვა შემთხვევაში მტკვრის გასწვრივ ველებზე მიწებს ხნავენ მსუბუქი სახვნელი იარაღით, რომელიც თიხნარებს პირად ხნავს. იმის გამო, რომ აქ მიწები ირწყვება, ღრმა ხვნა საჭირო არ არის.

საქართველოს ტერიტორიაზე, მის მთიან ხეობებსა და გორაკებზე (ქართლი, რაჭა-ლეჩხუმი) ნეოლითის ხანაში მიწათმოქმედება, რიგი ნიშნების მიხედვით, ჩასახული უნდა ყოფილიყო. ამაზე მიგვანიშნებს აქ ველური პურეულის არსებობა და ჩვენამდე მოღწეული პურეულის ისეთი ჯიშის მოწმობა, როგორიცაა **მახა** (Triticum Dek. et Men). ეს პურეული თავისი თვისებებით ორბუნებოვანია, მასში ერთი მხრივ, მოცემულია გარეული მცენარის თვისებები (მტვრევადობა, ცვენადობა, თვითესვადობა), ხოლო მეორე მხრივ, კულტურული პურეულის თვისებები. ამდენად იგი გარდამავალი სახეობაა ველურიდან კულტურული პურეულის სახეობაში. ამგვარად გარდამავალი საფეხურის პურეულს არ იცნობს პურეულის ჯიშების გამომყვანი არც ერთი დღეისათვის დადგენილი ცენტრი (წინაზაზის, შორეული აღმოსავლეთის, შუა ამერიკის და სამხრეთ ამერიკის ცენტრები). ამას ისიც უნდა დავძინოთ, რომ როგორც ეს ბოლო ხანების გამოკვლევებით დადგინდა, ამ გარეული პურეულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაკულტურებას ხელი შეუწყო სარეველა ბალახმა (Aegilops squarrosa), რომელიც ჩვენში უხვად მოიპოვება.

შნაკვი

ძვ.წ.IV ათასწლეულში საქართველოს ტერიტორიაზე უკვე იყო ბინადარი ცხოვრება ალიზიანი შენობებით, შუაცეცხლით, ქვისა და რქის თოხით, კაჟის ჩასართავიანი ნამგლით, მოშინაურებული რქოსანი საქონლით, მოშინაურებული მცენარეულით – ქერი, მახა, ზანდური, – ორმო მარცვლის შესანახად, მოწნული კალათით, ხილის საკრეფი იარაღით და პურის საკრეფი იარაღი – შნაკვით, რაჩხითა და ფილთაქვით, როგორც ამას კაგად მოწმობს შიდა და ქვემო ქართლის და იმერეთის არქეოლოგიური მასალები და რაჭა-ლეჩხუმის ეთნოგრაფიული მონაცემები. ამასთანავე დადგენილია, რომ დღემდე ჩვენამდე მოღწეული პურის საკრეფი იარაღი **შნაკვი** ახლდა პურეულობის ისეთ ძველისძველ ჯიშს, როგორიცაა მახა. მთელს მსოფლიოში ამჟამად შნაკვი ჩვენს გარდა შემონახულია მხოლოდ ასტურიაში, ბისკაიას (ბასკების) მეზობლად, სადაც მას ეწოდება mesories.

ძვ. წ. III ათასწლეულში დადასტურებულია პურეულის გარკვეული ჯიშები, მორწყვა მთის ხეობებში და ნაკადულებით ერთდროული, თესვა წვიმის დროს კვწერა ნიადაგის გასაწერავად.

მეორე ათასწლეულში დასახლების პუნქტებს უჩნდება ალიზის გალავანი, ვითარდება მომთაბარე მესაქონლეობა, შემოდის ბორბლიანი ტრანსპორტი. მიწის დამუშავება ადის ახალ საფეხურზე. მიწის გაწერის სისტემა გადადის ნიადაგის აჩეჩვა-აქექვის წესზე. ამ სანის სახვნელი იარაღის ტიპური ნიმუში მოცემულია ხევსურული და ფშაური აჩაჩასა და იმერული კავის სახით. ამ სახვნელ იარაღს მხარი აქვს ან მოხრილი და ქუსლში ჩამჯდარი, ან სწორი და ხელნაში გაყრილი. ამავე სახვნელ იარაღს ზოგჯერ უკეთდება ხმალა, მძიმე მიწებზე სამუშაოდ, მასვე ქუსლი მაგარი ჯიშის ხიდან ძელქვისგან აქვს გაკეთებული.

ძვ. წ. პირველ ათასწლეულში საქართველოს ტერიტორიაზე ადგილი აქვს ახალ აღმავლობას სოფლის მეურნეობაში. ხმარებაში შემოდის მაგარი რკინა (ფოლადი). სახვნელ იარაღს უჩნდება ჯერ რკინის სახნისი, ხოლო გვიან რკინის საკვეთელი. სოხუმთან და უფლისციხესთან აღმოჩენილი რკინის სახნისები თარიღდება ძვ.წ. VI–IX სს. ორივე სახნისი სიმეტრიულ-სოლისებურია და განკუთვნილია ორხელა სახვნელი იარაღებისათვის. ამ ხანაში ადრე არსებულ სახვნელ იარაღს უმოკლდება მხარი და უჩნდება მხრის თავის საყრდენი წ ე ფ წ ე ნ ა || წ ე რ წ ე ნ ა ს სახით, რაც აადვილებს სახვნელი იარაღის მუშაობას და ხელს უწყობს ბელტის აჭრას. ეს იარაღი შემდეგში თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს აღწევს. ესაა ეგრეთ წოდებული რაჭული სახვნელი, რომელიც თავისი სიმსუბუქით, წეწენათი, მოკლე მხრით და ქუსლის კონსტრუქციით (ფარფლიანი ქუსლი), ხნულის გასაღრმავებელი და დასავაკებელი საშუალებებით კარგად მუშაობს ფერდობზე, ის თავისი წეწენა-წინმავალას შემწეობით ადვილად ეგუება ნიადაგის რელიეფს. გუთნის მსგავსად ბელტს აბრუნებს და ფშვნის. იქ, სადაც დიდ გუთანს არ შეუძლია მუშაობა – რაჭული სახვნელი კარგ შედეგს იძლევა. ამ იარაღის განსაკუთრებული თავისებურება მისი ფარფლიანი ქუსლია, რომლის მსგავსი, გარდა ქართველებისა, სხვა მოდგმის ხალხის სახვნელმა იარაღმა არ იცის. ამავე ხანაში ფართო გამო-

ყენებას პოულობს სალეწი იარაღი – კევრი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იბრ-
ეროვნული ბიბლიოთეკა
დება შრომის ნაყოფიერება, მატულობს ზედმეტი პროდუქცია, ვითარდება
სპეციალიზაცია სოფლის მეურნეობაში. სოფლის მეურნეობა მრავალდარგი ნი
ხდება. გაღრმავდა სოციალური დიფერენციაცია. პირველ ხანებში ზედმეტი
პროდუქცია ხმარდება სამლოცველოების აგებას, თანდათან სატაძრო მეურ-
ნეობა თეოკრატიის ხელში გადადის და ზედმეტ პროდუქციას ითვისებს თეო-
კრატიული ხელისუფლების გაბატონებული კლასი.

ამავე ათასწლეულის მიწურულში სახვნელ იარაღს უჩნდება ფ ა მ ფ ა ლ ა -
კი თანაბარი დიამეტრის ბორბლებით, რაც შესაძლებლობას იძლევა ერთ-
დროულად მოიხნას ბარის საყანე დიდი მინდვრები. თუ მოკლემხრიან, წურ-
წერიან ორხელში 2–4 უღელი ხარი ებმოდა, ახლა ჯილღა გოგორაში 4–6 უღელ
ხარ-კამეჩს უბამდნენ. სამიწათმოქმედო სისტემა ბელტის მოჭრასა და გადა-
ბრუნებას უკავშირდება, რაც ხელს უწყობს ნიადაგის სტრუქტურის აღდგენას.
ფართო ხასიათს იღებს თესლბრუნვა და მიწის დასვენება. გვალვის საწინააღ-
მდეგო რაციონალურ ხერხებთან ერთად აღინიშნება ირაციონალური საშუა-
ლებების (წყლის ხვნა და სხვა) გამოყენება.

ფეოდალიზმის დასაწყისისათვის ჯილღა-გოგორა, რომელსაც ამჟამად, ბიბ-
ლიის თარგმანის მიხედვით, **ერქვანი** ეწოდება, აღჭურვილია, ფამფალიკის გარდა,
რკინის სახნისითა და საკვეთლით. ეს იარაღი ბელტს ჭრის და აბრუნებს, ხოლო
XI-XII საუკუნეებში ფრთების ოვალური ფრთის შემწეობით ბელტს ჭრის, აბრუ-
ნებს და ფშვნის. ამას კიდევ უფრო მაღლა აყავს მიწათმოქმედება. ღრმად ხვნა
გამოყენებულია გვალვის საწინააღმდეგო საშუალებად, ხოლო ბელტის გადა-
ბრუნება და დაფშვნა ნიადაგის სტრუქტურის შესანარჩუნებლად. ამიტომ არის,
რომ ამ სახვნელ იარაღში, რომელსაც უკვე **გუთანი** ეწოდება და ერქვნისაგან
განსხვავებით არათანაბარი გოგორები აქვს, 8–10–12 უღელ ხარ-კამეჩი ებმის
ხოლმე თავისი ფორმით გუთნის უღლები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. არის
საყვერის უღელი, საწკეპი, საგორავი, თავი ხარის უღელი. გუთანი დიდი
რაოდენობით მუშახელს საჭიროებს: **გუთნისდედა, მწაფელები, მეხრეები**.

გამოანგარიშებულია, რომ გუთნეულის ოთხი უღელი ხარისათვის საჭირო
ღვედს უნდება ორი ხარისა და ერთი კამეჩის ტყავი. სხვა არის ჭაპნები, უღ-
ლები, აპეურები, ლითონნი სახნის-საკვეთლისათვის და სხვა. ამ სახვნელ იარაღს
უჩნდება ასიმეტრიული სახნისი, რომელიც ცალ მხარეზე მუშაობს,. ასეთი სახვ-
ნელი იარაღის აწყობას, გამართვას და მუშაობას მცოდნე პირი უნდოდა და
დიდ ორგანიზაციას მოითხოვდა. ამითაა გამოწვეული ჩვენს ფოლკლორში გაი-
დიალიზებული გუთნისდედა, გუთნეულთან დაკავშირებული შრომის სიმღე-
რები. მემატიანე აღნიშნავს გუთნურ სიმღერას, რომელსაც მგუთნავები მღერო-
დნენ გუთნით მუშაობის დროს.



დიდი გუთანი

თავისთავად ცხადია, რომ ამგვარი
იარაღი თავის ფამფალიკით – კვალისა
და ველის გოგორებით, სახნის-საკვეთ-
ლით, ოვალური ფრთით უფრო პრო-
დუქტიული იყო, ვიდრე სხვა სახვნელი
იარაღი. მისი მართვა-დაყენება, ხვნის
რეგულაცია წარმოებდა ჯამბარით, სო-
ლებითა და წკირებით. ამავე დროს ხაზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სახვნელი იარაღის ეს სახეობა ვაკე ადგილი-სათვის იყო განკუთვნილი, მას მუშაობა მთიანეთში არ შეეძლო.

თავისი გავრცელების მიხედვით ეს იარაღი დამოწმებულია ქართლის ვაკეზე, რომელსაც ზღვის დონიდან 400–700მეტრის სიმაღლე აქვს და სადაც შემდეგი ველებია გადაჭიმული: ზემო ქართლის, გორის, ტირიფონის, მუხრანის, საგურამოს, ქარწლის, წითელქალაქის, კოდის და გარდაბნის, ასევე კახეთის ველებზე, მესხეთ-ჯავახეთის ზეგანზე და დასავლეთ საქართველოს ნაწილში.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ხის გუთნის გაუმჯობესება იმით გამოიხატება, რომ მას ქუსლი, ხმალა, ფრთა, კაკბები, როლებიც მანამდე ხისა იყო, რკინით შეცვალეს. ამ გუთანს **მუხრანული გუთანი** ეწოდება.

სახვნელი იარაღების შემოღებას ისტორიულად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მან დიდი გავლენა იქონია ცივილიზაციის დაწინაურებაზე.

ტერმინ „გუთნის“ ეტიმოლოგიისათვის. ხის დიდი გუთანის წარმოშობას მკვლევარები XI-XII საუკუნეებში ვარაუდობენ. აღსანიშნავია ის, რომ X საუკუნემდე ქართულ მრეწველობაში ყველა ტიპის სახვნელი სახელწოდების აღსანიშნავად ტერმინი **ერქვანია** გაბატონებული. ტერმინი გუთანი კი ამ პერიოდიდან შემოდის. სულხან საბა ორბელიანის ლექსიკონში ჩვენ გვაქვს მოცემული ერქვანების განმარტება: „ორისა კარისასა ეწოდების – ოქოქა და აჩაჩა, ყევრის კარისასა – არონა და ოთხსა და ხუთს უღელეულ ბმულსა ჯილღა და კარმრავალ ბმულსა ერქუანი და ყოველივე სახელი არს ზოგადად“. ხოლო გუთანს უწოდებენ „საკვნელსა კნულთასა“. მაგრამ გუთანი, როგორც ტერმინი, ქართველ ტომებში გამოხატავდა არა მარტო ფარმფალაკ-ფრთიან სახვნელ იარაღს, არამედ ზოგად ტერმინათაც გვევლინება. ქართველთა მეზობელ ტომებში – სომხებს, აზერბაიჯანლებსა და თურქებში ტერმინი გუთანი ფამფალაკიანი სახვნელის გამომხატველია. მეზობლებს ტერმინი გუთანი მაშინ უნდა ესესხათ, როდესაც გუთანი უკვე ფამფალაკიან სახვნელს აღნიშნავდა. მეზობელ ტომებს ფამფალაკიანი სახვნელი ქართველთაგან უნდა გადაეღოთ და მასთან ერთად ტერმინი გუთანიც.

რაც შეეხება სახელწოდება გუთნის წარმოშობას დღეისათვის გამოურკვეველია. ცხადია მხოლოდ ის, რომ როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ არც ინდოევროპული, არც სემიტური, არც თურქულ-მონღოლური წარმოშობის სიტყვა არ არის. მართალია ბოლო ხანებში სტამბულის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯაფერ-ოღლემ სცადა გუთან-ქოთანის ეტიმოლოგიის გარკვევა მოეცა, მაგრამ ჩვენი აზრით, თურქულენოვან ამიერკავკასიისა და მცირე აზიის მოსახლეობაში გავრცელებული სახელწოდება ქოთანი, რომელიც ჩვენი აზრით ქართულიდან უნდა მომდინარეობდეს, უკავშირდება შუა აზიის თურქულ მოსახლეობაში დამოწმებულ ამგვარსავე სიტყვას, რომელიც სემანტიკურად აღნიშნავს წრის შემოვლებას, წრის შემოხაზვას. ავტორი იშველიებს ძველ ასურულ წეს-ჩვეულებას, რომლის მიხედვით გადამდები სენის გავრცელების დროს მოსახლეობა სენისაგან თავდაცვის მიზნით წრეს შემოავლებდა დასახლებულ ტერიტორიას.

გასათვალისწინებულია აგრეთვე ისიც, რომ შუა აზიის თურქებში მიღებული იყო აჩაჩა ტიპის სახვნელი იარაღი (თურქულად -ომაჩ) და ანატოლიელ

თურქებს, რომლებიც შუაზიიდან არიან მოსულები, შეეძლოთ მოეტანათ დასახელებული იარაღი და არა ისეთი რთული, კომპლექსური იარაღი რომ-გორიც დიდი გუთანია.

სახვნელ იარაღებთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაცია. ხვნის დროს შრომის ორგანიზაციის ყველაზე მარტივ სახეს შეადგენდა ქართლ-კახეთში საყოველთაოდ გავრცელებული **ნაცვალვარდა** ანუ **რიგრიგა** (ზოგან, მაგ. ფშავში, **ხელნაცვლობასაც** უწოდებენ, ხევსურეთში – **შანდავობას**). **ნაცვალვარდა** (იგივე რიგრიგა) გულისხმობდა ორი ან რამდენიმე გლეხის შეამხანაგებულ მუშაობას თანაბარი გამწევი ძალითა და იარაღებით. ასეთ დროებით გაერთიანებას მიმართავდნენ, როგორც მარტივი სახვნელი იარაღებით ხვნისას ისე სხვა საშური საქმეების შესრულების მიზნითაც (ბარვის, თოხნის, მკის, აოშვის და სხვ.).

ნაცვალვარდობაში შესული გლეხები მორიგეობით ერთი მეორეს შველოდნენ. ხვნასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის, ეგრეთწოდებული კოოპერაციული გაერთიანების უფრო რთული ფორმა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული **მოდგამის** და **ამბაზის** სახელით არის ცნობილი.

მოდგამი, როგორც ხვნის დროს წარმოდგენილი გაერთიანება, გულისხმობა ხარ-კამეჩითა და სახვნელი იარაღით ერთად შეყრასა და სარგო ხვნის დღეების გაერთიანებაში შესული ადამიანის გამწევი ძალისა და იარაღების მიხედვით მორიგებას. შუა საუკუნეებში მოდგამის წევრს **შეკომე** რქმევია.

გამართული დიდი გუთნით მუშაობისათვის ჩვეულებრივ 8 უღელი ხარი და კამეჩი იყო საჭირო, მაგრამ იყო გამონაკლისებიც, როცა მეტი ან ნაკლები იბმოდა. ეს დამოკიდებული იყო ნიადაგების ხარისხზე და მოდგამის შეძლებაზე.

8 უღელი გამწევი ძალით მომუშავე გუთნის მოდგამში 5–6 კაცი შედიოდა აქედან ერთი **გუთნისდედა** იყო. იგივე წარმოადგენდა მოდგამში ძირითადი ინვენტარის მფლობელს. მას ეკუთვნოდა: გუთანი, ღვედები, სახნის-საკვეთელი და ზოგჯერ უღელ-აპეურებიც კი, რასაც ძველად საერთოდ კუტ იარაღს უწოდებდნენ. მოდგამი წელიწადში ორ ალოს იგივე ორ თაობას ხვნავდა. **ალო** და **თაობა** გულისხმობდა მოდგამის ყველა წევრისათვის კუთვნილ სახნავი დღეების ხანგრძლივობას ხვნის ერთ სეზონში. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ალო ერთი დღის ხვნასაც ეწოდებოდა. თაობაში დღეების განაწილება ასე იყო წარმოდგენილი: ანეულის ალოზე გუთნის დედისათვის ორი დღის ხვნა იყო დაწესებული, მეხრისათვის ერთი დღე, ღამის მეხრეს ორი დღე თითოეულს, თითო ხარს – თითო დღე (XIX ს. I ნახევარში უღელ ხარს ერთი დღე ეძლეოდა), სახნისს – ორი დღე, საკვეთელს ერთი დღე, თითო ღვედს – თითო დღე. ჯამბარა – აპეურისათვის – ერთი დღე. თაობა ანუ ერთი ალო 30–35 დღეს გრძელდებოდა. თუ მოდგამის წევრებს თაობის დამთავრების შემდეგ კიდევ დარჩებოდათ მოსახნავი, მაშინ ხვნის სეზონს კიდევ 10–12 დღით აგრძელებდნენ. ამას **მოკლე ალოს** უწოდებდნენ. მოდგამში შემავალი წევრები ყველიერში უნდა შეკრებილიყვნენ, რასაც მოდგმების „შეთხუზვას" უწოდებდნენ. მოდგამში მეზობლები ან თანასოფლელები ერთიანდებოდნენ. თითოეულ სოფელში. იქ სადაც 100 კომლი მაინც ცხოვრობდა საშუალოდ 8–10 გუთანი გამოდიოდა

სამუშაოდ. მოდგამის წევრი მოდგამს ვერ უღალატებდა. ე.ი. მას ბოლომდე, ვიდრე ხვნის სეზონის დამთავრებამდე კეთილსინდისიერად უნდა ემუშავა.

მოდგამი დილით ადრე იწყებდა მუშაობას და ხ ა რ თ გ ა მ ო შ ვ ე ბ ა მ დ ე მუშაობდა (ე.ი. მზის ჩასვლას რომ ერთი საათი ან საათნახევარი დააკლდებოდა). საერთოდ ვიდრე ხვნას შეუდგებოდნენ მოდგამის წევრები სოფლურად სამღვთოს იხდიდნენ ხოლმე, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ მოდგამი ერთი დღის ხვნას ყიდდა და ამ ფულით საკლავს (ამ შემთხვევაში ცხვარს) ყიდულობდა. ამ საქმეს სოფლის გუთნისდედები თაობდნენ და ნადიმს მართავდნენ ხოლმე. ამის შემდეგ გუთანი მინდორში უნდა გაეტანათ და ხვნა დაეწყოთ. პირველ დღეს ხამად შებმული გუთანი არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ მუშაობა ნორმალურად წარმართულიყო, ხარი ხარს არ იცნობდა, მეხრეც გადაჩვეული იყო უღელზე ჯდომას და ხარების მიყოლებას. ყოველივე ამის მოწესრიგებაში საკმაოდ დიდი ნაწილი დღისა იკარგებოდა. პირველი დღის ხვნას ზოგჯერ მოდგამები ქვრივ-ოხერის მამულში აწყობდნენ ან ისევ გუთნისდედის მამულში. პირველი დღის ხვნას **გათრეულას** უწოდებდნენ.

მოდგამობა იცოდნენ აგრეთვე ორხელა სახვნელით მუშაობის დროსაც. თაობა ამ შემთხვევაში 12–13 დღეს გრძელდებოდა.

მოდგამობის ყველაზე ძველ ფორმად მიჩნეულია ახალციხურ-ინგილოური მოდგამობა. ეს ისეთი გაერთიანებაა სახვნელი იარაღის ირგვლივ, რომელიც იკრიბებოდა მოდგამის წევრთა სახვნელი ფართობის მოხვნის მიზნით და ანგარიში არ ეწეოდა იმას, თუ ვინ რა საშუალებით იყო გაერთიანებაში შესული. მოდგამის თითოეულ წევრს შეეძლო მოეხნა სურვილის მიხედვით და, ამგვარ მოდგამში დღეების ტოლმეტ მოხმარებას ანგარიში არ ეწეოდა.

მოდგმობა დიდი ოჯახის რღვევის შედეგად წარმოიქმნა და მისი შემდგომი განვითარება სასოფლო-თემური ურთიერთობის პირობებში მიმდინარეობდა, რომელიც შემდეგ უკვე გვიან ხანებში ექსპლოატაციის გარკვეულ ფორმად იქცა.

მოდგამის მესვეურობა გუთნისდედის ხელში იყო და მოდგამის შიგნით გარკვეულ წესრიგსაც ის ამყარებდა. მას შეეძლო მოდგამის არაწესიერი წევრი გაეკიცხა და განედევნა კიდეც შემადგენლობიდან.

ამრიგად, სახვნელ იარაღებთან შესაბამისი სამეურნეო შრომის გაერთიანება იქმნებოდა, რომელსაც კარგად ემჩნევა შრომითი ორგანიზაციის არქაული ფორმა. მეორე შემთხვევაში, რთულ სახვნელთან წარმოდგენილი გაერთიანება, გამოხატავს კლასობრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ინტერესებს, რომელიც თავის განვითარების უმაღლეს საფეხურს, კაპიტალიზმის ხანაში აღწევს. ამ პერიოდისათვის გუთანი გუთნისდედის ხელში იქცევა ექსპლუატაციის გარკვეულ საშუალებად.

ზემოთ ნათქვამი იყო, რომ თაობის შესრულებას მოდგამი 30–35 დღეს ანდომებდა. მაგრამ წლის განმავლობაში მოდგამი ერთი თაობით როდი ამოწურავდა თავის მუშაობას. ხვნა სამ პერიოდში იმართებოდა: ა) გაზაფხულზე (მარტი, აპრილი, მაისი) ქერის დიკის და სიმინდის დასათესად; ბ) ზაფხულში (მაისი, ივნისი, ივლისი), საშემოდგომო ხორბლეულისათვის ანეულის მოსამზადებლად და გ) შემოდგომით, (სექტემბერი, ოქტომბერი) საგაზაფხულო ნათესებისათვის განკუთვნილი ნიადაგების მშრალად დაგდებისათვის.

აოშვა – თესვა – ფარცხვა. ნიადაგის მოხვნას მოსდევდა თესვა, ხელით. შემდეგ მიბარება ნიადაგში, რასაც **ფარცხვა** ეწოდებოდა, რაც შეეხებოდა **აოშვას** იგი ანეულის ან მძრალის ხელახლა გადახვნას გულისხმობდა, მსუბუქი სახვნელი იარაღით კავით, ორხელათი. აოშვის მიზანი იყო დამწვარი ანეულის ან მძრალის აქექვა-აფხვიერება, რათა მასში მობნეულ თესლს გაადვილებოდა მიწაში გარკვეულ სიღრმეზე მოხვედრა. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში იყო შემთხვევებიც, როცა ჯერ დათესავდნენ და შემდეგ ხდებოდა საოში იარაღებით ნიადაგის აოშვა.

ანეულის ან მძრალის ასაოშად საქართველოში ძველთაგანვე გამოყენებული იყო **ფორჩხი || ფოცხი, კავი და ორხელა**, საფარცხად კი – **კაბდო** და **ფარცხი**. ფორჩხი ჩვეულებრივ ხისგან მზადდებოდა. იგი შედგებოდა: რვილის, კბილების და ხელნებისაგან. რვილის სიგრძე ზოგჯერ 3 მეტრს აღემატებოდა. რვილში 11–14 კბილი იყო ჩასმული. რვილში ჩამაგრებული იყო ორი ხელნა, რომელზედაც უღელი იყო მიბმული. ფორჩხში – 4 უღელხარს აბამდნენ, უძღვებოდა ორი მეხრე და ერთი ფორჩხის დედა ანუ ვინც ფორჩხზე იდგა და მის მართვას უყურებდა.

საოშ ირაღებში შედიოდა კავი და ორხელა. საქართველოში კავით აოშვის ოთხი წესი იყო გამოყენებული: 1. ნ ა ხ ნ ა ვ ი ს გ ა ს წ ვ რ ი ვ ი; 2. გ ა რ დ ი - გ ა რ დ მ ო; 3. ჯ ვ ა რ ე დ ი ნ ი და 4. ა ყ უ რ ი თ ა ო შ ვ ა.

ნახნავის გასწვრივი აოშვა გულისხმობდა კავით ისეთ მუშაობას, როცა გუთნით გავლებული გრძივი კვალების გასწვრივ ხდებოდა კავის გატარება.

მეორე შემთხვევაში კავი გუთნით გავლებული გრძივი კვლების საწინააღმდეგო სვლას აკეთებდა.

ჯვარედინი აოშვის დროს კავი ასრულებდა ორი მიმართულებით სვლას, სიგრძეზე და გარდიგარდმო.

აოშვის მეოთხე სახეს – ა ყ უ რ ი თ ა ო შ ვ ა ს უწოდებდნენ. ამ წესით აოშვისას კავით მუშაობას იწყებდნენ დასამუშავებელი ნაკვეთის რომელიმე კუთხიდან. ერთი კუნჭულიდან დაწყებული მუშაობა მის მოპირდაპირე კუნჭულში მთავრდებოდა. ამ ერთი რიგის აოშვის შემდეგ იწყებოდა აოშვა მეორე საპირისპირო კუთხიდან, ისე რომ კავი სახვნელი ფართობის მიმართ აკეთებდა დიაგონალურ სვლას.

აოშვის ამ ოთხი სახეობიდან II და IV შედარებით მაგარ მიწებში გამოიყენებოდა, ძირითადად ნაწვერლების და ნასიმინდრების ასაოშად.

აოშვას დ ა ფ ა რ ცხ ვ ა მოსდევდა. ფარცხვა, ნიადაგში თესლის დაფარვას გულისხმობს. საამისოდ გათვალისწინებულ საფარცხი იარაღის საშუალებით. ფარცხვა ხელს უწყობდა აგრეთვე ნიადაგის ხნულოვანი ზედაპირის შემჭიდროვებას. ყოველივე ამის შესასრულებლად გამოყენებული იყო ფ ი ჩ ხ ი ს წ ნ უ - ლ ი ლ ა ს ტ ი და ფ ი ც რ ი ს კ ა ბ დ ო.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კაბდოს სიდიდე განსხვავდებოდა. მთის ზოლში მცირე ზომის კაბდოს იყენებდნენ, ბარში – მოზრდილს. მთის პიროებში ზოგჯერ კაბდოს არც იყენებდნენ, და ნიადაგის დაფშვნას და თესლის დაფარვას ფარცხის საშუალებით აღწევდნენ.

კაბდოზე მიმაგრებული ფარცხი წარმოადგენდა სამ ჯოხზე, ისარზე ჩაწნულ ფიჩხს (ან წნელებით იყო ჩაწნული). ჩაწნული ფიჩხის ცერები ფარცხის სამუ-

შაო პირისკენ ეჭცეოდა ხოლმე, რაც ხელს უწყობდა ხნულის დაშლას. ძველად საქართველოში დაფარცხვას ნიადაგის „მოწრფელებაი“ – „ქვეყნის მოქმნაი“ ეწოდებოდა.

ზემოთ დასახელებული ფორჩხი და კაბდო-ფარცხი, როგორც მოხვნის შემდეგ ნიადაგის დამუშავების შემდგომი ეტაპისათვის გამოსაყენებელი იარაღები, მოწმდება სხვა მიწისმოქმედ ხალხთა სამეურნეო ყოფაშიც. პირველყოვლისა კავკასიის ქვეყნებში სომხეთში, აზერბაიჯანში, ასევე წინა აზიის და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში.

საქართველოში გავრცელებული ფორჩხი, საოში კავი, კაბდო-ფარცხი კავშირში იმყოფება საანეულო და ნიადაგების მძრალად დამუშავების სისტემასთან.

ანეული, როგორც ხვნის თავისებური პროცესი თავისი მხრით დაკავშირებულია ბარულ მიწათმოქმედებასთან და ზოგადად, საშემოდგომო ხორბლეულის კულტივაციასთან. აღნიშნული საშემოდგომო ხორბლეულის კულტურებს კი საქართველოს მიწა-წყალზე არსებობის ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. კერძოდ, მათი წარმომავლობა წინ უსწრებს ბრინჯაოს ხანას.

დასათესად გამზადებულ აოშილ ნიადაგში **თესვა** შემდეგი სახით წარიმართებოდა: ორმოდან ამოკრებილი თესლი ტომრებით მინდორში გაჰქონდათ. ერთ დღიურ სათეს მიწაში საშუალოდ ორი კოდი ითესებოდა (ქართლის მასალების მიხედვით კოდში 4 ფუთია, კახეთში – სამი). ზოგან მეტი ითესებოდა ზოგან ნაკლები. თესავდა ჩვეულებრივ გუთნისდედა, ან ოჯახის, ამ საქმეში გამოცდილი რომელიმე წევრი. მთესველს სათესლე ხორბალს ჩანახით ს ა თ ე ს ლ ე გ უ დ ა შ ი ან წინსაფარში ჩაუყრიდა თ ე ს ლ ი მ პ ი რ ა ვ ი. თესლიმპირავად, რომელიმე მეხრე იყო გამოყოფილი. რომელსაც მთესველის მიყოლებით ჩანახით თესლი მიჰქონდა და საცა შემოაკლდებოდა მთესველს იქ მივიდოდა და ჩაუყრიდა ჩანახიდან. მთესველი მარჯვენა მუჭით იღებდა თესლს და მკვეთრი გაქნევით მოაბნევდა ხნულში, შემდეგ მას მოსდევდა კაბდო, ფარცხი და თესლი მიწით იფარებოდა. ამას „თესლის დასამარებას“ უწოდებდნენ.

თესლში წინდაწინ კაკლებს აურევდნენ ხოლმე, „პურის მარცვლები კაკლის სიმსხოები“ დაიზარდებიანო. როცა თესვა დამთავრდებოდა მთესველი რამდენიმე მუჭა ხორბალს კიდევ მოაბნევდა და იტყოდა „ეს ერს, ეს ბერს, ეს მღვდელს, ეს გზირს, ეს ბატონს, ეს ყვავსა, ეს კი თაგვსაო“. და ამის შემდეგ ღმერთს შეევედრებოდა „ღმერთო შენთვის მომიბარებია ჩემი წლის სარჩო, ეხლა შენ იცი ამას როგორ მოუვლიო.“

მორწყვა. რწყვის სისტემის მოწესრიგებას ქართველი ხალხი ადრიდანვე დიდ ყურადღებას აქცევდა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად ქართველთა წინაპრების ნამოსახლარებზე მრავალი წყალსადინარი არხია მიგნებული.

სარწყავი არხების გაყვანა დაკავშირებული იყო კოოპერაციულ შრომასთან, რაც შეპირობებული იყო ბინადარი მოსახლეობის მეურნეობისათვის სარწყავი სისტემის შექმნის აუცილებლობით. სარწყავი სისტემების შექმნასთან დაკავშირებული კოოპერაციული შრომა ადამიანთა საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე თავისებურად იყო წარმოდგენილი.

ისტორიული წყაროებით, ცნობილია სარწყავი არხების გაყვანის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

ქართლის მეფე ვახტანგ VI სარწყავი არხების მოწესრიგების საქმეს ქვეყნის ძლიერების წყაროდ თვლიდა. მისი აზრით, „წყალი ასრე არის რომე, როცა ხელმწიფე რუს გატანას მოინდომებს, ქვეყნის შენობისა და პურის მოსავლისათვინ იქმს, რომე კოდის პური არ დააკლდესო“.

მაგრამ მისივე კანონის მიხედვით, წყლის ერთადერთი მფლობელი ხელმწიფეა. თუმცა წყლით სარგებლობა ყველას შეეძლო თუკი იგი ბუნებრივი მდინარის სახით იყო წარმოდგენილი. ხოლო იქ სადაც არხის გაყვანა ხდებოდა, ამ ახალი არხიდან, როგორც სარგებლობის, ისე მისი მოვლა-პატრონობის საქმეს თვით მეფე არიგებდა.

საქართველოს ძველი სარწყავი არხებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ალაზნის არხი (XII საუკუნეში იქნა გაყვანილი) სალთვისის, რუისის.

ძველად არხის მშენებლობაზე ძირითადად ის სოფლები გამოდიოდნენ, ვისაც ამ არხით სარგებლობა უწევდა.

სარწყავი არხის გასაყვანად გამოყენებული იყო როგორც ხელით სამუშაო მიწის სათხრელი კლდის სანგრევი რკინის იარაღები, ისე გამწევი ძალით სამუშაო დიდი გუთანი.

ქართული დიდი გუთანი რომ მდინარიდან სარწყავი არხის გაყვანისათვის გამოუყენებიათ ამის შესახებ სათანადო ცნობები ხალხს მეხსიერებაში აქვს შემონახული. ერთი ასეთი გადმოცემა შიდა ქართლშია შემონახული. თქმულების მიხედვით იკორთის მონასტრის ბერს ლეკებისაგან განადგურებული სოფელი ქვეშის დასახლება გადაუწყვეტია, მაგრამ სოფელს სარწყავი წყალი არ გააჩნდა. ბერს განუსაზღვრავს სარწყავი არხი მდ. პატარა ლიახვიდან გამოეყვანა. ამ მიზნის შესასრულებლად მას დიდ გუთანში 9 უღელი ხარი და კამეჩი შეუბამს. კამეჩებისთვის თითო თუნგი ღვინო დაულევინებია პატარა ლიახვზე სოფ. არბოსთან თურმე გუთანი "მოუკიდა" და გუთნის ნაკვალევით სოფ. ქვეშში სარწყავი წყალი ჩამოიყვანა. ამის შემდეგ სოფელში სამი კომლი დაუსახლებია და აღუდგენია.

გუთანს ყველგან არ შეეძლო კვალის გატანა. ამას გარდა გუთნით გატანილ კვალს გაფართოვება და გასუფთავება ესაჭიროებოდა, რისთვისაც იყენებდნენ ბარს, ნიჩაბს, წერაქვს, რკინის კეტებს და სხვა. დიდ სამუშაოებს მოითხოვდა არხების სათავე ნაგებობების მშენებლობა. სათავე ნაგებობების გასამართავად ძველად სოფლიდან ან სოფლებიდან (რომელთა მინდვრებიც ირწყვოდა) გლეხება ბარ-ნიჩბით და ურმებით შეიყრებოდა. მათ მიჰქონდათ მაგარი ხის მარგილები და ფიჩხი. სათავე ნაგებობების სიმაგრისათვის მდინარეში ხის მარგილებს ჩაასობდნენ ისე, რომ მოკლე და განიერი გოდრის ფორმა შექმნილიყო. მარგილებზე ფიჩხს ჩაწნავდნენ და შემდეგ რიყის ქვით ამ გოდრებს ამოავსებდნენ. ამ სახის გოდრებს **გოდორყურები** ეწოდებოდა და თუმცა დროებით, მაგრამ მაინც საიმედო სიმაგრეს ქმნიდა, რომ წყალდიდო-

გოდორყური

ბის დროს არხის სათავე არ მოეგლიჯა. ახალ გატანილ არხებს ხშირად ხევების გადალახვა-გადაკვეთა უხდებოდა ამ დროს გამოყენებული იყო ბოძებზე შედგმული ხის ღარი, რომელსაც **რუსხმულს**, ზოგან **ბერღარას** უწოდებდნენ.

გაყვანილ არხს მოვლა-პატრონობა სჭირდებოდა. განსაკუთრებით რწყვის სეზონის დადგომისას საჭირო ხდებოდა რწყვის რიგის მოწესრიგება და დაცვა, რომ ყველას ჰქონოდა მისი გამოყენების საშუალება. ის პირები, რომლებიც საარხო საქმიანობაში იყვნენ დახელოვნებულნი, წყლის მკაზმავებად ანუ **ქუ-ქანაკებად** იწოდებოდნენ. ქუქანაკობა საკმაო ცოდნას მოითხოვდა, ამიტომ დახელოვნებულ ქუქანაკებს ახალგაზრდა ქუქანაკების აღზრდას ავალებდნენ, სამაგიეროდ ისინი სახელმწიფო ბეგარისაგან თავისუფლდებოდნენ.

უფრო გვიან, სარწყავი წყლის მეთვალყურეობა ევალებოდათ სოფლიდან გამოყოფილ პირებს. ჩვეულებრივ ირჩევდნენ ორ კაცს – როდესაც სარწყავ წყალზე მოთხოვნილება იზრდებოდა კიდევ დამატებით ორ კაცს გამოყოფდნენ. ამათ **სოფლის მერუეები** ეწოდებოდათ.

მერუე თვალყურს ადევნებდა, როგორც არხის საერთო მდგომარეობას, ისე სარწყავი წყლის განაწილებას.

მერუეს სოფელი გარკვეულ გადასახადს – თანხას უხდიდა, რასაც სამერუ-ეოს უწოდებდნენ. სამერუეო დღიურ ნათესზე ერთი ჩანახით განისაზღვრებოდა. ნახევრად სარწყავ სოფლებში, სადაც წყლის სარწყავ მნიშვნელობას ბაღ-ბოსტანი განსაზღვრავდა, მერუეს არც ირჩევდნენ და მისი მოვალეობის შესრუ-ლებას მეველეს აკისრებდნენ.

თუ შემოდგომა მშრალი ამინდებით ხასიათდებოდა, შემოდგომით დათე-სილი ხორბლეული აუცილებლად მორწყვას საჭიროებდა. ხორბალ ნათეს მიწის ნაკვეთს მსუბუქი სახვნელით – **კავით** დაკვალავდნენ. კვლები გრძივი უნდა ყოფილიყო და ერთიმეორისაგან 3-დან 5-მეტრამდე დაშორებით. კვლებში გაშ-ვებული წყალი ნიადაგს გაუჯდებოდა.

ხორბლის ნათესების შემდეგი რწყვა გაზაფხულის მიწურულში ხდებოდა, როცა პურეული „მუხლში“ შედიოდა. ისიც იმ შემთხვევაში თუ გვალვიანი წელიწადი შეხვდებოდა.

რწყვის საქმის მოწესრიგებას უდიდესი სახელმწიფოებრივი ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა.

მაგრამ მეურნეთა დაკვირვებით, მხოლოდ მორწყვა, მოსავლიანობის ბედს ვერ გადაწყვეტდა. მოსავალს სჭირდებოდა „ცის ნამიც“ (წვიმა). მეურნეთა აზ-რით პურეულს ზემოდან თუ არ დაუარა ნამმა მარცვალი სრული არ იზრდება. ამასთან დაკავშირებით ხალხში ერთი ასეთი შინაარსის გადმოცემაც შემონახულა:

„სოლომონ ბრძენს მისი შვილი უმტკიცებდა, რომ მორწყვის გარდა „ცის ნამს“ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. სოლომონ ბრძენი კი ამტკიცებდა, რომ მორწყვა საკმარისი იყო მცენარეულისათვის, მისგან სრულყოფილი მო-სავლის მიღებისათვის. ერთხელ მამა და შვილი ცხენებით გზად მიდიოდნენ. მდინარესთან რომ მივიდნენ სოლომონმა ცხენი ნებაზე მიუშვა და წყლით დაა-პურა, შვილმა კი, ცხენს აღვირი დაუმოკლა და დასალევად არ გაუშვა. მამა გაოცდა შვილის ამგვარი ქცევით და ჰკითხა, „რატომ არ ალევინებ, ხომ ხედავ წყალი უნდაო“. შვილმა ნიშნისმოგებით უპასუხა „ჩემ ცხენს ფეხები წყალში აქვს, მაშასადამე თქვენი აზრით, იგი ამითიც უნდა დაკმაყოფილდესო“. მამა შვილის ეშმაკობას მიხვდა და ამის შემდეგ თავის ჯიუტობაზე ხელი აიღო.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხობამ თუმცა იცოდა ცის ნამის ფასი მოსავლიანობისათვის, მაგრამ ცის ნამი მასზე როდი იყო დამოკიდებული. ხშირად გვალვა იმდენად სასტიკ ხასიათს ღებულობდა, რომ პურეული ნათესებიდან სათესლე მარცვალსაც ვერ ღებულობდნენ. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყვნენ ურწყავი რაიონები. გვალვის წინააღმდეგ ბრძოლისათვის გლეხობა იყენებდა სხვადასხვა მეთოდს: თესდნენ შერეულ ხორბლეულს, აწარმოებდნენ ღრმად ხვნას, იყენებდნენ ხვნის სისტემაში მძრალად დაგდების მეთოდს და ამასთანავე მიმართავდნენ ბუნების ძალებს, ელიას, ლაზარეს, რომ მათთვის მოეცა წვიმა.

გვალვიანობის წლებში „წვიმის გამოთხოვა" შემდეგი სახით წარიმართებოდა. სოფელში ქალები ერთად შეიკრიბებოდნენ და სოფლად ჩამოივლიდნენ კარიკაარ სიმღერით. ზოგჯერ ეს ჯგუფი (ლაზარეზე მოსიარულე ან გონჯაობაზე მოსიარულეებად იწოდებოდა. ერთი სოფლიდან მეორეში გადადიოდა. ვის კარზედაც იმღერებდნენ ოჯახის წევრი ჩაფით წყალს გამოიტანდა და ხონჩაზე გაკრულ თიხის ლაზარეს (გონჯას) დაასველებდა, შემდეგ დარჩენილი წყლით მომღერლებს დანამავდა. ამის შემდეგ დიასახლისს ჯამით ფქვილი გამოჰქონდა ლაზარეზე მავალთათვის. ლაზარეზე მოსიარულენი მღეროდნენ:

„ელიაო, ელიაო
რაზედ მოგიწყენიაო,
მე დაგიკლავ ციკანსაო,
შენ მოიყვან წვიმასაო.
აღარ გვინდა გორახიო,
ახლა გვინდა ტალახიო.
ცხავი აცხავებულაო,
წვიმა აჩქარებულაო"

მაგრამ ამით არ ამოიწურებოდა ყოველივე. შეგროვილი ფქვილით და პროდუქტებით იცოდნენ საერთო სამღვთოს გადახდა, რასაც „ღვთის წირვასაც" უწოდებდნენ.

ქალებმა აგრეთვე იცოდნენ **გუთანში გაბმა** და **გუთნის გათრევა** წყალში თან ელიას ლანძღვა-გინებით. წყალში გუთნის გათრევის დროს ერთიმეორეს წყლით წუწავდნენ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, წვიმის გამოწვევის მიზნით საკულტო ქვებიც ჰქონიათ მაგ. ნორიოში ასეთ საკულტო ქვას **ქალქვა** ეწოდება. გვალვის დროს ქალები მიდიოდნენ ქვასთან კეტებით გადააბრუნებდნენ, იმ იმედით რომ წვიმა მოვიდოდა. თრიალეთში სოფ. გომარეთთან, ქვაჯვართან მოსული ქალებიც ასევე იქცეოდნენ. ასე იქცეოდნენ მანგლისის ახლოს მდებარე ქვის მიმათ, ახტალასთან (კახეთში), ხოლო სოფ. დმანისთან მდებარე მოზვერა ქვა თავისი ხასიათით ყველა ქვის თვისებებისაგან გამოირჩეოდა. აღნიშნულ **მოზვერა ქვასთან** მეზობელი სოფლებიდანაც მოდიოდნენ. ქვა ქალიშვილებს უნდა დაესველებინათ, სანთლები დაენთოთ და ამის შემდეგ, სიმღერით გასდგომოდნენ ისევ სახლის გზას.

აქ ჩამოთვლილი წვიმის გამოწვევის საშუალებანი მაგიური რელიგიური ხასიათისანი არიან და საკმაოდ შორეული წარსულიდან მომდინარეობენ. მეორეს მხრივ იგივე მაგიური საშუალებების გამოყენება, მიუთითებს მიწათმოქმედი ხალხის მოსავლიანობისათვის ყოველდღიურ ზრუნვაზე და ამ დარგის, როგორც საარსებო მეურნეობის დიდ სიყვარულზე.



დასახლების ტიპი ზემო იმერეთში
(მხატვარი ზ.წერეთელი)

სოფელი ვოიმანეთი

(მხატვარი ზ.წერეთელი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამკალ-სათიბი იარაღები. მას შემდეგ რაც პურის თესლს მიწას მიაბარებდნენ იგი იწყებდა: გაღვივებას, აღმოცენებას, დაჯეჯილებას, მუხლში შესვლას, დაორსულებას. პურის დაორსულების ხანისათვის, ყანა უნდა გაემარგლათ. გასამარგლად ოჯახის შემადგენლობა, ძირითადად ქალები, გამოდიოდნენ და სარეველა ბალახებისგან წმენდნენ ყანას. ყანაში ხშირად ნარეკალიც მოერეოდა ხოლმე. ამის ამოსაგდებად იყენებდნენ წაპირულ ჯოხს, ან რკინის საჭრისიან ჯოხს, რომელსაც **ჩეკი** ეწოდებოდა. ჩეკის საშუალებით ხდებოდა ეკლიანი სარეველების ძირების ჩაჭრა და ამოგდება. გამარგვლის შემდეგ პურის ყანა „დაოშდებოდა" და პური შემოვიდოდა, ე.ი. პური სამკალად მოიწევდა.

მკა

შემოსული პურეულის მოსაწევად ძველ საქართველოში სხვადასხვა ხერხი იყო გამოყენებული. ყველაზე უფრო მარტივს – პურეულის ხელით გლეჯა წარმოადგენდა. ქერს როგორც მთაში ისე ბარში ხშირ შემთხვევაში ხელით გლეჯდნენ. ეს გამოწვეული იყო ერთის მხრივ იმით, რომ ქერი მეტად დაბალი იზრდებოდა და იარაღით მისი მოკა ან მოთიბვა (ნამგლით, ცელით) ჭირდა; მეორეს მხრივ, შემოსული ქერი რომ არ ჩაბნეულიყო იარაღის გამოყენებით, ამჯობინებდნენ მისი ხელით გლეჯას.

სამკალ-სათიბი იარაღების წარმოშობა დაკავშირებულია კაცობრიობის განვითარების გარკვეულ საფეხურთან. სახელდობრ, როცა მიწათმოქმედებას ფართო ასპარეზი შეექმნა, ადამიანი დაეუფლა პურეულის გარკვეულ სახეობებს და პურეულის ღერები გამოიყენა შინაური პირუტყვის გამოსაკვებად. ხელით ყანის მოკრეფის გარდა, საქართველოს ცალკეულ რაიონებში, ზოგიერთი ენდემური პურეულის ჯიშების მოსაკრეფად გამოყენებული ყოფილა ყანის თავთავების მოსაკრეფი იარაღი, რომელსაც **შნაკვი – შანკვი** ეწოდებოდა. შნაკვის გამოყენება დამოწმებულია აგრეთვე ესპანეთის ბასკურ მოსახლეობაში: შნაკვის გარდა საკმაოდ ადრიდანვე ჩნდება ჯერ კაკის, შემდეგ სპილენძ-ბრინჯაოს და ბოლოს რკინის ნამგლები. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე სპილენძის ნამგლის გამოყენება უკვე ენეოლითის ხანიდან ივარაუდება. ამავე ენეოლითის ხანაში სპილენძის ნამგალს სატარე ყუნწი ისე აქვს მოწყობილი, რომ მისი შემდგომი განვითარება სათიბი ცელისკენ უნდა მიიმართებოდეს.

ნამგალი აგებულებით მარტივი, მაგრამ ადრიდანვე მეტად ფართო მოხმარების იარაღი იყო. მას არა მარტო ყანის სამკალად, არამედ ვენახის სასხლავად და ვენახის ბალახებისაგან გასაწმენდად იყენებდნენ. ამიტომ საქართველოს მჭედლობის ცენტრები მას განსაკუთრებული ინტერესით ამზადებდნენ. მჭედლობის ძველი ცენტრები, საქართველოში, უმთავრესად მთისა და ბარის შემაერთებელ ადგილებზე მდებარე სოფლებში მოდიოდა და აგრეთვე საბაზრო ქალაქებში. მაგ. კახეთში – თელავი, ყვარელი, ანაგა; ქართლში – დუშეთი, ჭილურტი, საგურამო, მეჯვრისხევი, გორი, მერეთი, ცხინვალი, ხაშური; იმერეთში – ხონი, სამტრედია; სამეგრელოში – ახუთი; სვანეთში – მესტია, ჭუბერი; გურიაში – ოზურგეთი, ნაგომარი. მაგრამ ამა თუ იმ კუთხეში უპირატესობით ერთ-ერთი სარგებლობდა. მაგ. ქართლში დასახელებული მჭედლობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კერებიდან ყველაზე მეტი გასავალი ჭილურტულ და მეჯვრისხვეულ ნამგლებს ჰქონდა.

ბულული

მეჯვრისხვეულ მჭედლებს ცოდნიათ ნამგლის დამზადების თავისებური წესი, ისინი ნამგალს ნაკუწი (რკინის სხვადასხვა ნაჭრებისაგან), რკინისაგან ადუღებდნენ, რომელსაც თურმე შემდეგ ძროხის ქონში აწრთობდნენ.

ჩვეულებრივი სამკალი ნამგლისაგან განსხვავებით ბრინჯის პლანტაციებში და მთის ზოლში გამოყენებული იყო ნამგლის განსხვავებული სახეობა **ღული**, რომელიც ხასიათდებოდა დაკბილული სამუშაო პირით.

ბარული ნამგალი მთური ნამგლისაგან განსხვავდებოდა სამუშაო პირის რადიუსით. ბარული შედარებით დიდი რადიუსით ხასიათდებოდა, მთური – მოკლე.

ჯერჯერობით საქართველოში ყანის მკის ორი წესია დადგენილი: მკა ნამგლის ერთი გამოსმით და მკა დანაცვლებით, ნამგლის ერთი გამოსმით მკას ძირითადად კახეთის იმ რაიონებში მისდევდნენ სადაც პურეული მაღალი იზრდებოდა (ყვარლის რ-ნი, ივრის და ალაზნის სანაპირო ზოლი). მაღალ ყანას ერთი გამოსმის შემთხვევაში შუაზე ჭრიდნენ. ამ სახით მომკის დროს ის, რაც მიწაზე რჩებოდა მოუჭრელი ღერები ყანისა **ნამჯად** იწოდებოდა. ამგვარად მომკილი ყანის გალეწვა იოლი იყო, რადგან ბზე ნაკლებად ერეოდა.

მკის მეორე სახეობა დანაცვლებით მკა გავრცელებული იყო საქართველოს დანარჩენ კუთხეებში. დანაცვლებით მკის დროს პურის ყანა ძირში იჭრებოდა. ამ წესით მკელები დაინტერესებულნი იყვნენ პირუტყვის საკვები ბზის მოპოვებითაც. ზემოთ დასახელებულ კახეთის ზოგიერთ კუთხეში დანაცვლებით მკა, რომელიც ერთი გამოსმით მკასთან შედარებით მეტ შრომას და მკელის ზედმეტ მანიპულაციებს მოითხოვდა, მათგან არ იყო გამოყენებული. ყანის მკის ამ ორი წესიდან უფრო ადრეულია ნამგლის ერთი გამოსმით მკა. ყანის მკის დროს გარდა ნამგლისა, მკელს სპეციალური აღჭურვილობაც გააჩნდა. მას ტანზე ეცვა ტყავის სახელოებიანი და მხრების დამფარავი წინსაფარი, რასაც **სამკვდილი** ეწოდებოდა. შუბლზე გაკრული ჰქონდა **საოფლე**. მაჯებზე დახვეული ჰქონდა **სამაჯურები**, ყანის თავთავებს მუშაობის დროს რომ არ შეეწუხებინა, ხოლო მარცხენა ხელის სამ თითზე წამოცმული ჰქონდა ხის **სამი სათითე**.

დაბულულება

მკელი ყანას მარცხენა ხელში იგროვებდა, ერთ მუჭაში რასაც დაიტევდა ამას **მუჭეული** ეწოდებოდა. შემდეგ დაგროვებას იწყებდა სალოკ და შუა თითს შორის ამას **წკიპურტი** ერქვა. ამ წესით მუჭაში ბლომად დაგროვილი ყანა – **ხელეური-ა**. რამდენიმე ხელეური ერთი **ძნა** იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვრძელი ძირი

ყანის ოთხ მომკელს ერთი **მეხელეურე** და ერთი **მეძნეური** მისდევდა. მეხელეურე ხელეურებს ძნებად ალაგებდა. მეძნეური **ულოს** საშუალებით (ულო იგივე ყანის გრძელი ღერებია, წყალში დამბალი) ძნებად შეკონავდა და დაასამეულებდა (ე.ი. სამ-სამ ცალად დაალაგებდა). მეძნეურს წინსაფარი ეცვა, სამკლავები, სამაჯურები და საოფლეც გააჩნდა ამავე დროს მას ძნის სწრაფად შეკონვის მიზნით ხელში ან ტაბიკი ეჭირა ან ტაბიკის მაგვარი ცალწვერ ჩამუდეული მოკლე ჯოხი, რომელსაც **მუშა** ეწოდებოდა.

დასამეულებულ ძნებს საღამოს, მკის დამთავრების შემდეგ ათეულებად (ათეულში 9 ან 10 ძნა შედიოდა) დადგამდნენ, რომ ურემზე დადება გაადვილებოდათ. ათეულებს ზოგჯერ ათეულებს მიუმატებდნენ, ამას ურმეულებად დალაგება ერქვა. ექვსი ურმეული ერთ სათვალავს შეადგენდა. სათვალავებად დადგმა ძნებისა უშუალოდ კალოს პირს ხდებოდა, სადაც ძნების დალაგება საბძლურ ფორმაზე „ფთემოქცეულად" უნდა ყოფილიყო გაწყობილი, რომ წვიმას არ ევნო. კალოსთან მიტანილ ძნებს **ზვინებს**, **ძარს**, **ფეხს** და სხვ. უწოდებდნენ.

ქართული ცელით თიბვა როგორც ყანის ისე თივისა, ორივე მხარეზე შეიძლებოდა, როგორც მარჯვნივ ისე მარცხნივ. ცელის გასალესად იყენებდნენ, როგორც სალესავს, ისე ზინდანსა და კვერს. თუ პურეულის აღება ცელით მიმდინარეობდა, მაშინ მოთიბული ყანის შესაგროვებლად გამოყენებული იყო ორთითი და ფოცხი. გათიბული ყანა ზვინებად გროვდებოდა, ამას **დაბულებას** უწოდებდნენ. სხვადასხვა კუთხეში მას ეწოდებოდა **კვირტი** (კახეთში), **ჯაურა** (ქართლის მთიანეთში), **წერა** (თრიალეთში). ჯაურას შუაში გრძელი ჯოხი უკეთდებოდა, თავზე ე.წ. ბალახის ქანჩი, ქარს რომ არ დაეშალა. ჯაურები მთის ურმებით ან მარხილებით გადაჰქონდათ სათიბიდან კალოზე. საკარმიდამო ნაკვეთზე გათიბული იდგმებოდა **ძარებად**.

მრგვალი ძირი

იმისათვის, რომ შემოსული პურეულის აღება სწრაფად წარემართათ, ძველ საქართველოში გამოყენებული იყო სხვადასხვა სახელწოდებით არსებული დროებითი შრომითი გაერთიანებანი: **დაძახილი, ულამი, ხეფე, მამითადი და ნაცვალგვარდა**.

უფრო ფართოდ იყო გავრცელებული ნაცვალგვარდა. ნაცვალგვარდობაში 2–10-მდე მომკელი ღებულობდა მონაწილეობას და ერთიმეორეს ყანის აღებაში სანაცვლოდ ეხმა-

რებოდნენ. მკის ორგანიზაციას მესვეური ხელმძღვანელობდა. იგი გამოირჩეოდა უფრო მეტი აქტიურობით. იგი გამძლე და საქმის მცოდნე უნდა ყოფილიყო, პირველი აჭრიდა ნამგლით და წინ მიუძღოდა დანარჩენ მკელებს. მესვეურის მიერ გატანილ ნამკალს **სვე** ეწოდებოდა. მესვეურზე იყო დამოკიდებული მუშაობის დაწყება-დამთავრება. იგივე ანაწილებდა მკელებზე მეულოე-მეძნეურებს.

რაც შეეხება შრომის ორგანიზაციის სხვა ფორმებს, მამითადს, სეფეს, გარკვეულ საბატონო ბეგარას ვარაუდობდა, რომელიც სრულდებოდა მთელი სოფლის ან მებატონის ვალდებულებათა მიერ ყანის მკის, ტყის გაჩეხვის, ხვნის და ზოგჯერ სახლის მშენებლობაზე მასიური მონაწილეობით.

დაძახილი კი იქმნებოდა მას შემდეგ, როცა ყანის პატრონი დაუძახებდა, შეატყობინებდა თანასოფლელებს, რომ მას ამა და ამ ადგილას ყანის მკა აქვს. დაძახებული პიროვნება იქ სურვილით მიდიოდა და მუშაობდა. თავისი შრომის ანაზღაურებას არ თხოულობდა.

მომკილი ყანა კალოზე უნდა მიეტანათ **საძნე ურმების** საშუალებით. საძნე ურემი ჩვეულებრივი ურემი იყო, რომელსაც ყანის აღების სეზონში მაღალ ჭალებს უკეთებდნენ. ასეთ ურემზე ძნების მეტი რაოდენობა შეიძლებოდა მოთავსებულიყო. საშუალოდ ურემზე 70 ძნას უდებდნენ. ცნობილია ქიზიყური ძნის დადების წესი – რომელსაც 120-მდე ძნის მოთავსება შეეძლო ურემზე.

კალო ყანის მკის თიბვის დაწყებამდე კეთდებოდა. ხშირ შემთხვევაში ძველად კალო სახლის წინ ან გვერდში იმართებოდა. იყო შემთხვევებიც, როცა კალოიანი სახლის ბანზედაც ჰქონიათ გამართული.

კალო 15–20 ნაბიჯის დიამეტრით მოზომილი და შემდეგ გადათოხნილ-დატკეპნილი ადგილია, რომელზედაც პურს ლეწენ კევრების ან შინაური პირუტყვის ტარების საშუალებით. კალოს ზედაპირის მოკეთებას დიდი ყურადღება



კალოობა. მხატვ. ნ. ფიროსმანაშვილი.

ექცეოდა, რომ მარცვლეული მიწაში არ ჩაკრობილიყო. ამ მიზნით იქ, სადაც რბილი საკალო ადგილი აღმოჩნდებოდა, თიხა-მიწით დატკეპნიდნენ. იცოდნენ აგრეთვე კალოს მობღალვა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ კალოს ზემოდან, გათქვეფილ ნეხვს ცოცხით შემოუსვამდნენ ნიადაგი რომ არ დამსკდარიყო. ამის შემდეგ კალოს ზედაპირზე ძველ ბზეს მოაბნევდნენ და ძნას ჩაშლიდნენ.

მიწათმოქმედების სამუშაო ციკლებიდან ყველაზე საშური პერიოდი და გადაუდებელი სამუშაო იყო დამწიფებული მოსავლის აღება-დაბინავება. პურეული მოსავლის აღების პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანია **კალოობა**. ქართული ხალხური კალოობა შეიცავს მრავალ შრომით პროცესს, დაწყებული კალოს მომზადებიდან და დამთავრებული ხვავის შენახვამდე.

სალეწი იარაღები. პურეულის გალეწვის მსოფლიოში გამოყენებული წესებიდან (ხელით ფშვნეტა, ბეგვა, პირუტყვის ფეხით ჩალეწვა, კევრისა და ჯარჯარის საშუალებით). საქართველოში მცირე მოსავლიანობისას გამოყენებული იყო ხელით გამოფშვნეტა და ბერტყვა, თუ მოსავალი დიდი იყო – პირუტყვის და კევრის საშუალებით.



ქართული კევრი

საქართველოში ძირითადად ორი ტიპის **კევრი** იყო გამოყენებული ორნაწილიანი – შედგენილი და ერთიანი და შეუდგენელი. შეუდგენელი კევრი მთლიანი ფიცრისაგან გამოითლებოდა, რომელსაც სამკუთხედის ფორმა ეძლეოდა. კევრს ძირიდან კოხები დაესხმოდა და ზემოდან გამოცხვირულ ნაწილზე ტაბიკის გასაყრელი ნაჩვრეტი უკეთდებოდა. შედგენილი კევრი იმავე ფორმით და იარაღით კეთდებოდა, როგორც შეუდგენელი.

კევრის დამზადებისათვის ყველაზე კარგ მასალად ითვლებოდა ფიჭვი და ნაძვი. აღმოსავლეთ საქართველოში ამის რამდენიმე კერა არსებობდა, სადაც კევრებს სპეციალურად გასაყიდად ამზადებდნენ. მაგ. ჯავის, ახალციხის, ბორჯომის ხეობებში, კევრის დამზადების აღნიშნული კერებიდან კევრები გაჰქონდათ ცხენებით ან ურმებით. რასაც შემდეგ ადგილზე ხორბლეულზე ცვლიდნენ.

კევრი წარმოადგენს უძველეს სამეურნეო იარაღს. ამაზე მეტყველებს არქეოლოგიური მონაცემები, რომლებიც ამიერკავკასიის და პირველყოფილისა საქართველოს ტერიტორიაზე იქნა ნახული (სამთავრო – საქართველო, ახტალა-სომხეთი, ხანლარი-აზერბაიჯანი).

არქეოლოგიური კერების შესწავლა ადასტურებს, რომ ამიერკავკასიაში გავრცელებული კევრები I ათასწლეულის ხანას განეკუთვნებიან და იმ დროისათვის კევრს, როგორც სამეურნეო იარაღს, ერთგვარი კავშირი ჰქონია მიცვალებულის კულტთან. ყველა დასახელებული კევრის მოპოვების ადგილზე, კევრზე მიცვალებულის ჩონჩხი და სხვა ჩატარებული ნივთებიც იყო ნახული. ამ გარემოებასთან დაკავშირებით საგულისხმოა ისიც, რომ ბაღდადის ახლო მოსახლე სირიელები XIX საუკუნეშიც კი, მიცვალებულს დამარხვის წინ კალოს

ცენტრში დადგმულ კევრზე დაიტირებდნენ ხოლმე და ამის შემდეგ კუბოში გადაიტანდნენ და ისე მარხავდნენ. სირიელთა ყოფაში კევრი ითვლებოდა ურთ-ერთ წმინდა იარაღად.

არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის ასეთი დამთხვევა ბევრი რამის მეტყველია, სახელდობრ – ქართველური ტომებისა და წინა აზიის კულტურული სამყაროს ძველი ურთიერთობის შესახებ.

კალოზე მიტანილ ძნებს ულოს შემოაცლიდნენ და კალოს მთელ ფართობზე თანაზომიერად მოფენდნენ. შემდეგში ულოს წალდით ძირებს წააჭრიდნენ და მასაც კალოში ჩაშლილ ძნებს ზედ მოაყრიდნენ. როდესაც ძნის ჩაშლა დამთავრდებოდა, კევრებში ხარებს შეაბამდნენ ან ცხენს, და კალოს ირგვლივ უვლიდნენ ჯერ წაღმა. შემდეგ ხარი ერთი მიმართულებით სიარულით რომ არ დაღლილიყო, შემოაბრუნდებდნენ და ახლა მეორე მიმართულებით უვლიდნენ. ვიდრე კალოში ხარებშებმული კევრით შემოვლას დაიწყებდნენ, კევრის ქვეშ დაობებულ ძველ პურს შეაგდებდნენ და კევრს ზედ გადაატარებდნენ. იცოდნენ აგრეთვე კალოს ცენტრში რკინეულის ჩაგდება, საკვეთელის ან წალდის. პირველი წესი ბარაქიანობის მიზნით სრულდებოდა, რომ კალოს ხვავიანობა დაყოლოდა, ხოლო მეორე წესი – კალოს ავი თვალისაგან დაცვის მიზნით უკეთებიათ. ლეწვის დროს იცოდნენ ხარებისათვის მოწნული, დიდთავებიანი კალათების, პირზე ამოკვრა ამას **ხარისსაბირე** ან **ბირი** ეწოდებოდა. საპირე ხარს საშუალებას არ აძლევდა, რომ კალოში ჩაშლილი ძნა ეჭამა.

ლეწვის დროს იცოდნენ ქცევა-შებრუნება ე.ი. ყანა ზემოდან როცა მოილეწებოდა, მას გადმოაბრუნებდნენ ფიწლების საშუალებით და ნიჩბით გადააბრუნებდნენ.

ხის ხარო, შესხვეთი

გალეწილს **არნადით**, ან თუ ხვავი დიდი დგებოდა, მაშინ კაბდოში შებმული ხარებით შეხვეტავდნენ კალოს ცენტრში. შესახვეტად ძირითადად მაინც არნადი იყო გამოყენებული, არნადით შეხვეტის შემდეგ ხდებოდა ხვავის შემოგვა ცოცხის საშუალებით. შემდეგ იწყებოდა ხვავის განიავება, ჯერ ფიწლებით, შემდეგ ნიჩბით.

მართალია, კალოობა საჭიროებს მრავალი სახის შრომის იარაღს, მაგალითად: თოხს, ბარს, ფიწლებს, ნიჩაბს, ცხავს, ცხრილსა და სხვა, მაგრამ განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს **სანიავებელი ნიჩაბი**, რადგან ხვავის განიავება ერთ-ერთი ბოლო პროცესთაგანია კალოობის რთულ კომპლექსში და ამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხურ სამიწათმოქმედო სისტემაში. სანიავებელი ნიჩაბი მზადდება მსუბუქი ხის ჯიშისაგან. მისი ტარის და პირის დამუშავებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ნიჩბის ტარი მორგებულია ორივე ხელზე იმ მიზნით, რომ ადვილი იყოს ამ იარაღით მუშაობა. რაც შეეხება ნიჩბის პირს, ის ფარფლიანია, იმასთან დაკავშირებით, რომ ნიჩბით აღებული გასანიავებელი პურეულის მარცვალი ადვილად დახარისხდეს განიავების პროცესში. განიავების პროცესი წარმოებს კალოზე, მაშინ, როდესაც სათანადო ძალის მქონე ქარი ქრის. გამნიავებელი, ნიჩბით აზიდულ მარცვალს ქარის დინებას აყოლებს და ამით

ასუფთავებს და ახარისხებს მოწეულ მარცვლეულს. განიავების შედეგად მძიმე, სრულყოფილი მარცვალი ეცემა გამნიავებლს მახლობლად. მისგან მოშორებით კი საშუალო სიმძიმის მქონე მარცვალი ცვივა, ხოლო მჩუტე და სუსტი მარცვლები გამნიავებლისაგან უფრო შორს იყრება.

დოლაბი წისქვილი, ქართლი

სათესლედ ქართველი გლეხი ყველაზე მძიმესა და სრულყოფილ მარცვალს ინახავს, რომელსაც ის საგანგებოდ უვლის და სპეციალურ ჭურჭელში ათავსებს. იმ შემთხვევაში, თუ გლეხს გადაწყვეტილი აქვს დასათესად შერეული თესლი გამოიყენოს. მაგალითად ქერჭრელი (ქერი და დიკა) გასანიავებელი ნიჩაბით დახარისხებულ სრულყოფილ ხორბლისა და ქერის მარცვლებს ერთად შერეულს ერთ ჭურჭელში ინახავს. ხალხში არსებული აზრის მიხედვით, სათესი მარცვლების სხვადასხვა ჯიშის ერთად მოთავსება სიუხვის მომცემი პირობაა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ხვავის დახარისხება სანიავებელი მანქანითაც ხდება, ხოლმე, მაგრამ სანიავებელი მანქანა მარცვლებს ახარისხებს არა მარცვლის სიმძიმის, არამედ მოცულობის მიხედვით. ამიტომ ერთ კატეგორიაში მძიმე მარცვალთან ერთად ხვდება მჩატეც, რაც ცხადია სათესლედ გამოყენების თვალსაზრისით არაეფექტურია.

განიავების შემდეგ მარცვალს გააცხავებდნენ და **ჩელხს**, ე.ი. ის რაც ცხავში რჩებოდა ცალკე კალოს პირზე დააგროვებდნენ. კალოს პირველი განალეწი სათესლედ მიდიოდა. მას ორმოში ინახავდნენ ან ხაროში. ყოველდღიურ სახმარ ხორბალს კი – სახლში მოტანის შემდეგ გაცხრილავდნენ, გარეცხდნენ და ბეღელში ინახავდნენ.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, **ორმო** და **ხარო** ხორბლეულის შესანახ, სამეურნეო დანიშნულების სათავსს წარმოადგენდა და იგი ქართველი გლეხის სამეურნეო ნაგებობის კომპლექსში შედიოდა, მაგრამ მათი არსებობა მოწმდება, როგორც სახნავ-სათეს მინდვრებში ისე ეკლესიის კარზედაც. სახნავ-სათეს მინდვრებში ორმოები იყო ამოთხრილი, ხოლო ეკლესიის კარზე ხაროები. ორმო უბრალოდ იყო ამოთხრილი, მას მიწაში ჩადგმული წაკვეთილი კონუსის ფორმა ჰქონდა. ხარო ქვიტკირით იყო ამოშენებული. ხაროს ან ორმოს საფარველი **ბადიმი** ჰქონდა მოწყობილი ხის ფიცრებისაგან შეკრული, რომელსაც შემდეგ, როცა ორმო მარცვლით შეივსებოდა მიწას წააყრიდნენ ხოლმე. ძველ მიწათმოქმედ ხალხებში ორმოს, როგორც სათესლე ხორბლეულის შესანახ საშუალებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ორმო ხელს უწყობდა სათესლე მარცვლეულის ერთგვარ იაროვიზაციას.

ბუჭულა წისქვილი, ხევსურეთი

წყლის წისქვილი. შემდეგი ეტაპი მემინდვრეობის პროდუქტების გადამუშავებას მოიცავს, მარცვლეული წისქვილში მიჰქონდათ დასაფქვავად. წის-

ქვილში გადატანა ხდებოდა ზურგით, გუდებით, ან ჯვალოს ტომრების საშუალებით, ცხენით, სახედრებით და ურმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში წისქვილები გვხვდება ყველგან, სადაც წყლის ენერგიის გამოყენებაა შესაძლებელი. ძველად წისქვილები ცალკეულ ოჯახებს საკუთარი ჰქონდათ, მაგრამ დასტურდება საზიარო წისქვილებიც, ტერიტორიულ-მეზობლური პრინციპით გაერთიანებული, სადაც წისქვილის ჯერს ინაწილებდნენ.

საქართველოში მოწმდება ძირითადად წისქვილის ორი სახეობა დიდი წისქვილი ბარში – **დოლაბი წისქვილი** და **ბუჭულა წისქვილი**, მაღალმთიან რაიონებში.

ბუჭულა წისქვილებში თვითონ მეპატრონეები ფქვავდნენ, დიდ წისქვილებში – მეწისქვილეს ქირაობდნენ, რომელიც დაფქვის პროცესს უძღვებოდა და ამავე დროს, წისქვილის გამართულობას მეთვალყურეობდა.

საქართველოს ყველა კუთხეში მარცვლეული იფქვებოდა ძირითადად შემოდგომით – დეკემბრამდე, ზამთრობით – იანვარ-თებერვალში, დიდთოვლობის დროს წისქვილები საერთოდ გაუქმებული იყო.

მარცვლის გაცხავება. მხატვ. ნ. ბრაილაშვილი

ეთნოგრაფიული მოტივები

ქართველი ხალხის სოციალური ყოფიდან

ქორწილი

(მხატვარი ზ.წერეთელი)



მზითვის წაღების ცერემონიალი

(მხატვარი ზ.წერეთელი)

ᲫᲮᲝᲗᲕᲘᲡ ᲬᲘᲕᲜᲘᲡ ᲬᲐᲙᲘᲗᲮᲕᲐ

(მხატვარი ზ.წერეთელი)

ნათლობა

(მხატვარი ზ.წერეთელი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მევენახეობა – მეღვინეობა

საქართველო ვაზისა და ღვინის კლასიკური ქვეყანაა. საქართველოს ტერიტორია კარგა ხანია მევენახეობა – მეღვინეობის ერთ-ერთ უძველეს სამშობლოდ არის აღიარებული. ამას უცილობლად მოწმობს მრავალრიცხოვანი პალეობოტანიკური, ამპელოგრაფიული, არქეოლოგიური, ისტორიული, ენობრივი და სხვა მონაცემები.

ქართველმა ტომებმა თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე შექმნეს მევენახეობა-მეღვინეობის მაღალი და ორიგინალური კულტურა მსოფლიოში საუკეთესო მრავალი ვაზის ჯიშისა და საქვეყნოდ განთქმული ქართული ღვინოების სახით.

მევენახეობა – მეღვინეობა ძველთაგანვე საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ ერთი წამყვანი დარგი იყო.

ქართველი ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში მევენახეობას იმდენად დიდი ადგილი ეკავა, რომ „ქვეყნის მიწა-წყლის ორ მთავარ გეოგრაფიულ და ბოტანიკურ-აგრონომიულ ნაწილად მთად და ბარად დაყოფა სწორედ მევენახეობის გავრცელების თვალსაზრისზე იყო დამყარებული: სადამდისაც მევენახეობა შესაძლებელი იყო, იქამდის ქვეყანა ბარად ითვლებოდა, საიდანაც ვაზის მოყვანა უკვე შეუძლებელი იყო, იმ ხაზიდან მოყოლებული უკვე მთად იყო მიჩნეული“ – წერს აკად. ივ. ჯავახიშვილი.

მევენახეობა-მეღვინეობას საქართველოს ეკონომიური კეთილდღეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ძველი საქართველოს მეზობლებმა და მეტოქეებმაც კარგად იცოდნენ და სწორედ ამიტომ იყო, რომ თემურ-ლენგმა XIV საუკუნის დამლევს და შემდეგ XVII საუკუნის დამდეგს შაჰ-აბაზმა საქართველოს ეკონომიურად დასაუძლურებლად თავიანთ ლაშქარს საქართველოში ვენახების გაკაფვა-ამოგდება უბრძანეს.

ქართული ღვინო მაღალი ღირსების გამო საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძვირფას საექსპორტო საგანს წარმოადგენდა ისეთ ხანაშიც კი, როდესაც

მხატვ. ნ. ფიროსმანაშვილი

ჩვენი ქვეყანა კულტურულად და ეკონომიკურად უკვე საგრძნობლად იყო დაბალსუსტებული. მაგალითად, შარდენის ცნობით XVII საუკუნეში ქართული ღვინო გაჰქონდათ სომხეთში, მიდიაში და სპარსეთის სატახტო ქალაქ ისპაჰანშიც.

როგორც სპეციალისტები მიუთითებენ საქართველოში გამოყვანილია კულტურული ვაზის ჯიშების ყველაზე მეტი რაოდენობა: 500-ზე მეტი. მათგან კახეთში – 80, ქართლში – 72, იმერეთში – 75, რაჭა-ლეჩხუმში –50, სამეგრელოში – 6, გურიაში – 53, აჭარაში – 52, აფხაზეთში – 5. საქართველოში 2,5-ჯერ მეტია აბორიგენული ვაზის ჯიში, ვიდრე აზერბაიჯანში (200), 5,5-ჯერ ვიდრე სომხეთში (90), 2,5-ჯერ მეტი ვიდრე შუა აზიაში (200), 2,5-ჯერ მეტი, ვიდრე დაღესტანში (150).

საქართველოში ვაზის გავრცელების ზონა დაბლობიდან 1340 მეტრ სიმაღლემდე მოიცავს.

საქართველოში მევენახეობის სხვადასხვა ფორმები გვხვდება:

ა) დ ა ბ ლ ა რ ი || ხ ე ლ ნ ა შ ე ნ ი || ჩ ხ ი რ ო დ ი. ხის ხელოვნურ საყრდენს სარს || ჰიგოს ჩაკონებული დაბალი ტანის ვაზი. საქართველოს ვენახები უმთავრესად დაბლარია.

ბ) ო ლ ი ხ ნ ა რ ი || ხ ა რ დ ნ ის ვ ე ნ ა ხ ი. ჰიგო – სარზე მნიშვნელოვნად მაღალ და მსხვილ, ტოტებიან საყრდენებზე (ოლიხი, ხარდანი) მიშვებული ვაზები. გავრცელებულია იმერეთსა და ლეჩხუმში.

გ) მ ა ღ ლ ა რ ი || ხ ე მ ა მ უ ლ ი || დ ო ბ ი ლ ო || ბ ა ბ ი ლ ო. ცოცხალ ხეებზე შესული ვაზი. გვხვდება თითო-ოროლად მთელ დასავლეთ საქართველოში.

დ) ტ ა რ ა ვ ე ლ ი || ხ ე ი ვ ა ნ ი || თ ა ლ ა რ ი. ჰორიზონტალურ საყრდენებზე ხეივნებად გაშენებული ვაზის კულტურა გავრცელებულია მთელ საქართველოში. გამართული აქვთ მცირე მასშტაბით ეზოებში ჭურისათავებსა და სხვა ადგილების დასაჩრდილავად.

ე) შ პ ა ლ ე რ უ ლ ი ს ი ს ტ ე მ ი ს თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე ვ ე ნ ა ხ ი. უკანასკნელ ხანებში ფეხს იკიდებს მევენახეობის ყველა კუთხეში.

ამჟამად, საქართველოს მევენახეობის ძირითადი ფორმა – დაბლარი, როგორც ივ. ჯავახიშვილმა გამოარკვია, ქართლ-კახეთში ძველთაგანვე ყოფილა გაბატონებული. მის გვერდით მცირე მასშტაბებით არსებულა მაღლარიც, რომელმაც აქ XIX საუკუნემდე მოაღწია.

ხოლო დასავლეთ საქართველოში XIX საუკუნის შუახანებამდე დაბლარს მნიშვნელოვნად ჭარბობდა მაღლარი მევენახეობა. მევენახეობის ეს არქაული ფორმა თითქმის სრულიად გააჩანაგა აქ შემდგომში გამოჩენილმა ფილოქსერამ და ვაზის სხვადასხვა სოკოვანმა ავადმყოფობამ. მათთან ეფექტური ბრძოლა გაცილებით იოლი იყო დაბლარის პირობებში, რომელმაც თანდათანობით დაიკავა მაღლარის ადგილი.

ქართველ მევენახეს უხსოვარი დროიდან დაგროვილი აქვს დაუშრეტელი ცოდნა და გამოცდილება ვაზის მოვლა-პატრონობისა. ვაზი ხომ მისი მუდმივი ზრუნვისა და შრომის საგანს წარმოადგენდა, ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ შემდეგი სიტყვებით მიემართა ვაზისათვის:

„ვაზო, შვილივით ნაზარდო,
ულვაში გადგიგრეხია,
ჩაჰკონებიხარ ჰიგოსა,
შუაზედ გადგიტეხია“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენახი, კახეთი

საქართველოს ცალკეულ კუთხეებში, ადგილობრივი ბუნებრივი პირობებისა და ვაზის ჯიშების თავისებურებათა შესაბამისად დამკვიდრებულია ვაზის მოვლა-მოშენების მრავალგვარი წესები.

სანიმუშოდ შევჩერდებით მევენახეობის კახურ კულტურაზე.

ვენახის ანუ მამულის აშენების მსურველს ჯერ სავენახე ადგილი უნდა შეერჩია. შერჩევის დროს გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო სავენახედ ნავარაუდევი ადგილის მდებარეობა და მიწის ავკარგიანობა. აუცილებელ პირობას წარმოადგენდა, რომ მომავალი ვენახის ადგილსამყოფელი სოფლის ვენახების ზოლში ყოფილიყო მოქცეული და შესაფერისად შემოფარგლულიც. ეს წინაპირობა იყო საჭირო სახლიდან მომორებული ვენახისათვის. „კარზე აშენებული ვენახი“ || „შინავენახი“ ამ მხრივ ხომ თავისთავად იყო უზრუნველყოფილი.

კახელი მევენახე კარგად ერკვეოდა ნიადაგის თვისებებში, ის კარგად იცნობდა შავი მიწის, თიხა მიწის, ლამი მიწის, ქვიანა მიწის და სხვა სახის მიწების დამახასიათებელ თავისებურებებს. სავენახედ ყველა მათგანი გამოდგებოდა, თუკი ის „ღონიერი“ იქნებოდა და ნაყოფიერი. ასეთ მოთხოვნილებას, ჩვეულებრივ, ყამირი თუ დაყამირებული მიწა პასუხობდა; ყამირში ჩაყრილი ვაზი „ჭიგოსავით რქას გაიტანსო“. წესი არ იყო, რომ სავენახე ფართობი მთლიანად „გადაებრუნებინათ“, ანუ, როგორც ზოგჯერ იტყვიან ხოლმე, „ბითუმად დაებარნათ“.

ვენახის გასაშენებლად განკუთვნილ ადგილზე გრძელ-გრძელ **სამარხებს ან არხებს** გაჭრიდნენ ორბარიპირზე, ან გუთნით დაკვალავდნენ. არხის „ორპირბარზე ღაჭრა“ მიწის მუხლამდე ჩათხრას გულისხმობდა. არხის სიღრმის გამოხატვასთან დაკავშირებით სახუმარო გამოთქმაც კი არსებულა: „არხი იმ სიღრმეზე უნდა გავჭრათ, რომ რქამ მამლისყივილი არ გაიგონოსო“. „ორბარპირზე“ გაჭრილი არხი იქნებოდა თუ გუთნის ნაკვალარი, მას დაახლოებით ერთი არშინი სიგანე უნდა ჰქონოდა. არხები ერთმანეთისაგან სამი-ოთხი „საჟენით“ იყვნენ დაშორებულნი; არხებს შორის დატოვებული თავისუფალი ადგილი ახლად დანერგილი ვაზების თანდათანობითი გადაწვენით უნდა შევსებულიყო. ვაზის ჩაყრა შემოდგომაზეც შეიძლებოდა, და აღრე გაზაფხულზედაც. შემოდგომით ჩაყრილი თურმე უკეთეს შედეგს იძლეოდა, მაგრამ თუ შემოდგომა „ყინვებს დაიჭერდა“ ან სხვა რამე დამაბრკოლებული მიზეზი გამოირჩეოდა, ვაზის ჩაყრის საქმე გაზაფხულის დამდეგისათვის (მარტისთვის) გადაიდებოდა. ჩასაყრელად განკუთვნილი რქა საშემოდგომო სხვლის დროს უნდა აეჭრათ. რქას რვა-ცხრა კვირტზე აჭრიდნენ და მცირე ზომის "ძველიანსაც“ შეაყოლებდნენ. თვითონ ძველიანი თუმცა დაძველებული იყო და საკვირტე არ ჰქონდა, მაგრამ სამაგიეროდ ის ახალ რქას იცავდა – მას გამძლეობას მატებდა. ვაზის ჩაყრა თუ შემოდგომაზე ვერ მოხერხდებოდა, აჭრილ რქებს კონად შეკრავდნენ და ფეხზე დაყენებულს მიწაში შეინახავდნენ. შეკონილი რქებისათვის თავები ცოტათი უნდა გამოეჩინათ, რომ გაზაფხულზე ადვილად მიეგნოთ და ამოღების დროს ბარით არ დაეზიანებინათ. ამოღების შემდეგ ორი კვირის განმავლობაში ტალახიან წყალში ამყოფებდნენ და მერე ჩაყრიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რქა უნდა ჩაიყაროს რიგზე, ერთმანეთისაგან დაახლოებით თითო არშინის დაშორებით. შეიძლებოდა რქა თითო-თითოდ დაენერგათ და ორ-ორიც (იშვიათად სამ-სამიც).

ორი-სამი რქის ერთად ჩაგდების მთავარი მიზანი ის იყო, რომ უზრუნველეყოთ ვაზის გახარება დანერგვის ადგილას, ორი ვაზიდან ერთი მაინც გაიხარებდა, არც ადგილი გასცდებოდა და არც მევენახის შრომა ჩაივლიდა ფუჭად.

რქებს მიწას მიაყრიდნენ და მაგრად დატკეპნიდნენ, რომ ჰაერი არ ჩასულიყო და რქა არ გამხმარიყო („თუ ჰაერმა იმუშავა გახმებაო"). რქის ნაწილი მიწის ზემოთ მხოლოდ ორ კვირტზე იყო დატოვებული; მიწის ზემოთ ამოყოფილ თავს ირგვლივ, სიცივისაგან დაცვის მიზნით, მიწა ჰქონდა შემოყრილი. ამ კვირტებს ს ა მ ა მ უ ლ ე კ ვ ი რ ტ ებ ს უწოდებდნენ. სამამულე კვირტი ყლორტს ამოიტანდა – რქას გაიკეთებდა. მიწაში მოქცეული კვირტები კი ფერსოს (ფესვს, ირკვს, ბორჯოს || ბორჯგს) გაიდგამდა. წესის მიხედვით, სამამულედ მხოლოდ ერთი რქა იყო საჭირო, კვირტიც ერთი უნდა შერჩენოდა, მაგრამ იმის გამო, რომ კვირტის გაფუჭების შესაძლებლობა არ იყო გამორიცხული, ამიტომ კახელი მევენახე მას ორ კვირტს უტოვებდა (ერთი თუ გაფუჭდებოდა, მეორე მაინც გადარჩებოდა).

გაზაფხულზე (აპრილის თვეში) გასახარებელ რქას კვირტი რომ „დაეძვრებოდა", ა ხ ა ლ შ ე ნ ი უკვე მოვლას საჭიროებდა. მას არ უნდა მოკლებოდა თოხნა და მარგვლა. წელიწადში სულ ცოტა სამჯერ მაინც მოუწევდა გათოხნა (მაისში, თიბათვესა და მარიამობისთვეში).

ალაზნის მარცხენა სანაპიროს მცხოვრებნი ახალშენს, საჭიროების მიხედვით რწყავდნენ კიდეც; კახეთის ამ მხარეში მორწყვა ძველი დროიდანვე ვენახის მოვლა-პატრონობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენდა.

პატარა ვაზს პირველ წელიწადსვე ზედმეტ ყლორტებს აცილებდნენ, ათხელებდნენ. მომდევნო შემოდგომაზე ან გაზაფხულზე მას გ ა ს ხ ვ ლ ა ც დასჭირდება. თუ ჩაყრის დროს შერჩენილ ორივე კვირტზე ყლორტები იყო აღმოცენებული, ე.ი. თუ ორივე კვირტი გახარებული იყო, მაშინ ერთს მოაჭრიდნენ და მეორეს, სამამულედ გაუშვებდნენ, მას ს ა მ ა მ უ ლ ე კ ვ ი რ ტ ს ეძახდნენ.

მეორე წელიწადს ვაზისათვის ჭ ი გ ო ანუ ჭ ი გ ვ ა ც უნდა შეედგათ, შ ე ე ყ ე ლ ა თ და ა ე ხ ვ ი ა თ.

ახალგაზრდა ვაზის ზრდისა და ფორმირების პროცესისათვის, მისი დედა ვაზად ქცევის პროცესისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა გ ა ს ხ ვ ლ ას.

ვაზის გასხვლა, შემოდგომითაც ცოდნიათ და გაზაფხულზედაც. შემოდგომაზე თუ შეუდგებოდნენ ამ საქმეს, ამისათვის ღვინობისთვესა და გიორგობისთვეს გამოიყენებდნენ. გასხვლა შეიძლებოდა მანამდე, სანამ ყინვა დადგებოდა და სიცივეებს დაიჭერდა. საგაზაფხულო გასხვლას თებერვლის ნახევარში აწარმოებდნენ. ამ შემთხვევაშიც დაგვიანება არ შეიძლებოდა, ვიდრე ვაზში წყალი ჩადგებოდა, გასხვლა უნდა მოთავებულიყო.

გასხლული ვაზი „რქებს გაიტანს – ს ა წ ვ ე ნ რ ქ ებ ს გაიკეთებს", ყლორტებს ამოიყრის და მომდევნო შემოდგომაზე ან გაზაფხულზე გადაწვება. ამდენი და ამდენი „ვაზი მაქვს საწვენიო", ანდა „ამდენი ვაზი მაქვს წასაქცევიო" – იტყოდნენ ხოლმე ახალშენში ვენახის პატრონები. გადასაწვენად გამზადებულ

ვახს, სამწლიანს, გასხვლის დროს ოთხ-ხუთ რქას შეარჩენენ. გადაწვენის დროს, უმრავლეს შემთხვევაში სამ რქას ამოუშვებენ ხოლმე, მაგრამ ოთხ-ხუთსა ან მეტ რქას მაინც უტოვებენ, – გადაწვენის პროცესში თუ რომელიმე მოტყდება, ან სხვა რაიმე მიზეზის გამო ვერ გამოდგება, სხვა რქას გამოიყენებენ, საბოლოოდ ხუთ რქას სამ რქაზე დააყენებენ.

შემოდგომაზე გადაწვებოდა ვაზი თუ გაზაფხულზე, გათბობისთანავე ის გაიღვიძებდა და აღმოცენდებოდა. აღმოცენებული სამი ვაზიდან პირველი ორი *კვლავ დატუკდებოდა* და მთელი სიცოცხლის მანძილზე იმავე ადგილას დარჩებოდა; მესამე კი, თუ ვენახი ჯერ შევსებული არ იყო, ისევ გადაწვებოდა. არხებს შორის მოქცეული ფართობის შევსებამდე, მესამე ვაზი თავის ადგილზე არ ჩერდებოდა, ის მუშაობას განაგრძობდა („მესამე ვაზს ვამუშავებთო").

ზოგი მევენახე ისე ახლო-ახლო ჭრიდა არხებს, რომ ვენახის შევსებას ერთი გადაწვენა ყოფნიდა. ზოგი კი – ისე შორ-შორს აყენებდა არხებს ერთმანეთისაგან, რომ ვენახის შევსება რამდენიმე გადაწვენას საჭიროებდა. ნორმალური წესის მიხედვით, ვაზი ორჯერ უნდა გადაწოლილიყო და ვენახის გაშენებაც საშუალოდ ექვს წელიწადში უნდა დასრულებულიყო.

თავდაპირველად ვაზი მცირეოდენ ნაყოფს იძლეოდა, მეოთხე-მეხუთე წელიწადს უფრო მეტს ისხამდა. ამ წლებში მოსხმულ ყურძენს ან სულ ამორებდნენ ან ცოტას უტოვებდნენ. მეექვსე წელიწადს ვაზი სრულ მოსავალს იძლეოდა. ექვსი-შვიდი წლის თავზე ახალშენი ნამდვილი ვენახად გადაიქცევა, ექვსი-შვიდი წლის დამსხვილებული ვაზებით სავსე ადგილს უკვე *ვენახი* ეწოდება.

ამგვარად ჩაყრილი და მოშენებული ვენახი ძალიან დიდხანს ცოცხლობდა, ის რამდენიმე თაობას ემსახურებოდა. საკმაოდ დიდ დროს უნდა გაევლო, რომ ვენახი სამუდამოდ „ამოვარდნილიყო".

დროთა განმავლობაში თუ რომელივე ვაზი ამოხმებოდა, მეზობელი ვაზის შესაფერის რქას *გადამუხლავდნენ* (*ჩამუხლავდნენ*) || *გადააწვენდნენ* და, ამრიგად, გამხმარი ვაზის ადგილზე ახალ ვაზს აღმოაცენებდნენ: გათხელებული ვენახი „გადაწვენით შენდებოდა".

უწინ, ქართული მევენახეობის სიჯანსაღის პერიოდში, ვენახს არც მოწამვლა უნდოდა, არც გოგირდს შეყრა, მაგრამ მოვლა მაინც დიდი სჭირდებოდა.

როგორც გადმოგვცემენ, ვენახი, წინათ, უმთავრესად „ბარვითა და თოხნით კეთდებოდა". მთხრობელთა თქმით, ვენახი 3–4–5 წელიწადში ერთხელ უნდა დაიბაროს, ზოგი 6–7 წელიწადში დაბარვასაც ნორმალურად მიიჩნევს. ვენახი დიდი ხნის განმავლობაში თუ არ დაიბარა „მიბრუნდება". ვენახს არც ხშირად დაბარვა უხდება. ხშირი დაბარვით ვაზს „ფერსვი აწყდება" და ფუჭდება. ვენახის დაბარვა შემოდგომაზედაც შეიძლებოდა და გაზაფხულზედაც და თუ ყინვა არ იყო, ზამთარშიც („ყინვიან ზამთარში თუ დაიბარება, ვაზის ძირს ცივი ნიავი ჩაუვა, გაჰყინავს და გაახმობსო"). შემოდგომაზე დაბარული მიწა „ზამთარში დაიწვება", „გაფრქვიალდებოდა" და დამწვარი მიწა კი „როგორც სასუქი დააყარო იგრეაო". დიდი ვენახის პატრონი ერთდროულად თუ ვერ მოახერხებდა ვენახის დაბარვას, მაშინ ერთ წელიწადს მხოლოდ ნახევარს დაბარავდა და მერე წელიწადს კი „ნაჩხატად" დარჩენილ მეორე ნახევრის დაბარვას შეუდგებოდა. ვენახს წელიწადში, ისევე როგორც ამჟამად, 3–4-ჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც თოხნიდნენ. მაშინ კარგად იცოდნენ, რომ ხშირი გათოხნა ნიადაგს აფხვიერებდა და აფხვიერებდა. პირველი თოხნა იწყებოდა მარტში, მეორე –აპრილში, მესამე – მაისში და თიბათვეში; უკანასკნელი გათოხნა (უკანასკნელ გათოხნად მესამე გათოხნა იქნებოდა მიჩნეული, მეოთხე თუ მეხუთე, სულერთია) მარიობის თვეზე მოდიოდა.

პირველი გათოხნა, ერთ-ერთი მთხრობელის გადმოცემით: „ბალახს არ ამოიყვანს, მეორე გათოხნაც ბალახსა ჰკლავს. მაისის შემდეგ იგნე რიგათ აღარ ამოვა ბალახი. მარინობისთვის გათოხნა ყურძენსა ირგებობს, ამსხვილებს მარცვალს". გათოხნისათვის ზომიერი ამინდი უნდა შეერჩიათ, გვალვისას ვენახის გათოხნა არ შეიძლებოდა.

ვენახის ნიადაგის განაყოფიერების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონია სასუქის დაყრასაც. მევენახეს 7–8 წელიწადში ერთხელ მაინც უნდა შეეტანა ვენახში სასუქი. ზოგი კი, როგორც ეტყობა, ვენახს ყოველწლივ აპატივებდა. „ყველი ვენახები სასუქით იყო განოყიერებულიო" – გადმოგვცემენ კახელი მთხრობლები. სასუქის დაყრა შემოდგომაზე, ზამთარში და გაზაფხულზედაც (კვირტის გამოსვლამდე) ხდებოდა, ზამთარში დაყრილს უპირატესობას ანიჭებდნენ, „ზამთარში უფრო იმიტომ აყრიდნენ, რომ ყინვა დაიწვამდა, გააფრქვიალებდაო". წყლით მდიდარ რეგიონებში ვენახის მორწყვასაც მიმართავდნენ. ალაზნის გაღმა მხარეს (ყვარლის მიდამოებში), როგორც ჩანს, დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთში მხოლოდ მორწყვითა და გათიბვით კმაყოფილდებოდნენ.

ვენახის ერთ-ერთ ძირითად სამუშაოს გ ა ს ხ ვ ლ ა წარმოადგენდა. გასხვლა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ შემოდგომითაც წარმოებდა და გაზაფხულზედაც. გასხვლის დროს ვაზს ძველიანად სახელდებულ, ძველ რქას მოაჭრიდნენ და, საყოველთაოდ მიღებული წესის მიხედვით, ერთ რქასა (იმერ. ს ა წ ი ნ ა ო) და ერთ ნეკს (ს ა ყ უ რ ძ ნ ე, ს ა ნ ა ყ ო ფ ო, ს ა კ ვ ე ბ ე ლ ი) შეარჩევდნენ; თუ თამამი ვაზი იყო – ორ რქას და ერთ ნეკს ან ერთ რქასა და ორ ნეკს. სანეკე რქა თამამიც უნდა იყოს და შესაფერის ადგილას მოთავსებულიც. ვაზი თუ ძალიან მაღალი არ იყო, ნეკს სამამულე რქის თავში დაუტოვებდნენ, მაღალი ვაზისათვის კი ნეკს უფრო დაბლა მოძებნიდნენ. როგორც ცნობილია, ნეკმა უნდა წარმოშვას მომავალი წლის *სამამულე რქა* თუ ის ზომაზე ზემოთ მოჰყვება, ახალი სამამულე რქაც სიმაღლეზე ამოიზრდება და ასე გამაღლებულ რქას კი კაცი ვეღარ შესწვდება. სანეკეთ არც ძლიერ ქვემოთ მოთავსებული რქა გამოდგებოდა, ასეთ ადგილას მყოფი ნეკიდან ამოტანილი სამამულე რქა, დაკავების დროს, ძირს ჩამოეშვებოდა და მისი ნაყოფიც მიწაზე მოეთრეოდა.

ვენახს ჭ ი გ ო ს შ ე დ გ მ ა სჭირდებოდა, ჭიგოს შედგმას შ ე ს ა რ გ ვ ა ს ა ც ეძახდნენ. (ძვ. ქართ. ვენახთა *ასარგა*, ვენახთა *გაწგეაი*), ვენახი თუ იბარებოდა, ჭიგოც ბარვის დროს შეედგმებოდა, ამ შემთხვევაში სულერთი იყო ზამთარი იქნებოდა თუ გაზაფხული. ვენახს თუ იმ წელიწადს დაბარვა არ უწევდა, მაშინ ჭიგოს შედგმას გაზაფხულისთვის გადასდებდნენ. ჭიგოს შედგმას შემდეგნაირი წესით ახდენდნენ: ჭიგოს ვენახში მხრეულად შეიტანდნენ, ერთ მხარში ოცი ჭიგო ითვლებოდა. თითო ვაზის ძირთან თითო ჭიგოს დასდებდნენ და შემდეგ კი შედგმას შეუდგებოდნენ. სავენახე ჭიგოდ იყენებდნენ დუდგულას, დგნალს, თრიმლს და სხვ. გამძლეობის მხრივ თრიმლი ყველაზე უკეთესი ყოფილა, მაგრამ ძნელად იშოვებოდა თურმე. ზოგი ჭიგო მხოლოდ ორ წელი-

წადს ვარგოდა, ზოგი კი ხუთ წლამდეც სძლებდა. ჭიგოს შენახვისა და გაძლერების დაცვის მიზნით, მას შემოდგომით გლეჯავდნენ და ვენახში მდგომ ხეებზე ტოტებზე ალაგებდნენ. ჭიგოს შედგმას, როგორც ვთქვით, შესარვას უწოდებდნენ, მაგრამ ჭიგოსა და სარს ერთმანეთისაგან არსებითად ანსხვავებდნენ. სარი მსხვილი ყოფილა და გაქერქილი, ჭიგო კი გაცილებით წვრილი და გაუქერქავი. სარს ღობის მარგილის მოვალეობის შემსრულებლად ასახელებენ, ვენახისათვის მას გამოუსადეგრად სთვლიან. მათი შეხედულებით, ვენახის შესასარავად მსხვილი ხე არ გამოდგება. ზოგს უცდია კიდეც სარით შესარვა, მაგრამ შედეგად ვენახი გადახმობია. სავენახე ჭიგო წვრილი უნდა ყოფილიყო, ის უნდა „ტოკავდეს", მოძრაობის უნარი უნდა ჰქონდეს. სარი, სისქის გამო, უმოძრაოა, ის ზაფხულში ხურდება და ვაზს აზიანებს.

ზემოაღწერილი წესით შესარულ ვენახს გაზაფხულზე, ვიდრე კვირტი გამოუვიდოდა (რომ შეყელვის დროს არ გასცვივნოდა), შეყელავდნენ, ანუ, როგორც გაღმა მხარეს ამბობენ ხოლმე, შეკონავდნენ. **შეყელვა** ვაზის ჭიგოზე მიკვრას ეწოდება. ვაზის მოსაკვრელად, ანუ შესაყელავად, საყელავს ხმარობდნენ. საყელავად იყენებდნენ: თელის ფურცლის და ლაფნის ხარალს, სვესა და ფათალს. შეყელვას მალევე მოყვებოდა დ ა კ ა ვ ე ბ ა . დაკავება სამამულო რქის ჩამოკრასა და ჭიგოზე მიმაგრებას გულისხმობს. თუ პატარა ვაზია, რქის დაკავების დროს მისი თავიცა და შუა წელიც ჭიგოზე უნდა მიმაგრდეს. დიდ ვაზს კი ერთგან ეყოფა მიმაგრება. დაკავების დროს, თურმე, მეტად ფრთხილად უნდა მოქცეულიყვნენ: რქას პირთან მოჰკიდებდნენ ხელს და რქის კვირტებსა და მუხლებს ხელში გამოატარებდნენ. (საკვირტე ადგილს მუხლი ეწოდება). რქას ნელ-ნელა ხელში მოქნიდნენ, მოდრეკდნენ და ხელის ამგვარი თანდათანობით ჩამოცურების შემდეგ, რქის წვერს სათანადო ადგილას მიაკრავდნენ. სიფრთხილე რომ არ გამოერჩინათ, შეიძლება საკვებელ რქადაც წოდებული სამამულე რქა მოტეხილიყო და ვენახის მოსავალის გარკვეული ნაწილი დაკარგულიყო. შეყელვა და დაკავება შეიძლება ერთდროულად მოხდეს. ამის გამოა, რომ ზოგი მთხრობელი ორივეს ერთად „შეყელვას" უწოდებს. თუ ცივი, ყინვიანი გაზაფხული დადგებოდა, შეყელვა-დაკავებისათვის განკუთვნილ პერიოდში (მარტი-აპრილი) ვაზს არც შეყელავდნენ და არც აკავებდნენ, შეყელილ ვაზს, როგორც ამბობენ, „ხელფეხი აქვს შეკრულიო"

ზემოდასახელებულ სამუშაოებთან ერთად, ვენახს გ ა ფ უ რ ჩ ნ ა (ძვ. ქართ. ა ჯ ო ჯ ვ ა) და ა ხ ვ ე ვ ა ც ესაჭიროებოდა. ჩვეულებრივად ახვევა ორჯერ-სამჯერ ხდებოდა და გაფურჩქნაც დაახლოვებით ამდენჯერვე. ხშირ შემთხვევაში ეს ორი პროცესი ერთსა და იმავე დროს სრულდებოდა, მაისის ბოლოსა და თიბათვის ნახევარში – „მკათათვის ნახევრიდან ვენახი დგება". გაფურჩქვნის დროს ნამკვრევი და ზედმეტი ფოთლები „გამოეცლება", სამამულე რქაზე გამოტანილი უყურძნო რქები მოშორდება. ამგვარი გაფურჩნის შემდეგ ვაზი აიხვევა, სამამულე რქის ყურძნიანი რქები საყელავით ჭიგოზე მიმაგრდება. გლეხი გულდასმით ადევნებს თვალყურს, რომ ვენახი აუხვევლობითა და გაუფურჩნობით არ გაფუჭდეს. ვენახის მოვლა-პატრონობის ერთ-ერთ სახეს მკათათვის ბოლოს კ ე ნ წ ე რ ი ს (თავის გადაჭრასაც ხმარობდნენ) გ ა დ ა ჭ რ ა წარმოადგენდა.

ვენახს მაისშივე ეტყობოდა მსხმოიარობა, ამ დროს უკვე კარგად ჩანდა აპირებდა დასხმას ვენახი, თუ თხლად გამოჭქონდა ყურძენი. ახლად გამოჩენილ

ნაყოფს ყ უ რ ძ ე ნ ს ეძახდნენ. მაისის გასულსა და თიბათვის დასაწყისში „ყურ-ძნად“ სახელდებული ნორჩი მტევნის მარცვლებს ქერქი გადასცილდებოდა და ი ს ვ რ ი მ ი წარმოიშობა. გადამძვრალ ქერქს უწინაც ყ ვ ა ვ ი ლ ს უწოდებ-დნენ, სწორედ ამ დროს იტყოდნენ ხოლმე „ვენახი ყვავილშიაო“. „ვენახში რომ თვალი შევა“, ე.ი. ვაზის ნაყოფი შემწიფებას რომ დაიწყებს, ისვრიმი ყურძნად გადაიქცევა და ბოლომდე ეს პირვანდელი სახელწოდება შერჩება.

ქვევრი

ვენახის დასამუშავებელ იარაღებს ბ ა რ ი, თ ო ხ ი, ს ა ვ ა ზ ე (იმერ. სასხ-ლავი), წ ა ლ დ ი (მეგრ. ბ უ რ ჭ უ ლ ი) და ნ ა მ გ ა ლ ი შეადგენდა. ბარსა და თოხს დასაბარავ-დასათოხნად ხმარობ-დნენ, სავაზეს – გასასხლავად, წალდს – ჭიგოს საჩეხად და ნამგალს – კენწეროს გადასაჭრელად, საჭიროების შემთხვევა-ში გასათიბადაც. არქეოლოგიური მო-ნაცემების მიხედვით სავაზეს კახეთში უკ-ვე II და I ათასწლეულების მიჯნაზე ხმარობდნენ (ბაკურციხის არქეოლოგიური გათხრები).

ვენახის ფართობი შეიძლება დიდიც ყოფილიყო და პატარაც, რაც მის სახელწოდებას განსაზღვრავდა: სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი დღიურის და უფრო მეტი ფართობის შემცველ ვენახს ზ ვ ა რ ი ერქვა, პატარას კ ი ვ ე ნ ა ხ ი.

მევენახეთა გამოცდილებით, ვენახს არც გვალვა უხდება და არც გადაჭარ-ბებული ავდრიანობა, მაგრამ არჩევანზე რომ მიდგას საქმე, – იგი გვალვას უფრო იტანს. „გოლვიანობაში მარცვალი არ უმსხვილდება, მაგრამ ჟანგარო არ ეკიდება“. სითბო განსაკუთრებით კვირტის გამოსვლას, – „კვირტის და-ძვრის“ დროს უხდება. ამ ხანებში თუ ავდრიანი დღეები დადგა, კვირტი დაზა-რალდება. როკი „კვირტი გამოვა“ და „ვენახი გამაგრდება, წვიმა იმდენს ვეღა-რაფერს დააკლებს“. იმასაც კი ამბობენ, რომ ვენახს მკათათვემდე, ვიდრე ის „ყვავილიდან გამოვა“ გვალვა უხდება. მკათათვის ნახევრიდან დაყვავილებული ვენახი ზომიერ ავდარს საჭიროებს.

ვენახის სერიოზული ავადმყოფობა, ს ა ტ კ ი ვ ა რ ი, ძველად არ არსე-ბობდა. მეორეხარისხოვანი, დროებითი ხასიათის ავადმყოფობაც კი იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა. საქართველოში ვაზის დაავადებები „მილდიუსი“ და „იოდიუმისი“ წარსულ საუკუნეში შემოვიდა უცხოეთიდან, რომელსაც ხალხმა მ ი ნ დ ა ო (გურ. ო ბ ი, მეგრ. ფ ო კ ვ ა) და ო დ ი უწოდა. ზოგიერთი მთხრო-ბელი მილდიუსა და იოდიუმს ერთგვარად გვიხასიათებს, ზოგი მათ ერთ-მანეთისაგან ანსხვავებს. იოდიუმის || ნ ა ც ი რ ი (მეგრ. ტ უ ტ უ ა, ნაცრად გედეედებაო) წარმოშობას ხალხი შემდეგი გარემოებით ხსნის: „დიდ სიცხეში რომ მცირე წვიმა მოვა, ის დედამიწას ვერ გააგრილებს, აორთქლებას კი გამო-იწვევს. ვაზს დედამიწის ოხშივარი ნაცრად დაედება“. „ოდი როგორც ჟანგი ამოვა, ერთ ალაგას გაიშლება და დაიფარამს ჰაერს. ის ყურძენს ნაცარივით ეფინება და მარცვალსაც არ უმსხვილებს“. შეიძლება ვივარაუდოთ ნაცრის სახელითა ცნობილი პატარა ავადმყოფობა ძველადაც იყო ცნობილი, ხოლო უცხოეთიდან შემოჭრილმა „ოდმა“ მასთან მსგავსება პოვა და ორივე ავად-მყოფობა სახელწოდებიანად ერთიმეორის სინონიმად იქცა.

ცეკვა "ქართული" შედუდუკეთა დასტის თანხლებით

(მხატვარი ხ.ნერეთელი)

მარანში

(მხატვარი ზ.წერეთელი)

ძველად საქართველოს ვენახებს მხოლოდ სტიქიური მოვლენები აზიანებდა. ვენახის მთავარ მტერს ყინვა წარმოადგენდა, რომელიც ვაზს ახმობს, მაგრამ ის მთლიანად არ ფუჭდებოდა. როცა ყინვისაგან მიწის ზემოთ მოქცეული ნაწილი ხმებოდა – გამხმარი ვაზი ძირში გადაიჭრებოდა, რომლის ადგილზე ახალი ვაზი ამოიზრდებოდა. როგორც ვხედავთ, ძველებურ ქართულ ვენახს, დროებით და არა სამუდამოდ, მხოლოდ ბუნებით მოვლენილი სიცხე-სიცივე და გადაჭარბებული მოუვლელობა აზიანებდა.

მეღვინეობა. საქართველოში მევენახეობის პროდუქციის უდიდესი ნაწილი იმთავითვე მეღვინეობას ხმარდებოდა.

ქართული ღვინის დაყენების ხელოვნება იცნობს არა მარტო (თეთრი და წითელი) სუფრის ღვინოებს, არამედ აგრეთვე ბუნებრივად ტკბილ (ხვანჭკარა, ტვიში, უსახელოური, ქინძმარაული) და ცქრიალა (ატენური, ჩხავერი) ღვინოების დამზადების ნაირგვარ ტექნოლოგიურ წესებს.

აღმოსავლეთ საქართველოში (ქართლ-კახეთი), როგორც ყურძნის დაწურვა, ისე ტკბილის დადუღება-დაღვინება წარმოებს „ს ა ღ ვ ი ნ ე ს ა ხ ლ შ ი“ (საბა ორბელიანი) მ ა რ ა ნ შ ი, სადაც მეღვინეობის მთელი ინვენტარია დაცული: საწნახელი, ქვევრები და ა.შ. მარანი ზოგან ეზოში განცალკევებით მდგომი ქვითკირის ან ფიცრული უჭერო ნაგებობაა, კრამიტით ან წალმით გადახურული. ზოგჯერ კი მარანი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულშია მოთავსებული. ძველად მარნები ვენახშიც (ზვრებში) ჰქონიათ. მათი ნაშთები დღესაც გვხვდება ძველ ნასოფლარებსა და ნავენახარებში.

ქართლ-კახეთისაგან განსხვავებით, დასავლეთ საქართველოში, მარნებში მეტწილად მხოლოდ ყურძენი იწურება. ჩვეულებრივ, ქ ვ ე ვ რ ე ბ ი (ჭ უ რ ი,

ქართული მარანი

ლ ა გ ვ ა ნ ი) მარნის გარეთ, იქვე ტალავერით ან ხეებით დაჩრდილულ და საგანგებოდ შემოღობილ ადგილს – ჭ ო რ ი ს თ ა ვ ი || ო ლ ა გ ვ ა ნ ე – მარნის.

აქაური მარანი იშვიათადაა ქვიტკირისა (მხოლოდ მაღალმთიან სოფლებში), უმეტესად იგი ხის, ფიცრული ან ძელური, უჭერო ნაგებობაა კრამიტით, ან ყავრით გადახურული. ხშირია ფ ა რ ღ ა ლ ა მ ა რ ა ნ ი ც – უკედლებო, მხოლოდ ზევიდან გადახურული ხის ფარდული.

ქართული მარნის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია ს ა წ ნ ა ხ ე ლ ი, რომელშიც მამა-პაპური წესით, ფეხით იწურება ყურძენი. გავრცელებულია ხის (ნ ა ვ ი), ქვისა და ქვითკირის საწნახლები. ეს უკანასკნელნი ქართლ-კახეთისათვისაა დამახასიათებელი. დასავლეთ საქართველოსათვის ტიპურია ხის საწნახელი (საწნახელი, ხორგო), რომელიც ჩვეულებრივ ცაცხვის ვეებერთელა მორისაგან არის გათლილი. გვხვდება სწორად გვერდებჩათლილი, გაკუთხული საწნახელიც (ჭანური) და მრგვალად გათლილი მორის ფორმისაც. ზოგი საწნახელი მთლიანია, ზოგი კი თავგამოყენებული – წინ და უკან თავებჩასმული. საწნახელს ძირში ან გვერდის ქვეშ აქვს ხვრელი ტკბილის გამოსასვლელად.

უკანასკნელ ხანებში იმერეთსა და გურიაში შემოდის ხმარებაში აგურითა და ცემენტით ნაშენი საწნახელი.

საღვინე იარაღ-ინვენტარი, იმერეთი

ხის საწნახელი ქართლ-კახეთშიც გვხვდება (ნავი) ქვიტკირის საწნახელთან ერთად. ძველი ქვიტკირის საწნახლებს ეხლაც ბევრს ვხვდებით ნასოფლარებსა და ნავენახრებში.

ისტორიულ ჯავახეთში ვარძიის ქვაბთა ანსამბლსა და მისი მიდამოების კლდის სოფლებში (ზედა ვარძია, ჭაჭკარი, ახჩია, ფია) მრავლადაა შემორჩენილი XI-XIII საუკუნეების კლდეში ნაკვეთი საწნახლები.

ქართული მეღვინეობის კულტურის ყველაზე მეტად დამახასიათებელი ელემენტია ქ ვ ე ვ რ ი || ჭ უ რ ი || ლ ა გ ვ ა ნ ი, ღვინის დასაყენებელი და შესანახი, მიწაში დამარხული თიხის ჭურჭელი. ქვევრები სხვადასხვა სიდიდისაა: მაგალითად კახეთში გვხვდება 5–6 ხელადიდან (ხელადაში 2ლ. ჩადის) – 10 საპალნემდე (საპალნეში ჩადის 576 ლიტრი) ტევადობის ქვევრები.

ქვევრებს ადგილობრივი ოსტატები (მექვევრე, მეჭურე) ამზადებენ. საუკეთესოდ ითვლება იმერეთის ჭურები, რომლებიც საქართველოს სხვა კუთხეებშიც გაჰქონდათ.

ახალ ქვევრს, ჯერ უხმარს, მიწაში „ჩაგდებამდე“ შიგნიდან „გაქონავენ“: თაფლის სანთლით გასანთლავენ ან თაფლის სანთლისა და კუპრის ნარევით მოკუპრავენ. ამას იმიტომ მიმართავენ, რომ ქვევრმა არ გაჟონოს, ღვინოს შმორის გემო არ მიეცეს და თანაც ქვევრის გარეცხვა გაადვილდეს.

ძველად დიდ ქვევრებს (აგრეთვე თხელს ან გაბზარულს) სიმტკიცისათვის მიწაში დამარხვისას კირავდნენ, ადუღაბებდნენ, ბოლო ხანებში კი აცემენტებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოდელი

იმერული მარნისათვის დამახასიათებელია თიხის დაბალი და პირფართე ჭურჭელი სატკბილე || ისარნა, რომელიც საწნახელის წინ მიწაშია ჩადგმული. დაწურული ტკბილი ჯერ მასში გროვდება, საიდანაც მერე ქვევრებში გადააქვთ.

ანალოგიური ჭურჭელი ძველად ქართლ-კახეთშიაც ყოფილა ხმარებაში (თაღარი, მენა).

ქართლსა და დასავლეთ საქართველოში გავრცელებულია სხვადასხვა კონსტრუქციის ჭაჭის წნეხები (საქაჯავი, საქაჩავი, წბერი). მათ იყენებენ უმთავრესად ყურძნის ფეხით დაწურვის შემდეგ ჭაჭიდან, მასში დარჩენილი წვენის გამოსაწნეხად („რასაც ფეხით დავაკლებთ, იმას წბერით მოუთავებთ"), და აგრეთვე ღვინის ჭაჭაზე დადუღების შემდეგ ჭაჭიდან მაჭრის „გამოსაჭაჩად". წნეხების ორ მთავარი ტიპი გვხვდება : ა) ბერკეტიან-ხრახნიანი და ბ) ბერკეტიან-ოწინარიანი.

ქართული მეღვინეობის ინვენტარს ეკუთვნის აგრეთვე ყურძნის დაწურვის, ღვინის დარევის, ღვინის გადაღების, ქვევრის მოხდა-დახურვასა და სხვა პროცესებთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი წვრილი ხელსაწყო-ჭურჭელი.

საქართველოს ცალკეულ კუთხეებში, გამომუშავებულია ღვინის დაყენების განსხვავებული წესები. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ღვინის დაყენების კახური წესი.

რთველი. დაბლარ და მაღლარ ვენახში რთველი ჩვეულებრივ სექტემბერ-ოქტომბერში ტარდება, თუმცა მაღლარის დაკრეფა ხშირად დეკემბრამდე გრძელდება. რთველის დადგომამდე 2–3 კვირით ადრე მთელი რიგი წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები სრულდება: წესრიგში მოჰყავთ რთველისა და აგრეთვე ღვინის დაყენება-შენახვისათვის საჭირო ინვენტარი. ამ სამუშაოთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ქვევრების რეცხვა, რაც საგანგებო იარაღის დახმარებით წარმოებს: პატარა ქვევრებს (გურ. ყვიბარი, მეგრ. ლახუტი)



რთველი. XIX ს. II ნახ. ფოტო

მათში ჩაუსვლელად რეცხენ საზედაო სარცხით – (მეგრ. ორჩეში, ორჩხუმი) გრძელი ჯოხით, რომლის ერთ ბოლოზედ წამოცმულია ბლის, არყისა ან ბალამწარას ქერქის ფურცლების მთელი წყება, ხოლო ბოლო ხანებში იყენებენ სიმინდის ფუჩეჩსაც. დიდ ქვევრებში კი შიგ ჩადიან და რკალად შეკონილი კრაზანით ხეხავენ. იყენებენ საქვედაო სარცხსაც. რეცხვის დროს ნახმარ წყალს ქვევრებიდან იღებენ აყირო გოგრისაგან გაკეთებული ხაპით (გურ. ორკოპე, მეგ. ხეპარა).

არყის გამოხდა

დასაკრეფი ყურძნის სიმწიფეს განსაზღვრავენ გარეგნული ნიშნებისა (ფერი, გამჭვირვალობა და სხვა) და გემოს მიხედვით. ყურძენს წყვეტენ ხელით, ანდა ჯიბის დანით. დაკრეფილ ყურძენს კალათებში ყრიან. აქედან ყურძენს გადაიღებენ გოდრებში, რომლებიც ზურგით ან ურმით მარანში მიაქვთ და საწნახელში სცლიან.

ლუდი საქართველოში. მევენახეობა-მეღვინეობის ამ კლასიკურ ქვეყანაში, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები – ფშავები, მოხევეები, თუშები, ხევსურები. მთიულ-გუდამაყრელები უძველესი დროიდან ადუღებენ ლუდს. ლუდი მათი „ნაციონალური“ სასმელია, რომელიც აუცილებლად თან ახლავს მთიელთა ცხოვრების მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან მომენტებს. ლუდი, როგორც საკულტო სასმელი, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მათ რელიგიურ ცხოვრებაში.

ამჟამად მთიელები ლუდს ადუღებენ ქერის, სვილისა და მათი ნარევისაგან, მაგრამ როგორც ჩანს, ძველად მხოლოდ ქერის ლუდი სცოდნიათ. ადგილობრივ ფოლკლორში და აგრეთვე ძველ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში მხოლოდ ქერის ლუდი გვხვდება, ამაზე მიუთითებს მთიელთა ყოველდღიურ ხმარებაში გამოყენებული ლუდის აღწერილობითი სახელწოდება – სინონიმი ქერის წვენი.

ლუდის დუღების მთელი პროცესი შეიძლება სამ საფეხურად დავყოთ: 1) ალაოს ფორის დამზადება, 2) ტკბილისა და სისწვენის დუღება და 3) სისწვენის ფუება.

ალაოს შემდეგნაირად ამზადებენ: მარცვლის აუცილებელ რაოდენობას ალბობდნენ მდინარეში ჩაშვებული ტომრებში ან წყლით სავსე კოდებსა თუ ქვაბში. 2–3 დღის დალბობის შემდეგ მარცვალს იატაკზე გაფენენ და ზევიდან სათბილად გადააფარებენ ჩალას, ფარდაგებს და ა.შ. 3–4 დღის განმავლობაში მარცვალი გამოვა-გაღვივდება, დაფორდება. ღივის სიგრძე დახლოებით 1 სმ. უნდა იყოს. მწვანე ფორს ახმობენ ჩრდილში, შემდეგ ღერღავენ წისქვილში. ფორს მხოლოდ ქალები ამზადებენ, ლუდს კი მამაკაცები ადუღებენ.

ტკბილს ადუღებენ უზარმაზარ სპილენძის ქვაბებში. ფორის ფქვილსა და წყალს შორის იცავენ პროპორციას 1 : 2 ან 1 : 3 და ადუღებენ მანამდე, სანამ სითხე არ აორთქლდება დაახლოებით ერთი მტკაველის სიმაღლეზე. შემდეგ ტკბილს, წვენს || დარკოს წურავენ თხის ტომრებში სპეციალური

თვითნაკეთები საწნეხი ხელსაწყოებით, რომელიც სამ ნაწილისაგან შედგება: კედები, პირსაკრავები, გწახა. გაწურული ტკბილი ჩადის ტომრის ქვეშ დადგმულ გრძელ ნავისებურ სპილენძის ან ხის ჭურჭელში – ლ ა თ ბ ა შ ი || ნ ა ვ ი || ი ს ა რ ნ ა, ამის შემდეგ ტკბილს ისევ სალუდე ქვაბში ჩაასხამენ, განსაზღვრული რაოდენობით სვიას დააყრიან და კვლავ ადუღებენ (დაახლოებით ერთი ციდის სიმაღლეზე ჩადუღებამდე). მიღებულ სითხეს ს ი ს წ ვ ე ნ ს (სვიის წვენი) გაწურავენ კალათებსა ან საცრებში და გადაასხამენ (ზაფხულში მაქსიმალურად გაცივებულს, ზამთარში კი ოდნავ თბილს) კ ო დ ე ბ შ ი და მისცემენ საფუარად ჭ ი ჭ ს – (ადრე დამზადებული ლუდის ქაფს). თავზე თბილად დააფარებენ. ფუილი დაახლოვებით 1 კვირას გრძელდება.

სალუდე კოდი

უკანასკნელ დრომდე აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში, კერძოდ, თუშ-ფშავ-ხევსურეთში თითოეული სათემო ორგანიზაციას თავისი საკუთარი ღვთაება და მისი სალოცავი გააჩნდა. მთიელთა ამ წარმართულ ღვთაებასაც და მათ სალოცავს ჯ ვ ა რ ი || ხ ა ტ ი ეწოდება. ყოველი ჯვარი || ხატის საკუთრებას შეადგენდა: **საკულტო ნაგებობანი** (დობილთ კოშკი, დროშათ საბრძანი კოშკი, სასანთლე, საზარე, დარბაზი...) და **საშეურნეო ნაგებობანი**: საქვაბე–სალუდე – ლუდის სადუღებელი ნაგებობა, ბეღელი – მარცვლის შესანახი და საკოდე – ლუდის საფუვებელი და შესანახი ნაგებობა – სათანადო ინვენტარითურთ ღვთაებისადმი მიძღვნილი კალენდარული დღეობებისათვის საჭირო საკვების დასამზადებლად, შესანახად და მოსახმარებლად. ჯვარისავე საკუთრებას შეადგენდა **ჯვარის მამულები** – სახნავი, სათიბი, საძოვარი მიწები და საქონელი.

ჯვარის მეურნეობას, რომელშიც მთავარ როლს სალუდე მეურნეობა ასრულებდა, სალოცავის მთავარი მსახურის ხ უ ც ე ს ი ს ხელმძღვანელობით უძღვებოდა სათანადო სამეურნეო პერსონალი: დ ა ს ტ უ რ ი, მ ე ს ა ფ უ რ ე, შ უ ლ ტ ა, მ ა გ ა ნ ძ უ რ ი და სხვა.

დასტურის მოვალეობას შეადგენდა: სხვადასხვა სამიწათმოქმედო სამუშაოები სალოცავის მამულზე, რიტუალური ლუდის დუღება და სხვ. დასტურების მიერ მოტეტუღებულ ტკბილს, აფუებდა მ ე ს ა ფ უ ვ რ ე. სპილენძისა და ვერცხლის თას–განძი, ლუდის შესასმელი ჭურჭელი, მ ე გ ა ნ ძ უ რ ს ებარა.

სალოცავის სალუდე მეურნეობის საფუძველს წარმოადგენდა ჯვარის სახნავი მამულები, რომლებზედაც ქერი ეთესა. ამ მამულების დამუშავების სხვადასხვა წესი არსებობდა. მიღებული მოსავლიდან მზადდებოდა ლუდი კალენდარული დღეობებისათვის.

სათანადო ეთნოგრაფიული გადმონაშთების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ქართველ მთიელთა ლუდის საჯვარო მეურნეობის სახით საქმე გვაქვს უკვე პირველყოფილ-თემური წყობილების წიაღში წარმოშობილ სახალხო რელიგიური დღეობებისათვის განკუთვნილი ლუდის მეურნეობასთან. ამაზე მიუთითებს ამ მეურნეობასთან დაკავშირებული კოლექტიური შრომის ორგანი-

ზაციის ფორმები და ამ შრომით მოპოვებული პროდუქტის – ლუდის დღეისა-ბებზე კოლექტიური მოხმარების ფორმა.

აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული იყო მოსაზრება იმის შესახებ, რომ როგორც ტერმინი ლუდი, ისევე თვით სასმელიც, ჩრდილო-ევროპული (ინდო-ევროპიული) წარმოშობისაა. საკითხის შესწავლის შედეგად მოსაზრება ტერმინი – ლუდის ინდოევროპიული წარმოშობის შესახებ დაუსაბუთებელი აღმოჩნდა. სავარაუდოა, რომ ეს ტერმინი იბერიულ-კავკასიური წარმოშობისაა. რაც შეეხება თვით სასმელს – ლუდს, იგი შესაძლოა ადგილობრივი ელემენტი იყოს კულტურისა, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ქართველ მთიელთა ლუდი გენეზისურად უკავშირდებოდეს ერთის მხრივ ძველ-აღმოსავლურსა და მეორეს მხრივ – აღმოსავლეთ სლავების ლუდის კულტურას.



ვერცხლის თასი. არხოტის ხატიდან. მხატვ. ნ. ბრაილაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვება და საკვები

საქართველოში უძველესი დროიდან იყო განვითარებული თვითმყოფადი კულინარიული ხელოვნება. ქვეყნის სხვადასხვა რაიონებში, სპეციფიკური ბუნებრივი პირობებისა და მეურნეობის ადგილობრივი ფორმების შესაბამისად, საკვების დამზადების ხელოვნებაც მეტ-ნაკლებად თავისებურია. ამ მხრივ განსაკუთრებით მკვეთრი განსხვავებაა მთის ზოლისა და ბარის, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საკვებს შორის.

ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა, შრომისუნარიანობა, ფიზიკურ-მორალური განვითარება, ინტენსივობა და ბოლოს, ერის სიჯანსაღე და უნარიანობა მთლიანად დამოკიდებულია საკვებ პროდუქტებზე და გეგმაშეწონილ კვებაზე.

პურის ცხობა ფიქალი ქვის ფილებზე. მხატვ. ი. შარლემანი, ხევსურეთი, 1927.

ადამიანის საკვების დღიური რაციონი ის აუცილებელი ნორმაა, რომლის საშუალებით შრომით დახარჯული ძალის ენერგიის აღდგენა ხდება.

საკვები რაციონი კი, ამა თუ იმ საზოგადოებაში, ამა თუ იმ ქვეყანაში მეტად თავისებურადაა განაწილებული.

საკვების შედგენილობას აპირობებს კლიმატურ-გეოგრაფიული გარემო და ამ გარემოში წარმოებული მეურნეობის ხასიათი. მაგ. ზღვისპირეთის მოსახლეობის ძირითადი საკვები თევზეულია, მესაქონლე ტომების – ხორცისა და რძის პროდუქტები, მიწათმოქმედი ხალხების – ხორბლეულის, პარკოსნებისა და ბოსტნეულისაგან დამზადებული საჭმლის სახეობები.

ქართულ ენაში შემონახულია საკვების უძველესი სახელწოდებები: პ უ რ ო ბ ა – პ უ რ ი ს ჭ ა მ ა; კიდევ უფრო ძველია საკვების სახელწოდება – დ ი ა რ უ ა, რომელიც გვხვდება ქართული ენის მეგრულ დიალექტში და აღნიშნავს მცენარეულით კვებას, მწვანილის ჭამას.

არქეოლოგიური მონაცემების თანახმად უძველეს ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა იკვებებოდა ენდემური მარცვლეულით (მახა, ზანდური, ფეტვი) და ნადირის ხორცით.

სახელდახელოდ დახთებულ ცეცხლზე საჭმლის დამზადება

დროთა განმავლობაში ადგილობრივმა ტომებმა პრაქტიკული სელექციის გზით პურეულის სხვადასხვა ჯიშები შექმნეს (იფქლი, დიკა და სხვა), რომლებსაც საკვებად იყენებდნენ. იგივე შეიძლება ითქვას ხორცის საკვების მიმართაც. კვების რაციონში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პარკოსნებს, მწვანილს, ძირხვენებს და ხილს, რომლებითაც ესოდენ მდიდარია საქართველოს ბუნება, მათ სახელთაგან მრავალი განეკუთვნება ქართული ენის უძველეს ლექსიკურ ფონდს.

ქართული საკვები კერძები შეიძლება დაიყოს მისი, როგორც დამზადების ისე მასალის შედგენილობის და სხვა არსებითი ნიშნების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამზადების მიხედვით – ცხელი, ცივი, უმი, წვნიანი, უწვნო, შემწვარი, მოხარშული.

მასალის შედგენილობის მიხედვით: – ხ ო რ ც ე უ ლ ი (ძროხის, ცხვრის, თხის, ღორის, ფრინველის): მწვადი, კუპატი, ხინკალი, ყაურმა, არტალა, ჩაწყობილი, ბოზბაში, ხაშლამა, ჩიხირთმა.

თ ე თ რ ე უ ლ ი ანუ რძის პროდუქტების: მაწვნის კერძი, დომხალი, დო, რძის შეჭამანდი, დომხლის შეჭამანდი, დოს შეჭამანდი, მაწონი, რძე, მოუხდელი ყველი (თუშური, ოსური, კობის, მოხდილი, გუდის, გუდისური, სულგუნი იმერული), ხაჭო, ნაღები, ნადუღი.

ჯერ კიდევ ქსენოფონტე (ძვ.წ. 430–354 წწ.) აღნიშნავდა, რომ ქართველ ტომებს საკვების ფართო ასორტიმენტი ჰქონდათ. სახელდობრ: ცხვრის, თხის, ღორის, ძროხის ხორცი და ნანადირევი, ხორბლის, ქერის და წაბლის პური, დიდი რაოდენობით ღვინო და თაფლი.

პურის ცხობა თორნეში. კახეთი

საქართველოში ძველი დროიდან დიდი ყურადღება ეთმობოდა გემრიელი და სასიამოვნო კერძების მომზადებას. ჭამდნენ დღეში 2–3 ჯერ და ამდენჯერვე ამზადებდნენ კერძს. მოხარშული, შემწვარი ან გამომცხვარი საკვები ჩვეულებრივ შემდეგი ტრაპეზისათვის არ ინახებოდა. სადილად ჭამდნენ დღიური რაციონის 60–70%. ჭამის წინ მიღებული იყო ხელის დაბანა. უნდა ისიც აღინიშნოს, რომ ქართველები ჭამის დროს თავშეკავებულები არიან. ქართული ანდაზის მიხედვით „ვაჟკაცს უნდა შეეძლოს ცხრა სუფრის გამოცვლა და ისევ იყოს ჭამისაგან მოუყირჭებელიო" ან კიდევ "ჭამის შემდეგ ხილობაო, არის გვარიშვილობაო" და სხვ..

ქართული ეროვნული საკვები შერეული ტიპისაა: ხორცი-რძე-მცენარეული. საჭმლის მომზადების დროს დიდ როლს თამაშობდა ცხარე და სურნელოვანი საკმაზები. ქართული სუფრის აუცილებელი კუთვნილებაა ახალი მწვანილი, რომელიც საქართველოში მთელი წლის განმავლობაში მრავლადაა და გამოირჩევა მრავალფეროვნებით. ღარიბები ხშირად მხოლოდ პურითა და მწვანილით კმაყოფილდებოდნენ.

პური, რომ უფრო რბილი, გემრიელი და სურნელოვანი ყოფილიყო ცომს ურევდნენ გ ო ბ ი ს ც ხ ვ ი რ ა ან მ ა ხ ო ბ ე ლ ა ბ ა ლ ა ხ ე ბ ს. აცხობდნენ სხვადასხვა ფორმის პურს: მრგვალს (გ ო მ ი ჯ ი), ოვალურს, თხელს (ლ ა ვ ა შ ი), გრძელს (შ ო თ ი) და ა.შ. ხორბლის, ქერისა და ჭვავის პურს აცხობდნენ საფუარის გარეშე (ხ მ ი ა დ ი) და საფუარითაც. საფუარად იყენებ-

თორნე

ეროვნული ბიბლიოთეკა



სარიტუალო კვერები.
1. ოჯახის დიდი ბედისკვერი;
2. საქონლის ცური; 3. სალამურა;
4. ნალი; 5. საქონლისათვის მისალოცი ქადა; 6. მწყემსის ხანჯალი; 7. მწყემსის ჯოხი; 8. მწყემსის კომბალი.

დნენ ძველ ცომს ან ზოგიერთ შემთხვევაში მინერალური წყაროების წყალს (ვ ე ძ ა). აცხობდნენ ნაზუქეულს – ნაზუქი, ქადა, ხაჭაპური, ღვეზელი – ფენოვანსა და სატენით.

სატენს, ამზადებდნენ კარაქით, თაფლით, ქიშმიშით, კვერცხით, ხორცით, მწვანილით, ნიგვზით, ყველითა და ა.შ.

XVI საუკუნიდან დასავლეთ საქართველოში ფართო გავრცელება პოვა შედარებით ახალგაზრდა კულტურამ – სიმინდმა. მოკლე ხანში მან განდევნა ღომი და იტალიური ფეტვი. სიმინდის ფქვილისაგან ამზადებდნენ ღომს, სქელ ფაფას და უმარილო კვერებს (მ ჭ ა დ ი).

სიმინდის პურს (მ ჭ ა დ ს) აცხობენ უმთავრესად თიხის ან ქვის ბრტყელ ტაფებზე – კ ე ც ი; ამასთან სიმინდიის ცომს ქვემოთ უფენდნენ და ზევიდან აფარებდნენ ვაზის, კაკლის ან სხვა მცენარის ფოთლებს.

აღმ. საქართველოს დაბლობში ხორბლის პურს აცხობდნენ თორნეში (ისინი ათასწლოვანი სიძველისაა. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი განათხარი თორნეები თარიღდებიან ძვ.წ.აღ. IX–VIII სს.) მთიან ადგილებში კი – განსაკუთრებულ ფურნეში (ღ ო მ ე ლ ი) ან შ ი ფ ვ რ ი ს ფ ი ლ ე ბ ზ ე. მწყემსები მაღალმთიან საძოვრებზე იყენებდნენ განსაკუთრებული წესით დამზადებულ პურს – ქ უ მ ე ლ ს – მოხალული ქერის ფქვილი, რომელშიც შერეულია ერბო ან თხის რძე, მას უმად ჭამდნენ. ქუმელი პორტატული, გემრიელი და მაწიერი პურია.

მარცვლეული და პარკოსანი კულტურების ბაზაზე ხორბლის, მარცვლისა და თაფლისაგან მზადდებოდა: საჭმელი – წ ა ნ დ ი ლ ი; ხ ა ვ ი წ ი – თხელი ფაფა ხორბლის ფქვილითა და ერბოთი და სხვა. ხილის, ბოსტნეულისა და მწვანილისაგან მზადდებოდა წვნიანი საჭმელები – შ ე ჭ ა მ ა ნ დ ი: შვინდის, მუშმალის, ღოღნოშოს, კვრინჩხის, მჟაუნას, ბალბის, სატაცურის, ჭინჭრის, ქინძის, დანდურის, ეკალას, ისპანახის; ს ა წ ვ ე ბ ლ ე ბ ი – კოწახურის, ისრიმის, ბროწეულის, ნივრის; შესაკმაზად იყენებდნენ ქინძს, ოხრახუშს, პიტნას, ქონდარს, კამას, წიწაკას, ყვითელ ყვავილს, ნიორს, ხახვს, ალუჩისა და ბროწეულის სიმჟავეს, მარილს და სხვა.

ცხარე საკმაზიანი საჭმელები ფართოდ იყო გავრცელებული მთელ საქართველოში, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთა შორის. დამახასიათებელია, რომ ქართულ სამზარეულოში ძლიერ ცხარე საკმაზების მოქმედების შესარბილებლად თითქმის ყველა საჭმელში იყენებდნენ კამას, რომელიც დამამშვიდებლად მოქმედებს საჭმლის მომნელებელ ორგანოებზე. კამა ქართული საჭმელების ერთ-ერთი ყველაზე არსებითი ელემენტია. მისი ქართული სახელწოდება „კამა“ მჭიდროდ უკავშირდება „კვლიავის“ ასირიულ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პურის ცხობა ფურნეში. ხევსურეთი, 1998 წ.

არამეულ და ებრაულ სახელწოდებას – „კამუნუ“.

დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საჭმლის შეკაზმვას, რომლის მიხედვით საქართველო ორ ძირითად ნაწილად განიყოფება. დასავლეთ საქართველოში უფრო ცხარე სანელებლები გამოიყენებოდა (წიწაკა, ტყემლის მჟავე), აღმოსავლეთ საქართველოში ნაკლებად.

საქართველოში სანელებლებზე დიდი მოთხოვნილება იყო. გარდა იმისა, რომ საქართველოშივე დიდი რაოდენობით მოჰყავდათ საჭმლის საკმაზი მწვანილეული, ზოგი რამ მაგალითად ბახარი, წიქარი, ვანილი, ზირა და სხვა უცხო ქვეყნებიდან შემოჰქონდათ.

სანელებლები ნედლ მდგომარეობაში გამოიყენებოდა. ზამთრისათვის იგივე მწვანილს ახმობდნენ, ფშვნეტდნენ და ერთი-მეორეში არეულს, – ს უ ნ ე ლ ს – ხანგრძლივად ინახავდნენ.

რძის პროდუქტებს ამზადებდნენ ახლად მოწველილი რძისაგან, მაწვნისაგან, დოსგან. მათ უმატებდნენ სხვადასხვა საკმაზს და სუნელებს, ახალ ყველს ხარშავდნენ ღომთან ერთად (ე ლ ა რ ჯ ი), რის შემდეგაც იგი გემრიელი და მაწიერი ხდებოდა, გადაზელილ-დაფხვნილ ახალ ყველთან შერეული პიტნა და კამა, სულგუნი და სხვა.

სულგუნის მოსამზადებლად ახალ, უმარილო ძროხის ან კამეჩის ყველს 2–3 დღით ტოვებდნენ დასამწიფებლად. შემდეგ ჭრიან თხელ ნაჭრებად და ყრიან ცხელ წყალში. დარბილებულ მასას მაგრად ზელავენ და აძლევენ მას მრგვალ ფორმას. ამგვარად მომზადებულ სულგუნს ჭამენ ახალი ყველის სახით, ან წინასწარ ამზადებენ სპეციალურ სოუსს რძისაგან, რომელსაც ურევენ პიტნას და სხვა სანელებლებს, ან წვავენ შამფურზე. ჩვეულებრივ მიღებულია სულგუნის გახმობა მზეზე ან კერაზე.

სულგუნი გამორჩევა მძაფრი მომქავო რძის გემოთი და არომატით. სულგუნის დამზადების ცენტრია სამეგრელო – დასავლეთ საქართველო, საიდანაც არისტოტელეს ცნობით, წარმოშობილია მთელს ძველ მსოფლიოში ცნობილი კოლხური ძროხა. სახელწოდება – სულგუნი ქართული წარმოშობისაა.



ფურნე

აღმოსავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელია კარაქის გამოყენება, მაშინ როდესაც დასავლეთ საქართველოში უპირატესობას ანიჭებენ ნიგვზის ზეთს.

დასავლეთ საქართველოს მიღწევად უნდა ჩაითვალოს და



დღვება ვარიით. ხევსურეთი, 1910 წ.

დღვება თიხის სადღვებით. ქართლი, 1920 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდად გავრცელებულია ს ა ც ი ვ ი – სპეციალური სანელებით შეზავებული ფრინველის ხორცი.

საცივს ამზადებენ შემდეგნაირად: შინაური ფრინველი, იხარშება. ნიგოზს, ნიორს, ქინძს, წიწაკას, ყვითელ ყვავილს, დაფქულ მიხაკსა და დარიჩინს, ქინძის თესლს და „ხმელ სუნელს" დანაყავენ და შეურევენ ერთმანეთს გახსნიან ცხიმიანი ბულიონით და კიდევ ხარშავენ რამდენიმე წუთის განმავლობაში, უმატებენ მარილსა და ძმარს. წამოადუღებენ. ამასობაში დაჭრილ ხახვს შუშავენ ნიგვზის ზეთში და მდუღარე სოუსში ასხამენ, ფრინველს ჭრიან ნაჭრებად და აწყობენ შესაბამის ჭურჭელში ასხამენ ზომზადებულ ცხელ სოუსს, აციებენ და ისე მიაქვთ სუფრაზე. სახელწოდება „საცივი" ნიშნავს გაციებულს.

ჩხუტ-ბრუნელი. თუშეთი

მრავალგვარია საკვები პროდუქტების შენახვის წესები. რძის პროდუქტები ინახებოდა ნაგებობის იმ ნაწილში, რომელიც კარგად ნიავდებოდა (ს ე ნ ე, ს ა რ ძ ი ე). მას აწყოდნენ შენობის ქარიან მხარეზე. ჰქონდათ სპეციალური საკუჭნაოები, სარდაფები ან ორმოები სხვადასხვა საკვები პროდუქტების შესანახად. ხორცის, ბოსტნეულის, ხილის დაკონსერვების დროს იყენებდნენ: მარილს, ხახვს, ცხიმს, შაქარს, თაფლსა და სხვა. ფართოდ გამოიყენებოდა კვების პროდუქტების კონსერვაცია – დამწნილება, დამუჟუჟება. იყენებდნენ ქვამარილს.

ნედლ მდგომარეობაში გამოიყენებოდა მცენარეულობა: ტარხუნა, ჯონჯოლი, ღანძილი, ბოლოკი, წიწმატი.

ხევსურული ვარია

მცენარეულობის მრავალი სახეობა გამოიყენებოდა ფხალად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: ნაცარქათამა, ბოლოკა, ისპანახი, კოფჩხილა, ეკალა და სხვა. სოკო როგორც მიწის ისე ხის. განსაკუთრებით ხის სოკოებიდან ფასობდა კ ა ლ მ ა ხ ა ს ო კ ო.

საქართველო მდიდარია მდინარეებით, ტბებით, სადაც თევზის მრავალი სახეობა გვხვდება. განსაკუთრებით მიღებულია საკვებად ორაგული, კალმახი, თართი, კეფალი, ასევე კოლხიდისა და

მტკვრის ადგილობრივი ჯიშები: ხრამული, კოლხიდისა და მტკვრის მურწა და სხვა.

საჭმელის დესერტად გამოიყენებოდა ხილი, ხმელი ხილი, ჩურჩხელა, ნუში, უნაბი, თხილი, კაკალი.

გარკვეული ყურადღება ექცეოდა ჭამის დროს სასმელის გამოყენებას. სასმელად გამოყენებული იყო ღვინო, არაყი, ლუდი, ბადაგი, ბურახი, ხილის წვენი.

სასმელის შექცევასთან დაკავშირებით გამოყენებული იყო ნაირსახოვანი სასმისები: ყანწი, ჯიხვი, კული, ყარყარა, ჯარფეშა, ხრიკა, მარანი, ხელადა, ჭინჭილა, ტოლჩა, თასი, ორხელი, ბარძიმი, ფიალა, ჯამი.

საჭმელი კერძების ცალკეულ თავებთან დაკავშირებით იყენებდნენ ჭამასმის კომპლექსის აღჭურვილობას: ტაბაკს, სუფრას, სკამებს, დანა-ჩანგალს, ჯამებს, სინებს, სხვადასხვა ზომის ლანგრებს და სხვა;

ყოველდღიურ კვების რაციონში შემავალი კერძების გარდა, მზადდებოდა სპეციალური კერძები და ნამცხვრები:

1. სარიტუალო დღეებთან დაკავშირებით;
2. მიცვალებულის დღეებზე (ქელეხი, ხარნაგი)
3. სხვადასხვა ხასიათის სამუშაოს შესრულების დროს (მკა, თესვა და ა.შ.).

მაგ. მკის და საანეულო ხვნის დროს ძირითადი საკვები იყო მაწონი.

საჭმლის ზოგიერთი თავი რთულად, ზოგი კი მარტივად მზადდებოდა. ქართული კერძების მრავალფეროვნება მიუთითებს მცენარეული და ცხოველური სამყაროს სიმდიდრეზე. მეურნეობის განვითარებული ფორმების არსებობაზე და ქართველთა მაღალ გემოვნებაზე და ამ დარგში დახელოვნებაზე.

მიუხედავად ზოგიერთი უარყოფითი მონაცემებისა, თავისი საკვები ნივთიერებების კომბინაციითა და პროპორციით ქართული კერძები სრულფასოვანია. ალბათ, ძირითადად ამით უნდა აიხსნას, რომ ქართველთა ფიზიკური განვითარება დამაკმაყოფილებელია. შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემებით საქართველოში ცხოვრობს 55 ათასი ადამიანი 80 წლის ასაკის ზემოთ. მოხუცთა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ისინი იკვებებიან შერეული საკვებით და არ ჭამენ ზედმეტს. ამ დღეგრძელების უმეტესობა ეწევა მათთვის შესაძლებელ შრომას.

ბუხარი. სამეგრელო, მხატვ. ნ. ბრაილაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატრანსპორტო საშუალებებს ადამიანის სამეურნეო საქმიანობასა და ურთიერთობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ეკისრება, ამიტომ ტრანსპორტის განვითარებაზე დიდად იყო დამოკიდებული საზოგადოების განვითარება. ქვეყნის ეკონომიური და კულტურული წინსვლა.

უძველესი დროიდან მოყოლებული ტრანსპორტის ორი ძირითადი სახე შეიქმნა – **სახმელეთო** და **საწყლო**.

სახმელეთო ტრანსპორტში შედის: ადამიანის სხეულით (თავით, ზურგით) ტვირთზიდვა, თრევა-სრიალით (მარხილი და მისდაგვარი მოწყობილობანი) და გორვითი მოძრაობით (ბორბლიანი საზიდი) ტვირთზიდვა და საპალნე ტრანსპორტი.

ბოლოთრია

წყლის ტრანსპორტში – ტივები, ნავები, ნავტიკები, ხომალდები.

მიჩნეულია, რომ წყლის ტრანსპორტის გაჩენა უხსოვარ დროს ეკუთვნის და რომ მისი ჩანასახები წინ უსწრებდა სახმელეთო ტრანსპორტის განვითარებას.

სახმელეთო საზიდი საშუალებების განვითარებასთან არის დაკავშირებული ბორბლის წარმოშობაც. კულტურის ამ ელემენტის წარმოშობა-განვითარებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კაცობრიობას ტექნიკური პროგრესისათვის.

საქართველოსთვის ნიშანდობლივი ვერტიკალური ზონალობა განაპირობებდა სამეურნეო-გეოგრაფიული პირობების თავისებურებას და მასთან შეფარდებით, ტრანსპორტის კონსტრუქციულ თავისებურებებსაც.

ქართული ხალხური საზიდი საშუალებები სამ მთავარ ჯგუფად იყოფოდა:

1. **უბორბლო ტრანსპორტი** – ღერძკალა, მარხილი, გავრცელებული მაღალმთიან ზოლში;

2. **ბორბლიანი ტრანსპორტი** – ბორბლიანი ურემი, გავრცელებული საქართველოს ბარში;

3. **შერეული სახის ტრანსპორტი** – ჩოჩიალა || აჩაჩა ურემი, ბოლოთრია, სელი და თუში.

უბორბლო საზიდი საშუალებების მოძრაობის პრინციპი, მიწაზე თრევა-სრიალს ემყარება. უბორბლო საზიდი საშუალებებიდან საქართველოში წარ-



მარხილი (სვანეთი)

მოდგენილია ნალო, სათრიელა, ფჩხილე (ლაშკინი), მარხილი სხვა-დასხვა სახეობის: ლეკმარხილა, ძიგლიგა, ხიზეკი, თურში, თავკავი და სხვ.

ბორბლიანი საზიდი საშუალებები გორვითი მოძრაობის პრინციპს ემყარება. ბორბლიანი საზიდი საშუალების მთავარი სახეობაა ორბორბლიანი ურემი, აღმოსავლეთ საქართველოში – ორი სახეობით: საბარო ურემი და საძნე ურემი. ბორბლიან საზიდს მიეკუთვნება აგრეთვე ცალუღელა ურემი, ცხენის ურემი, ღერძკალა.



თუში

შერეული ტიპის საზიდში შედის ისეთი სახეობანი, რომელთა კონსტრუქცია ემყარება როგორც გორვის, ისე სრიალის სამოძრაო პრინციპს. ასეთი სახეობებია: ბოლოთრია, ჩოჩიალა ურემი, აჩაჩა, ანუ იმერული ურემი, სელი, თუში, ქსელი.

წარსულში ქართული ხალხური საზიდი საშუალებების გავრცელება შემდეგ სურათს იძლევა:

უბორბლო საზიდის ძირითადი სახეობა – **მარხილი** გავრცელებული იყო კავკასიონის სამხრეთ კალთებზე და მცირე კავკასიონის ერთ ზოლში აჭარის ჩრდილო-აღმოსავლეთით და სამცხე–თრიალეთის მთიანეთში. ამ ადგილებში მარხილი წარმოადგენდა საზიდის ერთ-ერთ უმთავრეს სახეობას, რომელიც მთიანეთის ყველა ზოლში გამოიყენებოდა.

უბორბლო საზიდის სხვა სახეობებიდან ფრჩხილე || ლაშკინი – იმერეთსა და რაჭაში გამოიყენებოდა, სათრიელა || სათარი – ქართლ-კახეთში.

შერეული საზიდი დამახასიათებელი იყო აღმოსავლეთ საქართველოს გარკვეული ნაწილისათვის: არაგვის, ქსნის, რეხულას, მეჯუდას ხეობებში.

ჩოჩიალა ურემი გავრცელებული იყო საქართველოს გორაკ-ბორცვიან ადგილებში: ზემო იმერეთში, რაჭაში, ლეჩხუმში და მთიან სამეგრელოში.

სელი დამახასიათებელი იყო აჭარის მთიანეთის ძირისა და სამცხის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილისათვის, ქსელი – ქვემო რაჭისათვის.

ბორბლიანი საზიდი საშუალებების ძირითადი სახეობა – ორბორბლიანი ურემი გავრცელებულია საქართველოს ბარსა და ნაწილობრივ, ზეგან ადგილებში. მისი გავრცელების არეა: კახეთის ვაკე, ქართლ-კახეთის ზეგანი, შიდა და ქვემო ქართლი, ქვემო იმერეთი, კოლხეთის დაბლობი.

ხელი

ცალუღელი ურემი დამახასიათებელია ქართლის და კახეთის ვაკე ადგილებისთვის.

ღერძკალა გვხვდება ქართლში, მტკვრის ხეობასა და მის მახლობელ ადგილებში.

სპეციალური გამოკვლევებიდან ჩანს, რომ ტვირთის წონისა და ზომის გამოხატვა საზიდის სახეობით ხდებოდა,

როგორც მაგალითად ურემი შეშა, ურემი თივა, ურემი ღომი და სხვა. აღსანიშნავია 1250 წლის სიგელში მოხსენებულია ურემი ღვინო. აქ უნდა იგულისხმებოდეს რუმბებით (დიდი ტიკებით) ღვინის გადაზიდვა, რაც ყოფამ XIX ს. ბოლომდეც შემოინახა. წერილობითი ძეგლებით და ყოფის მონაცემებით დასტურდება, აგრეთვე ძველად სასოფლო, ანუ საბეგრო ურმების არსებობა, ხარურმით სამეზობლო დახმარება, რასაც ურმით უ ლ ა მ ი ეწოდებდა, შორ მანძილზე ქირაზე სიარული და სხვა. სადღესასწაულო და სხვა დღეებში ოჯახის წევრთა გადასაყვანად ქართული ორბორბლიანი ურმის მოჩარდახება იცოდნენ.

სახმელეთო ტრანსპორტი. სახმელეთო საზიდ საშუალებებში გამოყენებულია ცოცხალი გამწევი ძალა.

რქოსანი საქონლის ქცევას გამწევ ძალად წინ უძღოდა საინტერესო ხერხების შემცველი წინასწარი მომზადება, რასაც გ ა მ ო ქ ნ ა (აღმ. საქართველო), გ ა ხ ე დ ნ ა (დას. საქართველო) ეწოდებოდა. მუშა-საქონლის გამოყენებაში მთავარი იყო საზიდზე ტვირთის წესიერი განაწილება, განსაკუთრებით ორბორბლიან ურემში, რომლის კონსტრუქცია წონასწორობის დაცვის პრინციპს ემყარებოდა. ტვირთის მოჭარბების გამო წინა ან უკანა ნაწილში ურემი თავმძიმე ან თავმსუბუქი ხდებოდა. ერთ უღელში შესაბმელ საქონელს – მეუღლეებს, ღონის მიხედვით არჩევდნენ. როცა უღელში არათანაბარი ძალის საქონელი ხვდებოდა, ასეთ შემთხვევაში მიმართავდნენ ცენტრის გადანაცვლებით უღლის წონასწორობის შეცვლას სუსტი საქონლის სასარგებლოდ, რასაც ტოლის დადება ეწოდებოდა.

XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში გავრცელდა გარედან შემოსული სატრანსპორტო საშუალებების რიგი სახეობა. აღმ. საქართველოს სოფლებში (ქართლი, გარე კახეთი) გავრცელდა ოთხბორბლიანი საზიდი „პ ო ვ ო ზ კ ა“, რომელმაც ეს სახელწოდება კუთხურ სალაპარაკო ენაშიც შეინარჩუნა. ზოგიერთ ხეობაში და კახეთის ბარის სოფლებში გაჩნდა ცხენის ორბორბლიანი საზიდი, რომელმაც კახურ სალაპარაკო ენაში, აგრეთვე, არაქართული სახელწოდება „ტ ა ჩ კ ა“ (ტაჭკა, კაჭკა) შემოინახა.

საზიდი საშუალებების კონსტრუქციული თავისებურებები საქართველოს სამეურნეო-გეოგრაფიული გარემოს თავისებურებებს, რელიეფს უკავშირდება. ხოლო საზიდის სახეობებს აპირობებდა მეურნეობის შედარებით ინტენსიური დარგები: ერთ შემთხვევაში – მემინდვრეობა (ბ ო ლ ო თ რ ი ა, ს ე ლ ი, ნაწილობრივ ა ჩ ა ჩ ა უ რ ე მ ი), მეორე შემთხვევაში – მევენახეობა (ა ჩ ა ჩ ა, უ რ ე მ ი, თ უ შ ი).

ქართული ბორბლიანი საზიდის ერთ-ერთ ძირითად სახეობას, ორბორბლიან ურემს, აღმოსავლეთ საქართველოში ორი ქვესახე აქვს: ს ა ძ ნ ე და ს ა ბ ა რ ო.

საძნე ურემი, მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოსთვის იყო დამახასიათებელი, საბარო ურემი კი, ამ ფარგლებს სცილდება და ქართული ურმის ან ხელნა ურმის სახელწოდებით დასავლეთ საქართველოშიც გამოიყენება.



ანაჩა ურემი

ხალხური მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ საძნე ურემი გამოიყენებოდა: ძნის, თივის, აგრეთვე, ძეძვის, ჯაგის და სხვ. გადასატანად. საბარო ურემი კი, მძიმე ტვირთის – ხორბალი, ფქვილი, სააღმშენებლო მასალა (ქვა, აგური, კირი, ქვიშა). პატივი და სხვა. საძნე ურემი, როგორც ორბორბლიანი საზიდის ერთ-ერთი საინტერესო სახეობა, მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოსთვის და, კერძოდ კი, ქართლისა და კახეთისათვის არის დამახასიათებელი იგი განხილული უნდა იქნეს, როგორც მნიშვნელოვანი სამეურნეო საშუალება ინტენსიური მიწისმოქმედების პირობებში.

ორბორბლიანი ურმის სახეობა – ბ ჯ ი ს ურ ე მ ი, რომელიც ჯავახეთში იყო გავრცელებული, აგრეთვე, დიდი ურმის სახელწოდებასაც ატარებდა. საძნე ურემიცა და ბჯის ურემიც ერთი დანიშნულების საზიდს წარმოადგენდნენ, რამდენადაც დაკავშირებული იყვნენ მიწისმოქმედებასთან, კერძოდ, მემინდვრეობასთან.

საბარო ურემი ორბორბლიანი ურმის მეორე ქვესახეობა, შორდებოდა მემინდვრეობით შემოფარგლულ დანიშნულებას. საბარო ურემი, როგორც ამას თვით ეთნოგრაფიული მასალაც ხსნის, გამოიყენებოდა ფართოდ და გავრცელების არეც დიდი ჰქონდა. გავრცელების ეს არე მოიცავდა მთლიანად საქართველოს ბარს. საბარო ურემი, როგორც პატარა და უფრო მორჩილი მცირე ურემი, ადვილად მოსახმარი იყო.

საბარო ურემი ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით უმთავრესად ადგილობრივი დანიშნულებისა იყო, მაგრამ იმავე მონაცემებით ირკვევა მისი შედარებით ფართო გამოყენებაც. ადგილობრივი დანიშნულება გამოიხატება ამ ურმის უშუალოდ სოფლის ფარგლებში ან ნაწილობრივ, სოფლის გარეთაც ხმარებაში. მაგალითად, საბარო ურმით ხდებოდა ნაკელის გადატანა მინდვრად, შეშის მოტანა ტყიდან, საფქვავის ტარება წისქვილში, სააღმშენებლო მასალის ზიდვა (ქვა, აგური, კირი, ლამი, ქვიშა), ხილ-ბოსტნეულის ზიდვა, ქირაზე წასვლა და სხვა.

ქირაზე სიარული სხვადასხვა ხასიათისა იყო, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში შორ მანძილზე წასვლას გულისხმობდა.

ხალხური მონაცემები მიუთითებს, რომ, საერთოდ, წესად ყოფილა ურმის თხოვება. მაგრამ შორ მანძილზე სხვისი ურმის გამოყენება ქირას უკავშირდებოდა. გასაყიდ საქონელს ერთ ურემზე დააწყობდნენ და ურმის პატრონს წაღებაში ქირას მისცემდნენ ფულით ან ნატურით, აქ იგულისხმება ხალხის გადაყვანაც.

ქართული ეთნოგრაფიული მასალით ირკვევა, რომ ურემს, როგორც სამეურნეო იარაღს, აკეთებდა თვით სოფლის მეურნე. მაგრამ შინამრეწველობის განვითარება საზიდ საშუალებათა ხაზითაც ვრცელდებოდა და წარმოიშვა შინამრეწველი მეურმე, რომელიც ფართოდ არ გულისხმობს ურმის მკეთებელს, არამედ მხოლოდ ურმის თვლების



ქართული ურემი

მოჩარდახებული ურემი

მკეთებელს. საქართველოს ყველა კუთხის ეთნოგრაფიული მასალა მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ურმის კეთებაში ყველაზე ძნელი იყო თვლების გაკეთება, ეს მოითხოვდა მეტ დროსაც და მეტ დახელოვნებასაც. ამიტომ, სწორედ ამ გზით უნდა განვითარებულიყო პირველად სატრანსპორტო შინამრეწველობა.

სხვადასხვა კუთხეში ტვირთტევადობაცა და ტვირთზიდვის ნორმებიც სხვადასხვა ყოფილა, ამიტომ ტვირთის წონის ან ზომის გამოხატვა ურმით, როგორიც არის: ურემი თივა, ურემი შეშა, ურემი ქვა, ურემი ყურძენი და სხვა. პირობითი ჩანს და იმ კუთხის ვითარებას შეეფარდება, რომელშიაც ის არის გავრცელებული. ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ურემი თიხის ჭურჭლის რაოდენობის საზომიც იყო, მაგალითად, კახეთში ვხვდებით – ურმიანი ქურა.

ქართული სახმელეთო საზიდი საშუალებებიდან ორბორბლიანი ურემი ხალხის გადასაყვანადაც იხმარებოდა. ურმით მიემგზავრებოდნენ სოფლის გარეთ სამეურნეო ნაკვეთებში, ასევე ხატობაზე, ქორწილში. ამ დროს ურემს საგანგებოდ მოაწყობდნენ, ზემოდან თაღისებურად ფარდაგის საფარს გაუკეთებდნენ – ურემს მოაჩარდახებდნენ, შიგნით ლოგინს დააგებდნენ და ზოგიერთ საოჯახო ნივთსაც მოათავსებდნენ.

ᲨᲠᲝᲛᲘᲔᲠᲗᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘ. საზიდი საშუალებებით დახმარების სხვადასხვა ფორმა არსებობდა. გავრცელებული იყო ურმის თხოვება ერთმანეთში, რაც „კაი მეზობლობას“ გამოხატავდა, თხოვება ხდებოდა როგორც მთლიანად შებმული ურმის ასევე, ცალკე ურმის, ან საქონლის. ასეთი ნათხოვარი ურემი გამოიყენებოდა სოფლის ფარგლებში, როგორიცაა: ჭირნახულის სახლში მოტანა, ტყიდან შეშის ჩამოტანა და სხვ. ხოლო თუ ურმის თხოვებას სხვა მიზანი ჰქონდა, როგორიც არის შორ მანძილზე სავაჭროდ წასვლა, მაშინ ქირის გადახდა იყო დაწესებული.

საინტერესო ფორმას წარმოადგენს დახმარების ისეთი ფორმის არსებობა, როგორიცაა „დ ა ძ ა ხ ი ლ ი“, რომელიც ურმიანად მისვლას გულისხმობდა. ჩვეულებრივ, ასეთი დახმარების აღმოჩენა ხდებოდა მშენებლობის წარმოების დროს (საღმშენებლო მასალის სწრაფად მოსაზიდად).

ᲒᲖᲔᲑᲘ. საზიდი საშუალებების ექსპლოატაცია სამი აუცილებელი ელემენტის არსებობას გულისხმობს: ს ა ზ ი დ ი მ ო წ ყ ო ბ ი ლ ო ბ ა, მ წ ე ვ ი ძ ა ლ ა და გ ზ ა.



ქართული ხალხური სატრანსპორტო საშუალებანი: უბორბლო – სათრევ-საცურაო; ბორბლიანი – საჭაპნო, ძირითადი სახეა ურემი; შერეული ტიპის – ბოლოთთრიკა, აჩანა ურემი, სელი, ქსელი, თუში; სხვადასხვა სახის ხიდი და სანაოსნო ტრანსპორტი: ნავი, ტივი; საქართველოში გავრცელებული თხილამურები და ოთოფეხები. მხატვ. ნ. ბრაილაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზებს, როგორც ადამიანთა სამეურნეო-კულტურული ურთიერთობების ერთ-ერთ გადამწყვეტ პირობათაგანს საზოგადოების განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს გზების შესახებ ისტორიული ხასიათის მასალასთან ერთად ეთნოგრაფიული მონაცემებიც მდიდარი და მრავალფეროვანი ჩანს.

წარსულში საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკური ვითარებისთვის შარა და ყამირ გზებს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

ამავე დროს, საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში, დანიშნულების მიხედვით რამდენიმე სახის გზა არსებობდა: საცალფეხო || ბილიკი, სამარხილე და საურმე გზა. სამარხილე გზა უმთავრესად საქართველოს მთაში იყო.

მთის თავისებური პირობების გამო, სამარხილე გზის გამოყენებას დამატებითი ხერხების ხმარება ახლდა, როგორიცაა გზაზე საგანგებო თხრილების გაკეთება, რომელშიაც მარხილის კავი უნდა ჩადგმულიყო, ასევე გზის გაყოლებით ხის სოლების დასმა და სხვა.

ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, რომ ხალხში შემუშავებული იყო ცოდნა გზების თვისებებისა და გამოყენების შესახებ. ცნობდნენ იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენდნენ ყამირგზების ზედაპირზე (ქარი, ტემპერატურა, მიმოსვლა, მცენარეული და სხვ.).

ძველადვე სცოდნიათ ნატეხი ქვის დაყრა გზის გასამაგრებლად გარკვეულ ადგილებში, სადაც ჩამორეცხვა იყო მოსალოდნელი.

გზების მოვლა-პატრონობა სავალდებულო იყო და იგი ხშირად კანონმდებლობაშიც პოვებდა გამოხატულებას.

ᲒᲐᲛᲬᲕᲔᲕᲘ ᲫᲐᲚᲐ. ქართული ეთნოგრაფიული მონაცემები ავლენს რქოსანი საქონლის გამწევ ძალად გამოყენების სიძველეს. ამ მონაცემებით, ძირითად გამწევ ძალად ხარი ითვლება. ხარის გვერდით კამეჩიც არის წარმოდგენილი, მაგრამ არა ყველგან და არც გამოყენების თანაბარი მასშტაბით. გამწევ ძალად ნაწილობრივ ცხენიც გამოიყენებოდა, იშვიათად სახედარი.

ხარი შეიბმოდა ხალხურ საზიდ საშუალებათა ყველა სახეობაში, სადაც კი გამწევი ძალა იყო გამოსაყენებელი. ცხენის გამოყენების ფარგალი შეზღუდული იყო. ცხენი შეიბმოდა მხოლოდ ცხენის ურემში, რომლის კონსტრუქცია და ფართოდ გავრცელებული რუსული სახელწოდება – „ტაჩკა“, აშკარად მიუთითებს მის არაქართულ წარმოშობაზე. ის გარემოება, რომ ცხენი მარხილში სულ არ გამოიყენებოდა, და რომ საერთოდ, როგორც გამწევი ძალა საზიდში ის ნაკლებ გამოყენებას პოვებდა, უნდა მიუთითებდეს მის უმთავრესად შესაჯდომ და სატვირთო-საპალნე დანიშნულებაზე.

კამეჩი გამოყენებული იყო ორბორბლიან ურემსა და ბოლოთრიაში, ჩვეულებრივ, იგი სამძიმო საქმეებისთვის იყო განკუთვნილი.

ᲡᲐᲛᲫᲘᲜᲐᲠᲝ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘ. სამდინარო ხალხურ საშუალებებში ნავის ორ ძირითად სახეობას არჩევენ: დაჭედილს და დაუჭედავს. დაუჭედელი ნავი (ცალფა ნავი) ეწოდება ერთ მთლიანი ხისგან გამოთლილ ნავს. ამჟამად ასეთი ნავები იშვიათად იხმარება, მაგრამ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ მათ ფართო გავრცელება ჰქონიათ. ირკვევა, რომ მთლიანი ხის ნავებს საქართველოში მეტად დიდი ხნის ისტორია აქვს. თავისთავად ეს საკითხი

საკითხი საერთოდ წყლის ტრანსპორტის განვითარების აღრინდელი საფეხურების საკითხს უკავშირდება და ამდენად განსაკუთრებით საყურადღებოა.

ხალხის ხანგრძლივ პრაქტიკულ საქმიანობასთან არის დაკავშირებული ხის ჯიშების შერჩევითი გამოყენება ნავების მკეთებლობაში. ნავების გასაკეთებლად მიღებული ხის ჯიშებიდან ყველაზე უკეთესად მიიჩნევა, თხმელა, რადგან ის ძნელად ლპება. საინტერესოა ძველთაგან მიღებული წესით ნავის დაღალვა (ნავს წყლით გაავსებდნენ და დასძირავდნენ, რომ არ გაფუჭებულიყო).



კოლხური ნავი

საქართველოში გავრცელებული საწყლო ტრანსპორტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეობას წარმოადგენდა ე.წ. ნ ა ვ ტ ი კ ე ბ ი.

ნავტიკები განსაკუთრებით გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, მდ. მტკვარზე, ეთნოგრაფიული ცნობები მიუთითებენ ამ სახეობის ნაწილობრივ გავრცელებას მდ. ალაზანზედაც. ეთნოგრაფიული მონაცემებით ნავტიკები გამოიყენებოდა, ძირითადად, მეთევზეობისათვის. ნავტიკების აგებულება არ იყო რთული: ხარის ტყავის ოთხი დიდი ტიკი გაბერილ მდგომარეობაში წარმოადგენდა ხისგან გაკეთებულ უბრალო ჩარჩოს საყრდენს.

განსაკუთრებული ცოდნა სჭირდებოდა ნავტიკებისათვის ტყავის მომზადებას.

ხარის ტყავის გარდა ნავტიკებს აკეთებდნენ ცხვრის ტყავისგან. ცხვრის ტყავის ნავტიკები უფრო პატარა ზომისა და ტევადობისა იყო.

ნავტიკების გამოყენების წესი ანალოგს პოულობს წინა აზიის, კერძოდ შუამდინარეთის ისტორიულ წარსულში.

ფართო გავრცელება ჰქონდა საქართველოს დიდ მდინარეებზე ასევე ტ ი ვ ე ბ ს ა და ბ ო რ ნ ე ბ ზ ე.

ტივებზე, მხატვ. გ. გაბაშვილი

ცნება დასახლება ვარაუდობს: ადამიანთა საცხოვრებლისა და შრომის ადგილის ერთიანობას.

ამგვარად გაგებული საკითხი შეიძლება შესწავლილი იქნეს ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ენობრივი და გეოგრაფიული თვალსაზრისით. ენობრივი შესწავლა, კერძოდ, გულისხმობს ტოპონიმიკის შესწავლას. ეს უკანასკნელი, როგორც მიჩნეულია სპეციალურ ლიტერატურაში, წარმოადგენს პირვანდელსა და უძველეს ტექსტს.

ქართული ტოპონიმიკა მცირე გამონაკლისის გარდა ჯერ კიდევ შეუსწავლელია. ისეთი ტოპონიმიკური მონაცემები, როგორიც არის დაბოლოებები: –ისი, –ვანი, –ბანი, –უბანი, –კარგი, –ახო, –ხნი, –იანი, –ონი, –დაბა, –ები, –თა, –მანი და სხვ. დასახლების *თვალსაზრისით კვლევის საუკეთესო ობიექტებს* წარმოადგენენ.

მთური დასახლების ტიპი . თუშეთი.

ასეთივე მდგომარეობა გვაქვს დასახლების არქეოლოგიის საკითხშიაც, რადგან ის ჩვენთან მხოლოდ ჩასახვის პროცესში იმყოფება.

განლაგების მიხედვით ზოგად ლიტერატურაში სამი სახეობის სოფელს განასხვავებენ:

ა. უწესრიგოდ განლაგებული სოფელი.

ბ. ცენტრალური მოედნის გარშემო განლაგებული სოფელი.

გ. ქუჩის გასწვრივ, ერთს ან ორივე მხარეზე, განლაგებული სოფელი.

სოციალური თვალსაზრისით განასხვავებენ:

ა. შეჯგუფული დასახლება (დამახასიათებელია ფენებად დაუნაწევრებელი საზოგადოებისათვის).

ბ. ცალკე ჯგუფებად დასახლება (დამახასიათებელია ფენებად დანაწევრებული საზოგადოებისათვის – მაღალი წოდება, გლეხები, ხელოსნები და სხვ..).

გ. უბნური დასახლება (დამახასიათებალია მეზობლად მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ფენებისათვის).

დასახლების ტიპების შესახებ გარდა ამისა სხვა თვალსაზრისიც არსებობს, მაგალითად:

ა. ახოს აღების სისტემა, მოცემული მეურნეობაში, აპირობებს შეჯგუფულ დასახლებას.

ბ. მესაქონლეობა, რომელიც ვრცელ ფართობს მოითხოვს, აპირობებს კომლთა

ბარული დასახლების ტიპი. კახეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე რიცხვისაგან შემდგარ დასახლებას.

დასახლების ტიპი სამხრეთ საქართველოში. დარბაზული ნაგებობების კომპლექსი. სოფ. შუახი

გ. მიწის ფართობის ეკონომია და მტრებისგან დაცვის საჭიროება აპირობებს ტერასული სახის დასახლებას.

დ. ასევე, მტრისგან დაცვის საჭიროება აპირობებს მთაზე, მთის მწვერვალზე, აკროპოლისის სახის დასახლებას.

ე. ტოტემისტური საზოგადოებისთვის დამახასიათებელია საყარმიდამო დასახლება.

ვ. მატრიარქალურ საზოგადოებაში საქორწინო კლასების არსებობა აპირობებს ქუჩის გასწვრივ დასახლებას.

ზ. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია და დასახლების ფორმაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მიწისმოქმედების სისტემას, კერძოდ, მიწის მოხვნის სისტემას.

სახვნელის კულტურა იქმნება სპეციალიზებული ტიპის მესაქონლეობისა და მიწისმოქმედების სიმბიოზის თანაარსებობის შედეგად, რაც თავის მხრივ ქმნის მეურნეობის ახალ სახეობას და წარმოშობს გლეხობას. ამის საფუძველზე წარმოიქმნება კომლთა მრავალი რიცხვისგან შემდგარი დასახლება. ამ დებულების საილუსტრაციოდ ასახელებენ ურისა (სუმერეთში) და მაჰანჯოდაროს (ინდოეთი) დასახლების ტიპს.

ზემოთქმულთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პირობებში ინტეგრირებული, მჭიდრო დასახლების ტიპი მოცემულია მთის ძირის ზოლში, სადაც ერთ კვადრატულ კილომეტრზე მცხოვრებთა მაქსიმალური რაოდენობა მოდის. ამ ზოლში შემდეგი პუნქტები შედის: ლაგოდეხი, ყვარელი, ახმეტა, თიანეთი, დუშეთი, ქვემო ჭალა, მეჯვრისხევი, ლენინგორი, სტალინირი, ონი, ლაილაში, ცაგერი, ლექსურა, ლია, ჯვარი, სუხუმი, გაგრა და ლესელიძე.

დასახლების ტიპი დასავლეთ საქართველოში. ქრ. კასტელით, მე-17 ს.

ასეთივე ვითარება გვაქვს სამხრეთ საქართველოს მთის ძირის ზოლშიც.

სხვაგვარი ვითარება მოწმდება ბარისა და მთის ზოლის საქართველოში, სადაც დასახლება სიმჭიდროვის მხრით შედარებით მარტივი სახით არის წარმოდგენილი.

საცხოვრებელი ნაგებობანი. საუკუნეების მანძილზე საცხოვრებელი ნაგებობების მშენებლობაში გამომუშავებული ტრადიციული სამშენებლო ხერხების, ტექნიკის, შრომითი გამოცდილებისა და საერთოდ, ემპირიული ცოდნა-გამოცდილების შედეგად შექმნილი ხალხური საცხოვრებელი ნაგებობების შესწავლა საინტერესოა არა მარტო ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით, არამედ საყურადღებოა კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისითაც, რადგან, საცხოვრებელი სახლი პირველ რიგში წარმოადგენს ოჯახის ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ცხოვრებისა და მისი ყოფის ცენტრს. საცხოვრებელი ნაგებობა თავისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ზოგჯერ საკმაოდ რელიეფურად ასახავს საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ საფეხურს. კონკრეტულად აღებული საცხოვრებელი სახლის ტიპოლოგიური თავისებურებების, შიდა დაგეგმარება-მოწყობილობისა და შიგ მაცხოვრებელთა წარსული ყოფის შესწავლით, შეიძლება აღვადგინოთ საზოგადოებრივი ურთიერთობის ის ფორმა, რომლისთვისაც იგი იყო დამახასიათებელი.

ადამიანის საცხოვრებელმა ნაგებობამ, ვიდრე იგი დღევანდელ სახეს მიიღებდა ხანგრძლივი და რთული გზა განვლო ქვის ხანის პირველყოფილი მონადირე-შემგროვებლის მარტივი ქოხიდან, თანამედროვე ქალაქურ საცხოვრებლამდე. იგი ითვალისწინებს ადამიანური გამომგონებლობის უნარს, მის საზრიანობას, კლიმატისა და ეკოლოგიური გარემოს გავლენას საცხოვრებელთა შერჩევაზე. საცხოვრებლის წარმოშობა-განვითარების პროცესში გადამწყვეტია სოციალ-ეკონომიკური ფაქტორები, სამეურნეო-გეოგრაფიული ყოფა და საზოგადოების განვითარების დონე.

ქარვასლიდან – კლდეში ნაკვეთ მრავალსართულიან საცხოვრებლამდე, ხის ბოძებზე აღმართული ქოხებიდან – ციხე-სიმაგრეებამდე, ასეთია ადამიანის ხელით შექმნილ ნაგებობათა ევოლუცია, მისი ემპირიული გამომგონებლური უნარის ისტორიული განვითარების გზა.

სიტყვა სახლი ყველა ხალხის ენაზე წმინდათაწმინდა ცნებაა. რამდენადაც უფრო ძველი და პრიმიტიულია ხალხი, მით უფრო ფართოა სივრცე, რასაც იგი თავის სახლად



საცხოვრებლის ტიპები. მხატვ. ნ. ბრაილაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვლის. პრიმიტიულ ხალხთა სახლსა და კერას წარმოადგენს ვრცელი ტერიტორია, სადაც ტომი სახლობს და არა მხოლოდ დროებითი თავშესაფარი; სადაც ღამეს ათევს. საცხოვრებელი ნაგებობების განვითარების გენეზისის ძიების პერიოდში თავდაპირველად გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ საცხოვრებელი ნაგებობის პირველი სახე იყო გ ა მ ო ქ ვ ა ბ უ ლ ი. ამ მოსაზრების გავრცელებას ხელი შეუწყო იმან, რომ ამ უძველესი მატერიალური კულტურის ნაშთებმა მრავალ ათასწლეულთა ქარიშხლებს გაუძლო და ჩვენამდე მოაღწია. გარკვეულია, რომ გამოქვაბულები ადამიანთა მხოლოდ დროებითი სადგომი იყო სხვადასხვა მნიშვნელობით გამოყენებული.

საცხოვრებლის განვითარების ისტორიას იწყებენ იმ პერიოდიდან, როდესაც ადამიანმა თავისი გონებრივი შესაძლებლობების ფარგლებში პირველად მიაგნო სამშენებლო კონსტრუქციას და ააშენა ქ ა რ ს ა ც ა ვ ი – პირველყოფილი სახლის ჩანასახი. პირველყოფილი საზოგადოებიდან დღემდე ადამიანი აუმჯობესებს თავის საცხოვრებელ ბინას და სულ უფრო უფარდებს საზოგადოებრივ, კულტურულ და სოციალურ მოთხოვნილებებს.

ისტორიულად საქართველოში ჩამოყალიბდა საცხოვრებლის სამი ძირითადი ტიპი: დ ა რ ბ ა ზ უ ლ ი – აღმოსავლეთ საქართველოში, კ ო ლ ხ უ რ ი – დასავლეთ საქართველოში და მ თ უ რ ი – საქართველოს მთიანეთში, თავისი მრავალფეროვანი ვარიაციებით.

ქართულ სახლებში ცენტრალური ადგილი ეჭირა კ ე რ ა ს.

კერის გაჩენა დაკავშირებულია ცეცხლის გამოყენებასთან. ცეცხლის მნიშვნელობა განუზომელია ადამიანისათვის. მსოფლიოში გავრცელებული მითების თანახმად, ცეცხლი თვით ღმერთს მოპარეს ადამიანებმა, რომელნიც სათუთად ინახავდნენ მის საიდუმლოებას და არ სურდათ მოკვდავთათვის გაეზიარებინათ. ძველსა და თანამედროვე ხალხებში გავრცელებულია შეხედულება ცეცხლის მაგიური ძალის შესახებ. ცეცხლი ითვლება წმინდათაწმინდათ და ხელშეუხებლად, ოჯახის აყვავებისა და ბარაქიანობის სიმბოლოდ.

ცეცხლის ადგილი – კერა – ოჯახის ცენტრია. საოჯახო საქმიანობის უდიდესი ნაწილი კერის გარშემო მიმდინარეობს. ამასთან კერაში დანთებული ცეცხლი სითბოსა და სინათლის წყაროს წარმოადგენს. ამიტომ მის გარშემო თავს იყრის ოჯახის მთელი შემადგენლობა. კერის გარშემო განლაგებაში მჟღავნდება ის ურთიერთობანი, რომლებიც კერასთან თავმოყრილ ადამიანებს აკავშირებს ერთმანეთთან.

კერა

კერის სამეურნეო დანიშნულებამ განსაზღვრა საზოგადოებრივ ურთიერთობასა და რელიგიაში მისი ფუნქციები. კერაში დანთებული ცეცხლი იქცა ოჯახის კეთილდღეობის სიმბოლოდ, თვითონ კერა კი ნაყოფიერებისა და დოვლათის მომნიჭებლად იქნა მიჩნეული. ამან ხელი შეუწყო კერის კულტის შექმნას, რომელიც თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსით გვარის, ოჯახის გამაერთიანებელი ცენტრი იყო, ხოლო კერა მარადიული სიცოცხლის სიმბოლო. იგი დიდ როლს თამაშობდა საქორწინო ცერემონიებში, როდესაც გვარში გარეშე პირის ინკორპორაცია ხდებოდა, კერას ამკობდნენ აპოთროპეული დანიშნულების ორნამენტებით, ღვთაების გამოსახულებებით და სიმბოლური ნიშნებით.



ხევსურული კალოიანი სახლი

მთური ტიპის სახლს შეესაბამება ტერასული ფორმის დასახლება. ამ მხრივ ტიპიურია ხევსურული კალოიანი სახლი, რომელსაც აგებდნენ ფიქალის ფირფიტების მშრალი წყობით და უკეთებდნენ გაზეპილი თიხის იატაკს. საცხოვრებელი სახლი ხევსურეთში საფეხურების მსგავსად კეთდებოდა, ისე, რომ პირველი სართულის ბრტყელი სახურავი მეორე სართულისათვის ეზოდ გამოიყენებოდა, ხოლო მეორე სართულის ბანი კალოდ იყო განკუთვნილი. ქვედა სართული მოხმარებული იყო ადამიანის საცხოვრებლად. აქვე იდგა საქონელი, რომლის სადგომი ადამიანის სათავსოსაგან წნელით ან ფიცრულით იტიხრებოდა. სპეციალური სათავსო – სენე გამოიყოფოდა რძის პროდუქტების დამუშავება-დამზადებისა და შენახვისათვის. კერას ეჭირა ცენტრალური ადგილი. მეორე სართული ორ მიზანს ემსახურებოდა: მისი ფართობის ნაწილი გამოყოფილი იყო ოჯახის წევრ მამაკაცთა დასაძინებლად, ხოლო ნაწილი – მარაგის შესანახად. მესამე სართულში ინახებოდა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი.

მესამე სართული წარმოადგენდა ბრტყელ სახურავიანსა (ბანიან) და სამკედლიან სათავსოს. ამ სართულის ღია ნაწილიდან გადავდივართ კალოზე.



სვანური „ქორ“-ი

ზემოთ აღწერილი ხევსურული სახლი, სასარგებლო ფართობის განლაგების მიხედვით, სპეციალური სათავსო – სენეს თანაარსებობით, რომელიც მოთავსებულია სახლის ცენტრალურ ნაწილში, საძროხეთი, აგრეთვე კალოთი და სასოფლო-სამეურნეო იარაღების საწყობით, სავსებით შეესიტყვება მეურნეობის წამყვან დარგს, რომელიც სპეციალიზებულია მსხვილფეხა რქოსანი მესაქონლეობით და რაც მთავარია, მიწათმოქმედებასთან შერწყმით, ხევსურის სამეურნეო ყოფის საფუძველს შეადგენდა.

თავდაცვითი ხასიათის კოშკიანი სახლები დამოწმებული იქნა მხოლოდ

პირიქით ხევსურეთში, რომლის მოსახლეობა უშუალოდ ემეზობლებოდა კავკასიის მთიანეთის სხვა ხალხებს.

სვანური სახლის ინტერიერი

კოშკი დამახასიათებელია ამავე ტიპის სვანური სახლისათვის (ქ ო რ). სვანური ქორ ორი სართულისგან შედგება, რომელთაგან პირველი (მ ა ჩ უ ბ -ი) გამოყოფოლია ადამიანისა და ცხოველების სათავსოებად. ადამიანის სადგომისაგან ეს უკანასკნელი გამოცალკევებულია იშვიათი სიმდიდრის ორნამენტირებული ტიხრით (ლ ე ჭ ვ ი ნ დ ი რ -ით), რომელსაც ნახვრეტები აქვს გაკეთებული და ამის წყალობით ადამიანი განუწყვეტლივ თვალს ადევნებს საქონელს.

სვანური სახლი საყურადღებოა პირველ რიგში საცხოვრებელი ფართობის გამოყენების თავისებურებით. მაჩუბ-ის ერთ კუთხეში დგას სახლის უფროსი მამაკაცის საწოლი, ხოლო მის თავთან კედელზე იარაღია ჩამოკიდებული. განსაკუთრებული ადგილია გამოყოფილი პურის მცხობელი დედაკაცებისთვის. იქვე, სახლის ცენტრში მოთავსებული კერის მახლობლად სწარმოებს ყველის დამზადება და საჭმელების კეთება. კერიდან რამდენიმე დაცილებით მოთავსებულია საქსოვი დაზგა. ბავშვებს მიკუთვნებული აქვს თავიანთი ადგილი. მკაცრ დისციპლინას ემორჩილებიან, აგრეთვე, ოჯახის წევრები ტრაპეზისა და ძილის დროს.

ზემონაჩვენები სახლის ტიპი გავრცელებულია უმთავრესად ზემო სვანეთში, მთის რაჭაში, ხევსურეთში, ე.ი. საქართველოს მაღალმთიან რაიონებში, რომელიც ასახავს მთიელი ქართველების სამეურნეო და საზოგადოებრივ ყოფას. ამასთან ერთად ის რამდენადმე შეგუებულია მკაცრი და გრძელი ზამთრის პირობებთან.

მთიან რაჭაში, რომელიც სოფლებს (ღებს, ჭიორას, გლოლას) მოიცავს, ეთნოგრაფიულად სხვადასხვაგვარი ტიპის სახლები ფიქსირდება, თუმცა ამ რაიონისთვის ყველაზე ტიპიურად აღიარებულია ე.წ. სათოფურებიანი სახლი (დ ო ნ ი ა ნ ი ს ა ხ ლ ი), რომელიც ოთხ სართულისგან შედგება. პირველი მათგანი გამოყოფილია ბოსლად; აქ ჩვეულებრივად ათავსებდნენ საქონელს, ინახავდნენ კარტოფილის მარაგს და ღვინოს, რომელსაც ბარის სოფლებში იძენდნენ შემოდგომით და მთელი წლისათვის საკმარისი რაოდენობით მიწაში ჩაფლულ დიდ ქვევრებში ინახავდნენ. პირველი სართული მეორესთან დაკავშირებული იყო კიბის მეშვეობით. მეორე სართულზე იმყოფებოდა ოჯახი. ამ სართულის დაუნაწილებელი ფართობი, რომელშიც ჩვეულებრივად შედიოდა სახლთან მიშენებული ოთახები (კ ა რ ს ე ლ ი) წარმოადგენდა ადამიანის ძირითად საცხოვრისს. ცენტრში იყო მოწყობილი კერა და იქვე აწყობდნენ მთელ საბინაო მოწყობილობას. მესამე სართულის დანიშნულებას წარმოადგენდა ადამიანისა და საქონლის საკვებისა თუ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შენახვა. მეოთხე, სათოფურებიანი სართული, მხოლოდ თავდაცვის მიზნით გამოიყენებოდა. სამეურნეო ნაგებობიდან სახლს ჰქონდა ბეღელი, მარცვლეულის გასახმობი – საფიცობელი და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საცხოვრებელი სახლის ჭრილი. ფშავი.

ანალოგიური სურათი გვხვდება თუშური და მოხეური მასალების მიხედვითაც, თუმცა დასახელებული მთიელების მეურნეობის საფუძველს წარმოადგენდა არა მსხვილფეხა რქოსანი მესაქონლეობა, არამედ მიწათმოქმედებასთან შერწყმული მეცხვარეობა. თუშური სახლი წარმოადგენს ოთხსართულიან, მშრალი ქვით ნაგებ შენობას, რომლის პირველი სართული განკუთვნილია ბოსლად, მეორე და მესამე ადამიანის საცხოვრებლად და მარაგის შესანახად, ხოლო მეოთხე, მასზე გაშენებული სათოფურებით (ჩ ა რ დ ა ხ ი), თავდაცვის საქმეს ემსახურებოდა.

საცხოვრებელი და სამეურნეო ფუნქციების მქონე სათავსოების ერთ კომპლექსში, მაგრამ ვერტიკალურ სიგრძეზე განაწილების აზრით შეიძლება იგივე ითქვას მოხეურ სახლზე, თუმცა, ის სულ ორი სართულისგან შედგება და საცხოვრებლად მოხმარებული მისი ფართობი მთიური ტიპის სხვა სახლებთან შედარებით უფრო დიფერენცირებული სახითაა წარმოდგენილი.

დასავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელია განცალკევებული კარმიდამოები და გაშლილი დასახლება. იმერეთის ს ა ჯ ა ლ ა ბ ო ს ა ხ ლ ი წარმოადგენდა ხის ოთხკუთხ, ყავრის ან კრამიტის სახურავიან, მიწის იატაკიან, საერთო ფართობიან და კერიან საცხოვრისს.

იმერეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით საჯალაბო სახლის ცენტრში მოთავსებულია კერა – ე.წ. შუა ცეცხლი. ორი კედლის გასწვრივ დგას ტახტები, რომელზედაც იძინებდა ოჯახის ყველა წევრი. საჯალაბო სახლის სპეციალურ ადგილას – საფქვილეში ინახებოდა ფქვილის მარაგი. ოთახის ერთ რომელიმე კედელზე მოწყობილი იყო ნიში (წ ა ლ ო) და კედლის კარადა (თ ა ხ ჩ ა) ჭურჭლისათვის. ჭამის დროს კერის წინ, უმთავრესად სადილობისას, იდგმებოდა მოკლე ფეხებიანი ხის ვიწრო მაგიდა – სუფრა, რომლის გარშემო სხდებოდნენ ოჯახის ყველა წევრები. დღისით სუფრას ჩვეულებრივად იღებდნენ და კედელზე კიდებდნენ.

საცხოვრებელი ნაგებობების ტიპები სამეგრელოში, ქრ. კარტელით მე-17 ს.

ამ ტიპის დასავლურ-ქართული საცხოვრისი წარმოადგენს

ჰორიზონტალურ ჭრილში განლაგებულსა და უკვე დანაწილებულ საცხოვრებელ და სამეურნეო შენობათა კომპლექსს. ამგვარი დანაწილება, როგორც ჩანს გაცილებით ადრე უნდა წარმოქმნილიყო. XI საუკუნის წერილობითი წყაროები უკვე მიუთითებენ დასავლეთის ტიპის შიგნით დამოუკიდებელ ერთეულებად გამოყოფილი საცხოვრებელი სახლის, საბძელის, საქონლის სადგომის, მარანის, სამზარეულოს და სხვათა თანაარსებობაზე. ა.კასტელმა დასახლების მსგავსი ტიპი ჩაიხატა XVII საუკუნის შუა წლების სამეგრელოში.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით მეგრულ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსში ვლინდება თანდათანობითი განვითარების საფეხურების რიგი. საცხოვრებლის უძველეს ფორმად მიჩნეულია წნული (ფ ა ც ხ ა) და უბრალო ძელურა (ჯ ა რ გ ვ ა ლ ი). პირველი წარმოადგენს მრგვალ ან ოთხკუთხ წნულს. მისი სახურავი კონუსისებური ან ორფერდაა და სახურავად გამოყენებულია ჭაობის ლერწამი. ამ ტიპის საცხოვრისის ცენტრში მოთავსებულია კერა, იატაკი მიწისა აქვს, ხოლო კარების მაგივრობას სწევს ჩამოკიდებული ლასტი. უფრო მკვიდრია ოთხკუთხად ამოყვანილი, ორფერდა სახურავიანი, ასევე ცენტრში კერით გამართული და მიწის იატაკიანი საცხოვრისი – ჯ ა რ გ ვ ა ლ ი. ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენ ვამოწმებთ ძელური ტექნიკის შესანიშნავ გამოყენებას ოვალური ფორმის ფართობის მისაღებად. ეს შედარებით ძველი ფორმები ადამიანის საცხოვრისისა, გაუმჯობესების შემდეგ ყოფაში შემორჩა მხოლოდ როგორც მთაში საჭირო დროებითი ნაგებობანი, ან საქონლის სათავსოები.

საცხოვრისის ეს ადრინდელი ფორმები თავის შემდგომ განვითარებას პოულობს ფიცრულ სახლებში, რომელსაც აქვს ორფერდა სახურავი, მიწის იატაკი, ცენტრში კერა და საერთო, გაუყოფელი საცხოვრებელი ფართობი (ბ ო ყ ვ ი ა ნ ი ს ა ხ ლ ი).

კარგად შემოწმებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, განვითარების შემდგომ საფეხურზე აღმოცენდა საძირკველზე მდგომი ოთხკუთხოვანი ფიცრული ო დ ა ს ა ხ ლ ი, რომელსაც აქვს ორფერდა სახურავი, ერთ რომელიმე კედელში ბუხარი, ფიცრის იატაკი, მაგრამ ჯერ კიდევ საერთო, დაუნაწილებელი საცხოვრებელი ფართობი.

„ოდა“. დასავლეთი საქართველო. მხატვ. ნ. ბრაილაშვილი

აღმოსავლეთ საქართველოს ბარის რაიონების მოსახლეობა სამეურნეო ყოფის უმთავრესი ნიშნებით მნიშვნელოვნად განსხვავდება კოლხიდის დაბლობის მოსახლეობისგან. აღმოსავლეთ საქართველოს ბარელთა ცხოვრების ეკონომიკურ საფუძველს შეადგენდა მიწათმოქმედება, კერ-

ძოდ, ქართლში მიწათმოქმედება წარმოდგენილი იყო მემინდვრეობის (პურეული კულტურების მოყვანა) მესაქონლეობასთან შერწყმული სახით, რომლის მასშტაბი განისაზღვრებოდა უმთავრესად მიწათმოქმედების ინტერესებით და, აგრეთვე, მემინდვრეობასთან შერწყმული მევენახეობით.

კახური სახლი

კახეთის ეთნოგრაფიულმა მასალამ შედარებით კარგად შემოინახა საცხოვრისთა არქაული ფორმები, რომლებიც დამხმარე სამეურნეო სათავსოების სახით განაგრძობდნენ არსებობას.

საცხოვრებლების ზემონაჩვენებ არქაულ ფორმათა გარდა ყურადღებას იქცევს თიხით შელესილი, ჭაობის ლერწმით ორფერდად დახურული, მიწის იატაკით და ცენტრში კერაზე გამართული ოთხკუთხი წნული. ჩანს ეს სახლიც, რიგი მოვლენების ანალოგიურად, რაც საქართველოს სხვა რაიონების მასალებიდანაც ფართოდაა ცნობილი, წარმოადგენდა ძირითად საცხოვრებელ და სამეურნეო ფუნქციების მქონე სათავსოების კომპლექსს, სადაც სამეურნეო სათავსოს სახით მარანიც შედიოდა.

როგორც ეს დღემდე შემონახული და მხოლოდ დამხმარე ფუნქციის მქონე ნაგებობათა მიხედვით აშკარავდება, უნდა ვივარაუდოთ, რომ კახეთში საცხოვრებელ სახლად ხმარობდნენ ოთხკუთხ ფიცრულ ნაგებობასაც, ყველა იმ ნიშნთვისებებით, რაც დამახასიათებელი იყო ზემოთ აღწერილი წნულისათვის

1924 წ. საქართველოში მყოფი ფ. ბაუმჰაუერი სამართლიანად მიიჩნევს რევოლუციამდელი კახეთისათვის ტიპიურად ორსართულიან ქვის სახლს, მაგრამ, როგორც ეთნოგრაფიული მონაცემებიდან ჩანს, საცხოვრებლის ეს ტიპი არ იყო გაბატონებული და დამახასიათებელი მოვლენა.

ეთნოგრაფიული მონაცემებით ქართლსა და კახეთში გაბატონებულ საცხოვრისად ითვლებოდა ერთსართულიანი ქვის შენობა, რომელიც ჭაობის ლერწმით ორფერდად იყო გადახურული. სახლი წარმოადგენდა დაუნაწილებელ ფართობს; მასზე იყო მიშენებული ისეთი სამეურნეო სათავსოები, როგორიცაა: მარანი, ბოსელი, საბძელი. ამ აზრით, გლეხური საცხოვრისის ეს ფორმა უკვე დაადგა სამეურნეო და საცხოვრებელი ფუნქციების მიხედვით საბოლოო დანაწევრების გზას, მაგრამ ის მაინც ახლოს იდგა კომპლექსური ტიპის საცხოვრისთან.

მხოლოდ მოგვიანებით ხდება ქვისა და აგურის ორსართულიანი სახლების გავრცელება, რომლის პირველი სართული მთლიანად გამოყოფილია სამეურნეო სათავსოდ (პირველ რიგში მასში შედის მარანი), ხოლო მეორე – ოჯახის საცხოვრებლად. ეს მოვლენა განსაკუთრებით დამახასიათებელია სოფლის შეძლებული ფენისთვის, რომელიც წარმოიქმნა კახეთისათვის მეტად მნიშვნელოვანი დარგის – მევენახეობა-მეღვინეობის სასაქონლო წარმოებად გადაქცევის ბაზაზე.

დასავლეთ საქართველოსგან განსხვავებით აღმოსავლეთ საქართველო ხასიათდება შეჯგუფული და თითქმის უკარმიდამო დასახლებით. ქართველთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთიულეთი



საცხოვრებელი სახლი

ციხე-კოშკი

დედაბოძი

მხატვ. ვლ. წოლოსანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართლის დარბაზი. მხატვ. ნ. ბრაილაშვილი

საცხოვრისის არქაული ფორმა, როგორც ჩანს მიწური უნდა ყოფილიყო, რომლის განვითარების შედეგად დარბაზული ტიპის სახლი წარმოიქმნა. დარბაზი გადახურულია გუმბათისებრი, საფეხურებრივი გვირგვინით, რომლის თანდათანობით დავიწროვებული ყელი მთავრდება საკვამლე და სინათლის მიმღები ხვრელით – ერდოთი. გვირგვინისებურად გადახურული კლასიკური ფორმის დარბაზი შეიცავს კერას, რომელიც საცხოვრებელი ფართობის ცენტრშია გაკეთებული და მდიდრად ორნამენტირებულ დედაბოძს. უმეტეს შემთხვევაში დარბაზი ემთხვევა დასახლების შეჯგუფულ ტიპს, რომლისთვისაც დამახასიათებელია უეზოობა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

მესხური დარბაზი შედგება ცხრა სექტორისაგან, რომელთაგან თითოეული მათგანი განსაზღვრულ ფუნქციას ასრულებს. ერთ სექტორთაგან, რომელიც შესასვლელი კარის მარცხნივაა მოთავსებული, წარმოადგენს ბეღელი, ხოლო კარის მარჯვნივ მდებარე მეორე სექტორი გამოყენებულია რძის პროდუქტების დასამუშავებლად და შესანახ სათავსოდ. სახლის სიღრმეში მდებარეობს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შესანახი ბაკი, საიდანაც კაცი მოხვდება საკუჭნაოში, ბოსელში და საცხოვრებელ სათავსოში – საკუთრივ დარბაზში. დარბაზის გვერდით მოთავსებულია პურსაცხობი ღუმელი, ხოლო ბოსლის გვერდით – საბძელი.

დარბაზული სახლი საერთო კავკასიური ბუნებისაა და სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა სახელითაა ცნობილი. საქართველოში გავრცელებულს – დარბაზი, ერთობის სახლი ეწოდება. სომხეთში არსებულს – გლახატუნ ან უბრალოდ ტუნ, აზერბაიჯანში – ყარადამ.

ფორაქიშვილების დარბაზი. თბილისი. 1903 წ.

ერდოიან-გვირგვიანი სახურავით მომთავრებული სახლი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე

უძველესი საცხოვრებელი ნაგებობაა. იგი როგორც საცხოვრებელი სახლი, თავისი ყველაზე არქაული პროტოტიპების – ქვაცხელებისა და ამირანის გოლის დარბაზების სახით ჯერ კიდევ მესამე ათასწლეულის შუა პერიოდში უნდა არსებულიყო. არქაულობის გარდა ამ ტიპის სახლები იმითაა საყურადღებო, რომ მისი პირამიდული მოყვანილობის, გვირგვინისებური და ერდოთი მომთავრებული გადახურვა, როგორც წესი, ყოველთვის ძელებსა და სვეტებს ეყრდნობა. ტიპოლოგიურად განსხვავებული თავისებურებების გამო, მას განსაკუთრებული ადგილი უკავია ყველა ტიპის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობებში.

ინტერესს ამ ტიპის სახლებისადმი ისიც აძლიერებს, რომ ყველგან, სადაც კი იგი ვრცელდება, ყოველთვის გადმონაშთებად შემონახულ საოჯახო თემის – დიდი ოჯახის საცხოვრებელს წარმოადგენს.

ერდოიან-გვირგვინიანი სახლი ყველაზე ფართოდ ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოშია წარმოდგენილი, სადაც მან თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია სხვა ტიპის საცხოვრებლებისაგან განსხვავებით.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული და სხვა ხასიათის მონაცემების მიხედვით, აღნიშნული ტიპის სახლი, რომელიც საქართველოს მაგალითზე ჯერ კიდევ III ათასწლეულში იყო ცნობილი, ცენტრალური ამიერკავკასიის უძველესი მოსახლეობის საერთო კულტურულ-ისტორიულ თვითმყოფად მონაპოვრად გამოიყურება.

მესხური დედაბოძი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძველეს და მნიშვნელოვან მონაპოვარს კაცობრიობის კულტურის ისტორიაში სამოსლის დამზადება–გამოყენება წარმოადგენს. სამოსლის ისტორია კულტურის ისტორიის განუყოფელი ნაწილია. ტანსაცმლის ფორმა, აღნაგობა, მასალა, ფერების შეხამება, ტანსაცმლის ტარების იერი გვიჩვენებს ხალხის ეკონომიური და სულიერი განვითარების დონეს.

იმ მასალებს შორის, რომლებიც სამოსლის ისტორიის გასარკვევად გამოდგებიან, უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახულ ტანსაცმელს. ეს მასალა, ყველა სხვა წყაროსთან შედარებით შეიცავს რეალურად მოცემულ ჩაცმულობის ფაქტურას, თარგებს, დამზადების პროცესებს, შემკულობას, ჩაცმა-დახურვის ხერხებს, სამოსლის ტარების მანერას და სხვა, რაც არც ერთ სხვა წყაროს, კოსტუმის ისტორიისათვის გამოსაყენებელს არ გააჩნია.

რაჭველი ქალის ჩაცმულობა, სოფ. ღება. მხატვ. ნ. ბრაილაშვილი

ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებული ჩაცმულობის სახეები ატარებენ იმ ემპირიულ ცოდნას, რომელიც ხალხის მიერ არის დაუნჯებული, და რომელიც იძლევა შესაძლებლობას რეტროსპექტული გზით სხვა მონაცემებთან ერთად გაირკვეს კოსტუმის ისტორიის განვლილი საფეხურები.

ამ ხასიათის მასალა უხვად მოიპოვება ქართველი ხალხის ეთნოგრაფიულ ყოფაში.

ივანე ჯავახიშვილი ამბობდა, რომ საქართველო სახვნელი იარაღების ცოცხალი მუზეუმია, სადაც შემონახულია ნაირი სახის სახვნელები, დაწყებული სადა სახეობიდან რთულ კომპლექსურ გუთნით გათავებული, რომლებიც შეგუებულია საქართველოს რელიეფთან, მიწის ნიადაგთან, მიწისმოქმედების სხვადასხვა სისტემასთან. არანაკლები დაბეჯითებით შეიძლება ეს ითქვას ქართველი ხალხის კოსტუმის შესახებ.

ქართველი ხალხი ორიგინალური, თავისებური კულტურის შემქმნელია, რომელშიც მჟღავნდება ამ ხალხის ეთნიკური სახეობა და ნაციონალური თვისებები. ამ კულტურის შემადგენელი ელემენტებია: მეტალურგიაში ლითონის დამუშავების (ბრინჯაო, რკინა) მაღალი ხერხები (პოლიქრომია), იარაღი, ცხენის სპორტი, ფუტკარი, ენდემური პურეული, მრავალხმიანობა, ეპოსის შედევრები და სხვ. კულტურის თავისებურების ერთ-ერთი ნიშანდობლივ ელემენტს განეკუთვნება კოსტუმიც.

ქსოვილის სახეობანი. ხანგრძლივი და მდიდარი ისტორია აქვს სამოსლის დამზადებასა და გამოყენებას საქართველოში. ქართველი ხალხის წინაპრების ჩაცმულობაზე მდიდარ მასალას შეიცავს არქეოლოგიური გათხრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედეგად მოპოვებული უხვი და მრავალფეროვანი ძეგლები, მათ შორის უძველესი ქსოვილების ნაშთები. ამათგან აღსანიშნავია თბილისში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ძვ.წ. XIII-XII საუკუნეების ქსოვილის ნიმუში სელისგან დამზადებული, სელისვე ქსოვილის ნაშთი კოლხურ ფულთან ერთად (ძვ.წ. IV ს.). დმანისის გათხრების შედეგად აღმოჩენილი შალისა და ბამბის ქსოვილის ნაშთები (ჩვ.წ. IX ს.), ბაგნეთში აღმოჩენილი ქსოვილის ნაშთი (ჩვ.წ. II ს.) და მრავალი სხვა მონაცემი, რაც ანტიკური ხანის მწერლების ცნობების ნივთიერ დამადასტურებელ საბუთებად გვევლინება, ძველ საქართველოში ქსოვილების დამზადების საკმაოდ მაღალი დონის შესახებ. განსაკუთრებით მაღალ დონეზე იდგა ძველ კოლხეთში სელის ქსოვილების დამზადება, თავისი დროისათვის დაწინაურებული საქსოვი დაზგით, რომელიც ეგვიპტური ჰორიზონტალური საქსოვი დაზგის ტიპისა უნდა ყოფილიყო. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ბერძნები ჯერ კიდევ ვერტიკალურ საქსოვ დაზგას იყენებდნენ, რომელნიც თავისი ტექნიკური შესაძლებლობით კოლხურ-ეგვიპტურ დაზგებთან შედარებით გაცილებით დაბალ დონეზე იდგნენ.

რთვა

ძახვა

კოლხური სელის ქსოვილი ცნობილი იყო მაშინდელ მსოფლიოში თავისი მაღალი ღირსებით და უცხო ქვეყნებშიც გაჰქონდათ. იმ დროს მსოფლიო ბაზარზე სახელგანთქმული ეგვიპტური სელის ქსოვილების ერთ-ერთ ღირსეულ მეტოქედ სწორედ **ს ა რ დ ო ნ ი უ ლ ი ს** სახელწოდებით ცნობილი კოლხური სელის ქსოვილი ითვლებოდა. ქსენოფონტეს სიტყვით მეთევზეთა ბადეების საქსოვად საუკეთესო ნართად კოლხური სელის ნართი იყო მიჩნეული (აღსანიშნავია, რომ ბოლო ხანამდე სამეგრელოსა და ლაზეთში ბადეების საქსოვად სწორედ სელის ნართს იყენებდნენ). იმავე ავტორის ცნობით ქართველთა წინაპრები სელის ქსოვილისგან დამზადებულ პერანგებს (**კ ვ ა რ თ ე ბ ს**) ატარებდნენ (სამეგრელოში გლეხები XIX საუკ. მეორე ნახევარშიც კი სელის ტილოსაგან დამზადებულ პერანგებს ატარებდნენ – „სელის პერანგი გრილია და ყანაში სამუშაოდ კარგიაო").

როგორც ჩანს, ქსოვილებისა და სამოსელის დამზადება საქართველოში უძველესი დროიდან მომდინარეობს. წარმოების ეს დარგი ქართველი ხალხის ნივთიერი კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ნიშანდობლივი მონაცემია. ამაზე არქეოლოგიურ და წერილობით წყაროებთან ერთად, მკაფიოდ მეტყველებენ ეთნოგრაფიულ ყოფაში გამოვლინებული ქსოვილებისა და ტანსაცმ-

ლის მრავალფეროვანი სახეები. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ეთნოგრაფიული მასალა, რამდენადაც იგი უშუალოდ ცოცხალ სინამდვილეში, ხალხის ყოფაშია მოპოვებული და მკაფიოდ ამჟღავნებს ხალხის მრავალსაუკუნოვან საწარმოო გამოცდილებასა და შრომით ჩვევებს წარმოების ამ დარგში.



საქსოვი ყდა

ხალხის საოჯახო მეურნეობაში უახლოეს წარსულამდე იყო შემონახული შალის, ბამბის, სელის, აბრეშუმის, კანაფის და სხვა ქსოვილების დამზადების ტრადიციული, შინამრეწველური წესი. ქსოვისა და ქსელვის რთული და მრავალფეროვანი ხალხური ტექნიკა თითქმის ბოლო ხანამდე იყო შემონახული საქართველოს მთის ზოლში. ბარში კი შინამრეწველობის ეს დარგი ფაბრიკულმა წარმოებამ შეზღუდა.

საქსოვ-სართავი იარაღები. ისტორიული წყაროები მეტყველებენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარების შესახებ. აღმოსავლეთ საქართველოში ბრინჯაოს ხანის სამარხებში, სასოფლო-სამეურნეო იარაღებთან ერთად ნაპოვნია შინამოსაქმეობის ხელსაწყო: ნემსი, კვირისტავი, სამოსელთან დაკავშირებული საგნები: სარტყლები, მათი ბალთები, აბზინდები, ღილები, შესაბნევები და სხვ.

ანტიკური პერიოდის საქართველოში ქსოვილების დამზადების შედარებით მაღალი კულტურული დონეზე მრავალი ცნობა მეტყველებს. ქართული ქსოვილების წარმოების შესახებ მდიდარი მასალა მოიპოვება ფეოდალური ხანის ქართულ ლიტერატურულსა და საისტორიო ძეგლებში. ამ პერიოდისთვის დამახასიათებელია საშუალო საუკუნეობრივი სახელოსნო და მანუფაქტურულ საწარმოთა გაჩენა. კაპიტალისტური ურთიერთობის პირობებში კი სახელოსნოთა და მანუფაქტურულ საწარმოთა ნაცვლად ჩნდება მანქანებით შეიარაღებული მსხვილი საფეიქრო წამოწყებები. საზოგადოების განვითარების ამ საფეხურების შესაბამისად ვითარდებოდა და უმჯობესდებოდა საქსოვი დაზგებიც უშუალო მწარმოებელთა შრომითი ჩვევებისა და საწარმოო გამოცდილების გამდიდრების საფუძველზე.

ფარდაგის ქსოვა. ფშავი

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცოცხალ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახულ საქსოვ დაზგებს, რომელთა საშუალებით ჯერ კიდევ ახლო წარსულამდე მზადდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: სელის, კანაფის, ბამბის, შალის, აბრეშუმისა და სხვა ქსოვილები.

ხალიჩის ორნამენტი. ფშავი
მხატვ. ვლ. წოლოსანი

სპეციალური ეთნოგრაფიული კვლევით საქართველოში დადგენილია (ეთნოგრაფი გ. ჩაჩაშვილი), რომ ქსოვილების დასამზადებლად ორი ტიპის საქსოვი დაზგა გამოიყენებოდა – ბეჭ-საშევრიანი საქსოვი ყდა და დგიმ-სავარცხლიანი საქსოვი დაზგა, ანუ სპეციალურ ლიტერატურაში მიღებული ტერმინოლოგიით ვერტიკალური და ჰორიზონტალური საქსოვი დაზგები. საქართველოს ზოგ ნაწილში (ხევსურეთში, ფშავში, თუშეთში და სხვა) მარტოოდენ ვერტიკალური საქსოვი ყდა იხმარებოდა. იქ სადაც შალის ქსოვასთან ერთად ფარდაგ-ხალიჩების ქსოვაც იყო განვითარებული, ვერტიკალური საქსოვი ჩანდა გაბატონებული (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი ნაწილი). ჰორიზონტალური საქსოვი დაზგები კი მეტწილად ბარში იყო გავრცელებული, თუმცა, ზოგჯერ მთაშიც იყო შესული. იქაც გვხვდებოდა ვერტიკალური დაზგებიც, ისევე როგორც ჰორიზონტალური დაზგები. ხშირ შემთხვევაში კი ორივე ტიპის დაზგა თანაარსებობდა.

ეს ორი ტიპის დაზგა კონსტრუქციით, დანიშნულებით, საქსოვი აპარატითა და ტექნიკური შესაძლებლობით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან.

ვერტიკალური საქსოვ დაზგას წარმოადგენს ფშავ-ხევსურულის საქსოვი ყდა, ხოლო ჰორიზონტალურს კი სვანური „ლაჯშიარ“.

საქსოვი ყდა ოთხკუთხედი ჩარჩოა. მისი ნაწილებია: ორი თანაბარი სიმაღლის ყდა (სვეტი), ორი ლვიღი, ორი წკეპლა (სათხრე) და საშევარი, ორი გარა, სოლები, ორი ქიჩი, ბეჭი (სავარცხელი), ფხინი, წიწუ, ცხემლა (მაქო) და თხორნი.

ყდის საშუალო სიმაღლეა 3,65 სმ; ყდის ზემო ნაწილს ეწოდება ყდის თავი, ხოლო ქვემო ნაწილს ყდის ძირი.

საქსოვ ყდაზე ორკეცად დაჭიმული იყო უწყვეტი ქსელი. ასეთ დაზგაზე შეიძლებოდა მხოლოდ 7 მეტრამდე ზომის ტილოს ქსოვა.

საშევრის ქვემოთ, ქსელის გახსნილ პირში – ქირცში გადებული იყო ცხემლა ზედ დახვეული საზედაო ძაფით. საშევრის ზემოთ კი ქსელის ძაფების გამყოფი სარჩევი გარა იყო მოთავსებული; გარაზე კი მისი ამწევ-დამწევი ხელსაწყო ფხინი იყო მომარჯვებული. ამ დაზგის საქსოვი აპარატისთვის დამახასიათებელი იყო ერთი უმოძრაო დგიმი (საშევარი),

ხალიჩის ორნამენტი. მთიულეთი.
მხატვ. ვლ. წოლოსანი

სარჩევი გარა, რომელიც მაქოს ფუნქციას ასრულებდა და ბეჭი (სავარცხელი). ჰორიზონტალურ საქსოვ დაზგას კი ჰქონდა ქსლის გამოყოფი ორი მოძრავი დგომი, სავარცხელი, მაქო და „ფეხები". ამდენადვე მისი საქსოვი აპარატი ვერტიკალურთან შედარებით უფრო დაწინაურებული იყო.



„ლაჯშიარ". სვანური საქსოვი დაზგა

ხევსურეთში გაბაფხულის მატყლს რისი ეწოდებოდა, შემოდგომისას-მატყლი, ხოლო ბატკნისას – კრაველი. თუ ბატკანი ადრეული იყო და მას მეორედ გაკრეჭდნენ – მეორე ნაკრეჭ კრაველს ნაქცი ეწოდებოდა. მატყლს გამდინარე წყალში რეცხავდნენ ლასტზე ან ქვებზე სარეცხათი (მატყლის გასარეცხი ჯოხია). გარეცხილ მატყლს გააშრობდნენ და შემდეგ ახარისხებდნენ ფერისა და თვისების მიხედვით. ცალკე გამოყოფდნენ რბილსა და წვრილ ბეწვიან მატყლს. რბილი მატყლი იხმარებოდა მანდილისათვის, კაცის ჩოხისა და ქალის ქოქლოსათვის, ფაფანაკისთვის. მეორე ხარისხოვნად ითვლებოდა მშრალი ბეწვი ანუ ხმელი მატყლი. ამ მატყლისგან ქსოვდნენ სადიაცოს, სამარვლეს ანუ „ტანისსაცმელს" და საპერანგეს. კრაველისაგან ქსოვდნენ უპირატესად სამანდილე, ქოქლო-ფაფანაკისა და საჩოხე ტოლსაც.

გამშრალ მატყლს საჩეჩ სავარცხელში ჩეჩავდნენ ჯერ ქაბილებად შემდეგ კი – ნამტებად. თითო მუჭა განაჩეჩ მატყლს კბილებად (გრაგნილებად) შეახვევდნენ. ერთი ცხვრის განაპარსს ხევსურეთში ერთი მატყლი ეწოდებოდა, გაჩეჩვის შემდეგ კი მის ნახევარს – აკეცილა. ორ აკეცილას თუ შეაერთებდნენ ეს ფოლი იყო. აკეცილა ან ფოლი მესამედ უნდა გაჩეჩილიყო, რასაც განამტვნას უწოდებდნენ. განამტვნა ნამტენების გაკეთებაში მდგომარეობდა. აკეცილას ან ფოლს თითო მუჭა მატყლს მოგლეჯდნენ, გადაჩეჩავდნენ და მას უკვე ნამტენას უწოდებდნენ, რომლისგანაც ნართს ამზადებდნენ.

ნამტენებს თითისტარზე || სასთავტარზე ართავდნენ. ტოლის ორი თელვა ხდებოდა მკლავებითა და ფეხებით. ანალოგიური ტიპის საქსოვი ცნობილი იყო თუშეთში აკაზმების სახელწოდებით. ფშავში, თიანეთში, გუდამაყარში, მთიულეთში და სხვაგან ამ ტიპის საქსოვზე შალის გარდა ქსოვდნენ ჯეჯიმებს, ფარდაგებს, ხურჯინებს, ტომრებსა და სხვ. საქსოვი ყდა გამოყენებული იყო რაჭაში საცერის ძირის მოსაქსოვადაც.

„აკაზმები". თუშური საქსოვი დაზგა

ვერტიკალური ტიპის საქსოვი დაზგების რიგს განეკუთვნება ისეთი ყდებიც, რომლებიც ქსოვილის ერთ-ერთი უძველესი სახის ჭილოფის დასამზადებლად იყო გამოყენებული.

საქართველოში ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, საფაბრიკო წარმოების გაჩენამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქსოვი დაზგების ზემოაღნიშნულ ტიპებზე მზადდებოდა ქართული ქსოვილების მრავალფეროვანი სახეები, მათ შორის საბაზრო საქონელიც. ამ ქსოვილებიდან მზადდებოდა ქართული სამოსლის ძირითადი ნაწილი (უშუალოდ მწარმოებელთა ტანსაცმელი), ხოლო თავადაზნაურთა და სასულიერო პირთა ტანსაცმლისათვის მეტწილად სხვა ქვეყნებიდან შემოტანილ ძვირფას ქსოვილებს იყენებდნენ.



ოქრომკერდით ნაქარგობა. მხატვ. ვლ. წილოსანი

ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში აგრეთვე სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების სახიანი ქსოვილებიც, მათ შორის, ხაოიანი და უხაო ქსოვილები: ხალიჩები, ფარდაგები, ჯეჯიმები, ხურჯინები და ა.შ. ხდებოდა აგრეთვე დამზადება ნაბდებისა და ქუდების, თელვა, მღებრობა, აგრეთვე მედაბღეობა ფეხსაცმელის, ტყავის ქუდების, ქურქებისა და ტანსაცმლის სხვა ნაწილების დასამზადებლად.

განსაკუთრებული სიმდიდრით, ფერების სინაზით, ნატიფი ხელობით და მრავალფეროვნებით გამოირჩევა ქართული ნაქარგობა – აბრეშუმის, შალის, ბამბის ნაირსახოვანი ძაფებითა და ოქრომკედით, რაც ხშირად წარმოდგენილია მრავალფიგურიანი რთული კომპოზიციით, მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტით. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ ნაქარგობის ტექნიკა ათეულობის სხვადასხვა ხერხს იცნობს. ჯერ კიდევ XIX საუკ. დასაწყისში საქართველოდან დიდი რაოდენობით გაჰქონდათ თურქეთსა და ირანში ქართული ნაქარგობა, რომელიც იმ პერიოდში მთელს აზიაში იყო სახელგანთქმული. ამ ნაქარგობის ნიმუშები მდიდრადაა შემონახული, აგრეთვე, ძველ ქართულ ტანსაცმელზეც.

ქართული კოსტუმის ძირითადი ტიპები. ხალხურ ჩაცმულობაში მკაფიოდ აისახება ეთნიკური კულტურის სპეციფიკა: ქსოვილში, თარგსა და გაწყობაში. ზოგჯერ ლიტერატურაზე დაყრდნობით, ტანსაცმელი გარეგნული ნიშნების მიხედვით შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: პირველი **დახურული**, თავზე გადასაცმელი ტანსაცმელი, რომელიც წინიდანაც მთლიანია, გავრცელებულია ჩრდილოეთის ხალხებში; მეორე, **გახსნილი**, რომელიც ფართოდაა გავრცელებული მთელ მსოფლიოში. თარგის მიხედვით ანსხვავებენ **ერთმთლიან ქსოვილიდან** გამოჭრილ სამოსელს, **ტუნიკისებრ** (ბეჭებზე აუჭრელად გადაშვებული, რომელსაც მიდგმული სახელოები აქვს), **კიმანოსებური** (ბეჭები და სახელოები ერთიანად იჭრება).

საქართველოში ჩაცმულობის სხვადასხვა ვარიანტი ყალიბდება. ქართული ტანსაცმლის ძირითადი სახეები, რომელთა გამომუშავება საუკუნეთა განმავლობაში ხდებოდა, ისტორიული ცვალებადობის მიუხედავად ნათლად ასახავს იმ სპეციფიკურსა და თვითმყოფ ნიშნებს, რაც ქართულ ჩაცმა-დახურვას შედარებით ახლო წარსულამდე ახასიათებდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის, დამახასიათებელი ეროვნული ჩაცმულობის პარალელურად, (ქართული ჩოხა და ქართული კაბა) განაგრძობ- და არსებობას ძველი ქართულ ეთნიკური წარმომავლობის ტანსაცმელიც. მათ შორის წარმოდგენილი იყო უნიკალური, ზოგჯერ სულ მცირე მიკრორაიონში გავრცელებული და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ტანსაცმლის ისეთი სახეები, რომლებიც გენეტიკურად უკავშირდებიან ძველი ქართული ჩაცმულობის საწყის ფორმებს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ხევსურული „ტალავარის" ისეთი ელემენტი, როგორიცაა პერანგი, რომელიც თავისი ორიგინალური თარგით და მდიდარი ნაქარგობით გამოირჩევა არა მარტო საქართველოს, არამედ კავკასიის სხვა ხალხთა ჩაცმულობისგან, და, რომელიც თავისი საწყისი ფორმებით ძველი კოლხეთისა და მცირე აზიის კულტურულ სამყაროს უკავშირდება.

საზოგადოდ კოსტუმის არსებით მხარეს მისი თარგი წარმოადგენს. თარგი იძლევა კოსტუმის აგებულობის, მისი შემადგენელი ნაწილების გაგების საშუალებას. თარგების შემწეობით ადვილად ხერხდება ტანსაცმლის ამა თუ იმ ტიპის წარმოშობის გარკვევა და შედარების გზით მსგავსება – განსხვავების დადგენა ტანსაცმლების სხვა ტიპებთან. კვლევის ამგვარი გზით წარმართვის შედეგად ლიტერატურაში გამოითქვა დებულება, რომ ხევსურული პერანგის ტიპი მეტად გავრცელებული იყო წინა აზიის ხალხებში. მას ატარებდნენ ხალდები, ხეთის ქვეყნის ხალხები, ასურელები, ბაბილონელები და აგრეთვე ეგვიპტელები.

გაირკვა, რომ ამ პერანგის თარგს შეადგენს: მიდგმული სახელო, ამოკერილჩაჭიანი გვერდები, ამოღებული საყელო და შვეული საკინძიანი გულისპირი (ფ ა რ ა გ ი). ამ პერანგის საწყისი ფორმა სადა იყო, მას არ გააჩნდა სახელო და ქსოვილის მთლიანი ნაჭრებისგან იკერებოდა. დროთა ვითარებაში იგი თანდათან გართულდა, ახალი ელემენტები შეემატა და ხევსურული პერანგის სახე მიიღო.

სპეციალისტთა დასკვნით ხევსურული პერანგის ძველი ქართული სახელია კ ვ ა რ თ ი (კვარტუა, კურთა), რომელიც ხშირადაა დასახელებული კლასიკური ხანის ბერძენი ავტორების შრომებში და ჰეროდოტეს კ ა ლ ა ს ი რ ს უნდა ვარაუდობდეს.

მკელი საშკვდილით.

ცნობილია, რომ ტანსაცმელი თავისი შემადგენელი ელემენტებით ასახავს ხალხის ყოფას, მის თანადროულობას. ის წარმოადგენს ნივთიერი კულტურის ისეთ მონაცემს, რომელიც ხალხის ყოფის თავისებურებას თვალნათლივ წარმოაჩენს. ასე, მაგალითად, მეურნეობის სახეობის შესაბამისად საქართველოს მთასა და ბარში ისტორიულად ტანსაცმლის სხვადასხვა სახე შემუშავდა, როგორც ამაზე ჯერ კიდევ ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი (ძვ. და ახ. წ. I საუკ.) მიუთითებდა. ეს სხვადასხვაობა შორეულ წარსულში შეიქმნა და მისმა ცალკეულმა ელემენტებმა უახლოეს წარსულამდე შემოინახა თავი ხალხის ყოფაში.

იმის საუკეთესო მაგალითს თუ მეურნეობის ესა თუ ის დარგი, ანუ უფრო ზუსტად ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ხასიათი, როგორ აპირობებს, და ზოგ-

ჯერ ქმნის კიდეც ტანსაცმლის სპეციფიკურ სახეს, წარმოადგენს ქიზიყის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული მკელის ტანსაცმელი, სამკეფდილის სახელწოდებით.

ფეოდალური ხანის ფრესკების, მინიატურების, ქანდაკებების და წერილობითი წყაროების მიხედვით ტანსაცმლის ეს სხვადასხვაობა, სოციალური ფენების მიხედვით, აშკარად ჩანს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების სოციალურად პრივილეგირებული ფენების ტანსაცმელს ზოგჯერ უცხოური გავლენაც ემჩნევა, იმ დროს, როდესაც ხალხის ჩაცმულობა განვითარების შინაგანი კანონზომიერებით ხასიათდება. ამასთან, ქართული კოსტუმის ძირითადი ტიპები ისტორიულად იქმნებოდა სამეურნეო-ყოფითი, სოციალურ-წოდებრივი და ტერიტორიულ-ეთნიკური ნიშნების მიხედვით.

XIX საუკუნეში, კერძოდ, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების შედეგად ქართველი ხალხის ბურჟუაზიულ ერად ჩამოყალიბების ისტორიული პროცესის დამთავრებასთან ერთად, ქართული ტანსაცმლის მრავალფეროვანი სახეების შემადგენელი ცალკეული ელემენტების ბაზაზე – ქართლ-კახეთში ყალიბდება ერთიანი ეროვნული ტანსაცმელი, რომელიც თავდაპირველად ვრცელდება მთელ საქართველოს ბარში და შემდეგ ხანებში მთაშიც აღწევს. ამასთან არსებობას განაგრძობს გარკვეული სახელცვლილებებით საქართველოს ცალკეული თემებისათვის დამახასიათებელი ტანსაცმელი და საზოგადოების კლასობრივი მდგომარეობისა და პროფესიის მიხედვით განსხვავებული ტანსაცმლის სახეები – გლეხის, ხელოსნის, თავადის, ვაჭრის, სასულიერო პირთა და ა.შ.

XIX საუკ. მეორე ნახევარში ეს სხვაობა ქართულ ჩაცმულობაშიც აშკარად იჩენს თავს. თუ სოციალურად პრივილეგირებულ კლასებში (მათ შორის გარკვეული სახესხვაობით ქალაქისა და სოფლის ბურჟუაზიულ ფენებშიც) ტანსაცმლის გაბატონებულ ტიპს მამაკაცის ყურთმაჯიანი კაბა წარმოადგენდა, რომელიც მეტნაკლებად იყო გავრცელებული აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში (ფშავ-ხევსურეთისა, თუშეთისა და ზოგი სხვა რაიონის გარდა) და ნაწილობრივ იმერეთშიც, გლეხის ტანსაცმლის ძირითადი ტიპი იყო ქართული ჩოხა. აქვე აღსანიშნავია, რომ ამავე დროს კოსტუმის ეს ელემენტი (ჩოხა) საერთო იყო კავკასიის თითქმის ყველა ხალხისთვის და მათ საერთო ეროვნულ კუთვნილებას შეადგენდა.

ხელოსნის კოსტუმი

ცოტა უფრო გვიან, საქართველოს სამრეწველო რაიონებში ყალიბდება მუშის ტანსაცმელი შარვალ-ხალათის სახით, რომელშიც გლეხური ტანსაცმლის მრავალი ელემენტი იყო შერწყმული. ეს კოსტუმი თანდათანობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავრცელდა საქართველოს იმ მსხვილ დასახლებულ პუნქტებსა და ქალაქებში, სადაც კი სამრეწველო წამოწყებები არსებობდა.

აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებში (თბილისი, გორი, თელავი, სიღნაღი, დუშეთი, თიანეთი, ხაშური, ბორჯომი, ახალციხე, ახალქალაქი და სხვა.), სადაც ხელოსნური წარმოება მეტნაკლებად განვითარებული სახით იყო წარმოდგენილი შემუშავდა ქალაქის ბურჟუაზიული ფენებისათვის დამახასიათებელი კოსტუმები მოქალაქისა და ხელოსნის, რომელიც თავისი ფორმით ახლო იდგა თავადაზნაურთა ჩაცმულობასთან. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოში ეს კოსტუმი არ იყო გავრცელებული.

დასავლეთ საქართველოში, ქართული კოსტუმის თავისებურ სახეს წარმოადგენს რაჭული ტანსაცმელი, განსაკუთრებით ქალისა, რომელიც რაჭის გარდა საქართველოში სხვაგან არსად არა გვხვდება.

აჭარის, გურიისა და ლაზეთის ეთნიკურ გარემოში შემუშავდა ქართული კოსტუმის მეტად ორიგინალური სახეობა, რომელიც ჩაქურას სახელწოდებითაა ცნობილი. ეს კოსტუმი ნაწილობრივ სამეგრელოშიც იყო გავრცელებული.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის მთელ საქართველოში, გარკვეული ვარიაციებით, ზოგიერთი მიკრორაინის გამოკლებით, სოყოველთაოდ იყო გავრცელებული ქართული კოსტუმის ისეთი თვითმყოფი სახეები, როგორიცაა: ჩოხა და ნაბადი.

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ ქართული ეროვნული ტანსაცმლის ჩამოყალიბებას ისტორიულად საფუძვლად დაედო – მშრომელი ხალხის ტანსაცმელი, რომელიც თავის მხრივ ძირითადად, ადგილობრივი ნამზადი ქსოვილებიდან იკერებოდა.საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ განსაკუთრებით კი რუსეთიდან შემოსულმა ფაბრიკულმა ფართლეულმა, რომელიც გაცილებით იაფი იყო, ვიდრე საოჯახო წესით დამზადებული ქსოვილები და ამავე გზით, საქართველოში შემოსულმა ახალმა ტანსაცმელმა, მნიშვნელოვნად შეკვეცა ადგილობრივი შინამრეწველობის ნაწარმი, რომელიც კონკურენციას ვერ უწევდა რუსეთიდან შემოტანილ ფაბრიკულ ნაწარმს.

ახალმა ევროპულმა ტანსაცმელმა, რომელიც რუსეთიდან შემოვიდა, საქართველოში ფეხი მოიკიდა პირველყოვლისა ბურჟუაზიულ ფენებში, ხოლო შემდეგში სწრაფად გავრცელდა სოციალურად პრივილეგირებულ სხვა კლასებშიც. რაც შეეხება მშრომელთა მასებს, მათ შორის მშრომელ გლეხობას, ქართული ხალხური ტანსაცმლის ელემენტები შედარებით უფრო დიდ ხანს შემოინახეს.

ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებული ტანსაცმლის მრავალფეროვნება, სხვაობის მიუხედავად შეიცავს ისეთ მონაცემებს, რომლებიც მის შემადგენელ ელემენტებს ერთმანეთთან აახლოვებენ და მათ ზოგად ქართულ ხასიათს ანიჭებენ.

საქართველოს ბარში ტანსაცმლის კომპლექსს **ჩახაცმელ-დახახურავს** უწოდებენ, აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობა კი მას **ტალავრის** სახელით აღნიშნავს. ორივე ამ სახელწოდებას კი თავის მხრივ შეესატყვისება ძველ ქართულ წყაროებში ტანსაცმლის აღმნიშვნელი ტერმინი სამოსელი.

ქართველი ქალის ეროვნული კოსტუმი. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში XIX საუკუნის მეორე ნახევარში საყოველთაოდ იყო გავრცელებული ქართული კაბის სახელწოდებით ცნობილი ქალის ტანსაცმლის კომპლექტი. ეს ტანსაცმელი ძველად მთელი საქართველოს ბარისათვის იყო დამახასიათებელი.

ქართული კაბის შემადგენელი ელემენტებია: საკუთრივ ქართული კაბა, ქათიბი, დოლბანდი, ტალმა, პერანგი, შეიდიში, დაბლატანი, ახალუხი, წინდა, მესტი ანუ ჩუსტი, ქოში, ფლოსტი, ჩიხტიკოპი ანუ გაურჯელა, თავსაკრავი, ყასაბა, ლეჩაქი ანუ ჩიქილა, მოსახვევი, ბაღდადი და სხვ.

ქართული კაბის, შეიდიშისა და ქათიბის თარგები.
მხატვ. ვლ. წილოსანი

ქართული კაბა საქართველოში სხვადასხვა სახელწოდებით იყო ცნობილი (წელიანი, ყურთმაჯიანი, სარტყელ-გულისპირიანი). კაბის შესაკერავად ხმარობდნენ სხვადასხვა სახისა და ხარისხის ქსოვილს: ქიშმირს, შალს, ფარჩას, ოქროქსოვილს და სხვა ძვირფას ქსოვილებს.

ქართული კაბა წელშია გადაკერებული და ორი ნაწილისგან შედგება – დაბლატანისა და მაღლატანისაგან. დაბლატანი სხვადასხვა წესით იკერება. მას კერავენ 5-6 სწორე ნაჭრისგან ან სწორე და ირიბი კალთებისაგან. დაბლატანის ძირზე ქობა შემოვლებულია. თუ კაბა ნაზი ქსოვილისაა, მას მთლიანად ან სანახევროდ სარჩული აქვს დადებული. მაღლატანი შედგება, ორი ბეჭის, ორი გვერდის, ორი კალთისა და წყვილი სახელოსგან. მაღლატანი ტანზე მკვრივადაა გაწყობილი და როგორც წესი დასარჩლულია. დაბლატანზე მაღლატანი სანახევროდაა გადაკერებული. წინიდან იგი მთლიანად გახსნილია და მკერდის ქვემოთ ღილ-კილოებით იკვრება.

ქართული კაბის დამახასიათებელი და შემადგენელი ელემენტებია – გულისპირი, სარტყელი და სახელოები. თარგთან ერთად საკუთრივ ეს ნაწილები ანიჭებენ მას თვითმყოფ ხასიათს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გულისპირისა და სარტყლის ნაქარგობა, რომელიც მეტწილად ფერადი აბრეშუმის ძაფით, მძივით და ოქრომკერდით იყო შესრულებული. ამ ნაქარგებში ხშირად გვხვდება ისეთი ცალები, რომლებიც გამოირჩევიან რბილი და მკრალი ფერების ჰარმონიული შეხამებით, მდიდარი კომპოზიციით, ჩუქურთმის ორიგინალობით და შესრულების მაღალი ოსტატობით.

სარტყლის, გულისპირისა და სახელოების ქსოვილები და მისი ფერი, კაბის ფერთან უნდა ყოფილიყო შეხამებული. ეს კაბა სავალდებულო ჩასაცმელი იყო გათხოვილი ქალისათვის, თუმცა მას გაუთხოვარი ქალებიც ატარებდნენ ოცი წლის ასაკის შემდეგ, თავხურვასთან ერთად.

ქართული კაბა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქორწინო რიტუალსა და მგლოვიარობის დროს – ქმრის დაკრძალვის დღეს ცოლი გამოეწყობოდა საქორწინო ტანსაცმელში, ამ ტანსაცმელს გარდაცვალების შემდეგ ქალს საფლავში თან ატანდნენ.

ქათიბს, დოლბანდს და ტალმას ქალები კაბაზე იცვამდნენ. ქათიბს მეტწილად ჟოლოსფერი ხავერდისგან კერავდნენ. ასაკის ან გემოვნების მიხედვით იკერავდნენ შავი ან სხვა თალხი ფერის ქსოვილიდანაც. ქათიბი გრძელსახელოებიანი მოკლე, მუხლებამდე მწვდომი ჩასაცმელია, ზედატანი წელშია გაწყობილი და ნაოჭებად გამოყვანილი, ქვედა ტანი კი საკმაოდ ფართეა, წინიდან მთელ სიგრძეზეა გახსნილი და მარტო გულმკერდის ქვემოთ იკვრება. დასარჩლულია აბრეშუმის ქსოვილით ან ბეწვეულით. სახელოს, საყელოსა და კალთებზე შემოყოლებული აქვს ბეწვი, ზოგჯერ შემკულია ოქრომკერდით და მარგალიტით.

მრავალნაწნავი

ტალმა კოჭებამდე მწვდენი (უსახელო), გრძელი წამოსასხამია. შიგნიდან დასარჩლული. მას ბოლო ხანებში მოხუცი ქალები ატარებდნენ. დოლბანდიც ტალმას მსგავსი სამოსელია, მაგრამ იმისგან თარგით განსხვავდება.

ქალის კოსტუმის შემადგენლობაში შედის, აგრეთვე, პერანგი და შეიდიში. მათი შეკერვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ქსოვილის ფერს. შესაკერ მასალად იყენებდნენ: ხამს, ფარჩას, დარაიას, ყანაოზესა და აბრეშუმის სხვა ქსოვილებს.

პერანგი კოჭებამდე მწვდენი, გრძელი და სწორ სახელოებიანია, იკვრება მკერდზე, ვიწროსაყელოიანია ან გულამოღებული. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მას აქვს ფარაგი, რომელიც სხვადასხვა სახით ნაჭარგ გულისპირს წარმოადგენს.

შეიდიში შარვლის მგავსადაა შეკერილი, გრძელი და კოჭებამდე მწვდენი, თავში განიერი, ტოტებში მოვიწროვებული. ტოტებშუა ჩადგმული აქვს ოთხკუთხი უბე, ტოტები ოქრომკედიითაა ნაქარგი, გამოყვანილია სხვადასხვა სიუჟეტი, ზოგიერთი მათგანი ნაყოფიერებასთან დაკავშირებული წარმოდგენების ამსახჯველია.

ფეხებზე იცვამდნენ ბამბის, შალის, აბრეშუმის წინდებს, ჯორაბებს, ნახევრად ღია მაღალქუსლიან, ტყავის ძირიან ფეხსაცმელს, რომლის პირი მზადდებოდა ფერადი ტყავისა და ხავერდისაგან.

მეტად თავისებურია ქალის თავხურვა, რომელიც შემდეგი ნაწილებისგან შედგება: – ჩიხტი, კოპი, თავსაკრავი, ლეჩაქი და ბაღდადი. ჩიხტა მუყაოსაგან მზადდება, ზემოდან დაფარულია ყვითელი ქსოვილით. ის იკერება რკალისებურად. ჩიხტის ვიწრო ნაწილი თავზე დახურვისას უბლზე თავსდება, ფართო ნაწილი კი კისერს ებჯინება. კოპი ბოლოებშეუერთებელი რკალია, ქსოვილისგან დამზადებული. თავისაკრავი კი ვიწრო და გრძელი ნაჭერია, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვანი ქალის თავბურვა

ხევსური ქალის თავბურვა

ჩიხტზეა შემოვლებული. თავისაკრავი მეტწილად შავი, შვინდისფერი და სხვა ფერის ხავერდისაა, შემკულია ნაქარგობით – ოქრომკედით, აბრეშუმის ძაფით და ფერადი მძივით, ზოგჯერ თვალ-მარგალიტით.

ლეჩაქი თავდახურვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ელემენტია, იგი სამკუთხა მოყვანილობის თეთრი, გრძელი და გამჭვირვალე ქსოვილია. თავზე დახურული ლეჩაქის ბოლო ოდნავ წელს ქვემოთაა ჩამოშვებული. ლეჩაქის ორნამენტი მეტად მრავალფეროვანია, მეტწილად დაბასმულია, ან ნაკერია ოქრომკედით და აბრეშუმით, ხოლო თვით თავხურვის პროცესი მეტად რთული.

ქართველი ქალი თმას უმეტესწილად ორ ნაწნავად იწნავდა და მხრებიდან წელზე გადაყრიდა, ხოლო შუბლიდან საფეთქელამდე ორ მოკლე დალალს ჩამოუშვებდა. ამის შემდეგ თავზე ლეჩაქის ერთ ბოლოს შემოიხვევდა და ზედ ჩიხტი-კოპს დაიდგამდა. დასასრულს თავს ბაღდადით იბურავდა.

ქართველი ქალის ჩაცმულობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ოქროს, ვერცხლის, სხვა ლითონისა და ძვირფასი ქვებისგან დამზადებულ ნაირსახოვან სამკაულებს: ბეჭდები, საყურეები, შუბლის ქინძისთავები, სამაჯურები, თმისსაყოფები, ძეწკვები, ყელსაბამები და სხვა ასეთები.

ზემოაღნიშნული ტანსაცმელი უპირატესად მაღალი წოდების ქალებისათვის იყო დამახასიათებელი. რაც შეეხება გლეხის ქალების ტანსაცმელს, მათი კაბის თარგი, თითქმის არაფრით განსხვავდებოდა სარტყელ-გულისპირიანი კაბის თარგისაგან, განსხვავება ძირითადად მასალის ღირებულებაში და ტანსაცმლის შემკულობაში გამოიხატებოდა. მათი ტანსაცმელი იაფი, ხშირად შინ დამზადებული ქსოვილებისგან იკერებოდა და თავის სისადავითა და ხალხურობით გამოირჩეოდა.

ქართველი მამაკაცის ეროვნული კოსტუმის ძირითადი ტიპის – ჩოხა-ახალუხის კომპლექსში შედიოდა: – პერანგი, ქვედა საცვალი, ახალუხი, ჩოხა, შარვალი, ქუდი, სარტყელი. ამ კოსტუმის აუცილებელ გაწყობილობას შეადგენდა, აგრეთვე, ქამარ-ხანჯალი.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში მამაკაცის ტანსაცმლის რამდენიმე სახეობა არსებობდა; მათ შორის აღსანიშნავია გლეხის კოსტუმი (ქართლურ-კახური), თავადის კოსტუმი (ქართლურ-კახური) და მამაკაცის

ტანსაცმლის თავისებური სახეები (ხევსურული, იმერული, გურული, რაჭული და სხვ.).

ზოვადკავკასიური ჩოხა

თავად-აზნაურობა და გლეხობა უმთავრესად ატარებდნენ შავი ან ლურჯი ფერის ტანსაცმელს, აგრეთვე, მიხაკისფერ, ნაცრისფერ და სხვა ფერის ტანსაცმელს. გლეხის ჩოხას, ზოგჯერ შარვალსაც კერავდნენ შინ ნაქსოვი ან ლეკური შალისაგან. თავადის ჩოხა (კაბა) კი ფაბრიკული მაუდისაგან მზადდებოდა. გლეხის ახალუხისა და შარვლის დასამზადებლად ჩვეულებრივად იყენებდნენ ბამბის ან აბრეშუმის ქსოვილს, თავადის ახალუხისა და შარვლისათვის კი – აბრეშუმის ქსოვილს, მაუდსა და ხავერდს.

XIX ს. ქართლ-კახური ჩაცმულობა თავის ძირითად ნაწილში იმეორებდა იმ სამოსელს, რომელიც XVIII საუკუნეში არსებობდა. ქართველი ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვით „ხოლო შემოსილნი არიან ქართველნი და კახნი ერთრიგათ; თავს სკლატისაგან ანუ შალისაგან ქუდი გრძელ-წვრილი, ბეწვებული, აფროსანი; ტანს კაბა ლარისა, სკლატისა ანუ ჩოხისა მუკლთ ქუემომდე, მაზედ სარტყელი, შიგნით საგულე ბამბიანი კაბის უმოკლე, პერანგი აბრეშუმისა, ბამბისა ანუ ტილოსაგან, უგრძე კაბისა, და კისერი სრულიად მჩენი; ნიფხავი აბრეშუმისა, ანუ ბამბისაგან, ანუ ტილოსა. არამედ ცხენსა ზედა მოსიათ საწარმართული და მოგუნი, თჯინიერ მისსა - არა; ფერჯთა პაიჭი და წუღა ტყავისა ანუ სკლატისა, ხოლო მაშია სპარსული; უმცირესთა ჩუსტი და ქალამანი. კუალად ტყავ-კაბა კაბისაგან უმოკლე და ტყავი ზამთარს დიდი...“.

გლეხის ჩოხა ორი სახისა იყო: ნ ა ო ჭ ი ა ნ ი და ჩ ა ქ ე ბ ი ა ნ ი. ორივე ერთი თარგით იკერებოდა. განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ წელი სხვადასხვა წესით ჰქონდათ გამოყვანილი. გლეხის ჩოხა სხვა ჩოხების მსგავსად წელშია გადაკერებული, ზემო ნაწილი გაწყობილია ტანზე წელამდე, ქვემო ნაწილი კი განიერი აქვს. ეს უკანასკნელი შედგება ორი პატარა წინკალთის, ორი გვერდის კალთისა და წელში ნაოჭად ასხმული რამდენიმე უკანა კალთისაგან. თუ ჩოხა ნაოჭიანია უკანა კალთების რაოდენობას მნიშვნელობა არა აქვს. აქ მთავარია მისი სიგანე – წელზე ნაოჭი ისე უნდა იყოს ასხმული, რომ წელის სიგანეს არ გადასცილდეს. თუ ჩოხა ჩაქებიანია, მაშინ მისი უკანა კალთა რამდენადმე ვიწრო და სწორი კალთისგან ანუ ჩაქისგან

ჩოხის თარგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედგება (8-10-12). ქართლ-კახური ჩოხის ჩაქები ხევსურულის მსგავსია. ჩოხის გვერდის კალთები ქვემოთ ოდნავ შეხსნილია. ჩოხის ზედატანსა და სახელოებს სარჩული აქვს გამოკრული. წინიდან, მკერდის ორივე მხარზე დაკერებული აქვს ჯიბეები მასრებისათვის. ჩოხის თითოეულ ნაკერს ზემოდან სიმაგრისათვის დაკერებული აქვს ჩაფარიში, ხოლო ირგვლივ კი შემოყოლებული აქვს ყაითანი. ჩოხა გრძელი სამოსელია, იგი მამაკაცს კანჭებამდე სწვდება. ჩოხას შესაბნევი არა აქვს. მაგრდება წელზე ქამრით, რომელზედაც ხშირად გაწყობილია ხანჯალი.

ძველი ქართული კაბა

თავადის ჩოხა, რომელსაც ძველთაგანვე კ ა ბ ა ეწოდებოდა მოკლეა, მუხლამდე მწვდენი. კაბის ქვემო ნაწილი ფართოა, ზემო ნაწილი კი წელში გამოყვანილი და ნაოჭასხმული, მდიდრულად გაწყობილია ქამარ-ხანჯლით. გლეხის ჩოხისაგან განსხვავდება სახელოების თარგი. ეს უკანასკნელი გრძელია და თითქმის მთელ სიგრძეზე გახსნილი, გაკერილი აქვს მარტოოდენ იღლიები და ყოშიანი მაჯები. ღია სახელოები, როგორც წესი, ან ჩამოყრილია ქვემოთ, ან მხრებზეა აკეცილი და ბეჭებზე გადაფენილი. თავადის ჩოხის სახელოები მსგავსებას ამჟღავნებენ ქართლელი და კახელი ქალის ქათიბთან, თავადის ჩოხა, საერთოდ, ქათიბის ტიპის სამოსელია.

აღსანიშნავია, რომ კაბა წარმოადგენდა ქართული სამოსელის ერთ-ერთ მთავარ ელემენტს ძველ საქართველოში. ქართველი ჩვეულებრივ უკაბოდ გარეთ არ გამოვიდოდა. ისტორიული კედლის მხატვრობის მიხედვით კაბა ძირითადად ორგვარი იყო – ერთი გრძელი (კანჭებამდე) და წელში გადაკერებული, მეორე კი მოკლე (მუხლებამდე) და მთლიანი. კაბა წელში გაწყობილი იყო, კალთები კი განიერი ჰქონდა. სახელოები ვიწრო ჰქონდა, მაჯები კი მოჭირებული. ორივე ტიპის კაბა წინიდან მთლიანად გახსნილი იყო, მაგრამ ჩაცმის შემდეგ მთელ სიგრძეზე იკვროდა – პირველ გვერდზე, მეორე კი წინ. გრძელი კაბა უსაყელო იყო, მოკლეს კი პატარა საყელო ჰქონდა, ისიც წინიდან. საერთოდ ქართულ ტანსაცმელს არ ახასიათებს მაღალი საყელო.

ძველ ქართულ კაბასთან ყველაზე მეტი მსგავსება ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახულ **ახალუხსა** აქვს, რომელიც ხასიათდება გრძლად გულამოჭრილი მკერდით (ეს დეტალი საერთოდ დამახასიათებელია მაღალი წოდების სამოსლისათვის), ძველი ქართული კაბა არა მარტო თავისი თარგით გამოირჩეოდა, არამედ მეტად თავისებური შემკულობითაც. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საყელოს, ბეჭების, გულმკერდის, სახელოების, მაჯებისა და კალთების შემკულობას – ოქრომკერდით, ძვირფასი ბეწვით და ა.შ. საზაფხულო და საზამთრო კაბას შორის განსხვავება მეტწილად საკერავ მასალაში გამოიხატებოდა. საზამთრო კაბის შესაკერავად, როგორც ჩანს ტყავსაც იყენებდნენ. ვეფხისტყაოსნის მთავარ გმირს ტარიელს ტანზე ტყავ-კაბა ემოსა.

ზემოთ თქმულიდან ცხადია, რომ XIX საუკ. მიწურულამდე შემონახული თავადის კაბა არსებითად განსხვავდებოდა იმ კაბისაგან, რომელიც ძველ საქართველოში იყო ცნობილი. მართალია, ამ ტიპის სამოსელი ძველადაც არსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბობდა, მაგრამ იმ დროს ის კაბის ზემოთ ჩასაცმელის ერთ-ერთ სახე სხვაობას წარმოადგენდა (აღსანიშნავია, რომ ამგვარი სამოსლისათვის დამახასიათებელი სახელოები, სხვა სახის ზამთრის ტანსაცმელსაც ჰქონდა. ასე, მაგალითად, ზარზმის მონასტრის კედლის მხატვრობაზე XIII-XIV საუკ. გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწის ბექა მანდატურთუხუცესის ტყავს – სახელოები გახსნილი აქვს). მამაკაცის სამოსლის ეს ტიპი უკვე გაბატონებული ჩანს XVII საუკუნეში (წინარეხის კედლის მხატვრობაზე ფეოდალ მაღალაძის ოჯახის გამოსახულება, დავით-გარეჯის მონასტრის კედლის მხატვრობაზე – კახეთის მეფეთა პორტრეტები, ციშის ფრესკა და ა.შ.). დროთა ვითარებაში სამოსლის ამ ტიპმა თანდათანობით შეცვალა კაბა, ხოლო ძველი კაბა გარკვეული ტიპის ახალუხად გადაიქცა. ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახული თავადის ახალუხი მართლაც ემსგავსება ძველებურ კაბას. ამავე თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სვანეთში ახალუხს კაბა (**კაბ**) ეწოდება.

სვანური ქუდი

კახური ქუდი

ხევსურული ქუდი

იმერული ქუდი

გლეხის ახალუხიც თითქმის ისევეა შეკერილი როგორც ჩოხა. ახალუხი ორგვარია – ნაოჭიანი და ჩაქიანი. ჩოხასთან შედარებით მოკლეა, თეძოებამდე ან მუხლებამდე მწვდენი. ახალუხს შიგნიდან მთელ ტანზე გამოკრული აქვს სარჩული, კისერზე მოკერებული აქვს დამდგარი საყელო. ახალუხს არა აქვს ჩოხისათვის დამახასიათებელი სამასრეები. იგი დუგმებით ან ღილ-კილოებით იკვრება.

გასულ საუკუნეში (XIX ს.) საზოგადოების ყველა ფენაში გავრცელება პოვა ჩერქეზული (რუსული ენის დამკვიდრებამ კავკასიაში ჩოხა-ახალუხისთვის გაავრცელა სახელწოდება „ჩერკეზკა") ტიპის თარგით შეკერილმა ჩოხა-ახალუხმა, რომელიც მანამდე დასავლეთ საქართველოსათვის იყო დამახასიათებელი. აღმოსავლეთ საქართველოში ჩერქეზული ტიპის ჩოხა – ახალუხი იმერეთის გზით გავრცელდა; ამითაც აიხსნება ის, რომ ქართლელები და კახელები მას **იმერულ ჩოხა-ახალუხს** უწოდებენ.

ძველად იმერეთისათვისაც მოკლე ჩოხა იყო დამახასიათებელი. ამასთან დაკავშირებით 1876 წელს რაფიელ ერისთავი წერდა – იმერლები ახალუხს ზემოთ მოკლე ჩოხებს ატარებდნენ, წვივებზე კი შალის პაიჭებს, რომლებსაც ლეკვერთხებით იკრავენ, თავზე სარჩულდადებული ფაფანაკი ახურავთ. ზოგ-

ჯერ აქ გვხვდება „ჩერქეზკა“, ნაბადი და ყაბალახი, მაგრამ ეს მათ ჩერქეზებისგან ან აფხაზებისგან აქვთ გადმოღებული. ჩერქეზული ჩოხის იმერეთში გავრცელების შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილიც. იგი წერს: – „გარნა იუწყე აფხაზთა და ჯიქთა სამოსელნი, და იარაღნი, და საჭურველნი, ვითარც ჩერქესთანი, რომელთა ზნეთა ჟამად იმერნიცა კმარობენ“ .

ყაბალახი

ფრანგი კონსულის გამბას ჩანახატით XIX საუკუნის პირველ მეოთხედში, აფხაზებს მოკლე ჩოხები ეცვათ. შვეიცარიელი ფრანგი სწავლული ფრედერიკ დიბუა და მონპერიე 1833 წ. აღნიშნავდა, რომ ჩერქეზული ჩოხა წელშია გამოყვანილი და მისი თარგი ზუსტად შეესაბამისება სკვითების, ანუ სარმატების ჩაცმულობასო. ნაბდის შესახებ იგი შენიშნავს, რომ ეს წამოსასხამი მთელ კავკასიაშია გავრცელებული და იქვე დასძენს – ნაბადი სხვა არაფერია თუ არა ძველი ხალხების ხლამიდა.

ყაბალახის ტარების წესები სამეგრელოში. მხატვ. ნ. ბრაილაშვილი

ქართულ-კავკასიურ ნ ა ბ დ ი ს შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი თავისი საწყისი ფორმებით სუმერულ ბეწვიან მოსასხამს უკავშირდება, რომლის ნაშთებიც ურის გათხრებში აღმოჩნდა და რომელიც სუმერებში „კაუნაკეს“-ის სახელწოდებით იყო ცნობილი. ამ ასპექტში აღსანიშნავია, რომ ეს წამოსასხამი და მისი სახელწოდება ძალიან ახლოსაა მეგრულ გ ვ ა ბ ა ნ ა კ -თან, რომელიც მწყემსის სამოსელია ქეჩისა, კისერზე ქუდმოკერებული. ასეთივე წამოსასხამი ცნობილია აფხაზეთში, ჩერქეზეთში, ყაბახეთში, უკრაინაში და ა.შ.

აქვე უნდა ითქვას თვით ტერმინი **ჩოხის** შესახებაც. ეთნოგრაფიული მონაცემებით ჩოხა როგორც ჩასაცმელს, ისე ქსოვილსაც (შალს) ეწოდება. ეს გარემოება ვახუშტი ბაგრატიონსაც აქვს აღნიშნული, როცა ქართველთა ჩაცმულობაზე აქვს ლაპარაკი – „ტანს კაბა მოსიათ ლარისა, სკლატისა ან ჩოხისაო.“ საბას ეს სიტყვა განმარტებული აქვს, როგორც მატყლის სამოსელი, ხოლო საჩოხეს შესახებ ნათქვამი აქვს – „შალია მსხვილი, გინა წმინდა, საკაბეთ მონოზონთა და გლეხთა ჩასაცმელი“. ჩოხა სამოსლის მნიშვნელობით გვხვდება ქართულ ისტორიულ წყაროებშიც. იგი მოხსენებული აქვს მერჩულეს, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში, ლაშა გიორგის მემატიანეს, ჟამთააღმწერელს (XIII ს.), ფ. გორგიჯანიძეს (XVII ს.) და სხვ.

აჭარიანის სომხურ ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ამ ტერმინის შესახებ ნათქვამია: ჩუხა – სპარსული cuxa, აღმოსავლეთიდან ბალკანეთამდე საზოგადოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავრცელებული სიტყვაა. ასეა მაგალითად, ქურთულში cāxa, cÇxa, cuka, თურქ. cuga, არაბ. jāxa, ლაზ. coxe, იგივე cco'xa (სოფოკლეს ლექსიკ. 1084), csox eevios, სერბ. co'a, co'ha, უნგრ. csuha, csoha, პოლ. czucha, czuha, czuhaj, უკრ. cuha, cuhána, რუს.чóãà (Bernener 158), (ჰუბშმანი, 273).

სპეციალისტთა აზრით, ეს ტერმინი ქართულში VIII-X საუკუნეებში უნდა იყოს შემოსული.

საერთოდ ტერმინების შესახებ უნდა ითქვას, რომ ტანსაცმლის ესა თუ ის სახელწოდებანი ყოველთვის ვერ წყვეტენ კულტურის ამა თუ იმ ელემენტის ენდემურობის საკითხს. ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა ტერმინი უცხოა, მაგრამ კულტურის ელემენტი კი ენდემური, თვითმყოფი. ქართული ტანსაცმლის სახელწოდებაში, როგორც ეს სამართლიანად იყო აღნიშნული სპეციალურ ლიტერატურაში ამის დამადასტურებელი შემთხვევები ხშირად მოიპოვება.

მამაკაცის ტანსაცმლის კომპლექსში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შარვალს. თავადის და გლეხის შარვალს ერთი და იგივე თარგი ჰქონდა. შარვალს გრძელი და მეტად განიერი ტოტები აქვს, მიუხედავად ამისა, ტოტებ შუა უბეა ჩაგდებული. ჩაცმისას მისი ტოტები პაიჭებში ჩაიკეცება.

პერანგის შესაკრავად ბამბის ქსოვილთან ერთად იყენებდნენ როგორც შინ ნაქსოვ, ისე ფაბრიკული აბრეშუმის ქსოვილს. მაღალი წოდების პირის პერანგი, როგორც წესი, აბრეშუმისა იყო, გლეხებისა კი მეტწილად ბამბის (ხამი) და სელის. საპერანგედ ყველაზე მეტად მიღებული იყო წითელი ფერის ქსოვილი. თუ პერანგი სხვა რომელიმე ფერის ქსოვილისა მზადდებოდა, მის სამკაულად აუცილებლად წითელი ან ყვითელი ფერის ქსოვილის ნაჭერს ხმარობდნენ. გლეხის პერანგის გულისპირზე ფერადი აბრეშუმის (მეტწილად წითელი ფერისა) ქსოვილის ოთხკუთხა ნაჭერს - ფარაგს აკერებდნენ, აღსანიშნავია რომ გულისპირის შემკობას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა (ეს ხევსურულ პერანგზე განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს, რომლის ფარაგი გამოირჩევა მდიდრული ნაქარგობით).

ქართველი მამაკაცის პერანგის საყელო მეტწილად გვერდზეა ჩაჭრილი და საკინძით იკვრება. ასეთივე თარგით იკერებოდა თავადის პერანგიც, იმ განსხვავებით, რომ მისი საყელო და გულისპირი უფრო მდიდრულად იყო შემკობილი.



ხაზამთრო ქუდები: 1. ყალმუხის ქუდი; 2. ვალიბანდი; 3. ბუხრის ქუდი; 4. დაბალი ბოხოხი.

გლეხის საზამთრო სამოსელიდან აღსანიშნავია ტ ყ ა ვ ი, რომელიც ცხვრის ქურქისგან იკერებოდა. ცენტრალურ საქართველოში ფართოდაა გავრცელებული პატარა ზომის შავი ნაბდის ქუდი, რომლის ცაზე ჯვარედინად დაკერებულია შავი ყაითანი (აბრეშუმის ზონარი). იგი ამჟამად თუშური ქუდის სახელწოდებითაა ცნობილი. ამ

ქუდების წარმოებას XIX საუკუნეში ძირითადად მთიან რაიონებში მისდევ-დნენ, სადაც მეცხვარეობა იყო განვითარებული. ნაბდის ქუდების წარმოება ძირითადად ქართლ-კახეთში, იმერეთში, სამეგრელოსა და სვანეთში იყო გავ-რცელებული. დასავლეთ საქართველოში ცნობილ ნაბდის ქუდებს შორის საუ-კეთესოდ სვანური ნაბდის ქუდი ითვლებოდა. ამ ქუდების მცირე ნაწილი რუსეთის ბაზარზეც გადიოდა.

გლეხები ზამთრობით იხურავდნენ ცხვრის ქურქისგან შეკერილ ბოხოს. თავადის ქუდს კი – კრაველისას კერავდნენ, მისი წვერი მკვეთრად იყო აქნილი ზემოთ.

კავკასიის ხალხთა ფეხსაცმლის ნიმუშები

გლეხის სამუ-შაო ფეხსაცმელი ქალამანი იყო, სადღესასწაულო კი წაღები. განსა-კუთრებული თავი-სებურებით ხასიათ-დებოდა თავადის ფეხსაცმელი, რომე-ლიც მაღალყელი-ანი იყო, გვერდზე იკვროდა ფასმებით და წვერზე ჰვინტი ჰქონდა. ჰვინტი-ანი ფეხსაცმელი გვხვდება კედლის მხატვრობაში, იგი ცნობილი იყო და-ღისტნის ხალხებში და გენეტიკურად ხეთურ ჩაცმულობას უკავშირდება. წინ-დები დაბალყელიანი იყო, პაჭიჭები კი მუხლამდე მწვდომი. პაჭიჭების ქვემო ნაწილი წინდების ყელში იყო ჩაკერებული, ხოლო მისი ზემო ნაწილი მუხლზე იყო ჩახსაკრავით დამაგრებული. ჩახსაკრავი ვიწრო და გრძელი იყო, მას სახ-ლებში ქსოვდნენ აბრეშუმის ძაფისაგან, მიწა თეთრი ჰქონდა, შემკულობა წითე-ლი და ლურჯი ფერის. მათ შორის აღსანიშნავია ე.წ. წერილის ჩახსაკრავი, რომელსაც ნათლიდედა მიართმევდა ნათლიას ზედ გამოყვანილი წარწერით.

კოსტუმის ამ ნაციონალურ ტიპებთან ერთად როგორც ნათქვამი იყო არ-სებობდა სხვადასხვა სახის ტანსაცმელი, რომელიც საქართველოს ცალკეული რაიონებისათვის იყო დამახასიათებელი.

ქალაქის ბურჟუაზიული ფენა ე.წ. მოქალაქენი ცდილობდნენ თავიანთი ჩაცმულობით თავად-აზნაურობისათვის წაებაძათ. მათი ტანსაცმელი მართ-ლაც მიაგავს თავადურ ყურთმაჯიან კაბას, მაგრამ ჩაცმის მანერა მათ თავისე-ბური ჰქონდათ. იგივე ითქმის ხელოსნის კოსტუმზეც.

დასავლეთ საქართველოში ჩაცმულობის თავისებურ კომპლექტს წარმო-ადგენს გურულ-აჭარულ-ლაზური კოსტუმი – ჩაქურა, რომელიც ერთი ტიპისაა, თუმცა ჩაცმულობის მანერაში გარკვეული თავისებურებანი შეიმჩ-ნევა. ამ კოსტუმის ელემენტებია – ჩოხა, ახალუხი (აჭარლები ზუბუნს უწო-

დებენ), ჩაქურა ან შარვალი, პერანგი, სარტყელი, წუღა, ქალამანი, წინდა, პაიჭი, ყაბალახი და სხვ. ჩოხა, ჩაქურა, ყაბალახი, ახალუხი და პაიჭი შალისგანაა დამზადებული, სარტყელი აბრეშუმის, ხოლო საცვლები – სელისა. მათ შორის აღსანიშნავია ჩოხა და ჩაქურა. ჩოხა მოკლეა და მარტო წელამდეა, ზურგი მას მთლიანი აქვს. ფაქტიურად ის ქართული ჩოხის ზედატანია. წელი ფართო და გრძელი სარტყლით იყო დაფარული. შარვალი კი (ჩაქურა) თავისებური თარგისაა და სხვაგან არ გვხვდება. მისი უბე მეტად განიერია, ტოტები კი ვიწრო, აჭარულ ჩაქურას უბესთან ხიშტაკები აქვს მიკერებული და ამიტომ უბის ქვედა ნაწილი ოვალურია. იკერის სათავეში გაყრილი ხვანჯრით ისე რომ უკან ჩაქები დაისხას. გურული ჩაქურა კი სწორია.

ამავე კოსტუმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ყ ა ბ ა ლ ა ხ ი , ის მთელ დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული (სვანეთის გარდა), აღმოსავლეთ საქართველოში კი უფრო ნაკლებად. ასევე ფართოდაა იქ გავრცელებული ნ ა ბ ა დ ი .

ქართული ტანსაცმლის ამ სახეთაგან დღეს შემონახულია გლეხის ტანსაცმლის ზოგიერთი ელემენტი მათ შორის წინდები, ნაბადის ქუდები, ყაბალახი, და სხვ. შემონახულია აგრეთვე მთაში ხევსურული ტანსაცმელი, რომელიც გარკვეულ ცვლილებებს განიცდის ფშავურის გზით ქალაქურისაკენ.

ქართული საჩითავის ანაბეჭდი ახალციხიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკინის მადნის წარმოების ცენტრები. ის მძლავრი ვითარება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბრინჯაოს მოპოვების გამო წინაისტორიულ ხანაში, შორეული ვაჭრობისა და შორეული ურთიერთობის მიმართულებით, ახალ ბიძგს ღებულობს და ახალ ფაზაში შედის, როდესაც მიაკვლიეს მაგარ რკინას, უკეთ რომ ვთქვათ მიაღწიეს ნივთების დამზადებას ფოლადისაგან. ცნობილია, რომ რკინა ბრინჯაოზე უკეთესია იმ შემთხვევაში, თუ საგნები მაგარი რკინისაგანაა დამზადებული. მხოლოდ ასეთ იარაღს ახასიათებს მეტი გამძლეობა და მეტი მკრელობა.

ენგელსი წერდა: „ადამიანის სამსახურში ჩადგა უკანასკნელი და უნივერსალური ყველა იმ ნედლეულიდან, რომელთაც რევოლუციური როლი შეასრულეს ისტორიაში... უწინარეს ყოვლისა აქ გვხვდება რკინის კავ-სახნისი, რომელსაც პირუტყვი ეწევა და რომელიც იძლევა შესაძლებლობას მიწათმოქმედება აყვანილი იყოს ახალ, მაღალ საფეხურზე, ე.ი. მემინდვრეობა და ამით იმდროინდელ პირობებში პრაქტიკულად მრავლდება განუსაზღვრელად საცხოვრებელი მასალები. ამასთანავეა დაკავშირებული ტყეების გაჭრა (ახოს აღება) და განთავისუფლებული მიწის ფართობის გამოყენება სახნავ-სათესად და საბალახოებად, რაც დიდი მასშტაბით შეუძლებელი იყო რკინის ცულისა და რკინის ბარის დაუხმარებლად. ამას მოჰყვა მოსახლეობის ჩქარი გამრავლება და მოსახლეობის თავმოყრა მცირე ტერიტორიაზე. მიწათმოქმედების შემოღებამდე იშვიათად თუ მოხერხდებოდა, რომ ნახევარი მთლიანი სული ერთ მმართველობის ქვეშ შეკრებილიყო. უფრო საფიქრებელია, რომ ასეთი ამბავი არასოდეს არ მომხდარა“.

ᲡᲐᲛᲭᲔᲓᲚᲝ

მართლაც, ვინც ამ ბასრი რკინის იარაღს ფლობდა – იგი ძლიერიც იყო სხვებთან შედარებით. ჯარ კიდევ პლინიური წერდა: „რკინა არის საუკეთესო და ამასთანავე საშინელი იარაღი“.

დღემდე გაურკვეველია, როდის და სად წარმოიშვა პირველად რკინის მადნის გამოდნობა, ან უკეთ რომ ვთქვათ, როდის და სად წარმოიშვა რკინის მადნის გამაგრების ხერხი.

შეუძლებელი არ არის, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ადვილად მისაგნები რკინის მადანი მოიპოვება, – უნდა ითქვას რომ ამგვარი მადანი უფრო მრავალრიცხოვანია, ვიდრე სპილენძისა და ტყვიის, – იქ დაიწყეს ამ ლითონის მოპოვება, რადგან რკინის მადნის მიღება გაცილებით უფრო ადვილია ვიდრე სპილენძისა.

მაგრამ ამგვარი პრიმიტიული წესით მიღებული რკინა გამოუყენებელი იყო, რადგან ის რბილი და დრეკადია და მასთან შედარებით ქვა, სპილენძი

რკინის მადნის საწური ქურა. ს. წედისი

და ბრინჯაო ბევრად უკეთესია. ამიტომ რბილ რკინას მხოლოდ სამკაულებისთვის იყენებდნენ ხოლმე, სანამ მისი შემაგრება, დაფოლადება არ ისწავლეს.

რკინის მადნიდან შენადნობის მიღება ძველად არ შეეძლოთ, ვინაიდან ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შესაძლებლობა ამისათვის საჭირო ტემპერატურა (1135–1540°) გამოეყენებინათ. სამაგიეროდ, ისინი ახერხებდნენ ცეცხლით გახურებული რკინის მადნიდან კვერვის გზით ფოლადისებური რკინა მიეღოთ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარი თვისების მქონე რკინის მადანი მეტად იშვიათია. ამ მიზნით მეტეორული რკინა უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

ამისგან დამოუკიდებლად რკინის მადნის სპეციალისტები იმ აზრისანი არიან, რომ რკინის მადანს ადამიანი სპილენძზე ადრე იყენებდა, რასაც არქეოლოგიაც არ ეწინააღმდეგება.

მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ძვ.წ. XIV საუკუნემდე გამოყენებული იყო რბილი რკინა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საგანი მეტეორული რკინისგან იყო დამზადებული. რბილი რკინიდან არ შეიძლება არც საბრძოლო და, არც შრომის იარაღის დამზადება.

ამიტომ სავსებით მართებულია, რომ რკინის ხანა, მხოლოდ სპილენძისა და ბრინჯაოს ხანის შემდეგ იწყება. სიზუსტისათვის სწორი იქნებოდა გვეხმარა გამოთქმა – მაგარი რკინის ან ფოლადის ხანა.

ცხადია, ძვ.წ. XIV საუკუნეში შეუმჩნეველი არ დარჩენია იმ დროინდელ ადამიანს რკინის მადნის არსებობა. სწორია ისიც, რომ სხვადასხვა ხალხმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოიპოვა რკინა.

კულტურის განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფმა ხალხმა იცის რკინის მოპოვება პრიმიტიული წესითაც, როგორც მაგალითად, შიდა აფრიკის ზანგები, სადაც ბევრია მაგნიტური ქვიშა.

ეთნოგრაფები შვაინფურტი და ლუშანი ისე შორს მიდიან, რომ შიდა აფრიკის ზანგებს თვლიან რკინის მეტალურგიის უძველეს გამომგონებლებად. ბეკი თავის მხრით, ეთიოპიას მიიჩნევს რკინის წარმოების ქვეყნად, კერძოდ, ასუანის მხარეს, სადაც მრავლად მოიპოვებოდა მაგნიტური რკინის მადანი, როგორც ამას პლინიუსიც აღნიშნავს.

სათანადო ძეგლების მიხედვით ირკვევა, რომ ეგვიპტელები ძვ.წ. XIII საუკუნეში რკინას ზემო ეგვიპტიდან, ნუბიიდან იღებდნენ. სურათზე ასახულია შავკანიანი ადამიანები, რომლებიც ფარაონს ლილის ფერის ლითონს, რკინას მიართმევენ. უნდა აღინიშნოს, რომ რკინის გამოსახვა ლურჯი ფერით იმასთან არის დაკავშირებული, რომ რკინა ციურ ლითონად იყო მიჩნეული. აქ ჩვენ გვაგონდება „ოდისეა“, სადაც ცა რკინისაა, ისევე როგორც ჩვენთან „მოჭედილი ცაა“ და ცის დღე – რკინის დღე (ჭანური). ეს გარემოება რომ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუთითებს იმაზე, რომ რკინას ეგვიპტელები და ქართველები თავდაპირველად მეტეორული ლითონის სახით იცნობდნენ.

რიტუალური რკინეული-ულელი, ჯვარი.

ძველი წყაროები ანსხვავებენ „ცეცხლ რკინას“ (მაგნიტურ რკინას), რკინას ქალაქ ქესიდან, უთუოდ მადნიდან მიღებული რკინა (ძვ. წ. XVI ს. ებერის პაპირუსი). ამ დროს რკინა ძვირად ფასობდა. ჰამურაბის კოდექსის მიხედვით რკინა ოქროს ფასად იყიდებოდა, ეს ასე იყო მანამ, სანამ მაგარი რკინისგან შრომისა და ბრძოლის იარაღების დამზადება ისწავლეს და მადნის მოპოვებაც გაადვილდა. ჰომეროსი რკინის (მაგარი) დამუშავებას უდიდეს ხელოვნებად მიიჩნევს. ადრე რკინის სამკაულებიც იყო ხმარებაში, როგორც ფუფუნების საგანი.

მომდევნო საუკუნეებში დაგვიანებით და ნელ-ნელა ეს ლითონი აღწევს სამხრეთ იტალიას, შემდეგ შუა იტალიას, ალპებსა და გერმანიას.

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ მაგარი რკინის გამომუშავება პირველად დაახლოებით ძვ.წ. XIV საუკუნეში მოხდა იმ ქვეყანაში, რომელიც მდიდარია რკინის მადნით, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი, ხალიბებში. ამ აზრს მხარს უჭერს და ადასტურებს არა მარტო ის, რომ ბერძნულად ფოლადს ხ ა ლ უ ჰ ი ეწოდება, არამედ მრავალი სხვა მონაცემიც.

შემაგრებული რკინის პირველი დასახელება ეგვიპტელებმა შემოგვინახეს იმ ძღვენთან დაკავშირებით, რომელიც ხეთის მეფემ ძვ.წ. 1370 წელს მიართვა ეგვიპტის ფარაონს ეხნატონს. ფარაონისადმი მიწერილ წერილში სამჯერაა დასახელებული მაგარი რკინა (ფოლადი) სახელწოდებით – ხ ა ბ ა ლ კ ი ნ უ, რაც ხალიბების რკინას აღნიშნავს. ზემოთქმულს დავძენთ, რომ ხეთების სამეფო, მეზობლობდა ხალიბების ადგილსამყოფელს. ფოლადისგან დამზადებული სატევარი აღმოჩენილია, აგრეთვე, ამავე ხანის სამარხში, რომელშიც ფარაონი ტუტანხამონი იყო დამარხული.

ჩვენ შეგვიძლია მეტ-ნაკლები ვარაუდით მაგარი რკინის წარმოების ხანად მახლობელ აღმოსავლეთში ძვ.წ. XIV საუკუნე ჩავთვალოთ. აი რას წერს შახერმაირი: „ეგეელების გადასახლების შემდეგაც (ძვ.წ. 1200–1100წ.წ) აღმოსავლეთი მცირე აზია კვლავ წამყვანი ქვეყანაა მეტალურგიის თვალსაზრისით. პონტოს სანაპიროს ზოლზე თემისკირაში მცხოვრებნი ხალიბები ბერძნებისათვის იყვნენ საუკეთესო მოხელეები რკინის დამუშავებისა. აქ კაპადუკიაში (ასურულად ტაბალ) და სომხეთში (ასურულად ურარტუ) შეიქმნა კულტურული წრე, რომელიც სრულყოფილად ფლობდა მეტალურგიული საგნების დამზადების ხერხებს“.

სხვა მონაცემებთან ერთად ამასვე ადასტურებს ბიბლიის ცნობა თუბალი კაინის, როგორც საუკეთესო რკინის წარმოების ხელოსნად მიჩნევა (1 წ. მოსესი 4, და იერემიას 15.12). ასევე ბერძნებმა ესჭილმა (პრომეთე 7,4) და ქსენოფონტემ (ანაბაზისი V,5,1,) იცოდნენ რომ მაღალი ხარისხი რკინის გამომგონები ხალიბები იყვნენ. მაგრამ ეს ვარაუდი კიდევ უფრო დამაჯერებელი გახდება თუ გავითვალისწინებთ, რომ რკინის მადნიდან მარგანეცის შენადაღის წყალობით იღებდნენ ფოლადს, ქართველი ტომების ის წარმომადგენლები, რომლებმაც რკინის დამუშავების ტექნიკა XIX საუკუნის მიწურულამდე მიიტანეს. მაგარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკინის მიღების ეს ხერხი პასუხობს და თავის მხრივ წარმოადგენს ამ ტრადიციის გაგრძელებას, რომელსაც ხალიბები ფლობდნენ ძვ.წ. VI საუკუნეში.

რაჭველი „რკინის კაცების" რკინის დამუშავების შესწავლის საფუძველზე ფარდა აეხადა იმ საიდუმლოებას, რომელსაც ხალხები ფლობდნენ და უცნობი იყო ანტიკური ხანის სამყაროსათვის.

ზემოთქმულს იმასაც დავძენთ, რომ ქართველ ტომებში ბრინჯაოს ხანიდან ცნობილია ინკრუსტაცია რკინით ბრინჯაოს საგნებისა (იხ. კოლხურ-კობანური ბრინჯაოს ნივთები).

რკინის დამუშავება. რკინის დამუშავება საქართველოში თვითმყოფი კულტურაა და ღრმად აქვს გაწვდილი ფესვები ისტორიულ წარსულში. ამ მიმართებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წედისის რკინის წარმოებას, რომელმაც თავისი არსებობა ფაქტიურად მხოლოდ გასული საუკუნის 80-იან წლებში შეწყვიტა. წედისის რკინის წარმოება ძველი ქართული მეტალურგიის ტრადიციების ნიშანდობლივი თვისებების მატარებელ და ტიპიურ სახედ წარმოგვიდგება. წედისის სახით, რაჭის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული მჭედლობა წარმოდგენილი იყო არა მარტო ნაირი სახისა და დანიშნულების ხელადის ჭედვით, არამედ რკინის მადნეულის მოპოვება-დამუშავებითა და საჭედური რკინის მიღების სახით. ეთნოგრაფიული მონაცემებით (ეთნოგრაფი ნ. რეხვიაშვილი) წედისის მიხედვით რკინის დამუშავება საქართველოში შეიცავდა ორ ძირითად საფეხურს: ა) მადნეულისაგან რკინის მიღებას და ბ) რკინისგან ხელადის შექმნას. პირველი, ქვეყნის შიგნით რკინის საბადოების არსებობას და მის დამუშავებას გულისხმობდა, მეორე – ნედლი რკინისგან სხვადასხვა ნივთის გაჭედვას.

როგორც ცნობილია, საქართველოს მიწის წიაღი სხვა სასარგებლო ნამარხთან ერთად შეიცავდა რკინის მრავალ საბადოს, რომელთაც სხვადასხვა დროსა და პირობებში კიდევაც ამუშავებდა მოსახლეობა. ამჟამად, დაუქმებულ რკინის საბადოებთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს და ცნობილია თავისი დამუშავებით – ჩ ა თ ა ხ ი ს საბადოები (აღმ. საქ.), წ ე დ ი ს ი (რაჭა), კ უ რ ს ე ბ ი ს (ოკრიბა), ჯ ი შ რ ი-სა (აფხაზ.) [დასავლეთ საქ.]. რკინის წარმოების კერებიდან ცნობილია: შ ხ ი ბ ა რ ი (ჭუბერი, სვანეთი), წ ე დ ი ს ი, კ უ რ ს ე ბ ი, ს ა წ ი რ ე (იმერეთი), ჩ ა თ ა ხ ი, ქ ა რ თ ლ ი ს ს ა რ კ ი ნ ე თ ი (მცხეთის რაიონი), გ ო რ-წ ე დ ი ს ი (ატენის ხეობა), შავი ზღვის სანაპირო ზოლი გ უ რ ი ი ს ა და სხვ. ..

ადგილობრივი რკინის დამუშავების მთავარი უბანი რ ა ჭ ი ს ს ა რ კ ი ნ ე თ ი იყო. სარკინეთად უწინ მთელი რაჭა იწოდებოდა. სარკინეთში დამზადებულ საქებურ რკინას **წედური რკინა** ეწოდებოდა, ხოლო იქაურ მცხოვრებთ **რკინის კაცები** ერქვათ.

რკინის წარმოება სარკინეთში ორგანიზებულ ხასიათს ატარებდა. რკინის საზიარო დამუშავების მიზნით შეამხანაგდებოდა რამდენიმე რკინის კაცი. ამ გაერთიანებას სათავეში ედგა რკინის მოხელე. ამხანაგობას საერთო წარმოებასთან ერთად შრომის ნაყოფის თანაბარი განაწილება ახასიათებდა. სარკინეთის სინამდვილეში რკინის მოხელე არჩევდა რამდენიმე ჯიშის რკინის მადანს, თითოეული მათგანის ფიზიკურ თვისებებს და რკინად გამომავლობას. რკინის მადნეულიდან აქ დამოწმებულ იქნა: ქ ვ ა წ ი თ ე ლ ა, შ ა ვ ი ლ ი თ ო ნ ი, დ ე ვ ი ნ ა ხ შ ი რ ა, კ ო ბ ი ჭ ი, ა ბ რ ა მ ა, გ ო რ გ ი ნ დ ა, ფ ა შ ა და

ტუტუნი. წედური რკინის წარმოება სამ საფეხურს შეიცავდა: 1. მადნეულის მოპოვება, 2. მადნეულის რკინად დამზადება და 3. რკინისაგან ხელადის ჭედვა.

სპილენძის ჭურჭელი. თბილისი. მხატვარი ნ. ბრაილაშვილი

მადნეულის მოპოვება ძირითადად ორი სახის სამუშაოსაგან შედგებოდა: 1. საბადოში მადნეულის მიგნება. 2. საბადოდან მადნეულის ამოღება და მისი ადგილზე დამარაგება. მადნის რკინად დამუშავება სამგზობად წარმოებდა. სამუშაოს პირველი წყება მადნის დარიგებით იწყებოდა და მისი ლუგვ რკინად დაწურვით თავდებოდა. მეორე წყება – ლუგვი რკინის ხელახლა გადადნობას წარმოადგენდა, ხოლო მესამე წყება – რკინის გადუღებას შეიცავდა. ეს წესი ქართველ ტომებში (ხალიბები და მოსინიკები) ძველად მიღებული რკინის დამზადების წესის ანალოგიური იყო.

მადნეულის დაწურვისა და რკინის დაყენების საქმეში უდიდეს როლს თამაშობდა ნ ა ხ შ ი რ ი. სარკინეთის მელითონეობაში გამოყენებული იყო ხის სამგვარი ნახშირი: მ ა გ ა რ ი, ზ ო მ ი ე რ ი და რ ბ ი ლ ი. თითოეული მათგანი განკუთვნილი იყო რკინის დამზადების გარკვეული ფაზისათვის. რკინის დამუშავების პირველ ეტაპზე უმთავრესად მაგარი ნახშირი იხმარებოდა, მეორე ეტაპზე – ზომიერი, ხოლო მესამე ეტაპზე – რბილი ნახშირი გამოიყენებოდა.

მადნეულის დაწურვის პროცესში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა საწური ქულბაქის საბერველს, რომელიც ურრუნველყოფდა ჰაერის ნაკადის უწყვეტად მიწოდებას. საბერვლის ეს ტიპი თავისი შინაგანი აღნაგობითა და მოქმედების პრინციპით მარჯვე ნააზრევსა და დიდი პრაქტიკული გამოცდილების ნაყოფს წარმოადგენს, ამდენად გაუმჯობესებულ ტექნიკურ წესებსა და დაწინაურებული სახის მელითონეობას გულისხმობს.

ადგილობრივი რკინისგან უხვად მზადდებოდა მრავალნაირი სახისა და დანიშნულების ხელადი: იარაღი (სამუშაო, სანადირო), ხელჭურჭელი (სახელოსნო,საოჯახო, სამგზავრო) და სხვა. თავის მხრით, სამუშაო იარაღი ძირითადად იყოფოდა მ უ შ ა რ კ ი ნ ა დ და გ ა მ ჭ რ ე ლ ა დ. მუშა რკინას განეკუთვნებოდა იარაღები: მიწის სანგრევი, ქვათა სამტვრევი, კლდეთა საშელელი და სხვ. გამჭრელად ითვლებოდა იარაღები: ქვისა და კლდის მკოდი, ხისა და ძვლის მჭრელი და სხვა.

რაჭული რკინა საქართველოს სხვადასხვა კუთხესა (ქართლ-კახეთში, ლეჩხუმსა და იმერეთში) და ჩრდილო კავკასიაში გაჰქონდათ.

სარკინეთის მჭედლობას ჰყავდა თავისი მფარველი ღვთაება და არსებობდა მისდამი განკუთვნილი დღე, როდესაც სამჭედლოში საგანგებო რიტუალი სრულდებოდა.

მჭედლობის კულტს უნდა განეკუთვნოს აგრეთვე რაჭული თქმულება სირა-მჭედელზე. თქმულების მონაცემების მიხედვით სირა ახლო დგას ხელობის გამჩენ და მჭედლობის მფარველ ღვთაებებთან (აფხაზთა – შაშა, სვანთა –

სოლან, მეგრელთა – სოლომი). სირა ხელობით მჭედელია და ბუნებით გულთმისანი. იგი ამირანის მამაა.

სპილენძის ჭურჭელი ფშავში

სპილენძის დამუშავება. სპილენძის კულტურას ქართველი ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში ღრმა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ამას ნათლად მოწმობს მდიდარი არქეოლოგიური განათხარი მასალა და ნივთიერი ეთნოგრაფიული მონაცემები. სპილენძის ხელადის საყოველთაო გავრცელება და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია. ისიც ცნობილია, რომ სპილენძის ჭურჭელი, საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, დიდ მოწონებასა და პატივში იყო. განსაკუთრებით დიდი მოწონებით სარგებლობდა იგი, უკანასკნელ ხანებამდე, საქართველოს მთიანეთში – კერძოდ, ფშავ-ხევსურეთსა და ხევში.

სპილენძის მადნეულის მოპოვებისა და დამუშავების მთავარი ცენტრები იყო ჭოროხის ხეობა (დას. საქართველოში) და ალავერდის საბადოები (აღმ. საქართველო).

საერთოდ სპილენძობა საქართველოში ქალის სამზითვო ნივთი და აღებ-მიცემის აუცილებელი საგანი იყო. იგი დიდ როლს თამაშობდა სხვადასხვა რიტუალებსა და საწესო ჩვეულებათა აღსრულების საქმეში.

სპილენძის ჭურჭელი ნაირი სახისა იყო. იგი ნაწილებად მზადდებოდა ცალ-ცალკე: ფსკერი, ფეხი, ტანი, ყელი, ხელი. შემდეგ მათ მჭედელი ერთმანეთს მოურგებდა და გადააბამდა. ერთ ტანად გადაბმა-დაკავშირების ორი წესი იყო ცნობილი: მ ა რ ი ლ ი ს კ ა ვ შ ი რ ი (დამწვარი ქატოს, ნახშირის, მარილის, ტყვიისა და კალის შეზავებით), თ ი თ ბ ე რ - ც ი ნ კ ი ს კ ა ვ შ ი რ ი (თითბერისა და ცინკის ერთად შეზავებით).

შემდეგი საფეხური იყო მ ო კ ა ლ ვ ა. გამზადებულ სპილენძის ჭურჭელს გულდაგულ გასწმენდნენ, გახეხავდნენ. შემდეგ მოხარშულ მჟავას მოუსვამდნენ, ქურაში გაათბობდნენ და ბამბის საშუალებით თანაბრად მოუსვამდნენ კალას.

სპილენძის მოხელეები ფლობდნენ არა მარტო სპილენძის ჭურჭლის დამზადების ტექნიკას, არამედ ძველი სპილენძეულის გადამუშავების ხელოვნებასაც, რაც მელითონეობის მაღალ კულტურაზე მიუთითებს.

ქვის დამუშავება. ქართველი ხალხი ცნობილია ქვის დამუშავების მაღალი ოსტატობით. საქართველოს მრავალ კუთხეში მოიპოვება ქვის მადნის საბადოები. იმერეთში – გელათის, ეკლარის, ჭოგნარის, კურუბის, მუხურის, ძირულის და სხვა. ასევე ძვირფასი მადანი: მარმარილო, გიშერი, ქვანახშირი. ცნობილია ქვემო ქართლში ალგეთისა და ბოლნისის ქვის მადნები, კახეთში – ნორიო, სადახლო, ლოფოთა; ქართლში – ქაისხევი, მცხეთა, ძეგვი, დიღომი, ავჭალა, გომი.

საუკეთესო ქვის მადნებით ცნობილია ხევი და მთიულეთი.

ქვითხუროობის ოსტატობა თაობიდან თაობაზე გადადიოდა. მოგვიანო პერიოდში იქმნება ამქრები ქუთაისში, თბილისში, რომელიც მოთავეობდა მომავალი ოსტატების აღზრდას. ამქრებში გაერთიანებული იყვნენ ქვის მთლელნი, კალატოზები, მეჩუქურთმეები.



ოჯაყის (ბუხრის) ქვა. ახალციხე, არქ. ლ. ხუმბაძე

ცალკე პროფესიულ სახეობებად გამოიყოფა ხელსაფქვავებისა და წისქვილების მჭრელნი, მკაფავნი, დამქნელნი, გიშრის მთლელნი, კეცების მთლელნი და სხვ.

მჯორღავობა. მოჭრილი ქვის დამუშავების პირველ საფეხურს ქვის გაჯორღვლა ანუ ქვის გამოკერვა ეწოდება. ქვის გაჯორღვლას აწარმოებს ქვის მჯორღლავი ანუ ქვის გამომკვრელი. გაჯორღვლა ნიშნავს მოჭრილი ქვის ლოდების ზომებში გამოტეხვას.

მჯორღლავი პირველ რიგში მოტეხილ ქვას ათავისუფლებს უვარგისი ქერქიდან (ანუ კანიდან) და დაიყვანს მას ხალას პირზე, რასაც ქვის სიფიცხეზე დაწევასაც ეტყვიან.

მჯორღავის სამუშაო მძიმეა, მძიმე იარაღების ხმარების გარდა მძიმე საქმეა იმ მხრივ, რომ ზომებში გამოტეხვის დროს თვით ქვას უნდა ბრუნება მისი ყოველი გვერდის ზომაზე დაყვანისათვის.

ქვის დაწერა. გაჯორღლილ ზომებში გამოტეხილ ქვას ესაჭიროება გამართვა. ქვის გამართვას ქვის დ ა წ ვ ე რ ა - დ ა წ ე რ ა ქ ვ ე ბ ა ჰქვია. წერაქვში გამართულ ქვას დაწერილ ქვასაც ეძახიან. დაწერა ხშირად გათლის სინონიმადაცაა ხალხში მიღებული.

მჯორღავი გამოტეხის დროს თუ ქვას აბრუნებს ყოველი მხარიდან, ქვის დამწერელ-დამწერქვებელი დაყენებულ ქვაზე მუშაობს და თვითონ ბრუნავს მის გარშემო.

ქვის დაყენებისათვის ადგილის მ ო შ ი ნ დ ა კ ე ბ ა ა საჭირო, რომ ქვა სწორედ დადგეს. დაყენებული ქვის დამუშავების პირველი საფეხურია პირის გავლა და ყარაულში გასწორება. პირი გაევლება პირველად თავსა და ბოლოში, შუბლზე, ე.ი., მოხდება გ ა ხ ა ზ ე ბ ა. ამ სწორად აღებულ შუბლზე დაიდება შ ა მ შ ა ანუ ს ა მ ა თ ი – და შამშის თავებს ერთმანეთს გაუსწორებენ.

ყარაულში გასწორების შემდეგ ქვის სიგრძეზედაც გაივლება ლინგები და ამ გვერდზე ლინგებს ზემოთ დარჩენილი ქვის ფენა დაისწვერება წერაქვით ანუ გ ა წ ა ლ კ ა ტ დ ე ბ ა. ქვის ზედა გვერდის ანუ ზურგის გაწალკატების შემდეგ საჭიროა ქვის გვერდზე გადაწვენა რომ მეორე გვერდიც იმავე წესით ჯერ დ ა ი ლ ი ნ გ ო ს, შემდეგ მაღლად დარჩენილი ადგილები გაწალკატდეს, გვერდების დალინგვის დროს ყარაულში გასწორება აღარაა საჭირო. აქ იხმარება გონიო.

ქვის გათლა. ქვის დამუშავების შემდეგი საფეხური, არის ქ ვ ი ს გ ა თ ლ ა. გათლის სახეობებია: ნ ა ხ ე ვ რ ა დ გ ა თ ლ ა დ წ მ ი ნ დ ა დ გ ა თ ლ ა. ქვის ნახევრად გათლის დროს ხდება გვერდებზე გადავლა და ზედმეტი კუზების აცლა ბრტყელპირა დაკბილული იარაღით ე.წ. კ ბ ი ლ ე ბ ი ა ნ ი ს ა კ ო დ ე ლ ი თ. კბილებიანი საკოდლით ქვის გაკოდვის დროს იხმარება აგრეთვე ერთგვარი სახეობის წერაქვი, რომელსაც ზოგან ბერძნის ჩაქუჩს უწოდებენ. შემდეგ ხდება ქვის ზედაპირის დაკეკვა, მანამდის სანამ მასზე კბილანი და ბასრპირა საკოდლები დაიწყებდნენ მუშაობას. კბილებიანი საკოდლით ქვის ზედაპირის აღების შემდეგ ხდება მისი წ მ ი ნ დ ა დ გ ა თ ლ ა ბრტყელპირა ბასრი საკოდლით, რომლითაც ხშირად ზემოდან ცემის შემდეგ გახეხვასაც აწარმოებენ;

წმინდად გათლისათვის იხმარება, აგრეთვე, ჭობოსანი, ქლიბი, ქასური, რომელთა დახმარებითაც ქვა გლუვდება და იხეხება.

ქვის დაჭრელება-მოჩუქურთმება. ეთნოგრაფიული მასალებით, ქვის დაჭრელებას ბ უ ღ ა უ რ ე ბ ი ს ამოყრა ჰქვია. ბუღაური საყოველთაოდ გავრცელებული ტერმინია ქართლსა და მთიულეთში, სადაც იგი ყოველთვის ორნამენტს უკავშირდება. მოხელე ჯერ ფარგლით გარე წრეს შემოხაზავდა, წრის რადიუსს სამად გაჰყოფდა, ფარგალს შესწევდა და პირველ მესამეზე შინაგან წრეს შემოავლებდა, ისე რომ გარეთა წრე ორი ნაწილი იყო, შიგნითა ვარსკვლავი 1/3-დი. ასე უფრო ლამაზი არის, თანაბრად რომ გაიყოს კარგი არ გამოვა-ო. საინტერესოა სხვებისა და ფოთლების რაოდენობის განსაზღვრის წესი: ბუღაური მაშინ იყო სწორად გაკეთებული, თუ შიგნით იყო ცხრა, გარეთ ორჯერ ცხრა; აქ როგორც ვხედავთ საქართველოში საკმაოდ გავრცელებულ ძველებური აღრიცხვის ჩვეულებასთან გვაქვს საქმე. თუმცა როგორც ადგილზე შემოწმებით გამოირკვა, ამ წესის დაცვა ბუღაურისათვის სრულიად არაა აუცილებელი; ესაა მხოლოდ ერთ-ერთი სახეობა ამგვარი ჩუქურთმისა. მთიულეთ-გუდამაყარში ბუღაური მრგვალი მოყვანილობის მზისებურ ორნამენტს კი არა, ხის ჩაქუჩების ორნამენტის შემადგენელ ძირითად ნაწილს, სოლისებუ-

რად ამოღებულ სამკუთხა ნაწილს ეწოდება. რაც იმის მაჩვენებელია, რომ ბუ-ღაური საერთო სახელწოდება იყო როგორც მრგვალი, ისე ყოველგვარი სახის მოჭრილებისათვის.

ბუღაურების ამოღების შესატყვისია ჭ რ ე ლ ო ბ ა, ქ ვ ა ზ ე დ ა ქ ა რ გ ვ ა ან მ ო ჩ უ ქ ურ თ მ ე ბ ა, რაც ქვის ორნამენტის აღმნიშვნელია და ქვის ძირითად მასივზე რაიმე სახის ამოკაწვრასა თუ მის რელიეფურად გამოყვანას გულისხმობს.

ქვის დაჭრელება ორგვარი ხერხით ხდება: ზ ე მ ო ჭ რ ი ლ ი თ და შ ი გ-ჩ ა ჭ რ ი ლ ი თ, არის აგრეთვე უ ბ რ ა ლ ო დ ა მ ო ჭ რ ი ლ ი (ხაზების გაღარვით) ჭრელობაც. ჭრელობა ყველა ჯიშის ქვაზე ვერ გაკეთდება. ჭრელო-ბისათვის საჭიროა რბილი ქვა, რომელიც იარაღით ადვილად დასამორჩი-ლებელია.

გიშრის დამუშავება. გიშრის || შავი ქარვის დამუშავება ძველი ქარ-თული შინახელოსნობის საყურადღებო დარგია. წარმოების ეს სახე ცნობილია დასავლეთ საქართველოში და საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფას დღემდე შერჩა ზემო-იმერეთში, კერძოდ – ოკრიბაში. გიშრის დამუშავება იყოფა ორ საფეხურად: პირველი შეიცავს გ ი შ რ ი ს მ ო ჭ რ ა ს, მეორე – გ ი შ რ ი ს თ ლ ა ს. მოჭრა გულისხმობს გიშრის ნედლეულის ძებნა-ძიების სამუშაოებს, თლა – მოპოვებული გიშრის მასალის ტექნიკურ დამუშავებას.

ოკრიბის გიშრის საბადოები და მათი დამუ-შავება ცნობილია სპეციალურ ლიტერატურაში. ადგილზე წარმოებულ კვლევა-ძიებით ირკვევა, რომ ოკრიბელთ გიშრის ხელობა მამა-პაპით მო-დგამთ. იგი, მელითონენობასთან ერთად მათი დამა-ხასიათებელი ხელსაქნარია .

გიშრის ყელსაბამი. ოკრიბა

გიშრის წარმოებისათვის დამახასიათებელი იყო სახლიკაცთა გაერთიანება, ამხანაგობა, XIX საუკუნიდან კი კერძო ხასიათი მიიღო. გაჩნდა ცალკე მჭრელი და ცალკე მთლელი გიშრის მო-ხელე, ხოლო შუამავლად – ვაჭარი. გიშრის წარმოებამ სავაჭრო მიმართულება მიიღო.

გიშრის ხელადი მზადდებოდა აღებ-მიცემის მიზნით. ოკრიბული ხელნაქნარი გიშერი სანაქებო იყო არა მარტო საქართველოში, არამედ იგი უხ-ვად გაჰქონდათ ოკრიბიდან საქართველოს გარე-თაც ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან.

ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმე-ბულია გიშრის დამუშავების მაღალი ტექნიკა და მასთან დაკავშირებული მდიდარი ტერმინოლოგია, რაც გვანიშნებს საქართველოში გიშრის დამუშავების ადგილობრივ წარმოშობილობას. იგი მუდამ სარგებლობდა ქართველი ქალის განსაკუთრებული სიყვარულით. გიშრის სამკაული ქართული ოქრომჭედლობის ერთ-ერთი უმშვენიერესი ნაწარმია. მას ავი თვალისაგან დაცვის თვისებაც მიეწერებოდა.

თიხის დამუშავება. საქართველოში კერამიკულ წარმოებას დიდი და ხან-გრძლივი ტრადიცია აქვს. მათ შორის კულტურის ისტორიაში მოჭიქული ჭურ-

ჭელი ჯერ კიდევ ადრეული რკინის ხანიდანაა ცნობილი (IX-VI სს. ძვ.წ. მცხეთა, თრიალეთი), ხოლო ახ. წ. XI-VIII საუკუნეების ქართული ჭიქური, შემადგენელი მასალის სიუხვითა და მხატვრული-დეკორატიული სახეების სიმდიდრითაა შესანიშნავი. მოჭიქვის ხელის ეთნოგრაფიული შესწავლა თაობათაგან გადმოცემული ტრადიციების დაწვრილებით აღნუსხვასა და მათში ჩვენი კულტურის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი მონაცემების გამომძღავნებას ემსახურება. ბოლო დროის საქართველოში ცნობილი, მოჭიქვის ხელით სახელგანთქმული კახეთის, ქართლის და იმერეთის ცენტრთა შორის, შიდა ქართლის ტერიტორიაზე მოქცეული თბილისის, გორის და მცხეთის ჭიქურს გარკვეული ადგილი უჭირავს.

თიხის ჭურჭელი.
მხატვ. ნ. ბრაილაშვილი

ხალხურ ხელოსნობაში ბოლო დრომდე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მოჭიქული ჭურჭლის წარმოებას, რომლის პროდუქციასაც ხალხი მოკალულ, ჩინურ ანქაშანურ ჭურჭელს უწოდებდა. საოჯახო ყოფაში ფართოდ იყო გამოყენებული ადგილობრივი წარმოების ნაირსახოვანი მოჭიქული ჭურჭელი, რომელიც საუკეთესო საშუალება იყო წნილეულის, მუჟუჟის, მურაბების, ყველის, გაწურული დოსა და მაწვნის და სხვა მრავალი სახის პროდუქტების ხანგრძლივად შესანახად.

მოჭიქული ჭურჭლის ორგვარი სახეობა გვხვდება შიდა ქართლში: შიდა და გარე მოჭიქულობით და მხოლოდ გარემოჭიქულობით. ქოთან-ქილები (ორყურა, მაღალყურა, დაბალი, პირვიწრო და პირგანიერი ქილები, ქილუნა, ტოლჩა, სარძევე, საჯერო) და ჯამ-ლანგრები (ფილები, ჯამი, ორჯამიანი, ბადია, წაფია, ლანგარი, თუშფალანგი) ყოველთვის შიდა და გარემოჭიქულობით კეთდებოდა. ვიწროყელიანი (დოქი, საღვინე, ხელადა, ლიტრა, სურა, ჭინჭილა, საზეთე, სანავთე), პირმილიანი (მარანი, ირემი, ცხვარი, ჯიხვი) და გასართობ სამშვენებელი (სტვირ-სასტვენები ფრიველის სახისა, ირმის თავები, ყულაბები) ჭურჭლები კი თითქმის ყოველთვის მხოლოდ გარემოჭიქულობით მშვენდებოდა.

გორში, მცხეთასა და თბილისში ბოლო დრომდის ორგვარი შემადგენლობის ჭიქურს ამზადებდნენ. ადგილობრივ საბადოებში მოპოვებული „წითელი მიწისა" და ტყვიის ნაზავისაგან თაფლისფერ მუქყვითელი ჭიქური გამოჰყავდათ, ხოლო „ბროლის" ტყვიის, კალისა და თაგვმარილას ნაზავით „თეთრი" ჭიქური მიიღებოდა. თეთრი ჭიქურის ერთ ლიტრა ნაზავზე გირვაქა თოგალის დამატებით მწვანე ჭიქურს იღებდნენ. გირვანქა შავი ქვის დამატებით კი ბადრიჯნისფერ ჭიქურს.

დოქები

ჭიქურის „წამლის" შემადგენელი ნივთიერებანი: ტყვია, კალა, თოგალი და თაგმარი-

ლა წინასწარი დაწვით ნაცრდებოდა, „ბროლის“ ნამტვრევი კი ინაყებოდა, შემდეგ კი აწონით შეზავებული „წამლის წისქვილზე“ იფქვებოდა. ეს პროცესები დიდ ცოდნა-გამოცდილებასა და მძიმე შრომას ითხოვდა. რაც მოსაჰქავ „წამალს“ ძვირ მასალად ხდიდა.

თეხის ჭურჭლის ვადატანა

მეჭურჭლენი ქალაქად გაერთიანებული იყვნენ მეჭურჭლეთა ამქარში. მათ საამქრო დროშაზე ბიბლიური პერსონაჟი ადამი იყო გამოხატული, რომელიც მეჭურჭლეებს ჭურჭლის ხელის თავდაპირველ მასწავლებლად (ფირად) მიაჩნდათ. ამქრის უფროსი (უსტაბაში), მოლარე (იქითბაში), მდივანი (ასაყალო) და მედროშე (ბაირახტარი) განაგებდნენ საამქრო კანონ-სამართალს. ჭურჭლის გასასაღებელი მთავარი ბაზრები მთელს შიდა ქართლში (რელიგიური დღესასწაულის ადგილები უმთავრესად) ამქრის სახელოდ იყო გამოცხადებული, სადაც ჭურჭლის გასასაღებლად გატანა ხდებოდა ამქრის განაწილებით. ბაზრების განაწილება ყოველწლიური მონაცვლეობით იყო დაწესებული. ამქრული კანონების დარღვევისათვის იყო ფულადი ჯარიმა, „ჩარხის თავის შეხსნა“, საჯარო გაკიცხვა და ამქრიდან გარიცხვა. კოოპერაციული შრომის სახედ გავრცელებული იყო „ამხანაგად გახდომა“ ნაწარმის შუაზე გაყოფით (სანახევროდ). ქარგლებსა და ჭიქურის დაფქვაზე მომუშავე „ხელის მომწევებს“ ხელფასები უნაზღაურდებოდა ჭურჭლით თუნგობით (ერთ თუნგად ითვლებოდა, ჯამი – რვა ცალი, ფიალა – თექვსმეტი, ტოლჩა – ორი, ჩაფი – ერთი, საღვინე – ორი, საწველელი – ორი და სხვა). მტკიცე ტრადიციით იყო განსაზღვრული აგრეთვე თუ რომელი ჭურჭელი რა გვარი წყვით უნდა გაყიდულიყო ჭირნახულზე: „ავსებაზე“, „ორავსებაზე“ თუ „შედგმით“.

ოქრომჭედლობა საქართველოში. საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული ოქრომჭედლობა ქართველებისა და კავკასიელების ძველი მილითონეობის ერთ-ერთ საყურადღებო განტოტებას წარმოადგენს. ცნობილია, რომ ოქრომჭედლობა თავის საწყისს პერიოდში ბრინჯაოს მჭედლობასთან იყო დაკავშირებული და ბრინჯაოს საგნის დამზადების ტექნიკურ ხერხებს იყენებდა. ქართული ოქრომჭედლობაც ამ გზით განვითარებული ხელობაა.

კარგად ცნობილი ფაქტია, რომ უძველესი დროიდან ქართველი ტომები განთქმული იყვნენ ლითონის დამუშავებით. ასურული, ებრაული, ბერძნული წყაროებიც აღნიშნავენ, რომ სასპირებს, თობალებს და ხალიბებს სპილენძის, რკინისა და ვერცხლის ნაწარმით სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ IX-VII საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე მცირე აზიაში ლითონის წარმოებამ მანამდე უცნობ წარმატებებს მიაღწია. მეტალურგიის აყვავება დაკავშირებული იყო მცირე აზიასა და მის ჩრდილოეთით მადნეულის მოპოვების წარმატებებთან. აქ გამოყენებული იყო ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის დამუშავების

ნაირ-ნაირი ხერხები: ამოკვერვა, ჩამოსხმა, ჭედური, ძვირფასი თვლებით შემკობა, გრეხილი, ცვარა და სხვა.

ამ სპეციფიკური კულტურის ცენტრი ტაბალი იყო, ხოლო მისი აღმოსავლეთის საზღვარი ურარტუ, ხოლო ჩრდილოეთის – კოლხა. ტაბალების ნაწარმი ჩრდილოეთით ასურეთ-მიდიის საზღვრებს აღწევდა, სამხრეთით – პალესტინას.

ლითონის წარმოების ასეთი აყვავების ხანა დაკავშირებულია ამ ქვეყნებში მდიდარი ლითონის მაღაროების არსებობასთან (განსაკუთრებით ვერცხლი, სპილენძი, რკინა).

ივ. ჯავახიშვილის კვლევით, ქართველ ტომებში მადნეულის დამუშავება ხალხის ფართო ფენებში იყო შეჭრილი. ამით აიხსნება, რომ რაჭაში, სადაც რკინის საბადოებია და მათი დამუშავება წარმოებდა, აქ მაცხოვრებლებს რკინის კაცებს უწოდებდნენ. ფშავში, ხმლის პირების მკეთებლობა მისრიაშვილების გვარის საქმიანობას წარმოადგენდა, ამ გვარში ერთი კაცი უეჭველად მჭედელი უნდა ყოფილიყო.

– ქაჯავეთ რად იარები,
გიორგი, მგლისა ფერაო?
– ვალი მიკიდავ ქაჯებსა,
რად მკითხავ, ქრისტის დედაო?
ცომს ზელდა ქაჯის ბებერი –
მივასწერ ცხობაზედაო,
სინს სჭედდა ქაჯის მჭედელი –
მივასწერ წდობაზედაო,
სამჭედლოს გადაუფენევ –
ნისლები დაბადულაო,
მჭედელი, მემჭედურები,
ცისაკე გამართულაო,
გრდემლსა, ხელკვერსა მარწუხსა
გვერდით ცალ-ცალი სკდებაო,
მათრახის წვერი მაუკარ –
ცხენი შავადგი ზენაო.

ჩვენს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ოქრომჭედელი დადასტურებულია შინამრეწველის და ხელოსნის სახით. კიდევ მეტი, სვანეთში ოქრომჭედლობას ქალებიც კი ეწეოდნენ. სვანეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული ეს დიდად მნიშვნელოვანი ფაქტი რომ შემთხვევითი მოვლენა არ არის, ჩანს იქიდანაც, რომ ქალი-მჭედლები სვანური ზღაპრების პერსონაჟებადაც გვევლინებიან. ზღაპარში მგშკიდ ერთი – ქვაბების მჭედლად, ხოლო მეორე – აბჯრის მკეთებლადაა გამოყვანილი.

ამავე დროს ლითონს, განსაკუთრებით რკინას, ხალხურ სარწმუნოებაში დიდი როლი ჰქონდა განკუთვნილი. ვერცხლის, ოქროსა და რკინის საგნები აპოთროპეულ დანიშნულებას ასრულებდნენ, ავი თვალის საწინააღმდეგო საშუალებად იყენენ გამოყენებული. რკინის საგნებზე განსაკუთრებით ზრუნავდნენ მიცვალებულთან დაკავშირებით. ჩვეულების მიხედვით, ვერცხლის, ოქროს და სხვა ლითონის საგნის ჩატანება სამარეში ნებადართული იყო, ხოლო რკინის არცერთი ნივთის ჩაყოლება არ შეიძლებოდა. ამასთანავე, თუ მიცვა-

ლებულის ტანსაცმელზე რკინის ღილი ან სამკაული აღმოჩნდებოდა – მათაც ააჭრიდნენ და ოჯახში დატოვებდნენ. ჭირისუფლები განსაკუთრებით ზრუნავდნენ ამ მიმართულებით. ისინი წინასწარ აფრთხილებდნენ სუდარის ჩამცმელებს, რომ „მიცვალებულს რკინისა არაფერი წაყვეს მიწად-ო“.

ეს ჩვეულება გათვალისწინებული უნდა იქნას სამარხების დათარიღების დროს. არქეოლოგები, იმის მიხედვით, რომ სამარხებში რკინის ნივთები არ მოიპოვება, ხშირად ასკვნიან რკინის კულტურის შემოღების გვიან თარიღს. სინამდვილეში კი შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სამარხებში რკინის ნივთების არარსებობა ყოველთვის რკინის კულტურის არსებობას არ უნდა გამორიცხავდეს.



ვერცხლის ნაკეთობები

რიგ ხალხურ გადმოცემებში ლითონის საგნის დამზადება შეპირობებულია ამა თუ იმ საგნის აღკვეთებით. მაგალითად, სვანების გადმოცემის მიხედვით, ს ო ლ ა მ ს, რომელიც ხელოსნობისა და ხელოვნების მფარველ ღვთაებადაა აღიარებული და რომელიც არაიშვიათად მჭედლადაც გვევლინება, – ჯგერაგი მიმართავს, რომ მან მას ისეთი ისრის წვერი დაუმზადოს, რომელსაც კეთების დროს სილა არ უნდა შეერიოს.

ხევსურების წარმოდგენით, ოქრომჭედლობის გამჩენი და მცოდნე იყო ღვთაება პ ი რ ქ უ შ ი. ხევსურული ლეგენდა გადმოგვცემს, რომ ფშაველებს პირქუშის ხატიდან ვერცხლის თას-განძები მოუპარავთ. ხატის რისხვის გამო ქურდებს ნაქურდალი დაუბრუნებიათ ხატისთვის, მხოლოდ ნაწილი თასებისა დაჰყლეტილი იყო. ლეგენდა განაგრძობს: ერთი ძეძეურელი მჭედელი იყო, ყვირილაურთ ბაძია, რომელიც ვერცხლის თასებს აკეთებდა და თასები მასთან მიიტანეს გადასადნობად და ხელმეორედ გასაკეთებლად, პირქუშმა თურმე ბაძიას სახუცო თასის დღისით გაკეთების ნება არ მისცა. მოდიოდა ღამით პირქუში ბაძიასთან და თვითონ ასწავლიდა, თუ როგორ უნდა გაეკეთებინა თასები.

განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობდა ქართველების ყოფაში ლითონის სამკაულები. ესენი ჩვენს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მრავალი სახით არიან წარმოდგენილი: თავქალა, საყურე, ყელსადები, სამაჯური, ლეკვერთხი, ღილი, ჩაფრასტი, ბეჭედი, ბალთა, აბზინდი, ფიფინი, ჩახმა, ვისტორი, ყინჟღილო, ილგაგი, ძეწკვი, ცერის ბეჭედი, ყაწიმი, სარტყელი ხიდებიანი, ჩუქურთმიანი, შავი ხევადიანი, იმერული, ყარაბაღული, გავარსიანი, მინანქრიანი, ქართული ბუშტი, მასრის თავი, აზარფეშას გული, ხმლის ხელკოტა და მრავალი სხვა.

ზემოდასახელებული სამკაულები მზადდებოდა სხვადასხვა ტექნიკური ხერხების გამოყენებით. აქ ჩვენ შემოვიტანთ სამკაულების დამზადების იმ



აკვნების სახელოსნო
(მხატვარი ზ.წერეთელი)

ᲮᲐᲮᲔᲚᲝᲜᲜᲝ "ᲠᲘᲧᲔ"
(მხატვარი ზ.წერეთელი)

წესებს, რომლებიც დადასტურებულია ხევსურეთის, ლეჩხუმის, თბილისის და სხვათა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. ლითონის შემკობა ორნამენტით შემდეგი ძირითადი წესების მიხედვით წარმოებს: ამ ოღარვა, ამოკვერვა, ამოცვარვა, ჩამოსხმა, გრეხილი, სევადა, ზარნიში, ფილიგრანი, ჭატური და მინანქარი. ამ წესებიდან ხევსურეთის ოქრომჭედლობა უპირატეს პირველ სამსა და სევადს სცნობს და იყენებს.



ხევსურული ორნამენტის ნიმუშები

ხევსურეთში ოქრომჭედლობა შინამრეწველური ხასიათისაა და ბევრ სოფელშია გავრცელებული. ეს სოფლებია: ჭიე, ბაცალიგო, ღული, უკანხადუ და ბარისახო.

ხევსურეთში ლითონის ორნამენტის შემდეგი ძირითადი ელემენტებია დადასტურებული: ჭრელ–მირგვალაი, ბორჯღლია–მირგვალაი, ჭრელ–მირგვალა კვერაი, ცერ–ცვარა, კბილაი, გახატულ–ხატნი, დაკბილულ–საყურე, ყაწიმი, რქიან–ყაწიმი, საყრელა, ყვარის თვალა, ბალთა, რქიან–ბეჭდის, თვალაი, ქამრისაღი, საფარაგე აღი, საუღრალაი და სხვა.

ლეჩხუმელი ოქრომჭედელი შავი სევადის მოხელეც იყო. ერთ გირვანქა გოგირდს, ერთ გირვანქა სპილენძს, ერთ გირვანქა ტყვიას და ხუთ მისხალ ვერცხლს ერთად შეზავებულს დაადნობდნენ. ჯერ ადუღებდნენ სპილენძსა და ვერცხლს, მერე შეურევდნენ ტყვიას და გოგირდს. კარგი დუღილის შემდეგ ჯამში გადმოასხამდნენ. როდესაც ნადნობი გაცივდება, დადგება შავი ნივთიერება, სევადა. მას კარგად დანაყავდნენ და ხმარობდნენ ფხვნილის სახით. იმისათვის, რომ სევადა კარგად დადნეს, ფხვნილს ბორას შეურევენ. აქ ორი სახის სევადის ორნამენტია ფიქსირებული: 1. შავყვავილიანი სევადა და 2. თეთრყვავილიანი სევადა. იმ შემთხვევაში, როდესაც ორნამენტი ვერცხლზე რელიეფითაა გაკეთებული და სევადა ორნამენტის ეზოს აქვს მოვლებული, სევადას თეთრყვავილიანს უწოდებენ, ხოლო მეორე შემთხვევაში, როდესაც ჩაღრმავების ტექნიკითაა ორნამენტი შესრულებული და ღარში სევადაა ჩასხმული – შავყვავილიანს. იმერეთის ოქრომჭედლობისათვის შავყვავილიანი სევადაა დამახასიათებელი.

ლეჩხუმელი ოქრომჭედელი ამზადებდა შემდეგ ნაჭრებს (ნაწილებს): ქამრის, ლეკურის, ყანწის, ცულის, ხანჯლისა და სხვათა. ქამრის ნაჭრებს შეადგენდნენ: 1. ნიკარტი (აბზინდი), 2. ბალთა, 3. ენა, 4. კოპალი, 5. საქონე, 6. უზინიკი და სხვ.

ზემო სვანეთში ოქრომჭედლობა საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული. აქ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ოქრომჭედლები ქალებიც კი იყვნენ. ამასთანავე ეს მოხელეობა გარკვეული გვარების ოსტატობას შეადგენდა და მემკვიდრეობით გადადიოდა თაობიდან თაობაზე. ოქრომჭედლობა მოცემული იყო შემდეგ გვარებში: ცინდელიანები (ჭუბერის თემი), ვიბლიანები (ს. კიჩხილდაში, თავრარის თემი), ქალდანები (ს. ტვიბერი, ცხუმარის თემი), ჩხვიმიანები (ს. ღეშდერი).

კებზარი, ყელსაბამი. სვანეთი

ზემო სვანეთში დამოწმებულია როგორც ცივი კვერვა, ასევე სევადა. სევადას აქ **ლიჰელჯე** ეწოდება.

სვანი ოქრომჭედელი ამზადებდა: ღილს (ღილს), ღირკილს, ჯინჯილას (ვაზის ფოთლის მოყვანილობისა), ნაჭას (ძეწკვი, დაგრეხილი და ჩამოსხმული), ჩაფრასტ ჯვანელ (ძველებური ჩაფრისტი), ჩაფრასტ-მახე (ახლებური ჩაფრისტი), ლეგმარ (პატარა ჩაფრისტები).

თბილისში ოქრომჭედლობა ხელოსნობის ხასიათს ატარებდა. ოქრომჭედლის მიერ აქ დამზადებული საგნები ბაზარზე გადიოდა. წინააღმდეგ იმისა, რასაც ადგილი ჰქონდა ხევსურეთში, სვანეთსა და ლეჩხუმში, როდესაც საოქრომჭედლო საგნები მხოლოდ დაკვეთით მზადდებოდა. თბილისში იგი უსახელო შემკვეთელს ჰგულისხმობდა. ერთგან ოქრომჭედელი ეგრეთწოდებული შინამრეწველის სახით იყო წარმოდგენილი, ხოლო მეორეგან – ხელოსნისა. ამის შესაბამისად აქ, თბილისში, არსებული ოქრომჭედლობა ფართო მასშტაბის საქმიანობა იყო. თბილისში დამზადებული ხელადი ვრცელდებოდა საქართველოს როგორც ბარის, ისე მთის მოსახლეობაში და მის გარეთაც გადიოდა.

თბილისის ოქრომჭედლებს თავიანთი საოქრომჭედლოები ერთ ქუჩაზე ჰქონდათ გამართული ე.წ. **ჯერცხლის რიგში**. ორი-სამი კაცისგან შემდგარ საოქრომჭედლოს სახელოსნო ეწოდებოდა, ხოლო ხუთი, ექვსი და მეტი მუშახელისაგან შემდგარს – ქარხანა. სახელოსნოსა და ქარხანაში მომუშავენი იყოფოდნენ: ხელოსნებად, ქარგლებად და შეგირდება დ. ოქრომჭედლებს თავიანთი საამქრო ჰქონდათ და ჰყავდათ: უსტაბაში || მამასახლისი, კეთილსინდისიერნი (ასკაკალები), ხაზინადარი, ალამდარი და შიკრიკი. საამ-

კებზარი, ყელსაბამი. სვანეთი

ქრო ემორჩილებოდა განსაზღვრულ წესებს და მტკიცედ იცავდა ტრადიციებს, საამქროს აგრეთვე ჰქონდა დ რ ო შ ა.

ნალბანდების ამქრის დროშა

საამქროს დროშების კოლექციაში, რომელიც საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაშია დაცული, თბილისის ოქრომჭედლობის ამქრის დროშაც მოიპოვება. ის წარმოადგენს ცისფერი აბრეშუმის ოთხკუთხედ ქსოვილს, სიგრძით – 137 სმ, სიგანით – 97 სმ, რომლის ერთი ნაპირი დანიკბული და ფოჩებიანია. ქსოვილის ორივე პირზე ზეთის საღებავით დახატულია ამქრის მფარველი წმიდანების (ფირი) სურათები. ერთ პირზე გამოსახულია წმინდა გიორგი, რომელიც შუბით გველეშაპს გმირავს (აქვეა მზეთუნახავი ქალი). გიორგის გვერდზე ორივე მხარეზე ანგელოზებია დახატული. ქსოვილის მეორე პირზე ქრისტეს სახე და გვერდით ანგელოზებია მოცემული. როგორც პირველი, ისე მეორე პირის სურათები შემკობილია მცენარეული ორნამენტებით.

დურგლების ამქრის დროშა

ისევე, როგორც ოქრომჭედლობის დროშაზე, სხვა ამქრის დროშაზეც ამქრის მფარველი წმინდანი უნდა ყოფილიყო გამოსახული. ლიტერატურის მონაცემებიდან ვიცით, რომ მექვაბეებისა და მჭედლების ამქრის მფარველად ი ა ვ ა ნ ი და თ ო ბ ე ლ ი ითვლებოდნენ. როგორც ცნობილია, იავანსა და თობელს, ქართველების წინაპრებს, სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი, როგორც რვალისა და რკინის პირველ ხუროებს.

დალაქების ამქრის დროშა

ასევე ხარაზების დროშაზე დახატული ყოფილა ელია, დაბაღებისა – ღვთისმშობელი, სარაჯებისა – ყურძენი, ხუროებისა – ნოეს კიდობანი, მეთუნეებისა – ღმერთი, მეპურეებისა – ქრისტე, ადამი და ევა.

ოქრომჭედლების ამქრის დროშა

ამგვარად, ჩვენს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული ოქრომჭედლობა გარკვეულ ნაწილში უძველესი ხანიდან მომდინარე ჩანს. მასში შემო-

ნახულია: 1. უძველესი ფორმის საგნები, 2. ორნამენტის უძველესი ელემენტები, 3. ძველებური ტექნიკური წესები და 4. ძველებური ამქრული ჩვევები.

ჩვენ ამ ძირითად დებულებას მხარს უჭერს და ამაგრებს აგრეთვე ის გადმოცემები, რომლებიც ქართველი ტომების მელითონეობას შეეხებოდა და ძველ მწერლობას შემოუნახავს.

პირველ რიგში აღსანიშნავია თქმულება არგონავტების შესახებ, რომელშიც მოიპოვება ცნობა ოქროს საწმისის შესახებ, როგორც არ უნდა იქნას ლეგენდის ეს ადგილი განმარტებული – საწმისი ბანჯგვლიანი ტყავია, რომლის საშუალებით კოლხები წყლის ნაკადებში ოქროს იჭერდნენ, თუ საწმისზე – ტყავზე დაწერილი იყო ოქროს მოპოვების წესი, ორივე შემთხვევაში ლეგენდა შორეულ წარსულში კოლხეთში ოქროს მოპოვებას გულისხმობს.

ხის ვობების დამზადება. აჭარა. XIX ს. II ნახევარი

მიცვალებულის კულტი

ქართველი ხალხის ეთნოგრაფიულ ყოფაში განსაკუთრებული სისრულითა და მრავალფეროვანებით წარმოდგენილი იყო მიცვალებულის კულტი. ის უამრავი წეს-ჩვეულებები, რომელიც მიცვალებულთან არის დაკავშირებული, ძირითადად გამომდინარეობს სულის უკვდავებისა და მისი ძალის ზებუნებრივობის რწმენიდან. მეორე მხრივ, მასში წინაპრის გადმერთების ელემენტებია ჩაქსოვილი.

დატირება მიცვალებულის ტალავარზე. ხევსურეთი, 1927 წ.

წინაპრის კულტის შედარებით ცოცხალი გადმონაშთები, წეს-ჩვეულებები, რომელიც გარდაცვალების მომენტსა და შემდეგ მის დამარხვამდე სრულდებოდა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვანაირი სახისა იყო. ეს წესები თავისი წარმომობით ხშირად უძველეს წარმოდგენებს უკავშირდებოდა. ასეთია, მაგალითად, ქართლში დამოწმებული მიცვალებულის ფანჯრიდან გამოსვენების, სასაფლაოდან სხვა გზით დაბრუნების წესი, რაც მიცვალებულის წინაშე შიშის გრძნობასთან არის დაკავშირებული.

ასევე არქაულია მაგალითად, გამოსვენების დროს აკვნიანად ბავშვის წამოყენების ან შავი ფერის საგანზე ხელის წავლების ჩვეულება. ამ შემთხვევაში იმიტატური მაგიისაგან თავდაცვასთან გვაქვს საქმე. ყველა ხალხის მიცვალებულის კულტში უდიდესი ადგილი წინაპრის ხსოვნას აქვს დათმობილი. ხევსურეთში წინაპრის კულტის არსებობას პირველად ნ. ხიზანიშვილმა მიაქცია ყურადღება. იგი წერს: "როცა ხევსური და ხშირად ფშაველიც, ბეგენ გორზედ აივლის, უთუოდ ცხენიდან ჩამოხტება, მოწიწებით მივა და თაყვანს სცემს ხოლმე ქალანდაურის საფლავს, იმ დიდ ლოდს, რომელსაც თავისუფლების წმინდა ძეგლად თვლიან. ლოცულობენ ქალანდაურის საფლავს, სანთელს უნთებენ იმის საფლავის ქვას, რათა? – ქალანდაური ღვთის კაცია, თვისი ვაჟკაცობითა და

ტირილის || ცრემლობის დღე. ხევსურეთი, 1930 წ.

მხნეობით, ხევსურეთი დაიხსნა მტარვალობისგან, ზურაბის ჯარი დაამარცხა და ჩვენც თავისუფლება შეგვინახაო". მოტანილი მასალა მიუთითებს, რომ ხევსურული წინაპრის კულტში, ერთი მხრით, ეპონიმის კულტია მოცემული, მეორე მხრით, მასში წინაპრის გაღმერთების ელემენტებია ჩაქსოვილი. წინაპრის კულტის შედარებით ცოცხალი გადმონაშთები. აღმოსავლეთ საქართველოს მთამ შემოინახა. ასეთი წინაპარია მაგალითად, პირიქით ხევსურეთში ბერდიად – გაგა, რომელიც გადმოცემის მიხედვით რკინის ჯვრის ხელოსანი ყოფილა. იგი ცნობილია როგორც განთქმული მეომარი, ბედ-იღბლიანი და შვილ-ბოლო გამრავლებული კაცი. მისი გარდაცვალების შემდეგ ბერდიშვილებს მისი სახელობის დღეობა დაუწესებიათ. ამ დღეობისათვის ხდიდნენ ლუდს, არაყს, კლავდნენ საკლავს, მართავდნენ ტაბლას და თან გაგას სულს ევედრებოდნენ – "შენმა იღბალმა გვიშველოს და გაგვამრავლოს შენი ჩამომავლობაო".

მიცვალებულის მოსახსენიებელი სუფრა, თუშეთი, 1965, ფოტო ლ. საფრაზიანის

მეორე წინაპრის, ალიათ მგელას საფლავი, წმინდა ადგილას დასალოცავად იყო მიჩნეული. მისი შთამომავალი ჯაბუშანურები დღეობას ამაღლება დღეს იხდიდნენ. ლუდს ადუღებდნენ, ქადა-პურებს გამოაცხობდნენ, საკლავს დაკლავდნენ და მგელას სულს მთავარ-ანგელოზს ავედრებდნენ: "მგელაის სულის სახვეწად იყოს და სამწყალობელო ცოცლებისა"-ო.

სადღეო სუფრა. ხევსურეთი, 1930 წ.

გარდაცვალებასთან დაკავშირებით შესრულებული წესებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ტირილი, რომელიც სრულდებოდა როგორც მიცვალებულის დამარხვამდე, ისე მოგონებისთვის განკუთვნილ დღეებში. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დასტურდება ტირილის ნაირი ფორმები: წაბურვიანი ტირილი – გურიაში, ზარით ტირილი – სამეგრელოსა და

სვანეთში, ბანით ტირილი – ქართლსა და კახეთში, დალაობა – თუშეთში, ხმით ტირილი – ხევსურეთში.

სახაფლაო, სოფ. გუდარეხი. ქართლი

ხევსურულ მიცვალებულის კულტში დატირება რთული სახის მოქმედებას წარმოადგენს. აქ მიცვალებულს სტიროდნენ როგორც მუნჯად, ისე ხმით. დატირება ხმით სამგვარი იყო – მოთვლით, ძახილით და ხმით.

მოთვლა უბრალო სახის ტირილია, უცრემლო. ძახილით ტირილი ყველას შეეძლო, უკეთუ დატირების წესი, ამა თუ იმ პირს, ამ სახით დატირების ნებას რთავდა.

ხმით დატირების შემძლე კი სოფელში, უკეთეს შემთხვევაში, სულ ერთი ან ორი პირი იყო. ძახილის დროს სიტყვებს იძახდნენ ხოლმე, ხოლო ხმით ტირილის დროს ჰანგი და რითმა გამოჰყავდათ. ძახილი და საერთოდ ტირილი ხევსურეთში ყველას არ შეეძლო – წესი უკრძალავდა. მაგალითად, ცოლი ქმარს ვერ დაიტირებდა, ქმარი – ცოლს; რაც შეეხება ხმით დატირებას, ამ წესით ყოველ ქალს შეეძლო დაეტირა ყოველი მიცვალებული, ნათესაობისა და მოყვრობის მიუხედავად.

ხმით ტირილი შეიძლება უმთავრესად მიცვალებულის ტალავარზე. როგორც კი დაჯდება ტალავართან ხმით მოტირალი, მაშინვე სთხოვენ ხმით იტიროს იგიც აიღებს ხანჯალს, თუ ვაჟკაცის ტალავარია და იწყებს ხმით ტირილს.

ხმით მატირალმა ტირილის დროს შეიძლება აქოს მიცვალებული; იგი ტირილის დროს თხზავს ლექსებს და მათ ტირილის მსგავსად მღერის. ამიტომ ხმით ნატირალების დახსომება ძნელია. მიუხედავად ამისა, საუკეთესო ხმით ნატირალები თაობიდან თაობაზე გადადიოდა და ხალხის მეხსიერება მათ ინახავდა, როგორც წინაპართ მოსაგონარ ცხოველმყოფელ წყაროს. ხმით ტირილის ატეხა, ე.ი. ხმით ატირება ხდებოდა ტირილის პროცესში (და-ძმაზე, დობილ-ძმობილზე ან სხვა მოკეთე-მოკეთეზე).

აკლდამა და სახაფლაო, სოფ. მუცო, ხევსურეთი

ხმით ტირილი მიღებული იყო მკვდრის გახსენების დროს, თიბვის შამშაბათს. ეს დღე იყო სოფლის პირველად გასვლის დღე სათიბად. მიცვალებულის ჭირისუფალი მთელ სოფელს დაჰპატიჟებდა, ტაბლებს და-

ამზადებდა, ტალავართ გაშლიდა, ხმით მატირალნი იტირებდნენ და სულის ხუცესი სახელს დასდებდა. ჭირისუფალი თიბვის შამშაბათს რომ გადაიხდიდა, შემდეგ სოფელს ნება ჰქონდა ცელი ბალახში შეეტანა და სოფელთან ერთად ჭირისუფალიც მოსთიბავდა. ხმით ნატირლებს მღერიან თიბვის დროს, რასაც გ ვ რ ი ნ ი ეწოდება, რაჭაში – ზ რ უ ნ ი.

ხევსურეთში არსებობდა ხმით მოტირალი ქალების ინსტიტუტი. რამდენადაც კარგი იყო ხმით მატირალი, იმდენად დიდი ქება და პატივი ჰქონდა მას ხალხში დამსახურებული.

აღსანიშნავია, რომ საგანგებო მატირალთა ინსტიტუტი არსებობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მატირლებს საგანგებოდ იწვევდნენ ჭირისუფლები და შემდეგ შრომას გარკვეული საფასურით უნაზღაურებდნენ.

ანატორიის აკლდამა. ხევსურეთი.

საქართველოში ძველთაგანვე დამოწმებულია დამარხვის ორი ძირითადი წესი: მ ი წ ი ს ზ ე დ ა და მ ი წ ა შ ი დ ა მ ა რ ხ ვ ა. აქედან მიწის ზედა დამარხვა გულისხმობს მიცვალებულების ხეებზე, ჰაერში დაკრძალვას, რომელიც გვიანხანობამდე აფხაზეთის ეთნოგრაფიულმა ყოფამ შემოინახა და აკლდამებში. დამარხვის უკანასკნელი დამარხვების ნიმუშებად შეიძლება ჩაითვალოს პირიქით ხევსურეთში დამოწმებული ანატორისა და მუცუს აკლდამები, სადაც მიცვალებულებს საგანგებოდ გამართულ ქვის ტახტზე ასვენებდნენ.

მიწაში დამარხვა, უძველესი დროიდან დამარხვის რამდენიმე ფორმას იცნობს. დამოწმებულია: ო რ მ ო ს ა მ ა რ ხ ე ბ ი, კ რ ა მ ი ტ ს ა მ ა რ ხ ე ბ ი, მ ი წ ი ს ქ ვ ე შ ა ა კ ლ დ ა მ ე ბ ი და ქ ვ ა ყ უ თ ე ბ ი. ქვის კუბოების (ლ უ ს კ უ მ ა, ტ ა გ რ უ ც ი) ტრადიცია ძველია, თუმცა წინაისტორიული ხანის ქვის კუბოები ჩვენში დღემდე აღმოჩენილი არ არის. წინაისტორიული ხანის სამარხებიდან საქართველოში ამჟამად ცნობილია: თ ა ღ ი ა ნ ი ქ ვ ი ს ნ ა გ ე ბ ო ბ ა, ქ ვ ი ს ყ უ თ ე ბ ი, ქ ვ ე ვ რ ე ბ ი, თ ი ხ ი ს კ უ ბ ო ე ბ ი.

აქვე უნდა ითქვას, რომ ქვის კუბო დადასტურებულია იმ არეში, რომელსაც ეკუთვნის ცხვრისა და ცხენის სახის საფლავის ქვები. ამ სახის საფლავის ქვების გავრცელების დღემდე ცნობილი არეალია ქართლის ნაწილი, წალკა, ჯავახეთი, მესხეთი და სომხეთის ნაწილი. საფლავის ქვების ამ სახის ერთი ნაწილი შეიძლება დათარიღდეს XIII–XVI საუკუნეებით.

ეთნოგრაფიულმა ყოფამ შემოინახა მიცვალებულის უ კ უ ბ ო დ და კ უ ბ ო თ ი დამარხვა. უკუბოდ დამარხვა დამოწმებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში.

დასავლეთ საქართველოში განსხვავებით აღმოსავლეთ საქართველოსგან, სადაც მიცვალებულს მხოლოდ და მხოლოდ სასაფლაოზე მარხავდნენ, არსებობდა ეზოებში დამარხვის წესიც.

ჩვეულებრივ, სასაფლაო თავის შიგნით დაყოფილი იყო; ამა თუ იმ გვარს თავისი კუთვნილი ტერიტორია გაჩნდა, სადაც მხოლოდ ხსენებული გვარის წევრები იმარხებოდნენ.

საყურადღებოა, რომ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში (ხევსურეთი) ვხვდებით საგანგებო სასაფლაოებს, რომელსაც სარიაშო ეწოდებოდა. ეს სასაფლაო განკუთვნილი იყო მშობიარობის დროს გარდაცვლილ ქალებისათვის – მას, როგორც უწმინდურს საერთო სასაფლაოზე არ დამარხავდნენ; დაკრძალავდნენ ჯერ სამშობიარო ქოხის ახლოს ე.წ. **ხაჩეებში**, ხოლო დაახლოებით ერთი წლის შემდეგ **სარიაოში**, სასაფლაოზე გადაასვენებდნენ. ეს წესი საყურადღებოა უძველესი სარწმუნოების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია არქეოლოგიურადაც, რამდენადაც ამ წესის საფუძველზე ადვილად შეიძლება აიხსნას არქეოლოგიურ განათხრებში მოცემული მეორედ დამარხვის შემთხვევები.

საფლავის ძეგლები ძირითადად წარმოდგენილი იყო უბრალო ლოდი ქვის, გათლილი საფლავის ქვისა დაპატარა ყრუ კოშკების სახით, რომლებიც თავისი ფორმით საკულტო კოშკებისა და მიცვალებულის სახელზე აგებულ ე.წ. სულის წყაროების მსგავსი იყო. აქედან, საფლავის თავთან დარჭობილი უბრალო ქვები და კოშკები მთიანეთს ახასიათებს, ხოლო გათლილი ქვები,



იმერეთში გავრცელებული საფლავის ქვის ტიპი

საფლავის ქვა სოფ. სამშვილდედან. ქართლი

საფლავის ქვა-ვერძი. ქართლი

საფლავის ქვა. სვანეთი

სულების მოხსენიება **სულების გასტუმრება**

მიცვალებულისათვის განკუთვნილი დღეობა „ლიფანალი“

რომელზედაც მიცვალებულის გამოსახულება, მისი საქმიანობის ემბლემა, ეპიტაფიაა ამოკვეთილი, საქართველოს ბარშია გავრცელებული.

მიცვალებულის კულტის ერთ-ერთი მთავარ ელემენტთაგანია მკვდრის მოსაგონარი ხარჯები და რიგები, რომელთაგანაც ზოგი დამარხვამდე სრულდებოდა, ზოგი კი დამარხვის შემდეგ.

სწამდათ რა, რომ საიქიო ააქაო ცხოვრების გაგრძელებას წარმოადგენს, მიცვალებულის პატრონები ცდილობდნენ არაფერი დაეკლოთ მისთვის, რაც შეიძლება უკეთ უზრუნველყოთ სულის საიქიოს ცხოვრება. იმ მრავალრიცხოვანი ხარჯებიდან, რომელიც მიცვალებულთან იყო დაკავშირებული, განსაკუთრებული გრანდიოზულობით იხდიდნენ ხარჯს, რომელიც დაახლოვებით გარდაცვალების წლისთავზე მოდიოდა. იგი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა სახელითა და შესრულებით არის ცნობილი. ხევსურეთში ასეთი ხარჯი საქნარი იყო. საქნარში თავს იყრიდა მთელი სოფელი, მეთემეები, ნათესავ-მოკეთეები. ტიროდნენ მიცვალებულის ტანსაცმელზე, დაკურთხებინებდნენ ცხენს მისი სულისთვის, იმართებოდა დოღი და დიდი პურობა.

მიცვალებულისთვის განკუთვნილი ზოგიერთი რიგი იმდენად დიდ ხარჯს მოითხოვდა, რომ მისი გადახდა მიუხედავად დიდი სურვილისა, ზოგ ოჯახს არც შეეძლო. სვანეთში ერთი ასეთი რიგთაგანი იყო ლაგვანი. ლაგვან გადახდილი მიცვალებულები, ხალხური რწმენით საიქიოში სამუდამოდ დაკმაყოფილებულად გრძნობდნენ თავს და საიქიოში მყოფ სხვა მიცვალებულთა სულების წინაშე დიდგულობდნენ.

სულის წყარო. ხევსურეთი.

თუ ვინმეს სიკვდილის შემდეგ გულშემატკივარი აღარავინ დარჩებოდა, იგი სიცოცხლეშივე იხდიდა თავისი სახელობის რიგს. ხევსურეთში ამ წესს ეწოდებოდა

თ ა ო ლ თ ა ვ ი ს დ ა მ ა რ ხ ვ ა. თავის დამარხვა ქალებმაც იცოდნენ და მამაკაცებმაც. სამზადისი ისეთივე იყო, როგორც საქნარის დროს, თავის დამმარხავი ლუდს ადუღებდა, არაყს გამოხდიდა, ცხენს დაიკურთხებდა და ხალხს დაპატიჟებდა, ოღონდ ხარჯის გადახდის დროს არ მონაწილეობდა. გარდა ხარჯებისა, არსებობდა მიცვალებულისთვის განკუთვნილი საგანგებო დღეობებიც. მაგალითად, სვანეთში ასეთი დღეობა **ლიფანალი** იყო. იგი სვანეთის ზოგიერთ კუთხეში ერთ კვირამდე გრძელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში მიცვალებულის პატრონები არაფერს ზოგავდნენ, რათა სულებისათვის უკეთესი სუფრა გაეშალათ და ესიამოვნებინათ. სვანის რწმენით, ზამთრის არდადეგებზე, ლიფანალში, მიცვალებულის სულები თავიანთ სახლში ბრუნდებოდნენ. სულების მოსვლას ოჯახის წევრები დიდი ზეიმით უნდა შეხვედროდნენ, გაეშალათ მათთვის სუფრა, მათ სასიამოვნოდ უნდა ემღერათ, ეცეკვათ და დაეკრათ ჭიანური; მათ გასართობად უნდა ეთქვათ ზღაპრები და ლექსები. ასეთი შეხვედრა ჩვეულებრივ რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. ზეიმით ხდებოდა, აგრეთვე, სულების გასტუმრება საიქიოს. ოჯახის უფროსი წინ მიუძღოდა წარმოდგენაში არსებულ სულებს, მათს სავალ გზაზე რძეს აპკურებდა და სულებს შესთხოვდა ოჯახისა და საქონლის გამრავლებაზე ზრუნვას, ოჯახისა და საქონლისათვის მარცხისა და საფრთხის აცილებას.

ლიფანალის დღეებშივე ნაცრისგან საღებავს ამზადებდნენ და ამ საღებავით ლეჭკნდ-ებზე გამოჰყავდათ სხვადასხვა სახეები მიცვალებულთა სულების პატივსაცემად. ამ სურათებს ლ ი ფ ა ნ ა ლ ი ს ჭ რ ე ლ ე ბ ი ეწოდება. მასზე გამოსახულია მარცვლეულით სავსე კიდობნები, მიცვალებულისთვის განკუთვნილი სულის ცხენი და სხვა, რაც მასპინძლის მიერ მიცვალებულისთვის გულუხვად გაღებულ შესაწირავებს გამოხატავს. ასევე აქ გამოხატული ცხოვრების ხე და ცხოველების სურათების მოტივი რიტუალური დანიშნულებისაა და მიცვალებულის კულტთანაა დაკავშირებული. მიცვალებულის კულტში მისი არსებობა გამოწვეულია იმ ძველი შეხედულებით, რომელიც საიქიოს საკაოს გაგრძელებად წარმოიდგენდა, საკაოს მოთხოვნილებებითა და საჭიროებებით.

ქართველი ხალხის მიცვალებულის კულტის თავისებურებებს ეკუთვნიან, აგრეთვე, მოხევური დ ი დ ო, სვანური გ ი გ ი და სხვა.

ზვავში დაღუპულთა სულების მოხსენიება. უშგული, ს. შურყმელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში ანიმისტური წარმოშობის კულტებიდან განსაკუთრებული ცხოველმყოფელობით შემონახულია ხის თაყვანისცემა. ხე ჩვენში წინაპრების წარმოდგენით ცოცხალი არსება იყო. მას თავისი საკუთარი სული გააჩნდა. შემდეგ პერიოდში იგი გაზრებულ იქნა როგორც წმინდა არსებების, ღვთაებების სადგური. ხის თაყვანისცემის უადრეს საფეხურად უნდა მივიჩნიოთ ის პერიოდი, როდესაც ხე ტოტებად წარმოიდგინებოდა. გარკვეულია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სალოცავებში დაცული საკულტო დროშები თავისი თავდაპირველი წარმოშობით ხეს უკავშირდება. იგი მისი სიმბოლურ გამოსახულებას წარმოადგენდა. ამავე კუთხეში დამოწმებული შიშველი ჩვილი ბავშვის დროშის ქვეშ შეგორების წესი-ჩვეულება მის ხატისათვის მიბარების მიზნით, ხის მიერ ბავშვის შობის სიმულიაციად არის მიჩნეული. ასეთი ხე, რომელსაც თემის მფარველის ფუნქცია ეკისრებოდა თავდაპირველად ტოტემური ხე უნდა ყოფილიყო. იგი ამ გვაროვნული ჯგუფის წინასწარ მშობლად ითვლებოდა, რომელიც მის ირგვლივ იყო გაერთიანებული (ვ. ბარდაველიძე).

განვითარების შემდეგ საფეხურზე ეს ხე საკულტო ხედ იქცა, რომელიც ღვთაებათა სადგურად წარმოიდგინებოდა. ამგვარი ხის კულტის არსებობაზე მიუთითებს როგორც ისტორიული (პრ. კესარიელი) ისე ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მონაცემები. საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეში გვიანბამდე შემორჩენილი იყო წმინდად მიჩნეული ხეები. სვანეთში ასეთი ხე ყველა სოფელში იდგა, რომელიც ქვის ღოდებით იყო შემოღობილი. იქ, სადაც ძველად საკულტო ხასიათის ადგილ-სამლოცველოები იყო მოთავსებული, ბევრგან ჯერ კიდევ შემორჩენილა ასწლოვანი ხეების ჯგუფი. ზოგჯერ კი მცირე ზომის ტყეც. ასეთი ხეები წმინდანად ითვლებოდა. მორწმუნეთა შეხედულებით მათი მოკრა ღვთაების საშინელ რისხვას იწვევდა და „დანაშაულის" ჩამდენი სასტიკ სასჯელს ვერ გადარჩებოდა: ავად გახდებოდა, ან სამუდამოდ დასახიჩრდებოდა, საქონელი და მოსავალი უზარალდებოდა და ა.შ.

წმინდა ხუხის ხე

წმინდა ხეთა შორის საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული იყო მუხისა და ცაცხვის თაყვანისცემა. მაგალითად ქართლში საყოველთაოდ ცნობილი იყო რკონის წმინდა ცაცხვის ხე, რომელზედაც უამრავი შესაწირავი იყო ჩამოკიდებული და რომელიც თეთრი ძაფებით იყო შემოვლებული. სამეგრელოში, ხის თაყვანიცემის მკაფიო მაგალითად უნდა ჩაითვალოს ძველ საქართველოში განთქმული ჭყონდიდი, რომელიც მეგრულად დიდ მუხას ნიშნავს.

ხის თაყვანისცემასთან არის დაკავშირებული წარმოდგენები სიცოცხლის ხის შესახებაც. ეს ხე მორწმუნეთა

სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში

შეხედულებით, უზარმაზარი იყო და ყველაზე დიდხანს ცოცხლობდა, არსებობდა რწმენა რომ ამ ხის უამრავი ნაყოფი მისი შვილებია, ხოლო ფრინველები მისივე მცხოვრებლები. ასეთი ხე თითქოს წვერით ცას ებჯინებოდა, ფესვებით კი ქვესკნელს. სიცოცხლის ხის მოტივი შემორჩენილია ჩვენში ქართულ ხალხურ ორნამენტში, რომელიც მის უძველეს სიუჟეტს წარმოადგენს. იგი დამოწმებულია ხეზე, ქვასა და ქსოვილებზე. გვხვდება, აგრეთვე, სვანურ მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული ე.წ. ლიფანალის მხატვრობაშიც.

სიცოცხლის ხის ამ თითქმის გაქვავებულ ფორმებთან ერთად, რომელთაც დღეს უკვე დაკარგული აქვთ თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა, დადგენილია იგივე მოტივის შემცველი გადმონაშთები, როგორც საკულტო ხასიათის წეს-ჩვეულებებში, ისე მითოლოგიურ გადმოცემებში. კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა საკულტო საფერხულო სიმღერებში მოხსენებული ალვის ხე, რომელიც სათემო ხასიათის საკულტო ადგილას დარგულ ხეს უკავშირდებოდა, ჩვენი წინაპრების მიერ მიჩნეული იყო სიცოცხლის და სიუხვის ხედ. ასევე სიცოცხლის ხესთან იყო დაკავშირებული დასავლეთ საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი ს ა ა ხ ა ლ წ ლ ო ჩ ი ჩ ი ლ ა კ ი.

ხისა და მცენარეულის კულტთან ერთად ძველ საქართველოში მეტად ფართოდ იყო წარმოდგენილი ცხოველთა თაყვანისცემაც. ამ კულტის უფრო დაწინაურებულ საფუძველთან ერთად შემონახულია უფრო ადრეული წარმოდგენებიც. თაყვანისცემის კულტის ობიექტებად არა მარტო ძლიერი გარეული და შინაური ცხოველები გვევლინება, არამედ ქვეწარმავლები და სუსტი ცხოველებიც. როგორიც არის გველი, ხვლიკი, თაგვი, ბაყაყი; შინაური ცხოველებიდან – ხბო; ფრინველებიდან – მამალი და ა.შ. სვანეთში აქ ჩამოთვლილი ცხოველებიდან არჩევდნენ ისეთებს, რომლებიც სხვა დანარჩენებისგან განსხვავდებოდნენ ვერცხლისფერი ან ოქროსფერი ბრწყინვალებით. ასეთი საკულტო ცხოველი ყველა ოჯახს ჰყავდა და მათ მ ე ზ ი რ ს ეძახდნენ.

ს ა ა ხ ა ლ წ ლ ო ჩ ი ჩ ი ლ ა კ ი.
მხატ. შ. კ ა კ ა ბ ა ძ ე

მორწმუნე სვანის შეხედულების თანახმად მეზირის მოკვლა ოჯახის უფროსი დიასახლისის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილს გამოიწვევდა. ხალხის წარმოდგენით მეზირის საცხოვრებელი ბინა იყო სახლი, „სენა“ და გარეთ – გორაკები. ისინი შემდეგ ოჯახის ჭერის მფარველებიდან გადაიქცნენ ადგილის მფარველებად. ამის შესაფერისად მათი სამფლობელოებიც აშენდა ჭალებში და ბორცვებზე დასახლებული პუნქტების ახლოს.

როდესაც ცხოველთა თაყვანისცემაზე ვლაპარაკობთ, უნდა განვასხვავოთ გარეული და შინაური ცხოველთა კულტი. პირველი მათგანი მონადირეობის პერიოდზე მოდის, ხოლო მეორე მესაქონლეობაზე, რომელიც შემდეგ მიწათმოქმედებასაც უკავშირდება.

გარეულ ცხოველთა თაყვანისცემის უადრეს საფეხურად შეიძლება მივიჩნიოთ პერიოდი, როდესაც თაყვანისცემის ობიექტად გამოდის თითქმის ყოველი ცხოველი, ეს საფეხური ტოტემისტურად მიიჩნევა. ტოტემური ცხოველებიდან საქართველოში, კერძოდ სვანეთში, მგელია დადასტურებული. მგელი სვანთა წარმოდგენით მეტად ძლიერი ცხოველი იყო. მას ზებუნებრივი ფიზიკური და მაგიური ძალა მიეწერებოდა. მისი მოკვლა ტაბუირებული იყო. მოკვლის შემთხვევაში, სვანური ჩვეულების თანახმად მონადირე ებოდიშებოდა მოკლულ მგელს, რომ შემთხვევით მოუხვდა ეს ამბავი, თორემ მას ისევე არ გაიმეტებდა სასიკვდილოდ, როგორც საკუთარ ძმას.

სვანური დროშა „ლემ“

მგლის ტოტემურიდან მომდინარეობს სვანური დროშა – **ლემ**. მგლის ტოტემთანვეა დაკავშირებული მრავალრიცხოვანი უქმეები და დღესასწაულები: მგელთუქმე, მგელთკვერაობა, სვანური ლითხრი და სხვა. ამ დროს სრულდებოდა მაგიური ქმედებები, ლოცვა და შელოცვები, ცხვებოდა რიტუალური კვერები და სხვა. ყველაფერი ეს მიმართული იყო იმისკენ, რომ კეთილად განეწყოთ ეს ცხოველები და ამით დაეცვათ თავიანთი საქონელი.

ცხოველთა კულტის შემდგომ საფეხურზე ცხოველთა მთელ კლასს გამოეყოფა ერთი მათგანი, რომელიც დაჯილდოვებულია რაიმე განსაკუთრებული ნიშნით, იგი ცხოველთა მწყემსად, მათ პატრონად ითვლებოდა, მას ზოომორფული ხასიათი აქვს. ასეთია მაგალითად, ხევსურული ნ ა დ ი რ თ მ წ ყ ე მ ს ი.

მთხრობელთა გადმოცემით, ჯიხვებს ერთი დიდი ჯიხვი ჰყავთ წინამძღოლად. იგი მათი მწყემსი და მფარველია. მონადირენი ძლიერ ერიდებიან ამ ჯიხვის მოკვლას, ვინაიდან სწამთ, რომ მისი მოკვლა მონადირეს უბრალოდ არ ჩაუვლის; იგი რაიმე ხიფათს გადაეკიდება ან ნადირნი შემოსწყრებიან, ვერაფერს მოჰკლავს და შეიძლება კლდეზედაც გადაიჩეხოს (ს. მაკალათია, მ. ბალიაური).

ივ. ჯავახიშვილი ხევსურულ ნადირთ ხვთაების სახელის ო ჩ ო პ ი ნ ტ რ ე ს – პირველ ნაწილს ო ჩ ო -ს უკავშირებს მეგრულ ო ჩ ო -ს, ჭანურ ბ უ ჩ -ასა და ჩაჩნურ ბ ო ჭ და ბ უ ო ე -თან, რაც მამალ თხას, ვაცს ნიშნავს, მისი კვლევის თანახმად, ხსენებულ სახელწოდებაში ვაჟი-კაცი უნდა იგულისხმებოდეს, ოღონდ თავდაპირველად მას მამალი თხის ან ცხვრის, ე.ი. ვაცის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდაო. შემდეგში მოპოვებულმა ეთნოგრაფიულმა მასალამ დაადასტურა, რომ ნადირი მწყემსი მართლაც ხარ-ჯიხვის, ე.ი. ვაცის სახით იყო წარმოდგენილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვითარების მომდევნო საფეხურზე ეს ზოომორფული პატრონები, ანთროპომორფულ სახეს იღებენ.

ნადირთ ღვთაებებიდან საქართველოში ცნობილი იყვნენ სვანური ნადირობის ქალღმერთო ოქროსთმიანი დ ა ლ ი, ხევსურული – ა ნ ა ტ ო რ ი, მეგრული – ქ ი ნ ი ა ნ თ ა რ ი და სხვა. ასევე, ნადირთა და ფრინველთა მფარველად (მეგრელთა რწმენის თანახმად) მ ე ს ე ფ ე ბ ი ც გვევლინებიან, რომელნიც ზღვიდან ამოდიოდნენ, შეეძლოთ ტაროსის ცვალებადობა, ნადირობაში ხელის მომართვა ან შეშლა, მათთვის სიცოცხლის მინიჭება და ა.შ. მონადირეობის პერიოდისაა აგრეთვე მეთევზეობის მფარველი ღვთაება ლ ა რ ს ა, რომელიც იმერეთის ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ შემოინახა. თევზის კულტი ძველ საქართველოში მეტად ფესვგადგმული იყო, რამაც თავის კონკრეტული გამოხატულება პოვა როგორც მატერიალური კულტურის ძეგლებში, ისე რწმენასა და წეს-ჩვეულებაში. თევზი, ძირითადად, მიჩნეული იყო ნაყოფიერების ძალის შემცველად და ამ შეხედულებიდან გამომდინარეობდა კულტი-სათვის დამახასიათებელი სათანადო ელემენტებიც.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, გარეულ ცხოველთა კულტის გვერდით ქართველთა ძველ ეთნოგრაფიულ ყოფაში დასტურდება შინაურ ცხოველთა თაყვანისცემაც.

შინაური საქონლის უძველეს ღვთაებად საქართველოში ბოსელი დასტურდება (ვ. ბარდაველიძე) მისი კულტი დღეობა ბ ო ს ლ ო ბ ა შ ი ა ასახული, რომლის მიხედვითაც ეს დღეობა თავდაპირველად ცხოველური სახისად ჩანდა. შინაურ მსხვილფეხა რქოსანი ცხოველებიდან კი საქართველოში ხარი უნდა ყოფილიყო გაღმერთებული, სვანებში ბ ო მ ბ ღ ა ს ეპითეტით წარმოდგენილი. ღვთაება ბოსელიც მიწათმოქმედების მეურნეობასთან არის დაკავშირებული.

ასტრალური რელიგიის ბატონობის ხანაში, მიწათმოქმედების პერიოდის ღვთაებები ითავსებენ მესაქონლეობის ხანის ღვთაებათა ფუნქციებს და გვევლინებიან სქესობრივი განაყოფიერების, საქონლისა და ადამიანთა გამრავლების, მოსავლიანობისა და დოვლათიანობის უზენაეს მფარველად.

ასტრალური რელიგია ძირითადად მიწათმოქმედების პერიოდში ვითარდება. მონადირეობისა და მესაქონლეობის ხანაში მზე და მთვარე ყურადღების ცენტრში არ იყო მოქცეული. დროთა განმავლობაში, მიწათმოქმედების განვითარებასთან დაკავშირებით, ანიმისტური წარმოდგენების საფუძველზე მოხდა ამ მნათობთა გაცოცხლება, მათი ანთროპომორფიზაცია. ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერებისა და ხალხში დაცული რწმენის თანახმად, მზე და მთვარე და-ძმანი არიან ან ცოლ-ქმარი, მათ დედებიც ჰყავთ, უმეტეს შემთხვევაში მზე მდედრობითი სქესისაა, მთვარე კი მამრობითისა.

მზის ღვთაება საქართველოში ცნობილი იყო დ ღ ე - დ ღ ე ს ი ნ ა თ ლ ი ს, მ ზ ე - ქ ა ლ ი ს, ბ ა რ ბ ა ლ ე ს, ქ ა ლ ბ ა რ ბ ა ლ ე ს სახელებთან. იგი, ერთი მხრივ მიჩნეული იყო შინაური ცხოველების, პირველ რიგში, ძროხების უზენაეს პატრონად, ქალთა მფარველად, სიცოცხლის, სითბოს, თვალის სინათლის, ნაყოფიერების მიმნიჭებლად. ხოლო მეორე მხრივ, მოსავლიანობის მფარველად. ხევსურული რელიგიური რწმენის თანახმად მზე ქალი განაგებს თთელი წლის მოსავლიანობის ამბავს. მას შეუძლია დაწვას მოსავალი, ცუდი ტაროსი დაუყენოს და მთლიანად გაანადგუროს. იგი, მზექალი უნაწილებს საყმოებს თავის წილ „ქერ-ოქროთ" პურეულის მოსავალს და ა.შ.

აქ, როგორც ვხედავთ, მესაქონლეობის ღვთაებათა ფუნქციები, მზეს, როგორც მოსავლიანობის ბატონ-პატრონს, მიწათმოქმედების ხანის უძველეს ღვთაებას, გაზიარებული აქვს და მის გამგებლადაც ითვლება.

მიწათმოქმედებასთან უშუალოდ იყო დაკავშირებული ღვთაება ჩ ა ნ ი ს კულტი. როგორც გარკვეულია ჩანი ითვლებოდა უძველესი მარცვლოვანი კულტურის, კერძოდ, ფეტვის უდიდეს ბატონ-პატრონად და მფარველ ღვთაებად (ივ. ჯავახიშვილი). გარკვეულია ისიც, რომ იგი ღამის მნათობს, მთვარეს უკავშირდებოდა. ასეთ შერწყმას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ სვანთა რელიგიის განვითარების გარკვეულ საფეხურზე თანაარსებობდნენ მთვარისა და ფეტვის კულტები, რამაც სავარაუდებელია ხელი შეუწყო ამ უძველესი მარცვლოვანი კულტურის უზენაესი ბატონ-პატრონის ასტრალური სახის ღვთაებად ჩამოყალიბებას (ჯ. რუხაძე).

მესაქონლეობის და მიწათმოქმედების ხანაში რელიგიურ კულტს, როგორც უკვე აღნიშნულია, თან ერთვოდა უძველესი მაგიური წეს-ჩვეულებები, რომელთა მიზანი მოსავლიანობისა და ბარაქის უზრუნველყოფა იყო. ქართული ბ ე რ ი კ ა ო ბ ა - ყ ე ე ნ ო ბ ა შ ი, რომელიც ბუნების აღორძინებისა და, საერთოდ, ნაყოფიერების დღესასწაულს წარმოადგენდა, რომელიც მოსავლიანობის გადიდების მიზნად სრულდებოდა მრავალი მაგიური წესი დგინდება

განსაკუთრებით აღსანიშნავია აღმოსავლეთ საქართველოს ბარში დამოწმებული საყოველთაოდ ცნობილი ლ ა ზ ა რ ო ბ ა, ანუ გ ო ნ ჯ ა ო ბ ა, რომელსაც შემდეგ წყლის მოხვნის წესი ერთვოდა.

ბერიკაობა. მხატვ. ვ. ოჩიაური.

ხალხური სანახაობა. ყოჩების დაჭიდება

(მხატვარი ზ.წერეთელი)

ბერიკები
(მხატვარი ზ.წერეთელი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიული წარსულის კვლევის დროს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება მითოლოგიის გათვალისწინებას, ვინაიდან როგორც ცნობილია, მითში ფანტასტიკურ ამბებთან ერთად ასახულია რეალურ სინამდვილეში მომხდარი ამბებიც. ამ თვალსაზრისით ქართული მითოლოგია საყურადღებო მონაცემებს შეიცავს. საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეში ხერხდება ხსენებული ჟანრის თქმულებათა დამოწმება, რომელთაგანაც ზოგი-ერთი ზოგად-ქართულია, ზოგი კი მხოლოდ ამა თუ იმ ეთნიკური წრისათვის არის დამახასიათებელი.

ქართული მოტივი.
მხატ. ი. შარლემანი

პირველი რიგის თქმულებად შეიძლება ამირანიანი ჩაითვალოს, რომლის ვარიანტები მთელ საქართველოშია გაბნეული. ამ ვარიანტთა შეკრების შედეგად თქმულების ზოგადი შინაარსი ასეთია:

ამირანი უძლიერესი გმირია, რომელიც ღვთაებრივი წარმოშობისაა. მისი მამა, რომლის სახელი სულკალმახი ფშავურმა ვარიანტმა შემოინახა, მონადირეა, ხოლო დედა – ულამაზესი, ოქროსფერთმიანი ნადირობის ქალღმერთი დალი (სვანური ვარიანტი).

ამირანი დაჯილდოებულია ზებუნებრივი თვისებებით: აქვს ოქროს კბილი, საცრისოდენა თვალები, შეუდარებელი ღონე. იგი არ მოკვდება, ვიდრე ნეკა თითს არ მოსჭრიან. გარდა ამისა, მას აქვს გასაოცარი სიმძიმის ხმალი, რომლის წრთობის დროსაც

„ცა ჰექდა, მიწა გრგვინავდა,
სამჭედლო ექანებოდა.
მჭედლები, მემჭედურები
ერთმანეთს ეფარებოდა“.

ჰყავს აგრეთვე ყორნის (ზოგი ვარიანტით ორბის) ნაშობი გოშია, რომელსაც ფრთები გააჩნია.

ამირანი საგმირო საქმეებს თავის ძმებთან (ზოგი ვარიანტით ძმობილებთან) უსუპთან და ბადრთან ერთად ეწევა. იგი გამუდმებით ებრძვის ავსულებს, დევებსა და გველეშაპებს, რომელთაც მუდამ ამარცხებს. ამირანი მოიტაცებს ღრუბელთა ბატონის ქალს ყამარს, რომელიც ცაში ჯაჭვით ჩამობმულ კოშკში იმყოფებოდა, სადაც ყამარის დედ-მამა ცხოვრობს, მათ ტაროსის შეცვლა შეუძლიათ (ამირანის მდევრად წამოსული ყამარის მამის ლაშქარი ქარსა და გრიგალს ტეხავს, დედის ცრემლი კი წვიმად მოდის). ყამარის მამა ნახევრად ფოლადის კაცია, რომელსაც ამირანი ყამარის დახმარებით ამარცხებს.

ამირანი თანდათან უძლეველი ხდება. იგი იმდენად ამაყდება, რომ ღონის გამოსაცდელად თვით ღმერთსაც კი გამოიწვევს. შეურაცყოფილი ღმერთი სჯის მას კაცდნიერებისათვის და კავკასიონზე მიაჯაჭვებს (ზოგი ვარიანტით ყაზბეგის მთას ხურავს თავზე და სხვა).

მძიმე დღეებში ამირანს თავს არ ანებებს ერთგული გოშია, რომელიც ეხმარება მას განთავისუფლებაში (ზოგი ვარიანტით რკინას ლოკავს და ჯაჭვს გასანთავისუფლებლად წყვეტად აწვრილებს, ზოგი ვარიანტით – პალოს ამოძრობაში შვილის ამირანს). მაგრამ ყოველგვარი ცდა ამაოა. დაპკრავს თუ არა მჭედელი გრდემლზე კვერს, ჯაჭვი კვლავ სქელდება, ასევე ესობა ამოძრობის პირზე მისული პალო მიწაში, როდესაც ამირანის მოქნეული რკინის „კვეჟო" ჩიტის მაგივრად მას ხვდება.

ასეთია მოკლედ ის ძირითადი ჩონჩხი, რომელიც ამირანიანის თქმულებას უდევს საფუძვლად.

მითი ამირანის შესახებ ძველთაგანვე იქცევდა მკვლევართა ყურადღებას. ამ ინტერესს აძლიერებდა ის გარეომება, რომ მსგავსი თქმულება მოიპოვება ბერძნულ მითოლოგიაშიც პრომეთეს მითის სახით.

პრომეთესა და ამირანის მითებს განსაკუთრებით აახლოვებს ერთმანეთთან ყამარის მოტაცების ამბავი, რომელიც პრომეთეს მიერ ზეციური ცეცხლის მოტაცებას ემსგავსება და მიჯაჭვის მოტივი, რომელიც ორივე მითის ფინალს წარმოადგენს.

პრომეთეს მითის არაბერძნულ წარმოშობაზე მიუთითებდნენ ჯერ კიდევ ძველი ბერძენი მწერლები (სტრაბონი, არიანე, ფილოსტრატე და სხვა.), რომლებიც მას კავკასიურად თვლიდნენ. პრომეთეს მიჯაჭვის ადგილადაც ისინი კავკასიონს მიიჩნევდნენ.

ამირანისა და პრომეთეს ურთიერთობის საკითხის კვლევა დღემდე არ შენელებულა. ზოგი მკვლევარი ამ მსგავსებას ხსნის იმით, რომ ორივე მათგანი ერთი წრიდან, კერძოდ, იაფეტური სამყაროდან წარმოშობილად მიიჩნიათ, რომელიც შემდეგ საბერძნეთში გადავიდა და პრომეთეს მითად იქცა (ნ. მარი). ზოგის აზრით, პრომეთეს ბერძნული მითი წარმოშობილია უშუალოდ საბერძნეთ-კოლხიდის ურთიერთობის საფუძველზე. ამტკიცებენ იმასაც, რომ ისინი დამოუკიდებლად წარმოშობილი პარალელური სიუჟეტებია.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება ამირანიანის კავშირის შესახებ ძველ აღმოსავლეთში საყოველთაოდ ცნობილ გილგამეშის ეპოსთან. ამ მოსაზრების საფუძველს იძლევა, ჯერ ერთი, გილგამეშისა და ამირანიანის მოტივთა თანხვედრები, ხოლო, მეორე მხრივ, ამირანიანში დაცულ საკუთარ სახელთა ახსნა ძველ აღმოსავლურ სამყაროში დამოწმებულ სახელთა საფუძველზე. ერთი ასეთ სახელთაგანია სულკალმახი, რომელიც მიჩნეულია ელამის უზენაეს მმართველთა ტიტულ სულკალმახიდან მომდინარედ (გ. მელიქიშვილი). მეორე კი ყამარი, რომელიც დაკავშირებულია ელამიტურ ღვთაება ლაგამართან (ივ. ჯავახიშვილი). ლაგამარი, თავის მხრივ, შეესატყვისება სემიტურ ქალღვთაება იშთარს, რომელიც გილგამეშის ეპოსის მთავარი პერსონაჟია.

ამირანიანი, რომელიც მრავალმხრივ იქცევს სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ყურადღებას, მეტად მნიშვნელოვანია ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც. იგი წარმოადგენს წინაქრისტიანული, წარმართობის ხანის კუთვნილებას, რომელსაც მრავალი ეპოქის დანალექი გააჩნია. იდეოლოგიის თვალსაზრისით ჩვენ აქ საქმე გვაქვს განვითარებულ მაღალ ასტრალურ რელიგიასთან. ამირანიანის პერსონაჟები, რომლებიც ძირითადად ღვთაებრივი წარმოშობისა არიან, ზეცაში ბინადრობენ და გარკვეული ბუნებრივი ხასიათის ფუნქციები აქვთ დაკისრებული. ანთროპომორფული და ამდენად ასტრალურია ნადიობის ქალღმერთი დალი, რომელიც მონადირეობის განვითარებული საფეხურის

შესატყვისია. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ხევსურეთში ვარსკლავთა გარკვეული ჯგუფი ამირანის სახელწოდებით არის ცნობილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფის თვალსაზრისით თქმულებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მონადირეობისა და მეტალურგიის შესახებ არსებული მონაცემები.

მონადირეობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ნადირობის წესების აღწერა: კლდეებზე სასიარულოთ რკინის სატეხების გამოყენება, სანადირო დანის ქონა, მონადირის ძაღლის ყოლა, ნადირის ძებნა მისი ნაკვალევის მიხედვით და სხვ. ეს მომენტები თქმულების ჩონჩხის არსებით ნაწილს წარმოადგენს და ამდენად განვითარების გარკვეულ საფეხურის ასახვისათვის მნიშვნელობის მქონეა.

წამყვანი მნიშვნელობა ამირანიანის ეპოსში მეტალურგიას აქვს მინიჭებული. იგი თქმულების სიუჟეტის მთელ მანძილზე ვლინდება. უპირველეს ყოვლისა, ამირანის მამა რკინის პალოების მეშვეობით ადის მზეთუნახავ დალთან. თვით დალის ოქროს თმები და ოქროს მაკრატელი გააჩნია. ამირანსაც აქვს ოქროს კბილი, ბასრი დანა, უმძიმესი ხმალი, რომელსაც რამდენიმე მუჭიელი აწრთობს სამეჯლოში. ყამარის მამა ნახევრად ფოლადის კაცია, რომელსაც ხმლის დარტყმაზე ნაპერწკლები სცვივა. ყამარის კოშკი რკინის ჯაჭვით ჰკიდია ცაში. რკინის ჯაჭვითვე მიაჯაჭვა ამირანი გამწყრალმა ღმერთმა. ამირანს რკინის „კვეჟო" აქვს და სხვა. მთელი თქმულება გამოავლენს მეტალურგიის უაღრესად განვითარებულ, მაღალ საფეხურს, რაც მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ იგი შექმნილია მეტალურგ ხალხთა გარემოში. ქართველთა წინაპარი ტომები, როგორც ცნობილია, მთელ მსოფლიოში განთქმულნი იყვნენ თავისი მეტალურგიული წარმოებით. ეს ვითარება აისახა ამირანიანშიც, რომელიც მეტალურგიული ეპოქის პირმშო შვილს წარმოადგენს. ამ ვითარების გამო ამირანიანს მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება კულტურის ისტორიის თვალსაზრისით.

თქმულება, რომელიც მაღალ მხატვრული ღირსებისაა რაც მისი შემქმნელი ხალხის შემოქმედების მაღალხარისხოვნობაზე მიუთითებს, მნიშვნელოვანია ჩვენი წარსულის გარკვეული მხარეების გამოვლენის საქმეში, ქართველი ტომების ძველ კულტურულ სამყაროსთან ურთიერთობის აღდგენის თვალსაზრისით.

*

* *

გარკვეულია, რომ მითოლოგიური ხასიათის გადმოცემებში დაცულია ცნობები მოსახლეობის ძველი ფენების შესახებ. ამდენად მათ შესწავლას მნიშვნელობა ენიჭება ამა თუ იმ ხალხის ძველი ეთნიკური შემადგენლობის გარკვევისათვის. ერთი ასეთი თქმულებათაგანია ხევსურული თქმულება კავკაზაურების შესახებ.

თქმულების თანახმად ხევსურეთში, ვიდრე ხევსურთა წინაპარი სამი ძმა დასახლდებოდა სოფ. გუდანში, დღევანდელი გუდანის ჯვრის ტერიტორიაზე, კავკაზაურთ სოფელი ყოფილა. ერთი კავკაზაურის სახლის კერაში იფნის ხე ამოსულა, რომელიც კავკაზაურს მოუჭრია. მეორე დღეს იგივე განმეორებულა, მესამე დღეს კი ამოსულ იფნს თან გველი ამოჰყოლია, რომელიც კავკაზაურს იფნთან ერთად მოუკაფავს. ამის შემდეგ ხვნის დროს ხსენებული კავკაზაურის ხარებს უღელზე გველი დახვევიათ. კავკაზაურს კვლავ დაუჭრია იგი. მეორე დღეს, როდესაც ისევ დახვევია უღელს გველი და კავკაზაურს კიდევ დაუჭრია

იგი, გველი და ხარ-გუთანი ერთმანეთში არეულან და კლდეზე გადაჩეხილან. ამის შემდეგ სოფელში ავადმყოფობა გაჩენილა და მთელი სოფელი გაწყვეტილა, ნასოფლარში კი გუდანის ჯვარი დასახლებულა. ამის შემდეგ მოსულან აქ დღევანდელ ხევსურთა წინაპრები არაბა, გოგოჭა, ჭინჭარა. გადმოცემაში, როგორც ჩანს, საქმე გვაქვს ძველი და ახალი მოსახლეობის შეჯახებასთან, სადაც კავკაზაურებს გუდანის ჯვარის სახით გუდანელები ებრძვიან. გადმოცემის სიძველეზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ღვთაება გველის სახით ევლინება კავკაზაურებს. ბრძოლის ამგვარი სახე ძველსა და ახალ მოსახლეობას შორის უძველესი ხანიდან არის ცნობილი. მაგალითად, ჰეროდოტეს მოეპოვება ცნობა ახალი მოსახლეობის მოსვლასთან დაკავშირებით. აქ გველები (აბორიგენები) და ცხენები (მოსულნი) ებრძვიან ერთმანეთს. კავკაზაურის მითის შესწავლის შედეგად გარკვეულია, რომ კავკაზაურების ქვეშ ივარაუდება ძველ ისტორიკოსთა ცნობებში (ლ. მროველი, სომეხი ისტორიკოსი ვარდანი) მოხსენებული კავკასის ეთნიკური ფენა. ხევსურული გადმოცემა კავკაზაურების შესახებ მიუთითებს საქართველოს ამ კუთხეში ხევსურებზე ადრინდელი მოსახლეობის არსებობაზე და რომ ეს ძველი ეთნიკური ფენა კულტურულ-ეთნიკურ კავშირშია ცენტრალური კავკასიის მოსახლეობასთან.

ამავე რიგის თქმულებებს განეკუთვნება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული ციკლი იახსარისა და კოპალას მიერ ფშავ-ხევსურეთის ტერიტორიაზე მოსახლე დევ-კერპთა ამოწყვეტისა და განდევნის შესახებ. მითის ზოგადი შინაარსი ასეთია: ოდესღაც დღევანდელი ხევსურეთის, ფშავის გარკვეული ტერიტორია დევ-კერპებით ყოფილა დასახლებუდი. დევები მეურნეობითა და ხელოსნობით ირჩენდნენ თავს. მეურნეობიდან, ძირითადად, წვრილფეხა მესაქონლეობას და მიწათმოქმედებას მისდევდნენ, ხოლო ხელოსნობიდან, მჭედლობითა და ქვის ხუროებათ იყვნენ ცნობილნი. განსაკუთრებით განვითარებული ყოფილა მათში მჭედლობის ხელოვნება. ახლო-მახლო მთის მოსახლეობაში მათზე უკეთ ვერავინ ჭედდა. ფშაველ-ხევსურეთთა წინაპრები დევების მიერ დამზადებული რკინის იარაღებით კმაყოფილდებოდნენ. თქმულებაში ნათქვამია, რომ დევთა მიერ გაჭედილი სახნისით მოხნული ყანა ერთ ღერზე ორ თავთავს იბამდა.

ხევსურ თუ ფშაველ შემკვეთლებს ისინი გარკვეულ შემთხვევაში უწევდნენ მომსახურეობას: კერძოდ, მამაკაცს სამჭედლოს არ აკარებდნენ, ქალისგან კი შეკვეთას ხალისით იღებდნენ. ამ შემთხვევაში ისინი თავს იცავდნენ კონკურენციისგან, ვინაიდან მამაკაცს მათი ხელობის საიდუმლოს შეტყობა და შესწავლა შეეძლო, ქალებისგან კი ეს საფრთხე მოსალოდნელი არ იყო.

დევები ცალკე ოჯახებად სოფლებში ცხოვრობდნენ. ისინი საკმაოდ ძლიერნი იყვნენ, ჩაგრავდნენ მეზობლად მოსახლე ფშავ-ხევსურთა წინაპრებს, შეურაცყოფას აყენებდნენ მათ სალოცავებს, უმიჯნურდებოდნენ ქალებს, ხოცავდნენ ხალხსა და სხვ.

შეწუხებულმა ფშავ-ხევსურებმა შესთხოვეს თავიანთ სალოცავებს დახმარება დევთა განდევნის საქმეში. ღვთისშვილები მორიგე ღმერთის კარზე შეიკრიბნენ საქმის გადასაწყვეტად. მორიგემ ისმინა ხალხის ვედრება და ღვთისშვილები ძალ-ღონეში გამოსცადა. გამარჯვება იახსარსა და კოპალას ერგოთ, და დევების ამოწყვეტაც მათ დაეკისრათ. ამის შემდეგ მოთხრობილია, თუ როგორ მოემზადნენ ბრძოლისათვის ხსენებული ღვთისშვილები, როგორ გამოიწვიეს შეჯიბრში დევთა ფალავნები, როგორ დაამარცხეს ისინი, როგორ დაე-

რივნენ შემდეგ დანარჩენებსა და ამოჟლიტეს. დევთა განდევნის შემდეგ ფშავ-ხევსურებმა მათ ნასოფლარებში იახსრისა და კოპალას სალოცავები დაარსეს და თვითონაც ახლო-მახლო დასახლდნენ. ამის შემდეგ, მანამდე თვალით ხილული დევები უხილავ არსებებად იქცნენ და სამუდამოდ მიატოვეს ოდესღაც მათი კუთვნილი ტერიტორია.

ასეთია ძალიან მოკლედ თქმულების სიუჟეტი.

სათანადო ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ამ ნახევრად ზღაპრულ გადმოცემაში, დევ-კერპთა ქვეშ ივარაუდება მოსახლეობის ძველი ფენა, რომელიც წინ უსწრებდა შემდეგ მოსულ ფშავ-ხევსურთა წინაპრებს, რომ ეს ფენა ცნობილი იყო თავისი მეტალურგიით და რომ დევ-კერპთა და იახსარ-კოპალას შებრძოლებაში ივარაუდება ამ ორი ფენის შებრძოლება, რომელიც ძველი მოსახლეობის დამარცხებითა და განდევნით დამთავრდა.

ჯვარ-ხატების სახელით მეზობელ ტომების დალაშქვრის ფაქტები განსაკუთრებული სიმკვეთრით არის ასახული ხევსურულ გადმოცემაში, ხახმატის ჯვარისა და გახუა მეგრელაურის შესახებ, რომელიც ქაჯავეთზე გალაშქრებას ეხება. თქმულების თანახმად ხევსურეთის ღვთიშვილნი, ხახმატის ჯვარი – გიორგი ნაღვარმშვენიერის მეთაურობით, გადაწყვეტენ ქაჯავეთის დალაშქვრას ნადავლის მოტაცების მიზნით. მოლაშქრეებს თან ახლავთ ხახმატის ჯვარის-მცოდნე გახუა მეგრელაურიც, რომელსაც ღვთიშვილებმა დროებით სული ამოაცალეს, გვამი გზაზე დატოვეს და ისე იახლეს თან. მოლაშქრეებმა, როდესაც ქაჯავეთის ტერიტორიას მიაღწიეს, გიორგი ხახმატის ჯვარი გაუჩინარდა, „საფარველი დაიდო". ზოგი ვარიანტის მიხედვით ბუზად ან მტრედად იქცა და ისე შეიპარა ქაჯთა სოფელში. არის მოთხრობილი იმის შესახებაც, რომ ისინი პირდაპირ მივიდნენ ქაჯთა სოფელში, ოღონდ თავიანთი ვინაობა დამალეს.

ღვთიშვილებმა დაათვალიერეს სოფელი, თვალი შეავლეს ჩამწკრივებულ სამჭედლოთა რიგებს და როდესაც შესაფერისი მომენტი დაურჩათ, უცებ ეკვეთენ მტერს.

ზოგი ვარიანტით, ქაჯთა საფეხნოში მოთავსებულ სამჭედლოში ქაჯთა მჭედელი სინას ჭედდა. გიორგიმ მოაჯადოვა რკინა, ჯანღი გააჩინა სამჭედლოში, ააფეთქა იგი, გამოიტაცა სამჭედლო იარაღები: გრდემლი, კვერი და წამოვიდა.

სხვა ვარიანტის მიხედვით, იმ დროს როდესაც გიორგი ქაჯთა სოფელში დადიოდა, სხვა ღვთიშვილები გორაკს ამოფარებულნი ნიშანს ელოდნენ. როდესაც გიორგიმ სამჭედლოს ცეცხლი გაუჩინა, ისინი გამოცვივდნენ თავიანთ საფარიდან, დაერივნენ ქაჯებს და ნადავლი გამოიტაცეს. ქაჯებმა ჯერ გავარვარეუბლი რკინის სროლა დაუწყეს მათ, რასაც ხახმატის ჯვარი ხელით იქერდა და უკანვე უბრუნებდა, ხოლო შემდეგ კატის თავ-ფეხი მიაყოლეს, რამაც ძალზე შეაკრთო ხევსურთა სალოცავები. ისინი გუდანის ჯვარის ფარს (დიდი ზომის ფარი) ამოეფარნენ და ამით დაიცვეს თავი.

ქაჯავეთიდან ღვთიშვილებმა მორეკეს მსხვილფეხა საქონელი, მოიტანეს სამჭედლო იარაღები: ქურთებული (გრდემლი), ხელ კვერი, მარწუხი, გარდა ამისა, თასები, ცხრაენიანი ოქროს ზარი, ცხრა ძალიანი ფანდური, სასროლი სამართებელი, მკლავის სისქე ჯაჭვის რგოლებიანი საკიდელი, სანაყი და სხვ.

დაბრუნებულებმა გახუას სული ისევ მის გვამში მოათავსეს, გააცოცხლეს და იგი თავის ჩვეულებრივ საქმიანობაას დაუბრუნეს.

ამ მითიური ხასიათის თქმულებაში, როგორც ეს სათანადო შესწავლამ გამოავლინა, საქმე გვაქვს რეალურ ამბებთან. კერძოდ, ერთი მხრივ, მასში აღ-

წერილია ერთ-ერთი ლამჭრობათაგანი, რომელსაც ფშავ-ხევსურნი თავიანთ სალოცავების სახელით ჩვეულებრივ აწყობდნენ მეზობელ ინგუშ-ჩეჩნებზე. ასეთი ლამჭრობების მიზანი იყო საქონლის გადმორეკა და რკინა-სპილენის იარაღ-საგნების მოტაცება, რომლის ნაკლულობას მთიელნი მუდამ განიცდიდნენ. ხოლო, მეორე მხრივ, საქმე გვაქვს უფრო შორეული ამბების გამოძახილთან, სახელდობრ, ქაჯების ქვეშ უნდა ივარაუდო ძველი ქაშაგები და მათთან ქართველ მთიელ ტომთა ურთიერთობის ამბები.

*

* *

გარდა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში დაცული მითოლოგიური გადმოცემებისა არსებობს თქმულებები, რომლებიც არა ქართულია, მაგრამ მათში ასახული ამბები საყურადღებოა ჩვენი ისტორიული ეთნოგრაფიის თვალსაზრისით. ასეთი მითია, მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილი ბერძნული თქმულება არგონავტების შესახებ. მითის მოკლე შინაარსი ასეთია: ბეოტიის ქალაქის ორქომენის მეფის ძე ფრიქსე, რომელიც ზევსისათვის მსხვერპლად უნდა შეეწირათ, ოქროს საწმისიანმა ვერძმა იხსნა. ვერძმა ფრიქსე შავი ზღვის მახლობლად მდებარე ქვეყანაში – კოლხიდაში მიიყვანაო. კოლხიდის მეფე აიეტმა ფრიქსე კარგად მიიღო. ფრიქსემ მადლობის ნიშნად ოქროს საწმისიანი ვერძი ლტოლვილთა მფარველ ზევსს შესწირა, ხოლო საწმისი აიეტს აჩუქა.

ამ ოქროს საწმისის მოსაპოვებლად ბერძენთა გამოჩენილი გმირი იასონი, განთქმულ ბერძენ გმირთა თანხლებით, პელიასის ბრძანებით გაგზავნილ იქნა კოლხიდაში ხომალდ – არგოთი. მრავალი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ, სხვადასხვა ქვეყნებზე გავლით, არგო პონტოს უკიდურეს საზღვართან მივიდა და მდინარე ფაზისით აიეტის სამფლობელოს მიადგა. იასონმა აიეტს ოქროს საწმისი მოსთხოვა, რისთვისაც აიეტმა მას მეტად მძიმე პირობები წაუყენა: იასონს ფოლადის მთლიანი ნაჭრისგან დამზადებულ უღელში უნდა შეება სპილენძის ჩლიქებიანი ცეცხლის მფრქვეველი ხარები, მოეხნა მიწა, მოეკლა ურჩხული, დაეთესა მისი კბილები და ამ კბილებიდან ამოსული გოლიათები დაეხოცა.

იასონი აიეტის ასულის, გრძნეული მედეას დახმარებით ასრულებს ამ დავალებას და სამშობლოში ბრუნდება ოქროს საწმისისა და მედეას თანხლებით. მითში მოთხრობილია მედეასა და იასონის შემდეგი თავგადასავალი, იასონის ღალატი მედეასადმი, მედეას შურისძიება და იასონის სიკვდილი.

ამ მითში, როგორც ეს არაერთხელ არის აღიარებული, დაცულია ისტორიული სინამდვილე. უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მითმა შემოინახა ცნობები ცალკეული ქართული ტომების: კოლხების, ხალიბების, ტიბარენების, მოსინიკების, მაკრონებისა და სხვათა შესახებ. აღწერილია ამ ტომთა მცხოვრებლების ზნე-ჩვეულებანი, მათი საქმიანობის ძირითადი დარგები (მაგ. ხალიბებისა – მეტალურგია, ტიბარენების – მეცხვარეობა და სხვ.). განსაკუთრებით კარგად არის აღწერილი კოლხიდა და კოლხი ხალხის ყოფა, დამარხვისა და სტუმრის მიღების წესები, კოლხური ენა და წინაპართა მიერ დაწერილი კირბები, რომლებშიაც წყლისა და ხმელეთის ყველა საზღვარია მოგზაურთათვის ნაჩვენები: კოლხური ხომალდი და მაგარი ფოლადის გუთანი, კოლხური ქალაქი, სასახლე, ქალაქის ქუჩები და სხვ.

გარდა ამისა, დაცულია ცნობები ქართველი ტომების ურთიერთობისა სხვა ხალხებთან, მათი საკოლონიზაციო მოძრაობა ხმელთაშუა ზღვის აუზში.

არგონავტთა თქმულებამ შემოგვინახა მთელი რიგი საკუთარი სახელები, რომლებიც ქართულ ნიადაგზე იხსნებიან. ასეთია თუნდაც სახელწოდება „არგო", რომელიც ბოლოხანს გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით „ეგრისს" უკავშირდება (ს. ჯიქია).

თქმულებაში აღწერილი კოლხიდის მეფის ასულის მედეას გრძნეულების, მისი მკურნალობის, ხელოვნების ცოდნა, აგრეთვე, მნიშვნელოვანი გარემოებაა. იგი მიუთითებს იმ ისტორიულ სამედიცინო ტრადიციაზე, რომლითაც, როგორც გარკვეულია, ცნობილნი იყვნენ ჩვენი წინაპრები.

განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს არგონავტთა ლაშქრობის ძირითადი მიზეზის ოქროს საწმისის მოტივი. ოქროს საწმისთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული. ერთ-ერთი ყველაზე ძველი და ყველაზე პოპულარული შეხედულება შემდეგია: ჯერ კიდევ სტრაბონი მიუთითებდა, რომ კოლხიდა მდიდარი ქვეყანა იყო. ამ ქვეყანაში მდინარეს ოქროს ქვიშა ჩამოაქვს, რასაც ადგილობრივი მცხოვრებლები დაჩვრეტილი ვარცლებისა და გრძელბეწვიანი ბანჯგვლიანი ტყავებით აგროვებენ. ამან წარმოშვა არგონავტთა თქმულება. ამ სიმდიდრისათვის გაიქცა ფრიქსე კოლხიდაში და მას მიჰყვნენ შემდეგ არგონავტები.

ქალაქს ხერგამელისა (II ს. ახ.წ.ა.) და ლექსიკოგრაფ სვიდას (X ს.) აზრით, ოქროს საწმისი არის მხოლოდ ოქროს მოპოვების წესი, რაც დაწერილი იყო ტყავზე. ამ წესისათვის ილაშქრეს კოლხიდაში არგონავტებმაო. ამ შეხედულებებს იზიარებენ ბერძენი ავტორები: ჰეროდოტე, აპიანე, არიანე და სხვები. ამავე შეხედულებას უჭერს მხარს თანამედროვე ავტორები – ს. ჯანაშია, ლ. ბოჭორიშვილი და სხვ. სვანეთში გვიან ხანობამდე დაცული ოქრომჭედლობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია ასეთი მოსაზრების სრულ შესაძლებლობას იძლევა.

როგორც ვხედავთ, არგონავტთა თქმულებაში დაცულია მრავალი ისტორიული და ეთნოგრაფიული ფაქტი, რომელთა გათვალისწინება შუქს მოჰფენს ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულს, ხელს შეუწყობს ანტიკური საქართველოს ისტორიის საკითხების გარკვევას.

მედეა. მხატვ. ზ. წერეთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართულ ხალხურ სპორტულ თამაშთა შორის პირველი ადგილი უჭირავს ბურთაობას, ცხენოსნობას და ჭიდაობას.

ბურთაობიდან დასავლეთ საქართველოში ძველად, ყველაზე პოპულარული იყო ლელო-ბურთი და ჭაკუნი, რომელთა შორის უკანასკნელი, უმეტეს შემთხვევაში გოთაობის სახელწოდებით, აღმოსავლეთ საქართველოშიაც ასევე ფართოდ იყო გავრცელებული.

ლელო-ბურთში, რომელიც გურიაში გატანიეს სახელწოდებითაც არის ცნობილი, ორი დაპირისპირებული ჯგუფი უბნიდან, ქვემოურები და ზემოურები, სათამაშო მოედანზე გაიყოფოდნენ. ლელო მოედნის თავსა და ბოლოში იყო.

ბურთს მაღლა შეაგდებდნენ მოედნის შუა ადგილას, მის დასაჭერად ყველანი წაიწევდნენ. ვინც დაიჭერდა ის შეეცდებოდა მოპირდაპირე წრის გარღვევას. მოპირდაპირენი ცდილობდნენ ბურთის წართმევას. თუ მობურთალი დაიღლებოდა, შეეცდებოდა ბურთი გადაეცა თავისიანებისათვის და ამ ბრძოლით მიიწევდნენ მოპირდაპირეთა ზურგისაკენ ე.ი. ლელოსკენ. თუ მოპირდაპირენი ბურთს წაართმევდნენ, ისინი ცდილობდნენ ამათი ზურგისკენ ე.ი. თავიანთ ლელოზე გაეტანათ ბურთი. სანამ ბურთი ლელოზე გავიდოდა, რამდენჯერმე გადავიდოდა მოპირდაპირისგან მოპირდაპირის ხელში. ჯგუფებს წინდაწინ განსაზღვრავდნენ – ბურთის პირველ გამოჩენამდე. თვითოეული ჯგუფის მიერ გატანილი ბურთი დაითვლებოდა. ვინც თამაშს უმალ გაათავებდა, ის მხარე იყო გამარჯვებული.

იმ მოძრავ თამაშობათა პარალელურად, რომლის ერთად-ერთ ინვენტარს ბურთი წარმოადგენდა არსებობდა თამაშობათა მეორე სერია, რომლის დამახასიათებელ იარაღს ჯოხი შეადგენდა. ამ თამაშობათა შორის ტიპიურია ერთი მხრით შუბის ტყორცნის მაგვარი თამაში, რომელიც კახეთში / ჯირითი /, სვანეთში / ჯილითი / და საქართველოს სხვა კუთხეებში მარტივი სავარჯიშოს სახით იყო წარმოდგენილი და გულისხმობდა შეჯიბრს ჯოხის შორ მანძილზე ტყორცნაში, ხოლო, მეორე მხრით, ჯოხისტაციობა და სხვა ამ რიგის თამაშობა.

გურული **ჭაკუნობა** არა ერთგზის ყოფილა აღწერილი /ძველად ტ. მამალაძე, ჩვენ დროს ლ. ესაკია და სხვ./, მაგრამ ამ აღწერილობებში თამაშის რიგი მხარე არ არის სრულად წარმოდგენილი. 1950 წელს იგი კიდევ ერთხელ იყო აღწერილი (ალ. რობაქიძე), რაც, უკვე არსებულ აღწერილობებთან ერთად საშუალებას იძლევა ეს თამაშობა შედარებით სრულად წარმოვიდგინოთ.

ძველად, ორმოცდაათიოდე წლის წინ, გურიაში ჭაკუნობა საყოველთაოდ გავრცელებული და ხალხის საყვარელი თამაშობა იყო. ამ თამაშობას ეტანებოდა როგორც ახალგაზრდობა, ისევე მოზრდილთა თაობაც. ქალების მიერ ჭაკუნობის თამაში მხოლოდ აქა-იქ, გამონაკლისის სახით თუ წარმოებდა. ჭა-

კუნობა არ იყო დაკავშირებული ერთ რომელიმე დღესთან (დღეობა-დღესასწაულთან); თამაში იმართებოდა თავისუფალ დროს, უფრო კი კვირა დღეებში.

ჭაკუნი ეწოდება თამაშობის ძირითად იარაღს, რომლის სიგრძე 1-1,5 მ. უდრის და მორგებულია მოთამაშის სიმაღლეზე. ჭაკუნს აკეთებდნენ გარეული თხილის, ბროწეულის ან ბეღოლის ტოტისაგან. ჭაკუნისათვის ჩვეულებრივად ისეთ ტოტს ჭრიდნენ, რომელსაც მსხვილი და კარგად მოღუნული ძირი ჰქონდა.

გურიაში ჩაწერილი მასალის მიხედვით ჭაკუნობის დროს გამოყენებული ბურთი მუშტისოდენა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბურთისათვის საჭირო მასალა და მისი შემზადების ტექნიკა სხვადასხვა იყო. ზოგჯერ ბურთს საქონლის ბეწვისგან ამზადებდნენ, რისთვისაც მას თბილ წყალში ასველებდნენ და დიდხანს „ასვარსვალებდნენ" ხელით. საჭირო ზომის გორგლის მიღების შემდეგ მას გაახმობდნენ და საკმაოდ მაგარს და ამავე დროს დრეკად ბურთს მიიღებდნენ, რომელიც თავისუფლად უძლებდა ჭაკუნის ძლიერ შემორტყმას. ზოგ ადგილას საგორებელ ბურთს ხისგან თლიდნენ, ხოლო იშვიათ შემთხვევაში მას მატყლისგან ამზადებდნენ, რომელსაც გარედან ტყავი ჰქონდა გადაკრული. ბურთის ნაცვლად აქა-იქ სათანადო ზომის ქვის ხმარებაც დადგინდა.

ჭაკუნობის წესები, ისევე როგორც სხვა ამ რიგის თამაშობის წესები, მკვეთრად არ იყო ჩამოყალიბებულ-დაკანონებული. სათამაშო მოედანი და ლელო წინასაწარ იყო დათქმული, მიზანი – ბურთის გატანა ლელოში. თამაშის ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენდა მოთამაშეთა თანაბარი რაოდენობა ორივე მხრიდან. ამ წესით თამაშის დაწყებისას, ტერიტორიის ან სხვა ამავე რიგის ნიშნის მიხედვით მოთამაშეთა არჩევანს ჭაკუნი ეწოდებოდა. საამისოდ ყმაწვილების პირველი წყვილი, რომელიც შეუდგებოდა თამაშობის ორგანიზაციას, განზე გადგებოდა და ჯგუფების წევრების არჩევას შეუდგებოდა. ჯერ ერთი იტყოდა, არჩევანი მე და გამოიძახებდა ერთ-ერთ მოთამაშეს, რომელსაც თავის ჯგუფში ჩარიცხავდა. ამის შემდეგ მეორე იტყოდა არადანი მე და თავისი ჯგუფის წევრს გამოუძახებდა. ასეთი წესით მოთამაშეთა გამოძახების შემდეგ ჩამოყალიბდებოდა ორი თანაბარ-თანატოლი ჯგუფი.

თამაშს იწყებდნენ ბურთის აგდებით მოედნის შუა ადგილას. თამაში არ იყო შეზღუდული არც დროით, არც გატანილი ბურთების რაოდენობით – ჭაკუნობა მოთამაშეთა დაღლამდე გრძელდებოდა.

ბურთი ლელოსაკენ მიჰქონდათ ხელით – ფეხის დაკვრა ზოგჯერ აღკვეთილი იყო. თამაშის ცენტრალურ მომენტს ბურთისათვის ხელჩართული ბრძოლა და მისი გატაცება წარმოადგენდა.

გურული ჭაკუნობის სრული ანალოგი ჭ ა რ კ უ ნ ი ს სახელწოდებით სამეგრელოშიაც ყოფილა გავრცელებული, ხოლო კ ა ვ შ ლ ი ა უ რ თ ე ლ ი ს სახელწოდებით სვანეთში. სავარაუდოა, რომ ეს თამაში დასავლეთ საქართველოში თავის დროზე ფართო პოპულარობით სარგებლობდა.

იმ ქართულ სპორტულ თამაშობათა შორის, რომელთა ძირითად დანიშნულებას სამხედრო-ფიზიკური აღზრდის უზრუნველყოფა წარმოადგენდა **ცხენოსნობას** სრულიად განსაკუთრებული ადგილი ეჭირა.

ცხენოსნური სპორტის მრავალ სახეობათა შორის ბევრმა ჩვენამდეც მოაღწია. ეთნოგრაფიული მასალისათვის ხელმისაწვდომი დროის მანძილზე, ხოლო ზოგჯერ მხოლოდ ლიტერატურული ტრადიციით კარგად იყო ცნობილი

ბადრი /ცხენ-ბურთი/, **ისინდი, ჯირითი, ტარზია, მკერდაობა, ყაბახი, დოღი** და სხვა მრავალი.

რაც შეეხება ცხენ-ბურთს, რომელიც ქართულ ისტორიულ წყაროებში ზოგჯერ **ჩოგნის**, ზოგჯერ **ჩოგან-ბურთის** სახელწოდებას ატარებს, ძირითადად უპასუხებს, თეიმურაზისა და არჩილის მიერ აღწერილ ბადრს და ჩვენთვის მხოლოდ ლიტერატურული ტრადიციით არის ცნობილი.

ძველ თბილისურ სანახაობათა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ცხენბურთი. იგი წარმოადგენს ხალხური ცხენოსნური სპორტის ძველსა და მეტად საინტერესო სახეობას. სპორტის ამ სახეს ძველად **ჩოგანი, ბადრი, რადი** და **რადრაბაგანი** ეწოდებოდა.

XVII საუკუნეში არსებობდა ცხენბურთის ორი მკვეთრად ერთმანეთისგან განსხვავებული სახეობა. ერთი მათგანი გულისხმობდა ორი დაპირისპირებული ჯგუფის ისეთ თამაშს, რომლის ძირითადი მიზანი იყო ბურთის გატანა ღელოში (მაყაში), ხოლო მეორე, რამდენიმე პირთა შეჯიბრს ბურთის გატაცებასა და მის გათამაშებაში. ეს უკანასკნელი წესი ცხენბურთისა კარგად აქვს აღწერილი თეიმურაზ II ერთ-ერთ თავის ნაშრომში. ჩვენ აქ ვკითხულობთ:

„ერთი არის სხვა ბურთობა რადრაბაგანს ეძახიან,
ბადრის ბურთის უფრო ესე ზნეობაში ჩააგზიან,
ბევრს კი არა, სამს–ოთხს კაცსა მებურთალსა შეადრიან
და ოთხისთვის სათამაშოდ ბურთი მიწას გააგდიან.
ის არის, რომე ცხენ–ბალგთ ბურთი აიღოს ჩოგნითა,
უნდა შეაგდოს მან მაღლა ცხენისა თამაშობითა,
როს ჩამოვიდეს, ხელ–ფიცხად მიუხდეს კაის ცოდნითა,
და ბურთი შეხტეს, შემოჰკრას, ხელ-რადათ მაღლა ტყორცნითა.

რადრაბაგანი ქართული წარმოშობის ბურთაობაა. თბილისის აღწერაში დოინჯო კარლი (XVII ს.) წერს: „ამ თამაშობაზე რადრაბაგანისათვის ჩოგნები ჩამოარიგეს. ეს ჩოგნები ჩვენებური რაკეტების მსგავსადაა გაკეთებული, მაგრამ ამათი ჩოგნის ტარი უფრო გრძელია და მას უსათუოდ ცხენზე მსხდომნი თამაშობენ. ამ ხალხის ამგვარ ვარჯიშობაში ნახვას არაფერი სჯობია. პირდაპირ განმაცვიფრებელია მათ მიერ ცხენის ოსტატური, ერთმანეთზე დაუჯახებლად მართვა, მიწიდან ბურთის აღება (ჩვენს ბურთზე უფრო დიდია)... სპარსელები, რომელნიც ყოველთვის ესწრებიან ქართველთა ამ და სხვა ვაჟკაცურ გართობა–თამაშობებს, ისეთნაირად აღწერენ მათ, რომ ზოგჯერ დაუჯერებელიც არის. ამით ისინი პატივით მოსავენ ქართველთა მეომრულ ღირსებას“.

ამ ქართული თამაშით არანაკლებ მოხიბლულან სხვა უცხოელებიც, რომელთაც ეს თამაში თბილისში ან კიდევ საქართველოს სხვა კუთხეებში უნახავთ.

თამარ მეფის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ თამარ მეფესთან „ამირ-მირმანის მიერ შესახვეწლად ძღუნითა ურიცხვითა წარმოზავნილ“ დესპანებს თბილისში ბურთაობა უჩვენეს, რასაც სტუმრები განცვიფრებაში მოუყვანია. სტუმრებს აღუნიშნავთ, რომ „ერაყსა, ადარბაგანსა და ერანსა ამათებრნი მობურთალნი არ დარჩომილანო“, არ ყავთო.

ამის შემდეგ დიდმა დრომ განვლო, ოდესღაც ფართოდ გავრცელებული რადრაბაგანი დავიწყებას მიეცა და ჩვენს დრომდე მხოლოდ მისმა გადმონაშთებმა მოაღწია.

ჩვენმა დედაქალაქმა უდიდესი როლი შეასრულა ამ უძველესი, ორიგინალური სპორტის სახეობის რადრაბაგან–ცხენბურთის აღდგენა-გავრცელებაში. თბილისში კვლავ ჩამოყალიბდა პირველი ცხენბურთელთა გუნდი, რომელიც მრავალგზის წარმატებით გამოვიდა თბილისსა და მოსკოვში გამართულ შეჯიბრებებზე. ქართველებმა კვლავ გაუთქვეს სახელი ამ იშვიათ, შესანიშნავსა და სილამაზით აღსავსე სანახაობას.

წინათ არანაკლებ საინტერესო ასპარეზობა იყო დოღი, ყაბახი, ისინდი და სხვა სახალხო სანახაობანი, რომლებიც თბილისის მიდამოებში იმართებოდა. ამ შეჯიბრში მონაწილეობდნენ ხალხის წიაღიდან გამოსული მგოსნებიც, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებს საჯაროდ კითხულობდნენ და ამით ხალხის მოწონებას იმსახურებდნენ. მათ შემოქმედებაში ჩაქსოვილი იყო ადამიანის სულის სინატიფე, ღრმა გრძნობა და სამშობლოს სიყვარული. მაყურებელი აქ ისმენდა **ვაშსენავს** – გამჭირდავ ლექსებს, რომლებშიც დაგმობილი იყო ქვეყნის მმართველთა უარყოფითი მხარეები და საყოფაცხოვრებო ნაკლოვანებები. ვისაც ასეთი გამჭირდავი ლექსი შეეხებოდა – უფრო მძიმედ განიცდიდა მას, ვიდრე ტკივილს კ ე ჭ ნ ა ო ბ ი ს დროს მიღებული ჭრილობისგან. ხალხში გამომუშავებული იყო ის შეხედულება, რომ ადამიანი ჭრილობას ადვილად მოიშუშებს, ხოლო გამსენავი ლექსი თაობიდან თაობას გადაეცემა და სამუდამოდ რჩება ხალხის მეხსიერებაში, საიდანაც მას ვერავითარი ძალა ვერ აღმოფხვრის.



შარულა. მხატვ. ი. შარლემანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთნოგრაფიული ცნობები საქართველოს ზოგიერთი კუთხის მოსახლეობის შესახებ

ხევსურები. ხევსურთა თვითწოდება, ხევსური სიტყვა-სიტყვით აღნიშნავს „ხეობის მცხოვრებს".

ხევსურული მეტყველება განეკუთვნება: „მთის კილოებს": მასში გამოიყოფა ორი კილოკავი: პირაქეთულ-არხოტული და შატილურ-მიღმახეური. ამ კილოკავმა შემოინახა ძველი ქართული ენის ბევრი ფორმა, გამოთქმა და ლექსიკური მასალა.

შატილი

ხევსური საშუალო სიმაღლეზე მაღალია, ტანწერწეტი, მაგარი აგებულების, გამხდარი, სახე მოგრძო აქვთ, წვეტიანი ნიკაპითა და მაღალი შუბლით, თვალები მუქი ყავისფერი.

თავისი ხასიათით ხევსური თავისუფლების მოყვარეა, მებრძოლი, ადვილად იტანს სიძნელეებს და გაჭირვებას, უცხოებთან თავშეკავებულია, უძნელდება ტრადიციებზე უარის თქმა და დიდი პატრიოტია.

ხევსურები ცხოვრობენ კავკასიონის მთავარი ქედის ორივე მხარეს, ხევსურეთის არაგვისა და მდინარეების – ასასა და არღუნის ხეობებში. ზღ. დ. 900-დან 2000 მ. სიმაღლეზე.

კავკასიონის ქედი ჰყოფს ხევსურეთს ჩრდილოეთ (პირიქით) ხევსურეთად, რომელიც მდებარეობს მდინარეების ასასა და არღუნის ზემოწელზე, და სამხრეთ (პირაქეთ) ხევსურეთად, რომელიც მდებარეობს ხევსურეთის არაგვის ხეობაში. ხევსურეთის ადრინდელი სახელწოდებაა ფხოვი (ფშავთან ერთად). პირიქითა და პირაქეთა ხევსურეთი ერთმანეთს უკავშირდებიან არხოტისა და დათვისჯვრის უღელტეხილებით. მიუხედავად იმისა რომ ხევსურეთი მთის ქვეყანაა, მაინც ბუნებრივი პირობები ჩრდილოეთში უფრო მკაცრია, ვიდრე სამხრეთში. მთელი ხევსურეთი მდიდარია ალპური საძოვრებითა და მდელოებით (სათიბებით), მდიდარია იგი აგრეთვე მინერალური წყაროებითა და წიაღისეულით.



არდოტი. ნახ. შ. ცინცაძის

ხევსურული სოფლები განლაგებულია ზღვის დონიდან 1500-დან 2200-მდე სიმაღლეზე.

ხევსურები. XIX ს. II ნახ. ფოტო

კავკასიის მთებში მომწყვდეული, იგი ძნელად მისადგომია. უგზოობისა და მკაცრი ზამთრის გამო მოწყვეტილი იყო გარე სამყაროს. ზამთრის გრძელი თვეების მანძილზე ხევსურეთის ბევრ სოფელს ერთმანეთთანაც არ ჰქონდა ურთიერთობა. წელიწადის დანარჩენ დროში მიმოსვლის ერთადერთი საშუალება ძნელადსავალი მთის ვიწრო ბილიკები იყო. ეს ბილიკებიც ბევრ ადგილას იმდენად ვიწრო იყო, რომ საპალნე აკიდებულ ცხენს არ შეეძლო მასზე გავლა და ხევსური იძულებული იყო მოეხსნა იგი, ზურგზე აეკიდებინა და ისე გადაცოცებულიყო კლდეზე.

ხევსურეთის მოსახლეობა შეადგენს 945 კომლს, 4580 სულს. მათგან პირაქეთ ხევსურეთში არის 670 კომლი, ხოლო პირიქეთში 272 კომლი. გარდა ამისა ხევსურები ცხოვრობენ საქართველოს სხვა კუთხეებშიც: თეთრ არაგვზე, იორზე და ცივ-გომბორზე, 2500 სულამდე.

საუკუნეების მანძილზე ხევსურები სისხლისმღვრელ ბრძოლებში იცავდნენ არა მარტო თავის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას უცხოელი დამპყრობლებისა და საკუთარი ფეოდალებისაგან, არამედ ბარსაც იცავდნენ მომხდური მოთარეშე რაზმების დარბევისაგან. არა ერთხელ უბრძოლიათ ხევსურებს ქართულ ლაშქართან ერთად უკანასკნელ სისხლის წვეთამდე მშობლიური საქართველოს დამპყრობლების და მჩაგვრელების წინააღმდეგ. (ასპინძის ბრძოლა (1770), კრწანისის ბრძოლა (1795), მთიულეთ-კახეთის აჯანყებები (1804-1812) და სხ.) ხევსურულმა ხალხურმა პოეზიამ შემოინახა გარდასული ომების გმირების და მამაცი ვაჟკაცების სახელები. თავის სიმღერებში ხალხი უმღერის მათ გმირობას და გმობს დამპყრობლებს, რომლებმაც ხელყვეს ქვეყნის თავისუფლება.

მხატვ. ი. შარლემანი 1927 წ.

ხევსურების შეიარაღებას შეადგენდა: აბჯარი, მუზარადი, ფარი, სამკლაურები, სამუხლეები, ხმალი, ხანჯალი, საბრძოლო ხელთათმანები და საბრძოლო ბეჭედი (საცერული), რომელსაც იცვამდნენ ცერა თითზე და იყენებდნენ ხელჩართული ბრძოლის დროს. ხევსური თითქმის არასოდეს იცილებს იარაღს: სტუმრად ყოფნისას, რელიგიურ დღესასწაულებზე და მუშაობის დროსაც კი – იარაღი თან ჰქონდა, უმეტესწილად ცივი იარაღი. ხევსურული ეთნო-



ორნამენტი ხეზე

ორნამენტი მეტალზე

მხატ. ვლ. წილოსანი

გრაფიული სინამდვილეში დგინდება XIV-XVIII ს. ძველებური ხმლები, კერძოდ ანდრეი ფერარას ხმლები, გორდა, ყალდიმი, დავით-ცერული, უნგრული და სხვა. ხევსურეთში ხშირად შეიძლება ისეთი ხმლების ნახვა, რომლის საფასურადაც 30-40 ძროხა იყო გადახდილი ნატურით.

ბედია არაბულის სამჭედლო. მხატვ. ი. შარლემანი. 1927 წ.

ხევსურები მშვენიერი მსროლელები, მხედრები და მოფარიკავეები არიან. თავის ვაჟებს ისინი ბავშვობიდან ასწავლიან საომარ ხელოვნებას, 8-9 წლის ყმაწვილებს ხევსურები სავარჯიშოდ ხის ხმლებს, დაწნულ ფარებს, მშვილდ-ისარსა და სხვა უკეთებენ.

ხევსურის მეომრული სული ვლინდება სროლაში, ფარიკაობასა და მიზანში ტყორცნაში, დოღისა და ნადირობის დროს. მათი საყვარელი გართობაა დოღი, რომლის დროსაც ისინი თავის მთის ცხენებს დააჭენებენ თავბრუდამხვევ ბილიკებზე, საშინელ, ბობოქარ მდინარეების გასწვრივ, რითაც ყოველწუთს ეწევიან საკუთარი სიცოცხლის რისკს.

როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით, ხევსურები მგზნებარე პატრიოტები არიან, უსაზღვროდ უყვართ თავისი ქვეყანა. ეს განსაკუთრებული სიყვარული საომრობლადმი კარგად გამოხატა პოეტმა რ. ერისთავმა ცნობილ ლექსში „საომრობლო ხევსურისა“.

ხევსურების მთავარი საქმიანობაა – მსხვილფეხა პირუტყვის მოშენება. ხევსურული ძროხა, ე.წ. „ხევსურა“ გამოირჩეოდა რიგი დადებითი თვისებებით, რომელიც შეძენილი აქვთ ბონიფიკაციის გზით საუკუნეების მანძილზე. იგი წარმოადგენს ძროხის უძველეს მცირეაზიულ ჯიშს, რომელიც სხვათა შორის ძველ კოლხეთშიაც იყო გავრცელებული, მათ ახასიათებთ კარგი წველადობა და რძეში ცხიმის მაღალი შემცველობა. მეწველ ძროხებს და საომარ საქონელს ზაფხულობით მთის საძოვრებზე გადენიან, სადაც არის დროებითი ნაგებობები მწველავებისა და რძის მეურნეობის წარმოებისათვის.

ხევსურული ძროხის კარაქი გამოირჩევა საუკეთესო ხარისხით, მას აკეთებენ ნაღებისაგან, ამასთან იყენებენ საუკუნეების მანძილზე გამომუშავებულ და სრულყოფილ ხერხებს. ნათქვამს უნდა დავუმატოთ, რომ ხევსურული ძროხა საუკეთესოდ ითვლება მთელს ამიერკავკასიაში. მას არაერთხელ მიუღია პრემიები სასოფლო-სამეურნეო გამოფენებზე. ხოლო ხევსურული ერბო, ქართველი ხალხის ემპირიული კულტურის მაღალ მონაპოვარზე მიუთითებს.

მეცხვარეობას ხევსურები ნაკლებად მისდევენ, ჰყავთ ცხვრების უმნიშვნელო რაოდენობა – ხევსურეთის ალპიური საძოვრების უმეტესობას ზაფხულობით იყენებენ მეზობლები: მოხევეები, ფშაველები და თუშები.

მესაქონლეობასთან ერთად ხევსურები ეწევიან მიწათმოქმედებას. მიწის დამუშავება ხევსურეთის პირობებში ძალიან ძძიმე საქმეა. ხნავენ მაღალი მთების დამრეც კალთებზე. ადგილობრივი სახნავი იარაღი – ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი ა ჩ ა ჩ ა – მეტნაკლებად მარჯვეა ასეთ პირობებში მუშაობისათვის. თავისი კონსტრუქციით ხევსურულ აჩაჩას ბევრი საერთო აქვს ძველაღმოსავლურ სახნავ იარაღებთან. ხევსურები უმეტესწილად თესენ: ქერს, სვილას.

ხევსურეთის მეურნეობაში არანაკლები მნიშვნელობა აქვს მეფუტკრეობას, შინახელოსნობასა და მონადირეობას. ნადირობა ხევსურეთში დაკავშირებულია დიდ რისკთან და საშიშროებასთან. მონადირეები ხევსურეთის მიუდგომელი ადგილების შესანიშნავი მცოდნეები არიან.

სალმთო გუდანის ჯვარის დროშები

ხევსურეთში პატარა სოფლებია სახლები ტერასულად არიან განლაგებული მთის კალთებზე, ისე რომ ხშირად ერთი სახლის სახურავიდან შეიძლება მოხვდე მეზობლის სახლში და ა.შ. კალოიანი ხევსურული სახლის ძირითადი, თვითმყოფადი ტიპი სამსართულიან ქვის შენობას წარმოადგენს, წყობა მშრალია. სახლი კომპლექსურია: იგი წარმოადგენს ოჯახის საცხოვრებელს, საქონლის სადგომს, აქვე ინახავენ სურსათ-საკვები მარაგის სათავსოს. პირიქითა ხევსურეთში გავრცელებულია საცხოვრებელი კოშკის ტიპი. ეს არის 4-5 სართულიანი შენობა; პირველი სართული განკუთვნილია მსხვილი რქიანი პირუტყვისათვის, მეორე – წვრილფეხა საქონლისათვის, მესამე – კერის, ქალებისა და ბავშვებისათვის, მეოთხე – ოჯახის მამაკაცებისა და მარაგის შესანახად. არც თუ შორეულ წარსულში ხევსურეთში ფართოდ გავრცელებული სოომარი კოშკები, ამჟამად იშვიათად გვხვდება.

ხევსურული ტანსაცმელი თავისებური და ორიგინალურია, როგორც თავისი თარგით, ისე ორნამენტითაც. ხევსურული ტანსაცმელი (ქალისა და მამაკაცის) მდიდრულად არის შემკული ფერადი ძაფების ნაქარგით, ლითონის ფირფიტებითა და მძივებით. ორნამენტში ჭარბობს: ჯვრები, ხვიები, კვადრატები და ა.შ. ქალები ატარებენ თავისებურ თავსაბურავს, რომელიც შედგება ნაქარგი რგოლისაგან რომელსაც ქალები თავშალზე (ჩიქილაზე) იხურავენ. იგი მოქსოვილია წვრილი ძაფებისაგან და მდიდრულადაა შემკული. უნდა აღინიშნოს, რომ ხევსური ქალები კარგად ქარგავენ. ხევსურული ნაქარგის ნიმუშებს შორის გვხვდება შესანიშნავი ეგზემპლარები კოლორიტისა და ორნამენტის კომპოზიციის მიხედვით. ხევსურებს აქვთ საინტერესო ჩვეულება, დაკავშირებული მანდილთან. თუ მებრძოლ მამაკაცებს ქალი ჩააგდებს მანდილს მამაკაცებმა ბრძოლა უნდა შეწყვიტონ

ხევსურთა საკვები საკმაოდ მრავალფეროვანია და ინდივიდუალური სახის, რომელთაგან აღვნიშნავთ: ქუმელი, ხავიწი, ყაურმა, ხალა ერბო, კაღი და სხვ.

პრიმიტიული ეკონომიკითა და ბუნებრივი პირობებით გამოწვეული კარჩაკეტილობა ხელს უწყობდა ხევსურეთში გვაროვნული წყობის გადმონაშთების შენარჩუნებას, როგორიცაა მესისხლეობა, სტუმართმოყვარეობის წესი, ეკზოგამია, ერთი გვარის წევრებს შორის ქორწინების აკრძალვა, უფროს-უმცროსობის წესი და სხვ.

სისხლის აღების არსი იმაში მდგომარეობდა, რომ თუნდაც შემთხვევითი მკვლელობის ან დაჭრის შემთხვევაში, მოკლულის ან დაჭრილის ნათესავებს

შური უნდა ეძიათ მოსისხლეზე – შესაბამისად მოეკლათ ან დაეჭრათ იგი. დაჭრის ან მოკვლის შემთხვევაში ჩვეულებრივ შეიძლებოდა საფასურის გადახდაც. ჯარიმას ნაფიცთა სასამართლო განსაზღვრავდა (რ ჯ უ ლ ი), რომელიც მუდმივმოქმედი ორგანო არ იყო. მას იწვევდნენ საჭიროების შემთხვევაში. მოსამართლეები საქმეს იძიებდნენ დაწვრილებით, არკვევდნენ ყველა დეტალს, უსმენდნენ ორივე მხარეს. მსაჯულთა გადაწყვეტილება საბოლოო იყო და მაშინვე უნდა შესრულებულიყო. მკვლელობისათვის უსჯიდნენ 60 ძროხის გადახდას, ცერში დაჭრისათვის, როდესაც დაჭრილს ეკარგებოდა შრომის უნარი – ხუთი ძროხა. სახეში დაჭრის შემთხვევაში ზომავდნენ ჭრილობის სიგრძესა და სიღრმეს. სისხლისათვის საფასურის გადახდისას დამნაშავეს მთელი გვარი ეხმარებოდა. ურთიერთდახმარების წესი არსებობდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულების დროსაც.

ხევსურები ძალზე სტუმართმოყვარენი არიან. სტუმარს ეგებებიან გულითადად, იწვევენ სახლში, უმასპინძლდებიან საუკეთესო საჭმელითა და სასმელით, ართობენ საუბრითა და ფანდურის თანხლებით შეუსრულებული სიმღერებით. მის საპატივსაცემოდ იწვევენ მეზობლებს, ზამთარში ხდიან ფეხსაცმელს და აცმევენ თბილ წინდებს. გასტუმრებისას დიდი პატივით სოფლის ბოლომდე აცილებენ. ხევსურ მამაკაცებს შორის ფართოდ არის გავრცელებული ძმადნაფიცობის წესი. დაძმობილებისას სვამენ ღვინოს ან არაყს ერთი სასმისით, რომელშიც წინასწარ ვერცხლია ჩათლილი. მ ე გ ო ბ რ ო ბ ა ს მამაკაცსა და ქალს შორის ს წ ო რ ფ რ ო ბ ა ს უწოდებენ.

ვეორვი ნაღვარმშვენიერის ჯვარი, სოფ. ბისო.
ფოტო ლ. საფრაზიანის

ხევსურთა რელიგია ქრისტიანობისა და ძველი ხალხური რწმენების რთულ ნაზავს წარმოადგენს. გარდა ქრისტიანული წმინდანებისა თაყვანს სცემენ ბუნების ძალებსა და გაღმერთებულ გმირ-წინაპრებს. ყველა წმინდა რიტუალს ასრულებდნენ ქ უ რ უ მ ე ბ ი (ხ ე ვ ი ს ბ ე რ ი, ხ უ ც ე ს ი, ხ უ ც ი). მათ ტაძრებს არაფერი აქვთ საერთო ქრისტიანულ საკულტო ნაგებობებთან. ხევსურული სამლოცველო საკულტო შენობა-**ხატი** შედგება სამი ნაწილისაგან: საქვაბე, დარბაზი და საკოდე, რომელთაგან პირველში ლუდი მზადდება, მეორეში მიმდინარეობდა ღვთისმსახურება, მესამეში უმეტესწილად დღეობისთვის განკუთვნილი ლუდი ინახებოდა. სამლოცველოს თითოეულ ნაწილში შესვლა მკაცრად იყო რეგლამენტირებული. პირველ ნაწილში შესვლა შეეძლოთ ხატის ახალგაზრდა მსა-

ხურებს, მეორეში – პატივცემულ მოხუცებს, ხოლო მესამეში – მხოლოდ ხევსურ ბერს, ხუცესს.

მორწმუნე ხევსურებში დღემდე შემონახულია ქრისტიანული და ქრისტიანობამდელი დღესასწაულები, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდებიან მათ მეურნეობას. ოჯახისათვის მნიშვნელოვანი მოვლენები, როგორიცაა ქორწილი, ბავშვის დაბადება ან დაკრძალვა ასევე საზეიმოდ ტარდებოდა.

ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ დაკრძალვისა და სულის მოხსენიების წესებს. დაკრძალვაზე ჩამოდიოდნენ ყველა ნათესავები და გამოთქვამდნენ თანაგრძნობას მეტად ხატოვანი სიტყვებით. სულის მოხსენიებისას გარდაცვლილის ტანსაცმელი გამოაქვთ სახლის სახურავზე, აფენენ ხალიჩაზე, და გარშემომსხდარი ქალები ხმამაღლა ტირიან და მოთქვამენ. ხშირად მოტირლები გარდაცვლილის პატივსაცემად თხზავენ ლექსებს, რომლებსაც მღერიან შემდეგ მამაკაცები შრომის დროს. ეს გარდაცვლილის გახსენების საუკეთესო საშუალებაა. გარდა ამისა მიცვალებულის საპატივსაცემოდ ეწყობოდა დღეი და მიზანში სროლა.

გარდა საუკეთესო ორნამენტისა ქსოვილზე, ხევსურების ხალხურ შემოქმედებაში ფართოდ არის წარმოდგენილი ხეზე ჭრა, ოქრომჭედლობის ორიგინალური ნაკეთობანი. ხევსურული ფოლკლორი მდიდარი და მრავალფეროვანია, აქვს არაეთრი მაღალმხრივი ნიმუში.

თუშები. თუშები ცხოვრობენ მაღალმთიან თუშეთში, რომელიც მდებარეობს მდ. გომეწრის, პირიქითისა და ჭავჭახოვნის ალაზნების აუზებში, კავკასიონის მთავარ ქედსა და მაღალ პირიქითის ქედს შორის. თუშები იყოფიან სამ თემად: გ ო მ ე წ ა რ ე ბ ი, წ ო ვ ე ბ ი და ჩ ა ღ მ ე ბ ი.

თუშების მეოთხე თემი – ბ ა ც ბ ე ბ ი, წ ო ვ ა–თ უ შ ე ბ ი, ორენოვანი მცირე ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობენ ახმეტის რაიონის სოფ. ზემო ალვანში. ძველად იგი განსახლებული იყო მთის ხეობაში, დაწყებული მდ. რეხულიდან მდ. თუშეთის ალაზანამდე. ზემო ალვანში წოვები გადასახლდნენ მთათუშეთიდან (წოვათა), XVIII–XIX ს.ს. განმავლობაში. წოვების ენა სასკოლო, ლიტერატურული, ადმინისტრაციული და ყოფითი ქართულია, ყოფით ბაცბურ ენას თან ერთად. ბაცბური ენა განეკუთვნება იბერიულ-კავკასიურ ენების ჩეჩნურ-ინგუშურ ჯგუფს.

თუშების საერთო რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 10.000 ადამიანს.

თუშური დიალექტი, ხევსურულთან, ფშაურთან, მოხევურთან და მთიულურთან ერთად ქმნის ქართული ენის თავისთავად ჯგუფს (ე.წ. მთის კილოკავს). თუშებმა შემოინახეს ძველი ქართული ენის არქაიზმები როგორც ლექსიკურ, ასევე ფონეტიკური და სხვა გრამატიკულ კატეგორიებში.

თუშები სიმაღლით საშუალზე უფრო მაღლები არიან, უმეტესწილად აქვთ მუქი თაფლისფერი თვალები და წაბლისფერი თმები.

თქმულებებმა და ფოლკლორმა მრავალი ცნობა შემოინახა თუშების გმირულ წარსულზე. თავისი სამშობლოს მუდამ ერთგულ თუშ ხალხს არაერთხელ დაუმტკიცებია თავისი გამბედაობა რიცხვით ჭარბი მტრისათვის.

სტუმართმოყვარეობა ასევე დამახასიათებელი თვისებაა თუშებისათვის. სტუმართმოყვარე მასპინძელმა უნდა დაიცვას თავისი სტუმრის სიცოცხლე და უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლოს ამისათვის. სტუმართმოყვარეობის ამ წესების

დარღვევა, სტუმრისათვის ღალატი, წაუშლელ ლაქად რჩებოდა მასპინძლისა და მისი საგვარეულოსათვის, სირცხვილი თაობიდან თაობაზე გადადიოდა.

თუშები. XIX ს. II ნახ. ფოტო

ნაწილობრივ ეწევიან მიწათმოქმედებას. თუშები საშემოდგომო ნათესის სახით თესავენ ჭვავს, საგაზაფხულოდ კი – ორი ჯიშის ქერსა და შვრიას, ხორბალს ძლიერ ცოტას თესავენ, პირიქითელებს კი იგი საერთოდ არ მოჰყავთ.

თუშეთში ნიადაგი მეტად არანაყიერია და სასუქის გარეშე მოსავალს არ იძლევა. ამიტომ ხვნის წინ მინდორი იწმინდება ქვებისაგან, გაწმენდილ მინდორზე ყრიან ნაკელს. ნაკელი გააქვთ საპალნეებით ან მოწნული კალათებით (ჯ ი ნ ი), ისინი მაგრდება მარხილზე, რომელსაც მიათრევენ ხარით ან ცხენით. ამ ადგილებში ყველა მინდორი საცხოვრებელ ადგილებზე უფრო დაბლა არის განლაგებული, ნაკელი მინდვრებზე ჩამოაქვს მთის ნაკადულებს. განოყიერების ეს ხერხი გაცილებით იოლია და მას იყენებენ ყველგან სადაც კი შესაძლებელია.

იმ შემთხვევაში თუ ხვნა დიდ ძალისხმევას მოითხოვს, თუშები იყენებენ ორი სახის სახვნელ იარაღს ა ჩ ა ჩ ი და კ ა ვ ი. კავს აქვს მხოლოდ საჭრისი, რომლის მეშვეობითაც ჭრიან ნიადაგს, ხოლო გაჭრილ ხნულს ამუშავებენ ანჩაჩით.

ანჩაჩში აბამენ ერთ ან ორ უღელ ხარს. ორი უღელით ხნავენ სწორ ადგილზე. უფრო ციცაბოზე კი, სადაც ძნელია საქონლის მობრუნება იყენებენ ერთს.

ფარცხი, თუშეთში გამოიყენება ისეთივე, როგორც დაბლობზე, მხოლოდ იგი ბევრად პატარაა და ხშირად დაფა იცვლება ორი პარალელური ლატანით, რომლებიც ბოლოებში წნელით არის შეკრული.

მკიან ნამგლებით, ამის გარდა ზოგჯერ მარცვლეულს გლეჯერ მიწიდან ფესვებიანად და კრავენ პატარა ძნებად.

ლეწავენ ხარების მეშვეობით. საქონელს აიძულებენ ფეხებით გათელონ ძნები, რომლებიც სახლების ბრტყელ სახურავებზეა დაყრილი.

მიწათმოქმედებას თუშების მეურნეობაში უმნიშვნელო ადგილი უკავია.

თუშების მთავარი საქმიანობა მესაქონლეობაა. წელიწადის უმეტეს დროს თუში მამაკაცი ოჯახისაგან მოშორებით ატარებს და თავისი ჯოგებით მომთაბარეობს მთებიდან შირაქის დაბლობში და პირიქით. ოჯახის ნაწილი რჩება მთიან თუშეთში, ნაწილი კი სახლდება ალვანში.

თუშები მთელს საქართველოში საუკეთესო მეცხვარეებად ითვლებიან.

ცხვრის რძისაგან თუშები ამზადებენ მთელს საქართველოში განთქმულ „თუშურ ყველს". ცხვრის ხორცი გამოიყენება საკვებად, ხოლო ქონი მათ კარაქის მაგივრობას უწევს.

საკვების სიმცირის დროს თუშებს ბევრი ცხვარი ეღუპებათ. არსებული წესის მიხედვით, თუშები ასეთ შემთხვევაში აგროვებენ რამოდენიმე ათეულ

ცხვარს დაზარალებულთათვის და აღადგენენ მეზობლის მეურნეობას.

ამ წესის გარდა, არსებობდა სხვაც, რომელიც „ოჩხარის“ სახელწოდებითაა ცნობილი.

„ოჩხარი“ დაწესებული იყო ღარიბი მეცხვარეებისათვის, რომელთაც ან სულ არ ჰყავდათ ცხვარი, ან ჰყავდათ ძალზე ცოტა. იგი აწყობდა მცირე ნადიმს და პატიჟებდა მდიდარ მეცხვარეებს. თითოეულ ცხვრის ფარის მფლობელს საჩუქრად მოჰყავდა გარკვეული რაოდენობის ცხვარი.

თუში მეცხვარეები. ლ. საფრაზიანის ფოტო

დასამუშავებლად ვარგისი მიწის ნაკლებობა და მატყლის სიუხვე ხელს უწყობდა შალის კუსტარულ წარმოებას. შალისაგან ქალები ამზადებდნენ თექის ნაბდებს, ქუდებს, ფარდაგებს და სხვა. შალის ძაფისაგან ქსოვდნენ წინდებს, ხელთათმანებსა და ფეხსაცმელს ე.წ. „ჩითას“, შალისაგან ქსოვდნენ მრავალნაირ მოსასხამებს, ქსოვილებს ტანსაცმელისათვის მხარზე გადასაკიდ აბგებსა და სხვა.

თუშები მარცვლეულის ხვნა-თესვის, მესაქონლეობის და კუსტარული წარმოების გარდა, მისდევდნენ მონადირეობასაც. მთები, რომლებიც გარს აკრავს თუშეთს მთის თხების, ჯიხვებისა და დათვების თავშესაფარია, რაც დიდად მაცდუნებელია მონადირისათვის. მიუხედავად საშიშროებისა, საოცარი შეუდრეკლობით მიცოცავენ მონადირეები ციცაბო ადგილებზე და ხშირად ძვირად უჯდებათ საკუთარი მამაცობა.

თუშების სოფლები მჭიდროდ არის დასახლებული და ხშირად ციხე-სიმაგრეებს გვანან. სახლები ერთმანეთთან ძალიან ახლოსაა აშენებული. სახლებს შორის დატოვებულია ვიწრო გასასვლელები ცხენოსნებისათვის. სოფლების უმეტეს ნაწილში დგას მაღალი კოშკები.

ფარდაგი, სოფ. ქუშელაურთა, ლ. საფრაზიანის ფოტო

სოფლები მაღალ მთებში აშენებულია იმ მიზნით, რომ მათ შესძლებოდათ მთის ბილიკების დაცვა. დასახლებისათვის მაღალი ადგილების შერჩევა სამეურნეო აუცილებლობითაც იყო გამოწვეული. დასამუშავებლად ვარგისი მიწების უმეტესი ნაწილი განლაგებულია მაღლობზე. გზების უქონლობის გამო, მოსავალი ჩამოაქვთ ზურგით და ამიტომ ნათელია, რომ სოფელი უნდა აშენებულიყო რაც შეიძლება ახლოს სახნავ და სათიბ

თუშეთი. ჩარდახიანი სახლი
მხატვ. ვლ. წილოსანი

ადგილებთან. თუშეთის გეო-სამეურნეო თავისებურებებმა განაპირობა სოფელ-ბოსლობაც, როცა ბოსელი (საზაფხულო საცხოვრებელი ნაგებობა) სახნავებთან ახლოს იგებოდა, რათა თივისა და ჩალის ზიდვის მანძილი შეემცირებინათ. ამასთან სოფლებს საშიშროებას უქმნიდნენ თოვლის ზვავები და მეწყერები.

წოველი თუშების სოფლებმა იმდენად დიდი ზარალი განიცადეს წყალ-დიდობისა და მეწყერების გამო, რომ წოვები იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ მშობლიურ დასახლებაზე და საბოლოოდ გადასახლებულიყვნენ ალვანის ველზე.

თუშური სახლი ციხესახლი კოშკის მსგავსია, რომლის კედლები აგებულია ფიქალი ქვისაგან. მიუხედავად მშრალი წყობისა, ისინი ძალიან მჭიდროდ და მყარად არიან დაწყობილი. ქვედა სართული „ბაშტე“ წარმოადგენს საქონლის ბოსელს, ზედა – „ჰერხო“ (გომეწარი და ჩაღმელი თუშებისათვის) წარმოადგენს საზაფხულო სადგომს, პირიქითელ თუშებისათვის კი ნაკელის შესანახი ადგილია. ძველად ჰერხოში დიდრონ ქვებს ინახავდნენ, მომხდურისაგან თავ-დასაცავად. მეორე სართული „შუა“ საცხოვრებელია. მესამე სართულს ეწოდება „ზედშუა“ – შუაზე მაღლა. შენობის ყველა სართული შედგება ერთი ოთახისაგან. ოთახებში ფანჯრების ნაცვლად მოწყობილია სათოფურები, რომლებიც სინათლესაც უშვებენ და კერიის კვამლიც აქედან გადის.

ყველა სართული უკავშირდება ერთმანეთს ასაძრომი ხვრელის „ერდო“-ს საშუალებით, რომელიც თითოეული ოთახის კუთხეშია მოწყობილი. ქვედა სართულიდან ამ ხვრელებს მიადგამენ ხის კიბეს უფრო ხშირად კი ძელს ნაჭდევებით, ფეხის დასადგმელად.

სახლის შიდამოწყობილობა მარტივი იყო. ოთახის ცენტრში გამართული იყო კერა, რომლის მარცხენა მხარე მამაკაცების სამყოფი იყო (საკაცო), მარჯვენა – ქალების (სადიაცო). მამაკაცების ნაწილში იდგა გრძელი ზურგიანი სკამი – „მეხი“,რომლის მარჯვენა მხარე განკუთვნილი იყო უხუცესთათვის. კედლებზე ეკიდა იარაღი, თაროებზე იდგა ხის ჭურჭელი.

ზაფხულის სადგომი ჰერხო, ჩვეულებრივ სხვენს წარმოადგენს, რომელიც დახურულია ბრტყელი ქვის ფილებით. ისინი სახურავის სამაგრ ხის ძელებზეა დაწყობილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქორწილი სოფ. ილურთაში, მე-XIXს. II ნახევარი

თუშების ტანსაცმელი მზადდება საკუთარი წარმოების შალის ქსოვილისგან ორივე სქესისათვის საყვარელი ფერია – შავი.

მამაკაცები ატარებენ ჩოხას, შარვალს, თექის ქუდსა და ფეხებზე „ჩითას“.

ქალების ტანსაცმელი შედგება თხელი შალისა, გრძელი შავი კაბისაგან, ჭრელი ქამრის, შავი მოსასხამისა და ჩითასაგან, რომელზეც სხვადასხვა მოხატულობაა ამოქარგული, სამაჯურისა და სამკერდულისაგან (ვერცხლის ყელსაბამი, ფირფიტები, სხვადასხვა ფერის მძივები), საყურეებისა და ბეჭდებისაგან. გასათხოვრებს ნაწნავები ჩამოშლილი ჰქონდათ, გათხოვილებს კი – კეფაზე დამაგრებული.

გადაადგილების ძირითადი საშუალება თუშებისათვის უგზოობის გამო მარხილებია, აგრეთვე საჯდომი და საპალნე ცხენები.

თუშეთში გადმონაშთის სახით გვხვდება სისხლის აღება. მოსისხლურების შერიგება თუშებთან ხდება უხუცესთა სასამართლოს მეშვეობით. მთათუშეთის ერთ-ერთ სოფელში – დართლოში, დღემდე შემონახულია უხუცესთა ქვის თორმეტი სავარძელი. აქ ირჩეოდა მოსისხლეთა ან სხვა დამნაშავეთა საქმეები.

თუშები მკაცრად იცავენ, ნათესაობას დედის მხრიდან, ასევე ითვალისწინებენ, მამით ნათესაობასაც. ორივე კატეგორიის ნათესაობა დაბრკოლებაა ქორწინებისათვის.

თუშურ ოჯახს სათავეში უდგას ყველაზე უფროსი წევრი „ბერა“ და ოჯახში ყველაზე უფროსი ქალი „ბერდედა“. ისინი ხელმძღვანელობენ მთელ საოჯახო საქმეს. ოჯახის მთელი საკუთრება საერთოდ ითვლებოდა, გარდა ქალის ხელსაქმისა, რომლის მესაკუთრეც ქალი იყო.

გარდა ოფიციალური ქრისტიანული რელიგიისა თუშებში არსებობს უფრო ძველი ქრისტიანობამდელი რწმენის გადმონაშთები.

ძირითადი სასულიერო მსახურები იყვნენ დ ე კ ა ნ ო ზ ე ბ ი. დეკანოზები ასრულებდნენ ძირითად რელიგიურ წესებს: უნდა შეენარჩუნებინათ სიწმინდე, არ უნდა შეხებოდნენ მიცვალებულის გვამს, ახალდაბადებულს, არ უნდა ეჭამათ ზოგიერთი ცხოველის ხორცი და სხვა.

თუშეთის მთავარი საკულტო ცენტრი ლ ა შ ა რ ი ს ჯ ვ ა რ ი ა. ჯვარ-ხატის ტიპიურ ნაგებობათ კომპლექსი წარმოდგენილია სამი რიგის ნაგებობებით: საზოგადოებრივ-საკულტო, სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობებით.

წმინდა ადგილებად, სადაც ხდებოდა მსხვერპლშეწირვა, თუშებში ითვლებოდა ქვის სამსხვერპლოები.

გარდა წმინდა ნაშთებისა: ხატების, ჯვრების, საეკლესიო ჭურჭლისა და მრავალი მსგავსი ნივთებისა, რომლებიც სამსხვერპლოსთან ინახებოდა – თი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლაშარის ჯვარი, ლაშარობა, სადღეგ ცხენები.
ლ. საფრაზიანის ფოტო

თოეული წმინდანის საპატივსაცემოდ კეთდებოდა „წმინდა ბაირაღები" – დროშები, რომლებიც შედგებოდა სხვადასხვა ფერის ქსოვილებითა და პატარა ზარებით შემკული შუბისაგან, რომელსაც იყენებდნენ არა მარტო რიტუალის შესრულების დროს, არამედ სხვა შემთხვევებშიც. როგორიცაა წყალში თუ ზვავში დაღუპულთა სულის დახსნის წესების შესრულებისას, დაფიცებისას, განათვლისას, დღესასწაულებში და ა.შ.

დღესასწაულზე ან მსხვერპლშეწირვისათვის დანიშნულ დღეს, დეკანოზები უნდა მისულიყვნენ სალოცავებთან, შეეკრიბათ ხალხი სალოცავად მსხვერპლშეწირვისათვის. სამსხვერპლოსთან მიახლოება ეკრძალებოდა ყველა ქალს, გარდა ძალზე მოხუცებისა. მოსახლეობას აღკვეთილი ჰქონდა ჯვარხატის ტერიტორიის სიახლოვეს დასახლება ან საყანეების დამუშავება.

XIX ს. II ნახევრიდან იწყება თუშების ჩამოსახლება კახეთში. თუშები სახლდებიან ახმეტის რაიონში სოფ. ზემო და ქვემო ალვანში, თელავის რაიონში – სოფ. ლალისყურში. კახეთის ამ ადგილებში, დამკვიდრებას თუშები თავის ლეგენდარული გმირის, ზეზვა გაფრინდაულის სახელს უკავშირებენ.

მოხევეები. თვითწოდება მოხევე (ქართული სიტყვიდან ხევი) სიტყვასიტყვით აღნიშნავს „ხევის მცხოვრები". მოხეური მეტყველება მიეკუთვნება ქართული კილოკავების განსაკუთრებულ ჯგუფს ე.წ. „მთის კილოებს" და ბევრი საზიარო ფორმა აქვს ქართლურ -კახურთან.

ხევი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კავკასიონის კალთებზე. მოიცავს მდინარეების თრუსოს, თერგისა და სნოსწყლის ხეობას. თრუსოს ხეობაში ცხოვრობენ ოსები, სნოსა და თერგის ხეობაში მოხევეები. თერგს მოხევეები უწოდებენ არაგვს (ძველი ქართული წყაროებით – ლომეხი).

გეოგრაფიულად ხევი ესაზღვრება აღმოსავლეთით ხევსურეთს, დასავლეთით – ოსეთს, ჩრდილოეთით – ჩრდილოეთ ოსეთსა და ჩეჩენ-ინგუშეთს, სამხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთით – კავკასიონის მთავარ ქედს ჯვარის გადასასვლელით (2379 მ. ზ.დ.), რომელიც ხევს ჰყოფს მთიულეთისაგან.

ალპიურ ზონაში ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა – 5 0. ზამთარი ცივია, ხასიათდება დიდი თოვლით და ძლიერი ყინვებით. იანვრის თვის ტემპერატურა მერყეობს 12° -დან 18°-მდე. გაზაფხული გვიანია, შემოდგომა ადრიანი, ზაფხული ხანმოკლე – გრილი და ნესტიანი.

მცენარეული საფარით ხევი ღარიბია. ძველიდანვე ტყის საუკეთესო მონაკვეთები ხატ-სამლოცველოების კუთვნილებას წარმოადგენდა, რომელსაც ხალხი, როგორც წმინდა ადგილს, საკუთარი რწმენით იცავდა.

აქ მრავლადაა მინერალური და სამკურნალო წყაროები, მათ შორის საუკეთესოა კობისა და ყაზბეგის წყლები.

ხევში მრავლადაა ქედები, მწვერვალები; მოხევეების სიამაყეა ყაზბეგის მთა (5043 მ. ზ. დ), რომელიც „წმინდა მთად" ითვლება და მასზე ასვლის უფლება არავის არ აქვს. ხევის მთებში ბინადრობენ ჯიხვები და არჩვები. გარეული ფრინველებიდან – მთის ინდაური, გნოლი. ზაფხულში მრავლადაა მწყერი.

მოხევეები ცხოვრობენ ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს სამხედრო-სტრატეგიულ ზოლში. დარიალის ხეობა წარმოადგენს ბუნებრივ ბარიერს, რომელიც ჰყოფს საქართველოს ჩრდილოეთ კავკასიისაგან. ძველ ქართულ წყაროებში ეს გადასასვლელი „ალანთა კარიბჭის", „ოვსთა კარიბჭის" და „არაგვის კარიბჭის" სახელით მოიხსენიება. დღემდე, აქ, კლდეზე შემორჩენილია თამარ მეფის ციხე-სიმაგრის ნაშთები.

საუკუნეების მანძილზე ქართველი ხალხი მკერდით იცავდა ამ მნიშვნელოვან გადასასვლელს და ამით, საკუთარ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას უცხოელი დამპყრობლებისაგან.

ხევის ტერიტორიის ადრეულ დასახლებაზე მიუთითებენ არქეოლოგიური აღმოჩენები, რომლებიც სპეციალისტთა დასკვნით განეკუთვნებიან თავისი



გერგეთის სამება

ტიპითა და დროით ე.წ. ყობანის კულტურას, რომელიც კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით უკავშირდება ძველი კოლხეთის კულტურას. აქ დღემდეა შემორჩენილი უძველესი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები.

სნოს ციხე

რეგიონის სამხედრო-სტრატეგიულმა მნიშვნელობამ განაპირობა აქ სიმაგრეთა სისტემების არსებობა. მრავლადაა ციხეები (სნოს ციხე, არშის ციხე) და IX–X საუკუნეების ხუროთმოძღვრების ძეგლები: გარბანის წმ. გიორგის ეკლესია, სიონის ბაზილიკა, თრუსოს მთავარანგელოზის ეკლესია, ბეთლემის სამონასტრო კომპლექსი და ა.შ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შესანიშნავი არქიტექტურული ანსამბლი სამება, სადაც თქმულების თანახმად ინახებოდა წმ. ნინოს ჯვარი და მცხეთის საპატრიარქოს ტაძრის განძეულობა.

მოხევეები საშუალოზე მაღალი ტანის, პირმრგვალები, შავგვრემანი, მემატიანის სიტყვებით „მებრძოლი, ძლიერი, გამბედავი და წარმოსადეგნი“ არიან. ისინი, ისევე როგორც სხვა ქართული ტომები დიდად აფასებენ ზნეობრივ თვისებებს: პატივს სცემენ მოხუცებსა და ქალებს, უყვართ ნადირობა და იარაღი. განთქმულნი არიან, როგორც კარგი მსროლელები და მხედრები.

მოხევეთა ძირითადი სამეურნეო დარგია მესაქონლეობა, კერძოდ კი – მეცხვარეობა. მოხევეებში გავრცელებულია თუშური ჯიშის ცხვარი. ცხვრის ფარის დასაცავად იყენებენ ჯიშიან ნაგაზებს. ძველად ასეთ ძაღლებს ჯიშიანი ცხენის ფასი ჰქონდა.

მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობა შეზღუდულია. ზაფხულობით საქონელი გადაყავთ ზაფხულის საძოვრებზე, სადაც მოხევეები ქვის დროებით ნაგებობებს აშენებდნენ. რძის მეურნეობას საძოვრებზე ძირითადად ქალები ეწევიან. ამზადებენ კარაქს, ყველს, მოხდილი რძისაგან.

მეცხვარეობის ყველაზე მდიდარ რაიონად ითვლება სნო. 1926 წ. აღწერის მონაცემებით ხევი ყოველწლიურად იძლეოდა 40.000 ფუთ მატყლს, 5.000 ცალ დაკლულ საქონელს, 1.500 ფუთ კარაქსა და 500 ფუთ ყველს. ცხვარს ზამთარში ყიზლარში მიერეკებოდნენ.

ხევის მეურნეობაში მიწათმოქმედება მეორეხარისხოვანია, რადგან დასამუშავებლად ვარგისი მიწის ნაკვეთების რაოდენობა შეზღუდულია. სახნავი მიწების პატარ-პატარა ნაკვეთები გაბნეულია მაღალი მთების კალთებზე.

მინდვრის სამუშაოები ხევში იწყებოდა შუა გაზაფხულიდან. ხნავდნენ მთის სახნავი იარაღით. მარცვლოვნებიდან თესავენ უმეტესად ქერსა და ჭვავს. მოწეული მოსავალი სანახევროდაც არ აკმაყოფილებდა მოსახლეობის საჭიროებას და ისინი ჩრდილოეთელი მეზობლებისაგან ყიდულობდნენ სიმინდსა და ხორბალს. უკანასკნელ ხანებში მათ დაიწყეს კარტოფილის („კარტოხა“) მოყვანა.

მოხევეთა მთავარი საკვებია: პური (ქერის, ჭვავის), ლობიო, ყველი, კარაქი, ხორცი, ნანადირევი, „კარტოხა“, და მცენარეული საკვები. სასმელია: ღვინო, არაყი და ლუდი. ლუდს ამზადებენ ქერისაგან.

ხევში მეტად განვითარებული იყო კუსტარული წარმოება: ქალები ქსოვდნენ უხეშ ქსოვილს – თ ო ლ ი , ქსოვდნენ შალის დ ი ნ დ ე ბ ს . ყველა სარჯხოს საქმეს ქალები ასრულებდნენ: ეზიდებოდნენ წყალს სპილენძის ჭურჭლით, „თულუხი“ ან ხის ზედადგარით, ამზადებდნენ რძისგან პროდუქტებს, დადიოდნენ წისქვილში და ა.შ.

მამაკაცები ხნავდნენ, თიბავდნენ, მწყემსავდნენ ცხვარს, ნადირობდნენ, მიდიოდნენ საშოვარზე და ა.შ.

მოხევეთა ძირითადი ტრანსპორტი იყო მ ა რ ხ ი ლ ი , უ რ ე მ ი , ურიკა და ცხენი. ღრმა თოვლში მოხევეები მოძრაობდნენ თოვლსავალით, ამავე მოწყობილობას იყენებდნენ მონადირეები ზამთარში ნადირობისას.

ძველად მოხევეები ატარებდნენ თავისებურ ტანსაცმელს – ტ ა ლ ა ვ ე რ ი .

მამაკაცებს ემოსათ: ჩოხა, ბეწვის ქუდი და ქალამნები. ქალამნებს თვითონ ამზადებდნენ ხარის მოქნილი ტყავისგან. ტყავს ამუშავებდნენ სპეციალურ ხელსაწყოთი ს ა გ ა ნ ჩ ე ლ ი . ქალამნების ნაირსახეობებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია და მთის პირობებისათვის პრაქტიკული ბ ა ნ დ უ ლ ი – დაწნული ლანჩის მქონე ქალამნები.

ქალები იცვამდნენ: ფერადი ქსოვილის პერანგს (ქვედა კაბა) მოკლე ა ხ ა ლ უ ხ ს (კ ა ფ ტ ა ნ ი ს მსგავსი) და ს ა გ უ ლ ე ს . თავს იმკობდნენ თხელი თეთრი ფერის მ ა ნ დ ი ლ ი თ ; მანდილი შავი ფერისაც იყო. ქალები ხმარობდნენ სხვადასხვა სამკაულსაც: მძივები, ჯვრები, ბეჭდები და ა.შ. მოხუცი ქალები ჩვეულებრივ შავ კაბებს იცვამდნენ.

ხევი მჭიდროდაა დასახლებული. სოფლები პატარაა, შედგება რამდენიმე კვარტალისაგან (უ ბ ა ნ ი), სადაც ერთი გვარის ხალხი ცხოვრობს. მოგვარეები შედგებიან რამდენიმე კომლისაგან და თითოეული, გარდა საერთო სახელისა, ატარებს საკუთარ სახელსაც.

მოხევეების ძველი ნაგებობები არის ქვის, ორსართულიანი სახლები; ზედა სართულს უწოდებენ ს ა მ ყ ო ფ ო ს , სადაც ცხოვრობს ოჯახი; იქვე არის კ ე რ ა და განსაკუთრებული სათავსი სახელად ს ე ნ ა , სადაც ამზადებენ რძის პროდუქტებსა და ინახავენ ჭურჭელს.

ორნამენტის ნიმუშები



დედაბოძი



ვანჯინა

მხატვ. ვლ. წილოსანი

წმ. გიორგის ანუ ამაღლება-აღდგომის ხატი.

სახლის ქვედა სართულს ეძახიან ქ ო ი თ ა ს (ქვედას), სადაც მოთავსებულია საქონელი (ძროხები, ხარები, ცხენები).

სახლს აქვს ცენტრალური ბოძი – დ ე დ ა ბ ო ძ ი, შენობის სახურავი მიწისაა, ბრტყელი, წყალგაუმტარი.

საშენ ქვას და ხე-ტყეს ეზიდებიან ლარსიდან და მთიულეთიდან. ცეცხლის დასანთებად იყენებენ ზაფხულში ქ ა რ ტ ს, ხოლო ზამთარში ქ უ რ ტ ს, – მყარ საწვავს, რომელსაც ამზადებენ ნაკელისგან.

გარდა ძველი საცხოვრებელი შენობებისა, ხევში ნაწილობრივ შემონახულია შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობანი – კოშკები და ციხე-სიმაგრეები, როგორიც არის: არსიანის ციხე, თამარის ციხე და სნოს ციხე. ეს ნაგებობანი უკვე აღნიშნულ არქიტექტურულ ძეგლებთან ერთად ცოცხალი მოწმეები არიან მოხევეების ბრწყინვალე კულტურისა.

არცთუ დიდი ხნის წინათ ხევში ერთ „ჭერქვეშ" ცხოვრობდა საკმაოდ დიდი ოჯახი, რომელიც რამდენიმე თაობიდან შედგებოდა. ასეთი ოჯახის სათავეში იდგა უხუცესი მამაკაცი ს ა ხ ლ ი ს უ ფ რ ო ს ი, მისი უახლოესი თანაშემწე იყო უხუცესი ქალი დ ი ა ს ა ხ ლ ი ს ი. ეს ორი პიროვნება მართავდა ოჯახის საშინაო და საგარეო საქმეებს. უფროსი – მამაკაცების ხაზით, დიასახლისი – ქალის ხაზით. იგი ანაწილებდა ოჯახში პურსა და საკვებს. უფროსს ჰქონდა განსაკუთრებული სავარძელი ს ა მ ა რ ტ ო სკამი. ეს პირები ოჯახში დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდნენ.

მამის სიცოცხლეში ოჯახის გაყოფა იშვიათი მოვლენა იყო ძველად. ისინი თაობების მანძილზე ერთად ცხოვრობდნენ, ხოლო შემდეგ ეს ოჯახები იყოფოდნენ შემადგენელ ნაწილებად. მოხევეების სოციალურ ურთიერთობაში დიდი ადგილი ეკავა სისხლის აღებას. სისხლს იღებდნენ მოკლულის ახლო ნათესავები, იმ შემთხვევაში, როდესაც მათ ახლობელს კლავდა სხვა გვარის წარმომადგენელი.

უნდა აღინიშნოს, რომ მტრების შეჯახების შემთხვევაში, სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად, ქალი იხსნიდა მანდილს თავიდან და აგდებდა მათ შორის. ამ დროს მოწინააღმდეგეები მაშინვე წყვეტდნენ ბრძოლას და შორდებოდნენ ერთმანეთს. ამ წეს-ჩვეულებას მოხევეები უწოდებენ მ ე რ დ ი ნ ი ს ჩ ა გ დ ე ბ ა ს. მართალია, სისხლის აღების წესი მოითხოვდა შურისძიებას მკვლელობისათვის – მკვლელობით. ხშირად ადათის მიხედვით ხდებოდა მტრული გვარების შერიგება, განსაკუთრებული შუამავლების – მოსამართლის დახმარებით, ამასთან ნათესავები ღებულობდნენ გარკვეული, ადათით დადგენილ საფასურს დამნაშავისაგან. თუ შერიგება არ მოხდებოდა, მტრობა რამდენიმე თაობას მიჰყვებოდა.

მოხევეები სტუმართმოყვარე ხალხია. ისინი იცავდნენ სტუმრის სიცოცხლესა და უსაფრთხოებას. სტუმრის წყენინება ითვლებოდა მასპინძლის შეურა-

ცხოფად, მათ ძალზე განვითარებული აქვთ ურთიერთდახმარება (სახლის მშენებლობისას, მინდვრის სამუშაოების დროს და ა.შ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხევეებში მეგობრობა უმაღლესი კეთილშობილების რანგშია აყვანილი. ჭაბუკები ხშირად ხდებოდნენ ძმადნაფიცები, რაც სიმბოლურად გამოიხატებოდა ტყვიების გაცვლაში. „მოღალატეს" ეს ტყვია უნდა მისწეოდა. მეგობრები სიცოცხლის დაუზოგავად ეხმარებოდნენ ერთმანეთს გასაჭირში. მაგრამ მათი ყველაზე წმინდა გრძნობა იყო სამშობლოს სიყვარული, სიყვარული მშობლიური სოფლისა და მთებისა. მოხევეთა ხასიათის ეს კეთილშობილი თვისებები დიდი ძალითა და დამაჯერებლობით გადმოსცა დიდმა ქართველმა მწერალმა ი. ჭავჭავაძემ „მგზავრის წერილებში".

მნიშვნელოვან საზოგადო და სამეურნეო საქმეებს მოხევეები წყვეტდნენ სოფლის ყრილობებზე – ე რ ო ბ ა.

სოფლის საგარეო, საშინაო და სამეურნეო საქმეებს განიხილავდნენ, ისევე როგორც სხვა მთის ქართველებთან არის მიღებული სოფლის მამაკაცები დემოკრატიულ ყრილობებზე. ერობის გადაწყვეტილება ითვლებოდა საბოლოოდ და სოფლის ყველა მცხოვრებისათვის სავალდებულოდ.

მოხევეთა საზოგადო და საოჯახო ცხოვრება შესანიშნავად აქვს აღწერილი დიდ ქართველ კლასიკოსს ა. ყაზბეგს მხატვრულ ნაწარმოებებში. ჭეშმარტად ამაღელვებელი ფურცლები მოთხრობებიდან: „მამისმკვლელი", „ელგუჯა", „ხევისბერი გოჩა" და სხვა. ეთნოგრაფიული სიზუსტით გამოხატავენ მოხევეთა ცხოვრებისა და ყოფის განსაკუთრებულ მხარეებს, ხევის ბუნების სიდიადესა და სილამაზეს.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ მოხევეები დაჯილდოებული არიან ნატიფი პოეტური გემოვნებით და იმათი ხალხური პოეზია მდიდარია შესანიშნავი ლექსებით, რომელშიც ასახულია სამშობლოსადმი სიყვარული, გმირობა, სიყვარული, მეგობრობა და ა.შ.

თუმცა მოხევეების ოფიციალური რელიგიად ქრისტიანობა ითვლება, მათმა რელიგიურმა რწმენამ შემოუნახა ქრისტიანობამდელი ბევრი გადმონაშთი, ასეთ რწმენაში შედის მწვერვალთა, წმინდა ტყეების, ოჯახური კერის და სხვა თაყვანისცემა. მათი სამლოცველო – ხატი გულმოდგინედ არის შემკული ჯიხვის რქებით. ხატებს ჰყავდათ თავისი დ ე კ ა ნ ო ზ ე ბ ი; დეკანოზებს თავისი წოდების რაიმე განმასხვავებელი ნიშნები არ ჰქონდათ. მოხევის ცხოვრებაში არსებულ ყველა დიდ მოვლენას როგორიცაა: ბავშვის დაბადება, ქორწილი, დაკრძალვა და სხვა თან ახლდა გარკვეული რიტუალების შესრულება.

სვანები. სვანები ცხოვრობენ საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე მაღალმთიან რეგიონში, კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრალური ნაწილის სამხრეთ კალთებზე მდ. ენგურის და რიონის მარჯვენა შენაკადის ცხენის-წყლის ზემოწელზე.

ანთროპოლოგიურად სვანები ხასიათდებიან შემდეგნაირად: საშუალოზე მაღალნი, თმის ფერი ღია, ზოგჯერ შავი, თვალის ფერი ნაცრისფერ-მომწვანო სხვადასხვა ელფერით, იშვიათად ყავისფერი.

სვანური ენა ეკუთვნის ქართველურ ენათა ჯგუფს. აქვს კილოკავები: ზ ე მ ო სვ ა ნ უ რ ი, ქ ვ ე მ ო სვ ა ნ უ რ ი, ლ ა შ ხ უ რ ი დ ა ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვანეთი იყოფა ზემო და ქვემო ნაწილად, რომელთაც ერთმანეთისაგან ჰყოფს სვანეთის ქედი (3000 მ.ზღ.დ.). მდ. ენგურის ხეობის აღმოსავლეთი ნაწილი უმგულიდან ბალის ქედამდე, ისტორიული წყაროებით იწოდებოდა თავისუფალი, უბატონო სვანეთი. მდ. ენგურის ხეობის დასავლეთ ნაწილში – საბატონო ანუ სადადეშქელიანო სვანეთი. ქვემო სვანეთს ეწოდებოდა სადადიანო სვანეთი.

ზემო სვანეთის ერთ-ერთი თემი უმგული განლაგებულია 2250 მ. ზღ. დონიდან და არის ევროპაში უმაღლესი დასახლება.

სვანეთში 1926 წ. აღწერით სვანეთის მოსახლეობა შეადგენდა 2993 კომლს და 18823 მცხოვრებს. აქედან ზემო სვანეთში 1811 კომლი 11179 მცხოვრებით. სვანთა გარკვეული პროცენტი ცხოვრობს სვანეთის საზღვრებს გარეთ, ძირითადად სვანეთიდან წასული სვანები ცხოვრობენ აფხაზეთში მდ. კოდორის ზემო წელზე, სადაც 1875 მცხოვრებია.

ტერიტორია, რომელიც უკავიათ სვანებს ზემო სვანეთში 3151 კვ. კმ-ია, ქვემო სვანეთში კი 1350 კვ. კმ.

სვანეთს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება რაჭა-ლეჩხუმი, დასავლეთიდან – აფხაზეთი და სამეგრელოს ტერიტორიის ნაწილი. ჩრდილოეთ საზღვარი გადის კავკასიონის მთავარ ქედზე, რომლის გადაღმა მდებარეობს ყარაჩაი და ყაბარდო.

სვანეთში მეურნეობის მთავარი დარგებია მესაქონლეობა და მიწათმოქმედება.

მიწებს აქ განსაკუთრებით გულმოდგინედ ამუშავებენ. სახნავი მიწები მოითხოვს ყოველწლიურ განოყიერებას. ამიტომ აქ ნაკელი დიდ სიმდიდრედ ითვლება, მას მთელი წელი აგროვებენ, რომ შემოდგომაზე თოვლის მოსვლამდე ან გაზაფხულზე თოვლის აღებამდე გაეტანათ იგი მინდვრად. თესდნენ ქერს, ჭვავს, შვრიას, ფეტვს, სიმინდს, მუხუდოს, ოსპსა და ცერცვს. უნდა აღინიშნოს, რომ სვანები თესდნენ განსაკუთრებულ მაღალი მთის ჯიშების მარცვლეულს. სვანების სახნავი იარაღი აღჭურვილია რკინის სახნისით. თავისი კოსტრუქციით ეს იარაღი მეტ-ნაკლებად შეგუებულია სვანეთის ბუნებრივ პირობებთან. სვანური სახნავი იარაღი (ღენწუიში) გამოირჩევა თავისებური ქუსლით, რომელსაც შუაში აქვს მაღალი ქედი და ღრმა ამონაღები ფსკერზე. თავისი ძირითადი ტიპით ღენწვიში ეკუთვნის ქართულ-კავკასიურ ტიპს, რომელიც უკავშირდება თუბალების სახნავ იარაღს.

ქვემო-სვანეთში საშემოდგომო ჭვავის აღება იწყება ივნისის ბოლო რიცხვებში. ცხენისწყლის ზემო წელზე კი – აგვისტოს ბოლოს.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ უკანასკნელ წლებში სპეციალური ჯიშების შერჩევის გზით სიმინდის კულტურა გავრცელდა მაღალ მთაშიც. მაგალითად, სიმინდის ყანებს, შეიძლება შევხვდეთ ადიშის მყინვარიდან 5-6 კმ-ზე. ქვემო სვანეთში ვაზსაც აშენებენ.

თიბვა

სვანეთის მეურნეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს მსხვილფეხა საქონლის მოშენებას. აქ აშენებენ ძირითადად მეგრული ჯიშის ძროხას, თუმცა არის ჩრდილოკავკასიური პირუტყვიც. სვანები დიდ ყურადღებას უთმობენ მესაქონლეობას, რადგან იგი მეურნეობის ძირითადი და წამყვანი დარგია. საქონელს განსაკუთრებული მზრუნველობით უვლიან. სვანი დიდი გაჭირვებით აგროვებს საქონლის საკვებს საზამთროდ. მაგრამ ეს მარაგი ზამთრის ბოლომდე არ ჰყოფნით, მაშინ როდესაც მაღალმთიანი საძოვრები ტყუილად იკარგება. ეს იმის გამო ხდება, რომ თივის მიტანა შინ ზოგიერთი ადგილებიდან შეუძლებელია, ამის ძირითადი მიზეზია უგზოობა.

საქონლს ზაფხულობით მთის საძოვრებზე აძოვებდნენ, ზამთრობით ბაგურ კვებაზე ჰყავთ. მესაქონლეობა უზრუნველყოფდა მოსახლეობას რძითა და რძის ნაწარმით. საქონლის სადგომი მოწყობილია საცხოვრებელი სახლის ქვედა სართულში (მ ა ჩ უ ბ ი), რომელიც ფიცრის ტიხარით ორ ნაწილად არის გაყოფილი, მეორე ნაწილში მოთავსებულია პირუტყვი.

სვანის მეურნეობაში საკმაოდ მნიშვნელოვანია ნადირობა. ნადირობენ ძირითადად ჯიხვებზე, მთის თხაზე, მთის ინდაურზე და ა.შ. ჯიხვზე ნადირობა მხოლოდ ფიზიკურ სიძნელეებთან არ არის დაკავშირებული – კლდეზე ცოცვა, თვალყურის დევნება, საფარში ჯდომა და ა.შ. – არამედ რისკთანაც. ჩამოვარდნილი ქვის ან თავბრუსხვევის შემთხვევაში შესაძლებელია უფსკრულში გადავარდნა ან ზვავში მოყოლა. ჯიხვების საფარს სვანები უმეტესად აწყობდნენ რკინის შემცველი წყაროების მახლობლად, აგრეთვე მთის მასივებში.

სვანეთში განვითარებული იყო მეფუტკრეობა. მეფუტკრეობას მისდევდნენ თითქმის ყველა სოფელში. ფუტკრის პროდუქტი – თაფლი და ცვილი მეზობელ მხარეებში ბალყარეთში, ყარაჩაიში და სხ. გაჰქონდათ გასაყიდად ან გასაცვლელად, ძირითადად მსხვილფეხა საქონელზე.



საუფროსო სკამი, საკურცხილი

ხელოსნობის ყველაზე გავრცელებული დარგები სვანეთში არის: ხის დამუშავება, კალათების წვნა, მჭედლობა, ფეიქრობა, ოქრომჭედლობა, მექუდეობა, მუსიკალური ინსტრუმენტების დამზადება, არყის ხდა, კირის გამოწვა და კალატოზობა. აქ გვხვდება ოქრომჭედელი ქალებიც.

წიაღისეულმა სიმდიდრეებმა ხელი შეუწყო სვანეთში ლითონის დამუშავების განვითარებას. სვანები თვითონ ამზადებდნენ ტყვია-წამალს. დაუფლე-

ბულები იყვნენ ხის დამუშავების ტექ-ნოლოგიას. თვითონ ამზადებდნენ ხის-გან სამეურნეო იარაღებს; უღელს, მარხილს, კევრს, სავარძლებს და სხვა.

შესტია

სვანური ავეჯიდან განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს „საკურცხილი" – სკამ–სავარძელი, რომელიც დგას კერასთან და განკუთვნილია ოჯახის უფროსი მამაკაცისათვის. მას მნიშვ-ნელოვანი როლი ეკისრება სვანთა რიტუალურ და სოციალურ ყოფაში.

აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი-მთიელებისაგან განსხვავებით სვა-ნური დასახლებები განლაგებულია არა მთაზე ან მთის ფერდობებზე, არამედ მდინარეების ხეობებში. აქ გვაქვს კომბინირებული, მჭიდრო საკარმიდამო დასახლების ტიპი.

სვანური სახლი (ქორ) ორსართულიანი ქვის ნაგებობაა, რომლის ქვედა სართული განკუთვნილი იყო ოჯახის საცხოვრებლად, აქვე არის კერა თავი-სებური კერისზედა მოწყობილობითა და ბოსელი საქონელისათვის. სვანური სახლის მეორე სართული (დარბაზ) ზაფხულობით საცხოვრებლად გამოიყე-ნება, ზამთარში კი ოჯახისა და პირუტყვის საკვების შესანახად.

არც თუ შორეულ წარსულში სვანურ სახლებს ჰქონდა მიშენებული კოშ-კები. კოშკები 4-5 სართულისაგან შედგება, ამასთან ქვედა სართული ყრუა, ვინაიდან გვერდითი შესასვლელი არა აქვს. იქ ჩასვლა მხოლოდ მეორე სარ-თულიდან შეიძლება.

სვანური კოშკების არქიტექტურა მეტად თავისებურია, პირველ რიგში ზემო ნაწილის გაფორმების თვალსაზრისით, რასაც არ მოეპოვება ანალოგია კავკასიელ ხალხთა სხვა კოშკებთან. უნდა აღინიშნოს, რომ სვანურ კოშკებს ძლიერ მტკიცედ აშენებდნენ. მეფის რუსეთის ჯარების ოპერაციის დროს, აჯანყებული ხალდელების წინააღმდეგ ქვემეხების სროლის დროსაც კი ხალ-დელთა კოშკები არ დაზიანებულა.

სვანური ქორ გავრცელებულია, როგორც ზემო ისე ქვემო სვანეთშიც. თუმცა მხედველობაში მისაღებია, რომ ზემო სვანეთის დასავლეთ ნაწილში უმეტესად ამავე ტიპის ხის სახლები გვხვდება. უნდა აღინიშნოს, რომ სვანური ქორის შესწავლისას თვალსაჩინოა მისი ყოფითი, ეკონომიკური, საბრძოლო და რელიგიური ფუნქციები.

ქვემო სვანეთში მთავარი სასოფლო-სამეურნეო ნაგებობა, ისევე როგორც სამეგრელოში, გამჭოლი ხის ან მოწნული პატარა სასიმინდეებია. ის იგება მი-წიდან ერთი საჟენის სიმაღლეზე და ხის 4 სვეტზე დგას. ეს ნაგებობა გადახუ-რულია თივით. ზემო სვანეთში ძალზე გავრცელებულია ფარდულები, რომ-ლებსაც სამი კედელი აქვს, ხოლო სახურავი გაკეთებულია ფიქალის ფილებით, სადაც ქერისა და ჭვავის ძნებს ინახავენ.

სვანის ტანსაცმელია: ჩოხა, შარვალი, ტილოს პერანგი, ცხვრის, თხის ან ჯიხვის ტყავის ტყაპუჭი, ნაბდის ქუდი. ფეხსამოსად ხმარობენ ქალამანს. სვანი ქალები იცვამენ ჩვეულებრივ ქალაქურ კაბებს, იშვიათად შემონახული აქვთ ძველებური სამკერდე ვერცხლის სამკაულები. ხმარობენ თავშალს.

სვანი ქალის ტანსაცმელი

სვანური ოჯახი ან სვანური „ქორ“-ი რამოდენიმე თაობას აერთიანებდა და წარმოადგენდა დიდ, პატრიარქალურ ოჯახს, რომელსაც სათავეში ედგა „ქორა მახვში“. იგი ოჯახის საკითხებს წყვეტდა ერთპიროვნულად, ხოლო საერთო საკუთრების გაყიდვის ან მსგავს სხვა შემთხვევებში „ქორა მახვში“ დამოკიდებული იყო ოჯახის სხვა უფროსი ასაკის წევრების გადაწყვეტილებაზე. „ქორს“-ს ჰყავდა აგრეთვე სახლის საქმეების გამგებელი ქალი „ქორა მახვშ დურალ“-ი ან „მერბიელ“-ი, რომელიც ხელმძღვანელობდა ყველა დანარჩენი ქალების საქმიანობას, განაგებდა მარცვლეულის მარაგს და საკვების განაწილებისას შეუზღუდავი უფლებები ჰქონდა.

სვანურ საქორწილო რიტუალში შეინიშნება პატრიარქალური წყობის ადრეული ნიშნები, როგორიცაა, ოჯახური კულტი, პატარძლის მიერ ახალი ოჯახის თაყვანისცემა, მისი ზიარება კერასთან, რაც გამოიხატებოდა შემდეგი წესით: ქორწილის შემდეგ პატარძალი გარს უვლიდა კერიას და უმასპინძლდებოდა ქმრის ნათესავებს. სიმბოლურად გამოხატავს ნაყოფიერებასა და სიმდიდრეს, რომელიც შეაქვს ცოლს ქმრის ოჯახში.

ქორწინებას სვანისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა: ნიშნობა ხდებოდა საცოლისა და საქმროს ბავშვობაში, საპატარძლოსათვის იხდიდნენ გამოსასყიდს. გაუმართლებელი იმედები რომელიმე მხარისაგან, სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ (განსაკუთრებით საპატარძლოს უარი), იწვევდა სასჯელს სისხლის აღების წესით.

სვანების რელიგია აერთიანებს ქრისტიანეული და წარმართული რწმენის ელემენტებს. ქრისტიანული წმინდანების გარდა აქ წარმოდგენილია ქვის კულტი სხვადასხვა ვარიაციებით („ჩხუდ“ – კალოს წმინდა ქვა, „ლედე“ – თეთრი ქვები, რომლებსაც სიკეთე მოაქვთ ოჯახისათვის, „ბაჩი-გვიგ“ და ა.შ.) მწვერვალების კულტი, მცენარეთა კულტი, ლითონების კულტი, დაფიქსირებულია აგრეთვე დღესასწაულების მკვეთრი დაფერენციაცია ქალებისა და მამაკაცების დღესასწაულებად, გარდა ამისა არის შრომის ყოველწლიური დღესასწაულები „ზომქა“, გაზაფხულის დღესასწაული „აგბა-ლაგრალ“-ი, წინაპართა კულტი „ლიფანალ“-ი და ა.შ.

ხალხური რწმენით წინაპართა სულები ყოველწლიურად ბრუნდებიან ოჯახში, სადაც ეწყობა მათთვის სუფრა, მასპინძლობისას წინაპართა სულებს



ქართული ჭიდაობა

(მხატვარი ზ.წერეთელი)

ჯარისკაცი-ოთხმაგი ძალა

(მხატვარი ზ.წერეთელი)

ართობენ მუსიკით, სიმღერით, ლექსებითა და ზღაპრებით. სულები ოჯახში ერთი კვირის განმავლობაში იმყოფებოდნენ.

ამ რელიგიურ წარმოდგენებს შორის ბევრი მათგანი განეკუთვნება ღრმა წარსულს და გენეტიკურად უკავშირდება წინა აზიის რელიგიებს, როგორც სვანური ღმერთის ბარბალეს კულტის შემთხვევაში (ბარბალე – შუმერული ბაბარ-ი).

საერთოდ, უნდა ითქვა რომ სვანეთი ცოცხალ მუზეუმს წარმოადგენს, სადაც გადმონაშთები შემონახულია არა მარტო ადამიანთა ცნობიერებაში, არამედ აქ გვხვდება მსოფლიო მნიშვნელობის მქონე მატერიალური კულტურის ობიექტებიც. ქართული ქრისტიანული კულტურისა და ხალხური ხელოვნების შედევრები.

ამ მხრივ მან „კარგი სამსახური გაუწია არა მარტო საქართველოს, ან მთლიანად კავკასიის შუა საუკუნეების ისტორიას, არამედ მთელს წინა აზიურ სამყაროსაც და როგორც ევროპელები იტყვიან, მთელ მსოფლიოს“ (მარი).

რაჭველები. რაჭველებით დასახლებულია ორი რაიონი (ახლანდელი ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით): ამბროლაური და ონი. გეოგრაფიულად და ეთნოგრაფიულად რაჭა იყოფა ქვემო და ზემო რაჭად, ბუნებრივი საზღვარია ხიდიკართან (სოფ. ხიმშის მახლობლად), ამასთან განსაკუთრებით მკაფიოდაა გამოყოფილი ზემო რაჭა, სამი დიდი დასახლების შემადგენლობით, რომლებიც მდინარეების რიონის (სოფ. ღები და ჭიორა) და გლოლის წყალის (სოფ. გლოლა) ზემო წელზე მდებარეობენ 1500-მ-ზე ზღვის დონიდან.

რაჭის მთავარი არტერიაა მდ. რიონი (ძველი ფაზისი), რომელიც სათავეს იღებს ფასის მთის კალთებზე. გადასერავს რა მთელ რაჭას სიგრძივ, ორ თითქმის თანატოლ ნაწილად, მიედინება კავკასიონის მთავარი ქედის გვერდით განშტოებებს შორის. მას ბევრი შენაკადი აქვს, მაგ. შოდურა, ლაგურია, საკაურა, ლუხუნისწყალი (მარჯვენა მხრით) და ჩვეშურა, ჭანჭახი, ჯოჯორა და სხვ. (მარცხენა მხრიდან).

რაჭველი ქალები.
XIX ს. II ნახევარი

რაჭველები საშუალოზე მაღლები არიან, ძლიერი აღნაგობის, გასუქებისადმი მიდრეკილების გარეშე. თვალის ფერი უმეტეს შემთხვევაში მუქი ყავისფერი. სახის ნაკვთები ფართო, დამახასიათებელი იმერული ცხვირით. ბუნებით კეთილები, ამაყი და პირდაპირები. დიდად შრომისმოყვარე და მიზნის მიღწევისას შეუპოვრები. არ არიან შურისმაძიებლები, მაგრამ მტრისადმი შეურიგებლობით ხასიათდებიან. ისინი აღზრდის მკაცრ სკოლას გადიან, ბავშვობიდანვე ეჩვევიან გაჭირვებასა და მძიმე შრომას.

რაჭული ქართული კილოკავია, რომელიც ორად იყოფა: მთის რაჭის დიალექტი (სოფ. გლოლა, ღები, ჭიორა) და ქვემო რაჭის დიალექტი, რომელიც მოიცავს ქვემო და ზემო რაჭის კილოკავებს. მთის რაჭის დიალექტი

ენათესავება მთის კილოკავებს (ხევსურულს, ფშავურს და ა.შ.), და არქაულია. ქვემო რაჭის დიალექტი არსებითად უახლოვდება ზემო იმერულსა და ლეჩხუმურს.

სოფ. მრავალძალი

რაჭაში განვითარებულია მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მეღვინეობა და სხვადასხვა წარმოება, რომელიც შეესაბამება ამ რაიონის ბუნებრივ (სასოფლო-სამეურნეო) რესურსებს.

რიონის დაბლობში ჭარბობს მიწათმოქმედება და მეღვინეობა, აქ ზომიერი ჰავაა (ხიდიკარიდან – სოფ. უწერამდე). მთიანი რაიონების მეურნეობაში – მესაქონლეობა. სათიბების მეტისმეტი სიმწირე, აქედან გამომდინარე ზამთრის გრძელ თვეებში მრავალრიცხოვანი პირუტყვის შენახვის შეუძლებლობა, იწვევს საქონლის რაოდენობის ხელოვნურ შემცირებას. ამიტომ მოსახლეობა იძულებული იყო სახნავი მიწების მცირე ნაკვეთებიც გამოეყენებინა მიწათმოქმედებისათვის, რომლებიც სოფლიდან შორს იყო მიმოფანტული. მოჰყავდათ მხოლოდ ქერი და ზოგიერთი (ადგილობრივი) ჯიშის ხორბალი, რომელიც მთის ხანმოკლე ზაფხულის განმავლობაში ასწრებდა დამწიფებას.

სახნავ მიწებს, როგორც წესი, რაჭაში თითოეული ოჯახი დამოუკიდებლად ამუშავებდა. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ ე.წ. გ ა რ ე - ყ ა ნ ა (გარეყანას უწოდებენ იმ ნაკვეთებს, რომელიც სოფლიდან მოშორებით იყო მიმოფანტული და არ ნოყიერდებოდა. შ ი ნ ა - ყ ა ნ ი ს სახნავი მიწები მდებარეობდა გლეხის ოჯახის სიახლოვეს), რომელსაც ზოგჯერ ერთობლივი ძალით ამუშავებდნენ ნათესავები ან მეზობლები და მოსავალზე თანაბარი უფლება ჰქონდათ. სათიბებით სარგებლობდნენ კომლების მიხედვით ან ერთობლივად; რაც შეეხება საძოვრებსა და ტყეებს, მათ მხოლოდ ერთობლივად იყენებდნენ.

გლეხი, სახნავი მიწის მოპოვებისათვის, ასუფთავებდა ტყის გარკვეულ მონაკვეთს მცენარეებისაგან და იყენებდა მას დასათესად (ა ხ ო ს გ ა თ ე ლ - ვ ა), რის შემდეგაც ამ მიწაზე საკუთრების უფლებას იღებდა.

რაჭაში მოჰყავდათ პურეულის სულ ექვსი სახეობა: ქერი, ხორბალი, ჭვავი, სიმინდი, ღომი და ფეტვი, ქერი ერთ ჯიშის მოჰყავდათ, ხორბალი – რამდენიმე ჯიშის: მახა, ზანდური და პური.

მახა და ზანდური თქმულებისამებრ შემოტანილი სამეგრელოდან, გამოირჩევა მოგრძო, მსხვილი მარცვლებით, მას ცოტას თესდნენ და მხოლოდ ხვანჭკარის საზოგადოებაში.

„პური" – ჩვეულებრივი და „ხულუგო" – უფხო ხორბლის. ზაფხულის ჯიშებს თესდნენ უფრო დიდი რაოდენობით, ვიდრე ხორბლის სხვა ჯიშებს, უმეტესად ქვემო რაჭაში.

სიმინდის ჯიშებს: „კოდოლა – სიმინდი" და „მთის სიმინდი" – (ადგილობრივი ჯიშები წვრილი, ყვითელი მარცვლებით) თესდნენ მაღლობ ადგილებზე ხოლო „გრანიცული" და „თეთრი სიმინდს" – (რაჭაში შემოტანილი ჯიშები მსხვილი თეთრი მარცვლებით) – დაბლობებში.

მითითებული პურეულიდან ძირითადად ქვემო რაჭაში თესდნენ ხორ-ბალსა და სიმინდს, ზემო რაჭაში კი ჭვავსა (დიკა) და ქერს. მაგრამ უკვე საუკუნის მეორე ნახევრიდან სიმინდმა ზემო რაჭაშიც შეაღწია.

თესვის დრო დამოკიდებული იყო მარცვლეულის ჯიშსა და მათი დათესვის ადგილზე. მთებში ქერს თესდნენ 1 აპრილიდან 30 მაისამდე, დაბლობში კი 15 მარტიდან 15 აპრილამდე; ხორბალს – 1 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე და აგვისტოს მეორე ნახევრიდან ოქტომბრის მეორე ნახევრამდე.

გულმოდგინე მოვლას საჭიროებდა სიმინდი, რომელიც სეზონის განმავ-ლობაში 2-3 ჯერ მაინც უნდა გაემარგლათ. მარგვლა – ისეთი სამუშაოა, რომელიც მკაცრად რეგლამენტირებულ ვადებში უნდა შესრულებულიყო. ასეთ შემთხვევებში იყენებდნენ ახლო მეზობლების დახმარებას. გლეხი სიმინ-დის მარგვლისას უძახდა „ნადს“ (დახმარება) ისეთი რაოდენობით, რაც სა-ჭირო იყო ამ სამუშაოს დროულად შესასრულებლად. მთელი მუშაობის გან-მავლობაში „ნადის“ მონაწილეებს გულუხვად უმასპინძლებდნენ, ამასთან სა-მუშაოს დამთავრების შემდეგ გლეხი ვალდებული იყო თავისი „ნადის“ თი-თოეულ მონაწილეს თითო დღეს დახმარებოდა მარგვლაში. „ნადს“ კრებდნენ ნებაყოფლობით საწყისებზე, მაგრამ ურთიერთდახმარების წესის მკაცრი დაცვით. ასეთ დახმარებას მიმართავდნენ მძიმე სამუშაოს ყველა შემთხვევაში.

მთიან ადგილებში, სადაც პატარა სახნავი მიწის ნაკვეთები შორი-შორ იყო მიმოფანტული ხნავდნენ ინდივიდუალურად, წყვილი ხარის დახმარებით. დაბლობებში კი, სადაც სახნავი მიწების შედარებით დიდი და მთლიანი ნაკვე-თები იყო, იყენებდნენ მძიმე სახნავ იარაღს. წესად იყო დახმარება ორი წყვილი ხარით, ამასთან დახმარების ორგანიზაციისას, სამუშაოს თანმიმდევრობა და საჭირო დღეების რაოდენობა თითოეული მონაწილის სასარგებლოდ წინასწარ და მკაცრად განისაზღვრებოდა.,

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რაჭაში „ზანდურისა“ და „მახას“ ჯი-შების, მკის პრიმიტიული მეთოდების შემონახვა ადასტურებენ იმ დებულებას, რომ მათი გამოგონება და კულტივირება უკავშირდება ქართული ტომების კულტურის უძველეს სათავეებს და მოწმობს იმ დიდ ისტორიულ როლს, რომელიც ითამაშეს ქართულმა ტომებმა სამიწათმოქმედო კულტურის განვი-თარებაში.

მეღვინეობის რაიონი რაჭაში მოიცავს რიონის მთელს დაბლობს სოფ. უწერამდე. მაგრამ უფრო ხელსაყრელი (ყურძნის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით) პირობებია რიონის დაბლობში ხიდიკარის გასასვლელამდე. განსა-კუთრებით კი ამბროლაურისა და ხვანჭკარის რაიონებში.

ვენახის გაშენების ხერხის მიხედვით რაჭის ვენახები „დაბლარია“. რაჭაში სულ 50-ზე მეტი ყურძნის ჯიში არსებობს, მაგრამ ყველაზე გავრცელებულია: ნაბისტანა, არაბეული, ნაგუთვნელი, ხიხვა, მწვანე, თეთრა, მუკსურეთული, რქაწითელი, ჭროშნა, ყორნისთვალა და სხვა.

ზოგიერთი ჯიშის ყურძნისაგან მიღებული ღვინოები, კახურს არ ჩამო-უვარდებიან და შორს გაითქვეს სახელი არა მარტო რაჭის, არამედ საქართველოს საზღვრებს გარეთაც.

ვენახის გაშენებისათვის ვარგისი ფართობების ნაკლებობისა და არათანა-ბარი განაწილების გამო, შეიქმნა იჯარის თავისებური ფორმა „სანაშენო“. სანაშენო იყო პირობა დადებული მცირემიწიან გლეხსა და მესაკუთრეს შორის,

ამ პირობის თანახმად მოიჯარე იღებდა ვალდებულებას მიწის მფლობელის ნაკვეთზე გაეშენებინა ვენახი, რომლის მოსავალი ორივეს ეკუთვნოდა.

ღვინის მისაღებად მოწეულ ყურძენს ყრიდნენ და სწურავდნენ „საწნახელში". გამოყოფილ წვენს ჭაჭასთან ერთად რამდენიმე დღით საწნახელში ტოვებდნენ, მაგარი ღვინის მისაღებად. ამის შემდეგ ყურძნის წვენს ასხამდნენ თიხის დიდ ჭურჭელში, რომელიც მიწაშია ჩაფლული (ქვევრი, ჭური). დარჩენილ ჭაჭას ისევ წურავენ ადგილობრივი წარმოების პრესის (ჭახრაკი) საშუალებით. ქვევრი და ჭური ზოგჯერ დახურულ შენობაშია მოთავსებული. უმეტესწილად კი მიწაშია ჩაფლული ღია ცის ქვეშ, სახლის მახლობლად, ხშირად ხეების ან ვაზის ფანჩატურის ქვეშ.

ყურძნის კრეფა სოფლებში ზეიმად არის ქცეული. ყურძნის კრეფაზე („რთველი") იწვევენ მეზობლებსა და ნათესავებს. მუშაობენ ერთად სიმღერის თანხლებით. საერთო მხიარულებაში ახალგაზრდები და ქალები კრეფენ ყურძენს, ხოლო მამაკაცებს გადააქვთ იგი სახლში.

მესაქონლეობა რაჭაში, არსებობს მიწათმოქმედებასთან ერთად, ზემო რაჭის ზოგიერთ რაიონში კი მას შედარებით წამყვანი როლი ენიჭება. ქვემო რაჭაში მესაქონლეობა მნიშვნელოვნად არის განვითარებული მხოლოდ ნიკორწმინდისა და შქმერის თემებში, რომლებიც თავისი ბუნებრივი პირობებით ახლოს დგანან ზემო რაჭის პირობებთან.

რძის პროდუქტებიდან ამზადებენ ყველს, კარაქს, ხაჭოს. იმერლებისაგან განსხვავებით, რაჭველები დიდ ყურადღებას აქცევენ კარაქის დამზადებას. კარაქს ამზადებენ თიხის „სადღვებელის" საშუალებით.

ეკონომიკურად ყველაზე არახელსაყრელი რაიონების გლეხები თავისი ბიუჯეტის შესავსებად, პერიოდულად დადიან საშოვარზე. საშოვარზე წასვლა ბევრი გლეხისათვის არის არსებითად შემოსავლის დამხმარე წყარო. სასოფლო-სამეურნეო საქმეების დამთავრების შემდეგ რაჭველები ჯგუფებად, რომელშიც ჯგუფის წევრებს შორის დადგენილია მტკიცე და მკაცრი კორპორაციული წესები, ურთიერდახმარებისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, მიემართებიან საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა რაიონებში. ასეთი ამხანაგობის უფროსად ირჩევენ ყველაზე გამოცდილ ოსტატს. თან მიაქვთ სურსათ-სანოვაგე, ინსტრუმენტები ვისაც რა გააჩნია. ხშირად ასეთ ჯგუფს თან მიჰყავდა ახალგაზრდა (უსახლკარო-ობოლი), რომელიც იკვებებოდა მთელ ჯგუფთან ერთად და ღებულობდა გარკვეული ოდენობის თანხას არტელის შემოსავლიდან. ადგილზე ჯგუფის იურიდიული წარმომადგენელი იყო უფროსი, მაგრამ ყველა საკითხი წყდებოდა ერთობლივად. შემოსავალს იყოფდნენ თანაბრად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჯგუფის წევრი ავადმყოფობის გამო ვერ მიიღებდა მონაწილეობას მუშაობაში. რაჭველები სამართლიანად ითვლებოდნენ საამშენებლო საქმის ოსტატებად და ცნობილი იყვნენ რაჭის საზღვრებს გარეთაც. ხელოსნობის სხვა დარგებიდან რაჭაში გავრცელებული იყო მჭედლობა, რომელიც მოიცავდა რკინის მადნის მოპოვებას, ლითონის გამოდნობასა და ჭედვას. მთის მაღაროების მრავალი ნაშთები (განსაკუთრებით წედისის რაიონში), ლითონის დამუშავების წესებში უძველესი ტექნიკური ელემენტების არსებობა, მჭედლების სოციალური მნიშვნელობა და მრავალფეროვანი თქმულებები (მჭედლებს რკინის კაცებს ეძახდნენ) საკმარისად მიუთითებენ რაჭველებში რკინის წარმოება-დამუშავების მაღალ კულტურაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაჭული სახლი

რკინის მადანი, რომლითაც საერთოდ მდიდარია რაჭა, მოიპოვება 11 სახეობის, სხვადასხვა რაიონებში. ამასთან მაღაროების ადგილმდებარეობა მკაცრად გასაიდუმლოებული იყო. რაჭველები კარგად ერკვეოდნენ მადანში და იცოდნენ მისი კომბინირება, საჭირო ლითონის მისაღებად სხვადასხვა დანამატების გამოყენება და მადნის გულმოდგინე დამუშავება, რაც მაღალხარისხოვანი ფოლადის მიღების საშუალებას იძლეოდა.

ძველად, რაჭველების ყოფაში, საკმაოდ დიდ როლს თამაშობდა ნადირობა, როგორც მეურნეობის დამხმარე დარგი. ზოგიერთ ადგილებში, სადაც განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები იყო, ცალკეული ოჯახების ზამთრის მარაგის მნიშვნელოვან ნაწილს ნანადირევი წარმოადგენდა.

ნადირობდნენ ძირითადად ჯიხვზე და არჩზე. ე.ი. ყველაზე მაღალ და ძნელად მისადგომ ადგილებში. რაჭაში ეთნოგრაფიული მონაცემებით დგინდება, ემპირიული ცოდნა ადგილმდებარეობის, მთაში ორიენტირების, ტყვია-წამლის დამზადების და ა.შ.

რაჭველების დასახლებები, მთიანი და ზოგიერთი მაღლობი ადგილების გამოკლებით, ერთფეროვანია და ძირითადად ჰგავს დასახლების იმერულ ტიპს. სოფლები განსაკუთრებით ზემო რაჭაში, განლაგებულია კვარტალებად და ხშირად მკაფიოდ შეინიშნება გვაროვნული ნიშნით დასახლება. მთიანი რაჭის, კერძოდ, სოფ. ღების დასახლების ტიპი მსგავსია მთიანი კავკასიისათვის დამახასიათებელი დასახლებისა. მოსახლეობა ცხოვრობს მჭიდროდ, სახლები ერთმანეთისაგან გაყოფილია ერთი კედლით, ერთმანეთს უკავშირდება ვიწრო ქუჩებით, სახლებს არა აქვთ კარმიდამო. კვარტლების გვაროვნული ნიშნით დაყოფა აქ უფრო მკაფიოდ არის გამოხატული (სოფ. ღებში – ლობჟანიძეების, გავაშელიშვილებისა და ა.შ. უბნები).

ქვემო და ზემო რაჭაშიც აშენებენ უფრო ხშირად ორსართულიან სახლებს, ქვისაგან და უმეტესწილად კი ხისგან., სახურავი კრამიტის ან ყავარის იყო. რაჭისათვის ტიპიურია (მთიანი რაჭის გარდა) ორსართულიანი ხის სახლი აივნით, რომლის ქვედა სართული განკუთვნილია ბოსლისათვის. ბოსელში ხშირად აფენდნენ ფიცრებს და კარების გარდა ტოვებდნენ პატარა ფანჯარას ჰაერის გასაწმენდად, შუქისათვის და ნაკელის გადმოსაყრელად.

ბეღელი. სოფ. სხვავა. 1960 წ.

სხვა სამეურნეო ნაგებობებიდან, ბოსლის გარდა უნდა აღინიშნოს ბეღელი, ხის ოთხკუთხა ნაგებობა, სადაც სურსათ-სანოვაგეს ინახავდნენ და მარანი ასევე ხის ნაგებობა საწნახელისა და მეღვინეო-

ბისათვის საჭირო სხვა მოწყობილობებისათვის; აქვე ინახებოდა ურმის უღელი, კავი, ფარცხი, კევრი, ფიცრები და ა.შ.

დუროიანი სახლი. რაჭა. ფოტო, 1999 წ.

მთიან რაჭაში სახლებს აშენებდნენ ქვისაგან – ოთხსართულიანს, სათოფეებით ზემო სართულზე ე.წ. „დუროიანი სახლი". ასეთი სახლები სოფ. ღებში 1930 წ. იყო 50, თუმცა შემდგომ ათწლეულში მათი რაოდენობა შემცირდა. დუროიანი სახლი თავისი ტიპით ახლოს დგას სვანურ „მურყვამთან" („კოშკი"), თუმცა ამ უკანასკნელთან შედარებით უფრო დაბალია. ასეთი სახლის სიმაღლე საშუალოდ 12-მ-ია, განივ ჭრილში კი საძირკველთან 10-8.5 მ.

ქვედა სართულზე მოთავსებული იყო „ბოსელი", მეორე სართულზე – საცხოვრებელი კერით. ამ ოთახის კედლებში გაკეთებული იყო ნიშები, თაროები და ფანჯრები. მესამე სართული გამოიყენებოდა სურსათ-სანოვაგის მარაგის შესანახად, ხოლო მეოთხე სართული, რომლის ოთხივე კედელში სათოფურები იყო დატანებული გამოიყენებოდა კოშკის სახით. სახლები გადახურული იყო ყავრით ან ქვის ფირფიტებით. ზოგიერთი ასეთ სახლს მიშენებული ჰქონდა კიბე, აივანი და ხორბლის გასაშრობი ბაქანი – „საფიცხოელი".

რაჭველების ტანსაცმელი XIX ს-ის აღწერების მიხედვით იმერულია. მამაკაცებს ეცვათ ზედა ტანსაცმელი ჩერქესკა (ჩოხა) ადგილობრივი წარმოების უხეში ან ოსური მაუდისაგან, წელზე ირტყავდნენ ქამარს, რომელზეც ეკიდათ ხანჯალი, მას იცვამდნენ იაფფასიანი ქსოვილის ახალუხზე. ზამთარში ყველაფერ ამას ემატებოდა ყაბალახი, ნაბადი და „პაჭიჭები" მოქნილი ტყავისაგან დამზადებული ქალამნები. ზემო რაჭაში ფართოდ იყო გავრცელებული შინდამზადებული მოკლე ქურქები.

რაც შეეხება ქალის ტანსაცმელს, იგი არ არის მთელს რაჭაში ერთნაირი. ქვემო რაჭაში უმეტესად გავრცელებულია იმერული ტანსაცმელი, მაშინ როცა ზემო რაჭაში ქალის ტანსაცმელს ბევრი საერთო აქვს ზოგად კავკასიურ სამოსთან. ქალის თავსაბურავს ზოგიერთი თავისებურებები აქვს: იგი შედგება გრძელი და განიერი თავსაფრისაგან („ჩიქილა"), რომლის ერთ ბოლოს იხვევდნენ თავის ირგვლივ, მეორე კი ჩაშვებული იყო კოჭებამდე. ამ თავსაფრის გარდა, თავზე სხვა თავსაფარსაც იხვევდნენ, ყელზე იკეთებდნენ ახალი და ძველი მონეტების, ყელსაბამებს, მძივებსა და ა.შ.

სასოფლო-სამეურნეო იარაღებიდან, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, სახნავი იარაღი, რომელიც რაჭაში წარმოდგენილია ორი ძირითადი ტიპის, სხვადასხვა სახის ვარიანტებით.

რაჭული სახნავი იარაღი თავისებურია, თავისი ტიპით ენათესავება ქართულ სახნავ იარაღებს, ამასთან ქართველი ტომების მაღალი სამიწათმოქმედო კულტურის თვითმყოფადი პროდუქტია და წარმოადგენს ამ ტიპის სახნავი იარაღის განსაკუთრებით განვითარებულ ფორმას.

სახნავი იარაღების რამდენიმე ნაირსახეობიდან, ყველაზე საინტერესოა რაჭული მთის სახნავი იარაღი მოღუნული „სათრით“ ქუსლის ოვალურად გამოჭრილი ფრთებითა და ამოღრუტნული ძირით, ანუ სახნავი იარაღი, რომელიც ეფექტურად ცვლის გუთანს, ხოლო ქრონოლოგიურად ბევრად უსწრებს მას. რაჭული სახნავი იარაღის აღნიშნული თავისებურებები, მათი შედარება ამ ტიპის სხვა სახნავ იარაღებთან, ისტორიული ცნობები და მრავალი თქმულება, საკმაოდ ნათლად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ რაჭული მთის სახნავი იარაღი არის პრიმიტიული სახნავი იარაღის დამოუკიდებელი განვითარების შედეგი, რომლის ნაკლოვანებანი დაძლეულია შემადგენელი ნაწილების ხანგრძლივი და გულმოდგინე გაუმჯობესების გზით.

გვევლინება რა ამ ტიპის პრიმიტიული სახნავი იარაღის განვითარების თავისებურ გვირგვინად, რომელიც ამჟამად გვხვდება მხოლოდ კავკასიაში (ამასთან მისი განვითარების თანმიმდევრული ეტაპები მრავლად არის წარმოდგენილი საქართველოს სხვა კუთხეებში), რაჭული მთის სახნავი იარაღი იმდენად მჭიდროდ უკავშირდება მცირე აზიის უძველეს სახნავ იარაღებს, რომ ვგულისხმობთ არა მარტო ტიპოლოგიური თანხვედრას, არამედ უფრო ღრმა კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეობითობას. მისი მსგავსება იმ სახნავ იარაღებთან, რომლებსაც იყენებდნენ სწორედ ქართული ტომების წინაპრები მცირე აზიაში, მიწათმოქმედების მსგავს ბუნებრივ პირობებში, მიწათმოქმედების მაღალი კულტურის ფაქტი და პირდაპირი ისტორიული ცნობების არსებობა, საბოლოოდ ამტკიცებს იმ დებულებას, რომ სახნავი იარაღის გამოგონებისა და განვითარების საქმეში ქართულმა ტომებმა შეასრულეს მნიშვნელოვანი და საპატიო როლი, კერძოდ რაჭული მთის სახნავი იარაღი არის თავისებური მწვერვალი ამ ტიპის სახნავი იარაღის განვითარებაში.

ზოგიერთ სოფელში გამოიყენებოდა „ორხელა“, სახნავი იარაღი, რომელიც თავის კონსტრუქციული თვისებებით ახლოს დგას „სახვნელთან“. ეს სახნავი იარაღი გამოირჩევა „სახვნელისაგან“ სახელურით, რომელიც აქ წარმოდგენილია მოღუნული და გრძელი ფორმით, იგი ჩადგმულია ბასრი პირით ქუსლის შეერთების ადგილას, ხოლო „სათარი“ უფრო მოკლეა.

აქვე გვხვდება აგრეთვე სახნავი იარაღი „აჩაჩა“, რომელიც ძლიერ განსხვავდება ზემოაღნიშნული გრძელი ტიპის „სათარისაგან“, მისი უღელთან შეერთების წესით („აჩაჩას“ არა აქვს გრძელი ტყავის თასმა და მასში აბამენ მხოლოდ ერთ წყვილ ხარს) და უფრთებო ქუსლითაც.

სახნავი იარაღის ასეთი მრავალფეროვნება, მისი შეგუება ნიადაგის თავისებურებებთან და პრიმიტიული სახნავი იარაღის დეტალების განვითარება, არის საკმაოდ ნათელი ნიშანი მაღალგანვითარებული სამიწათმოქმედო კულტურისა და ამ კულტურის მიღწევის საკუთარი განვითარების გზის არსებობის.

სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღებიდან უნდა აღინიშნოს „ფარეხი“ – ორი სახის: „ბარი“ რკინის ნიჩაბი ნიადაგის გაფხვიერებისათვის და მცენარეების დარგვისათვის, „თოხი“ – იგივე ნიჩაბი, ოღონდ უფრო ფართო პირით, „ცული“ – თივის სათიბი იარაღი და სხვა.

გადაადგილების ძირითადი საშუალებად დაბლობ ადგილებში გამოიყენება დიდი ურმები, დიდი თვლებითა და ხელნით, რომელიც უშუალოდ უერთდება უღელს, ხოლო მაღლობ ადგილებში პატარა ურმები მთლიანად გამოჭრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვლებითა და ხელნებით, თავკავის სახით. ზამთარში იყენებენ ხის ციგებს ორი თავკავითა და ძარის გარეშე.

რაჭული ოჯახი XIX საუკუნის დასაწყისამდე ცხოვრობდა ძველ სახლებში „დიდ ოჯახებად", რომელიც 20 ან მეტი წევრისაგან შედგებოდა. „დიდი ოჯახის" სათავეში იდგა უხუცესი „ბაბუა". მას ემორჩილებოდა ოჯახის თითოეული წევრი. იგი წყვეტდა ყველა ძირითად საკითხს: სხვა ოჯახებთან ურთიერთობის, სხვა სამუშაოებით ნაშრომი ფულის ცენტრალიზაციასა და ხარჯვას, ოჯახისშიგნით სასამართლოსა და სასჯელს. სოფლის ყრილობაზე, სადაც მსჯელობდნენ სოფლისათვის საერთო საკითხებზე იგი წარმოადგენდა ოჯახს. მისი ძალაუფლების სიმბოლო იყო სკამი, რომელზეც დაჯდომის უფლება მხოლოდ მას ჰქონდა.

ოჯახის შინა საქმეებს, ძირითადად სამეურნეო საკითხებს განაგებდა უხუცესი ქალი (უფრო ხშირად უფროსი რძალი) რომელსაც „ბებიას" ეძახდნენ, მასთან ინახებოდა სკივრებისა და ბეღლების გასაღებების ასხმული (ეს იყო არა მარტო სიმბოლო, არამედ ოჯახის სამეურნეო საქმიანობის ფაქტიური მართვა). მთელი მოსავალი და ყველა შემოსავალი ეკუთვნოდა ოჯახს მთლიანად, პირადი შემოსავლების გარდა, რომელსაც შოულობდნენ გარეშე საქმიანობით. ქალები მას იყენებდნენ გოგონების გაზრდასთან დაკავშირებული ხარჯებისათვის. გაყოფის შემთხვევაში (ვაჟიშვილები ან შვილად აყვანილები) იღებდნენ თანაბარ წილს – ქალები კი გაყრისას სულ არ მონაწილეობდნენ.

ფართოდ იყო გავრცელებული სისხლის აღების წესი, რომელიც ძირითადი ნიშნებით ჰგავს საქართველოს მთის სხვა მაცხოვრებლების წესებს.

რაჭაში შემონახული იყო ურთიერთდახმარების წესები. ეკონომიკურად სუსტ ოჯახებს თანასოფლელები (პირველ რიგში ნათესავები) მატერიალურად ეხმარებოდნენ. სტიქიური უბედურების დროს (მაგ. ხანძარი) საერთო ძალებით აშენებდნენ სახლს, ყიდულობდნენ საქონელს.

შრომატევადი სასოფლო-სამეურნეო საქმეების შესრულებისას, რომელიც გარკვეული პერიოდისათვის უნდა დამთავრებულიყო, იყენებდნენ ურთიერთდახმარების წესს, რომელსაც ეწოდებოდა „დიდ-მეშველი", „მეშველი", „ნადი" და ა.შ. მას იყენებდნენ ტყისაგან სახნავი მიწის გაწმენდის, სიმინდის მარგვლის, მოსავლის აღების დროს და ა.შ.

რაჭველების ხალხური რწმენები და რიტუალები გამსჭვალულია ქრისტიანამდელი, წარმართული რწმენის ელემენტებით.

მათი წარმოდგენებით სამეურნეო საქმიანობის თითოეულ დარგს ჰყავს თავისი „პატრონები" – მფარველები, რომელთა მონაწილეობისა და კეთილგანწყობის გარეშე შეუძლებელია ადამიანმა წარმატებას მიაღწიოს. მიწათმოქმედების დარგში ისინი თაყვანს სცემდნენ ელიასა და წმ. გიორგის, ნადირობის დარგში ასეთი მფარველი იყო „ნადირობის პატრონი" – ე.წ. „ოჩოპინტრე"; რაც შეეხება მესაქონლეობას – აქ მთავარი ღვთაება იყო „თევდორე", რომლის თაყვანისცემითაც რაჭველები თავისი კეთილღეობის გადიდებას იმედოვნებდნენ.

მესაქონლეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებათა რიცხვს ეკუთვნის „ბოსლობა". იგი შემდეგნაირად ეწყობოდა: ყველიერის წინა კვირის ერთ-ერთი დღეს (უახლოესი შაბათი) ყოველ ოჯახში ცხვებოდა პური – თითო ოჯახის თითოეულ წევრზე. დაბინდებისას უხუცესი იღებდა ორ პურს („ბაჭულა")

კვერცხებს და გაემართებოდა ბოსლისაკენ. მას თან მიჰყავდა მხოლოდ ბიჭები, რომლებიც ერთმანეთს ზურგზე აჯდებოდნენ და ბაძავდნენ საქონლის ზმუილს. ბოსლში შესვლის შემდეგ ბავშვები სამჯერ უვლიდნენრ გარს პირუტყვს და იმეორებდნენ: „დათვი მჭლე და შენ მსუქანი, გაზაფხულზე უფრო გასუქდი". შემდეგ მალავდნენ კვერცხებს და ვინც მათ პირველი იპოვნიდა ბედნიერად მიიჩნეოდა. იქვე ჭამდნენ „ბაჭულებს", წარმოთქვამდნენ ლოცვებს საქონლის მფარველის საპატივსაცემოდ, თხოვდნენ მას საქონლის გამრავლებას და მათ მფარველობას გარეული ნადირისაგან.

ასეთ წეს-ჩვეულებებს განეკუთვნება „თევდორობა"-ც. სოფ. ირში „თევდორეს" მიკუთვნებული ჰქონდა სათემო მიწის ერთი ნაკვეთი, რომელსაც სოფელი საერთო ძალით ამუშავებდა. ამ ნაკვეთზე მოწეული მოსავალი და თემის მიერ საერთო ძალებით ნაყიდი ღვინო გამოიყენებოდა ამ დღისათვის დაწესებულ დღესასწაულზე.

სპეციალური დღე ჰქონდა მიძღვნილი წვრილფეხა საქონელსა და შინაურ ფრინველებს „გოჭის ხუთშაბათი", როცა დაკლავდნენ გოჭს და აცხობდნენ სპეციალურ ნამცხვარს. ამ დღეს სპეციალურ ლოცვას საქათმეში ამბობდნენ.

რაჭველების მიერ „ცინცხლობის" (ახალი მთვარის დღე) აღნიშვნა მიზნად ისახავს საქონლის ცეცხლისა დამტაცებლისაგან დაცვას.

გუთნის მინდორში გატანის დღესასწაული, „კვალის გავლება" რაჭის მთის რაიონებში აღინიშნებოდა მარტში, კენტ რიცხვში, სავსე მთვარის დროს. აწყობდნენ „გუთანს" ამასთან სახნავი იარაღის შემადგენელი ნაწილები, უღელი, ხარები გროვდებოდა სხვადასხვა კომლისაგან, უხუცეს მხვნელს გაჰყავდა პირველი „სვრელი" მინდორში ან სახლთან ახლოს. პატარა ტომსიკიდან, სადაც მოგროვებული იყო თესლი ასევე სხვადასხვა კომლისაგან, ოჯახის უხუცესი იღებდნენ რიგ-რიგობით ერთ მუჭა თესლს და აბნევდნენ სვრელზე. ამ რიტუალის შესრულების შემდეგ წარმოთქვამდნენ ლოცვებს.

გუთნის მინდორში გატანისა ან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დაწყებისადმი მიძღვნილ დღესასწაულებს ეკუთვნის შემდეგი წეს-ჩვეულება: ხარების „ბოსლიდან" გამოყვანისა და მათი მინდორში გაყვანის წინ ანთებდნენ ახალ წლიდან შემორჩენილ ბოლომდე დაუმწვარ შეშის ნაპობს, ხელში იკავებდნენ სპეციალურად ამ დღისათვის გამომცხვარ პურს და შედიოდნენ ბოსელში. აქ გაღვივებულ ნაპობს დებდნენ ზღურბლზე, ხარებს აიძულებდნენ გადაებიჯებინათ მასზე და ამის შემდეგ გაჰყავდათ სამუშაოდ. მინდორზე მისვლისას ამოჭრიდნენ პურის გულს, ჩამოაცმევდნენ ხარს რქაზე, ამავე დროს მეორე სხვა ფორმის პურს, რომელსაც აქ „ლულას" უწოდებდნენ მარხავდნენ მიწაში და წარმოთქვამდნენ ლოცვას „ღმერთო მოგვეცი ასეთი თავთავი".

გვალვის საწინააღმდეგო რადიკალურ საშუალებად ითვლებოდა ღორის ძვალის ჩაგდება ტბაში, რასაც სამი რჩეული ასრულებდა.

ძალიან ხანგრძლივი თავსხმა წვიმების დროს აწყობდნენ ე.წ. „კოხინჯარობას" – ელიასადმი ლოცვას, წვიმის შეწყვეტის თხოვნგით, ამ დროს მსხვერპლად წირავდნენ ციკანს, რომლის თავსა და ტყავს, რომელიმე მაღლობზე ტოვებდნენ.

მოსავლის დასაცავად ფრინველისა და ნადირისაგან აწყობდნენ ე.წ. „ჩიტინანეობას" რომლის შინაარსიც არის ფრინველთა მომადლიერება მათთვის ბავშვების მონარჩენი ფაფის მირთმევით და მიმართავდნენ მათ სხვის მოსავლისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაჭაში ჩამოყალიბებული სამეურნეო კულტურა შეპირობებულია ამ კუთხის გეოგრაფიული თავისებურებით, ჩამოყალიბებულია კონკრეტულ-ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში და ტერიტორიის განსაზღვრულ ნაწილს მოიცავს. აქ დადგენილი ქართული სამწყათმოქმედო და მატერიალური კულტურის თვითმყოფი თავისებურებები ერთი მხრივ ადგილობრივ ტრადიციებზე, მეორე მხრივ, ზოგადქართულ ხასიათზე მიგვითითებს, რომელიც ნათლად ვლინდება მიწათმოქმედების დარგობრივ სამეურნეო წესებში, შრომის ორგანიზაციის ფორმებში, შრომის იარაღებში, დასახლების ტიპებში, საცხოვრებელ ნაგებობებში და ა.შ.

აჭარლები. 1926 წ. მოსახლეობის აღწერის მონაცემებით აჭარის მოსახლეობის საერთო რაოდენობა 131.957 სულს შეადგენს. აქედან აჭარლები არიან 71.390 მათგან მამაკაცია 37.299, ქალი 34.091. აჭარაში აჭარლები ცხოვრობენ მხოლოდ მდ. აჭარის წყლის აუზში. აჭარის გარეთ მცირე რაოდენობით – ქვაბლიანის ხეობაში (ადიგენის რაიონი) და ცალკეული ოჯახების სახით გაფანტული არიან საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.

აჭარლები. 1933 წ.

საკუთარ თავს ისინი აჭარელს უწოდებენ თუმცა აჭარის ზოგიერთ რაიონში შემორჩენილია თვითწოდება ტერიტორიულ-ეთნიკურ ნიშნით. მაგალითად, ქვემო აჭარის მაცხოვრებლები (სოფ. დონდალოს დასავლეთით) უწოდებენ საკუთარ თავს – აჭარელი, მაშინ როდესაც ზემო აჭარის მაცხოვრებლები (სოფ. დონდალოს აღმოსავლეთით) – ზეგნელს (ზეგნელი), რაც ნიშნავს მთის პლატოს მცხოვრები. არის სახელწოდებები ხეობების მიხედვით: სხალთელი, ჩორჯომელი, ჭვანელი, აგრეთვე – ქობულელი და სხვა.

აჭარლები ლაპარაკობენ ქართული ენის აჭარულ კილო-კავზე. რომელიც მეტად უახლოვდება გურულ და მესხურ კილო-კავს.

ტერმინი „აჭარა" დამოწმებულია ქართულ საისტორიო წყაროებსა და ბიზანტიელ ავტორებთან IX-XI ს.ს.

წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ საქართველოს ისტორიის ადრეულ ეპოქაში – აჭარა იზიარებდა საერთო ბედს მესხეთთან. შემთხვევითი არ არის, რომ ერთ-ერთი ქართული ისტორიული ქრონიკების შესავალ ნაწილში ნახსენებია, რომ მესხეთი და აჭარა, იმყოფებოდნენ ერთი ერისთავის საერთო გამგებლობაში. შემთხვევითი არ არის, ისიც, რომ 1933 წ. დოც. ვ. ბარდაველიძის მიერ გამოვლენილ „მეგალითურ" ნაგებობებს ზემო აჭარაში (ლექნარი-ვაშლობი-აკვანგეთი- ჩახიდული), უკანასკნელი მონაცემებით, მოეპოვებათ ანალოგები მესხეთში და თრიალეთში. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი „მეგალითური" ნაგებობანი შეესაბამებიან ხალდისა და საერთოდ წინაზიის მსგავს ნაგებობებს და უკავშირდება ქართული ტომების უძველეს კულტურულ მემკვიდრეობას. უძველეს ეპოქას მიეკუთვნება ახლანდელი აჭარის ტერიტორიაზე არსებული და კლასიკოს ავ-

ტორთა მიერ დამოწმებული ბატისა (ბათუმი). ბათუმს ზოგიერთი მეცნიერი აიგივებს ბიზანტიის ეპოქის ციხე-სიმაგრესა და ზღვისპირა ქალაქ „პეტრასთან", რომელიც თვალსაჩინო როლს ასრულებდა V-VI სს. სპარსეთ-ბიზანტიის ურთიერთობებსა და ბიზანტიის სავაჭრო მონოპოლიაში. სხვა მეცნიერები ისტორიულ პეტრას ლოკალიზებას ახდენენ კურორტ ციხის-ძირში, სადაც შემორჩენილია უძველესი ციხე-სიმაგრის ნანგრევები.

აჭარული მარხილი, 1933 წ.

IX-X ს.ს. აჭარა შეუერთდა, ქართველთა ტომების უძველეს კულტურულ-პოლიტიკურ მოძრაობას, რომლის ცენტრი იყო ტაო-კლარჯეთი და შავშეთი. აჭარამ შემოინახა ამ და მომდევნო ეპოქების მატერიალური კულტურის ძეგლები როგორიცაა: ციხე-სიმაგრეები, საკულტო ნაგებობანი, თაღიანი ხიდები და სხვა. XIII ს-ის მეორე ნახევრიდან აჭარა ლაზისტანთან ერთად იმყოფებოდა მესხეთის ათაბაგის გამგებლობაში, ხოლო კონფენსიონალურად ერთი ნაწილი ემორჩილება მესხეთს, მეორე კი – ქუთაისის კათალიკოსის იურისდიქციას. შემდეგ საუკუნეებში აჭარას რიგრიგობით იერთებდნენ ხან გურია, ხან თურქეთი. ეს უკანასკნელი ხანგრძლივი დროით განმტკიცდა აქ XVII-XVIII ს.ს. ამ მომენტიდან დაიწყო მხარის გაძლიერებული გათურქება. დამპყრობლები ცდილობდნენ ამოეძირკვათ აჭარლების თვითმყოფადი კულტურა და ენა, მოსახლეობისათვის თავს მოეხვიათ ფეოდალური ჩაგვრის ბორკილები და დაემორჩილებინათ ისინი „ბრწყინვალე პორტისათვის". მაგრამ თავისი განზრახვის შესრულება სულთანის თურქეთმა ვერ შესძლო. თავისუფლებისმოყვარე აჭარელი ხალხი არაერთხელ აჯანყებულა დამპყრობთა წინააღმდეგ.

აჭარლები, რომლებიც უხეში ძალის ზემოქმედებით იძულებული იყვნენ მიეღოთ ისლამი, რუდუნებით ინახავდნენ ქართულ ენას, ქართულ კულტურას, მამა-პაპათა ადათ-წესებს, კერძოდ კი ქრისტიანულ რელიგიურ ტრადიციებს. თურქეთის ხელისუფლების მცდელობა გაეთურქებინათ აჭარლები ყოველთვის იწვევდა აჭარელი გლეხობის წინააღმდეგობას. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წ.წ. ომის შემდეგ აჭარა კვლავ შეუერთდა საქართველოს.

1918 წელს ქ. ბათუმი დაიკავეს ჯერ თურქებმა, შემდეგ კი ინგლისელებმა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, აჭარა გამოცხადდა საქართველოს სსრ შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკად.

აჭარა საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა, მრავალფეროვანი ბუნებით, მთის და დაბლობის, ხღვისპირეთისა და მთიანეთის იშვიათი ბუნებრივი პირობების შეხამებით. აჭარის ბუნებრივ პირობებს შეესაბამება მისი მეურნეობის ფორმებიც. წარმოდგენილია სამიწათმოქმედო, მესაქონლეობისა და მებაღეობა-მებოსტნეობის მეურნეობები.

სამიწათმოქმედო მეურნეობის დარგში აჭარლები უკანასკნელი ორი-სამი საუკუნის განმავლობაში გადავიდნენ ძირითადად სიმინდის კულტურაზე.

შედარებით ხანმოკლე დროის მანძილზე, რაც აჭარაში ახალი კულტურა შემოვიდა (XVIIს.), ხალხური სელექციის გზით მოსახლეობამ სიმინდის ჯიშების დიდი მრავალფეროვნება შექმნა (17-ზე მეტი). თითოეული ეს ჯიში მოსახლეობამ შეუსაბამა მხარის ბუნებრივ პირობებს. დაბლობში თესენ სიმინდს „ბროლა“ და „ალაბანა“, ფერდობებზე „ჯორიელა“ და „ცხვედა“, ხოლო პლატოზე „წყვიტა“, რაც მიუთითებს ამ უძველესი მიწათმოქმედი ტომის ოსტატურ ჩვევებზე მიწათმოქმედების დარგში. სხვათა შორის აჭარაში აღმოჩენილია ახალი, მანამდე უცნობი ხორბლის ჯიში „ტრედისფერა“.

თამბაქოს ნაკვეთში. 1933 წ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აჭარლების მეურნეობაში სიმინდის კულტურის გამოჩენის მომერტიდან ხორბლის კულტურამ უკანა პლანზე დაიწყო გადანაცვლება. ამასთან დაკავშირებით , სამიწათმოქმედო იარაღებმა, რომლებიც ფუნქციონირებდნენ ხორბლის, ქერის და სხვა მეურნეობის არსებობის დროს, და სპეციფიურად მასთან არიან დაკავშირებული, დაიწყეს დეგრადაცია.

კერძოდ, ასე დაემართა სალეწ ფიცარს (კევრი) ეს საინტერესო სასოფლო-სამეურნეო იარაღი, რომელსაც აქვს გავრცელების ფართო არეალი და ქართული კულტურის ერთ-ერთი შენაძენია, აჭარის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, რიგი დამახასიათებელი დეტალებით, არსებობს მხარის მცირე ზოლში.

ამასთან ერთად საინტერესო ფორმით არის შემონახული სახნავი იარაღები. არსებობს მათი ორი მთავარი ტიპი: „ჯილღა-არუნა“ და „ჯილღა“. სახნავი იარაღებში აჭარლები დიდ ყურადღებას უთმობდნენ მათი ქუსლის ფორმას, ითვალისწინებდნენ რა, ქუსლის არსებით როლს, ერთი მხრივ, წევის ძალის ეკონომიისათვის, მეორეს მხრივ მიწის ბელტების ადვილად გადაბრუნებისათვის.

გუთანში შებმული ცხენით ხვნა. სოფ. ქვედა ჩხუტუნეთი. 1965წ.

აჭარაში მესაქონლეობა ქართული ყოფისათვის სახასიათო მნიშვნელოვანი მონაპოვრებით არის წარმოდგენილი.

ჰავის პირობების შესაბამისად აჭარელი მსხვილფეხა პირუტყვს ზამთრობით დაბლობში, სახლის პირობებში ინახავდა, ზაფხულობით კი მათ ალპიურ საძოვრებზე მიერეკებოდნენ, შემოდგომობით, სანამ მათ სოფლებში ზამთრის სადგომებში დააბრუნებ-

დნენ, აძოვებდნენ მთების ფერდობებზე 1-1.5 თვის განმავლობაში (ოქტომბერი და ნოემბრის ნაწილი). ამ დროს მინდვრებში მოსავალი საბოლოოდ აღებული იყო, საქონელს შეეძლო სახნავ მიწაზე ძოვაც, რის შემდეგაც გადაჰყავდათ სოფლებში.

აჭარის სოფლის მოსახლეობა ცხოვრობს ცალკეული კარ-მიდამოების სახით და საკმაოდ მჭიდროდ. კარმიდამოების ტიპის დასახლებები გავრცელებულია შავი ზღვის სანაპიროზე, ნაწილობრივ კი ქედის, ჭვანასა და მერისის რაიონებში, ხოლო სოფლების ტიპი – ხულოსა და ღორჯომში.

აჭარის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები სამი ძირითადი სახითაა დამოწმებული. ნაგებობათა თითოეული ტიპი შეეფარდება გეოგრაფიულ პირობებს და კულტურულ-სამეურნეო ვითარებას. კერძოდ, ბარში „სახლი || ჩარხილი“ და „ორთა“, ფერდაში „ჯარგვალა“ სახლია, მთაში – „ხულა სახლი“.

ჩარხილი და ორთა ჩვეულებრივად ორ ან სამსართულიანია, ჯარგვალა – ერთსართულიანი, ხულა – ორსართულიანი.

აჭარელის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების კომპლექსში შედიოდა: 1 „სახლი ბაგასთან ერთად (ახორი). იგი იყო ერთ ან ორ სართულიანი მეურნეობის ტიპისა და კლიმატური ვერტიკალების შესაბამისად. 2. სასიმინდე (ნალია) 3. თივის შესანახი (საბძელი) 4. ბეღლი 5. სამორჩვე, 6. ფურნე.

ეკონომიკური პირობების შესაბამისად, ზოგჯერ ამ კომპლექსის ცალკეული კომპონენტები მჭიდროვდებოდა ისე, რომ მთელი კომპლექსი შედგებოდა ორი ელემენტისაგან. მაგალითად, მხარის ზოგიერთ რაიონში აგებდნენ სამსართულიან სახლებს, იმ ანგარიშით, რომ ერთ სახურავ ქვეშ მოქცეულიყო საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობა.

სოფ. აჭყვისთავი. მ.კომახიძის ოდური ტიპის საცხოვრებელი სახლი. არქ. ი. ადამია

აჭარელის ცხოვრების პირობები შეესაბამებოდა მეურნეობის ფორმებს, ვინაიდან აჭარის მთიან ზოლში მეურნეობის წამყვანი ფორმა მსხვილფეხა მესაქონლეობაა, ცხოვრების წესიც შეესაბამებოდა მისი წარმოების პროცესებს: ზამთარ-გაზაფხულზე საქონელი სოფელში ყავს, შემოდგომით სანამ ყანები აიღებოდა – ფერდაში, ხოლო ზაფხულში მიდის მთაში თავისი ოჯახით საქონელთან ერთად და ცხოვრობს ხულა-სახლში

ცალკეა აღნიშნული ორ-სართულიანი ძელური ქოხები, „ჯარგვალი“, რომელიც სპეციალურად იყო მისადაგებული მესაქონლეობის საზაფხულო მეურნეობას. ასეთ სახლში: ქვედა სართული წარმოადგენდა ბოსელს, ზედა კი – საცხოვრებელს.

რძის პროდუქტების საწარმოებლადაც გამოიყენებოდა. ზედა სართულის ამ ნაწილში ძირითადად აწარმოებდნენ კარაქს: დიდი ხის ჯამებზე აყენებდნენ რძეს, ხდიდნენ მას ნაღებს და ხისავე სადღვებელში დღვებავდნენ. აჭარლები ამ ნაწილს, სადაც რძის პროდუქტების დამუშავება ხდებოდა უწოდებდნენ სარძიეს|| სამზამე, სარძიეს არსებობა დასტურდება მესხურ სახლშიც.

როგორც ცნობილია, რძისაგან დიდი რაოდენობით ნაღების მისაღებად აუცილებელია, რომ სათავსში, სადაც ინახება რძე დაცული იყოს გარკვეული ტემპერატურა და მოძრაობდეს ჰაერი. იმ მიზნით, სარძიეში ჰაერის ცირკულაცია მუდმივად რომ ხდებოდეს, სარძიეს კედელს დატანებული აქვს ნაჩვრეტები, რომლის შემწეობით ჰაერი სარძიეში ადვილად შედის, რის გამოც აქ ჰაერი სათანადოდ იწმინდება და მასში საჭირო ტემპერატურული რეჟიმი მყარდება. ეს კი პროდუქტის დამზადების მაღალ ტექნიკაზე მიუთითებს.

ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავდა, რომ აჭარული ყველი „არაოდესვე წახდების, არცა დაობდების, რაჟამს გნებავს, შემგბარი კეთილ სახმარ არს“ რაც მოწმობს აჭარლების დაწინაურებას რძის პროდუქტების დამზადებაში. ასევე მაღალი თვისებებით ხასიათდება აჭარული კარაქი.

კარაქს დღვებავდნენ ხისა და თიხის სადღვებელებში. ხის სადღვებელს, ვარიის ტიპის აჭარლები იყენებდნენ უმთავრესად იალაღებზე. სადაც რძე ბევრი იყო და კარაქს დიდი მასშტაბებით ამზადებდნენ, სოფლად კი კარაქის შესადღვებად იყენებდნენ თიხის სადღვებელს ან ტკეჩის პატარა თავღია კასრს სათქვეფელათი.

აჭარული ვარიის ერთი ეგზემპლარი შეძენილი 1933წ.აჭარის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ, დაცულია საქართველოს მუზეუმში. მას თავბოლოში ყავრის სალტეები აქვს შემოჭირებული, რომელთა ბოლოები შეკრულია თხილის ღვლეჭით, დამზადებულია ნაძვის ხისაგან.

ვარია ჰორიზონტალურად თოკით ჩამოკიდება, ადამიანის წელის სიმაღლეზე იატაკიდან ჩამოკიდებულ ვარიას თავ-ბოლოში ორი კაცი მიუდგება, თითო მხრიდან თითო და მოძრაობაში მოყავთ იგი.

ვარიის ტიპის სადღვებელი დამოწმებულია აჭარის გარდა მესხეთში სპორადულად ხევსურეთში რაჭასა და ქართლში.

აჭარლები გარდა კარაქისა, ამზადებდნენ ყველის ზოლებს, რომელსაც დამარილებულს ინახავდნენ ფიქვის ტკეჩის ყუთებში. XVII-XVIII ს.ს.-ში აჭარლები ამზადებდნენ 10, 15, 20 კგ ყველის თავებს, ამასთან ყველს ისე ოსტატურად, რომ ვახუშტის ცნობით, იგი არასოდეს არ ფუჭდებოდა და მეტად სასიამოვნო გემო ჰქონდა. აჭარლების სამეურნეო ნაგებობის კომპლექსში არც თუ იშვიათად შედიოდა სპეციალური, პატარა ნაგებობა, სადაც ინახავდნენ ბალახის განსაკუთრებულ ჯიშს. ამ ნაგებობას უწოდებდნენ „სამორჩვე“ და აქ შენახული ბალახით ზამთრობით კვებავდნენ ხბოებსა და ცხვრებს. მდიდარი აჭარლების ეზოში იდგა „ფურუნი“ პრიმიტიული ხერხით ხილის გამოსაშრობად. „სასიმინდეები“ ფართოდ იყო გავრცელებული. ჩვეულებრივ სასიმინდეს ქვეშ ანთებდნენ კოცონს, რომლის კვამლი უჯდებოდა სიმინდის მარცვალს. ამ ხერხით აჭარლები იცავდნენ სიმინდს დაჭიანებისაგან.

საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობის შესახებ ყველა ზემოთქმულს უნდა დაემატოს ისიც, რომ აჭარლები დიდად დაოსტატებულები იყვნენ ხისა და ქვის, როგორც სამშენებლო მასალის დამუშავებაში. ისინი კედლების მშრალი წყობით ამოყვანის კარგ ოსტატობას ფლობენ.

აჭარელთა ტანსაცმელი მეტად ორიგინალურია. მამაკაცის ტანსაცმელს „ჩაქურას“ უწოდებენ. შედგება „ელეგი“ (ჟილეტი), ჩოხას ზედა ტანსაცმელი შალვარი, რომელიც ქვემოთ ვიწროა და წელთან ფართო, რაც წარმოქმნის ნაოჭებს, პაიჭი (საფერხულები), მოქსოვილი წინდები, წაღები ქამარი ტყავის ან ქსოვილისაა (მდიდრების აბრეშუმის) და ყაბალახი. ყაბალახს აჭარლები ორგვარად იკრავენ; გარდა ამისა, აქ გავრცელებული იყო ყაბალახის წაკვრა გურულად, მეგრულად, ლაზურად და სხვა. ბეგები და სხვა მდიდრები ატარებდნენ ფესკასა და ჩალმას. ამ უძველესი და მეტად თავისებური ტანსაცმლის გავრცელების გეოგრაფიული არეალი აჭარის გარდა არის მესხეთი, გურია, ლაზისტანი, შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, ჩრდილოეთ თურქეთი და ბალკანეთის ნახევარკუნძულის ზოგიერთი ქვეყნები. ქსოვილად აჭარაში იყენებენ შინნაქსოვ მაუდს.

აჭარელი ქალის ტანსაცმელი ხეობების მიხედვით განსხვავდება ცალკეული ელემენტებით. მაგალითად პურკა არის ხულოსა და ქედის ხეობებში, სიმა - ღორჯომში, „იჩლუგი“ სხალთაში. ასევე განსხვავებულია აჭარელი ქალის თავსაბურავებიც. ოქტომბრის რევოლუციამდე აჭარელი ქალები ჩადრსაც ატარებდნენ.

აჭარულ ყოფაში შემდეგი სახის შინამრეწველური ხელოსნობა იყო წარმოდგენილი: თიხის ჭურჭლის, კრამიტის, სადღვებლების, ჯამებისა და ტაბლების წარმოება წყლის სახარატო ჩარხებზე, ხის თითისტარების დამზადება ორიგინალური „ჩარხი“-სათვის, მჭედლობა, მეაბრეშუმეობა (უმნიშვნელო რაოდენობით), კალათების წვნა. XX საუკუნემდე ქვემო აჭარა მთელს დასავლეთ საქართველოში, მესხეთსა და ჩრდილოეთ თურქეთში განთქმული იყო კაჟის თოფების წარმოებით, რომელიც ცნობილი იყო „მაჭახელას“ სახელით, ამზადებდნენ იატაგანებსა და სხვა ცივ იარაღსაც. მათ აწარმოებდნენ სოფ. მაჭახელი, ცხმარი, საღორეთი და სხვა.

აჭარელთა ეკონომიკურ ცხოვრებაში არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მეფუტკრეობას. ფუტკრისათვის ტყეებში ხეზე ან ძნელადმისადგომი კლდეების შვერილებზე დგამდნენ ფუღუროიანი ხის გადანაჭრებს, სადაც იკრიბებოდნენ ფუტკრები, თაფლს იღებდნენ ფუტკრების დაბოლვით გამოდევნის ხერხით.

აჭარლების მატერიალურ წარმოებაში მებაღეობის გარდა უნდა მივუთითოთ მევენახეობის არსებობაზეც. ვაზი აქ მაღალ ხეებზეა გაშვებული და

შინამრეწველობა

დიდ მოვლას არ საჭიროებს. ხეებიდან ყურძნისა და ხილის მოსაკრეფად აჭარ-ლები იყენებდნენ განსაკუთრებული ფორმის კალათს „საკრეფელა". აჭარაში მაღალ დონეზე იდგა მევენახეობა და მეღვინეობა, რასაც ისტორიული ცნობების გარდა აქ წარმოდგენილი ვაზის უამრავი ჯიშების არსებობაც მოწმობს, მაგრამ მუსულმანობის პერიოდში დაეცა; ყურძენს ისინი იყენებდნენ უმთავრესად „ბეკმეზის" მოსამზადებლად, რადგან მუსულმანური რელიგია უკრძალავდა მათ ღვინის სმას.

აჭარელთა სოციალურ ყოფაში, ბოლო ხნებამდე არსებობდა დიდი ოჯახი, დიდხანს არსებობდა სისხლის აღებ̆ის წესი, „ფირალობა" და სტუმართმოყვა-რეობა.

დიდ ოჯახს მართავდა სახლის უფროსი, რომელსაც ევალებოდა ურთიერ-თობა სხვა ოჯახებთან, სავაჭრო გარიგებების წარმოება, ხაზინის (ქისა) შენახვა, ქორწინების საკითხები და ა.შ. უძრავი ქონების გაყიდვა ოჯახის ყველა წევრის თანხმობის გარეშე არ შეიძლებოდა. ქალებს დიდ ოჯახში ხელმძღვანელობდა „ნენე" (დედა), მას „ზარეულს"-აც უწოდებდნენ.

აჭარლებში ქორწინებამ, რომელსაც მუსულმანური რელიგიის შესაბამისი ფორმა ჰქონდა, მრავალი ძველქართული ნიშანი შემოინახა. საქმროსა და სა-ცოლეს ქორწილის პირველ დღეებში უწოდებდნენ „მეფესა" და „დედოფალს". საქმროს თანმხლებ მამაკაცებს „მაყრიონს". აჭარული ხალხური სიმღერები საერთო ქართული ტიპისაა. როგორიცაა „ნადური", „მურმანე, მურმან, შენსა მზესა", „შავი შაშვი" და ა.შ.

აჭარაში არსებობდა შრომაში ურთიერთდახმარების წესი (ნადი). ხვნის დროს, სახლის მშენებლობისას და ა.შ. ქურდობის შემთხვევაში მთელი სოფელი აგებდა პასუხს. სოფელს დაზარალებულისათვის ქურდი უნდა მიეთითებინა ან ზარალი აენაზღაურებინა და სხვა.

აჭარაში ბევრი ქართული საწესჩვეულებო რიტუალია შემონახული, რო-გორიცაა ქრისტეს შობა, ჩიჩილაკი, ცხემლის ჭრა, ავი თვალისაგან ხვნა-თესვის დაცვა, ლაზარობა ფერცვალობა, ბერიკაობა-ყვენობის და სხვა, რომელშიც არა მარტო ქრისტიანული, არამედ ადრექრისტიანული ხანის უძველესი დანა-შრევებია წარმოდგენილი.

ცხემვანის ხიდი

წინაპრის სულის მოსახსენებელი სუფრა

(მხატვარი ზ.წერეთელი)

წინაპრის საფლავთან
(მხატვარი ზ.წერეთელი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხები შეკითხვებზე*

ვინ უნდა იყოს ეთნოგრაფი

ბევრმა ფაქტორმა უნდა იმოქმედოს ამ შერჩევაზე: უპირველესად საველე მუშაობის სურვილი, ენთუზიაზმი, თეორიული ან მეთოდოლოგიური ორიენტაცია როგორც მეცნიერისა, ისე საკუთარი, პირადი მსოფლმხედველობა, კუთხურობისგან თავისუფლება, ეროვნულობა.

ამავე დროს, ეთნოგრაფი გზას ვერ აუხვევს იმას, რომ ნაწილობრივ იყოს ეთნოისტორიკოსი, არქეოლოგი და ფსიქოლოგი.

რასაკვირველია, ეთნოგრაფი ვერასოდეს გადასცილდება თავის დღისა და წლის საზღვარს. ყოველ შემთხვევაში მას შეუძლია თავი დააღწიოს რომელიმე მასწავლებლის ბრმად მიყოლას, მიდრეკილებას იმისკენ, რომ ზოგიერთი პრობლემა უკვე გადაწყვეტილია, სხვები კი შესწავლის ღირსი არ არიან.

საღი დასკვნის გაკეთება შეუძლია ისეთ ეთნოგრაფს, რომელიც შეგნებულად თავდადებულია კულტურის ყოველი დეტალისთვის, მოთმინებითა და წინასწარ აკვიატებულ შეხედულებათა გარეშე არკვევს, ჩაწერს და ანალიზს უკეთებს ყველაფერს. მთავარია ცოდნა, შემოქმედებითი ინტუიცია, ობიექტურობა, შორსმჭვრეტელობა, შრომისმოყვარეობა, საკუთარი ინდივიდუალობა.

ეთნოგრაფმა არ უნდა უღალატოს საველე მუშაობას. ეს უკვე დარგის ღალატია. აღრიცხულ ინდა იქნეს ეთნოსში მიმდინარე ყველა პროცესი. არაუშავს თუ დღესდღეობით მძიმეა სამუშაო პირობები. ჩვენ უფრო მძიმე პირობებში ვმუშაობდით. სამაგიეროდ, ეს სჭირდება ჩვენს ხალხს, ჩვენს კულტურას, მომავალს. მხოლოდ ამით მოვიხდით ვალს ჩვენი წინაპრებისა და მომავალი თაობის წინაშე.

როგორ იანგარიშება თაობა

თაობის ცნება მოიცავს ადამიანთა ჩამომავლობის თითოეულ მუხლს (საფეხურს) ზეაღმავალი ან ქვედაღმავალი ანგარიშით: პაპებისა, მამებისა, შვილებისა, შვილიშვილებისა და ა.შ.

ძველად ჩამომავლობის თითოეული საფეხურის ხნოვანობას 30 წელს ანგარიშობდნენ. ძვ. წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნის ისტორიკოსი ჰეროდოტე თითოეულ ას წელზე სამ თაობას ვარაუდობდა. ამგვარი ვარაუდის დროს ქორონიკონის დამდგენები პრაქტიკულ დაკვირვებას ემყარებოდნენ და პრაქტიკულ ცოდნას იყენებდნენ.

---

*ლექციებზე სტუდენტთა ყურადღების გამახვილების მიზნით გ. ჩიტაია აძლევდა მათ კამათისა და ზრთა გაცვლა-გამოცვლის საშუალებას, რითაც ზეიდრო კონტაქტს ამყარებდა აუდიტორიასთან. პირად არქივში დაცულია სტუდენტთა, ასპირანტთა და დაინტერესებულ პირთა მრავალრიცხოვან შეკითხვებზე გაცემული პასუხების მოკლე ჩანაწერები. ვაქვეყნებთ შერჩევით. [თ. ც.]

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე სპეციალურ ლიტერატურაში არის ცდები, მეტ-ნაკლები სიზუსტით მეცნიერულად დასაბუთდეს თაობის ხნოვანობა. უნდა აღინიშნოს, რომ თაობის ხნოვანობის გასარკვევად საჭიროა გათვალისწინებული იქნეს ადამიანის სიცოცხლის მნიშვნელოვანი მოვლენები. ერთი მხრით, დროის მანძილი პირველი და უკანასკნელი შვილის შეძენის შორის.

რამდენადაც დაქორწინების ასაკი სხვადასხვა ხალხში სხვადასხვა მიზეზების გამო, განსხვავებულია, ამდენად თაობის ხანგრძლიობა სხვადასხვა იქნება. ასევეა შვილების შეძენის შუალედი დროის შესახებაც.

გერმანელმა მეცნიერმა ი. რიუმლინმა დიდძალი სტატისტიკური მასალის შესწავლის საფუძველზე დაადგინა, რომ გერმანელებისათვის დამახასიათებელი დაქორწინების საშუალო ასაკი 30 წელიწადია, ხოლო პირველი და ბოლო შვილის შეძენის შორის შუალედი დრო 12 წელია. ამ მონაცემების გაანგარიშების საფუძველზე ის იღებს ანგარიშში შუალედი დროის ნახევარს, ასკვნის, რომ გერმანელებისათვის თითოეული თაობის ხნოვანობა საშუალოდ 36 წელიწადია, ხოლო განზოგადოებულად დასავლეთ ევროპის მოსახლეობისათვის - საუკუნის ერთი მესამედი.

რაც შეეხება საკუთრივ ფერეიდნელი ქართველების თაობის ხნოვანობის გამოანგარიშებას, რაც შეკითხვის ავტორებს აინტერესებთ, ამისთვის საჭიროა წინასწარ ვიცოდეთ ზოგი რამ, რაც ფერეიდნელების ზნე-ჩვეულებებს შეეხება., კერძოდ, შერჩაათ თუ არა მათ დაქორწინების ასაკის ის წესი რომელიც საქართველოში ჰქონდათ თუ ფერეიდანში იძულებით გამაჰმადიანების შემდეგ ეს წესი შეცვალეს. ეს და აგრეთვე ბევრი სხვა გარემოებაა გასათვალისწინებელი ფერეიდნელი ქართველების თაობის ზუსტი ხნოვანების დასადგენად. მაგრამ, თუ საშუალო ვარაუდიდან ამოვალთ ფერეიდნელებს გადასახლების დროიდან დღემდე 10-11 თაობა უცხოვრიათ.

ზემოთქმულს იმასაც დავძენთ, რომ ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხნოვანობა თანდათან იზრდება კაცობრიობის მასშტაბით. თუ ძველი ქვის ხანაში ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხნოვანობა 20 წელიწადს ძლივს აღწევდა, ხოლო რკინის ხანაში 37 წელიწადს, ამჟამად საშუალო ხნოვანობას 67 წელს ანგარიშობენ, რაც დაკავშირებულია სოციალურ ძვრებთან ან მედიცინის მიღწევებთან (პასტერი, კოხი).

ზემოთქმულს უნდა დავძინოთ, რომ თაობის ხნოვანობას იყენებენ სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინები ამ თუ იმ ისტორიული მოვლენის, პიროვნების თუ ძეგლის მიახლოებით დასათარიღებლად, როდესაც დათარიღებისათვის სხვა შესაძლებლობა არ არის.

დრო და კალენდარი

პირველყოფილი ადამიანისათვის დროის საზომად თავდაპირველად **დღე-ღამე** იყო მიჩნეული. იმ დროის დღე-ღამეს თითების მიხედვით ითვლიდნენ (ამაზე მიგვანიშნებს ფრანგული სიტყვა **დეკადა – ათეული**).

შემდეგში სამეურნეო საჭიროებასთან შეფარდებით დროის საზომი დაუკავშირდა მზის მოძრაობის ციკლს და წელიწადი ორად განაწილდა, რაც კარგად ჩანს ქართული სიტყვებიდან **ზა-ფხული** (უდრის – მზე ცხელი) და **ზა-მთარი** (უდრის მზე ცივი). წლის არეები გაზაფხული და შემოდგომა შემდეგში გაჩნდა.

ამის შემდეგ კიდევ უფრო დანაწევრდა სამეურნეო კალენდარი მნათობთა მოძრაობასთან დაკავშირებით და სხვადასხვა ხალხში ჩამოყალიბდა დროის განმსაზღვრელი სისტემები მზის, მთვარის, სხვა მნათობთა მოძრაობაზე დაკვირვების შედეგად.

დღეს კარგად არის ცნობილი უძველესი შუმერული სამეურნეო კალენდარი, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ იქნა აღმოჩენილი (ძეგლი თარიღდება ძვ. წ. 1800 წლით), აგრეთვე, ძველი ეგვიპტური, ბაბილონური, ჩინური და სხვა კალენდრები. ძველი კალენდრების გაუმჯობესების საფუძველზე გამომუშავდა ახალი და უახლესი კალენდარის სისტემები.

ამჟამად მსოფლიოში წელთაღრიცხვის რამდენიმე ძირითადი სისტემა მოქმედებს, რომელთაგან თვითეული ან მზის, ან მთვარის, ან კიდევ მზისა და მთვარის მოძრაობის შერწყმის საფუძველზეა დამყარებული.

ეს უკანასკნელი სისტემა, დაფუძნებულია რთულ ასტრონომიულ გაანგარიშებაზე, რომლის მიზანია შეათავსოს მზის წელიწადი მთვარის ფაზებთან. წელთაღრიცხვის ეს სისტემა ებრაელებშია მიღებული.

წელთაღრიცხვის მეორე სისტემა, რომელსაც მუსლიმანური კალენდარი ანუ **ჰიჯრა** (არაბული სიტყვა, ნიშნავს გაქცევას) ეწოდება, დამყარებულია მთვარის მოძრაობაზე, მის ფაზებზე. ამ კალენდრის მიხედვით წელიწადი შეიცავს 354 დღე-ღამეს, ხოლო წელთაღრიცხვის დასაწყისად აღიარებულია ჩვენი წელთაღრიცხვის 622 წლის 16 ივლისი, პარასკევი. ამ დღეს მუსლიმანური რელიგიის დამაარსებელი მაჰმადი, გადმოცემის მიხედვით, არაბეთის ქალაქ მექიდან ქალაქ მედინაში გაიქცა, სადაც შექმნა მუსლიმანთა პირველი უჯრედი. წელთაღრიცხვის ეს სისტემა მიღებულია ისეთ ქვეყნებში, სადაც გაბატონებულია მესლიმანური რელიგია. თუმცა ზოგიერთი ამგვარი სახელმწიფო ამ ბოლო ხანებში გადავიდა საერთაშორისო კალენდარზე.

იმის გამო, რომ წელთაღრიცხვის ეს სისტემა ძალზე დაშორებულია ამჟამად ხმარებაში მყოფ საერთაშორისო წელთაღრიცხვის სისტემასთან, გაძნელებულია ამ სისტემით წლების, თვეებისა და დღეების გადაყვანა საერთაშორისო სისტემის წლებთან, თვეებსა და დღეებზე. და პირუკუ. ამისათვის იყენებენ საამისოდ შედგენილ საგანგებო სინქრონულ ნუსხებს, რომლებშიც გამოანგარიშებულია მუსლიმანური და გრიგორიანული კალენდრის წლების, თვეებისა და დღეების ერთურთთან შეფარდება. მოვიყვან ორ მაგალითს.

ჰიჯრის 1 წელი უდრის გრიგორიანული კალენდრის 622 წელს, ხოლო ჰიჯრის პირველი თვე (მუჰარამი) და ამავე თვის პირველი დღე – 16 ივლისს, პარასკევს, ხოლო ჰიჯრის 1390 წლის 1 თვის 1 დღე – 1969 წლის ივლისის 26, სამშაბათს.

ამჟამად მსოფლიოს საერთაშორისი წელთაღრიცხვის სისტემად აღიარებულია ზემოთ, ჩვენ მიერ დასახელებული ის სისტემა, რომელიც დამყარებულია მზის წლიურ მიმოქცევაზე, ხოლო წლების რიგის სათვალავად აღიარებულია ქრისტეს დაბადების მითიური თარიღი.

ცნობილია, რომ მზის წლიური მიმოქცევა (ტროპიკული) უდრის 365 დღე-ღამეს, 5 საათს, 48 წუთსა და 46 წამს. ძველი დროიდანვე ასტრონომები ცდილობდნენ, რომ არ ყოფილიყო გარღვევა მზის ზუსტ მიმოქცევასა და კალენდრით დადგენილ დროის საზომს შორის. ეს სიძნელე დღემდე დაძლეული არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომის იმპერატორმა იულიუსმა, ეგვიპტელი ასტრონომის სოზიგენის დახმარებით, ძვ. წ. 46 წელს, გარღვევის დაძლევის მიზნით, დააწესა 365 და 366 დღეღამიანი წელიწადი. 365 დღეღამიან წელიწადს ყოველ ოთხ წელიწადში ემატებოდა ერთი დღე. ასეთ დამატებით დღედ აღიარებული იყო თებერვლის ოცდამეცხრე დღე. ამასთანავე ეს მეოთხე წელიწადი **ნაკიან** წელიწადად იწოდებოდა, ხოლო წლების რიგის სათვალავი იწყებოდა ძმების რომულისა და რემის მიერ ქალაქ რომის მითიური დაარსების დღიდან – ძვ. წ. 754–753 წლიდან.

ქრისტიანულმა ეკლესიამ წელთაღრიცხვის ეს სისტემა მიიღო და ნიკეის საეკლესიო კრების (ახალი წელთაღრიცხვის 325 წელს) გადაწყვეტილებით იგი დაკანონა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ წლების თვლა იწყებოდა ქრისტეს დაბადებიდან. აქედან წარმოიშვა წლების აღრიცხვის რიგი **ქრისტეს დაბადებამდე** და **ქრისტეს დაბადების** შემდეგ ანუ, როგორც ჩვენ საბჭოთა კავშირში ვხმარობთ, **ძველი წელთაღრიცხვით** და **ახალი წელთაღრიცხვით**.

მაგრამ იულიუსის რეფორმამ სიზუსტე მაინც ვერ დაამყარა წელთაღრიცხვის სისტემაში, მზის ბუნებრივ წლიურ მოძრაობასა და იულიუსის კალენდრის წლიურ აღრიცხვას შორის მცირე გარღვევა მაინც იყო. 128 წლის მანძილზე ეს გარღვევა ერთ დღე-ღამეს უდრის. ამ უზუსტობის მოსპობის მიზნით რომის პაპმა გრიგოლ XIII-ემ 1582 წელს იულიუსის კალენდრის წელიწადი 10 დღით გადასწია და ამით დაკანონდა წელთაღრიცხვის ახალი სტილი იულიუსის კალენდრის ძველ სტილთან შედარებით.

ზემოთქმულთან ერთად ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ თუ იულიუსის კალენდრის განსხვავება გრიგორიანული კალენდრისაგან 1582 წელს უდრიდა 10 დღე-ღამეს, მომდევნო საუკუნეებში, ყოველ 128 წლის მანძილზე განსხვავება ერთი დღე-ღამით მატულობს, რაც იულიუსის კალენდართან შედარებით იძლევა განსხვავებას შესაბამისად – 11 და 12 დღეს. ამჟამად განსხვავება ძველსა და ახალ სტილს შორის 13 დღეს უდრის. მომავალ საუკუნეებში ეს განსხვავება კიდევ უფრო გაიზრდება, თუ არ იქნა შემოღებული ახალი სისტემის კალენდარი.

ახალ სტილზე დამყარებული გრიგორიანული კალენდარი სახმარებლად მიიღეს უმთავრესად დასავლეთის საქრისტიანო ქვეყნებმა, აღმოსავლეთის ქრისტიანული ქვეყნები, ისევ იულიუსის კალენდარს იყენებენ. ძველი სტილით ანგარიშობს ქართული ეკლესიაც. უნდა ისიც აღინიშნოს, რომ ქართულმა ეკლესიამ გამოიმუშავა წელთაღრიცხვის ისეთი სისტემა, **ქორონიკონად** წოდებული, რომელიც დამყარებულია ცის მნათობთა ციკლურ ბრუნვაზე. ეს ციკლია 532 წელი. ყოველი 532 წლის შემდეგ მნათობები იმავე მდგომარეობაში არიან, როგორც ეს იყო ციკლის დასაწყისში. ეს სისტემა მყარ დასაყრდენს წარმოადგენს მოძრავი საქრისტიანო დღესასწაულების დასადგენად. ქართულ კალენდარში ეს ციკლი, ქორონიკონი – იწყება 249 წელს, მომდევნო 781 წელს შემდეგ 1312 წელს და სხვა. ამჟამად ქართული მეხუთე ქორონიკონის 135 წელია. ვინც ეს სისტემა არ იცის ვერაფერს გაუგებს ქართულ ხელნაწერებს.

ამჟამად გრიგორიანული კალენდარი, თავისი ახალი სტილით, მიღებულია საერთაშორისო ხმარებაში. იგი მიღებულია საბჭოთა კავშირშიც და დაკანონდა 1918 წლის 26 იანვრის დეკრეტით. ამ დეკრეტის მიხედვით, 1918 წლის 1 თებერვალი გამოცხადდა 14 თებერვლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც დავინახეთ, წელთაღრიცხვის დღეს არსებული არცერთი სისტემა სრულყოფილი არ არის. ჩვენ გლობალურ ხანაში, როდესაც უაღრესად გაადვილებულია კომუნიკაციები და ინფორმაცია, დედამიწის სულ მცირე კუნჭულებთანაც კი საჭირო და აუცილებელია ზუსტი, მეცნიერულ საფუძველზე დამყარებული, ყველასთვის მისაწვდომი დროის საზომი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სათანადო ორგანოებში წლების მანძილზე მუშაობენ ამ მიმართულებით, და უნდა მოველოდეთ, რომ მიგნებული იქნება დროის საზომის გონივრული საყრდენი.

ჩვენი საუნჯე

ყველამ კარგად იცის, თუ რა დიდი განძია ჩვენთვის ენა, თუ რა ბურჯია იგი ჩვენი ეროვნებისა და ჩვენი მეობისათვის. ჩვენი ხილული თუ უხილავი მტრები ყოველთვის ცდილობდნენ აქედან შენგრეულიყო ჩვენი ციხე-სიმაგრე.

ჩვენი ვალია მარად ვამაგროდ იგი ციხე-სიმაგრე, ვამდიდროდ, ნაირფეროვანი გავხადოთ ერის ეს საუნჯე.

ეს კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ გავავრცობთ და გავაღრმავებთ ხალხის წიაღიდან ამოსული, მისი გულის და სულისაგან მომდინარე სიტყვებით, ტერმინებით, ხატოვანი თქმებით და სხვ., რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო სალიტერატურო ენის გასამდიდრებლად, არამედ ჩვენი ხალხის კულტურის ისტორიის კვლევა-ძიებისათვის.

აბა, წარმოვიდგინოთ, ერთი წუთით, თუ რად ღირს ლიტერატურაში ბოლოდრომდე უცნობი, ხალხის წიაღიდან ამოსული სახვნელი იარაღის სახელწოდება კ ა ვ წ ე რ ა და მისი პარალელური სიტყვა, ს ა წ ე რ ი (სვანურში მას ს ა კ ვ თ ე ლ ეწოდება), რომელიც სიტყვა წერის უძველეს მნიშვნელობაზე, მის გაწერაზე („კვალის" გავლებაზე) მიგვანიშნებს (შეადარე წერაქვი) და სათანადო იარაღის არსებობაზე მეტყველებს, იმ იარაღზე, რომელიც სახვნელი იარაღის წინამორბედია და აჩეჩვის, გათერძვის, გასარვის, ორნატის გავლების – გაწერვის თავდაპირველი აღმნიშვნელია.

ან კიდევ, ასევე ბოლო დრომდე სპეციალურ ლიტერატურაში უცნობი, მაგრამ ხალხში შემონახული (სამტრედიის და ვანის რაიონები) ასევე სახვნელი იარაღის სახელწოდება ხ ა რ ს ა რ ა ღ ი , რომელიც იმ დროის სახვნელ იარაღზე მიგვითითებს, რომელსაც ჯერკიდევ რკინის სახნისი არ გააჩნდა და სახვნელის ქუსლი ძელქვისაგან მზადდებოდა. ძელქვა კი, მომდინარე მესამეული გეოლოგიური პერიოდიდან მხოლოდ დასავლეთ საქართველოსა და იაპონიაშია დამოწმებული. ზემოთქმულს იმასაც დავძენთ, რომ ამ ტერმინ ხარსარაღს პარალელი მოეპოვება მხოლოდ აფსუურსა (ა ც ა მ ა ტ ა) და ადიღეურ (ფ ხ ა ა შ) ენებში.

ჯერ კიდევ რამდენი ამგვარი ფასდაუდებელი განძია ხალხის მეხსიერებაში ცნობიერად თუ ქვეცნობიერად შემონახული, რომელთა შეკრება საშური და გადაუდებელი საქმეა.

ვისაც გული ერჩის, ვისაც სურს ხელი შეუწყოს ჩვენი ეროვნული განძის გამდიდრებას, ჩვენი კულტურის ისტორიის კვლევა-ძიებას, არ უნდა დაიშუროს შრომა და თავისი წვლილი შეიტანოს ამ დიდს, საშვილიშვილო ეროვნულ საქმეში.

დღემდე დიდძალი, ფასდაუდებელი მასალაა დაბეჭდილი გაზ. „კომუნისტის" ფურცლებზე. ჩვენი სურვილი იქნებოდა რამდენადმე გაფართოებულიყო

ამ საჭირო საქმისათვის თავის დროზე კარგად შედგენილი, განსვენებული აკადემიკოსი ვარლამ თოფურიას მიერ გამოქვეყნებული ინსტრუქცია და მეტი ყურადღება მინიჭებოდა არა მარტო არსებითი სახელების ფიქსაციას, არამედ ზმნებს, რომელშიც უფრო მეტად შრომასთან დაკავშირებული მოქმედებაა ასახული.

ჩვენ თავის დროზე „კომუნისტის" წამოწყებას მხურვალედ მივესალმეთ. დარწმუნებული ვართ რედაქცია კვლავაც უმეთაურებს ამ უაღრესად კეთილშობილურ, საშვილიშვილო, ეროვნულ საქმეს და თავის ფურცლებს დაუთმობს მას.

არგონავტების ნაკვალევზე

ახლახან გახდა ცნობილი, რომ ირლანდიელ მეცნიერ-მოგზაურს ტიმ სევერინს განუზრახავს ექსპედიციის ჩატარება არგონავტების ნაკვალევზე. ტიმ სევერინი უკვე აშენებს არგოს მსგავს ნიჩბებიან ხომალდს, რომელშაც თავის მგზავრებთან ერთად გეზი უნდა აიღოს საბერძნეთის სანაპიროდან ჰელესპონტის გავლით, შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებით კოლხეთ-ფაზისაკენ. ტიმ სევერინი ვარაუდობს, რომ ექსპედიცია დაიწყება მაისში და ფოთ-ფაზისს მიაღწევს მიმდინარე წლის ივლისის ბოლო რიცხვებში.

ტიმ სევერინს ამგვარი მოგზაურობის ორი ძველებური მარშრუტი უკვე აქვს ესრულებული. მან იმოგზაურა ნორვეგიელი ბერების ნაკვალევზე ირლანდიიდან ამერიკაში, ასევე არაბი მოგზაურის სინდბადის მარშრუტით ინდოეთის ოკეანეში.

არგონავტების მოგზაურობის მითი დიდი ხანია იპყრობს მეცნიერთა ფართო საზოგადოების ყურადღებას. დასადგენი და გასარკვევია არგონავტების მოგზაურობის მარშრუტი, მათი მიზანი და მითში შემავალი რეალების სინამდვილის დადგენა.

არგონავტების მითი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ძველ საბერძნეთში. მის ძველ ფენას, რომელიც ეკუთვნის ჰომეროსის უწინარეს ხანას, დროდადრო ახალი შრეები ემატებოდა. ძვ.წ. III საუკუნის არგონავტების მითი აპოლონიოს როდოსელმა თავის პოემაში გაფართოებულად წარმოაჩინა. სტრაბონს ეჭვი არ ეპარებოდა მითში შემავალი რეალიების სინამდვილეში არსებობაზე. გარკვეულია, რომ სვანეთში იყო ოქროს მოპოვების ხერხად გამოყენებული ცხვრის ტყავი. ახ.წ. II საუკუნის მწერალი ფლავიუს არიანე ადასტურებს, რომ მან საინსპექტორო მოგზაურობის დროს ფაზისში (ფოთში) რეას სახელობის ტაძარში ნახა ორი ღუზა, ქვისა და რკინისა, რომელთაგან ერთერთი არგოს ეკუთვნოდა. საყურადღებოა ისიც, რომ მწერალ იუვენალს არგონავტების მითის გმირი იაზონი მიაჩნდა ბერძენ ვაჭრად, რომელსაც სავაჭრო ურთიერთობა უნდა დაემყარებინა კოლხეთის მდიდარ ქვეყანასთან.

უნდა შევნიშნოთ, რომ არგონავტების მითში საარაკოდ მიჩნეული ძველი კოლხეთის კულტურა მეტ-ნაკლებად შეეფარდებოდა ამავე კოლხეთის ძველ ვითარებას. ეს თვალნათლივ ჩანს ჩვენს დროში წარმოებული სხვადასხვა სამეცნიერო დარგების (არქეოლოგია, ენათმეცნიერება, ეთნოგრაღია, პალეობოტანიკა, ზოოლოგია და სხვა.) მიერ მოპოვებული მასალებიდანაც, საიდანაც ირკვევა, რომ კოლხეთი თავის დროზე სათანადო სიმაღლეზე მდგარა თავისი კულტურით.

დადგენილია კოლხური ბრინჯაოს კულტურის მაღალი დონე, რკინის დამუშავების მაღალი ტექნიკა, აღმოჩენილია მსოფლიოში უძველესი რკინის სადნობი სახელოსნო, რომელიც განეკუთვნება მე-14, მე-13ს.ს. ჩ.წ.აღ.-მდე დადგენილია რკინის მადნისაგან ფოლადის მიღების ტექნოლოგია. ირკვევა, რომ კოლხეთის ტერიტორიაზე ნეოლითური რევოლუციის მოსაბრუნიდან სათანადო განვითარებას ჰპოვებს მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის მეურნეობა. კოლხეთის სელის ნახელავი იმდროინდელ მსოფლიოში ეგვიპტურს უტოლდებოდა. კოლხური სელის ქსოვილის გავრცელება დამოწმებულია ისტორიულ ურარტუშიც.

მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებაც, რომ არგონავტების მიზანს მარტო ოქროს საბადოების მიკვლევა არ შეადგენდა, არამედ ბეწვიანი ცხვრის ჯიშის მოპოვებაც. ივარაუდება, რომ ცხვარმა ბეწვი კოლხეთში ხალხური სელექციის გზით შეიძინა.

ამასთან საყურადღებოა, რომ დღემდე შემონახულია კოლხური ცხვარი, რომელსაც ვ. ბაგრატიონი იმერულ ცხვარს ეძახდა და რომელიც წელიწადში ორჯერ შობს და თითო დოლობის დროს ორს-სამს ბატკანს არაიშვიათად იგებს.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ტიმ სევერინის ექსპედიცია დაადგენს აგონავტების მოგზაურობის ნამდვილ მარშრუტს და ფოთ-ფაზისს ესტუმრება.



ნიკორწმინდის ჩუქურთმა

UNIVERSITY COURSES OF LECTURES ON ETHNOGRAPHY "SVETEBI"

The progress of Georgian ethnography for the whole its lifetime has been inseparably linked with the name of George Chitaya. G.Chitaya's activity began from the first years of the establishment of Soviet power in Georgia; by that period, ethnography has been formed in Georgia as an independent scientific discipline.

G.Chitaya was one of the oldest and leading members of the teaching staff at the Tbilisi State University and the member of its Academic Council. He uninterruptedly carried out scientific and educational work at the University during five decades, and one could say that the whole history of ethnographic work at this educational institution is directly connected with the name of G.Chitaya.

G.Chitaya worked as a lecturer of the Ethnology Chair of the University from 1929, as an Assistant Professor of the same chair from 1932, and as the Head of the Chair of Ethnography from 1939 to 1973. Throughout his activities of many years at the University G.Chitaya carried out a big and fruitful work in both scientific and educational areas. During his work at the University he delivered lecture courses in general ethnography, ethnography of Georgia, ethnography of the Caucasus, ethnography of the peoples of the USSR, the Middle East ethnography, as well as special courses and special seminars.

As a University lecturer G.Chitaya was distinguished by his permanent contacts with students, he took active part in students' scientific groups helping them to enrich and extend their knowledge in the field of ethnography and history of Georgia, the Caucasus, West Asia, exciting in students an interest in science. He helped the students to master methods of collection and analysis of ethnographic facts by means of solid theoretical training on the one hand and using field ethnographic expeditions on the other hand. Thoroughly elaborated theoretical training along with practical field ethnographic excursions of students carried out under G.Chitaya's leadership, involvement of students in scientific ethnographic expeditions and other arrangements had good effect on teaching of young specialists. The ethnography room established by G.Chitaya in 1945 fulfilled a very fruitful and useful work. In 1951, the student's scientific group was established, as well as the first stationary ethnographic laboratory in Khevsureti.

G.Chitaya has composed the first educational course in general ethnography. In his university course of general ethnography he first paid due attention to the history of ethnography. At the same time, he has extended to a considerable degree the scope of ethnographic research. Unlike some foreign scholars who had begun the history of ethnography from Greece, he related origins of this science to the cultural world of Sumers, Babylonians, Egyptians, Hittitians, Urartians and other peoples of the Ancient Orient. This thesis of the author is of fundamental importance for general ethnography on the whole.

The university course of lectures presents the results of author's scientific investigations of many years and its importance far exceeds the limits of usual educational course. In this work the author analyses the history of ethnography and divides it into five periods. He refers to the first period (2000 B.C. to 500 B.C.)

such sources as the legends of the Flood, John and Gilgamesh; Kikuli Mitannian's (14th c. B.C.) legend about horse breeding and domestication; hieroglyphic and cuneiform (Assyrian, Babylonian, Hittite, Urartian), Phoenician, Roman and Greek sources.

The second period (5th – 15th cc.) is characterized by the works written by Kosmas Indikopleustes (6th c.), Plano Carpina, Rubruquis, Marco Polo and Arabian geographers of the 9th – 15th cc.: Istahri, Hedriz and others.

The third period (15th c. – the first half of the 19th c.) includes works by Hops, Rousseau, Montesquieu, Lafitau, Saint-Martin, Dubois, Lenorman, Bachofen and others.

The forth period (1959 – 1917, when ethnography became an independent science) is characterized by important works by Bastian, Taylor, Morgan and founders of Marxism: Marx, Engels, Lenin. In this connection the author critically analyses some schools in ethnography, such as evolutionary, cultural-historical, biological, etc.

The fifth period begins with the October socialist revolution.

Besides, different theories on the periodization of the history of culture are considered in the work, including those by Mechnikov, Mortillet, Schmidt, Gräbner, Morgan. It also contains a comprehensive description and definition of subject and method of ethnography.

The forth volume of G.Chitaya's "Works" also includes his course of lectures on the ethnography of Georgia where the author gives a documentary proof of the fact that the history of ethnography of Georgia has originated in written sources of the Ancient Orient which contained the most valuable information concerning ethnogeny and history of the Georgian people. In the same aspect he analyses the information provided by ancient Georgian, Russian, Greek, Roman, Arabian historians and reports of West-European travellers about Georgia. He revealed in the works of a number of chroniclers the importance they had attached to ethnography of Georgia. Among them, in the first place should be mentioned the 11th c. chronicler Leonti Mroveli's work "Life of Georgian Kings and Our Ancient Fathers" where the experience of elucidation of the Georgian people's genesis is given. In his work, Leonti Mroveli on the basis of biblical genealogy suggested a thesis concerning a kindred of the Georgian people with some Caucasian peoples.

Then G.Chitaya shows that another prominent author after Leonti Mroveli who had made an important contribution to the ethnography of Georgia was an outstanding Georgian historian of the first half of the 18th c. Vakhushti Bagrationi. In his work, Vakhushti Bagrationi described customs and traditions of Georgians, as well as their costume, religious beliefs, family life, etc. G.Chitaya has proved that the ethnographic part of Vakhushti Bagrationi's work was mostly a result of his own observations. Moreover, the author concludes that the most significant fact is that Vakhushti had given ethnographic description of particular Georgian tribes consecutively, in accordance with a certain questionnaire that is manifestly corroborated by the very structure of his work.

Vakhushti not only described contemporary ethnographic data, but also compared them with old customs and other ethnographic facts. Hence, continues

G.Chitaya, Vakhushti used the comparative method, the method which was used in general ethnography in the first half of the 17th c. by Lafitau, the first of the West-European scholars. Proceeding from the above, G.Chitaya concludes that Vakhushti's work was undoubtedly at the level of his contemporary science and ethnographic description of people according to a definite plan using the comparative method was a result of an independent activities of the scholar. G.Chitaya excludes a possibility of using by Vakhushti Bagration of a questionnaire for ethnographic description of peoples compiled by Academician Miller in 1739, since ethnographic materials had been collected by Vakhushti earlier, during his stay in Georgia.

Among the works of the posterior period, G.Chitaya specially dwells on the encyclopaedic work "Kalmasoba" by Tsarevich Ioann, the author of the first half of the 19th c., that contains many ethnographic descriptions. The work by David Tsitsishvili-Panaskerteli containing a detailed description of wedding ceremony in Georgia dates back to the same period

In his work, G.Chitaya pays especial attention to the activities of the Caucasian Department of the Russian Geographic Society representing a new advance of ethnography in Georgia. In this connection an exclusive importance is attached to the establishment of the Caucasian Museum at the Caucasian Department in 1852. G.Chitaya indicated that the main core of this museum was the Department of Ethnography where together with progressive Russian figures, the representatives of Georgian intellectuals took part, including R.Eristavi, the famous ethnographer and poet, the first Head of the Department of Ethnography at the Caucasian Museum.

In the same work G.Chitaya shows that an outstanding Georgian writer and public figure Ilia Chavchavadze was a guiding force in ethnography of Georgia in the second half of the 19th century; he attached a great importance to ethnography in connection with scientific study of the history of Georgia. He had consolidated a number of famous Georgian public figures who were successfully collecting ethnographic materials in different regions of Georgia. For instance, V.Nizharadze ("tavisupali svani") was engaged in ethnography of Svaneti, T.Sakhokia – that of Ajara and Samegrelo, N.Janashia and P.Charaya – Abkhazeti, Gvaramadze – Meskheti, D. and M. Janashvili – Saingilo, A.Kazbegi – Khevi, V.Pshavela and N.Khizanishvili (Urbneli) – Pshavi and Khevsureti, etc.

Also G.Chitaya pays especial attention to the works of M.Kovalevski, Güldenstaedt, Haxthausen and others regarding the study of ethnography of Georgia and critically evaluates their heritage.

Individual chapters in the same course are devoted to some cardinal elements of everyday culture of Georgia: agricultural system, wine-growing and wine-making, dwelling settlements, clothes, handicraft industry, some issues of spiritual culture, funeral cycle rites, mythology, etc. Some chapters are considered in historical aspect, as an indicator of specific national culture reflecting peculiarities of people's life, material culture and artistic-aesthetic taste.

G.Chitaya showed in his lectures a rich working biography of the Georgian people and so greatly contributed to the education of many generations of highly skilled specialists-ethnographers in the manner of classical ethnology, created a school that is one of the vanguards of modern ethnology.

УНИВЕРСИТЕТСКИЕ ЛЕКЦИОННЫЕ КУРСЫ ПО ЭТНОГРАФИИ. «СВЕТЕБИ»

С именем Георгия Читая неразрывно связаны все успехи грузинской этнографии за все время ее существования. Деятельность Г.Читая начинается в первые годы установления советской власти в Грузии; к этому периоду относится становление этнографии в Грузии в качестве самостоятельной научной дисциплины.

Г.Читая являлся одним из старейших и ведущих членов профессорско-преподавательского состава Тбилисского государственного университета и членом его ученого совета. Он непрерывно вел научно-педагогическую работу в университете на протяжении пяти десятилетий и можно сказать, что вся история этнографической работы в этом учебном заведении также непосредственно связана с именем Г.Читая.

С 1929 г. Г.Читая – ассистент кафедры этнологии университета, с 1932 г. – доцент этой же кафедры, с 1939 г. по 1973 г. – заведующий кафедрой этнографии. За свою долголетнюю деятельность в университете Георгием Читая проведена большая и плодотворная работа как по научной, так и по педагогической линии. На протяжении всей своей деятельности в университете он читал курс лекций по общей этнографии, этнографии Грузии, этнографии Кавказа, этнографии народов СССР, этнографии Ближнего Востока, он также вел спец.курсы и спец.семинары.

Отличительной чертой Г.Читая как педагога университета являлось то, что он находился в постоянном контакте со студентами, принимал активное участие в научных студенческих кружках, помогая студентам пополнять и углублять знания по вопросам этнографии и истории Грузии, Кавказа, Передней Азии, способствуя развитию интереса студентов к науке. С одной стороны, теоретической подготовкой, а с другой – полевыми этнографическими экспедициями, он помогал им овладевать методами собирания и анализа этнографических фактов. Хорошо составленная теоретическая подготовка, а с другой стороны, полевые производственные этнографические выезды студентов, проводимые под руководством Г.Читая, включение в состав этнографических научных экспедиций студентов и другие мероприятия давали эффективные результаты в подготовке молодых кадров. Весьма плодотворную и полезную работу проводил кабинет этнографии, созданный Г.Читая в 1945 году. В 1951 г. создан научный кружок студентов, организован первый этнографический стационар в Хевсуретии.

Г.Читая создал первый учебный курс по общей этнографии. В университетском курсе «общей этнографии» он первый уделил должное внимание истории этнографической науки. При этом он значительно расширил сферу этнографических исследований и вопреки зарубежным ученым, начинающим историю этнографии с Греции, истоки этой науки отнес к культурному миру шумеров, вавилонян, египтян, хеттов, урартийцев и других народов Древнего Востока. Это положение автора имеет принципиальное значение для общей этнографии в целом.

Курс университетских лекций представляет собой плод долголетних научных изысканий автора, и его значение выходит далеко за пределы рамок обычного учебного курса. В этой работе автор рассматривает историю этнографической науки, которую делит на пять периодов. К первому периоду (2000 лет до н.э. – 500 лет до н.э.) он относит такие источники, как легенды о потопе, Иоанне и Гильгамеше; Кикули Митаннийского (XIV в. до н.э.) о разведении и дрессировке коня, иероглифические и клинописные (ассирийские, вавилонские, хеттские, урартские), финикийские, римские и греческие источники.

Второй период (V - XV вв.) характеризется работами Козьмы Индикоплова (VI в.), Плано Карпины, Рубруквиса, Марко Поло и арабских географов IX -XV вв. Истахри, Гедриза и т.д. Третий период (XV вв. – первая половина XIX в.) включает сочинения Гопса, Руссо, Монтескье, Лафито, Сен-Мартена, Дюбуа, Ленормана, Гобино Бахофена и др.

Четвертый период (1859 – 1917 гг., когда этнография стала самостоятельной наукой) характеризуется крупнейшими работами Бастиана, Тейлора, Моргана и основоположников марксизма – Маркса, Энгельса, Ленина, что составляет новый этап в развитии этой области знания. В этой связи автор критически рассматривает некоторые школы в этнографии: эволюционную, культурно-историческую, биологическую и т.д.

Пятый период начинается с Октябрьской социалистической революции.

Наряду с этим в работе рассмотрены различные теории о периодизации истории культуры – Мечникова, Мортилье, Шмидта, Гребнера, Моргана. Там же дается развернутая характеристика и формулировка предмета и метода этнографической науки.

В четвертый том «Трудов» Г.Читая включен также его лекционный курс по этнографии Грузии, где автор документально доказал, что история этнографии Грузии берет свое начало в письменных источниках Древнего Востока, сохранивших ценнейшие сведения об этногенезе и истории культуры грузинского народа. В том же аспекте рассматривает он сведения древних грузинских, русских, греческих, римских, арабских историков и сообщения западноевропейских путешественников о Грузии. В работах ряда летописцев и исследователей грузин он выявил то значение, которое отводилось этнографии Грузии. Среди них в первую очередь следует отметить труд летописца XI в. Леонтия Мровели «Жизнь грузинских царей и древних отцов наших», в котором дается опыт освещения генезиса грузинского народа. Леонтий Мровели в этой работе на основании библейской генеалогии выдвинул положение о родстве грузинского народа с некоторыми кавказскими народами.

Далее, Г.Читая показал, что после Леонтия Мровели виднейшим автором, оставившим глубокий след в этнографии Грузии, является крупнейший историк Грузии первой половины XVIII века Вахушти Багратиони. В своей работе Вахушти Багратиони описывает нравы и обычаи грузин, а также их костюм, религиозные верования, семейный уклад и т.д. Г.Читая доказал, что этнографическая часть работы Вахушти Багратиони большей частью является

плодом собственных наблюдений. При этом, заключает автор, наиболее значительным фактом является то, что этнографическое описание отдельных грузинских племен у Вахушти дано последовательно, по определенному вопроснику, что явно подтверждается самой структурой его работы.

Вахушти не только описывает современные ему этнографические данные, но и сопоставляет их со старыми нравами и обычаями и другими этнографическими фактами. Таким образом, продолжает Г.Читая, Вахушти пользуется сравнительным методом, тем методом, который из западноевропейских ученых в общей этнографии впервые применил известный ученый первой половины XVII в. Лафито. Исходя из этого, Г.Читая заключает, что труд Вахушти, несомненно, стоит на уровне современной ему науки и что этнографическое описание народа по определенному плану с использованием сравнительного метода является плодом самостоятельной работы ученого. При этом Г.Читая исключает возможность использования Вахушти Багратиони вопросника этнографического описания народов, составленного в 1739 году академиком Миллером, ибо этнографические материалы Вахушти были собраны раньше, еще в бытность его в Грузии.

Из работ последующего периода Г.Читая особо останавливается на энциклопедическом труде автора первой половины XIX в. царевича Иоанна – «Калмасоба», содержащем множество этнографических описаний. К тому же времени относится и работа Давида Цицишвили – Панаскертели, в которой дается обстоятельное описание свадебных обрядов Грузии.

В своей работе Г.Читая особое внимание уделяет деятельности кавказского отдела Русского Географического общества, знаменующей новый подъем этнографии в Грузии. В этой связи исключительное значение придается основанию в 1852 г. при кавказском отделе Кавказского музея. Г.Читая указывал, что основным ядром этого музея являлся отдел этнографии, в работе которого наряду с передовыми русскими деятелями, принимали активное участие и представители грузинской интеллигенции, в том числе, известный этнограф и поэт, первый заведующий этнографическим отделом Кавказского Музея Р.Эристави.

В той же работе Г.Читая показывает, что во второй половине XIX в. направлющей силой в этнографии Грузии являлся крупнейший грузинский писатель и общественный деятель Илья Чавчавадзе, который придавал этнографии исключительно важное значение в деле научного изучения истории Грузии. Он собрал вокруг себя ряд грузинских деятелей, которые успешно собирали этнографический материал в различных уголках Грузии. Так например, по этнографии Сванетии работал В.Нижарадзе («тависупали свани»), Аджарии и Мегрелии – Т.Сахокиа, Абхазии – Н.Джанашиа и П.Чарая, Месхетии – Гварамадзе, Саингило – Д. и М. Джанашвили, Хеви – А.Казбеги, Пшави и Хевсуретии – В.Пшавела, Н.Хизанишвили (Урбнели) и т.д.

Также Г.Читая особое внимание уделяет работам М.Ковалевского, Гюльденштедта, Гакстгаузена и других в деле изучения этнографии Грузии и критически оценивает их наследие.

В этом же курсе отдельные главы посвящаются некоторым кардинальным элементам бытовой культуры Грузии: земледельческой системе, виноградарству и виноделию, жилищу и поселению, одежде, пище, кустарной промышленности, некоторым вопросам духовной культуры, обрядам похоронного цикла, мифологии и т.д. Отдельные главы рассматриваются в историческом аспекте, прежде всего как показатель специфической национальной культуры, отражающий особенности народного быта, материальной культуры и художественно-эстетического вкуса.

В своих лекциях Г.Читая показывал богатую трудовую биографию грузинского народа и этим воспитал не одно поколение высококвалифицированных специалистов-этнографов в духе классической этнологии, создал школу, представлющую собой один из передовых отрядов современной этнологии.

ფერადი ტაბულების აღწერილობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ვედრება, — მხატვარი ზ. წერეთელი
2. სამღვთო–საწირავი, — მხატვარი ზ. წერეთელი
3. ანანური, სამთავრო, — მხატვარი ზ. წერეთელი
4. მანგლისი, კუმურდო, — მხატვარი ზ. წერეთელი
5. მხვნელ–მთესველნი, — მხატვარი ზ. წერეთელი
6. შრომის მადლი, — მხატვარი ზ. წერეთელი
7. გუთნის დედა, — მხატვარი ზ. წერეთელი
8. ქართული ორნამენტი, — მხატვარი ზ. წერეთელი
9. დასახლების ტიპი ზემო იმერეთში, — მხატვარი ზ. წერეთელი
10. სოფ. გომარეთი (ქართლი), — მხატვარი ზ. წერეთელი
11. ეთნოგრაფიული მოტივები ქართველი ხალხის სოციალური ყოფიდან
    1. ქორწილი — მხატვარი ზ. წერეთელი
    2. მზითვის წაღების ცერემონიალი — მხატვარი ზ. წერეთელი
    3. მზითვის წიგნის წაკითხვა — მხატვარი ზ. წერეთელი
    4. ნათლობა — მხატვარი ზ. წერეთელი
12. მოსავლის ზეიმი, ცეკვა ქართული მედუდუკეთა დასტის თანხლებით — მხატვარი ზ. წერეთელი
13. მარანში — მხატვარი ზ. წერეთელი
14. აკვნების სახელოსნო — მხატვარი ზ. წერეთელი
15. რიყე — მხატვარი ზ. წერეთელი
16. ხალხური სანახაობა. ყოჩების დაჭიდება — მხატვარი ზ. წერეთელი
17. ბერიკები — მხატვარი ზ. წერეთელი
18. ქართული ჭიდაობა — მხატვარი ზ. წერეთელი
19. გართობა–თამაშობა — მხატვარი ზ. წერეთელი
20. წინაპრის სულის მოსახსენებელი სუფრა — მხატვარი ზ. წერეთელი
21. წინაპრის საფლავთან — მხატვარი ზ. წერეთელი

ფორზაცზე:
1. ამირანიანი — მხატვარი ზ. წერეთელი
2. ქართული დროშა — მხატვარი ზ. წერეთელი

ფოტო–საილუსტრაციო მასალა:

გამოყენებულია გ. ჩიტაიას ფოტო–არქივი და ეთნოგრაფების ვ. ბარდაველიძის, ჯ. რუხაძის, გ. ჯალაბაძის, ლ. გაბუნიას, ნ. რეხვიაშვილის, ნ. ბრეგაძის, ც. ყარაულაშვილის, ს. მაკალათიას, მ. ჩართოლანის, გ. ჯავახიშვილის, მ. ხაზარაძის, გ. გეგეჭკორის საილუსტრაციო მასალები.

დამატებითი ლიტერატურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი I

ზოგადი ეთნოგრაფია

1. ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, მ. გეგეშიძე, თბ. 1978
2. ტრადიცია და ცხოვრების წესი, ალ. რობაქიძე, თბ. 1981
3. ეთნოგრაფია, რედ. ვ. შამილაძე, თბ. 1991
4. ეთნოლოგია, ს. ჭანტურიშვილი, თბ. 1993
5. ეთნოლოგიის ქრესტომათია, შემდგენელ–რედაქტორი ს. ჭანტურიშვილი, თბ. 1997

თავი II

საქართველოს ეთნოგრაფია

1. საქართველოს ეკონომიკური ისტორია, ივ. ჯავახიშვილი, V, თბ. 1986
2. ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა, გ. ჩიტაია, შრომები. I, შემდგენელ-რედაქტორი თ. ცაგარეიშვილი, თბ. 1997
3. ქართველი ხალხის ეთნოგენეზი და კულტურულ–ისტორიული პრობლემები, გ. ჩიტაია, შრომები, II, შემდგენელ-რედაქტორი თ. ცაგარეიშვილი, თბ. 2000
4. XX საუკუნის ქართული ეთნოგრაფია, საველე–ეთნოგრაფიული ძიებანი, მეთოდოლოგია, გ. ჩიტაია, შრომები, III, შემდგენელ-რედაქტორი თ. ცაგარეიშვილი, თბ. 2001
5. ქართული საბჭოთა ეთნოგრაფია, ისტორიული მეცნიერების განვითარება საქართველოში, ალ. რობაქიძე, თბ. 1980 (რუს. ენაზე)
6. ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევები, ვ. ითონიშვილი, თბ. 1989
7. საქართველოს ყოფითი კულტურა, XIX–XX სს. ტრადიცია და ინოვაცია, ნ. ვოლკოვა, გ. ჯავახიშვილი, მ. 1982 (რუს. ენაზე)

ქართული ხალხური სამიწათმოქმედო კულტურა

1. მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, გ. ჯალაბაძე, თბ. 1986
2. ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, ჯ. რუხაძე, თბ. 1976
3. ნარკვევები საქართველოს აგროეთნოგრაფიიდან, ნ. ბრეგაძე, თბ. 1982 (რუს. ენაზე)
4. მიწათმოქმედება მესხეთში, ლ. ბერიაშვილი, თბ., 1973
5. სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, მ. გეგეშიძე, თბ. 1961
6. წყლით მბრუნავი წისქვილები არაგვის ხეობაში, ს. ბედუკაძე, თბ. 1960
7. საქართველოს ისტორიულ–ეთნოგრაფიული ატლასი, მემინდვრეობა, მასალები, თბ. 1980; მემინდვრეობა, მასალები, თბ. 1985

ეროვნული ბიბლიოთეკა

მევენახეობა–მეღვინეობა საქართველოში

1. მევენახეობა კახეთში, ლ. ბოჭორიშვილი, მსე, VIII, თბ. 1956
2. ვაზის ძველი კულტურა ქიზიყში, ი. ნანობაშვილი, თბ. 1960
3. შენ ხარ ვენახი, ან. ლეკიაშვილი, თბ. 1973
4. მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში, ლ. ფრუიძე, თბ. 1974
5. ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან, ნ. თოფურია, თბ. 1984

მესაქონლეობა საქართველოში

1. მესაქონლეობის კულტურულ–სამეურნეო და სოციალ–ეკონომიკური პრობლემები საქართველოში, ვ. შამილაძე, თბ. 1979 (რუს. ენაზე)
2. მესაქონლეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მ. მაკალათია, თბ. 1985
3. საქართველოს ისტორიულ–ეთნოგრაფიული ატლასი, მესაქონლეობა საქართველოში, თბ. 1986
4. მესაქონლეობის ისტორიისათვის საქართველოში, თ. ცაგარეიშვილი, თბ. 1987

ქართული ტრანსპორტი

1. ქართული ხალხური ტრანსპორტი,, მ. გეგეშიძე, თბ. 1956
2. ნაოსნობა საქართველოში, ზ. კუტალეიშვილი, თბ. 1987

დასახლება და საცხოვრებელი ნაგებობანი

1. ქართული ხალხური საცხოვრებელი ნაგებობათა ისტორიიდან, თ. ჩიქოვანი, თბ. 1960
2. ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, მ. ჩართოლანი, თბ. 1961
3. საქართველოს ისტორიულ–ეთნოგრაფიული ატლასი, საქართველოს მთური საცხოვრებელი ნაგებობანი, თბ. 1986

ჩაცმულობა

1. მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის, ი. ციციშვილი, თბ. 1954
2. ქართული ხალხური ტანსაცმელი, ც. ბეზარაშვილი, გ. ჯალაბაძე, თბ. 1988

ხელოსნობა და შინამრეწველობა

1. ქართული კერამიკა, კახური, ლ. ბოჭორიშვილი, თბ. 1943
2. ქართული ხალხური მეტალურგია, ნ. რეხვიაშვილი, თბ. 1964
3. ქართული ხალხური კერამიკა, მ. ზანდუკელი, თბ. 1982
4. ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქებში, ნ. აბესაძე, თბ. 1986

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ქართველი ერის ისტორია, ივ. ჯავახიშვილი, I ტ., თბ. 1979
2. ხის კულტისათვის საქართველოში, ვ. ბარდაველიძე, სმმ, ტ. III, თბ. 1926
3. ქართველი ტომების ასტრალურ ღვთაებათა პანთეონის განვითარების ერთი უძველესი საფეხურთაგანი, ვ. ბარდაველიძე, მსე, XI, თბ. 1960
4. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ), ვ. ბარდაველიძე, თბ. 1941
5. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივი ძეგლები, ვ. ბარდაველიძე, ტ. I. ფშავი, თბ. 1974; ტ. II, ხევსურეთი, თბ. 1980; ტ. III, თუშეთი, თბ. 1985
6. წმინდა ხის კულტი საქართველოში, ნ. ხაზარაძე, თ. ცაგარეიშვილი, თბ. 1999
7. მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თ. ოჩიაური, თბ. 1967
8. ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, ი. სურგულაძე, თბ. 1993
9. ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში, ჯ. რუხაძე, თბ. 1999

თავი III

ეთნოგრაფიული ცნობები საქართველოს მოსახლეობის შესახებ

1. ხუთი წელი ფშავ–ხევსურეთში, გ. თედორაძე, ტფ. 1930
2. ხევსურეთი, ს. მაკალათია, თბ. 1935
3. ეთნოგრაფიული ნაწერები, ნ. ხიზანიშვილი (ურბნელი), თბ. 1940
4. მთის რაჭა, ს. მაკალათია, ტფ. 1930
5. რაჭა ეთნოგრაფის თვალით, ლ. ფრუიძე, თბ. 1986
6. თუშეთი, ს. მაკალათია, თბ. 1933
7. თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ. 1967
8. ისტორიულ–ეთნოგრაფიული წერილები, ბეს. ნიჟარაძე, ტ. I, ტ. II, თბ. 1964
9. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, ვ. ბარდაველიძე, თბ. 1939
10. სვანეთი, I, თბ. 1977; II, თბ. 1979
11. ხევი, ს. მაკალათია, ტფ. 1934
12. ქართველ მთიელთა ყოფა–ცხოვრებიდან, ვ. ითონიშვილი, თბ. 1976
13. მოგზაურობანი, თ. სახოკია, თბ. 1950

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასალა ეთნოგრაფიულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონისათვის

აზარფეშა – ღვინის სასმელი ვერცხლის ჭურჭელი. ა. შუაგულში წარმოდგენილია ღერძის გარშემო მბრუნავი ცხოველის ან ფრინველის გამოსახულება.

აოშვა – ანეულის მეორედ გადახვნა

არნადი – სამეურნეო იარაღი

არონაი // არუნაი – მესხური სახვნელი იარაღი

არხი – სარწყავი ნაგებობა მდინარეებიდან ან სხვა წყლის აუზებიდან გაყვანილი

აჩაჩა გუთანი – გრძელმხრიანი სახვნელი იარაღი, შედგება გრძელი მხარის, ხელნასა და ქუსლისაგან. ა. ორი სახისაა: ხევსურული და ფშაური

აჭარული ჯილღა – კავის ტიპის სახვნელი იარაღი, გავრცელებულია აჭარაში

ახოს აღება – სახნავ–სათესი მინდვრის მოპოვება ტყის გაჩეხვის შედეგად

ბარი – სათესი ნაკვეთის დასამუშავებელი იარაღი. ბ–ით მუშაობისას გამოიყენება როგორც ხელის, ასევე ფეხის ძალა

ბოლოთრია (ქართ.) – ძნის საზიდი სათრეველა

ბულული (ქართ. რაჭ.) – თივის ან გათიბული პურის პატარა ზვინი

ბუჭულა წისქვილი – პატარა წისქვილი, გავრცელებული საქართველოს მთიანეთში

გადრი – სპორტული, ცხენოსნური თამაშობა ბურთით

გუთანი – რთული სახვნელი იარაღი. მასში ებმის 8 – 12 უღელი ხარ–კამეჩი. ახასიათებს ასიმეტრიული აღნაგობა, ცალფრთიანია. მის ფუნქციას შეადგენს ღრმა კვალის გავლება, ბელტის აჭრა–გადაბრუნება, დაფშვნა. გ. გამოიყენება გრძელი მინდვრების მოსახნავად, სადაც ანეული ითესება. მისი გამოყენების არეალია შუა და ქვემო ქართლის, კახეთის, მესხეთ–ჯავახეთის, თრიალეთის ველები.

გუთნის გატანა – სახნავად მინდორში გასვლა

გუთნის გატარება – გუთნის კვალის გავლება

გუთნეული – გამართული გუთანი. გ. შედიოდა 1 შებმა ხარ-კამეჩი 8-12 უღლამდე

ლექსიკონში გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება

აჭარ. – აჭარული	კახ. – კახური
გურ. – გურული	ლეჩხ. – ლეჩხუმური
რაჭ. – რაჭული	მეგრ. – მეგრული
სვ. – სვანური	მესხ. – მესხური
თუშ. – თუშური	ქართლ. – ქართლური
იმერ. – იმერული	ხევს. – ხევსურული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბულულება – ახლად გათიბული ყანის ბულულებად (იხ.) დადგმა
დალი (სვ.) – ნადირობის ქალ–ღმერთი
დარბაზ (სვ.) – სვანური სახლის მეორე სართული
დარბაზი (ხევს., მესხ., ქართლ.) – 1. გვირგვინიანი დიდი საოჯახო ოთახი ძველმესხურ და ქართულ დარბაზებში, 2. ხატის ნაგებობა (ხევს.)
დასამეულება – ძნების სამ–სამ ცალად დალაგება. **დ.** აწარმოებს მეძნეური (იხ.)
დაძახილი – შრომის ორგანიზაციის მარტივი ფორმა, იყენებენ ყანის მკის დროს
დოლაბი წისქვილი – დიდი ზომის წისქვილი, გავრცელებულია საქართველოს ბარის რაიონებში
დოლის პური – ხორბლეულის საშემოდგომო ჯიში

ვარია – იხ. სადღვებელი
ვარია – ხის სადღვებელი (იხ.)
ვენახი – ზვარი, ახალშენი. **ვ.** ფორმებია: 1. დაბლარი // ხელნაშენი // ჩხიროდი 2. ოლიხნარი // ხარდნის ვენახი 3. მაღლარი //ხე მამული // დობილო // ბაბილო 4. ტარაველი // ხეივანი // თალარი 5. შპალერული
ვენახის გაშენება – არხის ორბარზე გაჭრა, რქის ჩაყრა, გათოხნა, ჭიგოს შედგმა
ვითინ – სვანური სახლის კედელში მეზირ–ისათვის დატანებული ხვრელი

ზანდური – პურეულის ენდემური სახეობა, გავრცელებული დას. საქართველოში. **ზ.** იმკება სპეციალურისამკალი იარაღით შნაკვით (იხ.)

თესვა – ნიადაგში მარცვლეულის თესლის შეტანა. **თ.** დგინდება ორი ტიპის: საგაზაფხულო და საშემოდგომო
თიბვა – ცელით ბალახის ჭრა
თონე // თორნე – პურის საცხობი თიხის ჭურჭელი. **თ.** ორი სახისაა: გადახურული და გადაუხურავი. **თ.** გავრცელებულია აღმ. საქართველოს ბარსა და სამხრეთ საქართველოში
თოხი – ხელით სამუშაო სამეურნეო იარაღი. მისი საშუალებით სრულდება მარგვლითი ხასიათის სამუშაოები

კავკაზაურები – ხევსურული თქმულება კავკაზაურების შესახებ, რომელიც მიუთითებს ხევსურებზე ადრინდელი მოსახლეობის არსებობაზე.
კავწერა // საწერა – მარტივი სახვნელი იარაღი. შეიბმის ერთი ხარი. გავრცელებულია ხევს. თუშ. სვანეთში – საკვეთლის სახელწოდებით
კალო – ხელოვნურად გასწორებული, დატკეპნილი მოედანი პურეულის გასალეწად. **კ.** კეთდებოდა სახლის წინ, ყანასთან ახლოს ან სახლის ბანზე
კალოობა – შრომითი პროცესი, დაკავშირებული მოწეული მოსავლის აღება–დაბინავებასთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

კევრი – პურეულის სალეწი სამეურნეო იარაღი; საქართველოში ორი ტიპის გვხვდება: შედგენილი და შეუდგენელი (ერთიანი)
კერა – შუა ცეცხლის დასანთები ადგილი

ლაგვანა // ლაშდღვალ (სვ.) – დასამარხავი, მიცვალებულის დამარხვის დღეს გამართული წეს–ჩვეულება
ლაგვანი – იხ. ქვევრი
ლარსა (იმერ.) – მეთევზეობის მფარველი ღვთაება
ლახუტი (მეგრ.) – პატარა ქვევრი
ლაჯშიარ (სვ.) – საქსოვი დაზგა
ლელო–ბურთი – ქართული ხალხური სპორტული თამაშობა
ლეჭვინდირ-ი – ტიხარი, რომლითაც გამოყოფილია საქონლის სადგომი სვანური სახლის მაჩვიბში
ლეწვა – მარცვლეულის განთავისუფლება ბუდიდან
ლილჭალ (სვან.) // **ხმით დატირება** (ხევს.) – მოთქმა, მიცვალებულის დატირება
ლიფაწალი – მიცვალებულთა სულებისათვის განკუთვნილი დღეობა
ლუდი // ქერის წვენი – სასმელი, რომელიც გავრცელებულია აღმ. საქართველოს მთიანეთში. ლ. ადუღებენ ქერის, სვილისა და მათი ნარევისაგან

მამითადი – შრომის ორგანიზაციის მარტივი ფორმა, დაკავშირებული პურის აღებასთან
მარანი (კახ.) – ღვინის დასაყენებლად და შესანახად განკუთვნილი ნაგებობა, სადაც წარმოებს როგორც ტკბილის დაწურვა, ისე ტკბილის დადუღება–დაღვინება. მ. აღმოსავლეთ საქართველოში დასტურდება საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე, ადრე ვენახებსა და ზვრებში. დასავლეთ საქართველოში – ღია ტიპის მარანი, მიწაში ჩაფლული ჭურები, ზემოდან დაჩრდილული (იხ. ჭურისთავი)
მარანი – ღვინის სასმელი, მრავალკორპუსიანი გაერთიანებული ჭურჭელი, თავისი ფორმითა და ორნამენტით წარმოადგენს ნაყოფიერების სიმბოლოს. მ. იხმარებოდა რიტუალურ დღეობებსა და საქორწინო ნადიმებში
მარხილი – უბორბლო, სასრიალო საზამთრო ტრანსპორტი
მეზირ (სვ.) – ოჯახის მფარველი, ბედისა და ბარაქის მიმნიჭებელი საკულტო ცხოველი; მ. ითვლება სახლის ჭერის, შემდგომ ადგილის მფარველად. მ. საცხოვრებელ ადგილად ხალხის რწმენით ითვლება სახლი, ყანა და გორაკები
მექვევრე – ქვევრის (იხ.) დამამზადებელი ოსტატი
მეღვინეობა – ღვინის დაყენების ხელოვნება
მეძნეური – ძნის ულოთი შემკრავი
მეჭურე – იხ. მექვევრე
მეხელეურე – ხელეურის ძნად დამდგმელი
მილდიუსი – ვენახის დაავადება
მინდაო – ვენახის დაავადება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკა – მცენარის (პურეულის) ნამგლით მოჭრა. **მ.** ორი წესია დადგენილი: 1. მკა ნამგლის ერთი გამოსმით, როდესაც პურეული იჭრება შუაზე, გამოიყენება მაღალ ყანაში 2. მკა დანაცვლებით, როდესაც პურეული ოჭრება ძირში, გამოიყენება დაბალ ყანაში

მოდგამი – მხვნელ–მთესველთა შრომის ორგანიზაციის ფორმა, დაკავშირებული დიდი მასშტაბის მემინდვრეობასთან, დიდ გუთანთან, მოსახლეობის მჭიდრო დასახლებასთან

მუჭეული – მკის დროს მუჭაში დაგროვილი ყანა

ნავი //ხარგო – ხის საწნეხელი, ამზადებენ რაჭასა და იმერეთში

ნამგალი – მარტივი სამკალი იარაღი, იყენებენ ყანის სამკალად. **ნ.** ორი სახისაა: ბარული და მთური // ღული (იხ.)

ნაცარა (კახ.) – ვენახის დაავადება

ნაცვალვარდა – შრომის ორგანიზაციის მარტივი ფორმა, დამყარებული ერთდღიან მორიგეობით ურთიერთდახმარებაზე

ოლაგვე – იხ. ჭურისთავი

ორკოპე (გურ.) – იხ. ხაპი

ორჩეში // ორჩხუმი (მეგრ.) – იხ. სარცხი

ოჩოპინტრე (ხევს.) – ნადირთ ღვთაება

რთველი – ყურძნის კრეფა. **რ.** დაბლარი ვენახის ტარდება სექტემბერ–ოქტომბერში, მაღლარი ვენახის – დეკემბრამდე გასტანს

სადღვებელი – ხის ან თიხის ჭურჭელი, განკუთვნილი კარაქის დამზადებისათვის. **ს.** სამი სახისაა: I. **სადღვებელი**, თიხის, ერთყურიანი ან ორყურიანი, ჭურის მსგავსი ჭურჭელია, შუაზედ მსხვილი, სახურავი და ძირი ვიწრო. დღვების დროს ამოძრავებენ ზევიდან – ქვევით, მარჯვნიდან – მარცხნივ. გავრცელებულია ბარში. II. **ჩხუტ–ბრუნელი**, მთლიანი ხისგან დამზადებული გულამოღებული ცილინდრული ფორმის ჭურჭელი, შედგება ორი ნაწილისაგან : ჩხუტი და ბრუნელი. დღვების პროცესში ჩხუტი ვერტიკალურად დგას, ხოლო ბრუნელს მდღვებელი ხელით ამოძრავებს ძევიდან – ქვევით. დამოწმებულია თუშ. რაჭ. აჭარაში. III. **ვარია**, მთლიანი ხის ტანისაგან (ცაცხვი, თელა) დღვების პროცესში ვარია ჰორიზონტალურად, თოკით ჩამოიკიდება ჭერზე, თავ–ბოლოში ორი ქალი მიუდგება და მოჰყავთ მოძრაობაში (წინ და უკან), შესაძლებელია ერთმაც ამოძრაოს. დამოწმებულია ხევს. აჭარ. მესხ., რაჭასა და ქართ.–ში

სავაზე – ვაზის სასხლავი

საკურცხილ // საკურცხვილ // საკარცხვილ (სვ.) – საუფროსო სკამი, განკუთვნილი ოჯახის უფროსი მამაკაცისათვის

სამკვდილი – მკელის სპეციალური ტანსაცმელი. ტყავის სახელოებიანი და მხრების დამფარავი წინსაფარი. **ს.** აღჭურვილობაში შედიოდა საოფლე, სამაჯური და სამი სათითე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარიაშო (ხევს.) – საგანგებო სასაფლაო, განკუთვნილი მშობიარობის დროს გარდაცვლილი ქალებისათვის
სარცხი (კახ.) – ქვევრის სარეცხი, **ს.** წარმოადგენს გრძელ ჯოხს, რომლის ერთ ბოლოზე წამოცმულია ბლის ან არყის ხის გამხმარი ქერქის ნაჭრები
სატკბილე // **ისარნა** (იმ.) – თიხის დაბალი, პირფართო ჭურჭელი, რომელიც ჩადგმულია საჭნახლის წინ და იხმარება დაწურული ტკბილის შესაგროვებლად
საღვინე სახლი – მარანი (იხ)
საძნე ურემი – ყანის აღების სეზონში გამოყენებული ურემი, მომკილი ყანის კალოზე მისატანად. განსხვავებით ჩვეულებრივი ურმისაგან, მას უკეთდება მაღალი ჭალები
საწნახელი – ყურძნის დასაწური ჭურჭელი, გვხვდება ხის, ქვის, ქვითკირის
სახვნელი – სამეურნეო იარაღის ტიპი,რომლის დანიშნულებაა საჭონლის ძალის შემწეობით შეამზადოს ნიადაგი თესლის მისაბარებლად. **ს.** იყოფა ხუთ ძირითად ტიპად: I–II მარტივი კონსტრუქციის სახვნელი იარაღები, განკუთვნილი ნიადაგის საწერად და ასაჩეჩად (კავწერა, საწერა, აჩაჩა), III – გარდამავალი (ერქვანი, ჯილღა–გოგორა, ორხელები), IV– V – რთული კონსტრუქციიხ ანეულის გუთანი, ფამფალაკიანი მუხრანული გუთანი
სვე – მესვეურის მიერ გატანილი ნამკალი
სიპი (თუშ. ფშავ. იმერ.) – ფიქალი ქვა, გამოყენებული პურის საცხობად
სიცოცხლის ხე – ქართული ხალხური ორნამენტის უძველესი სიუჟეტი. დამოწმებულია ქვაზე, ხეზე, ორნამენტზე. **ს. ხ.** მოტივია: შუაში ხე, ორივე მხარეს წყვილი სხვადასხვა ცხოველის (ანტიპოდები) გამოსახულებით და მნათობებით

ტიკი (ქართლ.) – ტყავის ჭურჭელი, იხმარება ღვინის შესანახად და გადასაზიდად. **ტ.** მზადდება თხის ტყავისაგან
ტირილი – **წაბურვიანი** ტირილი (გურ.) // **ზარით** ტირილი (სამეგრ. სვ.) // **ბანით** ტირილი (ქართ.> კახ.) // **დალაობა** (თუშ.) // **ხმით ტირილი** (ხევს.) – მიცვალებულის დასაფლავების ცერემონიალი
ტუკი (ქართ.) – სამ კვირტზე გასხლული ვაზი

ულამი – დროებითი შრომითი გაერთიანების ფორმა
ულო – წყალში დამბალი ყანის გრძელი ღერები

ფარღალა მარანი – უკედლებო, მხოლოდ ზევიდან გადახურული ხის ფარდული

ქაშანური – მოჭიქული. **ქ.** ორი სახის გვხვდება ჭურჭელზე: შიდა და გარე
ქვევრი – ღვინის დასაყენებელი და შესანახი მიწაში დამარხული თიხის ჭურჭელი. **ქ.** გვხვდება 50–დან 400 ვედრომდე ტევადობის. მისი დამზადება წარმოებს ხელით თიხის სოსლების ურთიერთზე დალაგებით. **ქ.** აღმ. საქართველოში იდგმება მიწაში მარნებში, დას. საქართველოში ხის ძირებში ღია, გადაუხურავ ადგილებში. **ქ.** სამეურნეო მნიშვნელობის გარდა რელიგიურ ფუნქციასაც ას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულებს (**"საზედაშე"**, **"საპურშაო"**, **"საახალწლო"**), რაც მისი წარმოშობის სიძველეზე მიუთითებს.

ქორ (სვ.) – სახლი

ქორა– მახვში (სვ.) – ოჯახის უფროსი მამაკაცი

ღული – სამკალი ნამგლის განმასხვავებელი სახეობა, რომლის სახასიათო ნიშანია დაკბილული სამუშაო პირი. **ღ**. გამოიყენება საქართველოს მთიან ზოლში

ჩირქო (ხევს.) – ქვის ბრტყელი სიპებისაგან გამართული პურის საცხობი.

წალამი (ქართ. კახ.) – ვაზის ნასხლევი

წისქვილი – შენობა, სადაც გამართულია მარცვლეულის საფქვავი საგანგებო მოწყობილობა. გავრცელებულია წ. ორი სახეობა: დოლაბი (იხ.) ბარში, ბუჭული (იხ.) მთაში.

ხაპი (გურ. იმერ.) – აყირო გოგრისაგან გაკეთებული ჭურჭელი, გამოიყენება ქვევრიდან ღვინის ამოსაღებად

ხარო – ხორბლეულის შესანახი, სამეურნეო დანიშნულების სათავსი

ხახმატის ჯვარი და გახუა მეგრელაური – მითიური ხასიათის თქმულება, სადაც აღწერილია ფშავ–ხევსურთა ლაშქრობა ჩეჩენ-ინგუშებზე

ხელეური – მუჭეულზე (იხ.) დიდი ერთეული, რომელშიც 2–5 მუჭეული ჩადის

ხეპარა (მეგრ.) – იხ. ხაპი

ხვნა – მიწის დამუშავება მარცვლეულის დასათესად. **ხ**. ორი სახისაა: პირად ხვნა და ღრმად ხვნა

ხოროგო (რაჭ. ლეჩხ.) – პატარა საწნახელი

ხოშა ზურაბ (სვ.) – უფროსი ქალი

ჭაკუნობა (გურ.) – ქართული ხალხური სპორტული თამაშობა

ჭერხო (ხევს. ფშავ. თუშ. მთიულ.) – ხევსურული სახლის მეორე სართული

ჭინჭილა – ღვინის სასმელი, პატარა, ვიწროყელიანი მოჭიქული თიხის ჭურჭელი

ჭური (გურ. იმერ. აჭარ.) – ქვევრი

ჭურისთავი – ტალავერით ან ხეებით დაჩრდილული და საგანგებოდ შემოღობილი ადგილი

ჯირაკა // ჯერუკვი (მეგრ.) – პატარა საწნახელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბზინდა 209
აგბა-ლაგრალ 256
აკაზმები 181
ალამდარი 210
ალაო 148
ამბაზი 97, 100, 122
ამირანიანი 225, 226, 227
ამოკვერვა 207
ამქარი 201, 206
ამქრის დროშა 211
ანატორი 223
ანატორიის აკლდამა 216
ანეული 122, 125
ანთროპოლოგია 53
ანიმიზმი 40
აოშვა 124
აპინ 62
არგონავტები 212, 230, 231, 278, 279
არნადი 134
არხაჯი 106
არხი 97, 139
არხოტის ხატი 150
ასაყალო 206
ასკაკალი 210
აჩაჩა 38, 93, 100, 243, 263
აჩაჩა ურემი 158, 159, 162
აცამათა 277
აჭარული ვარია 270
აჭარული მარხილი 6, 267
აჭარული ჯილღა 112
ახალუხი 190, 191, 250, 262
ახოს აღება 97, 102, 103, 104, 143, 258

ბაირახტი 206
ბანდული 250
ბანით ტირილი 215
ბარბალეს კულტი 223
ბარბაროსობა 42, 51
ბართოხა 107
ბარი 144
ბაშტე 245
ბაჭულა 264
ბეკმეზი 272
ბერა 246
ბერდედა 246
ბერიკაობა 224, 272
ბერღარა 126
ბეღელი 149, 261
ბეჭის ძვალი (სამკითხაო) 24
ბეჭ-საშევრიანი ყდა 180
ბილიკი 163
ბოლოთრია 93, 157, 158, 159, 162
ბომბღა 223
ბორანი 164
ბორბალი 62, 63, 79
ბორბლიანი ტრანსპორტი 93
ბორბლიანი ურემი 61
ბოსელი 94, 261, 262, 265
ბოსლობა 223, 245
ბოყვიანი სახლი 172
ბულული 130
ბურთაობა 232
ბუღაური 203
ბუხარი 156
ბჯის ურემი 160

გადმონაშთი 38, 39
გადრი 234
გათრეულა 129
გამოცხვირვა 104
გამოქნა//გახედნა 159
გარე-ყანა 258
გასენვა 235
გასხვლა 140, 142
გატანიე 232
გვაბანაკ-ი 192
გვარი 42, 47
გვრინი 216
გიშრის ხელადი 204
გოდორი 148
გოდორყური 126
გოთაობა 232
გომიჯი 157
გოჟის ხუთშაბათი 265

გრეხილი 207
გუთანი 93, 120, 121, 126
გუთნეული 99, 120
გუთნის გათრევა 128
გუთნისდედა 120, 122, 123
გუთნური 98, 120
გულისპირი 186

დაბა 32
დაბლარი ვენახი 138
დაბულულება 131
დათვა-ბოყვა 83, 84, 85
დაკავება 143
დალაობა 215
დარბაზი 149, 168
დარკო 148
დასახლება 165, 244
დასტური 149
დაუჭედავი ნავი 164
დაფიცების წესი 20, 21
დაძახილი 131, 132, 161
დაწერაქვება 203
დაჭედილი ნავი 163
დგიმ-სავარცხლიანი საქსოვი 180
დედაბოძი 174, 176, 251
დედამიწა 39
დეკანოზი 246, 247, 252
დიაურუა 151
დიდი გუთანი 120, 263
დიკა 93, 99, 100
დიდ-მეშველი 264
დიდო 219
დილბად//დილბატ 84, 85
დინდები 250
დობილთ კოშკი 149
დობირა 96
დოლაბი წისქვილი 135
დოლის პური 93, 99, 100
დოღი 234, 239
დროშათ საბრძანი კოშკი 149
დუროიანი სახლი 170, 262
დღე-დღესინათლე 223

ეგზოგამია 42
ევოლუციური სკოლა 37, 38, 40
ეთნოგრაფია 5, 6, 7, 9, 11, 12, 13, 21, 25, 26, 32, 37, 43, 46, 47, 53, 55, 56, 58, 59, 64, 65, 69, 76, 77, 79
ეთნოგრაფიული მასალა 47, 48, 56
ეთნოგრაფიული სინამდვილე 57
ეთნოლოგია 5, 11, 53, 69
ეთნოსი 11, 12, 54
ერთობის სახლი 175
ერობა 251
ერქვანი 109, 120, 121
ეტი 97

ვაზი 92
ვარია 155
ველურობა 42, 51
ვენახი 138, 139, 140, 141, 142, 143, 145
ვეძა 153

ზანდური 101, 258, 259
ზარით ტირილი 214
ზვარი 144, 145
ზვინი 131
ზიარება კერასთან 256
ზომქა 256
ზრუნი 216

თავადის კაბა 189, 190
თავდაბურვა 188
თავკავი 158
თაობა 122, 123, 273, 274
თაოდ თავის დამარხვა 219
თავტაბიკი 98
თაღარი 147
თახჩა 171
თეთრეული 152
თეთრი ჭიქური 205, 206
თეთრყვავილიანი სევადა 209
თესვა 125
თესლიმპირავი 125
თიბვის შამშაბათი 215, 216
თითისტარი 181
თიხის სადღვებელი 155
თოხი 107, 144, 269

ეროვნული ბიბლიოთეკა

თულუხი 250
თურში 158
თუშური კავწერა 110
თუშური ყველი 243
თუშური ცხვარი 249

იმერული კავი 118
იმერული ურემი 158
იმერული ჩოხა 191
ირმის ნახტომი 99
ისარნა 149
ისვრიმი 144
ისინდი 234

კაბდო 124
კავი 124, 127
კავკაზაურები 227, 228, 229
კავშლიაურთელი 233
კავწერა 93, 113, 177
კალასირი 183
კალმასობა 69
კალო 132, 134
კალოიანი სახლი 93, 169
კალოობა 132, 133, 134
კანაფი 179
კარსელი 170
კაწარი 97
კახური სახლი 173
კახური ცხენი 24
კებზარი 210
კევრი 116, 120, 139
კენწერი 143
კერა 168, 250
კეჭნაობა 235
კვალის გავლება 265
კვართი 178, 183
კვარტუა 183
კვირისთავი 62, 179
კლასიფიკაცია
  გრებნერის 51
  მარქსის 53
  მორგანის 51, 52
  მორტილიეს 50
  შმიდტის 51
კოდოლა სიმინდი 258
კოლხური ასლი 101
კოლხური ნავი 164
კოლხური სახვნელი 99
კოლხური სელი 178
კოლხური ხომალდი 230
კომპლექსურ-ინტენსური მეთოდი 56, 57, 58
კორდი 105
კოხინჯრობა 265
კრაველი 181
კულა 205
კულტურა 48, 49, 51, 52, 55, 56, 59
კულტურული ანთროპოლოგია 11
კულტურულ-ისტორიული სკოლა 38, 44, 45, 46
კუტ იარაღი 122

ლაგვანი 146, 218
ლავაში 152
ლაზარობა 224, 272
ლათბა 149
ლაკადა 96
ლამარიას ღვთაება 81
ლასტი 124
ლაშარის ჯვარი 246
ლახუტი 147
ლაჯშიარ 180, 181
ლეკმარხილა 158
ლელო ბურთი 232
ლემ 222
ლეჩაქი 187, 188
ლეწვა 243
ლეჭვინდირი 170
ლიფანალი 218, 250
ლიფანალის ჭრელები 219
ლიჰელვე 210
ლუდი 148, 150

მაგანძური 149
მაგარი რკინა 196, 197, 198
მამითადი 131
მანდილი 250
მარანი 145
მარულა 235
მარხილი 157, 158, 243, 250

მატერიალური კულტურა 48, 49, 55, 59
მაღლარი ვაზი 138
მაყრიონი 272
მაჩუბი 170, 254
მახა 101, 118, 258, 259
მგუნთავი 120
მედაბღეობა 182
მეზირი 221
მემინდვრეობა 96, 102
მენა 147
მერდინი 251
მერუე 127
მესაფურე 149
მესაქონლეობა 52, 80, 165, 224, 258, 268
მესხური დარბაზი 175
მესხური ჯილღა 112
მექვევრე 146
მეღვინეობა 259, 260, 272
მეშველი 264
მეძნეური 131
მეჭურე 146
მეხანიე 97
მეხელეურე 131
მეხრეები 120
მზვარე 97, 103
მზის ღვთაება 84
მთვარის ღვთაება 19
მიგრაცია 44
მილდიუსი 144
მინდაო 144
მიცვალებულის კულტი 213, 214, 215, 216, 217, 218, 219
მიწათმოქმედება 52, 86, 258, 267
მიწის გაჯერიება 39
მკა 129, 130, 243
მკელი 183, 184
მკერდაობა 234
მოდგამი 122, 123
მოზვერა ქვა 128
მოთვლა 215
მოთვლით ტირილი 215
მოკალვა 201
მოკლე ალო 122
მონდავი 97, 100
მონეხვწყლა 106
მონოგამური ოჯახი 41, 42
მოქვავება 105
მოშანდაკება 203
მოჩარდახებული ურემი 161
მოჭიქული ჭურჭელი 204, 205, 206
მოხევური სახვნელი 110
მრავალნაწნავი 187
მსხვერპლშეწირვა 246, 247
მუზეიონი 72
მურყვამი 262
მუჭეული 130
მუხრანული გუთანი 116, 121
მწაფელები 120
მჭედელი 45
მჭედლობა 45
მჭედლობის კულტი 200
მხვნელი 98
მჯორღავობა 202, 203

ნაბადი 185, 192, 262
ნაბდის ქუდი 195
ნადი 97, 259, 264, 272
ნადირთ მწყემსი 222
ნადირობა 261
ნავი 149
ნავტიკი 164
ნაზურგით ხვნა 113
ნაკელი 105, 106, 107
ნალო 158
ნამგალი 129, 144
ნამტები 181
ნამჯა 130
ნარბილი//ნაცვარალი 105
ნაღარით ხვნა 113
ნაჩხატი 105
ნაცარი 144
ნაცვალგარდა 108, 122
ნახშირი 200
ნიადაგის გაპატივება 105

ობი 144
ოდა სახლი 172
ოდი 144

ოთოფეხები 162
ოთხმხრიანი კავი 111
ოლიხნარი 138
ორთა სახლი 269
ორთითი 104
ორმო 135
ოროველა 98
ოქოქა 93, 110
ოქრომჭედლობა 206, 207
ორყურა 205
ორჩეში//ორჩხუმი 148
ორხელა 111, 124
ოჩოპინტრე 222, 264
ოჩხარი 244
ოჯაყის ქვა 202

პაიჭი 195
პატარა ურემი 263
პატრიარქალური ოჯახი 42
პირქუში 208
პუნალუა ოჯახი 42
პური 151
პურობა 151

რადრაბაგანი 234
რაჭული სახვნელი 81, 262, 263
რაჭული რკინა 200
რთვა 178
რთველი 147, 260
რიგრიგა 108
რკინის დამუშავება 196, 197, 198, 199
რკინის დღე 197
რკინის კაცები 199, 207, 260
რკინის ცული 103, 196
რუ 97
რუსხმული 126
რცხალი 105
რჯული 241

საანეულო პური 99, 100
საბარო ურემი 158, 159, 160
საბიდარი სახნისი 118
საგანჩელი 250
საგულე 250
სადოღე სუფრა 214
სადღვებელი 260, 270
საკაზე 144
საზარე 149
სათესლე გუდა 125
სათითე 130
სათრიელა//სათარი 158
საკვეთელი 277
საკოდი//საყვერი 104
საკრეფელა 272
საკურცხილი 254, 255
სალუდე 149
სამამულე კვირტი 14
სამამულე რჭა 143
სამარტო სკამი 251
სამარხილე გზა 163
სამარულო ეტლი 16
სამაჯური 130
სამზამე//სარძიე 270
სამკერდული 246
სამკვდილი 130, 183, 184
სამმხრიანი კავი 160
სამოსელი 185
სამტრედათ დამუშავება 105
სამყოფო 250
სანაშენო 259
სანიავებელი ნიჩაბი 134
საოფლე 130
საოში იარაღი 124
სარდონული 15
სარიაოში 217
სარტყელ-გულისპირი 186
სარწყავი არხი 125, 126
სარჩევი გარა 180
სასანთლე 149
სასვილეები 92
სასიმინდე 270
სატკბილე//ისარნა 147
სატკივარი 144
საურმე გზა 163
საფანტელები 92
საფიცხობელი 262
საქარავნე 92
საქაჩავი 147
საქაჯავი 147

საქერეები 92
საქნარი 218
საქორწინო წეს-ჩვეულება 70
საქსოვი ყდა 179, 180, 181
საღვინე სახლი 145
საყარა 106
საჩეხები 217
საცერული 236
საძნე ურემი 132, 158, 159, 160
საწერი 277
საწვენი რქა 140, 141
საწინაო რქა 142
საწნახელი 146, 260, 261
სახვნელი იარაღი 62, 80, 98, 99, 109, 112, 117, 123, 166
სახვნელი იარაღის კლასიფიკაცია 113, 114, 115
სახლიკაცთა გაერთიანება 204
საჯალაბო სახლი 171
საჯერო 205
სევადა 209, 210
სელი 157, 158, 162, 179
სელის პერანგი 178
სენა 250
სენე 155, 169
სეფე 131
სვანური სახვნელი 117
სვანური "ქორ" 93
სვე 132
სიმინდი 101, 253, 259, 268
სირა-მჭედელი 200
სისწვენი 148, 149
სისხლის აღების წესი 240, 241, 251, 264
სიცოცხლის ხე 220
სოლან 201
სოლარი 208
სოლომ 201
სოციალური ანთროპოლოგია 11
სოციალური ურთიერთობა 48, 49, 59
სულიერი კულტურა 48, 49, 55, 59
სულის წყარო 217, 218
სუმერული თოხი 62
სწორფრობა 241

ტალავარი 183, 185, 213, 216, 240
ტალმა 186, 187
ტანსაცმელი 59, 60
ტატუირება 60
ტერასული დასახლება 166
ტივი 162, 164
ტირილის//ცრემლობის დღე 213
ტკბილი 148
ტუნიკი 182
ტუტუა 144
ტყავი 193
ტყის ცული 104

ულამი 97, 100, 131, 159
ულო 131
ურემი 250
ურმიანი ქური 161
უსტაბაში 206, 210

ფარაგი 183
ფარდაგი 181, 182, 244
ფარეხი 94
ფამფალაკი 112, 120
ფამფალაკიანი სახვნელი 116
ფარცხვა 124, 172
ფარცხი 124
ფერცვალობა 272
ფეტვი 93, 101
ფორაქიშვილების დარბაზი 175
ფოცხი//ფორჩხი 124
ფრჩხილე 158
ფურნე 154
ფურუნი 270
ფხინი 180

ქათიბი 186
ქალამანი 194, 195, 262
ქალ-ბარბარე 223
ქალქვა 128
ქარგალი 210
ქართლის დარბაზი 175
ქართული კაბა 183, 186, 187
ქართული საჩითავი 195
ქართული ურემი 160

ქართული ჩოხა 183, 184, 188, 189, 192, 195
ქარსაცავი 168
ქარტი 251
ქაშანური ჭურჭელი 205
ქერი 149
ქერ-დიკა//ქერ-ჭრელი 100
ქერის წვენი 148
ქვევრი 145, 146
ქვითხუროობა 201, 202
ქვის გათლა 203
ქვის დაწერა 203
ქვის საბადოები 201
ქირცი 180
ქოითა 251
ქორ 170, 255, 256
ქორა მახვშ დურალ 256
ქორა მახვში 256
ქრისტეს შობა 272
ქსელი 158, 162
ქუდი 191, 193
ქურტი 251
ქუქანაკი 127

ღენწუიში 253
ღერწკალა 157, 158
ღომელი 153
ღუზა 71, 72
ღული 129

ყაბალახი 192, 195, 271
ყაბახი 234
ყამირი 105, 163
ყვიბარი 147
ყოფა 55, 56
ყურთმაჯიანი კაბა 186

შავი ქარვა//გიშერი 204
შავყვავილიანი სევადა 209
შამშა 203
შარაგზა 163
შატილურ-მიღმახეური 236
შაშა – მჭედლობის მფარველი 200
შეგირდი 210
შეიდიში 186
შერეული თესლი 100
შეყელვა 143
შვილდისარი 51
შიკრიკი 210
შიმშილის სარტყელი 59, 60
შინა ვენახი 139
შინა ყანა 258
შნაკვი 100, 118, 129
შოთი 152
შულტა 149

ჩანის კულტი 224
ჩარდახი 171
ჩარდახიანი სახლი 245
ჩარხილი 269
ჩაქებიანი ჩოხა 189
ჩაქურა 185, 194, 195, 271
ჩეკი 129
ჩელტა-ზანდური 101
ჩელხი 135
ჩერკეზკა 191, 192
ჩითა 244
ჩიტინანეობა 265
ჩიქილა 240, 262
ჩიჩილაკი 221, 272
ჩიხტი-კოპი 186, 187
ჩოგანი 234
ჩოჩიალა ურემი 157, 158
ჩოხა 185, 246
ჩხუდ 256
ჩხუტ-ბრუნელი 155

ცალუღელა ურემი 158
ცალფა ნავი 163
ცეცხლი 51
ცვარა 207
ცივილიზაცია 42, 51
ცის დღე 197
ციური რკინა 198
ცხემლის ჭრა 272
ცხენის ურემი 158
ცხენოსნობა 232, 233

ძახილით ტირილი 215
ძახვა 178

ძიგლიგა 158
ძირი 131
ძნა 130

წაბურვიანი ტირილი 214
წალდი 144
წალები 194, 195
წბერი 147
წედური რკინა 199
წელიანი კაბა 186
წერა 131
წეწენა//წერწენა 119
წინადაცვეთა 15
წინსაფარი 60
წმინდა ბაირაღი 247
წმინდა ხე 220, 221
წყვილადი ოჯახი 42

ჭაკუნობა 233
ჭალის გატეხვა 103
ჭახრაკი 260
ჭელბარა 108
ჭერხო 245
ჭვინტიანი ფეხსაცმელი 81, 82, 83, 194
ჭიგო 140, 142, 143
ჭიდაობა 232
ჭინჭილა 205
ჭიჭი 149
ჭრელობა 203
ჭური 145, 146, 260
ჭურისთავი 146

ხაბალკინუ 198
ხაზინადარი 210
ხალუჭი 198
ხალხი 12, 55
ხალხური აზროვნება 36
ხაპი//ორკოპე//ხეპარა 148
ხართგამოშვება 123
ხარი 98
ხარის საპირე 134
ხარო 135
ხარსარაღი 277
ხატი 149, 241
ხევისბერი 241
ხევსურა 239
ხევსურული აჩაჩი 239
ხევსურული სახვნელი 110
ხელადი 200
ხელეური 130
ხელეური 130
ხელნაცვლობა 122
ხელცული 62
ხიზეკი 158
ხის კოშკები 18
ხის ნავი//საწნახელი 146
ხმიადი 152
ხმით ტირილი 215
ხულა სახლი 269
ხულუგო 258
ხუცესი 149, 241
ხუცი 241

ჯარგვალი 172, 169
ჯარჯარი 116
ჯაურა 131
ჯეჯიმი 181, 182
ჯვარის მამული 149
ჯინი 249
ჯირითი 232, 234
ჯოხისტაციობა 232

შინაარსი

წინასიტყვაობა

თავი I
ზოგადი ეთნოგრაფიის კურსი

ზოგადი ეთნოგრაფიის კურსი (შესავალი) 11

თავი II
სალექციო კურსი საქართველოს ეთნოგრაფიაში

ქართული ეთნოგრაფიის ისტორია 64
საველე ეთნოგრაფიული მუშაობის მეთოდი 78
ზოგადი ცნობები საქართველოს გეოგრაფიული და ბუნებრივ-სამეურნეო ზონების შესახებ 86
ქართული ხალხური სამიწათმოქმედო კულტურა 96
მევენახეობა – მეღვინეობა 137
კვება და საკვები 151
ქართული ტრანსპორტი 157
დასახლება და საცხოვრებელი ნაგებობანი 165
ჩაცმულობა 177
ხელოსნობა და შინამრეწველობა 196
ქართველი ხალხის სულიერი კულტურის ზოგიერთი საკითხი
მიცვალებულის კულტი 213
ქართული მითოლოგია 225
ხალხური სპორტი 232

თავი III
ეთნოგრაფიული ცნობები საქართველოს ზოგიერთი კუთხის მოსახლეობის შესახებ 236

დამატება

პასუხები შეკითხვებზე 273
ვინ უნდა იყოს ეთნოგრაფი 273
როგორ იანგარიშება თაობა 273
დრო და კალენდარი 274
ჩვენი საუნჯე 277
არგონავტების ნაკვალევზე 278

University courses of lectures
on ethnography "Svetebi" (Summary) 280

Университетские лекционные курсы
по этнографии. «Светеби» (Резюме) 283

ფერადი ტაბულების აღწერილობა 287
დამატებითი ლიტერატურა 288
მასალა ეთნოგრაფიულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონისათვის 291
საგანთა საძიებელი 296
შინაარსი 305
Contents 306
Содержание 307

CONTENTS

Preface 5

CHAPTER I

COURSE OF GENERAL ETHNOGRAPHY (INTRODUCTION)

CHAPTER II

COURSE OF LECTURES ON ETHNOGRAPHY OF GEORGIA

History of Georgian ethnography 64
Methods of field ethnographic work 78
Native-economic zones of Georgia 86
Agriculture 96
Wine-growing and wine-making 137
Food and nutrition 151
Folk transport 157
Settlements and dwelling 165
Clothes 177
Handicraft 196
Some issues of Georgian people's spiritual culture 213

CHAPTER III

ETHNOGRAPHIC INFORMATION ON THE POPULATION OF SOME REGIONS OF GEORGIA

SUPPLEMENT

Answers to questions 273
Who should be an ethnographer 273
How to count generations 273
Time and calendar 274
Our treasure (about the Georgian language) 277
Concerning argonauts 278

University courses of lectures on ethnography. "Svetebi" (Summary) 280
University courses of lectures on ethnography. "Svetebi" (Summary in Russian) 283

Description of tables 287
Photo-illustrative material 288
Additional literature 290
Materials for the dictionary of ethnographic terms 291
Subject index 296
Contents (in Georgian) 305
Contents 306
Contents (in Russian) 307

СОДЕРЖАНИЕ

Предисловие 5

ГЛАВА I

КУРС ОБЩЕЙ ЭТНОГРАФИИ (ВВЕДЕНИЕ)

ГЛАВА II

КУРС ЛЕКЦИЙ ПО ЭТНОГРАФИИ ГРУЗИИ

История грузинской этнографии 64
Принципы и методы полевой этнографической работы 78
Природно-хозяйственные зоны Грузии 86
Земледельческая культура 96
Виноградарство и виноделие 137
Пища и питание 151
Народный транспорт 157
Поселение и жилище 165
Одежда 177
Ремесло и кустарное производство 196
Некоторые вопросы духовной культуры грузинского народа 213

ГЛАВА III

ЭТНОГРАФИЧЕСКИЕ СВЕДЕНИЯ О НАСЕЛЕНИИ НЕКОТОРЫХ РЕГИОНОВ ГРУЗИИ 236

ПРИЛОЖЕНИЕ

Ответы на вопросы 273
Кто должен быть этнографом 273
Как считаются поколения 273
Время и календарь 274
Наше сокровище (о грузинском языке) 277
Об аргонавтах 278
University courses of lectures on ethnography. "Svetebi" (Summary) 280
Университетские лекционные курсы по этнографии. «Светеби» (Резюме) 283
Описание таблиц 287
Фото-иллюстративный материал 288
Дополнительная литература 290
Материалы к словарю этнографических терминов 291
Предметный указатель 296
Содержание (на груз. яз.) 305
Содержание (на англ. яз.) 306
Содержание 307

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობის რედაქტორები: ნ. ავალიანი, ლ. გელოვანი
მხატვარი ხ. წერეთელი
ტექრედაქტორი: ნ. ოკუჯავა
კორექტორი: ა. გოგეშვილი

გადაეცა წარმოებას 5.III.2002; ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.VII. 2002;
ქაღალდის ზომა 70X108 1/16; ქაღალდი ოფს.; ბეჭდვა ოფსეტური;
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 19,5; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტირაჟი 500 შეკვეთა 135

ფასი სახელშეკრულებო

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება
„მეცნიერება“
თბილისი, 380060, გამრეკელის ქ. 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი სპირიდონის ძე ჩიტაია

შ რ ო მ ე ბ ი

ტ. IV

თბილისი
„მეცნიერება“
2001

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ЧИТАЯ ГЕОРГИЙ СПИРИДОНОВИЧ

ТРУДЫ
т. IV

ТБИЛИСИ
"МЕЦНИЕРЕБА"
2001

ქართველი ხალხის იერსახეს, კულტურას ყოველი ტრადიციები და ეთნოგრაფიული თავისებურებები განაპირობებს.

თანამედროვე პერიოდში შეირყა ტრადიციული ცხოვრების წესი – საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ქართული ეთნიკურობის მახასიათებელი თვითმყოფადობა, ზნეობა, ეთიკა. ჯაფლის ნახი და „ქართველური ყოველდან" არაერი დარჩება. ეს კი ერის სახეცვლილი ძალების, მისი თვითშეგნებისა და შინაგანი ბუნებათვისებების განადგურების ტოლფასია.

ქართული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის თვინდის მიხანია თავი მოუყაროს, დაიცვას, ამოფლარიხაცია ვაუკეთოს საქართველოს ყველა კუთხის ეთნოგრაფიულ ძეხაბოვარს, მდიდარ ხალხურ კულტურას. ქართველი კაცის ნიჭითა და ხელოვნებით შექმნილ მატერიალური თუ ხელიერი კულტურის ძეგლებს, რომელიც წარმოაჩენს ქართველი ხალხის ერთიფლ სიმდიდრეს, ძღვნებსა და ადგილს მსოფლიო კულტურის საგანძურში, ილიასეული დეკეთით: „რანი ეიყვეთ, რანი ვართ, რანი ეიქნებით". თვინდი მოუწოდებს საქართველოს ყველა კუთხის მოსახლეობას, საზოგადოების თვრთო ფენებს, სტუდენტ და მოსწავლე ახალგაზრდობას, საამაბლოს ხიყვარულითა და პატრიოტული ინტერესით ჩაებას ამოძრაობაში მრავალსაუკუნოვანი კულტურული მონაპოვრის გადასარჩენად, რათა ვალმოხდილი წარეხდგეთ ამოძველი III ათასწლეულის თაობის წინაშე, როგორც უნიკალური ტრადიციული კულტურის დარსებული მემკვიდრენი.